Karl Marx, Friedrich Engels, Vladimir Lenin, Joseph Stalin, Enver Hoxha

5 Classics of Marxism

Comintern (Stalinist-Hoxhaists)

http://ciml.250x.com

Georgian Section

www.joseph-stalin.net

SHMG Press

Karl Marx Press of the Georgian section of
Comintern (SH) – Stalinist-Hoxhaists Movement of Georgia

ლენინი

ლენინი

თხზულებანი

11

ი ბ ე ჭ დ ე ბ ა
რკპ(ბ) IX ყრილობისა
და სსრკ საბჭოების
II ყრილობის
დადგენილებით

ИНСТИТУТ МАРКСА-ЭНГЕЛЬСА-ЛЕНИНА при ЦК ВКП(б)

В. И. ЛЕНИН

СОЧИНЕНИЯ

Издание четвертое

ОГИЗ
ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО
ПОЛИТИЧЕСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ
1947

ᲡᲙᲙ. კ. პ. (ბ) Ც. კ.-ᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲠᲥᲡ-ᲔᲜ�გᲔᲚᲡ-ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ
ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲤᲘᲚᲘᲐᲚᲘ

Ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘ

ᲗᲮᲖᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ

ᲡᲐᲮᲔᲚᲒᲐᲛᲘ
ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲔᲥᲢᲝᲠᲘ
1950

ვ. ი. ლენინი

ტომი

11

1906 ივნისი — *1907* იანვარი

წინასიტყვაობა

მეთერთმეტე ტომი შეიცავს ვ. ი. ლენინის ნაწარმოებთ, რომლებიც დაწერილია 1906 წლის ივნისიდან 1907 წლის იანვრამდე. ამ ტომში შესულ ნაწარმოებთა მეტი ნაწილი ეხება საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია I სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მოღვაწეობასთან, სათათბიროს დათხოვნასა და II სათათბიროს საარჩევნო კამპანიის დაწყებასთან.

სტატიები «მოსკოვის აჯანყების გაკვეთილები», «ხელები შორს!», «პარტიზანული ომი» ეხებიან შეიარაღებული აჯანყების ორგანიზაციისა და ტაქტიკის საკითხებს.

ნაშრომებში «სათათბიროს ჩვენი ფრაქციის დეკლარაციის გამო», «ვინ ემხრობა კადეტებთან კავშირს?», «კადეტების ამყოლ-დამყოლნი», «პოლიტიკური კრიზისი და ოპორტუნისტული ტაქტიკის ჩაშლა», «სათათბიროს დათხოვნა და პროლეტარიატის ამოცანები» ლენინი ამხელს კადეტური სათათბიროს და სათათბიროს კადეტური სამინისტროს ლოზუნგის მხარის დაჭერის მენშევიკურ ტაქტიკას, იძლევა I სათათბიროს დათხოვნის პოლიტიკურ შეფასებას და განსაზღვრავს პარტიის ამ პერიოდის ამოცანებს.

ნაწარმოებნი «სოციალ-დემოკრატია და საარჩევნო შეთანხმებანი», «განსაკუთრებული აზრი», შეტანილი რსდმპ სრულიად რუსეთის ნოემბრის კონფერენციაზე, «ამომრჩევლებისადმი მიმართვის პროექტი», «კადეტებთან ბლოკის შესახებ», «სოციალ-დემოკრატია და სათათბიროს არჩევნები», ««მოისმენ მსჯავრსა რეგვენისასა»... (ს.-დ. პუბლიცისტის შენიშვნებიდან)» ეხებიან II სათათბიროს საარჩევნო კამპანიის საკითხებს.

სტატიებში «რუსეთის პოლიტიკურ პარტიათა კლასიფიკაციის ცდა», «ესერული მენშევიკები», «ობივატელობა რევოლუციურ წრეში» მოცემულია რუსეთის პოლიტიკური პარტიების კლასობრივი ანალიზი.

ვ. ი. ლენინის თხზულებებში პირველადაა შეტანილი ფურცელი «ვინ ავირჩიოთ სახელმწიფო სათათბიროში?», შენიშვნა «ბუნდის შეერთება რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიასთან» და სტატია «მუშათა პარტიის ამოცანები და გლეხობა», რომელიც განმარტავს ბოლშევიკების ძირითად ლოზუნგს საარჩევნო კამპანიაში — პროლეტარიატის კლასობრივი პოლიტიკის სრული დამოუკიდებლობისა და კადეტებთან ბლოკის შეუწყნარებლობის ლოზუნგს.

წინასიტყვა[1]

პოლიტიკური მდგომარეობა გასაოცარი სისწრაფით ირ-
ყვევა.

რამდენიმე თვის წინათ არ შეიძლებოდა დანამდვილებით
გეთქვათ, შეიკრიბებოდა თუ არა სახელმწიფო სათათბირო და
როგორი იქნებოდა იგი? რამდენიმე კვირის წინათ კიდევ არა
ჩანდა, ხალხის ფართო მასებისათვის მაინც, რა სარბიელზე და
რა ფორმით განვითარდებოდა თავისუფლებისათვის ბრძოლის
შემდგომი ეტაპი. სათათბირო სწამდა გულუბრყვილო გლეხს,
რომელსაც არც კი შეეძლო ეფიქრნა, რომ ხალხის ყველა შუა-
მდგომლის მხურვალე თხოვნა და განცხადებანი უშედეგოდ
დარჩებოდა; სათათბირო სწამდა ბურჟუაზიულ ლიბერალს,
რომელიც ცდილობდა წაექეზებინა მთავრობა «ნ ე ბ ა ყ ო ფ-
ლ ო ბ ი თ» დაეთმო. გაზვიადება არ იქნება იმის თქმა, რომ
ჩვენს თვალწინ რამდენიმე დღეში ქარწყლდება ეს რწმენა,
რწმენა ხალხის მასებისა, ისეთი ადამიანებისა, რომელთა მთე-
ლი ინტერესი ასაზრდოებდა და განამტკიცებდა ამ რწმენას.
სწამდათ იმიტომ, რომ უნდოდათ ეწამნათ, სწამდათ იმიტომ,
რომ ჯერ კიდევ ბუნდოვანი იყო უახლოესი პოლიტიკური მო-
მავალი, სწამდათ იმიტომ, რომ პოლიტიკური ბინდი ადგილს
უტოვებდა ყოველგვარ ორჭოფობას, ყოველგვარ მერყეობას,
განწყობილების ყოველგვარ დაცემას.

ახლა ყველაფერი ისევ ნათელი ხდება. მართლდება იმ ადამიანთა წინასწარხედვა, რომლებიც რაღაც ახირებულ პესიმისტებად მიაჩნდათ სათათბიროს არჩევნების ეპოქაში ან სათათბიროს პირველ დღეებში. სათათბირო ხუთი-ექვსი კვირაა შეკრებილია, და ადამიანები, რომლებიც მთელი სულითა და გულით ისწრაფიან განავითარონ და დაამუშაონ მოღვაწეობა სათათბიროში და სათათბიროს ახლო, უკვე გულახდილად და პატიოსნად აღიარებენ დიდ ფაქტს: «რარიგ დაიღალა ხალხი ლოდინით».

იგი ათეული წლების ლოდინით არ დაღლილა, მაგრამ ახლა რამდენიმე კვირაში დაიღალა; იგი არ იღლებოდა ლოდინით, ვიდრე ძილში იყო ან თვლემდა, ვიდრე მისი ცხოვრების გარეგან ვითარებაში არ იყო გარემოებანი, რომელნიც დაუყოვნებლივ სულ მთლად შეცვლიდნენ მის არსებობას, მის განწყობილებას, მის შეგნებასა და ნებას; იგი დაიღალა ლოდინით რამდენიმე კვირაში, როცა თვითონ მასში არაჩვეულებრივი სისწრაფით გაიღვიძა მოქმედების წყურვილმა, და უფერულნი, მოსაწყენნი, არასაინტერესონი გახდნენ უაღრესად მხურვალე, სიმპათიური სიტყვები, თუნდაც ისეთი მაღალი ტრიბუნიდან წარმოთქმულნი, როგორიც არის სათათბირო; დაიღალნენ ლოდინით მუშები. — გაფიცვების ტალღა უფრო და უფრო იზრდება; დაიღალნენ ლოდინით გლეხები; ვერავითარი დევნა და წამება, რაც შუა საუკუნეთა ინკვიზიციის საშინელებას აღემატება, ვერ აჩერებს მათს ბრძოლას მიწისათვის, თავისუფლებისათვის; დაიღალნენ ლოდინით კრონშტადტისა და სევასტოპოლის მატროსები, კურსკის, პოლტავის, ტულის, მოსკოვის ქვეითი ჯარისკაცები, კრასნოე სელოს გვარდიელები, კაზაკებიც კი დაიღალნენ ლოდინით. ახლა ყველა ხედავს, სად და როგორ ჩაღდება ახალი დიდი ბრძოლა, ყველას ესმის მისი გარდუვალობა, ყველა გრძნობს, რომ უაღრესად საჭიროა გამძლეობა, სიმტკიცე, მომზადება, პროლეტარიატისა და გლეხობის მოქმედებათა ერთდროულობა და შეთანხმებულობა. გრძნობენ, რომ ამისათვის აუცილე-

ბელია ლოდინი... ჩვენ უდიდესი ისტორიული მოვლენების წინ ვდგავართ, ჩვენ რუსეთის რევოლუციის მეორე დიდი საფეხურის წინ ვიმყოფებით. სოციალ-დემოკრატია, პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის შეგნებული გამომხატველი, თავის პოსტზე იდგება, როგორც ერთი კაცი, და ბოლომდე შეასრულებს თავის მოვალეობას.

«რაბოტნიკ» № 1, 1906 წ. 8 ივნისი.
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება გაზეთ «რაბოტნიკის» ტექსტის მიხედვით

ყოყმანი ზემოთ, გაბედულება ქვემოთ

ჩვენ, ალბათ, რევოლუციის ერთერთ ყველაზე მნიშვნელოვან მომენტს განვიცდით. ახალი აღმავლობა ფართო და მასობრივი მოძრაობისა ძველი წესწყობილების წინააღმდეგ უკვე დიდი ხანია დაისახა. ახლა ეს აღმავლობა თავისი განვითარების უმაღლეს წერტილს უახლოვდება. სათათბიროს არჩევნებმა და ოპოზიციური სათათბიროს სხდომებისა და მუშაობის პირველმა კვირამ შეასრულეს «კაპიკიანი სანთლის» როლი, რომლისაგან მთელ ჩვენს ქვეყანას ხანძარი მოედო. ფიცხი მასალა კიდევ ისე უამრავი აღმოჩნდა, ატმოსფერო კიდევ იმდენად «გავარვარებული» აღმოჩნდა, რომ ვერავითარმა დამცველმა ღონისძიებებმა ვერ უშველეს.

და ახლა უკვე ყველასათვის სავსებით აშკარა ხდება, რომ ხანძარი მართლაც მთელ ჩვენ ქვეყანას მოედო. აღდგნენ ნამდვილად ახალი ფენები — პროლეტარიატისაც, ისეთისაც კი, რომელიც ნახევარი წლის წინათ შავრაზმელებს იძლეოდა, და, მეტადრე გლეხობისა. არმია, რომელიც დაკავშირებულია გლეხობის ყველაზე ჩამორჩენილ ფენებთან და ხელოვნურად ისეა შერჩეული, რომ მან უნდა უკუაგდოს, ჩაჭკლას და ჩაახშოს ყოველივე ცოცხალი და ახალი, — არმიაც კი თითქმის მთლიანად ალმოდებული აღმოჩნდა. ჯარში მომხდარ «ამბოხებათა» და აფეთქებათა ამბავი ყოველი მხრიდან მოქრის, როგორც ნაპერწკლები დიდი ხანძრის დროს.

გაზეთების რეპორტიორები, რომლებსაც ერთგვარი კავშირურთიერთობა აქვთ ბიუროკრატიასთან, იუწყებიან, რომ სამხედრო მინისტრი გაფრთხილებას იძლევა არ დაითხოვონ

სათათბირო, რადგან ამ შემთხვევაში შესაძლებლად არა თვლის არმიას დაენდოს.

გასაკვირველი არ არის, რომ მთავრობა ყოყმანობს საქმის ასეთი ვითარების დროს. მართალია, ყოყმანის მიუხედავად, მთავრობა სავსებით გარკვეულად ემზადება იმისათვის, რომ რევოლუცია სისხლში ჩაახრჩოს. პროვოკაცია ძლიერდება. თავისუფალ პრესას სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოეცხადა. მემარცხენე გაზეთების «კონფისკაციას ახდენენ ყოველგვარი კანონის წინააღმდეგ». კრონშტადტი გავსებულია სპეციალურად გაგზავნილი ჯარებით. ბელოსტოკის დარბევა კონტრრევოლუციური მოქმედებისა და ამასთან შეიარაღებული მოქმედების აშკარა დასაწყისია. მთავრობა ყოყმანობს, მის რიგებში გაისმის გამაფრთხილებელი ხმები, ხმები, რომლებიც კადეტებთან გარიგებისაკენ მოუწოდებენ, მაგრამ ამ ყოყმანის მიუხედავად, ამ «იჭვნეულობის» მიუხედავად, იგი ერთი წუთითაც არ ივიწყებს თავის ძველ, ჩვეულ, ნაცად პოლიტიკას — აშკარა ძალადობის პოლიტიკას.

რეაქციონერები საქმის ხალხია, — ამბობდა ლასალი. ჩვენი რეაქციონერები ამართლებენ ამ სიტყვებს. ისინი იჭვნეულობენ, ფიქრობენ, ყოყმანობენ, გადავიდნენ თუ არა ერთბაშად საერთო შეტევაზე ახალი ხაზით (ე. ი. დაითხოვონ თუ არა სათათბირო). მაგრამ ისინი ა მ ზ ა დ ე ბ ე ნ შეტევას და ერთი წუთითაც თავს არ ანებებენ ამ «საქმეს». ისინი სწორად მსჯელობენ, იმ მტაცებელთა თვალსაზრისით, რომლებიც უკვე გაებნენ მარყუჟში და ეს მარყუჟი მაგრად ეჭირება მათს კისერს. დავუთმოთ კადეტებს, რომლებიც «ძლიერ ხელისუფლებას» გვპირდებიან? თუ ცეცხლითა და მახვილით გავუსწორდეთ? დავუცადოთ პირველ შედეგს, — სწყვეტენ ისინი დღეს, — დავუცადოთ, რადგან ე ს ხვალაც მოესწრება, ხოლო მეორე შედეგი ყოველ შემთხვევაში უნდა ვამზადოთო. ბევრი მათგანი, უეჭველია, ასეც მსჯელობს: ჯერ ვსინჯოთ მეორე შედეგიც და ამისათვის უფრო მარჯვე მომენტი შევარჩიოთ. კადეტებისათვის დათმობას კი უკანასკნელ წუთშიც მო-

ყოყმანი ზემოთ, გაბედულება ქვემოთ

ჩვენ, ალბათ, რევოლუციის ერთერთ ყველაზე მნიშვნელოვან მომენტს განვიცდით. ახალი აღმავლობა ფართო და მასობრივი მოძრაობისა ძველი წესწყობილების წინააღმდეგ უკვე დიდი ხანია დაისახა. ახლა ეს აღმავლობა თავისი განვითარების უმაღლეს წერტილს უახლოვდება. სათათბიროს არჩევნებმა და ოპოზიციური სათათბიროს სხდომებისა და მუშაობის პირველმა კვირამ შეასრულეს «კაპიკიანი სანთლის» როლი, რომლისაგან მთელ ჩვენს ქვეყანას ხანძარი მოედო. ფიცხი მასალა კიდევ ისე უამრავი აღმოჩნდა, ატმოსფერო კიდევ იმდენად «გავარვარებული» აღმოჩნდა, რომ ვერავითარმა დამცველმა ღონისძიებებმა ვერ უშველეს.

და ახლა უკვე ყველასათვის სავსებით აშკარა ხდება, რომ ხანძარი მართლაც მთელ ჩვენ ქვეყანას მოედო. აღდგნენ ნამდვილად ახალი ფენები — პროლეტარიატისაც, ისეთისაც კი, რომელიც ნახევარი წლის წინათ შავრაზმელებს იძლეოდა, და, მეტადრე გლეხობისა. არმია, რომელიც დაკავშირებულია გლეხობის ყველაზე ჩამორჩენილ ფენებთან და ხელოვნურად ისეა შერჩეული, რომ მან უნდა უკუაგდოს, ჩაჰკლას და ჩაახშოს ყოველივე ცოცხალი და ახალი, — არმიაც კი თითქმის მთლიანად ალმოდებული აღმოჩნდა. ჯარში მომხდარ «ამბოხებათა» და აფეთქებათა ამბავი ყოველი მხრიდან მოქრის, როგორც ნაპერწკლები დიდი ხანძრის დროს.

გაზეთების რეპორტიორები, რომლებსაც ერთგვარი კავშირურთიერთობა აქვთ ბიუროკრატიასთან, იუწყებიან, რომ სამხედრო მინისტრი გაფრთხილებას იძლევა არ დაითხოვონ

სათათბირო, რადგან ამ შემთხვევაში შესაძლებლად არა თვლის არმიას დაენდოს.

გასაკვირველი არ არის, რომ მთავრობა ყოყმანობს საქმის ასეთი ვითარების დროს. მართალია, ყოყმანის მიუხედავად, მთავრობა სავსებით გარკვეულად ემზადება იმისათვის, რომ რევოლუცია სისხლში ჩაახრჩოს. პროვოკაცია ძლიერდება. თავისუფალ პრესას სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოეცხადა. მემარცხენე გაზეთების «კონფისკაციას ახდენენ ყოველგვარი კანონის წინააღმდეგ». კრონშტადტი გავსებულია სპეციალურად გაგზავნილი ჯარებით. ბელოსტოკის დარბევა კონტრრევოლუციური მოქმედებისა და ამასთან შეიარაღებული მოქმედების აშკარა დასაწყისია. მთავრობა ყოყმანობს, მის რიგებში გაისმის გამაფრთხილებელი ხმები, ხმები, რომლებიც კადეტებთან გარიგებისაკენ მოუწოდებენ, მაგრამ ამ ყოყმანის მიუხედავად, ამ «იჭვნეულობის» მიუხედავად, იგი ერთი წუთითაც არ ივიწყებს თავის ძველ, ჩვეულ, ნაცად პოლიტიკას — აშკარა ძალადობის პოლიტიკას.

რეაქციონერები საქმის ხალხია, — ამბობდა ლასალი. ჩვენი რეაქციონერები ამართლებენ ამ სიტყვებს. ისინი იჭვნეულობენ, ფიქრობენ, ყოყმანობენ, გადავიდნენ თუ არა ერთბაშად საერთო შეტევაზე ახალი ხაზით (ე. ი. დაითხოვონ თუ არა სათათბირო). მაგრამ ისინი ა მ ზ ა დ ე ბ ე ნ შეტევას და ერთი წუთითაც თავს არ ანებებენ ამ «საქმეს». ისინი სწორად მსჯელობენ, იმ მტაცებელთა თვალსაზრისით, რომლებიც უკვე გაებნენ მარყუჟში და ეს მარყუჟი მაგრად ეჭირება მათს კისერს. დავუთმოთ კადეტებს, რომლებიც «ძლიერ ხელისუფლებას» გვპირდებიან? თუ ცეცხლითა და მახვილით გავუსწორდეთ? დავუცადოთ პირველ შედეგს, — სწყვეტენ ისინი დღეს, — დავუცადოთ, რადგან ე ს ხვალაც მოესწრება, ხოლო მეორე შედეგი ყოველ შემთხვევაში უნდა ვამზადოთო. ბევრი მათგანი, უეჭველია, ასეც მსჯელობს: ჯერ ვსინჯოთ მეორე შედეგიც და ამისათვის უფრო მარჯვე მომენტი შევარჩიოთ. კადეტებისათვის დათმობას კი უკანასკნელ წუთშიც მო-

ვასწრებთ, როცა უკვე ზედმიწევნით დავრწმუნდებით, რომ მასობრივი სისხლისღვრით ყ ვ ე ლ ა ფ რ ი ს დაბრუნება არ შეიძლებაო!

ასეთი მსჯელობა, მტაცებლების თვალსაზრისით, სავსებით სწორია. თავგანწირული და ულმობელი ბრძოლის გაუმართავად ისინი, ცხადია, არ დასთმობენ. უარეს შემთხვევაში კი ისინი, რა თქმა უნდა, იმზადებენ უკანდახევას კადეტებთან გარიგებისაკენ, მათთან კავშირისაკენ «ძლიერი ხელისუფლების» იმ პლატფორმაზე, რასაც ასე დროიანად მოაგონებს მათ ბ-ნი სტრუვე. რეაქციონერები ამზადებენ სერიოზულ და გადამწყვეტ ბრძოლას, ხოლო კადეტებთან გარიგებას უყურებენ, როგორც ბრძოლის მარცხით დამთავრების თანაშედეგს.

პროლეტარიატი ფხიზლად და პირდაპირ უნდა უყურებდეს რევოლუციის ამოცანებს. დიდი საკითხების «საქმიანი» დაყენების მხრივ იგი არ ჩამორჩება რეაქციონერებს. მთელი ჩვენი ყურადღება, მთელი ზრუნვა და მთელი ძალღონე უნდა წარვმართოთ ხვალ თუ ზეგ გარდუვალი, გადამწყვეტი ბრძოლისაკენ — და კადეტებთან მთავრობის გარიგება მივიჩნიოთ რევოლუციის ერთერთი შესაძლებელი ეტაპის თანაშედეგად. პროლეტარიატისათვის საშიში არ არის ეს გარიგება: ამაზე კისერს მოიტეხენ ტრეპოვებიც და ზომიერი ლიბერალებიც. პროლეტარიატმა არავითარ შემთხვევაში არც პირდაპირ და არც არაპირდაპირ მხარი არ უნდა დაუჭიროს ამ გარიგებას, მხარი არ უნდა დაუჭიროს სათათბიროს უმრავლესობისაგან შედგენილი პასუხისმგებელი სამინისტროს მოთხოვნას. ჩვენ ახლა არც უნდა ჩ ა ვ შ ა ლ ო თ ეს გარიგება, არც მხარი დავუჭიროთ მას. ჩვენ ს ა კ უ თ ა რ ი გზით მივდივართ, ჩვენ ვრჩებით იმ მოწინავე კლასის პარტიად, რომელიც მასებს არ მისცემს ა რ ც ე რ თ ორაზროვან ლოზუნგს, არც პირდაპირ, არც არაპირდაპირ არ დაუკავშირდება ბურჟუაზიის არც ერთ ბინძურ საქმეს და შესძლებს ყველა გარემოებაში, როგორაც უნდა დამთავრდეს ბრძოლა, დაიცვას რევოლუციის ინტერესები.

მთავრობის კომპრომისი სათათბიროსთან შეუძლებელი არ არის, როგორც რევოლუციის ერთერთი კერძო ეპიზოდი. სოციალ-დემოკრატიამ ახლანდელ მომენტში არც უნდა იქადაგოს ეს კომპრომისი, არც მხარი დაუჭიროს მას, არც «ჩაფუშოს» იგი. სოციალ-დემოკრატია მთელ თავის ყურადღებას და მასების მთელ ყურადღებას მიაპყრობს მთავარსა და არსებითს და არა შემთხვევითსა და მეორეხარისხოვანს. იგი უკანასკნელ წვეთამდე გამოიყენებს ბურჟუაზიის ყველა და ყოველგვარ კომპრომისს ძველ ხელისუფლებასთან, მთელ ყოყმანს, რომელიც კი ზემოთ თავს იჩენს. მაგრამ იგი დაუცხრომლად გააფრთხილებს მუშათა კლასსა და გლეხობას ნუ დაენდობიან კადეტების «მეგობრობას». მან ზემოთ გამოვლინებულ ყოყმანს უნდა დაუპირისპიროს უსაზღვრო გაბედულება ქვემოდან, არ აჰყვეს პროვოკაციებს, მტკიცედ და შეუპოვრად მოიკრიბოს ძალები გადამწყვეტი მომენტისათვის.

«ვპერიოდ», № 13, 1906 წ. 9 ივნისი

იბეჭდება გაზეთ «ვპერიოდის» ტექსტის მიხედვით

ერთიანობისაკენ!

ამ დღეებში პარლამენტის სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია გამოვა სახელმწიფო სათათბიროში. უეჭველია, ამ ფრაქციას ახლა შეუძლია დიდი სარგებლობა მოუტანოს მუშათა მოძრაობის საქმეს და რევოლუციის საქმეს თავისი გაბედული, თანამიმდევარი გამოსვლით, თუ იგი სრული გარკვეულობით განაცხადებს თ ა ნ ა მ ი მ დ ე ვ ა რ ი დემოკრატიზმის, სოციალიზმისათვის პ რ ო ლ ე ტ ა რ უ ლ ი კლასობრივი ბრძოლის მოთხოვნებსა და ლოზუნგებს. ახლა, როცა სათათბიროში სოციალ-დემოკრატების გამოსვლის საკითხი გადაწყვეტილია რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის გამაერთიანებელი ყრილობის მიერ, ამაზე სოციალ-დემოკრატთა შორის ორი აზრი არ არსებობს. და ჩვენც ვფიქრობთ, რომ ჩვენი კავკასიელი ამხანაგები სავსებით სწორად მოიქცნენ, როცა ხელი მოაწერეს სახელმწიფო სათათბიროს წევრთა ყბადაღებულ «საზეიმო აღთქმას» [2] და ამასთან გაზეთებში გამოაქვეყნეს ცნობილი განცხადება, — ხელს ვაწერთ, «რათა შესაძლებლობა გვქონდეს შევასრულოთ ხალხის მიერ ჩვენთვის დაკისრებული საქმე, და ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ვცნობთ ყოველგვარ პოლიტიკურ ვალდებულებას მხოლოდ ხალხის მიმართო».

რაც უფრო მნიშვნელოვანია ჩვენი პარტიისათვის მის წარმომადგენელთა გამოსვლა სახ. სათათბიროში, მით უფრო აუცილებელია რაც შეიძლება უფრო გულდასმით ავწონ-დავწონოთ დღევანდელ მომენტში სოციალ-დემოკრატიული ტაქტიკის პრინციპები. და უნდა გამოვტყდეთ, რომ პოლიტიკურ მოვლენათა მსვლელობას, რაც არაჩვეულებრივ დაჩქარდა განვლილი რამდენიმე კვირის მანძილზე, ბევრი სინათლე შეაქვს

ჯერ კიდევ გუშინ ბუნდოვან საკითხებში, იგი ხელს გვიწყობს ნათლად და ზუსტად განვსაზღვროთ პოზიცია, აქარწყლებს ბევრ უთანხმოებას ჩვენი პარტიის მემარჯვენე და მემარცხენე ფრთას შორის.

ამ მხრივ განსაკუთრებული სიამოვნებით უნდა გავუსვათ ხაზი ამხანაგების — ყ. მენშევიკების მსჯელობას «კურიერის»[3] დღევანდელ ნომერში. მოწინავე სტატია «სათათბიროს «კანონები»», მართალია, იწყება რაოდენადმე ორაზროვანი გალაშქრებით იმის წინააღმდეგ, რომ სათათბიროს კანონების შემუშავებას უმაქნისი ლაყბობა ეწოდოს. მაგრამ საქმე, თურმე, ის არის, რომ ამხანაგები ტყუილად როდი სვამენ სიტყვა «კანონებს» ბრჭყალებში. ისინი იცავენ — და ამაში ისინი ათასჯერ მართალნი არიან, — ისეთი კანონების შემუშავებას, რომლებიც კანონები კი არ უნდა იყვნენ, არამედ უნდა წარმოადგენდნენ «დეკლარაციას», «ხალხის თავისუფლების უფლებათა გამოცხადებას», «ძველი ზღუდეების გაუქმების გამოცხადებას».

მგონია, უფრო სწორი იქნებოდა, რომ ასეთ «კანონებს» ეწოდოს არა კანონები, არამედ მიმართვა ხალხისადმი. მაგრამ უგუნურებაა ჩააცივდე სიტყვიერ განსხვავებას, როცა არსებითად თანხმობა გამოდის. თანხმობა კი, მართლაც, სრული გამოდის. «ყოვლად უაზრო და მ ა ვ ნ ე ა, — წერს «კურიერი», — შეიტანო სათათბიროში კანონპროექტები, გულდასმით და დეტალურად დამუშავებულნი. ათობით და ასობით პარაგრაფის, შენიშვნისა და სხვათა შემცველნი» (ხაზგასმა ყველგან ჩვენია). სწორედ ასეა. ამგვარი მუშაობა, რომელსაც დამკვიდრებული სიტყვის მიხედვით «ორგანული» ეწოდება, მართლაც მ ა ვ ნ ე ა. მავნეა «იმიტომ, რომ მკაფიო, ყველასათვის გასაგები დაპირისპირების ნაცვლად ამგვარი კანონპროექტები ხალხის აზროვნებას უ ი მ ე დ ო დ ა ბ ნ ე ვ ე ნ პარაგრაფებისა და მუხლების ბარდებში».

სავსებით მართალია. ხალხის აზროვნება, მართლაც, უ ი მ ე დ ო დ ი ბ ნ ე ვ ა «ორგანული» საკანონმდებლო პრო-

ჟექტერობის ბარდებში. ხალხის აზროვნებას აბნელებს, აჩ-ლუნგებს და რყვნის ეს პროექტერობა, რადგან «ეს კანონ-ები სულ ერთია მაინც არ განხორციელდება. ისინი რომ განა-ხორციელო, ჯერ საჭიროა ხელიდან გ ა მ ო გ ლ ი ჯ ო თ ძ ა-ლ ა უ ფ ლ ე ბ ა იმათ, ვისაც ახლა იგი უპყრია. ძალაუფლე-ბის ხელიდან გამოგლეჯა კი მ ხ ო ლ ო დ ისეთ სახალხო მოძრაობას შეუძლია, რომელიც თვით სათათბიროს ადგილას დააყენებს გ ა ც ი ლ ე ბ ი თ მ ე ტ ი უ ფ ლ ე ბ ი ს მ ქ ო-ნ ე და დ ე მ ო კ რ ა ტ ი ულ დ ა წ ე ს ე ბ უ ლ ე ბ ა ს, რომელიც სრულიადაც არ იქნება ვალდებული ანგარიში გაუ-წიოს სათათბიროს მიერ შემუშავებულ «კანონებს». ხალხის ყურადღების ეს გადატანა იმაზე, რომ აუცილებლად საჭიროა ძალაუფლების ხელიდან გამოგლეჯა, ყურადღების გადატანა «გაცილებით მეტი უფლებისმქონე» დაწესებულებაზე, რომ-ელიც ანგარიშს არ გაუწევს კადეტური სათათბიროს კანონებს, უაღრესი სისწორით ითვალისწინებს რევოლუციური პროლე-ტარიატის ძირითად ამოცანებს და თანამედროვე მომენტის მოთხოვნილებებს.

ამ ამოცანების გაუგებლობისათვის «კურიერელი» ამხანა-გები იმავე სტატიაში ჩინებულად ამათრახებენ კადეტებს. კა-დეტები თავის კანონპროექტებს წერენ, «როგორც ნამდვილი კანონმდებლები, და ამავე დროს ივიწყებენ, რომ საკანონ-მდებლო ძალაუფლება სინამდვილეში მ ა თ ი ო ტ ი ს ო დ ე-ნ ა ც ა რ ა ა ქ ვ თ». «ისინი ისე წერენ თავიანთ «კანონპრო-ექტებს», თითქოს სასამართლოებს ხვალვე მოუხდებათ მოქა-ლაქეთა ქმედობის გარჩევა ახალი კადეტური კანონების მი-ხედვით».

სირცხვილია ასეთ თვალსაზრისზე დგომაო, — ჭკუას არი-გებს «კურიერი» კადეტებს. ამ სამმაგად სამართლიანი და-რიგებიდან მხოლოდ ერთი დასკვნა უნდა გაკეთდეს, და ეს დასკვნა თავისთავად მოგდის თავში. რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიას არ შეუძლია და არც უნდა დაუჭიროს მხარი მოთხოვნას, რომ დაინიშნოს პასუხისმგებელი სამინისტრო

სათათბიროს უმრავლესობისაგან! ასეთი სამინისტრო ხომ კადეტური სამინისტრო იქნება, და მას მართლაც მოუხდება ხ ვ ა ლ ვ ე დააწესოს სასჯელი თავისუფლების ბოროტად გამოყენებისათვის. ასეთი სამინისტრო ახლა, ვიდრე ვარსკვლავთ პალატის[4] ხელიდან ჯერ კიდევ არ არის ძალაუფლება გამოგლეჯილი, შეიძლება იყოს მხოლოდ ძველი ხელისუფლების ლიბერალური ნიღაბი. ასეთი სამინისტრო ახლა შეიძლება იყოს მხოლოდ ახალი სამოსელი, რომლითაც დროებით დაიფარავენ თავს იგივე დამრბევნი! ჩვენ, რა თქმა უნდა, გამოვააშკარავებთ ამ საფარველს და ძალიან მალეც. ჩვენ ყოველი საშუალებით გამოვიყენებთ ამ ახალ სიტუაციას, როცა იგი შეიქმნება და როცა არა მარტო ძველი ხელისუფლება, არამედ მასთან ერთად კადეტებიც გაიხლართებიან ახალ სამოსელში და წალეკილნი იქნებიან ტალღით. მაგრამ არც პირდაპირ და არც არაპირდაპირ, არც განცხადებითა და არც დუმილით არ უნდა ვიკისროთ ჩვენ, პროლეტარიატის პარტიამ, პასუხისმგებლობის ნასახიც კი ძველი ხელისუფლების ამ ხელახალი შენიღბვისათვის. ჩვენ მასებში არ უნდა გადავისროლოთ ლოზუნგი, რომ მხარს ვუჭერთ სათათბიროს უმრავლესობისაგან პასუხისმგებელი სამინისტროს შედგენის მოთხოვნას. ასეთი ლოზუნგი, ჩვენი ნების დამოუკიდებლად, თანამედროვე პოლიტიკური სიტუაციის ობიექტურ პირობათა გამო, გარდუვალად იქნება ის, რომ პროლეტარიატის პარტიას დააწვება ნაწილი პასუხისმგებლობისა ამ ხელახალი შენიღბვისათვის, ძველ ხელისუფლებასთან ბურჟუაზიის ამ გარიგებისათვის. ასეთი ლოზუნგი არაპირდაპირ შეიცავს «კურიერის» მიერ ასე საუცხოოდ გაკრიტიკებული კადეტური «კანონპროექტების» მოწონებას, რადგან, მართლაც, ხომ არ შეიძლება უარყო კავშირი იმას შორის, თუ როგორ აპროექტებენ კადეტები დასჯას თავისუფლების ბოროტად გამოყენებისათვის, და იმას შორის, თუ როგორ აპროექტებენ ისინი სამინისტროს სახით ნამცეცი ძალაუფლების მიღებას ამ სასჯელის გამოსაყენებლად, — ნამცეცი ძალაუფლების მიღებას ძველი ხ ე ლ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს ა-

გან, ძველი ხელისუფლების განსამტკიცებლად ძველ ხელისუფლებასთან გარიგებით, როგორც საფარველის მიღებას, რომელიც ფარავს ხალხის იერიშს ძველი ხელისუფლების წინააღმდეგ.

და ასეთი ლოზუნგი სრულიადაც არ არის საჭირო მუშათა პარტიისათვის. მთელი თავისი მუშაობა მასებში პროპაგანდა-აგიტაციისა და ფართო ორგანიზაციების შექმნის დარგში მას შეუძლია უფრო უკეთ, უფრო მთლიანად, უფრო სისტემატურად და უფრო გაბედულად გასწიოს უამლოზუნგოდ, თუ იგი დამრბევთა უტიფრობას, კადეტთა «კანონპროექტებს» დაუპირისპირებს ჩვენს სოციალ-დემოკრატიულ «დეკრეტებს», «განცხადებებს», მიმართვებს ხალხისადმი სათათბიროს ს.-დ. ფრაქციის მეშვეობით (ხოლო განსაზღვრულ პირობებში მასთან ერთად შრომის ჯგუფელების[5] მეშვეობითაც), დასასრულ, «მოსახლეობის მოწოდებებს სახალხო მილიციის შესაქმნელად, რადგან მხოლოდ სახალხო მილიციას შეუძლია დაიცვას მისი სიცოცხლე და ღირსება», — იმ მოწოდებებს, რასაც ჩვენ ვურჩევდით «ვპერიოდის»[6] მე-9 ნომერში *, რასაც ურჩევს ბუნდის ორგანო «**Volkszeitung**» ** და რასაც ასე სამართლიანად იწონებს «კურიერი».

ერთიანობისაკენ, ამხანაგებო! პროლეტარიატის პოლიტიკური გამოსვლების ერთიანობას შეუკავებელი ძალით ჰქმნის მთელი რევოლუციური ატმოსფეროს ზემოქმედება. ნუ გავაძნელებთ ამ ერთიანობას არასავალდებულო და სადავო ლოზუნგების შეტანით ჩვენს ტაქტიკაში. ვისარგებლოთ შექმნილი შესაძლებლობით, რათა მივაღწიოთ ყველა სოციალ-დემოკრატის სრულ თანხმობას ასეთ მომენტში, რომელიც, შესაძლოა, რუსეთის დიდი რევოლუციის უმნიშვნელოვანესი მომენტი აღმოჩნდეს!

«ვპერიოდ» № 14, 1906 წ. 10 ივნისი

იბეჭდება გაზეთ «ვპერიოდის» ტექსტის მიხედვით

---

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 10, გვ. 623 — 624. რ ე დ.

** — «სახალხო გაზეთი». რ ე დ.

სათათბიროს და ხალხი

სახელმწიფო სათათბიროს ს.-დ. დეპუტატის, ამხანაგ რამიშვილის სიტყვა შეიცავს რამდენიმე უაღრესად მართალ შენიშვნას, რომლებიც სწორად განსაზღვრავენ ს.-დ. ტაქტიკას. ორატორმა არათუ გაკიცხა დამრბევთა მთავრობა პროლეტარიატის ნამდვილი წარმომადგენლის ენერგიით. ორატორმა არათუ უწოდა «ხალხის მტრები» მთავრობის წარმომადგენლებს, — ამასთან სათათბიროს კადეტი თავმჯდომარის ახალმა ცდამ — შეეზღუდა სიტყვის თავისუფლება, უკიდურეს მემარცხენეთა კანონიერი პროტესტი გამოიწვია. ორატორმა, გარდა ამისა, სიტყვის ბოლოში დააყენა ხალხთან სათათბიროს დამოკიდებულების ზოგადი საკითხიც.

აი რა თქვა ს.-დ. დეპუტატმა ამ საკითხზე:

«მე ვათავებ შენიშვნით, რომ ჩვენ ზურგს გვიმაგრებს ხალხი. ცხოვრებაში რაღაც სხვა ხდება, არა ის, რასაც ჩვენ აქ, ამ დარბაზში, ვაკეთებთ. იქ სულ სხვა ატმოსფეროა, აქ ატმოსფერო ბევრად უფრო რბილია, აქ უფრო მშვიდობიანი განწყობილებაა. შესაძლოა, ერთი თვის შემდეგ ჩვენ თვითონ გადავწყვეტთ ჩვენს საქმეს... ცხოვრება გაცილებით უფრო ხმამაღლა მეტყველებს, ვიდრე ჩვენ აქ ვლაპარაკობთ იმაზე, რაც ირგვლივ ხდება. მე ვამბობ, რომ ჩვენ ვდგავართ მთავრობასა და ხალხს შუა. სათათბირო, — ეს სახიფათო ადგილია. მარცხნივ წასვლა თუ მარჯვნივ წასვლა, — ეს იმას ნიშნავს, რომ შეურიგდე ვისმე ან კავშირი გაწყვიტო ვისმესთან... მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ თვითონ ხალხი მიაღწევს იმას, რისი მიღწეეაც სათათბიროს, თავისი მერყეობისა და გაუბედაობის გამო, არ შეუძლია. მე ვამბობ, ეს ხალხი სხვანაირად არის განწყობილი, ვიდრე ჩვენ აქ»...

ჩვენ ხაზგასმით აღვნიშნეთ ამ სიტყვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილები. სწორად არის აქ აღნიშნული, რომ ცხოვრება გაცილებით უფრო ხმამაღლა მეტყველებს, ვიდრე სათათბირო, რომ ცხოვრებაში არ არის ისეთი «მშვიდობისმოყვარეობა», რომ «ხალხი სხვანაირად არის განწყობილი». ეს უეჭველი სიმართლეა. ამ სიმართლიდან კი ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ მართალნი არ არიან ისინი, ვინც ამბობს, ხალხი მხარს უჭერს სათათბიროსაო. ხალხი უკვე ახლა წინ უსწრებს სათათბიროს, უფრო ხმამაღლა ლაპარაკობს, ნაკლებ მშვიდობისმოყვარეობას იჩენს, უფრო ენერგიულად იბრძვის. მაშასადამე, სოციალ-დემოკრატების ამოცანის ერთადერთი სწორი განსაზღვრაა განუმარტონ ხალხის უაღრესად ფართო მასებს, რომ სათათბირო მხოლოდ გაუბედავად და არასრულად გამოხატავს ხალხის მოთხოვნებს. ს.-დ.-ული ტაქტიკის საკითხის მხოლოდ ასეთი დაყენება მოხსნის პროლეტარიატის პარტიას პასუხისმგებლობას კადეტების მერყეობისათვის. საკითხის მხოლოდ ასეთი დაყენება, რომელიც სავსებით უწევს ანგარიშს გლეხთა მასის შეგნების განვითარების, გაბედულებისა და მზადყოფნის დონეს, დგას მომენტის დიადი ამოცანების სიმაღლეზე,— ისეთი მომენტისა, რომლის შესახებაც პროლეტარიატის არჩეული ს.-დ.-ები პირდაპირ ამბობენ: «შესაძლოა, ერთი თვის შემდეგ თვითონ ჩვენ გადავწყვეტთ ჩვენს საქმესაო». იმისათვის, რომ შეგვეძლოს მისი გადაწყვეტა, საჭიროა, სხვათა შორის, ახლავე სავსებით გავემიჯნოთ საქმის «მშვიდობიანი» დაბოლოების ყოველგვარ ყალბ თუ მოუაზრებელ ცდებს.

და ამხ. რამიშვილი სავსებით მართალი იყო, როცა სათათბიროს ტრიბუნიდან განაცხადა: «სათათბირო სახიფათო ადგილიაო». რატომ? იმიტომ, რომ იგი იჩენს «მერყეობასა და გაუბედაობას». ხოლო მერყეობა და გაუბედაობა ისეთ მომენტში, როცა შესაძლოა უკვე ერთი თვის შემდეგ ხალხი იძულებული გახდეს თვითონ გადაწყვიტოს თავისი საქმე, —

პირდაპირ დანაშაულია. ვინც ასეთ თვისებებს იჩენს, რაც უნდა გულწრფელი იყოს მისი განზრახვები, ის ასეთ მომენტში გარდუვალად ჩავარდება მეტად ყალბ მდგომარეობაში. ჩვენს ნებაზე როდია დამოკიდებული ის, რომ ასეთ მომენტში ჩვენი გარემომცველი სინამდვილის მთელი ეკონომიური და პოლიტიკური პირობებიდან გარდუვალად წარმოიშობა ხალხის გადამწყვეტი ბრძოლა ძველ ხელისუფლებასთან. ვინც ამ მოახლოებული ბრძოლის დანახვისას მერყეობს, ის მართლაც გარდუვალად იძულებული იქნება «შეურიგდეს ვისმე ან კავშირი გაწყვიტოს ვისმესთან». კადეტები სწორედ ასეთ მდგომარეობაში არიან. ლიბერალური ბურჟუაზია იმკის იმას, რასაც იგი თესდა თავისი ორპირი და მერყევი პოლიტიკის, რევოლუციიდან კონტრრევოლუციისაკენ თავისი გადარბენის წლების განმავლობაში. ძველ ხელისუფლებასთან შერიგება ნიშნავს მებრძოლ ხალხთან კავშირის გაწყვეტას. ძველ ხელისუფლებასთან კავშირის გაწყვეტა — აი რა იქნებოდა საჭირო იმისათვის, რომ შეურიგდე მებრძოლ ხალხს.

სათათბიროს უმრავლესობამ ყველაფერი გააკეთა და აკეთებს, რათა განსაზღვროს თავისი პოზიცია ამ გარდუვალ არჩევანში. ეს კადეტური, ნაწილობრივ კი კადეტურზე უარესი, უმრავლესობა თავისი პოლიტიკის თვითეული ნაბიჯით ამზადებს მებრძოლ ხალხთან კავშირის გაწყვეტას, ამზადებს ძველ ხელისუფლებასთან შერიგებას. ეს პატარა ნაბიჯებიაო, გვეტყვიან. მაგრამ ეს არის ნამდვილი პოლიტიკის ნამდვილი ნაბიჯები, ვუპასუხებთ ჩვენ. ეს ნაბიჯები შეესაბამებიან ლიბერალური ბურჟუაზიის მთელ ძირეულ კლასობრივ ინტერესებს. «მშვიდობისმოყვარეობის» სწორედ ასეთი ხასიათი უეჭველად აქვს ძველი ხელისუფლების მიერ დანიშნულ სათათბიროს სამინისტროს კადეტურ მოთხოვნასაც.

და ჩვენ დაუცხრომლად გავიმეორებთ, რომ მუშათა პარტიის მიერ ამ მოთხოვნისათვის მხარის დაჭერა უაზრო და მავნეა. უაზროა, რადგან ძველ ხელისუფლებას ნამდვილად ასუს-

ტებს მხოლოდ ბრძოლა ხალხისა, რომელიც გაუბედავ სათათბიროზე უფრო შორს მიდის. მავნეა, რადგან იგი სიცრუესა და დაბნეულობას სთესს ხალხში. გუშინ ჩვენ აღვნიშნეთ, თუ რა სწორად მოიქცნენ «კურიერელი» ამხანაგები, რომ კადეტური კანონპროექტების უაზრობა და მავნებლობა აღიარეს*. დღეს გულისტკივილით უნდა ვთქვათ, რომ იგივე ამხანაგები იცავენ სათათბიროს სამინისტროს, ე. ი. ისეთი სამინისტროს მხარის დაჭერას, რომელიც ამ უაზრო და მავნე კანონპროექტებს გაატარებს!

«კურიერის» ამ მერყეობაზე ჩვენ უფრო დაწვრილებით, შესაძლოა, სხვა დროს შევჩერდეთ. ჯერჯერობით საკმარისი იქნება აღვნიშნოთ იგი: თვით ფაქტი მერყეობისა ასეთ მნიშვნელოვან მომენტში ცხადყოფს მერყევთა პოზიციის სრულ უმტკიცობას.

«ვპერიოდ» № 15, 1906 წ. 11 ივნისი

იბეჭდება გაზეთ «ვპერიოდის» ტექსტის მიხედვით

* იხ. ეს ტომი, გვ. 8 — 12. რ ე დ.

ბრძოლა ძალაუფლებისათვის და «ბრძოლა» ნასუფრალისათვის

ყველასათვის ცნობილია, რომ ს.-დ.-ბის პარტიამ ჯერ კიდევ თავის პროგრამაში გამოთქვა ურყევი რწმენა, რომ აუცილებელია ხალხის სრული ძალაუფლებიანობა ხალხის მასების მომწიფებულ საჭიროებათა ნამდვილად დაკმაყოფილებისათვის. თუ ხალხის მასას ხელთ არ ექნება სრული სახელმწიფო ძალაუფლება, — თუ სახელმწიფოში დარჩება თუნდაც რაიმე ხელისუფლება, რომელიც ხალხს არ აურჩევია და ვერ შეიცვლება, რომელიც ხალხისაგან სავსებით არ არის დამოკიდებული, მაშინ მომწიფებულ და ყველას მიერ შეგნებულ საჭიროებათა ნამდვილი დაკმაყოფილება შეუძლებელია.

ამ უდავო ჭეშმარიტებას ს.-დ. პარტია ყოველთვის მთელი ძალღონით ავრცელებდა პროლეტარიატში და მთელ ხალხში. ნამდვილი, ე. ი. მასობრივი ბრძოლა თავისუფლებისათვის გადიოდა და ყოველთვის გაივლის მეტად სხვადასხვა და ხშირად მოულოდნელ ეტაპებს: სხვანაირად არ შეიძლება იყოს ბრძოლის უდიდესი სიძნელის, მისი ამოცანების სირთულისა და მებრძოლთა არამუდმივი შემადგენლობის გამო. სოციალ-დემოკრატიას, როგორც მუშათა კლასის მისწრაფებათა შეგნებულ გამომხატველს, როცა იგი პროლეტარიატის ბრძოლას ხელმძღვანელობს ამ ბრძოლის განვითარების ყოველ საფეხურზე და ყოველგვარ გარემოებაში, მუდამ უნდა ჰქონდეს მხედველობაში საერთოდ მთელი ამ ბრძოლის ზოგადი და ძირითადი ამოცანები. სოციალ-დემოკრატია გვასწავლის, რომ

მუშათა კლასის ცალკეული ინტერესების გამო არ დავივიწყოთ ზოგადი ინტერესები; — ბრძოლის ცალკეული საფეხურების თავისებურებათა გამო არ დავივიწყოთ საერთოდ მთელი ბრძოლის ძირითადი ამოცანები.

სწორედ ასე ესმოდა ყოველთვის რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიას თავისი ამოცანები რუსეთის ახლანდელ რევოლუციაში. მხოლოდ ასეთი გაგება შეესაბამება პროლეტარიატის, როგორც მოწინავე კლასის, მდგომარეობას და მის ამოცანებს. პირიქით, ლიბერალური ბურჟუაზია, ბურჟუაზიის განსაკუთრებული კლასობრივი ინტერესების შესაბამისად, ყოველთვის სულ სხვანაირად აყენებდა თავის ამოცანებს პოლიტიკური თავისუფლებისათვის ბრძოლაში. ბურჟუაზიისათვის აუცილებელია პოლიტიკური თავისუფლება, მაგრამ ხალხის სრული ძალაუფლებიანობისა მას ეშინია, რადგან განვითარებული და ბრძოლაში უკვე დარაზმული პროლეტარიატი გამოიყენებდა ხალხის ამ ძალაუფლებიანობას ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ამიტომ ბურჟუაზიას, როცა იგი პოლიტიკური თავისუფლების მოპოვებას ცდილობს, სურს ამავე დროს შეინარჩუნოს ძველი ხელისუფლების საკმაოდ ბევრი ნაშთი (მუდმივი არმია, არაარჩეული მოხელეობა და ასე შემდეგ).

პროლეტარიატის ბრძოლა პოლიტიკური თავისუფლებისათვის *რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი ა*, რადგან ეს ბრძოლა ხალხის სრული ძალაუფლებიანობისაკენ მიისწრაფის. ბურჟუაზიის ბრძოლა თავისუფლებისათვის *ო პ ო რ ტ უ ნ ი ს ტ უ ლ ი ა*, რადგან ეს ბრძოლა მიმართულია ნასუფრალისაკენ, იქითკენ, რომ ძალაუფლება განაწილდეს თვითმპყრობელობასა და შეძლებულ კლასებს შორის.

ეს ძირითადი განსხვავება პროლეტარიატის რევოლუციურ ბრძოლასა და ბურჟუაზიის ოპორტუნისტულ ბრძოლას შორის წითელ ძაფად გასდევს ჩვენი რევოლუციის მთელ ისტორიას. პროლეტარიატი იბრძვის, — ბურჟუაზია ხელისუფლებისაკენ მიიპარება. პროლეტარიატი ბრძოლით ანგრევს თვითმპყრობელობას, — ბურჟუაზია ებღაუჭება დაუძლურების

პროცესში მყოფი თვითმპყრობელობის ნასუფრალს. პროლეტარიატი მთელი ხალხის წინაშე მაღლა სწევს ბრძოლის დროშას, ბურჟუაზია — დათმობათა, გარიგებათა და ჩარჩობის დროშას.

პროლეტარიატი იყენებს ყოველგვარ ბზარს, ხელისუფლების ყოველგვარ დასუსტებას, ყოველგვარ დათმობასა და ნასუფრალს უფრო ფართო, მასობრივი, გადაძწყვეტი და მწვავე ბრძოლისათვის, ბურჟუაზია — ბრძოლის თანდათანი დაწყნარებისა, დაყუჩებისა და შესუსტებისათვის, ბრძოლის ამოცანების შეკვეცისათვის, მისი ფორმების შერბილებისათვის.

გაიხსენეთ თავისუფლებისათვის ჩვენი ბრძოლის ზოგიერთი ეტაპი. ბურჟუაზია «იბრძვის» იმისათვის, რომ ხელისუფლება ენდობოდეს ერობას («უფლებანი და ძალაუფლებიანი ერობა») და ხალხს (მიმდინარე ათეული წლის დამდეგი). პროლეტარიატი აღმართავს თვითმპყრობელობის მოსპობისათვის ბრძოლის დროშას. მთავრობა აცხადებს «ნდობის» ეპოქას (სვიატოპოლკ-მირსკი). ბურჟუაზია გართულია ბანკეტებზე სიტყვების წარმოთქმით, — პროლეტარიატს ახალ-ახალი ნგრევა შეაქვს ჩაგვრის ციხე-სიმაგრეში, ქუჩებში თავის სისხლსა ღვრის 9 იანვარს და გრანდიოზულ საგაფიცვო მოძრაობას აჩაღებს.

1905 წლის ზაფხული. ბურჟუაზია დეპუტაციას გზავნის თავისუფლებათა შესახებ. შემოდგომაზე უბოძებენ ბულიგინის სათათბიროს [7]. ბურჟუაზია გულაჩვილებულია. საყოველთაო ღაღადი: სათათბიროს მიაშურეთო. სოციალ-დემოკრატიის ოპორტუნისტები ყოყმანობენ. პროლეტარიატი განაგრძობს ბრძოლას. მსოფლიოში არნახულმა გაფიცვამ, რომელიც მთელ ჩვენს ქვეყანას მოედო, აღგავა სათათბირო. პროლეტარიატი ხელთ იგდებს თავისუფლებას და სისხლით იცავს მას რეაქციის ხელყოფისაგან.

პირველ ბრძოლაში პროლეტარიატი მარცხდება. ბურჟუაზია ლაფს ასხამს დამარცხებულთ და მონურად ეჭიდება სათათბიროს. პროლეტარიატი ძალებს იკრებს ახალი იერიში-

სათვის. მას წინანდებურად ამაყად უჭირავს ხელში ხალხის სრული ძალაუფლებიანობისათვის ბრძოლის დროშა. იერიში ვერ ხერხდება სათათბიროს მოწვევამდე. ბურჟუაზია ისევ მლიქვნელობს, უკუაგდებს დამფუძნებელი კრების ლოზუნგს, ბრაზობს «გამოსვლების» წინააღმდეგ, ქადაგებს დაზავებას, გარიგებას, უმაღლესი ხელისუფლების მიერ კადეტური სამინისტროს დანიშვნას.

პროლეტარიატი იყენებს ახალ მდგომარეობას ისევე, როგორც მან გამოიყენა 1904 წლის ნდობა და 1905 წ. 17 ოქტომბერი. მან შეასრულა თავისი რევოლუციური მოვალეობა, ყოველივე შესაძლებელი იღონა, რათა პირდაპირ აღეგავა ვიტეს სათათბირო[8] ბულიგინის სათათბიროს მსგავსად. ვერ მოხერხდა — ბურჟუაზიის ღალატის გამო, მუშათა კლასისა და გლეხობის არასაკმაო ორგანიზაციისა და მობილიზაციის გამო. პროლეტარიატი განაგრძობს ბრძოლას და ი ყ ე ნ ე ბ ს სათათბიროში და სათათბიროს გარშემო ატეხილ ყველა კონფლიქტს, რათა გახადოს ისინი კიდევ უფრო ფართო და გადამწყვეტი მასობრივი მოძრაობის ამოსავალ წერტილად.

ახალი ბრძოლა ძლიერდება. ამას არავინ უარყოფს. ფეხზე დგება წინანდელზე გაცილებით უფრო ფართო მასა პროლეტარებისა, გლეხებისა, ქალაქის ღარიბი მოსახლეობისა, ჯარისა და ა. შ. არავინ უარყოფს, რომ ეს იქნება ბრძოლა სათათბიროს გარეთ. ეს იქნება, ახლანდელი მდგომარეობის ობიექტური პირობების გამო, ბრძოლა, რომელიც უშუალოდ დაანგრევს ძველ ხელისუფლებას. რა ფარგლებში მოხდება ეს დანგრევა, ამას ვერავინ იწინასწარმეტყველებს. მაგრამ პროლეტარიატი, როგორც მოწინავე კლასი, კიდევ უფრო განუხრელად ისწრაფის ამ ბრძოლის სრული გამარჯვებისაკენ, ძველი ხელისუფლების სრული მოსპობისაკენ.

და პროლეტარიატი თანამიმდევარი რჩება, როცა უკუაგდებს ოპორტუნისტულ ლოზუნგებს ბურჟუაზიისას, რომელმაც თავგზა აუბნია სოციალ-დემოკრატების ერთ ნაწილს. ტყუილია, თითქოს კადეტური სამინისტროს დანიშვნა მოას-

წავებდეს კამარილიისაგან «ძალაუფლების ხელიდან გამოგლეჯას». ეს ბურჟუაზიული სიცრუეა. ნამდვილად კი ასეთი სამინისტროს დანიშვნა ამჟამად კამარილიის ახალი ლიბერალური საფარი იქნება. ტყუილია, თითქოს კადეტური სამინისტროს დანიშვნა იქნება მოჩვენებითი კონსტიტუციის ნამდვილ კონსტიტუციად გადაქცევა. ეს ბურჟუაზიული სიცრუეა. ნამდვილად კი ასეთი სამინისტრო მხოლოდ ის იქნება, რომ თვითმპყრობელობა ახალ ცრუკონსტიტუციურ კოსტუმში გამოეწყობა. ტყუილია, თითქოს კადეტური სამინისტროს მოთხოვნა საყოველთაო სახალხო მოთხოვნა ხდება. ეს ბურჟუაზიული სიცრუეა. ნამდვილად კი ამას მხოლოდ კადეტური სათათბირო მოითხოვს. არა-კადეტები ამ მოთხოვნას სინამდვილეში მხოლოდ გაუგებრობით იმეორებენ და ამაში გაცილებით მეტ რამეს გულისხმობენ. ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო ს ა ხ ა ლ ხ ო მოთხოვნები სინამდვილეში ბევრად სცილდება კადეტური სათათბიროს მოთხოვნებს. დასასრულ, ტყუილია ისიც, თითქოს კადეტური სამინისტროს მოთხოვნის «მხარის დაჭერა» (ან, რაც იგივეა, კადეტური სამინისტროს მხარის დაჭერა) რეზოლუციების, განაწესებისა და სხვათა საშუალებით ნამდვილი ბრძოლა იყოს ძველ ხელისუფლებასთან. ეს ბურჟუაზიული სიცრუეა. პროლეტარიატის მხრივ ასეთი «მხარის დაჭერა» არის მხოლოდ უარისთქმა ბრძოლაზე, არის მხოლოდ თავისუფლების საქმის გადაცემა მოქანავე ლიბერალების ხელში.

პროლეტარიატი იბრძვის და იბრძოლებს ძველი ხელისუფლების დანგრევისათვის. აქეთკენ წარმართავს იგი მთელ თავის მუშაობას პროპაგანდის, აგიტაციის, ორგანიზაციის, მასების მობილიზაციის დარგში. თუ სრული დანგრევა ვერ მოხერხდა — პროლეტარიატი ნაწილობრივსაც გამოიყენებს. მაგრამ პროლეტარიატი არასოდეს არ იქადაგებს ნაწილობრივ დანგრევას და არ შეალამაზებს მას, არ მოუწოდებს ხალხს — მხარი დაუჭიროს მას. ნამდვილი ბრძოლის ნამდვილ მხარის დაჭერას აღწევს ის, ვინც მეტს ესწრაფვის (და მარცხის შემთხვევაში ნაკლებს აღწევს), და არა ის, ვინც ბ რ ძ ო ლ ი ს

დაწყებამდე ოპორტუნისტულად კვეცს ბრძოლის ამოცანებს.

ვისაც ფრაზების რახარუხი არ ხიბლავს, ის ადვილად დაინახავს, რომ ხალხი ნამდვილად იბრძოლებს სრულიადაც არა კადეტური სამინისტროსათვის, არამედ ძველი ხელისუფლების მოსპობისათვის. ბიუროკრატიის ინტერესები მოითხოვენ ამ ბრძოლის ნამდვილი გაქანების შესუსტებას. პროლეტარიატის ინტერესები — მის გაფართოებასა და გამწვავებას.

«ვპერიოდ» № 17, 1906 წ. 14 ივნისი

იბეჭდება გაზეთ «ვპერიოდის» ტექსტის მიხედვით

სათათბიროს ჩვენი ფრაქციის დეკლარაციის გამო[9]

არც ერთი სოციალ-დემოკრატი არ დაეჭვდება ახლა, რომ ჩვენი პარტიის წევრთა გამოსვლას სათათბიროში შეეძლო, ახლანდელ პირობებში, საკმაო სარგებლობა მოეტანა პროლეტარიატის საქმისა და მთელი ხალხის საქმისათვის.

ჩვენ მივესალმეთ კავკასიელი ამხანაგების საარჩევნო გამარჯვებებს*. ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია აღვნიშნოთ მათი წარმატებანი სათათბიროში, გავაკრიტიკოთ — საქმიანად — მათი შეცდომები.

წარმატებად მიგვაჩნია ამხ. რამიშვილის სიტყვა სათათბიროს და მისი «მშვიდობისმოყვარეობის» «საშიშროების» შესახებ. წარმატებად — მისივე რეზოლუცია ბელოსტოკის დარბევის გამო[10]. წარმატებად — საუცხოო კრიტიკა კადეტური კანონპროექტისა კრებების შესახებ და საერთოდ კადეტური პროექტერობის საკითხის სწორად დაყენება. იმედი გვაქვს კიდევ და უფრო დაწვრილებით ვესაუბროთ მკითხველს ამ წარმატებაზე.

შეცდომად მიგვაჩნია ჩვენი ს.-დ.-ბის დუმილი სათათბიროში მაშინ, როდესაც ალადინმა «შეჭამა» სასურსათო საკითხზე რეზოლუციის დამახინჯება ნაბოკოვის მიერ[11]. ს.-დ.-ებს პროტესტი უნდა განეცხადებინათ და თავიანთი რეზოლუცია შეეტანათ. შეცდომა იყო ამხ. გომართელის სიტყვა თვალთმაქცი ფედოროვსკის პასუხად, როდესაც ს.-დ.-მა აღიარა, რომ არმიის ჩაბმა პოლიტიკაში არასასურველიაო. ეს ძალიან დიდი

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 10, გვ. 514 — 516. რ ე დ.

შეცდომაა, მაგრამ მისი გამოსწორება კიდევ შეიძლება. დასასრულ, შეცდომად მიგვაჩნია ფრაქციის მიერ მიღებული დეკლარაციის ტექსტიც. ამის გამოსწორება უკვე შეუძლებელია. შარის მოდების მიზნით კი არა — ამხანაგების საქმე სათათბიროში ძნელია, და შეცდომები დასაწყისში გარდუვალია, — არამედ მთელი პარტიისა და მთელი პროლეტარიატის პოლიტიკური აღზრდის ინტერესებისათვის ახლა უნდა შევჩერდეთ ამ შეცდომაზე.

სათათბიროს ჩვენი ს.-დ. ფრაქციის წევრებს შესთავაზეს დეკლარაციის სხვა პროექტი ყოფილი ბოლშევიკების ბანაკიდან. აი ეს პროექტი ზოგიერთი... შემოკლებით (გაზეთის სიტყვა ჩვენში ნაკლებ თავისუფალია, ვიდრე დეპუტატის სიტყვა სათათბიროში):

«ჩვენი ჯგუფის სახით ჩვენი სახელმწიფოს ყველა ერის შეგნებული პროლეტარიატის პარტია, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, გამოდის მთელი ხალხის წინაშე სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნიდან.

ჩვენი პარტია სოციალ-დემოკრატიული პროლეტარიატის საერთაშორისო არმიის ერთერთი რაზმია. მთელ მსოფლიოში საბრძოლველად აღდგა ორგანიზებული პროლეტარიატი, რომელმაც შეიგნო თავისი კლასობრივი ინტერესები. იგი იბრძვის კაპიტალის უღლის წინააღმდეგ. იგი ცდილობს მიაღწიოს ყველა მშრომელის სრულ განთავისუფლებას უუფლებობის, სიღატაკის, ჩაგვრის, უმუშევრობის უღლისაგან. იგი ისწრაფის საზოგადოების სოციალისტური მოწყობისაკენ, რომელიც სპობს ყოველგვარ დაყოფას ექსპლოატატორებად და ექსპლოატირებულებად. სოციალ-დემოკრატია თავისი რიგებისაკენ მოუწოდებს ყველა მშრომელსა და ექსპლოატირებულს, არა მარტო დაქირავებულ მუშებს, არამედ წვრილ მეპატრონეებსაც, თუ მათ შეიგნეს თავიანთი საერთო ინტერესები პროლეტარიატთან; თუ ისინი ეძებენ ხსნას არა ცალკეული წვრილი მეურნეობის განმტკიცებაში, არამედ მუშათა კლასთან ერთობლივ ბრძოლაში ბურჟუაზიის ბატონობის სრული

დამხობისათვის. და საერთაშორისო სოციალისტური პროლეტარიატი თავისი ერთსულოვანი და განუხრელი ბრძოლით მიაღწევს თავის მიზანს.

მაგრამ ჩვენში, რუსეთში, ახლა ბრძოლა წარმოებს არა სოციალიზმისათვის, არამედ პოლიტიკური თავისუფლებისათვის. რუსეთის დიდი რევოლუცია სავსებით გაჩაღებულია. თვითმპყრობელობის უღელმა შეუძლებელი გახადა ქვეყნის რაიმე განვითარება. უპასუხისმგებლო მოხელეთა თვითნებობამ, მემამულეთა მიერ გლეხთა მასის ბარბაროსულმა ექსპლოატაციამ გამოიწვიეს მთელი ხალხის აღელვება. პროლეტარიატი იბრძოდა ხალხის სათავეში. ოქტომბრის გმირული გაფიცვით მან მტერს ხელიდან გამოგლიჯა თავისუფლების აღიარება. დეკემბრის გმირული აჯანყებით მან მოსპო ყოველგვარი შესაძლებლობა, რომ გაეჭიანურებინათ სახალხო წარმომადგენლობის მოწვევა. და თუმცა თვითმპყრობელობა აყალბებდა საარჩევნო კანონს, აწამებდა, ჟლეტდა საუკეთესო მებრძოლებს თავისუფლებისათვის, სტანჯავდა მათ საპყრობილეებში, — სახელმწიფო სათათბირო მაინც აღმოჩნდა თვითმპყრობელობის მოწინააღმდეგე.

ამჟამად ხალხი ახალი დიადი ბრძოლის წინ დგას. თვითმპყრობელობა აბუჩად იგდებს სახალხო წარმომადგენლობას, დასცინის მის მოთხოვნებს. მუშათა, გლეხთა, ჯარისკაცთა აღშფოთება უფრო და უფრო იზრდება. საზოგადოების სხვადასხვა კლასის მოქმედებაზეა დამოკიდებული რუსეთის დიდი რევოლუციის ბედი.

ლიბერალური ბურჟუაზია, რომელიც სახელმწიფო სათათბიროში წარმოდგენილია კადეტების განსაკუთრებით გავლენიანი პარტიით, გარდუვალად ისწრაფის, რათა იმ დემოკრატიული გადატრიალების დროს, რასაც რუსეთი განიცდის, შეიკვეცოს, შეძლებისდაგვარად, უქონელთა, და მეტადრე პროლეტარიატის, უფლებები, და ამით შეიზღუდოს მათი ბრძოლა სრული, და არა მარტო პოლიტიკური, განთავისუფლებისათვის. ლიბერალური ბურჟუაზიის ეს მისწრაფება ასგ-

ვე გარდუვალად წარმოშობს მის არათანამიმდევრობას და გაუბედაობას თავისუფლებისათვის ბრძოლაში, მის ქანაობას ხალხზე დაყრდნობის მისწრაფებასა და ხალხის რევოლუციური თვითმოქმედების შიშს შორის. ამ ქანაობის წინააღმდეგ ჩვენ, თავისუფლების ინტერესებისათვის და სოციალიზმის ინტერესებისათვის, უაღრესად ულმობელ ბრძოლას გავაჩაღებთ. უაღრესად გადამწყვეტ წინააღმდეგობას შეხვდება ჩვენის მხრივ ცდები — ვისგანაც უნდა მომდინარეობდეს ეს, რომ მიჩქმალონ ხალხის ინტერესების შეურიგებელი მტრობა ძველი წესწყობილებისადმი და პროლეტარიატის ინტერესებისა — ბურჟუაზიის ინტერესებისადმი. და მთელ ჩვენს ძალღონეს წარვმართავთ იმ მისწრაფებათა წინააღმდეგ, რომ შეაფერხონ სახალხო მოძრაობა დათმობათა ცარიელი შეპირებით და მოტყუებით, სიცრუით, თითქოს შესაძლებელი იყოს რეაქციის მტაცებლებისა და რევოლუციური, ე. ი. ერთადერთი ჭეშმარიტი და თანამიმდევარი, დემოკრატიის შერიგება. ჩვენთვის ამ თანამიმდევრობის გამოსაცდელი იქნება მეტადრე მისწრაფება და მზადყოფნა, რომ მოვაწყოთ თავისუფალი, ნამდვილად საყოველთაო სახალხო და მასობრივი, რაიმე პოლიციური ზღუდეებით შეუბოჭავი მოძრაობა სათათბიროს გარეთ ფართო ბრძოლისათვის პოლიტიკური და ეკონომიური განთავისუფლების მისაღწევად.

პროლეტარიატის შესაძლო მოკავშირეთაგან გლეხობა ჩვენ მიგვაჩნია მთავარ მოკავშირედ თავისუფლებისათვის ბრძოლის დამთავრების საქმეში. მთელი სულითა და გულით ვუჭერთ მხარს ბოლომდე გლეხთა ბრძოლას მემამულური, ნახევრადბატონყმური მიწათმფლობელობის წინააღმდეგ და რუსეთის აზიური პოლიტიკური წყობილების წინააღმდეგ. ჩვენ არ ვიზიარებთ უტოპიებს, თითქოს კაპიტალიზმის დროს შესაძლებელი იყოს გათანაბრებული მიწათსარგებლობა, შეუწყნარებლად მიგვაჩნია პროლეტარისა და წვრილი მეპატრონის ინტერესთა განსხვავების სულ მცირედი მიჩქმალვა და მოვითხოვთ ყველა საუფლისწულო, საეკლესიო, სამონასტრო და მ თ ე-

ლ ი მ ე მ ა მ უ ლ უ რ ი მიწების კონფისკაციას. ჩვენ ვიბრძოლებთ გ ა მ ო ყ ი დ ვ ი ს — ამ მარყუჟის წინააღმდეგ, რასაც ლიბერალური ბურჟუაზია ყელზე უჭერს ღარიბ გლეხობას. ვიდრე ჯერ კიდევ არ არის მიღწეული რევოლუციის გამარჯვება, ვიდრე მთლიანად არ არის მოპოვებული ნამდვილად დემოკრატიული სახელმწიფო, ჩვენ გავაფრთხილებთ გლეხებს— არ გადაეცეს მიწა ხელისუფლების პოლიციურ-ბურჟუაზიულ ორგანოებს, სულ ერთია იქნება ეს ადგილობრივი თუ ცენტრალური ხელისუფლების ორგანოები. ჩვენ მოვითხოვთ, დემოკრატიული სახელმწიფოს სავსებით დამკვიდრების დროს, გადაეცეს ყველა მიწა თვითმმართველობის ადგილობრივ ორგანოებს. ჩვენ უაღრესად გადაჭრით გავაფრთხილებთ გლეხებს არ გადასცენ მიწის საკითხი გადასაწყვეტად არადემოკრატიულ ადგილობრივ კომიტეტებს, როგორიცაა მოხელე-მემამულეთა კომისიები, რასაც კადეტების პარტია გვთავაზობს.

რევოლუციის მთელი მსვლელობის მანძილზე ჩვენ განუხრელად დავუჭერთ მხარს მუშების ბრძოლას 8 საათის სამუშაო დღისათვის, ხელფასის გადიდებისათვის, ჯარიმების მოსპობისათვის, ერთი სიტყვით, ჩვენი პარტიული პროგრამა-მინიმუმის ყველა მოთხოვნისათვის. პროლეტარიატის კავშირში ქალაქისა და სოფლის ღარიბთა ფართო მასებთან ვხედავთ ჩვენ რევოლუციის ახალი გამარჯვების საწინდარს. სახელმწიფო სათათბირო გამოუსადეგარი დაწესებულებაა ამ გამარჯვების განსახორციელებლად და განსამტკიცებლად. მხოლოდ რევოლუციური გზით მოწვეულ საყოველთაო სახალხო დამფუძნებელ კრებას, რომელიც არჩეული იქნება სქესის, რელიგიისა და ეროვნების განურჩევლად ყველა მოქალაქის საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით და რომელიც აღჭურვილი იქნება მთელი სახელმწიფო ძალაუფლებით, — მხოლოდ მას ძალუძს გაახორციელოს სრული თავისუფლება. მხოლოდ იგი შეჰქმნის რუსეთში... შესცვლის მუდმივ არმიას ხალხის საყოველთაო შეიარაღებით, მოსპობს არაარჩევითსა და ხალხის წინაშე არაპასუხისმგებელ მოხე-

ლეობას, შემოიღებს სრულსა და განუსაზღვრელ პოლიტიკურ თავისუფლებას.

ამ მიზნისაკენ მივისწრაფით განუხრელად ამ რევოლუციაში. ამ მიზანს უნდა ემსახურებოდეს სახელმწიფო სათათბიროც. იგი უნდა დაეხმაროს ხალხს, რომ დაირაზმოს და შეიგნოს სავსებით და ბოლომდე ხელისუფლების... დამხობის აუცილებლობა. მან უნდა განუმარტოს ხალხს «სახალხო წარმომადგენლობის», როგორც ძველი თვითმპყრობელობის ახალი საფარის, მთელი უძლურება და მთელი უბადრუკი როლი. იგი გართული უნდა იყოს არა პოლიტიკური პროექტერობით, არა მკვდრადშობილი «კანონპროექტების» შედგენით, — იგი უნდა მიმართავდეს ხალხს, დაუზოგავად უმეღავნებდეს მას მთელ სიმართლეს, დაუზოგავად ამხელდეს მის წინაშე იმ ბროვის მთელ დანაშაულს... რუსეთის მთავრობის, — მოუწოდებდეს ხალხს ბრძოლისაკენ, მედგარი, მტკიცე, შეუპოვარი და შეთანხმებული ბრძოლისაკენ. და თუ სახელმწიფო სათათბირო, მთლიანად აღებული, ვერ შესძლებს ან ვერ გაბედავს ამ ამოცანის შესრულებას, — მას შევასრულებთ ჩვენ სათათბიროს ნამდვილ რევოლუციურ ჯგუფებთან თუ წევრებთან შეკავშირებით.

ხალხის გამარჯვება შორს არ არის. თავისუფლების საქმე საიმედო ხელშია. პროლეტარიატი თავის პოსტზე დგას, იკრებს ძალებს, ამაყად უკუაგდებს უბადრუკ პროვოკატორებს, რომლებიც ცდილობენ გამოიწვიონ იგი განმარტოებულად ბრძოლაში, — აერთიანებს და აჯგუფებს თავის გარშემო მილიონობითა და ათეული მილიონობით ჩაგრულსა და ექსპლოატირებულს, მ ა რ ა დ მ შ რ ო მ ე ლ ე ბ ს ა და მ ა რ ა დ გ ა ჭ ი რ ვ ე ბ უ ლ ე ბ ს.

და რაც უნდა სუსტი იყოს, რაც უნდა მცირერიცხოვანი იყოს ჩვენი ჯგუფი სახელმწიფო სათათბიროში, — ჩვენ ვიცით, რომ ამ ჯგუფს ზურგს უმაგრებს და მასთან შეკავშირებულად იბრძვის მრავალმილიონიანი პროლეტარიატი, მთელი მშრომელი და ექსპლოატირებული მასების მოწინავე რაზმი.

იგი გაიმარჯვებს თავის ბრძოლაში. იგი ქვას ქვაზე არ დასტოვებს რუსეთის მჯიჯგნავი თვითმპყრობელობის საშინელი შენობიდან».

სწორედ მოიქცნენ თუ არა ჩვენი ამხანაგი დეპუტატები სათათბიროში, რომ ეს პროექტი უარყვეს?

ფორმალური თვალსაზრისით, — სწორედ. ისინი, წესდების მიხედვით, ანგარიშს უნდა უწევდნენ ცენტრალურ კომიტეტს და არა «გარეშეებს».

ფრაქციული თვალსაზრისით, — სწორედ. სხვა პროექტი «უცხო» (ყოფილი ფრაქციების მიხედვით) ბანაკიდან მომდინარეობდა.

მაგრამ, პარტიული თვალსაზრისით? სწორი იყო თუ არა უარყოფა იმ მითითებისა, რომ სასურველია უფრო ნათლად განისაზღვროს პარტიის სოციალისტური მიზნები და მისი საერთაშორისო ხასიათი? — უარყოფა მითითებისა სათათბიროს გარეთ მოძრაობაზე? — ხალხის წინაშე სათათბიროს პარტიების ნათლად გამიჯვნის საჭიროებაზე? — პროლეტარული და წვრილბურჟუაზიული მოძღვრების ზუსტად დაყოფის აუცილებლობაზე? — მუშათა პარტიის მიერ კადეტებისაგან გლეხთა დაცვის დიდ მნიშვნელობაზე? — ჩვენი უახლოესი მოთხოვნების უფრო ნათლად და სრულად გადმოცემაზე?

სწორედ მოიქცნენ თუ არა ჩვენი ამხანაგები ან ჩვენი ცენტრალური კომიტეტი, როცა დეკლარაციაში თქვეს — «გავხადოთ სათათბირო საერთო-სახალხო მოძრაობის ორგანოდ», ნაცვლად ყრილობის მიერ დამტკიცებული ფორმულისა. გავხადოთ სათათბირო რევოლუციის იარაღად?

სწორედ მოიქცნენ თუ არა ისინი, როცა ყველა აღნიშნულ მუხლში აშკარად გადადგეს ნაბიჯი მარჯვნივ ჩვენი პარტიის გამაერთიანებელი ყრილობის რეზოლუციებიდან და გადაწყვეტილებებიდან?

დაე კარგად ჩაუფიქრდეს ამას ჩვენი პარტიის ყველა ორგანიზაცია და ყველა წევრი.

«ეხო» № 1, 1906 წ. 22 ივნისი

იბეჭდება გაზეთ «ეხოს» ტექსტის მიხედვით

«რომელი გეგულების საქმედ, ჰყავ ადრე!»

დღეს ორი გაზეთი, რომელნიც არ ეკუთვნიან უაზრო ახალ ამბებს დახარბებულ ქუჩურ პრესას, სახელდობრ: «ნაშა ჟიზნ» და «მისლ» [12], იუწყება დიდმნიშვნელოვან ამბავს, რომ, ბოლოსა და ბოლოს, გადაუწყვეტიათ გორემიკინის სამინისტროს გადაყენება. ახალი კაბინეტის შემადგენლობა დასახულია ასეთი: ერმოლოვი — პრემიერი; ურუსოვი — შინაგან საქმეთა მინისტრი; გერცენშტეინი — ფინანსთა; ტიმირიაზევი — ვაჭრობისა; სტახოვიჩი — მიწათმოქმედებისა; კუზმინ-კარავაევი — იუსტიციისა; ნაბოკოვი — საგარეო საქმეთა. ფიქრობენ, რომ სახალხო განათლებას «აიღებს» გეიდენი, ხოლო გზათა სამინისტროს — ახლანდელი მინისტრი ან ნიკოლოზის რკინიგზის უფროსი შუხტანი.

ამრიგად, გვევლინებიან ძველი ბიუროკრატები, შეკავშირებულნი ოქტიაბრისტებთან და მემარჯვენე კადეტებთან, უპირატესად მოხელეთა, ე. ი. გუშინდელ ბიუროკრატთა შემადგენლობიდან (ურუსოვი — შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილი ამხანაგი, კუზმინ-კარავაევი და ნაბოკოვი — გენერალი და კამერ-იუნკერი).

ორივე ზემოთ დასახელებული გაზეთი იუწყება აგრეთვე, რომ სახელმწიფო საბჭოს «ცენტრის პარტიასა» (ე. ი. შავრაზმელთა და უფლებრივი წესრიგის პარტიის [13] საშუალო სქესის მოხელეთა კომპანიასა) და კადეტებს შორის ამ ბოლო დროს გაცხოველებული მოლაპარაკება მიმდინარეობდა.

დავუშვათ, რომ ყოველივე ეს მართალია. ჩვენ უ ნ დ ა დავუშვათ, რომ ეს მართალია, ვიდრე ამის საწინააღმდეგო არ

არის დამტკიცებული, — რადგან ცნობების წყარო შედარებით საიმედოა, ხოლო ფაქტი გარდუვალობით გამომდინარეობს მთელი წინანდელი ამბებიდან.

მერე რა, ვის შეხედულებებს ადასტურებს სამინისტროს ასეთი შემადგენლობა ან კადეტების ასეთი მოლაპარაკება დამრბევებთან? გაიხსენეთ, თუ როგორ ედავებოდა პანინას სახლში[14] (9 მაისს) გამართულ მიტინგზე სოციალ-ნაროდნიკი ბ-ნი მიაკოტინი სოციალ-დემოკრატს, რომ დამრბევებთან გ ა რ ი გ ე ბ ა შ ი კადეტებისათვის ბრალის დადება უსამართლოაო. გაიხსენეთ, თუ როგორ გაჰყვიროდნენ მემარჯვენე ფრთის ჩვენი სოციალ-დემოკრატები, პლეხანოვის მეთაურობით, რომ უსაფუძვლო და ნაადრევია სიტყვები ღალატსა და გარიგებაზეო.

მოლაპარაკება გარიგების დასაწყისია, — უპასუხებდა მაშინ ბ-ნ მიაკოტინს სოციალ-დემოკრატი. გარიგება, — ეს დამთავრებული მოლაპარაკება არისო *. და აი ახლა მოლაპარაკების ფაქტი დადასტურებულია. გარიგება მოჭახრაკებულია.

მერე სად გაქრა სრული ამნისტია, თავისუფლებათა უზრუნველყოფა, სახელმწიფო საბჭოს მოსპობა? იყო თუ არა ა მ ა ზ ე ბაასი, როცა კადეტები მოლაპარაკებას აწარმოებდნენ დამრბევებთან? გაზეთები ამაზე სდუმან. და ჩვენ ყველამ ვიცით, რომ უ ლ ტ ი მ ა ტ უ მ უ რ ი პირობები — ჯ ე რ უზრუნველეყოთ ეს ზომები, ხოლო შემდეგ შეედგინათ კადეტური კაბინეტი — ა რ ა ს ო დ ე ს ა რ წ ა უ ყ ე ნ ე ბ ი ა თ «სახალხო თავისუფლების» რაინდებს. პირველ რიგში წამოყენებულია სწორედ ის, რაც ნაკლებ მნიშვნელოვანია, რაც ხალხის ზურგს უკან კეთდება, რაც პორტფელებსა და თბილ ადგილებს იძლევა, უკან დაწეულია სწორედ ის, რაც არსებითია ხალხისათვის. კადეტები სამინისტროში «იბრძოლებენ» ამნისტიისა და თავისუფლებისათვის — ასეთი პასუხით ჩაჩრიან ახლა პირში ბურთს გულუბრყვილო დოყლაპიებს, რომლებიც ხალხში ავრცელებდნენ «პასუხისმგებელი» სამინისტ-

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 10, გვ. 495. რ ე დ.

როსათვის მხარის დაჭერის ლოზუნგს. ეს სამინისტრო წინანდებურად პასუხისმგებელი იქნება კანონების წინაშე, ძველი კანონების, დარბევის კანონების წინაშე და აგრეთვე ამ სამინისტროს დამნიშვნელი ვარსკვლავთა პალატის ანუ კამარილიის წინაშე. ხოლო ამნისტიისა და თავისუფლებისათვის «ბრძოლად» კადეტებს გუშინაც მიაჩნდათ და ხვალაც მიიჩნევენ როდიჩევების მოლაპარაკებას ნაბოკოვებთან, ნაბოკოვებისა — ურუსოვებთან, ურუსოვებისა — გორემიკინებთან, გორემიკინებისა — ტრეპოვებთან.

მაგრამ — ზოგი ჭირი მარგებელიაო. დარბევის სამინისტრო ოქტიაბრისტ-კადეტებისა სწრაფად წასწევს საქმეს წინ, სახელდობრ: კადეტებს პოლიტიკური გაკოტრებისაკენ; ხალხს — კიდევ ერთი მავნე ილუზიისაგან თავისდაღწევისაკენ; პოლიტიკური მოვლენების მსვლელობას — რევოლუციური დაბოლოებისაკენ.

«ეხო» № 1, 1906 წ. 22 ივნისი

იბეჭდება გაზეთ «ეხოს» ტექსტის მიხედვით

სასარგებლო პოლემიკა

გორემიკინის მთავრობის ვრცელი ცნობა «გლეხობის ყოფაცხოვრების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ» მეტწილად შეიცავს პოლემიკას გლეხთა შეხედულებებთან და ხალხის ნალაპარაკევთან («ხმებთან», გორემიკინელთა ათვალწუნებული გამოთქმით). ეს პოლემიკა უაღრესად სასარგებლოა. გორემიკინის მთავრობა ედავება «რუს გლეხობას», «არასწორს» უწოდებს მის შეხედულებებს, უმტკიცებს გლეხებს, რომ მათი მოთხოვნები და გეგმები «უწინარეს ყოვლისა სასარგებლო არაა თვით გლეხობისათვის».

აი ეს საქებურია, ბატონო გორემიკინებო, რომ თქვენ ლამობთ დარწმუნების სიტყვით იმოქმედოთ! დიდი ხანია ასე სჯობდა. მართლაც, წკეპლისა და მათრახის, ტყვიისა თუ კონდახის ნაცვლად საბუთებით მიგემართათ გლეხობისათვის. მთავრობის ცნობას თითქმის ყველა გაზეთი გადაბეჭდავს, მას გლეხებს წაუკითხავენ მღვდლებიც, ერობისა და თემის მამასახლისებიც, ურიადნიკებიც. გლეხები კი ჩაუფიქრდებიან ამ ცნობას. გლეხები ჭკუას ისწავლიან მთავრობისაგან, თუ როგორ უნდა ესმოდეთ მათ თავიანთი ნამდვილი სარფა. და, როცა ჩაუფიქრდებიან და ისწავლიან მთავრობისაგან, გლეხები ხმების უმრავლესობით გადაწყვეტენ, თუ ვის მხარეზეა სიმართლე. კარგი იქნებოდა, ასე რომ ყოფილიყო. მაგრამ ძალიან ცუდია სწორედ, როცა გორემიკინები და მათი მსახურნი ერთი ხელით გლეხებს სცემენ, ასახიჩრებენ და ჰკლავენ, ხოლო მეორე ხელით ხმას აკმენდინებენ მათ «ცნობებით» გლეხთა სარფიანობის სწორად გაგების შესახებ. გლეხთა გაზე-

თებს ხურავენ, გლეხთა წარმომადგენლები და გლეხთა კავშირის [15] წევრები საპყრობილეებში სხედან ან ციმბირში არიან გადასახლებულნი, სოფლები გავსებულია ჯარებით, თითქოს მტრის ოლქები იყოს, — ხოლო გორემიკინის მთავრობა გაწკეპლილ და ნაცემ გლეხებს აჩრის ცნობას, რომ მათ წკეპლავენ და სცემენ მათივე საკუთარი სარგებლობის გულისათვის!

სასარგებლო ცნობაა! საუცხოოდ იმოქმედებს იგი გლეხებზე. სათათბიროს შრომისა თუ გლეხთა ჯგუფის სამუშაო მთავრობამ ნაწილობრივ იკისრა. ამ ჯგუფს უნდა მიემართნა ხალხ სათვის, გაეცნო სათათბიროს გლეხთა დეპუტატების მოთხოვნები გლეხთათვის მიწის გადაცემის შესახებ, გაეცნო მთავრობის პასუხი ამ მოთხოვნებზე. შრომის ჯგუფს ეს ჯერ კიდევ ვერ მოუხერხებია. მთავრობა მიეშველა მას. ჭკვიანია ჩვენი მთავრობა. მან თვითონ დაბეჭდა ცნობა მთელი ხალხისადმი და გააცნო გლეხთა მოთხოვნები.

ახლა სულ მივარდნილ სოფლებშიც, ისეთებშიც კი, სადაც არ გაუგონიათ გლეხთა კავშირისა და სათათბიროს გლეხთა დეპუტატების ამბავი (თუ არის ასეთი სოფლები, — თუმცაღა, ალბათ, არის, ჩვენი ქვეყანა ხომ ველურია), იქაც კი ხუცესი თუ მამასახლისი წაიკითხავს მთავრობის ცნობას. შეიკრიბებიან გლეხები, მოისმენენ მდუმარედ, დაიშლებიან. შემდეგ კი თავს მოიყრიან მარტონი, უუფროსებოდ. და დაიწყებენ მსჯელობას. დაიწყებენ მთავრობის იმ განცხადების განხილვას, რომ მოხელეები და მთავრობა მემამულეთა სარგებლიანობას არ იცავენო. გაიცინებენ. იტყვიან: იცის ფისუნიამ, ვისი ხორციც შეჭამაო! ილაპარაკებენ იმაზე, რომ მემამულეთა მიერ მიწის ნებაყოფლობით განსხვისება, ისიც მოხელეთა მეშვეობით, უფრო ხელსაყრელია გლეხებისათვის, ვიდრე იძულებითი განსხვისებაო (იქნებ გამოუყიდავადაცაო). გაიცინებენ. იტყვიან: როგორ მოხდა ეს, რომ ჩვენ, ბრიყვებმა, აქამდე ვერ შევამჩნიეთ, რომ ჩვენთვის უფრო ხელსაყრელია დაეუჯეროთ მემამულეებსა და მოხელეებს, ვიდრე თვითონ გადავწყვიტოთ ყველა საქმე?

ან, იქნებ, არა მარტო გაიცინებენ გლეხები? იქნებ, ჩაუფიქრდნენ კიდევ ზოგ რამეს, არა მარტო სიცილით, არამედ ბრაზითაც? იქნებ, გამოიყვანონ დასკვნა არა მარტო იმაზე, თუ სადაა სიმართლე და სად უსამართლობა, არამედ იმაზედაც, თუ როგორ მიაღწიონ სიმართლეს?..

ჭკვიანია ჩვენი მთავრობა!

თუმცაღა, სახელმწიფო სათათბიროს კადეტი თავმჯდომარე, ბ-ნი მურომცევი, ბრძანებს არ იხმარონ სიტყვა — მთავრობა. ეს, თურმე, სწორი არ არის. სათათბიროც მთავრობის ნაწილია. უნდა ითქვას: სამინისტრო. მაშინ სავსებით ისე გამოვა, «როგორც კარგი ბატონნი» ამბობენ: სათათბირო კანონმდებლობს, სამინისტრო ასრულებს; სათათბირო მთავრობის ნაწილიაო.

ძვირფასი ბ-ნი მურომცევი! ძვირფასი კადეტები! მათ ასე რიგიანად გაუზეპირებიათ სახელმწიფო სამართლის გერმანული სახელმძღვანელოები. მათ უკეთ იციან საქმე, ვიდრე გორემიკინმა, რომელიც ცნობაში ერთი სიტყვითაც კი არ იხსენიებს სათათბიროს და სულ მუდამ მთავრობაზე ლაპარაკობს. ვინ არის მართალი: გორემიკინი თუ მურომცევი? როგორ უნდა ითქვას: სამინისტრო თუ მთავრობა?

გორემიკინია მართალი. მან თავისი დამახასიათებელი თვისების გამო... ჰმ! ჰმ! თავისი დამახასიათებელი გონების სიმახვილის გამო — ...უცაბედად თქვა სიმართლე. მურომცევები თავისი დამახასიათებელი პროფესორული განსწავლულობის გამო ზრდილობიან სიცრუეს ამბობენ.

გლეხები ჭკუას ისწავლიან მურომცევისაგან კი არა, არამედ გორემიკინისაგან. ისინი მოისურვებენ ანგარიში გაუსწორონ არა სამინისტროს, არამედ მთავრობას. და მართალნიც იქნებიან.

«ეხო» № 1, 1906 წ. 22 ივნისი

იბეჭდება გაზეთ «ეხოს» ტექსტის მიხედვით

დამშეულთა დახმარება და სათათბიროს ტაქტიკა

დღევანდელი გაზეთები იუწყებიან, რომ ოთხშაბათს, 21 ივნისს, შესდგა სახელმწიფო სათათბიროს შეერთებული საბიუჯეტო და სასურსათო კომისიების სხდომა. ირჩეოდა შინაგან საქმეთა და ფინანსთა მინისტრების წინადადება დამშეულთა დასახმარებლად 50 მილიონის გადადების შესახებ. «კომისიამ დაადგინა — წინადადება მიეცეს სახელმწიფო სათათბიროს გადასდოს უახლოესი საჭიროებისათვის 15 მილიონი მან., ისესხოს ეს თანხა მიმდინარე ანგარიშებიდან და წინადადება მიეცეს სამინისტროს წარმოადგინოს თავისი მოსაზრებანი მიმდინარე ხარჯთაღრიცხვაში ხარჯების აღნიშნული თანხით შემცირების შესახებ. სამინისტროს წინადადება 50 მილიონი მანეთის შინაური სესხის შესახებ უარყოფილ იქნა» («რეჩ» [16], 22 ივნისი).

დამშეულთა დასახმარებლად ფულის გადადების საკითხს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ყოველი შეგნებული მოქალაქე შეუნელებელი ყურადღებით უნდა ადევნებდეს თვალყურს ამ საკითხის ყველა სტადიას.

მოგაგონებთ, უწინარეს ყოვლისა, რომ სახელმწიფო სათათბიროში თავდაპირველად ასეთი საკითხი წამოიჭრა: შეიძლება თუ არა მიეცეს ფული დამრბევთა მთავრობას და უნდა აიღოს თუ არა თვით სათათბირომ თავის ხელში დამშეულთა დახმარების მთელი საქმე? დეპუტატმა ალადინმა ჯერ მხარი დაუჭირა საკითხის სწორად, ე. ი. მეორენაირად გადაწყვეტას.

მან წინადადება წამოაყენა აერჩიათ სათათბიროს კომისიები, გაეგზავნათ სათათბიროს დეპუტატები ადგილებზე, მიემართნათ «თავისუფალ დაწესებულებათათვის», მათთვის გადაეცათ ფულიც და დამშეულთა დახმარების მთელი საქმეც. არც ერთი კაპიკი ბატონ გურკოებსა და დურნოვოებს! — ამბობდა ალადინი, რამაც გამოიწვია სათათბიროს მემარცხენე ფრთის ტაში და შეძახილები: სწორია. ალადინი, როგორც ცნობილია, ვერ შერჩა სწორ პოზიციას. იგი მაღლა აფრინდა, დაჯდა კი კადეტური საქათმის ქანდარაზე. ს.-დ. დეპუტატებმა შეცდომა ჩაიდინეს, რომ მქუხარე სიტყვით არ გამოვიდნენ ამ საკითხის გამო. სათათბირომ მიიღო მორიგ საქმეებზე გადასვლის კადეტური ფორმულა.

ამით კადეტურად, მემამულურად, ლიბერალურად გადაწყდა ძირითადი პრინციპული საკითხი. სათათბირომ უარი განაცხადა რევოლუციის იარაღი გამხდარიყო ამ საქმეში. სათათბიროს შეეშინდა ხალხისა, შეეშინდა ხალხისადმი მიმართვისა. სათათბირო პრინციპულად დათანხმდა დატოვოს დამშეულთა დახმარების საქმე ბატონ გურკოვსა და დამრბევ მინისტრთა ხელში. კადეტურმა სათათბირომ ამით ცხადყო, რომ მას დამრბევთა წინააღმდეგ ხალხთან ერთად ბრძოლა როდი სურს, არამედ უნდა მხოლოდ ზეგავლენა მოახდინოს დამრბევებზე ხალხის დახმარებით, მხოლოდ ცოტათი ალაგმოს დამრბევნი, მაგრამ სავსებით კი არ მოიცილოს ისინი.

დადგა საკითხის მეორე სტადია. როგორღა მოახდენენ ახლა კადეტები ზეგავლენას დამრბევებზე? დაიწყო ვაჭრობა სათათბიროს კომისიასა და მინისტრებს შორის. კომისიის 21 ივნისის სხდომაზე გამოცხადდნენ შინაგან საქმეთა და ფინანსთა მინისტრები. სათათბირომ, რომელმაც არ მოისურვა საქმე ჰქონოდა ხალხთან და «თავისუფალ დაწესებულებებთან», რომელმაც არ მოისურვა მათთან მოლაპარაკება, დაიწყო მოლაპარაკება ამ მინისტრებთან. «არც ერთი კაპიკი ბატონ მინისტრებს» — ეს ფრაზად დარჩა. ბატონ მინისტრებთან მოლაპარაკებამ საქმის ხასიათი მიიღო. მინისტრებმა ითხოვეს

სესხის ნებართვა. სათათბიროს კომისიამ უარი უთხრა. მან მოითხოვა, ფული აეღოთ მიმდინარე წლის ხარჯთაღრიცხვიდან, ე. ი. შეემცირებინათ ზოგიერთი მ ა ვ ნ ე ხარჯი და, ამრიგად, შეეგროვებინათ თანხა დამშეულთა დასახმარებლად. ამ ტაქტიკური ხერხით, ამ შემოვლითი გზით სათათბირო ხელთ იგდებს მცირეოდენ უფლებას — კონტროლი გაუწიოს სახელმწიფოს ბიუჯეტს. ბიუჯეტი დამტკიცებულია ხალხის წარმომადგენელთა დაუკითხავად, ახლა კი არაპირდაპირი გზით აღწევენ მის გადასინჯვას მავნე ხარჯების შესამცირებლად და სასარგებლო ხარჯებისათვის ფულის მისაღებად.

ასეთია საკითხის მეორე სტადია. კადეტებს, ე. ი. ლიბერალური მემამულეების, ლიბერალური ბურჟუების პარტიას, უნდათ კონტროლი გაუწიონ ძველი ხელისუფლების ორგანოებს, უნდათ დაუმორჩილონ ისინი თავის გავლენას, უნდათ დავარცხნონ ისინი, განბანონ, მორთონ, შესცვალონ სტოლიპინები ნაბოკოვებით, მაგრამ არ უნდათ შესცვალონ ძველი, პოლიციური, ბატონყმური ხელისუფლების ყ ვ ე ლ ა ეს ორგანო და დაწესებულება ხალხის თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი დ ა წ ე ს ე ბ უ ლ ე ბ ე ბ ი თ, მთელი ხალხის თავისუფლად არჩეული თანამდებობის პირებით. როგორ იშოვონ ფული დამშეულთა დასახმარებლად? ვის მიანდონ ამ მილიონების ხარჯვა? სამ მთავარ პასუხს იძლევა ამ კითხვაზე თანამედროვე ეპოქის სამი მთავარი პოლიტიკური ძალა. პოლიციელ დამრბევთა მთავრობა უპასუხებს: ფული მივიღოთ ახალი სესხით, რათა ხელი არ ვახლოთ ჩვენს პოლიციურ-დამრბევ ბიუჯეტსაო. ფული დავხარჯოთ ჩვენვე, პოლიციელებმა და დამრბევებმაო. მუშათა კლასი და მთელი შეგნებული გლეხობა უპასუხებენ: ფული შეაგროვოს თვითონ ხალხმა და მანვე დახარჯოს იგი «თავისუფალ დაწესებულებათა» მეშვეობით, რომელნიც მართლაც ყველას მიერ იქნებიან არჩეულნი, მართლაც არ იქნებიან დაკავშირებულნი ბინძურ პოლიციასთან. გამოვიყენოთ ეს თავისუფალი დაწესებულებანი ფართო, მასობრივი მოძრაობისათვის, რომელიც მიმართული იქნება იქითკენ, რომ სა-

ხელმწიფოს მთელი ძალაუფლება და მთელი «ხაზინა» ხალხის ხელში გადავიდესო. ლიბერალი მემამულეები და ლიბერალი ბურჟუები («კადეტები») უპასუხებენ: ჩვენ არ გვინდა «თავისუფალი დაწესებულებანი», ჩვენ მათი გვეშინია, ხალხი მაშინ «ერთობ» შორს წავა. სჯობია დარჩნენ ძველი დამრბევნი, ოღონდ ცოტათი გავწმინდოთ და გავფხიკოთ ისინი. ფული ავიღოთ მათივე ხარჯთაღრიცხვიდან, მავნე ხარჯების შემცირებით. მივანდოთ ამ ფულის ხარჯვა იმავე დამრბევთა მთავრობას, ოღონდ შევეცადოთ დავუმორჩილოთ იგი ჩვენი, ლიბერალი მემამულეების კონტროლსაო.

სამივე პასუხი ნათელია. მთავრობის, ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის პოზიცია ნათელია. ოღონდ ვის გაჰყვება გლეხობა?

ლიბერალური ბურჟუაზია, კადეტები, ქანაობენ მთავრობასა და ხალხს შორის. მერყევთა მდგომარეობა ორაზროვანია. ადვილად ითქმის: ფული მიმდინარე ხარჯთაღრიცხვიდან ავიღოთ და მავნე ხარჯები შევამციროთო! მაგრამ ფული საჭიროა დაუყოვნებლივ, ხოლო ასეთ ოპერაციას ესაჭიროება სახელმწიფო საბჭოს და სახელმწიფოს მეთაურის თ ა ნ ხ მ ო ბ ა. მაშასადამე, კადეტები ვარაუდობენ მიაღწიონ უმაღლესი მოხელეებისა და კამარილიის ნებაყოფლობითს თანხმობას. რას ემყარება კადეტების ვარაუდი? შ ე ს ა ძ ლ ო გ ა რ ი გ ებ ა ს მ ო მ ა ვ ა ლ ი ს ა მ ი ნ ი ს ტ რ ო ს შ ე მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი ს გ ა მ ო.

სინამდვილეს პირდაპირ უნდა გაუსწორო თვალი. თვალთმაქცობა საჭირო არ არის. კეკემალულობანას თამაში საჭირო არ არის, დამშეულთა დასახმარებლად ფულის გადადება წარმოადგენს ვაჭრობის საბაბს კადეტებსა და დამრბევთა მთავრობას შორის, კადეტებსა და კამარილიას შორის. დაგვითმეთ ჩვენ, ბატონო დამრბევნო, დანიშნეთ მურომცევი პრემიერად ერმოლოვის ნაცვლად, — ჩვენი მხრივ დაგითმობთ და მოგცემთ, იქნებ 15, ხოლო იქნებ მთელ 50 მილიონს დამშეულთა დასახმარებლად, ისე, რომ თავიდან ავიცილოთ «საშიში»

(თქვენთვისაც, დამრბევებისათვის, და ჩვენთვისაც, მემამულეებისათვის) მიმართვა ხალხის «თავისუფალი დაწესებულებებისადმიო».

სწორედ ასეთი აზრი აქვს სათათბიროს ახლანდელ ამბებს. სწორედ ასეთი აზრი აქვს ბ-ნ ეშჩინის დღევანდელ სტატიას კადეტურ «რეჩში», სტატიას, რომელსაც, მცირეოდენი შენიშვნებით, სპეციალურად იწონებს «რეჩის» მოწინავე და რომელიც ამტკიცებს, რომ სათათბირომ უნდა მისცეს ფული დამრბევთა მთავრობას, ოღონდ ეს «ასიგნობა უნდა განსაზღვროს ყველა იმ პირობით, როგორიც კი სათათბიროს შეუძლია წამოაყენოსო».

პოლიტიკური სიტუაცია ნათელია. სათათბიროში ჩვენი ს.-დ. დეპუტატების წინაშე ფრიად სერიოზული ამოცანა დგება. ჯერ ერთი, მათ გენერალური ბრძოლა უნდა გაუმართონ კადეტებს, როცა სათათბიროში განიხილავენ საბიუჯეტო და სასურსათო კომისიის მოხსენებას. მათ უნდა მოითხოვონ — მიმართონ ხალხის «თავისუფალ დაწესებულებებს», თვალი უნდა აუხილონ გლეხებს თუ, რატომ ეშინიათ კადეტებს, რომელთა შორის ასე ბევრია მემამულე, ხალხისა, რომელსაც ესაჭიროება მთელი მიწა სრულიად გამოუყიდავად და მთელი თავისუფლება. მათ უნდა მოითხოვონ, რომ კენჭი უყარონ მათ საკუთარ რეზოლუციას ამ საკითხზე, რათა განუმტკიცონ პროლეტარიატის პარტიას მთელი მშრომელი მასების თანაგრძნობა და რათა ყველას აშკარად და ნათლად დაანახვონ ლიბერალურ მემამულეთა მთელი მერყეობა და სილაჩრე.

მეორეც, როცა კადეტები ჩაშლიან თავისუფალ დაწესებულებათადმი მიმართვის წინადადებას, სოციალ-დემოკრატებმა მათ უნდა გაუმართონ მეორე ბრძოლა ჩვენი სიმაგრეების შემდგომ ხაზზე. უნდა მოითხოვონ ახსნა-განმარტება, რატომ არ გამოაქვეყნა კომისიამ (საბიუჯეტომ სასურსათოსთან ერთად) შინაგან საქმეთა და ფინანსთა ფრიად პატივცემულ ბატონ მინისტრებთან მოლაპარაკების ყველა დეტალი. სა-

ჭიროა კარგად მოემზადონ მთელი ბიუჯეტის უფრო საფუძვლიანი და უფრო გადამწყვეტი კრიტიკისათვის, ვიდრე ეს მოიმოქმედეს კადეტებმა კომისიაში. მაშინ სათათბიროს ტრიბუნიდან გაისმება ხმები, რომლებიც ულმობლად გამოააშკარავებენ კადეტების თვალთმაქცობას, ამხელენ პოლიციელ დამრბევთა რუსეთის ბიუჯეტის ყველა «საიდუმლოებას», — ბიუჯეტისა, რომლითაც ათობით და ასობით მილიონს ჰყრიან მიწათმფლობელთა და კაპიტალისტთა დახმარებისათვის, სამხედრო ავანტიურებისათვის, ჯაშუშებისა და ჟანდარმების «დახმარებისათვის», მანჯურიის ტრაგედიის ყოველგვარ დიდგვაროვან გმირთა დაჯილდოებისათვის, ხალხის მძარცველ და შემავიწროებელ უამრავ მოხელეთა შენახვისათვის. სათათბიროს ტრიბუნიდან გაისმება ხმები, რომლებიც მარტო 15 და თუნდაც 50 მილიონ მ ა ვ ნ ე ხარჯებს როდი დაითვლიან.

კადეტებს უნდათ მხოლოდ ოდნავ დატუქსონ მთავრობა. სოციალ-დემოკრატიის წინაშე პასუხს აგებენ დამრბევნიც პირველ რიგში და თვითონ ბატონი კადეტებიც მათი მისწრაფებისათვის — მიჩქმალონ კამარილიასა და ხალხს შორის არსებული უთანხმოების მთელი სიღრმე.

«ეხო» № 2, 1906 წ. 23 ივნისი

იბეჭდება გაზეთ «ეხოს» ტექსტის მიხედვით

მოლაპარაკება სამინისტროს შესახებ

გუშინ ჩვენ ვიუწყებოდით გაზეთების ცნობებს, რომ განზრახული აქვთ შეადგინონ ერმოლოვის, ურუსოვის, ნაბოკოვის, გეიდენისა და სხვათა სამინისტრო*. დღეს «რეჩი» ამ სიის შესახებ წერს: «კ.-დ. პარტიის წევრები სიის შემდგენელთა მიერ, ალბათ, მხოლოდ ვარაუდით არიან სიაში შეტანილნი; ნამდვილად კი, კ.-დ. პარტია ასეთი ხასიათის კაბინეტში მონაწილეობას არ მიიღებს».

ძალიან კარგი, ბატონო კადეტებო! მაგრამ საიდან იცის «რეჩმა», რომ კ.-დ. პარტია მონაწილეობას არ მიიღებს ასეთ კაბინეტში?

როგორ თუ «საიდან», — იკითხავს მკითხველი. «რეჩი» ხომ კადეტების მთავარი ორგანოა? მართალია. მაგრამ ჩვენ გვინდა ყურადღება მივაქციოთ სწორედ იმას, რომ ისეთ პარტიას, როგორიცაა კ.-დ. პარტია, რომელსაც აქვს ლეგალური ყრილობები, რომელიც ბატონობს სახელმწიფო სათათბიროში, მდიდარ, «განათლებულ» და ლიბერალურ პარტიას, ა რ ე კ ა დ რ ე ბ ა, სრულებით არ ეკადრება, კეკემალულობანას თამაში. განა დრო არ არის ითქვას, რომ «რეჩი» პარტიის ოფიციალური და მთავარი ორგანოა? განა დრო არ არის იბეჭდებოდეს კადეტთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის რეზოლუციები? ორში ერთი, ბატონებო: ა ნ თქვენს პარტიას ოფიციალურად არ განუხილავს საკითხი, თუ რანაირ სამინისტროში «მიიღებს იგი მონაწილეობას». მაშინ პირდაპირ ასეც უნდა ითქვას. მაშინ «რეჩმა» უნდა ილაპარაკოს არა კ.-დ.

* იხ. ეს ტომი, გვ. 30 — 32. რ ე დ.

პარტიის სახელით, არამედ თავისი სახელით, ე. ი. «ჩ ვ ე ნ დ ა რ წ მ უ ნ ე ბ უ ლ ი ვ ა რ თ, რომ კ.-დ. პარტია არ მიიღებს მონაწილეობასაო» და ა. შ.

ა ნ თქვენმა პარტიამ ოფიციალურად განიხილა ეს საკითხი. მაშინ უნდა გამოქვეყნდეს ამ განხილვის ოქმები, რადგან თქვენი დუმილი დაადასტურებს იმას, რომ თქვენ ფარულ მოლაპარაკებას აწარმოებთ ხალხის ზურგს უკან.

«დღეს ლაპარაკობენ უკვე უფრო წმინდა ტიპის სიაზე», — წერს აგრეთვე «რეჩი», და ასახელებს მხოლოდ ერმოლოვს, ტიმირიაზევს, გეიდენს, სტახოვიჩს, ე. ი. მოხელეებსა და ოქტიაბრისტებს უკადეტებოდ. მაშ ასე, მ ო ლ ა პ ა რ ა კ ე ბ ა ყ ო ფ ი ლ ა. კადეტებს შეეკითხნენ — იქნებ, სახელმწიფო საბჭოს «ცენტრის პარტიის» მეშვეობით — შეხვალთ თუ არა ასეთ სამინისტროშიო? კადეტებმა უპასუხეს: არა, ასეთში არ შევალთო.

ასეა ხომ, ბატონო კადეტებო? იყო თუ არ იყო მოლაპარაკება? ლაპარაკობდით თუ არა იმაზე, თუ როგორია თ ქ ვ ე ნ ი პირობები? შეიცავდნენ თუ არა ეს პირობები მხოლოდ და მხოლოდ იმას, რომ გარკვეული პირები დაენიშნათ მინისტრებად, თუ აგრეთვე შეიცავდნენ სრულ ამნისტიას, თავისუფლებათა გარანტიას, სახელმწიფო საბჭოს მოსპობას, საყოველთაო საარჩევნო უფლებაზე თანხმობას?

ვიდრე კ.-დ. პარტია ოფიციალურად არ მოგვცემს სრულ და სავსებით ზუსტ პასუხს ამ კითხვებზე, მანამდე ჩვენ მუდამ ვეტყვით ხალხს: მოქალაქენო, ფრთხილად იყავით! ხალხის ზურგს უკან წარმოებს «ხალხის თავისუფლების» პარტიის წევრთა «არაოფიციალური მოლაპარაკება» ხალხის თავისუფლების ხელსაყრელ ფასად გაყიდვის შესახებ.

«ეხო» № 2, 1906 წ. 23 ივნისი

იბეჭდება გაზეთ «ეხოს» ტექსტის მიხედვით

ჟურნალ-გაზეთებს შორის

ამხ. ნ. რახმეტოვი «გოლოს ტრუდაში»[17] მსჯელობს «რუსეთის სოციალ-დემოკრატიის პოლიტიკურ ამოცანებზე». ფელეტონის ოთხ სვეტს ანდომებს იმის დამტკიცებას, რომ

«პროლეტარიატისათვის, როგორც რუსეთში მოქმედი ერთერთი კლასისათვის, სრულიადაც არ არის ხელსაყრელი თავის ნებაზე მიუშვას საათბირო: ეს იქნებოდა თავისი თავის ამოშლა ცოცხალი პოლიტიკური ძალების სიიდან, ამას მოჰყვებოდა მხოლოდ და მხოლოდ ის, რომ პროლეტარიატი სულაც ვერ გამოიყენებდა რუსეთის ბურჟუაზიულ რევოლუციას მისთვის მისაწვდომი სისრულით».

«საკმარისია მხოლოდ ასე დაისვას საკითხი, — აცხადებს ნ. რახმეტოვი, — რათა დავინახოთ, რომ მასზე ორი პასუხი არ შეიძლება იყოს». სავსებით მართალია, ამხ. რახმეტოვო, მაგრამ მთელი უბედურება ის არის, რომ ეს «საკითხის დასმა» კი არ არის, არამედ პირდაპირ საერთო გაცვეთილი აზრია.

«საკითხი» ხომ ასე არასოდეს არც დასმულა. სახელდობრ როგორ ისმებოდა — და ისმება — საკითხი, ამხ. რახმეტოვმა, სხვათა შორის, ალბათ, იცის, როცა იგი ზემოთ მოყვანილი ტირადიდან სრულიად მოულოდნელად აკეთებს შემდეგ დასკვნას:

«პროლეტარიატი ვალდებულია — როგორც საკუთარი თავის წინაშე, ისე მთელი ქვეყნის წინაშე — არათუ მხარი არ დაუჭიროს პასიურ ნეიტრალიტეტს თვითმპყრობელობასთან სათათბიროს ბრძოლის საქმეში, არამედ გაბედულად და გადაჭრით დადგეს ამ ბრძოლაში სათათბიროს მხარეზე მთავრობის წინააღმდეგ».

აი აქ უკვე იწყება «საკითხი». და ამხ. რახმეტოვს თვითონაც ესმის ეს, რადგან იგი ითვალისწინებს, რომ

«გაზეთი «სვეტოჩ» *, ალბათ, დიდი სკეპტიციზმით მოეკიდება ამგვარ ტაქტიკას. ეს გაზეთი წერს: «საუცხოო დიალექტიკური სქემა — «რევოლუცია სათათბიროს მეშვეობით» სცოდავს მხოლოდ ერთი ყოველდღიური პროზაული ფაქტის დავიწყებით: იმ ფაქტისა, რომ ახლანდელი სათათბირო არის დაწესებულება, შემდგარი მეტწილად ბურჟუაზიული ელემენტებისაგან, რომლებსაც ეშინიათ რევოლუციისა და, ამის გამო, მტრულად არიან მისდამი განწყობილნი». ამგვარი მსჯელობა იმის საუკეთესო მაჩვენებლად შეიძლება გამოდგეს, თუ როგორ არ უნდა მსჯელობდეს სოციალ-დემოკრატი არასოდეს და არავითარ შემთხვევაში. სოციალ-დემოკრატი ვალდებულია იცოდეს, რომ პროლეტარიატის პოლიტიკურ ტაქტიკას გვიკარნახებს არა სხვა საზოგადოებრივი ჯგუფების გ ა ნ წ ყ ო ბ ი ლ ე ბ ა, არამედ ის ობიექტური ისტორიული პროცესი, რომელიც ა ი ძ უ ლ ე ბ ს ამ ჯგუფებს გარკვეულად ი მ ო ქ მ ე დ ო ნ. სოციალ-დემოკრატი ვალდებულია იცოდეს და გაითვალისწინოს, თუ რა უ ნ დ ა ჰქნან იმ კლასებმა, რომლებთანაც მას უხდება საქმის დაჭერა. ხოლო თუ საკითხს ამგვარად დასვამს, ის დარწმუნდება შემდეგში: როცა გამოთქვამს მზადყოფნას — რევოლუციურად დაუჭიროს მხარი სათათბიროს ცარიზმის წინააღმდეგ, პროლეტარიატი ა მ ი თ აიძულებს სათათბიროს მეტი რევოლუციური აქტიობა გამოიჩინოს. საჭიროა პოლიტიკური მოუმწიფებლობის მნიშვნელოვანი დოზა, რომ ეს უბრალო «ჭეშმარიტება» ვერ გაიგო».

უცნაური მსჯელობაა! ამხ. რახმეტოვის მიხედვით გამოდის, რომ თუ ჩვენებური ბურჟუაზია კიდევაც განწყობილია კონტრრევოლუციურად, მაინც შეგიძლია აიძულო იგი რევოლუციური გახდეს.

ამისათვის, თურმე, საჭიროა «მოიცვა სათათბირო რევოლუციური მიწოლის ცეცხლოვანი რკალით». მაშინ სათათბიროს წინაშე წამოიჭრება «საკითხი»: «ან დაიწვას ან საერთო ალს შეუერთდეს», «სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი».

ჩვენ ძალიან გვაშინებს ამხ. რახმეტოვის მდგომარეობა: ვაი თუ ამხ. პლეხანოვმა ჩაიჭიროს იგი «საკითხის» მეტაფიზიკური «დასმის» გამო, უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური საკითხის დიალექტიკურად დასმის უუნარობის გამო. ყ. მენშევიკებსა და ამხ. პლეხანოვს ხომ ესოდენ ხშირად განუცხადე-

* მოსკოვის სოციალ-დემოკრატიული ორგანო, რომელიც ახლა დახურულია მთავრობის მიერ [18].

ბიათ პროტესტი პოლიტიკურ საკითხებში ამგვარი «ან — ან»-ის წინააღმდეგ. მაშ რატომ მაინცდამაინც «ან დაიწვას ან საერთო ალს შეუერთდეს»? ნუთუ ამხ. რახმეტოვი ფიქრობს, რომ ბატონ გერცენშტეინებისა და ნაბოკოვების ფრაქციისათვის მესამე გამოსავალი არ არის! ჰოდა, რატომ არ უნდა სცადონ მათ, უფრო «რიგიან» ბიუროკრატებთან შეკავშირებით, მაგალითად, გაარღვიონ ეს «რევოლუციური მიწოლის ცეცხლოვანი რკალი»?

ჩვენ, მაგალითად, ვფიქრობთ, რომ თუ რევოლუციის ძლევამოსილად მზარდი ტალღა კიდევაც აიძულებს კადეტური პარტიის ხელმძღვანელ ელემენტებს რაიმე მოიმოქმედონ, ეს იქნება სწორედ ამ მესამე გამოსავლის გამონახვა, ე. ი. პირდაპირ გარიგება ბიუროკრატებთან.

«სახალხო თავისუფლების პარტია» მისი ახლანდელი სახით რომ შეიძლება «დაიწვას» ამ წამოწყებაში — ეს სავსებით შესაძლებელია, მაგრამ, ბოლოსა და ბოლოს, როდისღა შეიგნებენ ამხ. რახმეტოვები, რომ ხალხის თავისუფლების გარშემო ატეხილი მთელი ხმაური კადეტებისათვის იყო მხოლოდ მისადგომი გზა სამინისტრო პორტფელებთან და არა იმ «ბრძოლასთან ცარიზმის წინააღმდეგ», რომლის თავს მოხვევას კადეტებზე ესოდენ უნაყოფოდ ცდილობენ ამხ. რახმეტოვები. და საზოგადოდ: სათათბიროს ბატონ-პატრონნი — ჯერჯერობით — კადეტური ცენტრია; თქვენ გინდათ ე ს სათათბირო «მოიცვათ რევოლუციური მიწოლის ცეცხლოვანი ზოლით». ეს ძალიან კარგია, ეს უეჭველად დიდმნიშვნელოვანი და აუცილებელია. მაგრამ ხომ არ არის საჭირო ამასთან ერთად დაუღალავად გავაფრთხილოთ «მიმწოლნი», რომ ისინი თავიანთი მიწოლით გარდუვალად... გადასტყორცნიან სათათბიროს ახლანდელ მესვეურთ ბიუროკრატების ბანაკში. ხომ არ არის საჭირო, ამხ. რახმეტოვ?

«ეხო» № 2, 1906 წ. 23 ივნისი

იბეჭდება გაზეთ «ეხოს» ტექსტის მიხედვით

ვინ ემხრობა კადეტებთან კავშირს?

ზოგჯერ ხდება ხოლმე, რომ გამოცდილი და ფრთხილი პოლიტიკური მოღვაწეები, რომლებსაც კარგად ესმით სერიოზული პასუხისმგებლობა ყოველი რაოდენადმე დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური ნაბიჯისათვის, წინ გზავნიან, თითქოს დასაზვერად, ჭაბუკ და წინდაუხედავ მეომრებს. «იქ ჭკვიანი არ უნდა გაიგზავნოსო», ამბობენ ასეთი მოღვაწეები, და ახალგაზრდებს საშუალებას აძლევენ წამოაყრანტალონ ზოგი რამ ზედმეტი, რათა ამ გზით მოსინჯონ ნიადაგი.

ამხ. ნ. რახმეტოვი «გოლოს ტრუდაში» ახდენს სწორედ ასეთი ჭაბუკის შთაბეჭდილებას, რომელიც მისთვის დასახულ მისიას ასრულებს. და სწორედ ამიტომ ასეთ სრულიად არასერიოზულ სტატიას, როგორიც არის ამხ. რახმეტოვის სტატია, — ჩვენ გუშინ უკვე დავცინეთ მას *, — გარკვეული მხრივ უეჭველი პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭება. თუ მემარჯვენე ფრთის ჩვენი სოციალ-დემოკრატების ისეთ გავლენიან ორგანოში, როგორიც არის «გოლოს ტრუდა», იბეჭდება, რედაქციის ყოველგვარი შენიშვნის დაურთავად, სტატიები, რომლებიც სოციალ-დემოკრატიას მოუწოდებენ კადეტებთან კავშირისაკენ, — ცხადია, ჩვენს პარტიაში სერიოზული სენი ყოფილა. როგორც უნდა დაფარონ ფრთხილმა, გამოცდილმა, მარჯვე ადამიანებმა ამ სენის ნიშნები, სენი მაინც თავს იჩენს. მისი მიჩქმალვა უდიდესი დანაშაული იქნებოდა.

სოციალ-დემოკრატიის ოპორტუნისტების ძირითადი შეცდომა იმის შეუგნებლობა არის, თუ რას ნიშნავს ბურჟუაზიუ-

* იხ. ეს ტომი, გვ. 44 — 46. რ ე დ.

ლი რევოლუციის გადამწყვეტი გამარჯვება. ჩვენი რუსი ოპორტუნისტები, ისევე როგორც ყველა ოპორტუნისტი, ამცირებენ რევოლუციური მარქსიზმის მოძღვრებას და პროლეტარიატის, როგორც ავანგარდის, როლს და მუდამ იმ შემცდარი აზრისაკენ იხრებიან, თითქოს ბურჟუაზიული რევოლუციის გარდუვალი «ბატონ-პატრონია» ლიბერალური ბურჟუაზია. მათ სრულიად არ ესმით ისტორიული როლი თუნდაც, მაგ., კონვენტისა, როგორც პროლეტარიატისა და წვრილი ბურჟუაზიის საზოგადოებრივი ქვედაფენების დიქტატურისა, საფრანგეთის დიდ რევოლუციაში. მათ სრულიად არ ესმით იდეა პროლეტარიატის და გლეხობის დიქტატურისა, როგორც რუსეთის სავსებით ძლევამოსილი ბურჟუაზიული რევოლუციის ერთადერთი შესაძლო სოციალური დასაყრდენისა.

ოპორტუნიზმის დედაარსს შეადგენს პროლეტარიატის მკვიდრი და ხანგრძლივი ინტერესების მსხვერპლად მიტანა მისი მოჩვენებითი და წუთიერი ინტერესებისათვის. ბურჟუაზიული რევოლუციის ეპოქაში ოპორტუნისტი სოციალ-დემოკრატი ივიწყებს ბურჟუაზიული დემოკრატიის რევოლუციური ფრთის მნიშვნელობას და მონურად ქედს იხრის იმავე ბურჟუაზიული დემოკრატიის არარევოლუციური ფრთის წარმატებათა წინაშე. მის ყურადღებას ეპარება არსებითი განსხვავება ლიბერალურ-მონარქისტულ ბურჟუაზიასა (კ.-დ., დ. რ. პ.[10] და სხვა) და რევოლუციურ, განსაკუთრებით გლეხურ ბურჟუაზიულ დემოკრატიას შორის. ასჯერ, თუ ათასჯერ არა, მიგვითითებია მემარჯვენე ფრთის ჩვენი ამხანაგებისათვის ამ განსხვავებაზე. ყრილობისათვის წარსადგენ ბოლშევიკური რეზოლუციის პროექტში * მთელი სიცხადით იყო აღნიშნული, რომ ლიბერალური ბურჟუაზია შემთხვევით კი არა, არამედ თავისი ძირეული ინტერესების გამო, ისწრაფის ძველ ხელისუფლებასთან გარიგებისაკენ, ქანაობს რევოლუციასა და რეაქციას შორის, ეშინია ხალხისა, ეშინია მისი საქმიანობის თავისუფალი და ყოველმხრივი განვითარებისა. უნდა გამოვიყე-

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 10, გვ. 176 — 177. რ ე დ.

Годъ 1-й изданія. С.-ПЕТЕРБУРГЪ. Цѣна № 3 коп.

ЭХО

Редакція и Главная контора, Лиговская ул. д. 7, кв. 2.

Подписная цѣна: на годъ—8 руб. 2 мѣс.—1 руб. 1 мѣсяцъ—75 к.

Цѣна за объявленія: [illegible]

№ 3. Суббота, 24 іюня 1906 г. № 3.

ОТКРЫТА ПОДПИСКА

на еженедѣльную газету

„ЭХО".

Подписка принимается въ первыхъ числахъ каждаго мѣсяца.

[illegible]

Адресъ редакціи: С.-Петербургъ, Лиговская ул. д. 7, кв. 2.

Цѣна отдѣльнаго № 3 коп. [illegible]

Корреспонденціи просятъ [illegible]

Каждое будетъ помѣщаться въ газ. „Эхо" объявленіе всероссійскаго Книгоиздательства и всѣхъ магазиновъ за одной строкой за сходной 50%.

Кто за кого въ мастерскихъ?

[illegible]

Вопросы дня.

Политическая обстановка.

[illegible]

Среди газетъ и журналовъ.

[illegible]

Государственная Дума.

[illegible]

Объявленія.

[illegible]

პირველი გვერდი გაზ. «ეხოს» № 3, 1906 წ. 24 ივნისი,
ვ. ი. ლენინის მოწინავე სტატიით «ვინ ემხრობა კადეტებთან კავშირს?»
დაპატარავებულია

ნოთ ამ ბურჟუაზიის დემოკრატიული ფრაზები, ვამბობდით ჩვენ, გამოვიყენოთ მისი გაუბედავი ნაბიჯები და ამავე დროს ერთი წუთითაც არ დავივიწყოთ მისი «შემთანხმებლური» და გამცემლური მისწრაფებანი. პირიქით, გლეხური დემოკრატია ობიექტურ პირობათა გამო, რომლებშიც ჩაყენებულია გლეხთა მასა, იძულებულია, მის რიგებში სრული შეგნებულობის უქონლობის მიუხედავად, რევოლუციურად მოიქცეს. ამ ბურჟუაზიული დემოკრატიის ძირეული ინტერესები არ უბიძგებენ მას ამჟამად გარიგებისაკენ, არამედ აიძულებენ გადაჭრით იბრძოლოს ძველი ხელისუფლების წინააღმდეგ. ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში პროლეტარიატის ძირეული ინტერესები რომ არ დავთმოთ, მტკიცედ უნდა განვასხვაოთ ერთმანეთისაგან ლიბერალური ანუ «კადეტური» და გლეხური ანუ რევოლუციური ბურჟუაზიული დემოკრატია.

სწორედ ამის გაგება არ უნდათ სოციალ-დემოკრატიის ოპორტუნისტებს. მოვლენებმა კი ბრწყინვალედ დაადასტურეს ჩვენი დაყოფის სისწორე **და** კვლავაც ადასტურებენ მას. სათათბიროშიც გამოიყოფა გლეხური დემოკრატია, რომელიც იძულებულია დაუახლოვდეს რევოლუციას და ცდილობდეს თავი დააღწიოს კადეტების უღელს. კადეტები და ოქტიაბრისტები შრომის ჯგუფელებისა და სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ — აი დაჯგუფება, რომელიც უკვე ჩამოყალიბდა არჩევითი ადგილობრივი საადგილმამულო კომიტეტების საკითხშიც და კრებების თავისუფლების კადეტური «ალაგმვის» საკითხშიც.

ს.-დ. მემარჯვენე ფრთის ამხანაგები ყრუნი არიან ამ ფაქტებისადმი. მათ ხიბლავს ახლანდელი წუთიერი სიტუაცია და მზად არიან გააიგივეონ სწორედ სათათბიროში გაბატონებული პარტია, ე. ი. კ.-დ.-ები ბურჟუაზიულ დემოკრატიასთან საერთოდ. ნ. რახმეტოვი განსაკუთრებით გულუბრყვილოდ იმეორებს მენშევიკების ამ ძველ შეცდომას. მაგრამ იმ დროს, როდესაც «ნაცადი» ადამიანები ოსტატურად უვლიან გვერდს არასასიამოვნო დასკვნებს არასწორი წანამძღვრებიდან —

გამოუცდელი ჭაბუკები ლაქლაქებენ და წამოაყრანტალებენ ხოლმე. თუ კადეტები მართლაც წარმოადგენენ ბურჟუაზიულ დემოკრატიას საერთოდ (და არა მხოლოდ ბურჟუაზიის უცუდეს და ამასთან ვიწრო ზედაფენებს), მაშინ ბუნებრივია, რომ პროლეტარიატისათვის აუცილებელი საბრძოლო კავშირი ბურჟუაზიულ დემოკრატიასთან უნდა იყოს კადეტებთან კავშირი. პროლეტარიატს შეუძლია და კიდევაც უნდა იყოს მოწინავე მებრძოლი ბურჟუაზიული რევოლუციის გამარჯვებისათვის და ამასთანავე მან მტკიცედ უნდა დაიცვას თავისი კლასობრივი დამოუკიდებლობა. მაგრამ უ ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი ო დ მას არ შეუძლია ბოლომდე მიიყვანოს ეს რევოლუცია. ვისთანღა «ვიაროთ ცალ-ცალკე და დავარტყათ კი ერთად»? ლიბერალურ თუ გლეხურ დემოკრატიასთან?

ლიბერალებთან, კადეტებთან ერთად, ჭიკჭიკებს რახმეტოვი. რა არის აქ საფიქრებელი? კადეტები მაღლა არიან, უფრო ჩანან, ბრწყინავენ და ხმაურობენ! კადეტებთან, რა თქმა უნდა, კადეტებთან ერთად! «კადეტებისათვის ბევრად უფრო ადვილია ქანაობა და გაძრომ-გამოძრომა, — აცხადებს რახმეტოვი, — როცა მათ უსაფუძვლო მტრობით ხვდებიან, ვიდრე მაშინ, როცა მათთან პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი კ ო ა ლ ი ც ი ი ს სურვილით მიდიან... კადეტებზე საზოგადოებრივი აზრის ზედმოქმედებით (სათათბიროსათვის რეზოლუციების, განაწესების, პეტიციების, მოთხოვნების გაგზავნით, საპროტესტო კრებების მოწყობით, მ უ შ ა თ ა ჯ გ უ ფ ს ა დ ა კ ა დ ე ტ ე ბ ს შ ო რ ი ს მ ო ლ ა პ ა რ ა კ ე ბ ი ს გ ა მ ა რ თ ვ ი თ) შეიძლება გაცილებით მეტის გაკეთება, ვიდრე გაუაზრებელი და ამიტომ უმიზნო აყალმაყალით, მკაცრად რომ ვთქვათ». (ხაზგასმა ჩვენია).

აი ეს მთლიანი დასკვნაა, რომლისათვისაც რახმეტოვმა სავსებით დაიმსახურა ქების ფურცელი წარწერით: «მადლიერი ბოლშევიკებისაგან». პოლიტიკური კავშირი კადეტებთან, სოციალ-დემოკრატების მოლაპარაკება მათთან — რა ნათელი და

შკაფიო ლოზუნგია! დაგვრჩენია მხოლოდ ვიზრუნოთ იმაზე, რომ უფრო ფართოდ გავავრცელოთ მენშევიკების ეს ლოზუნგი მუშათა პარტიაში და ვკითხოთ მუშებს: ვ ი ნ ე მ ხ რ ო ბ ა კ ა დ ე ტ ე ბ თ ა ნ კ ა ვ შ ი რ ს? — ვინც ცოტათი მაინც იცნობს პროლეტარიატს, ის არ დაეჭვდება, თუ როგორი იქნება პასუხი.

«გოლოს ტრუდას» იმავე ნომერში მოთავსებულია რსდმპ ცენტრალური კომიტეტის არსებითად სწორი გაფრთხილება შრომის ჯგუფელებთან სოციალ-დემოკრატების შედუღების წინააღმდეგ. მაგრამ «გოლოს ტრუდამ» დათვური სამსახური გაუწია ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტს იმით, რომ მისი გაფრთხილება სოციალ-დემოკრატებისა და კადეტების კავშირისაკენ მიმართული ქადაგების საფარად გადააქცია! არ შეიძლებოდა სოციალ-დემოკრატიისათვის უფრო მეტად სახელის გატეხა, ვიდრე ამ საქციელით: შეახამო — ვიმეორებთ, არსებითად სამართლიანი განცხადება რევოლუციურ ბურჟუაზიასთან ს.-დ. შ ე დ უ ღ ე ბ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ და ოპორტუნისტულ ბურჟუაზიასთან ს.-დ. კ ა ვ შ ი რ ი ს ქადაგება!

და მერე რა მომენტში განუზრახავთ ამ კავშირის ქადაგება ჩვენს მენშევიკებს? ისეთ მომენტში, როცა ი შ ლ ე ბ ა რევოლუციური და ოპორტუნისტული ბურჟუაზიის კავშირი, შრომის ჯგუფელებისა და კადეტების კავშირი! მარჯვე დროს გამოვიდა სალაშქროდ, თქვენმა მზემ, ჩვენი მამაცი ნ. რახმეტოვი. სწორედ მაშინ, როცა — სოციალ-დემოკრატების დახმარებით — შრომის ჯგუფელებმა იწყეს გამოყოფა კადეტებისაგან, მათი უღლის დამხობა, მათ წინააღმდეგ ხმის მიცემა, კადეტებისა და ოქტიაბრისტების «კავშირის» წინააღმდეგ დარაზმვა. და მსგავსი რახმეტოვები კიდევ თავმომწონედ ლაპარაკობენ სათათბიროს გარევოლუციურებაზე, — მაშინ როცა ნამდვილად ამ სათათბიროს კადეტურ გათახსირებას ემსახურებიან!

დაიხსომეთ, ბატონებო: კავშირი კადეტებთან, მოლაპარაკება მათთან უცუდესი ხერხია მათზე ზედმოქმედებისა. ნამდ-

ვილად კი ეს იქნება არა სოციალ-დემოკრატების ზედმოქმედება მათზე, არამედ სოციალ-დემოკრატების დამოუკიდებელი ბრძოლის მოდუნება. სათათბიროს არევოლუციურებს და კადეტებზე «ზედმოქმედებას ახდენს» სწორედ ის, ვინც ულმობლად ამხელს თვითეულ მათს შემცდარ ნაბიჯს. ამ შემცდარი ნაბიჯებისათვის მხარის დაჭერაზე უარისთქმა გაცილებით უფრო მეტ ზედმოქმედებას ახდენს კადეტურ სათათბიროზე, ვიდრე მოლაპარაკება კადეტებთან მათთვის მხარის დასაჭერად. მუშათა ჯგუფმა უარი თქვა საპასუხო ადრესისათვის ხმის მიცემაზე: ეს ადრესი კადეტებმა შეკვეცეს. მუშათა ჯგუფმა უარი თქვა კადეტებისათვის მხარის დაჭერაზე. ამით მან დაამცირა კადეტები ხალხის თვალში და ხალხის ყურადღების ცენტრი მორალურად გადაიტანა კადეტებიდან სათათბიროს «მემარცხენე» ბირთვზე. როცა ჩვენ დაუზოგავად ვკიცხავთ კ ა დ ე ტ უ რ ი სათათბიროს ორჭოფობას, ამით ვარევოლუციურებთ სათათბიროსაც და — რაც უფრო მნიშვნელოვანია — სათათბიროს რწმენის მქონე ხალხსაც. ჩვენ ამით მოვუწოდებთ გადაიგდონ კადეტების უღელი, მოვუწოდებთ იმოქმედონ უფრო გაბედულად, უფრო გადაჭრით, უფრო თანამიმდევრად. ჩვენ ამით ვთიშავთ კადეტებსაც, რამდენადაც მათ რიგებში შეგვაქვს მერყეობა სოციალ-დემოკრატებისა და შრომის ჯგუფელების საერთო შეტევით.

ჩვენ ვეწევით პროლეტარიატის, როგორც რევოლუციის მოწინავე მებრძოლის პოლიტიკას, და არა ლიბერალური ბურჟუაზიის ყველაზე მხდალი და უბადრუკი ზედაფენების მაჩინჩალის პოლიტიკას.

«ეხო» № 3, 1906 წ. 24 ივნისი

იბეჭდება გაზეთ «ეხოს» ტექსტის მიხედვით

კადეტურმა სათათბირომ ფული მისცა დამრბევთა მთავრობას

ეს უნდა მომხდარიყო და კიდევაც მოხდა. გუშინდელი დღიდან დამრბევთა თვითმპყრობელი მთავრობის ბიუჯეტში არის ისეთი თანხა, რომელიც დაამტკიცეს «ხალხის», უკაცრავად ნუ ვიქნები, წარმომადგენლებმა. მხოლოდ პირველი ნაბიჯია ძნელიო, ამბობს ფრანგული ანდაზა. ან, როგორც რუსული ანდაზა ამბობს: პირველი ჭიქა ჩხირია, მეორე — შევარდენი, დანარჩენები კი ჩიტუნიებიო. პირველი ჭიქა კადეტებმა თვითმპყრობელობის მოტრფიალეებთან ერთად დასცალეს.

უფრო ზუსტად აღვადგინოთ ამ ისტორიული მოვლენის მთელი მსვლელობა. შინაგან საქმეთა და ფინანსთა მინისტრებმა სთხოვეს სათათბიროს გადაედო 50 მილ. მან. დამშეულთა დასახმარებლად. სათათბიროს დაუდგენლად მინისტრებს, «კანონის მიხედვით», არ შეეძლოთ ეშოვნათ ეს ფული, და თავიანთ ხელში აეღოთ სასურსათო კამპანია. თუ ვის უნდა ეწარმოებინა ეს კამპანია, მინისტრები არ შეკითხებიან სათათბიროს: «კანონის მიხედვით» ეს საქმე ისედაც დამრბევთა მთავრობის ხელშია. თუ საიდან ეშოვნათ ფული, მინისტრებს თავიანთ წინადადებაში ამაზეც არაფერი უთქვამთ: «დაევალოს ფინანსთა მინისტრს გამოძებნოს», ეს იყო და ეს. მხოლოდ კომისიაში წამოაყენეს მინისტრებმა სახელდობრ სესხი, როგორც ფულის შოვნის საშუალება. გუშინ კი სათათბიროს სხდომაზე ფინანსთა მინისტრმა პირდაპირ განაცხადა: «სახელმწიფო სათათბიროს კომპეტენცია იმაში

მდგომარეობს, რომ მოგვცეს წყაროების გამოძებნის რწმუნებულება, ხოლო გამოძებნის წესი (მოგვყავს «რეჩიდან» და თავიდან ვიხსნით პასუხისმგებლობას სტილისათვის) ეკუთვნის უმაღლეს მმართველობას». ამრიგად, მინისტრებს უნდოდათ, სწორედ რომ ვთქვათ, მიეღოთ სათათბიროსაგან ასიგნობა საერთოდ, წყაროებზე კი ისინი ნაკლებად ზრუნავდნენ.

სათათბიროში მაშინვე დაისახა საკითხის ორი ძირითადი გადაწყვეტა, რაც ჩვენ გუშინწინ აღვნიშნეთ*. კადეტებმა მხარი დაუჭირეს 15 მლნ. მან. გადადებას, ამასთან მოითხოვეს წარმოედგინათ მისი დახარჯვის ანგარიში და ეს თანხა გაეღოთ 1906 წლის ხარჯთაღრიცხვით «მოსალოდნელი დანაზოგიდან». ეს იყო და ეს. და ფინანსთა მინისტრმა სავსებით გულგრილად უპასუხა კადეტებს: «თუ სახელმწიფო სათათბირო გამოიტანს დადგენილებას, რომ გადაიდოს 15 მლნ. მან., მაშინ ფინანსთა სამინისტრო გასცემს მას, მაგრამ გასცემს ა რ ა დ ა ნ ა ზ ო გ ი დ ა ნ, არამედ სხვა უზრუნველყოფილი ხარჯებიდან». ფულის ხარჯვისას მინისტრი «მაინც მივა სახ. სათათბიროში და იტყვის: თქვენ გვაიძულეთ ხარჯი გაგვეწია, რომლისათვისაც ჩვენ ნაშთები ვერ ვიპოვნეთო».

მაშასადამე, საქმე ცხადზე უცხადესია. მინისტრმა პირდაპირ სახეზე მიაფურთხა კადეტურ სათათბიროს: 15 მლნ. მან. მიღების ნებართვით ჩვენ ვისარგებლებთ, ხოლო «დანაზოგის» შესახებ თქვენი დადგენილება ფუჭი სიტყვა არისო. მინისტრი არ ერიდება განაცხადოს, რომ დანაზოგი არ იქნება. მინისტრი არ ერიდება განაცხადოს, რომ იგი თანახმაა მიიღოს ფული სათათბიროს ასიგნობით, ხოლო სათათბიროს რჩევას «დანაზოგის» შესახებ ის აფურთხებს.

რა როლი შეასრულა ფ ა ქ ტ ი უ რ ა დ კადეტურმა სათათბირომ? როლი მ ო წ მ ე ე ბ ი ს ა, რომლებიც პოლიციის მიერ დაბარებულნი არიან — მოიწონონ მისი მოქმედება ხალხისაგან ნაძარცვი ფულის ხარჯვის საქმეში. «კანონის მიხედვით» საჭიროა მოწმეთა ხელმოწერა ფულის ასიგნობაზე.

* იხ. ეს ტომი, გვ. 35—40. რ ე დ.

პოლიციამ მოითხოვა. კადეტურმა სათათბირომ ხელი მოაწერა. პოლიციას მხოლოდ ეს ესაჭიროებოდა. ხოლო მოწმეებმა რომ ბუზღუნი დაიწყეს, — ამას მნიშვნელობა არა აქვს.

პოლიციის მოწმეთა როლი შეასრულა სწორედ კ ა დ ე ტ უ რ მ ა სათათბირომ. ს.-დ. დეპუტატებმა სრულიად სხვანაირი, სწორი პოზიცია დაიკავეს. მათი გამოსვლა სწორედ იმგვარი იყო, როგორიც ჩვენ გუშინწინ დავსახეთ. «მე ვამბობ, ბატონებო, — ჩინებულად თქვა ამხ. რამიშვილმა, — რომ თუ ჩვენ თუნდაც ერთ კაპიკს მივცემთ მთავრობას, — ეს კაპიკი ხალხამდე ვერასოდეს ვერ მიაღწევს». და თავის რეზოლუციაში, რომელიც გუშინ დავბეჭდეთ, სოციალ-დემოკრატებმა სავსებით სწორად განაცხადეს, რომ შეუწყნარებელია მიეცეს ფული თვითმპყრობელ მთავრობას, რომ სახელმწიფო სათათბირომ უნდა შექმნას თ ა ვ ი ს ი სასურსათო კომიტეტი, გაგზავნოს ადგილებზე თავისი წევრები, მიიზიდოს «თავისუფალი საზოგადოებრივი ორგანიზაციები». სოციალ-დემოკრატებმა თავისი რეზოლუცია გადააქციეს ხალხისადმი რევოლუციურ მიმართვად, რომელიც ამათრახებს მთავრობას, როგორც «შიმშილობის ნამდვილ დამნაშავეს», რომელიც იტაცებს ხალხის ფულს და ხალხთან ომისათვის იყენებს მას. სოციალ-დემოკრატებმა მოითხოვეს მ ო ი ს პ ო ს ჟანდარმერიისათვის, პოლიტიკური პოლიციისათვის, ჩაფრებისა და სხვათათვის განკუთვნილი ხარჯები, მოითხოვეს წარჩინებულ მუქთახორათა ჯამაგირისა და პენსიის შ ე მ ც ი რ ე ბ ა, და ხაზინის ნაღდი ფულისა და ანგარიშების შ ე მ ო წ მ ე ბ ა. მათ სავსებით სწორად მოითხოვეს აგრეთვე, რომ დამშეულთა დასახმარებლად გამოყენებულ იქნას საკაბინეტო, საუფლისწულო, საეკლესიო და სამონასტრო მამულების შემოსავალი. სოციალ-დემოკრატები გამოვიდნენ პირდაპირი ბრალდებით საერთოდ მთელი ძველი ხელისუფლებისა და მისი ყველა ორგანოს წინააღმდეგ, აგრეთვე მთელი ბიუჯეტის კრიტიკით.

როგორი იყო კენჭისყრა? კადეტებმა, რა თქმა უნდა, გაიმარჯვეს. სოციალ-დემოკრატებს, მთელი რიგი გაზეთების ერთ-

სულოვანი ჩვენებით, ხმა მისცეს შრომის ჯგუფელებმა (სახელობითი ხმისმიცემა, ს ა მ წ უ ხ ა რ ო დ, არ ყოფილა). პოლიტიკური დაჯგუფება ერთხელ კიდევ ნათლად ირკვევა. ოქტიაბრისტები და კადეტები ძველ ხელისუფლებასთან გარიგების მომხრენი არიან. სოციალ-დემოკრატები და შრომის ჯგუფელები გადაჭრით წინააღმდეგნი არიან. სოციალ-დემოკრატებმა ერთსულოვანი გამოსვლით არათუ გაიყოლიეს გლეხები, არამედ ერთგვარი განხეთქილებაც კი შეიტანეს კადეტების წრეში: პოლიციის მოწმის როლისა შერცხვა არა მარტო მემარცხენე გალეკცის, არამედ მემარჯვენე კუზმინ-კარავაევსაც. კადეტებმა და მხოლოდ კადეტებმა გაატარეს «ხალხის წარმომადგენელთა» სამარცხვინო ხელმოწერა იმაზე, რომ ფული დამრბევთა ხელში გადასულიყო.

კადეტური სათათბიროს ამ ხელმოწერის პრინციპული მნიშვნელობა უდიდესია. გულუბრყვილო ადამიანები და ბეცი პოლიტიკოსები ხშირად ამბობენ: კადეტებისათვის ბრალის დადება ღალატში და ბიუროკრატიასთან გარიგებაში უსაფუძვლოა, ნაადრევიაო. მაგრამ დამრბევთა მთავრობის ხელში ფულის ასიგნობა არის სწორედ ასეთი — და უკვე არა პირველი, ნამდვილად რომ ითქვას, — გარიგება. დახეთ, რა უბადრუკი ფანდებით იმართლებენ თავს კადეტები. ეს კომპრომისიაო, გაიძახის «ნაშა ჟიზნი», მაგრამ იგი დროებითი გარემოებით მართლდებაო. — რა თქმა უნდა, ბატონებო, ბურჟუაზიის ყველა კომპრომისს პოლიციურ თვითმპყრობელობასთან ყოველთვის ხსნიდნენ დროებითი გარემოებით.

მაგრამ გლეხებს დაუყოვნებლივ უნდა დავეხმაროთ! — ხომ არ უღალატეს გლეხებს გლეხთა დეპუტატებმა, ბატონო კადეტებო! გლეხთა დეპუტატებმა ხომ წინააღმდეგ მისცეს ხმა, რადგან უკეთ იცოდნენ, თუ სად მიდის პოლიციელთა ხელში გავლილი ფული. და რატომ არ შეიძლებოდა თვითონ სახელმწიფო სათათბიროს მოეკიდა ხელი საქმისათვის?

ეს უტოპიურია, ეს განუხორციელებელია, ანგარიში უნდა გაეწიოს არსებულ ორგანიზაციას, ვიდრე იგი კანონით არ

შეცვლილაო, — ერთხმად ღაღადებენ გეიდენები, კოკოვცევები, მილიუკოვები და «ნაშა ჟიზნის» ბერნშტეინელებიც კი. დიახ, ბატონებო, ბურჟუაზიას ყოველთვის უტოპიად მიაჩნია ძველი ხელისუფლების ყველა ორგანოს თავიდან მოცილება, რადგან ბურჟუაზიას ეს ორგანოები ესაჭიროება პროლეტარიატის წინააღმდეგ და რევოლუციური გლეხობის წინააღმდეგ. პოლიციურ-კლასობრივ სახელმწიფოში ყოველთვის იქნება უამრავი «გადაუდებელი» ხარჯები: ხომ უნდა კვებონ ერთხელ დაქირავებული მოხელენი, ხომ უნდა იხადონ მიცემულ დაკვეთებში და სხვ., და ა. შ. ყოველთვის იქნება «არსებული ორგანიზაციაც» (სახელდობრ: პოლიციურ-მოხელური), რომელიც «არ შეიძლება» ერთბაშად შეიცვალოს, თუ სახელმწიფო საბჭო თანახმა არ არის, დ ა ს ხ ვ ა დ ა ა ს ე შ ე მ დ ე გ.

ასეთი მომიზეზება ყოველთვის იქნება. ასეთი მომიზეზებით ქვეყნიერებაზე ყველგან კვებავენ გულმინდობილ ხალხს ლიბერალური ბურჟუები. ასეთი მომიზეზება წარმოადგენს ხალხის თავისუფლების საქმისადმი ბურჟუაზიული ღალატის ბუნებრივ საფარს.

მთელი ამ თვალთმაქცური თამაშის წინააღმდეგ ყოველთვის გამოვა პროლეტარიატი. იგი მოუხმობს ხალხს საბრძოლველად ძველი ძალაუფლების ყველა ორგანოს და დაწესებულების წინააღმდეგ, საბრძოლველად მუშათა კლასისა და რევოლუციური გლეხობის თავისუფალი ორგანიზაციების საშუალებით.

«ეხო» № 4, 1906 წ. 25 ივნისი.

იბეჭდება გაზეთ «ეხოს» ტექსტის მიხედვით

კადეტების ამყოლ-დამყოლნი

გუშინ ჩვენ დავბეჭდეთ პოლონეთის სოციალ-დემოკრატიის მეხუთე ყრილობის[20] მთავარი რეზოლუციები. ახლა ჩვენს პარტიაში შემოსულმა პოლონელმა ამხანაგებმა, პარტიის 25 ათასიდან 30 ათასამდე წევრმა, გადაჭრით გაილაშქრეს სახელმწიფო სათათბიროს შესახებ ცენტრალური კომიტეტის ტაქტიკის წინააღმდეგ. მათ დაგმეს ეს ტაქტიკა საერთოდ და საჭიროდაც კი არ მიიჩნიეს შეჩერებულიყვნენ არასწორი ტაქტიკიდან გამომდინარე ცალკეულ შეცდომებზე, როგორიცაა ყბადაღებული მხარის დაჭერა კადეტური სამინისტროსათვის. მაგრამ თავისთავად იგულისხმება, — და იმათ, ვინც პოლონელთა ყრილობაზე იყო, კარგად იციან ეს, — რომ ამ «მხარის დაჭერას» პოლონელი სოციალ-დემოკრატები უსათუოდ უარყოფით ეკიდებიან. ყველა პეტერბურგელი სოციალ-დემოკრატის კონფერენციამაც გადაჭრით უარყო კადეტური სამინისტროსათვის მხარის დაჭერა [21]. მოსკოვის ცენტრალური რაიონის სოციალ-დემოკრატების საოლქო კონფერენციამაც აგრეთვე გაილაშქრა მის წინააღმდეგ[22].

პეტერბურგის კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო პარტიის 4 ათასამდე წევრი, მოსკოვის საოლქო კონფერენციაზე — 14 ათასამდე წევრი. ამრიგად, პარტიის 20 ათასამდე წევრმა, ე. ი. მისი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა (უკანასკნელ ყრილობაზე წარმოდგენილი იყო 31—33 ათასი წევრი) დ ა გ მ ო ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი კ ო მ ი ტ ე ტ ი ს ტ ა ქ ტ ი კ ა ს ა თ ა თ ბ ი რ ო ს ს ა მ ი ნ ი ს ტ რ ო ს ა თ ვ ი ს

მ ხ ა რ ი ს დ ა ჭ ე რ ი ს ს ა კ ი თ ხ შ ი. პარტიის უმრავლესობა მხარის დაჭერის წინააღმდეგია. ჩვენი შინაპარტიული სამინისტრო, ე. ი. ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი, უკვე ვეღარ გამოხატავს პარტიის ნებას: ცენტრალური კომიტეტის ელემენტარული პოლიტიკური მოვალეობაა დააჩქაროს დაუყოვნებლივი საგანგებო ყრილობის მოწვევა. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ჩავარდება ერთი მუჭა ადამიანთა მდგომარეობაში, რომელნიც ებღაუჭებიან პარტიულ ძალაუფლებას ფ ო რ მ ა ლ უ რ ი მიზეზებისა და დაყოვნების საშუალებით, პარტიის უკვე ა რ ს ე ბ ი თ ა დ გამოხატული ნების წინააღმდეგ. ყოველ შემთხვევაში, პარტია ახლა შესძლებს ყრილობის მოწვევას.

სათათბიროს, ე. ი. კ ა დ ე ტ უ რ ი სამინისტროს მხარის დაჭერის ტაქტიკას, პარტიის უმრავლესობის მიერ დაგმობილს, კვლავ იცავენ მენშევიკები (თუმცა ნაწილმა, როგორც ცხადყო პიტერში გამართულმა დისკუსიამ, შესძლო ამ საკითხში დამოუკიდებელი პოზიცია დაეკავებინა და ოპორტუნიზმისათვის ზურგი შეექცია). ერთხელ კიდევ შევჩერდეთ მემარჯვენე ფრთის სოციალ-დემოკრატების გაცვეთილ მოსაზრებათა გარჩევაზე.

სათათბიროს სამინისტროს შექმნა, გვეუბნებიან ისინი, ნიშნავს «ხელიდან გამოგლიჯო ძალაუფლება კამარილიას», «პასუხისმგებელი გახადო აღმასრულებელი ხელისუფლება ხალხის წარმომადგენლობის წინაშე»; ეს არის «გადასვლა ვითომდა-კონსტიტუციური წყობილებიდან ნამდვილ კონსტიტუციაზე» («გოლოს ტრუდა», № 5).

ეს უ დ ი დ ე ს ი ს ი ც რ უ ე ა. სათათბიროს, ე. ი. კადეტური, სამინისტრო დანიშნული იქნება (თუ კადეტების მოთხოვნებს დააკმაყოფილებენ) სწორედ კ ა მ ა რ ი ლ ი ი ს მიერ. მაგრამ შეიძლება თუ არა ძალაუფლების ხელიდან გამოგლეჯა ეწოდოს კამარილიის მიერ ლიბერალური მინისტრების დანიშვნას? კამარილიას, როცა იგი მინისტრებს თავისი ნებით ნიშნავს, ყოველთვის შეუძლია გადააყენოს ისინი;

კამარილია ძალაუფლებას კი არა სთმობს, არამედ ძ ა ლ ა უ ფ-ლ ე ბ ი ს გ ა ყ ო ფ ა ს თ ა მ ა შ ო ბ ს, კამარილია ს ი ნ-ჯ ა ვ ს, გამოადგებიან თუ არა მას ლიბერალური ლაქიები. კამარილიის ჭკვიანი წევრები, როგორც, მაგ., პობედონოსცევი და ტრეპოვი (ზოგიერთი გაზეთის ცნობით), პირდაპირ ასეც ვარაუდობენ: ლიბერალური მინისტრების დანიშვნა ჩვენთვის ყველაზე უფრო ხელსაყრელია. ამით დავამშვიდებთ არა მარტო კადეტებს (ე. ი. სათათბიროს უმრავლესობას), არამედ მოკადეტო სოციალ-დემოკრატებსაც. არასასიამოვნო მინისტრების თავიდან მოშორება კი გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე თუნდაც სათათბიროსი. ჩვენ დროს მოვიგებთ, ანგარიშს ავრევთ, გამოვიწვევთ უდიდეს ქაოსს, ურთიერთუნდობლობას, კინკლაობას სამინისტრო პორტფელებისათვის სათათბიროს მემარჯვენე, ე. ი. დიდ ნახევარში, წყალს ავამღვრევთ, გავაცურებთ კადეტებს ისევე, როგორც გავაცურეთ ისინი დამშეულთა დახმარების საკითხში. ჩვენ ისინი ვაიძულეთ «ნებაყოფლობით» შეესრულებინათ იქ პოლიციის მოწმეთა როლი — სწორედ ასევე ვაიძულებთ მათ მინისტრის პოსტზეც შეასრულონ პოლიციის ლაქიების როლი.

ვინც ცოტათი მაინც იცნობს რუსი კადეტების ისტორიას, აგრეთვე სხვა ქვეყნების «კადეტებისას», იმან იცის, რომ კამარილია ყოველთვის ახერხებდა ლიბერალ-მონარქისტი ბურჟუების გაცურებას. ეს რომ არ იქნას დაშვებული, არის მხოლოდ ერთი საშუალება: პროლეტარებისა და რევოლუციური გლეხების დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ე ლ ი პოლიტიკური შეგნების განვითარება. და სწორედ ამ შეგნებას აბნელებენ და ანაგვიანებენ მემარჯვენე სოციალ-დემოკრატები. სწორედ იმისათვის, რომ შევინარჩუნოთ რევოლუციურ კლასებში პოლიტიკური შეგნების სრული სიცხადე და სრული საბრძოლო დამოუკიდებლობა, ჩვენთვის, სოციალ-დემოკრატებისათვის, აუცილებელია მარტო დავტოვოთ კადეტები იმისათვის, რომ ფეხებთან ებლანდებოდნენ კამარილიას მინისტრების ადგილების გამო. ამ საქმეში პროლეტარიატის ჩარევა პროლეტარია-

ტის ინტერესებისა და რევოლუციის ინტერესების გამცემლობა იქნებოდა.

კამარილიამ რომ კადეტები მინისტრებად დანიშნოს, იგი «აღმასრულებელ ხელისუფლებას ხალხის წარმომადგენლობის წინაშე პასუხისმგებელს» გახდიდაო («გოლოს ტრუდა»).

ეს უდიდესი სიცრუეა. როცა ამას კადეტი პროფესორები ამბობენ — მათ ღმერთი აპატიებს. როცა ამას სოციალ-დემოკრატები იმეორებენ, ეს შეუწყნარებელია. აღმასრულებელი ხელისუფლება პასუხისმგებელია, პატივცემულო ამყოლ-დამყოლნო, არა «ხალხის წარმომადგენლობის» წინაშე, არამედ საკანონმდებლო ხელისუფლების წინაშე. დაიხსომეთ ეს. ახლა უფრო ვრცლად გაგიმარტავთ. ვის ეკუთვნის ახლა რუსეთში საკანონმდებლო ხელისუფლება? 1) უმაღლეს ხელისუფლებას; 2) სახელმწიფო საბჭოს; 3) სახელმწიფო სათათბიროს.

მიხვდით თუ არა ახლა თქვენს შეცდომას? კადეტი მინისტრები პასუხისმგებელნი იქნებიან სათათბიროს წინაშეც, სახელმწიფო საბჭოს წინაშეც და კამარილიის წინაშეც. საქმის ისე დახატვა, თითქოს ისინი მხოლოდ სათათბიროს წინაშე იყვნენ პასუხისმგებელნი, ნიშნავს იმას, რომ სიცრუე უთხრა ხალხს.

გავყვეთ ქვემოთ. როგორი იქნება სულ სხვადასხვა დაწესებულების წინაშე პასუხისმგებელი მინისტრების მდგომარეობა? ყალბი მდგომარეობა იქნება. მინისტრებმა უნდა დაიცვან და შეასრულონ ყველა არსებული კანონი, ვიდრე ისინი არ შეუცვლია სამივე ზემოჩამოთვლილ საკანონმდებლო ინსტანციას. ამიტომ ტყუილად კი არ არის, რომ კადეტი მოქალაქენი, მსგავსად როდიჩევისა, ახლა უკვე თავგამოდებით გამოდიან სათათბიროში და გაიძახიან — ჩვენ დინასტიის ფარს წარმოვადგენთო. კადეტები ეშმაკნი არიან. ხოლო მემარჯვენე სოციალ-დემოკრატები სხვის ხმას აჰყოლიან, საქმეში კი ვერ ერკვევიან.

რატომ არის, რომ კადეტებისათვის ახლა აგიტაციის ცენტრად სამინისტრო იქცა? რატომ ასევე გულმოდგინედ, ხშირად და ხმამაღლა არ გაიძახიან ისინი: ძირს სახელმწიფო საბჭო? ძირს ესა და ეს კანონები, რომლებიც ხელს უშლიან ხალხის წარმომადგენლობას საკანონმდებლო ხელისუფლება გახდესო? რატომ ეწევიან ისინი ათასჯერ უფრო სუსტად აგიტაციას სრული ამნისტიისათვის, სრული თავისუფლებისათვის, საყოველთაო საარჩევნო უფლებისათვის, ვიდრე მინისტრების ადგილებისათვის? გიფიქრიათ თუ არა ამაზე? არა, თქვენ ამაზე არ გიფიქრიათ? კადეტები უწინარეს ყოვლისა უკანა კარს აკაკუნებენ, იმიტომ რომ მათ არა სურთ სრული თავისუფლება (გაიხსენეთ მათი კანონპროექტები კრებების შესახებ), არა სურთ სრული მოსპობა სახელმწიფო საბჭოსი (გაიხსენეთ ზედა პალატა მათს პროგრამაში), რომლის წინაშეც ისინი აგრეთვე პასუხისმგებელნი იქნებიან ისევე, როგორც სათათბიროს წინაშე, და ასე შემდეგ. კადეტებს არა სურთ წამოაყენონ მოთხოვნა — ჯერ განხორციელდეს სრული ამნისტია, ჯერ მოისპოს სახელმწიფო საბჭო, ჯერ გატარდეს სრული თავისუფლება, ჯერ ბოძებულ იქნას საყოველთაო და ა. შ. საარჩევნო უფლება, ხოლო შემდეგ დანიშნონ ისინი მინისტრებად. რატომ არ სურთ ეს კადეტებს? იმიტომ, რომ მათ იციან, რასაც აკეთებენ, ხოლო კადეტთა ამყოლ-დამყოლებმა ეს არ იციან.

კადეტები ამბობენ: აი, როცა მინისტრები გავხდებით, სწორედ მაშინ ვიბრძოლებთ ჩვენ ყველა ამ თავისუფლებისათვის! ერთბაშად ხომ არ შეიძლებაო. ხოლო ამყოლ-დამყოლს ეს სჯერა და გულმოდგინეობს...

კადეტს ესმის, რომ მინისტრი პასუხისმგებელია იმავე ძველი, პოლიციური, რუსული კანონის წინაშე, პასუხისმგებელია სათათბიროს წინაშეც, კამარილიის წინაშეც და სახელმწიფო საბჭოს წინაშეც. ამიტომ მინისტრისაგან ხეირს ვერ ნახავ: სიამოვნებით გავაკეთებდი, მთელი სულითა და გულით, მაგ-

რამ აი «იქ» თანახმანი არ არიან, აი, სახელმწიფო საბჭოც ცოტათი ჯერ კიდევ ჯიუტობს. მოითმინეთ, ბატონებო: ჩემზე, კადეტზე, უკეთ ვერც კამარილიას, ვერც სახელმწიფო საბჭოს ვერავინ ჩააგდებს სინდისშიო.

დაიხსომეთ, ამყოლ-დამყოლო: კადეტების ამ გამცემლურ ტაქტიკას რომ ებრძოლო, ბანი კი არ უნდა მისცე მათ, არამედ შეინარჩუნო სრული დამოუკიდებლობა, ე. ი. გ ა ა ფ რ თ ხ ი ლ ო პროლეტარიატი და გლეხობა, რომ არ ენდონ კადეტებს, არ გაიმეორონ კადეტური ლოზუნგები. თქვენი ტაქტიკით კი თქვენ ა ძ ნ ე ლ ე ბ თ მუშათა კლასისა და რევოლუციური გლეხობის დამოუკიდებელ ბრძოლას. თქვენ ყიდით რევოლუციურ სიწმინდეს კადეტური რეფორმიზმის ოსპის შეჭამადზე.

საჭირო არ არის ასევე დაწვრილებით განვმარტოთ მ ე ს ა მ ე ს ი ც რ უ ე, თითქოს კამარილიის მიერ კადეტი მინისტრების დანიშვნა იყოს «გადამწყვეტი გარდატეხა», იყოს «ნამდვილ კონსტიტუციაზე» გადასვლა. მკითხველი ახლა თვითონვე ხედავს, რომ ტრეპოვის მიერ როდიჩევის მინისტრად დანიშვნით დ ა წ ე რ ი ლ ი კონსტიტუციაც კი არ იცვლება. ასეთი დანიშვნის გამო ნ ა მ დ ვ ი ლ ი კონსტიტუციის შეცვლაზე ლაპარაკი კი უკვე, როგორც იტყვიან, სრულ ბოდვას ნიშნავს.

შემდეგში ჩვენ გავარჩევთ მეორე გაცვეთილ მოსაზრებას: «მაინც კადეტური სამინისტრო უკეთესი იქნება. ასარჩევი არაფერი გვაქვს: მხარი უნდა დავუჭიროთ იმას, რაც უკეთესიაო». ჩვენ დავინახავთ, სოციალ-დემოკრატიულია თუ არა ეს მოსაზრება და რა ფასი აქვს მას.

«ეხო» № 5, 1906 წ. 27 ივნისი

იბეჭდება გაზეთ «ეხოს» ტექსტის მიხედვით

ისევ სათათბიროს სამინისტროს შესახებ

«იძულებულნი ვართ არჩევანი მოვახდინოთ» — ასეთი მსჯელობით ყოველთვის იმართლებდნენ და იმართლებენ თავს ოპორტუნისტები. არ შეიძლება ერთბაშად დიდ რასმე მივაღწიოთ. უნდა ვიბრძოლოთ მცირესათვის, მაგრამ ისეთი რამისათვის, რის მიღწევაც შეიძლებაო. რითი განვსაზღვროთ, თუ რის მიღწევა შეიძლება? პოლიტიკურ პარტიათა ან ყველაზე «გავლენიან» პოლიტიკოსთა რაც შეიძლება მეტი რიცხვის თანხმობით. პოლიტიკურ მოღვაწეთა რაც უფრო მეტი ნაწილი ეთანხმება ამა და ამ მცირე გაუმჯობესებას, მით უფრო ადვილია მისი მიღწევა, მით უფრო შეიძლება მისი მიღწევა. არ უნდა იყო უტოპისტი და არ უნდა გამოეკიდო დიდ რამეს. უნდა იყო საქმიანი პოლიტიკოსი და შეგეძლოს შეუერთდე მცირეოდენის მოთხოვნას, და ეს მცირეოდენი გ ა ა ა დ ვ ი ლ ე ბ ს დიდისათვის ბ რ ძ ო ლ ა ს. ჩვენ მცირეოდენი მიგვაჩნია დიდისათვის ბრძოლის მ ე ტ ა დ ს ა ი მ ე დ ო ე ტ ა პ ა დ ა ო.

ასე მსჯელობს ყველა ოპორტუნისტი, ყველა რეფორმისტი რევოლუციონერებისაგან განსხვავებით. სწორედ ასე მსჯელობენ მემარჯვენე ფრთის სოციალ-დემოკრატები სათათბიროს სამინისტროს შესახებ. დამფუძნებელი კრება დიდი მოთხოვნაა. ამის მიღწევა ახლა არ შეიძლება. ამ მოთხოვნას ყველა როდი უჭერს მხარს შეგნებულად *. ხოლო სათათბიროს სამინისტროს მოთხოვნას მხარს უჭერს მ თ ე ლ ი სახელმწიფო სათათბირო, მაშასადამე, პოლიტიკურ მოღვაწეთა უდიდესი უმრავლესობა, — მ ა შ ა ს ა დ ა მ ე, «მთელი ხალ-

* ამ მოთხოვნას მხარს უჭერს სათათბიროს უმცირესობა.

ხი». ი ძ უ ლ ე ბ უ ლ ნ ი ვ ა რ თ ა რ ჩ ე ვ ა ნ ი მ ო ვ ა ხ-
დ ი ნ ო თ — ახლანდელ ბოროტებასა და მის ს უ ლ მ ც ი-
რ ე დ გამოსწორებას შორის, რადგან «სულ მცირედის» გა-
მოსწორებას მხარს უჭერს ყველაზე მეტი რიცხვი იმათგან,
ვინც საზოგადოდ უკმაყოფილოა არსებული ბოროტებისა.
ხოლო ამ მცირედს რომ მივაღწევთ, ჩვენ გავიადვილებთ დი-
დისათვის ბრძოლასაო.

ვიმეორებთ: ეს ძირითადი, ტიპიური მსჯელობაა ყველა
ოპორტუნისტისა მთელ ქვეყნიერებაზე. რა დასკვნამდე მივ-
ყავართ გარდუვალად ამ მსჯელობას? იმ დასკვნამდე, რომ სა-
ჭირო არ არის არავითარი რევოლუციური პროგრამა, რევო-
ლუციური პარტია, რევოლუციური ტაქტიკა. საჭიროა რ ე-
ფ ო რ მ ე ბ ი, და მეტი არაფერი. საჭირო არ არის რევო-
ლუციური სოციალ-დემოკრატია. საჭიროა დემოკრატიული
და სოციალისტური რეფორმების პარტია. მართლაც: განა
ცხადი არ არის, რომ ქვეყნად ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს იქნებიან
ისეთი ადამიანები, რომლებსაც შეგნებული აქვთ, რომ არსე-
ბული დამაკმაყოფილებელი არ არის? რა თქმა უნდა, ყოველ-
თვის. განა ცხადი არ არის აგრეთვე, რომ ამ არადამაკმაყოფი-
ლებელი მდგომარეობის ს უ ლ მ ც ი რ ე გამოსწორებას
ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს დაუჭერს მხარს უკმაყოფილოთა ყველაზე
დ ი დ ი რიცხვი? რა თქმა უნდა, ყოველთვის. მაშასადამე,
ჩვენი საქმეა, მოწინავე და «შეგნებული» ადამიანების საქმეა
ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს დავუჭიროთ მხარი ს უ ლ მ ც ი რ ე მო-
თხოვნებს ბოროტების გამოსწორების შესახებ. ეს ყველაზე
საიმედო, ყველაზე პრაქტიკული საქმეა, ხოლო ყოველივე ლა-
პარაკი რაღაც «ძირითად» მოთხოვნებზე და სხვ. — მარტო-
ოდენ სიტყვებია «უტოპისტებისა», მარტოოდენ «რევოლუ-
ციური ფრაზებია». ი ძ უ ლ ე ბ უ ლ ნ ი ვ ა რ თ ა რ ჩ ე ვ ა-
ნ ი მ ო ვ ა ხ დ ი ნ ო თ — და ყოველთვის უნდა მოვახდინოთ
არჩევანი არსებულ ბოროტებასა და მისი გამოსწორების გა-
ცვეთილ პროექტთაგან ყველაზე პატარა პროექტს შორისო.

სწორედ ასე მსჯელობდნენ გერმანელი ს.-დ. ოპორტუნისტები. არისო სოციალ-ლიბერალური მიმდინარეობა, რომელიც მოითხოვს სოციალისტების წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებული კანონების გაუქმებას, სამუშაო დღის შემოკლებას, ავადმყოფობისაგან დაზღვევას და სხვ.. ამ მოთხოვნებს მხარს უჭერს ბურჟუაზიის მნიშვნელოვანი ნაწილიც. ხელს ნუ ჰკრავთ მას უტაქტო გამოსვლებით, ხელი გაუწოდეთ, მხარი დაუჭირეთ მას — მაშინ თქვენ საქმიანი პოლიტიკოსები გახდებით, თუმცა მცირე, მაგრამ რეალურ სარგებლობას მოუტანთ მუშათა კლასს, და თქვენი ტაქტიკა ზიანს მოუტანს მხოლოდ ფუჭ სიტყვებს «რევოლუციის» შესახებ. რევოლუციას სულ ერთია ახლა ვერ მოვახდენთ. ი ძ უ ლ ე ბ უ ლ ნ ი ვ ა რ თ მ ო ვ ა ხ დ ი ნ ო თ ა რ ჩ ე ვ ა ნ ი რეაქციასა და რეფორმას შორის, ბისმარკის პოლიტიკასა და «სოციალური იმპერიის» პოლიტიკას შორისო.

ბერნშტეინელების მსგავსად მსჯელობდნენ ფრანგი მინისტრი სოციალისტები. ი ძ უ ლ ე ბ უ ლ ნ ი ვ ა რ თ მ ო ვ ა ხ დ ი ნ ო თ ა რ ჩ ე ვ ა ნ ი რეაქციასა და ბურჟუაზიულ რადიკალებს შორის, რომლებიც მთელ რიგ პრაქტიკულად განსახორციელებელ რეფორმებს გვპირდებიან. იძულებულნი ვართ მხარი დავუჭიროთ ამ რადიკალებს, მხარი დავუჭიროთ მათს სამინისტროებს, ხოლო ფრაზები სოციალური რევოლუციის შესახებ მარტოოდენ ლაყბობა არისო «ბლანკისტებისა», «ანარქისტებისა», «უტოპისტებისა» და სხვ.

რა არის მთელი ამ ოპორტუნისტული მსჯელობის ძირითადი შეცდომა? ის, რომ ამ მსჯელობაში ისტორიის ერთადერთი რ ე ა ლ უ რ ი მამოძრავებლის — კლასობრივი ბრძოლის სოციალისტური თეორიის ადგილს ფ ა ქ ტ ი უ რ ა დ იჭერს «სოლიდარული», «საზოგადოებრივი» პროგრესის ბურჟუაზიული თეორია. სოციალიზმის, ე. ი. მარქსიზმის მოძღვრებით (არა-მარქსისტულ სოციალიზმზე ახლა სერიოზულად ლაპარაკიც კი არ შეიძლება), ისტორიის ნამდვილი მამოძრავებელია კლასთა რევოლუციური ბრძოლა; რეფორმები ამ ბრძოლის

არამთავარი შედეგია, არამთავარი იმიტომ, რომ ისინი გამოხატავენ უხეირო ცდებს — შეასუსტონ, მოადუნონ ეს ბრძოლა და სხვ. ბურჟუაზიულ ფილოსოფოსთა მოძღვრებით, პროგრესის მამოძრავებელია სოლიდარობა საზოგადოების ყველა ელემენტისა, რომლებსაც კი «შეუგნიათ», რომ ესა თუ ის დაწესებულება «სრულყოფილი არ არის». პირველი მოძღვრება მატერიალისტურია, მეორე — იდეალისტური. პირველი — რევოლუციურია, მეორე — რეფორმისტული. პირველი ასაბუთებს პროლეტარიატის ტაქტიკას თანამედროვე კაპიტალისტურ ქვეყნებში, მეორე — ბურჟუაზიის ტაქტიკას.

მეორე მოძღვრებიდან გამომდინარეობს ჩვეულებრივი ბურჟუაზიული პროგრესისტების ტაქტიკა: მხარი დაუჭირე ყველგან და ყოველთვის იმას, «რაც უკეთესია»; მოახდინე არჩევანი რეაქციასა და ამ რეაქციის მიმართ ოპოზიციურ ძალთა უკიდურეს მემარჯვენე ძალას შორის. პირველი მოძღვრებიდან გამომდინარეობს მოწინავე კლასის დამოუკიდებელი რევოლუციური ტაქტიკა. ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ დაგვყავს ჩვენი ამოცანა რეფორმისტული ბურჟუაზიის ყველაზე გავრცელებული ლოზუნგების მხარის დაჭერამდე. ჩვენ ვეწევით დამოუკიდებელ პოლიტიკას და ვაყენებთ მ ხ ო ლ ო დ ისეთი რეფორმების ლოზუნგებს, რომლებიც უ ე ჭ ვ ე ლ ა დ სასარგებლოა რევოლუციური ბრძოლის ინტერესებისათვის, რომლებიც უ ე ჭ ვ ე ლ ა დ აძლიერებენ პროლეტარიატის დამოუკიდებლობას, შეგნებულობასა და ბრძოლისუნარიანობას. მხოლოდ ასეთი ტაქტიკით უ ვ ნ ე ბ ე ლ ვ ყ ო ფ თ ჩვენ ყოველთვის ზემოდან მიღებულ, ყოველთვის ორჭოფ, ყოველთვის თვალთმაქცურ, ყოველთვის ბურჟუაზიული და პოლიციური ხაფანგებით აღჭურვილ რეფორმებს.

ეს კიდევ ცოტაა. მხოლოდ ასეთი ტაქტიკით ნამდვილად წინ ვწევთ სერიოზული რეფორმების საქმეს. ეს პარადოქსად მოჩანს, მაგრამ ამ პარადოქსს საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის მთელი ისტორია ადასტურებს: რეფორმისტების ტაქტიკა ყველაზე ც უ დ ა დ უზრუნველყოფს რეფორმების

გატარებას და მათს რეალობას. რევოლუციური კლასობრივი ბრძოლის ტაქტიკა ყველაზე უკეთ უზრუნველყოფს ერთსაც და მეორესაც. ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე შ ი იძულებულნი არიან რეფორმები მოახდინონ სწორედ რევოლუციური კლასობრივი ბრძოლის, მისი დამოუკიდებლობის, მისი მასობრივი ძალის, მისი შეუპოვრობის შედეგად. მხოლოდ იმდენად, რამდენად ძლიერია ეს ბრძოლა, — რეალურია რეფორმებიც, რომლებიც ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს ყალბია, ორსახოვანია, ზუბატოვური სულისკვეთებითაა გაჟღენთილი. როცა ჩვენს ლოზუნგებს რეფორმისტული ბურჟუაზიის ლოზუნგებს ვუერთებთ, ჩვენ ამით ვ ა ს უ ს ტ ე ბ თ რევოლუციის საქმეს, დ ა, მ ა შ ა-ს ა დ ა მ ე, რ ე ფ ო რ მ ე ბ ი ს ს ა ქ მ ე ს ა ც, რადგან ამით ჩვენ ვასუსტებთ რევოლუციურ კლასთა დამოუკიდებლობას, სიმტკიცესა და ძალას.

ზოგმა მკითხველმა, იქნებ, თქვას: რა საჭიროა საერთაშორისო რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ამ ანაბანას განმეორებაო? იმად არის საჭირო, რომ მას ივიწყებენ «გოლოს ტრუდა» და ბევრი ამხანაგი მენშევიკი.

სათათბიროს სამინისტრო ანუ კადეტური სამინისტრო არის სწორედ ასეთი ყალბი, ორსახოვანი, ზუბატოვური რეფორმა. მისი რეალური მნიშვნელობის დავიწყება, როგორც თვითმპყრობელობასთან კადეტების გარიგების ცდისა, იმას ნიშნავს, რომ მარქსიზმი პროგრესის ლიბერალურ-ბურჟუაზიული ფილოსოფიით შესცვალო. როცა მხარს ვუჭერთ ა ს ე თ რეფორმას, როცა იგი შეგვაქვს ჩ ვ ე ნ ი ლოზუნგების რიცხვში, ჩვენ ამით ვ ა ს უ ს ტ ე ბ თ პროლეტარიატის რევოლუციური შეგნების სიცხადესაც, მის დამოუკიდებლობასაც, მის ბრძოლისუნარიანობასაც. როცა მ თ ლ ი ა ნ ა დ მხარს ვუჭერთ ჩვენს ძველ რევოლუციურ ლოზუნგებს, ჩვენ ამით ვ ა ძ ლ ი ე რ ე ბ თ ნამდვილ ბრძოლას, ვაძლიერებთ, მაშასადამე, რეფორმის შესაძლებლობასაც და მ ი ს ი არა რეაქციის, არამედ რევოლუციის სასარგებლოდ გ ა მ ო ყ ე-ნ ე ბ ი ს შ ე ს ა ძ ლ ე ბ ლ ო ბ ა ს ა ც. ყოველივე ყალბსა

და თვალთმაქცურს, რაც კი არის ამ რეფორმაში, ჩვენ თავს ვაყრით კადეტებს, — მის მთელ შესაძლო დადებითს შინაარსს თვითონ ვ ი ყ ე ნ ე ბ თ. მხოლოდ ასეთი ტაქტიკის დროს გამოვიყენებთ ჩვენ ბატონ ტრეპოვებისა და ნაბოკოვების ურთიერთ სარმას იმისათვის, რომ ორივე პატივცემული ჯამბაზი ორმოში გადავჩეხოთ. მხოლოდ ასეთი ტაქტიკის დროს იტყვის ჩვენზე ისტორია, როგორც ბისმარკმა თქვა გერმანელ სოციალ-დემოკრატებზე: «სოციალ-დემოკრატები რომ არ ყოფილიყვნენ, სოციალური რეფორმაც არ იქნებოდაო». რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი პროლეტარიატი რომ არ ყოფილიყო, 17 ოქტომბერიც არ იქნებოდა. დეკემბერი რომ არ ყოფილიყო — არ იქნებოდა გაქარწყლებული სათათბიროს მოწვევაზე უარისთქმის ყველა ცდა. კიდევ დადგება სხვა დეკემბერიც, რომელიც განსაზღვრავს რევოლუციის შემდგომ ბედს...

ბ ო ლ ო ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა. ეს სტატია უკვე დაწერილი იყო, როცა წავიკითხეთ «გოლოს ტრუდას» მე-6 ნომრის მოწინავე სტატია. ამხანაგები საქმეს ასწორებენ. მათ უნდათ, რომ სათათბიროს სამინისტრომ, ვ ი დ რ ე პორტფელებს აიღებდეს, მოითხოვოს და მიაღწიოს სამხედრო წესებისა და დაცვის ყოველგვარ საგანგებო ღონისძიებათა საყოველთაო მოსპობასაც, სრულ ამნისტიასაც და ყველა თავისუფლების აღდგენასაც. ძალიან კარგი, ამხანაგებო! სთხოვეთ ცენტრალურ კომიტეტს შეიტანოს ეს პირობები თავის რეზოლუციაში სათათბიროს სამინისტროს შესახებ. სცადეთ თვითონ გააკეთოთ ეს, — მაშინ გამოგივათ: ვ ი დ რ ე მხარს დაუჭერდეთ სათათბიროს ანუ კადეტურ სამინისტროს, უნდა მოითხოვოთ და მიაღწიოთ, რომ სათათბირო ანუ კადეტები რევოლუციურ გზას დაადგნენ. ვ ი დ რ ე მხარს დაუჭერდეთ კადეტებს, უნდა მოითხოვოთ და მიაღწიოთ, რომ კადეტები აღარ იყვნენ კადეტები.

«ეხო» № 6, 1906 წ. 28 ივნისი

იბეჭდება გაზეთ «ეხოს» ტექსტის მიხედვით

ჟურნალ-გაზეთებს შორის

გუშინ ჩვენ აღვნიშნეთ, ტრეპოვისათვის სახეირო არ არის დაშორდეს კადეტებს მარტოოდენ იმის გამო, რომ მისთვის პრინციპულად შეუწყნარებელია მიწის იძულებით განსხვისება გლეხთა სასარგებლოდ, რაკი კადეტები განსასხვისებელ მიწაში გლეხებისაგან ბლომად იღებენ ფულს «სამართლიანი შეფასებით»-მეთქი. დღეს «სლოვო»[23] ამბობს:

«აგრარული რეფორმა ქვაკუთხედია ყოველგვარი ხმებისა სათათბიროს უმრავლესობისაგან ახალი კაბინეტის შედგენის შესახებ. იმ ხმებში, რამაც ჩვენამდე მოაღწიეს სხვა წყაროებიდან, ნიადაგი, რომელზედაც შეიძლება მოხდეს შეთანხმება სათათბიროს კაბინეტის შედგენის საკითხში, ეს არის ახალი სესხის ნიადაგი.

სესხის მიზანია უწინარეს ყოვლისა გადაიჭრას საჭირბოროტო საადგილმამულო საკითხი. ჩატარებული გამოანგარიშებით, ამ საკითხის გადასაწყვეტად, თუ გვერდს ავუვლით მიუღებელს იძულებითი განსხვისების იდეას, საჭიროა ორი მილიარდი მანეთი. სესხის მეორე ნახევარი კი უნდა გადაიდოს სამხედრო და საზღვაო სამინისტროთა უკონტროლო განკარგულებაში არმიისა და ფლოტის საბრძოლო მზადყოფნის გასაძლიერებლად».

ამრიგად, საქმე მოჭახრაკებულია: ექსპროპრიირებულ მემამულეთა და სხვათა დასაჯილდოებლად საჭირო ორი მილიარდის ფასად, პლუს ორი მილიარდი სამხედრო და საზღვაო სამინისტროთა უკონტროლო განკარგულებაში, ტრეპოვი თანახმაა დააყენოს კადეტები ხელისუფლების სათავეში და აღარ გაუწიოს ანგარიში პრინციპს. ბევრს არ მოითხოვს, ხომ მართალია, ბატონო კადეტებო?

* * *

«ნაშა ჟიზნი» ღელავს ჩვენი პარტიის ახალი ყრილობის იდეის გამო. იგი ცდილობს მომავალი ყრილობა წარმოგვიდგინოს რაღაც კატასტროფად, განუკურნებელი პარტიული სენის რაღაც სიმპტომად. «ისევ ყრილობა!» — შეძრწუნებულია იგი. დიახ, ისევ ყრილობა — როგორც გარდუვალი გამოსავალი პარტიაში შექმნილი მდგომარეობიდან, როდესაც ცენტრალური კომიტეტი და მისი დირექტივები წინააღმდეგობაში აღმოჩნდნენ მთელი პარტიის შეგნებასთან. პარტია ახლა რეორგანიზებულია დემოკრატიულ საფუძველზე, და ჩვენ შევეკითხებოდით «ნაშა ჟიზნელ» დემოკრატებს, რანაირად შეიძლება გამოიხატოს დემოკრატიული პარტიის ორგანიზებული აზრი, თუ არა ყრილობის საშუალებით. ამ ვაჟბატონებს თავის გაზეთში მოყავთ «ეხოში»[24] გამოქვეყნებული ცნობები იმ ორგანიზაციებისა და ხმების რაოდენობის შესახებ, რომლებმაც გაილაშქრეს ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკის წინააღმდეგ, და ამავე დროს შეძრწუნებული არიან ყრილობის გამო.

არა, ახალი ყრილობის იდეა კატასტროფა კი არ არის, არამედ ნიშანია პარტიის სიცოცხლისა, ნიშანია პარტიის საზოგადოებრივი აზრის ძლიერებისა, ნიშანია იმისა, რომ პარტია უბრალოდ და ადვილად პოულობს გამოსავალს გარემოებით შექმნილი საძნელო მდგომარეობიდან. და ჩვენც დარწმუნებულნი ვართ, რომ არავის პარტიაში და, მით უფრო, ჩვენს პასუხისმგებელ სამინისტროს — ცენტრალურ კომიტეტს — ყრილობა არ შეიძლება კატასტროფად მოეჩვენოს. პარტიისათვის ახლა ყრილობა აუცილებლობაა, ცენტრალური კომიტეტისათვის — მოვალეობა, კადეტებისა და მათი ამყოლდამყოლებისათვის, — შეიძლება, არასასიამოვნოც. მაგრამ რა გაეწყობა? ჩვენ ვიცით, ვისი გამარჯვებაც უნდა იყოს ყრილობა — იგი დიდად არასასიამოვნო იქნება ბურჟუაზიისათვის.

* * *

გაზეთ «გოლოს ტრუდაში» (№ 7) დაბეჭდილია:

«რ ე დ ა ქ ც ი ი ს ა გ ა ნ. ამხ. კ. პ.-ისაგან[25] მივიღეთ წერილი ამხ. ნ. რახმეტოვის სტატიის გამო. საჭიროდ მიგვაჩნია განვაცხადოთ, რომ მთლიანად არ ვიზიარებთ რახმეტოვის ზოგიერთ შეხედულებას და, კერძოდ, სრულიად არ ვიზიარებთ მის აზრს კადეტებთან «პოლიტიკური კოალიციის» შესახებ.

ამხ. რახმეტოვს უფლება მივეცით თავისუფლად გამოეთქვა თავისი აზრი. ჩვენ თვითონ კი ვდგავართ ამსტერდამის რეზოლუციის ნიადაგზე და ეს საკმაოდ ნათლად და გარკვევით გამოვამეღავნეთ სახელმძღვანელო სტატიებში მიმდინარე პოლიტიკის სულ სხვადასხვა საკითხის გამო კ.-დ. პარტიის პოლიტიკური ცხოვრების სარბიელზე გამოსვლის პირველი დღიდანვე».

ჩვენ არ ვიცით, სახელდობრ რა მისწერა «გოლოს ტრუდას» რედაქციას ამხ. კ. პ.-ვმა, მაგრამ ძალაუნებურად გვებადება გაოცება: ნუთუ რედაქციას ამ წერილის მიღება დასჭირდა, რომ «გაეგო» ნ. რახმეტოვის სტატია? თუკი მას ამხ. კ. პ.-ვის დაუხმარებლადაც გაეგებოდა, რომ არ ეთანხმება ნ. რახმეტოვს, მაშინ როგორ შეიძლებოდა პრინციპული სახელმძღვანელო სტატიები დაებეჭდა და არ დაერთო შენიშვნა, რომ რედაქცია მათ არ ეთანხმება? თანაც, სტატიის სიდიდემ, რომელიც საინტერესოა, არსებითად, მხოლოდ თავისი გესლიანობით და დასკვნებისა და ლოზუნგების «უკიდურესობით», საკმაოდ ბევრი მკითხველი შეიყვანა შეცდომაში: მათ იფიქრეს, სტატიის ავტორი ახლოს დგას პარტიის ხელმძღვანელ წრეებთანაო. მაგრამ ჩვენი გაოცების გრძნობას მაინც ემატება ერთგვარი კმაყოფილების გრძნობა: «გოლოს ტრუდას», მართალია, მთელი კვირა დასჭირდა, რომ გამიჯნულიყო ნ. რახმეტოვისაგან, მაგრამ მაინც — უმჯობესია გვიან, ვიდრე არასოდეს.

«ეხო» № 7, 1905 წ. 29 ივნისი

იბეჭდება გაზეთ «ეხოს» ტექსტის მიხედვით

«უპარტიო» ბოიკოტისტების უმართებულო მსჯელობა

გაზეთი «მისლი» ამ დღეებში ცდილობდა დაემტკიცებინა მოწინავეში, რომ შრომის ჯგუფი სახელმწიფო სათათბიროში არ უნდა «გაითიშოს» პარტიული ფრაქციების შექმნით. სათათბიროს ბოიკოტმა წინასწარ განსაზღვრა, რომ უკიდურეს პარტიებს სათათბიროში თავისი ფრაქციები არ ეყოლებათო. შრომის ჯგუფი კი, სწორედ როგორც არაპარტიული ორგანიზაცია, დაკავშირებული ადგილებზე არსებულ მის უპარტიოვე «ხელშემწყობ ჯგუფებთან», ყველაზე მეტ სარგებლობას მოიტანსო.

ეს მსჯელობა ძირფესვიანად შემცდარია. უპარტიო რევოლუციურობა აუცილებელი და გარდუვალი მოვლენაა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ეპოქაში. ს.-დ. ბოლშევიკებს ეს უკვე არა ერთხელ აღუნიშნავთ. პარტიულობა დიდად განვითარებულ კლასობრივ დაპირისპირებათა შედეგი და პოლიტიკური გამოხატულებაა. სწორედ მათი განუვითარებლობა შეადგენს ბურჟუაზიული რევოლუციის დამახასიათებელ თვისებას. უპარტიო-რევოლუციური დემოკრატია გარდუვალად იზრდება და ფართოვდება ასეთი რევოლუციის ეპოქაში.

სოციალ-დემოკრატებს, როგორც შეგნებული პროლეტარიატის წარმომადგენლებს, არ შეუძლიათ უარი თქვან სხვადასხვა უპარტიო რევოლუციურ კავშირში მონაწილეობაზე. ასეთები იყო, მაგალითად, მუშათა დეპუტატების საბჭოები, გლეხთა

კავშირი, ნაწილობრივ მასწავლებელთა კავშირი, რკინიგზელთა კავშირი და სხვა. მათში მონაწილეობას ჩვენ უნდა ვუყურებდეთ, როგორც სოციალ-დემოკრატების დროებით საბრძოლო კავშირს რევოლუციურ ბურჟუაზიულ დემოკრატიასთან. საქმის მხოლოდ ასეთი დაყენებით შეიძლება არ შეილახოს პროლეტარიატის საარსებო და ძირითადი ინტერესები, დაცულ იქნას მარქსისტების უთუოდ დამოუკიდებელი სოციალისტური თვალსაზრისი და შეიქმნას სოციალ-დემოკრატების დამოუკიდებელი პარტიული ორგანიზაციები, როცა საამისოდ სულ მცირედი შესაძლებლობა იქნება.

სოციალ-დემოკრატების ასეთი დამოუკიდებელი ორგანიზაციების შექმნა რომ მიიჩნიო უპარტიო-რევოლუციური ორგანიზაციების «გათიშვად», — ეს იმას ნიშნავს, რომ, ჯერ ერთი, გამოიჩინო წმინდა ბურჟუაზიული თვალსაზრისი და, მეორეც, თავისი უპარტიულობის დაცვის არაგულწრფელობა ან მოუფიქრებლობა. მხოლოდ ბურჟუაზიის იდეოლოგებს შეუძლიათ დაგმონ, როგორც «გათიშვა», სოციალისტების ცალკე პარტიად გამოყოფა. მხოლოდ არაგულწრფელ ადამიანებს, ე. ი. ისეთ ადამიანებს, რომელთაც ფარულად ეშინიათ თავისი ფ ა რ უ ლ ი პარტიულობისა, ან რომელნიც საკითხს არ ჩაფიქრებიან, შეუძლიათ უპარტიო ორგანიზაციების «გათიშვად» მიიჩნიონ პ ა რ ტ ი უ ლ ი ორგანიზაციების შექმნა. ეს ხომ შეუსაბამობა გამოდის, ბატონებო. უ პ ა რ ტ ი ო ბ ა ხომ ნეიტრალობაა სხვადასხვა პარტიის მიმართ (საერთო, რევოლუციურ-დემოკრატიული მიზნების ფარგლებში). ხოლო პარტიულობის დაგმობა, რაც გამოიხატება სიტყვით: «გათიშვა», უკვე არის ნეიტრალობისა და უპარტიულობისაგან გადახვევა, უკვე არის აშკარა პარტიულობა. თქვენ ან თვალთმაქცობთ, ბატონებო, ან ცუდად აზროვნობთ: არსებითად, თქვენი ყვირილი გათიშვის წინააღმდეგ და უპარტიულობის სასარგებლოდ ფარავს *თქვენს* შიშს *თ ქ ვ ე ნ ი* პარტიულობის გამო. ნამდვილად უპარტიო მომხრე, ვთქვათ, დამფუძნებელი კრებისა გათიშვად არ მიიჩნევდა იმას, რომ მის თანამოაზრეთა

ნაწილი, სავსებით იღებს რა ამ მოთხოვნას, ჰქმნის დამოუკიდებელ პარტიას.

ამრიგად, დაე უპარტიო რევოლუციონერებმა განავითარონ უპარტიო-რევოლუციური ორგანიზაციები. ხელი მოემართოთ! მაგრამ დაე ნაკლებად იყვირონ მათ უპარტიო რევოლუციურობის «გამთიშველი» პარტიული რევოლუციონერების წინააღმდეგ.

ახლა ბოიკოტის შესახებ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ბოიკოტი შეცდომა არ ყოფილა. 1906 წლის დამდეგის კონკრეტულ ისტორიულ ვითარებაში იგი აუცილებელი და სწორი იყო. ბულიგინის სათათბიროს ჩაშლისა და დეკემბრის შემდეგ სოციალ-დემოკრატები ვალდებულნი იყვნენ ასევე მაღლა აღემართათ დამფუძნებელი კრებისათვის ბრძოლის დროშა და ყ ო ვ ე ლ ი ღონე ეხმარათ ვიტეს სათათბიროს ასეთივე ჩაშლისათვის. ჩვენ შევასრულეთ ჩვენი რევოლუციური მოვალეობა და ბოიკოტმაც, ყოველგვარი ცილისა და დაგვიანებული მონანიების მიუხედავად, ძალიან ბევრი რამ მოგვცა მუშების რევოლუციური სულისკვეთებისა და სოციალ-დემოკრატიული შეგნების შესანარჩუნებლად. ამის საუკეთესო შეფასებაა: 1) ბოიკოტისათვის მხარის დაჭერა მუშათა ქვედაფენების მიერ, 2) მისი ბრწყინვალედ გატარება განსაკუთრებით დაჩაგრულ განაპირა მხარეებში, 3) მთავრობის მიერ სპეციალური კანონის გამოცემა ბოიკოტის წინააღმდეგ[26].

უმართებულო და ბეცია ის აზრი, თითქოს ბოიკოტი შეცდომა და უსარგებლო საქმე ყოფილიყო. მან არა მარტო მორალურ-პოლიტიკური სარგებლობა მოიტანა, არამედ უაღრესად რეალური, უშუალო სარგებლობაც. მან მთავრობის მთელი ყურადღება და მთელი ძალები სწორედ ბოიკოტისტებთან ბრძოლისაკენ წარმართა. მან მთავრობა ჩააგდო სასაცილო, სულელურ და ჩვენთვის ხელსაყრელ მდგომარეობაში: სათათბიროს მ ო წ ვ ე ვ ი ს ა თ ვ ი ს მებრძოლის მდგომარეობაში. მან ამით გიგანტურად შეასუსტა მთავრობის ყურადღება სათათბიროს შემადგენლობისადმი. იგი იყო, თუ ნებას მივცემთ

ჩვენს თავს და სამხედრო შედარებას ვიხმართ, პირისპირი იერიში ან დემონსტრაცია პირისპირი იერიშისა, ურომლისოდაც მტერს ზურგიდან ვ ე რ შემოუვლიდით. სწორედ ისე გამოვიდა, რომ ჩვენ, რევოლუციონერებმა, მოვახდინეთ დემონსტრაცია პირისპირი იერიშისა, რისაც საშინლად ეშინოდა მთავრობას, რომელმაც წარმოუდგენლად იდიოტური კანონი გამოსცა. ლიბერალურმა ბურჟუებმა და უპარტიო რევოლუციონერებმა კი ეს პირისპირი იერიში და მტრის ძალების თავმოყრა ცენტრში შემოვლითი მოძრაობისათვის გამოიყენეს. მათ ზურგიდან შემოუარეს მტერს, ისინი მიპარვით გაძვრნენ სათათბიროში, გადაცმულნი შეიპარნენ მტრის ბანაკში.

ყველას თავისი გზა აქვს. პროლეტარიატი იბრძვის, ბურჟუაზია მიიპარება.

და ახლა პოლიტიკური პასუხისმგებლობა კამარილიის მიერ მოწვეული, კამარილიისადმი დაქვემდებარებული, კამარილიასთან მოვაჭრე სათათბიროსათვის ჩვენ მ თ ლ ი ა ნ ა დ დავაკისრეთ კადეტებს. ჩვენ ეს აუცილებლად უნდა გვექნა, იმიტომ, რომ სათათბიროს შემადგენლობაში და მისი მოღვაწეობის მთელ ხასიათში არის ორმაგობა: არის რაღაც ისეთი, რასაც ჩვენ მხარი უნდა დავუჭიროთ, და რაღაც ისეთი, რის წინააღმდეგ ჩვენ გადაჭრით უნდა ვიბრძოლოთ. მხოლოდ ბურჟუაზიულ პოლიტიკოსებს ავიწყდებათ ეს ორმაგობა ან არა სურთ იგი დაინახონ. მხოლოდ ბურჟუაზიული პოლიტიკოსები უგულებელყოფენ დაჟინებით სათათბიროს როლს, როგორც ისეთი ორგანოს როლს, რომლის საშუალებითაც თვითმპყრობელობა კონტრრევოლუციურ გარიგებას დებს ლიბერალურ-მონარქისტულ ბურჟუაზიასთან პროლეტარიატისა და გლეხობის წინააღმდეგ. მოხერხდება თუ არა ასეთი გარიგება თუნდაც დროებით, და როგორი იქნება მისი შედეგები, ეს ჯერ კიდევ არ ვიცით. ეს, საბოლოო ანგარიშში, დამოკიდებულია სათათბიროსგარე სახალხო მოძრაობის ძალასა, ორგანიზებულობასა და შეგნებულობაზე. მაგრამ რომ სათათბიროში სჭარბობენ იმ კლასის წარმომადგენელნი, რომელიც ასეთ გარიგებას

ა რ თ ა კ ი ლ ო ბ ს, რომ ამჟამად წარმოებს მოლაპარაკება ამ გარიგების შესახებ და იდგმება მოსამზადებელი, საცდელი ნაბიჯები — ეს ფ ა ქ ტ ი ა. კადეტების ვერავითარი «უარყოფა», მენშევიკების ვერავითარი მიჩქმალვა ვერ დამალავს ამ ფაქტს.

რაკი ასეა — ეს კი უეჭველად ასეა, — ცხადია, პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ინტერესები უსათუოდ მოითხოვდნენ პროლეტარიატის სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობის შენარჩუნებას. მას არ უნდა მიებაძა ლიბერალური ბურჟუაზიისათვის, რომელიც მზად არის სიხარულით ჩასჭიდოს ხელი ყოველგვარ ნასუფრალს. მას მთელი ენერგიით უნდა გაეფრთხილებინა ხალხი იმ ხაფანგისაგან, რომელსაც მას კამარილია უგებს. მას ყოველივე უნდა მოემოქმედნა, რათა არ დაეშვა გაყალბებული, კადეტური «სახალხო წარმომადგენლობის» მოწვევა. სწორედ ბოიკოტით შეიძლებოდა ყოველივე ამის მიღწევა.

ამიტომ მეტისმეტად მოუფიქრებელი და გასაოცრად არაისტორიულია მემარჯვენე ფრთის იმ სოციალ-დემოკრატების მსჯელობა, რომლებიც ბურჟუაზიის სასეიროდ ახლა უარყოფენ ბოიკოტს და გმობენ თ ა ვ ი ს გუშინდელ ქცევას. ვინაიდან მენშევიკებიც ხომ ბ ო ი კ ო ტ ი ს ტ ე ბ ი ი ყ ვ ნ ე ნ: ოღონდ სხვა სტადიაზე სურდათ მათ სათათბიროს ბოიკოტი. საკმარისია გავიხსენოთ მხოლოდ ო რ ი ისტორიული ფაქტი, რომელთა დავიწყებაც შეუწყნარებელი იქნებოდა სოციალ-დემოკრატებისათვის, რომლებიც კი ცოტათი მაინც აფასებენ თავის წარსულს. პ ი რ ვ ე ლ ი ფაქტი: ჩვენი პარტიის გაერთიანებული, ბოლშევიკებისა და მენშევიკებისაგან თანაბრად შედგენილი, ცენტრალური კომიტეტის ფურცელში პირდაპირ იყო განცხადებული, რომ ორივე მხარე თანახმაა ბოიკოტის იდეისა და არ ეთანხმებიან ერთმანეთს მხოლოდ იმაში, თუ რა სტადიაზე უფრო მიზანშეწონილია ბოიკოტი. მ ე ო რ ე ფაქტი: მენშევიკების არც ერთ ნაბეჭდ ნაწარმოებში არავის არ მოუწოდებია მონაწილეობა მიგვეღო თვით სათათბიროში, და

«გამბედავმა» ამხ. პლეხანოვმაც კი ვერ გაბედა ეს. ბოიკოტის უარყოფა სოციალ-დემოკრატისათვის ნიშნავს იმას, რომ არასწორად წარმოიდგინოს პარტიის გუშინდელი ისტორია.

მაგრამ გამომდინარეობს თუ არა ბოიკოტიდან ის, რომ აუცილებლად უარყო სათათბიროში თავისი პარტიული ფრაქციის შედგენა? სრულიადაც არა. ცდებიან ის ბოიკოტისტები, რომლებიც, «მისლის» მსგავსად, ასე ფიქრობენ. ჩვენ უნდა მოგვემოქმედნა და მოვიმოქმედეთ ყოველივე, რათა ხელი შეგვეშალა გაყალბებული წარმომადგენლობის მოწვევისათვის. ეს ასეა. მაგრამ თუ, ყოველი ჩვენი ღონისძიების მიუხედავად, იგი მოწვეულია, ჩვენ არ შეგვიძლია უარი ვთქვათ მისი გამოყენების ამოცანაზე. ამაში ულოგიკობის დანახვა შეუძლიათ მხოლოდ ბურჟუაზიულ პოლიტიკოსებს, რომლებიც არ აფასებენ რევოლუციურ ბრძოლას და ბრძოლას რევოლუციის სრული წარმატებისათვის. მოგაგონებთ ლიბკნეხტის მაგალითს: ის 1869 წელს გმობდა, ამათრახებდა და უარყოფდა გერმანიის რეიხსტაგს, ხოლო 1870 წლის შემდეგ მონაწილეობდა მასში. ლიბკნეხტს შეეძლო დაეფასებინა მნიშვნელობა რევოლუციური ბრძოლისა რევოლუციური და არა ბურჟუაზიულ-გამცემლური სახალხო წარმომადგენლობისათვის. ლიბკნეხტს სულმოკლედ არ უარუყვია თავისი წარსული. იგი სრული უფლებით ამბობდა: მე ყველაფერი მოვიმოქმედე ასეთი რეიხსტაგის წინააღმდეგ საბრძოლველად, საუკეთესო შესაძლო შედეგისათვის საბრძოლველად. შედეგი ცუდი აღმოჩნდა. მე შევძლებ მის გამოყენებასაც ისე, რომ ჩემს რევოლუციურ ტრადიციას არ ვუღალატოო.

ამრიგად, არ შეიძლება ბოიკოტიდან იმ დასკვნის გამოტანა, რომ ხელი ავიღოთ სათათბიროს გამოყენებაზე და უარვყოთ მასში პარტიული ფრაქციის შექმნა. საკითხი სხვანაირად ისმება: საჭიროა უაღრესი სიფრთხილე (სწორედ ასე აყენებდნენ ამ საკითხს გამაერთიანებელ ყრილობაზე ბოლშევიკები, როგორც დარწმუნდება ყველა, ვინც კი მათი რეზოლუ-

ციის პროექტს წაიკითხავს*). უნდა ვნახოთ, შეიძლება თუ არა ა ხ ლ ა გამოვიყენოთ სათათბირო მის შიგნით მუშაობის გზით, მოიპოვებიან თუ არა ამისათვის შესაფერი სოციალ-დემოკრატები და არსებობს თუ არა შესაფერი გარეშე პირობები?

ჩვენ ვფიქრობთ, რომ მოიპოვებიან. ჩვენი სათათბიროელი დეპუტატების მოქმედებაში ჩვენ აღვნიშნავდით კერძო შეცდომებს, მაგრამ საერთოდ და მთლიანად მათ სწორი პოზიცია დაიკავეს. სათათბიროს შიგნით შ ე ი ქ მ ნ ა დაჯგუფება, რომელიც შ ე ე ს ა ბ ა მ ე ბ ა-ნამდვილად რევოლუციურ ვითარებას: ოქტიაბრისტები და კადეტები მარჯვნივ, სოციალ-დემოკრატები და შრომის ჯგუფელები (ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, საუკეთესო შრომის ჯგუფელები) — მარცხნივ. ასეთი დაჯგუფებით ჩვენ შეგვიძლია ვისარგებლოთ და კიდევაც უნდა ვისარგებლოთ სწორედ იმისათვის, რომ გავაფრთხილოთ ხალხი რა საშიში მხარე აქვს კადეტურ სათათბიროს, სწორედ იმისათვის, რომ გავავითაროთ რევოლუციური მოძრაობა, რომელიც შემოფარგლული არ იქნება სათათბიროს ჩარჩოებით, სათათბიროს ტაქტიკის, სათათბიროს მიზნებისა და ა. შ. ჩარჩოებით. ასეთი დაჯგუფებებისას ჩვენ — საქმის სწორად წარმართვის პირობებში — გამოვიყენებთ უპარტიო რევოლუციურ დემოკრატებსაც და ამავე დროს სავსებით გარკვეულად და გადაჭრით გამოვალთ, როგორც სოციალ-დემოკრატიული, პროლეტარული პარტია.

«ეხო» № 9, 1906 წ. 1 ივლისი

იბეჭდება გაზეთ «ეხოს» ტექსტის მიხედვით

---

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 10, გვ. 350 — 352. რ ე დ.

ბურჟუაზიის საყვედური და პროლეტარიატის მოწოდება

ბელოსტოკის დარბევის შესახებ მოხსენებათა განხილვა სახელმწიფო სათათბიროში მთავრდება. მთავრობის დანაშაული გამოაშკარავებულია სრული,. შეიძლება ითქვას, ზოგჯერ პედანტური სიზუსტითაც კი. სახელმწიფო სათათბიროს ერთსულოვნება ადგილობრივი და ცენტრალური ადმინისტრაციის უსაზიზღრეს მოქმედებათა დაგმობაში ფრიად სრული ჩანდა. იმ ადამიანებს, რომლებსაც უნარი შესწევთ ილაპარაკონ, თითქოს სათათბირო «ერთ მთელად აერთებს კლასთა ბრძოლასაო», შეეძლოთ ზეიმს მისცემოდნენ ასეთი ერთსულოვნების გამო.

მაგრამ როგორც კი საქმე მიდგა პრაქტიკულ დასკვნებამდე იმ ღონისძიებათა გამო, რომლებიც საჭიროა დამრბევთა ბრბოს უსაზიზღრეს დანაშაულობასთან საბრძოლველად, მაშინვე გაცამტვერდა მოჩვენებითი და ზერელე ერთსულოვნება. მაშინვე აღმოჩნდა, რომ ბურჟუაზია და პროლეტარიატი — რაც უნდა «ერთდებოდეს ერთ მთელად კლასთა ბრძოლა» — არსებითად სხვადასხვა მიზანს ისახავენ თავის განმათავისუფლებელ ბრძოლაში. ბურჟუაზიას სურს «საყვედური» გამოუცხადოს მთავრობას, რათა თვითონ მოჰკიდოს ხელი რევოლუციის დაშოშმინებას. პროლეტარიატს სურს მოუხმოს ხალხს რევოლუციური ბრძოლისაკენ.

ამ განსხვავებამ ნათლად იჩინა თავი ბელოსტოკის დარბევის გამო წარმოდგენილ ორ რეზოლუციაში. ბურჟუაზიის (კ.-დ.

პარტია) ფორმულა: 1) ამათრახებს მთავრობას; 2) მოითხოვს სამინისტროს გადადგომას და 3) აწვება იმას, რომ «მთავრობა სცნობს თავის უ ძ ლ უ რ ე ბ ა ს რევოლუციასთან ბრძოლაში». ბურჟუაზიას სურს ძ ლ ი ე რ ი მთავრობა რ ე ვ ო ლ უ ც ი ა ს თ ა ნ ს ა ბ რ ძ ო ლ ვ ე ლ ა დ.

პროლეტარიატის (ს.-დ. პარტია) ფორმულა სხვანაირია: 1) ამათრახებს მთავრობას — ბურჟუაზიასთან პროლეტარიატის ამ «ერთსულოვნებით» ზღუდავენ ჩვეულებრივ თავის ყურადღებას პოლიტიკური მიამიტები; 2) აცხადებს, რომ «მოქალაქეთა სიცოცხლისა და ქონების დაცვის ე რ თ ა დ ე რ თ ი საშუალება შ ე ი ძ ლ ე ბ ა ი ყ ო ს თ ვ ი თ ო ნ ხ ა ლ ხ ი ს შ ე ი ა რ ა ღ ე ბ ა»; 3) «მოუწოდებს მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ა ს ხ ე ლ თ აიღოს თავისი სიცოცხლისა და ქონების დაცვა» და «წ ი ნ ა ა ღ უ დ გ ე ს ნაციონალურ დევნას».

ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის ი ნ ტ ე რ ე ს თ ა განსხვავება აშკარად ჩანს ამ ორ სხვადასხვა ფორმულაში. ბურჟუაზიას სურს ჩააქროს რევოლუცია. პროლეტარიატს სურს შეაიარაღოს რევოლუცია. ბურჟუაზია ოხრავს მოხელეთა სასამართლოსთვის. პროლეტარიატი მიმართავს სახალხო სასამართლოს («სახალხო გასამართლება ვერ ასცდება ამ დამნაშავეებს და მ ა თ ს მ ფ ა რ ვ ე ლ ე ბ ს» — სათათბიროს ჩვენი ს.-დ. ფრაქციის ფორმულიდან). ბურჟუაზია მოუწოდებს მხოლოდ მ ი ნ ი ს ტ რ ე ბ ს, მოუწოდებს მათ დ ა ს თ მ ო ნ. პროლეტარიატი მოუწოდებს მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ა ს, მოუწოდებს შეიარაღდეს და წ ი ნ ა ა ღ უ დ გ ე ს.

ჩვენმა ამხანაგებმა სათათბიროში სწორი ტონი აიღეს ამ საკითხში. ვუსურვოთ მათ კვლავაც ასევე ნათლად, გარკვეულად და შეურიგებლად დაუპირისპირონ რევოლუციური პროლეტარიატის განცხადებანი ოპორტუნისტული ბურჟუაზიის ფრაზებს.

«ეხო» № 9, 1906 წ. 1 ივლისი

იბეჭდება გაზეთ «ეხოს» ტექსტის მიხედვით

არმია და ხალხი

ყველა გაზეთი კვლავ აჭრელებულია ჯარის მღელვარების ცნობებით. ახლა უკვე ძნელია გამოიანგარიშო, თუ ჯარის რამდენ პოლკში ან ნაწილში იყო მღელვარება და აჯანყების ცდა სათათბიროს «მუშაობის» ორი თვის განმავლობაში. ყბადაღებული მშვიდობიანი პარლამენტური მოღვაწეობა, რაც გულუბრყვილო (თუმცაღა, არა ყოველთვის გულუბრყვილო) ბურჟუაზიულმა პოლიტიკოსებმა გამოიგონეს, სამხედრო საქმის სფეროშიც იმგვარი რამ აღმოჩნდა, რასაც მოსდევს ბრძოლის ისეთი ხერხები, მოძრაობის ისეთი ფორმები, რომლებიც სრულებითაც არ არის მშვიდობიანი, სრულებითაც არ არის პარლამენტური.

ჩვენი ლიბერალურ-ბურჟუაზიული პრესა, როცა მას მოყავს ფაქტები და ცნობები ჯარის მღელვარების შესახებ, ამ მასალით სარგებლობს ჩვეულებრივ მხოლოდ იმისათვის, რომ დააშინოს მთავრობა. ხანძარი ღვივდება — ასე მსჯელობენ ჩვეულებრივ კადეტური გაზეთები — უფრთხილდით, ბატონო მინისტრებო, დაგვითმეთ, ვიდრე გვიან არ არისო. მინისტრები კი იმით უპასუხებენ, რომ («ნოვოე ვრემიას» და სხვა ლაქიური გაზეთების მეშვეობით) აშინებენ კადეტებს: დახეთ, ბატონებო, ხანძარი ღვივდება, შეგვითანხმდით, ვიდრე გვიან არ არისო. კადეტებიც და მთავრობაც ჯარში გაჩაღებულ მოძრაობას ისე უყურებენ, როგორც ისეთ საქმეს, რომელიც რევოლუციის ჩასაქრობად დაუყოვნებლივ ღონისძიებათა აუცილებლობის სასარგებლოდ მეტყველებს. მათ შეხედულებათა სიბეცე, მჭიდროდ დაკავშირებული მათი ინტერესების ანგა-

რებიანობასთან, ხელს უშლის მათ შეხედონ ამ მოძრაობას, როგორც ჩვენი რევოლუციის ნ ა მ დ ვ ი ლ ი ხასიათის, მისი ნ ა მ დ ვ ი ლ ი მისწრაფების ერთერთ უდიდეს მაჩვენებელს. კადეტებიც და მთავრობაც ანგარებით არიან გამსჭვალულნი არმიის საკითხში. დამრბევებს არმია სჭირდებათ, როგორც დარბევის იარაღი. ლიბერალურ ბურჟუებს იგი სჭირდებათ, როგორც ბურჟუაზიული მონარქიის დამცველი გლეხებისა და განსაკუთრებით მუშების «მეტისმეტი» ხელყოფისა და მოთხოვნისაგან. უგვანო, თვალთმაქცური და ცრუ დოქტრინა: «არმია პოლიტიკის გარეშე უნდა იყოსო» განსაკუთრებით ხელსაყრელია ამ მხრივ ბურჟუაზიის ჭეშმარიტ მისწრაფებათა დასაფარავად.

მაგრამ შეხედეთ სამხედრო მღელვარებათა ხასიათს, ჯარისკაცთა მოთხოვნებს. სინჯეთ და დააკვირდით ჯარისკაცებს, რომელნიც არ ერიდებიან დახვრეტას «ურჩობისათვის», — დააკვირდით როგორც დამოუკიდებელი ინტერესების მქონე ცოცხალ ადამიანებს, როგორც ხალხის ნაწილს, როგორც ჩვენი საზოგადოების გარკვეული კლასების მომწიფებულ საჭიროებათა გამომხატველთ. თქვენ დაინახავთ, რომ ჯარისკაცები, რომლებიც პოლიტიკურად ყველაზე ნაკლებ განვითარებულ გლეხობასთან ყველაზე უფრო ახლო დგანან და რომლებსაც უფროსები გამუდმებით აბეჩავებენ, აყეყეჩებენ და სამხედრო წრთვნით ქანცს უწყვეტენ, — რომ ეს ჯარისკაცები, ეს «უბირი პირუტყვები», თავიანთ მოთხოვნებში კადეტურ პროგრამებზე გ ა ც ი ლ ე ბ ი თ უ ფ რ ო შ ო რ ს მ ი დ ი ა ნ!

კადეტებსა და კადეტურ სათათბიროს უყვართ თავი მოგვაჩვენონ საერთო-სახალხო მოთხოვნების გამომხატველებად. ბევრ გულუბრყვილო ადამიანს სჯერა ეს. მაგრამ შეხედეთ ფაქტებს, ხალხის ფართო მასების ნამდვილ მოთხოვნებს, ნამდვილ ბრძოლას, — და დაინახავთ, რომ კადეტები და კადეტური სათათბირო კ ვ ე ც ა ვ ე ნ საზოგადოებრივ მოთხოვნებს, ამახინჯებენ მათ.

შეხედეთ ფაქტებს. პრეობრაჟენსკის პოლკის ჯარისკაცებმა წამოაყენეს მოთხოვნა — მხარი დავუჭიროთ შრომის ჯგუფს მიწისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში. დაიხსომეთ: მხარი დავუჭიროთ არა სათათბიროს, არამედ შრომის ჯგუფს, — სწორედ იმას, რომელსაც კადეტები ბრალად სდებდნენ სახელმწიფო სათათბიროს «უხეშად შეურაცხყოფას» ოცდაცამეტთა აგრარული პროექტით მიწის კერძო საკუთრების მოსპობის შესახებ[27]! ჯარისკაცები, ცხადია, კადეტებზე უფრო შორს მიდიან: «უბირ პირუტყვს» მ ე ტ ი უნდა, ვიდრე განათლებულ ბურჟუაზიას...

პეტერბურგის ერთერთი ქვეითი პოლკის მოთხოვნები: «...სახელმწიფო სათათბიროში ჩვენგან, ჯარისკაცებისაგან, არჩეული უნდა იყვნენ დეპუტატები, რომლებიც დაიცავდნენ ჩვენს, ჯარისკაცთა, საჭიროებებს». ჯარისკაცებს არ უნდათ პოლიტიკის გარეშე დარჩნენ. ჯარისკაცები არ ეთანხმებიან კადეტებს. ჯარისკაცები აყენებენ ისეთ მოთხოვნას, რომელიც აშკარად ნიშნავს კასტური არმიის, ხალხისაგან მოწყვეტილი არმიის მოსპობას და მის შეცვლას სრულუფლებიან მოქალაქეთა არმიით. ეს კი ხომ მუდმივი არმიის მოსპობა და ხალხის შეიარაღება არის.

ვარშავის ოლქის ჯარისკაცები მოითხოვენ დამფუძნებელ კრებას. ისინი მოითხოვენ, რომ ჯ ა რ ი ს კ ა ც ე ბ ს ჰქონდეთ თავისუფლება კრებებისა და კავშირებისა «სრულიად ნებადაურთველად და ოფიცერთა დაუსწრებლად». ისინი მოითხოვენ, რომ ჯარისკაცმა თავის «სამშობლოში მოიხადოს სამხედრო ბეგარა», მოითხოვენ უფლებას — ატარონ სამოქალაქო ტანისამოსი სამსახურგარეთ, უფლებას — იყოლიონ ჯ ა რ ი ს კ ა ც თ ა ა რ ჩ ე უ ლ ი პ ი რ ნ ი ჯარისკაცთა კმაყოფის გამგედ, ჯარისკაცთა მცირე დანაშაულთა გამრჩევ სასამართლოთა შესადგენად.

რა არის ეს? განა ჰგავს კადეტურ წარმოდგენებს სამხედრო რეფორმაზე? თუ, პირიქით, ეს მთლად უდგება საყოველ-

თაო-სახალხო და სავსებით დემოკრატიული მილიციის შექმნას?

ჯარისკაცნი ბატონ განათლებულ ბურჟუებზე უკეთ გამოხატავენ ნამდვილად სახალხო მოთხოვნებს, რომლებსაც იზიარებს ხალხის უდიდესი უმრავლესობა. ჯარში გაჩაღებული მოძრაობის ხასიათი და ძირითადი თვისებანი კადეტების ტაქტიკაზე უფრო უტყუარად გამოხატავენ განმათავისუფლებელი ბრძოლის იმ ფორმებს, რომლებიც მთავარი და ძირითადია ახლანდელ პირობებში. მუშათა და გლეხთა მოძრაობა კიდევ უფრო მეტი სიძლიერით ადასტურებს ამას. და ჩვენი ამოცანაა კი არ შევკვეცოთ ეს მოძრაობა უბადრუკი კადეტური პოლიტიკის ვიწრო ჩარჩოებით, კი არ დავაკნინოთ იგი უბადრუკ კადეტურ ლოზუნგებთან შეგუებით, არამედ მხარი დავუჭიროთ, გავაფართოოთ, გავავითაროთ ნამდვილად თანამიმდევარი, გაბედული და მებრძოლი დემოკრატიზმის მიმართულებით.

«ეხო» № 10, 1906 წ. 2 ივლისი

იბეჭდება გაზეთ «ეხოს» ტექსტის მიხედვით

ჟურნალ-გაზეთებს შორის

ბატონი კადეტები განაგრძობენ გულუბრყვილოდ «ვერ გაგებას». მათგან თითქმის ყველაზე უფრო დაჟინებით განაგრძობს «ვერ გაგებას» ბ-ნი იზგოევი. შელახული უმანკოების ტონით იგი აღშფოთებას გამოთქვამს «ბატონ ბოლშევიკების» მიმართ კადეტებზე თავდასხმის გამო.

«სახალხო თავისუფლების» პარტია არავის მოატყუებს. არავისა აქვს უფლება მოსთხოვოს მას იმაზე მეტი, რაც აღნიშნულია პარტიულ ყრილობათა მიერ მოწონებულ პროგრამასა და ტაქტიკაში. არც შეიარაღებული აჯანყება, არც მონარქიის დამხობა — ამ პროგრამასა და ტაქტიკაში არ არის. ბოლშევიკები ანგარიშს უნდა უწევდნენ იმ პარტიას, რომელიც ნამდვილად არსებობს, და მათი მხრივ, ცოტა არ იყოს, უცნაურია უწყრებოდნენ იმ ადამიანებს, რომლებიც მათ სიმართლეს ეუბნებიან და რომლებსაც არ სურთ მათი კარნახით იმოქმედონ».

დიახ, ბ-ნო იზგოევ; ჩვენ სწორედ «ანგარიშს ვუწევთ იმ პარტიას, რომელიც ნამდვილად არსებობს». თქვენ განაგრძობთ «ვერ გაგებას?» ამავე დროს კი საქმე მარტივია: «სახალხო თავისუფლების პარტიის» პ რ ო გ რ ა მ ა ბურჟუაზიული პარტიისათვის სრულიადაც არ არის ურიგო. ჩვენ ამას, დაიხსომეთ, საესებით სერიოზულად ვამბობთ.

იქ (პ რ ო გ რ ა მ ა შ ი, ბ-ნო იზგოევ!) არის, მაგალითად, სიტყვის თავისუფლება, კრებების თავისუფლება, არის ძალიან ბევრი კარგი რამ. მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია კადეტებისათვის შეემუშავებინათ საკატორღო კანონპროექტები სიტყვის თავისუფლების წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ა ც, კრებების თავისუფლების წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ა ც და სხვა კარგი რამეების წინააღმდეგაც.

რაც შეეხება ტაქტიკას...

პარტიულმა ყრილობებმა რომ ძალიან მოიწონეს ტაქტიკა: «ან გამარჯვებით დაბრუნება, ან სიკვდილი», «ან სახელოვანი სიკვდილი, ან ნაძრახი სიკვდილი», — ეს მართალია. მაგრამ კადეტების ტაქტიკას არა ყრილობებზე, არამედ სინამდვილეში — რაღაც სხვა სუნი უდის. თქვენ შეიარაღებული აჯანყების წინააღმდეგი ხართ? ამის სრული უფლება გაქვთ, ბატონებო, მაგრამ თქვენ ხომ შ ე უ პ ო ვ ა რ ი, შ ე უ რ ი გ ე ბ ე ლ ი ო პ ო ზ ი ც ი ი ს მომხრენი ხართ, თქვენ ხომ იმის მომხრენი ხართ, რომ ძალაუფლება ხალხის ხელში გადავიდეს მონარქის დროს, რომელიც მეფობს, მაგრამ კი არ მართავს? მაშ რისთვისღა ვ ა ჭ რ ო ბ თ თქვენ სამინისტრო პორტფელებზე? აი, ამიტომ არის, ბ-ნო იზგოევ, რომ ჩვენ სწორედ «ანგარიშს ვუწევთ იმ პარტიას, რომელიც ნამდვილად არსებობს» და არა ქაღალდზე. თქვენ რომ ს ა ვ ს ე ბ ი თ ისე იბრძოდეთ, როგორც გიკარნახებენ თქვენი პროგრამა და ტაქტიკა, «პარტიული ყრილობების მიერ მოწონებულნი», მაშინ ჩვენ თქვენთან სხვანაირი ლაპარაკი გვექნებოდა.

ბ-ნ იზგოევის სტატიაში კიდევ ბევრი რამ არის საგულისხმო. მაგრამ, საერთოდ რომ ითქვას, იგი ამხ. ა. ლ-ის[28] ლიტერატურული საკუთრებაა. ჩვენ განზრახვა არა გვაქვს შეეცილოთ მას.

«ეხო» № 10, 1906 წ. 2 ივლისი

იბეჭდება გაზეთ «ეხოს» ტექსტის მიხედვით

მასების ორგანიზაციაზე და ბრძოლის მომენტის შერჩევაზე [29]

დღეს ჩვენ ვათავსებთ ამხანაგ ხრუსტალევის სტატიას მუშათა დეპუტატების საბჭოების შექმნის დროიანობის შესახებ. საჭირო არ არის ვილაპარაკოთ იმაზე, რომ სტატიის ავტორის სახელი გარანტიას წარმოადგენს, რომ იგი ძალიან ახლოს იცნობს საკითხს. ყველა პეტერბურგელმა მუშამ იცის ეს. მათ იციან აგრეთვე, რომ სწორედ ახლა მუშათა დეპუტატების საბჭოს შექმნის საკითხი ფრიად ცხოველად აინტერესებს სატახტო ქალაქის პროლეტარიატს.

ამხ. ხრუსტალევის პოლემიკას ჩვენი პარტიის პეტერბურგის კომიტეტის გადაწყვეტილების წინააღმდეგ ასეთ პირობებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ჩვენ ვერ დავეთანხმებით ამხ. ხრუსტალევს. ამაოდ იცავს იგი, თითქოს პეტერბურგის კომიტეტის წინააღმდეგ, მუშათა დეპუტატების საბჭოების იდეას საერთოდ და მათს ისტორიულ როლს 1905 წლის დამლევს. ტყუილად ამბობს იგი უარს, რომ საბჭოს ანგარიშში ჩაუთვალოს დეკემბერი. ჩვენ ამას უყოყმანოდ ვიზამდით, — მაგრამ, რა თქმა უნდა, არა «დებეტის» ნაწილში ჩავწერდით დეკემბერს, არამედ «კრედიტის» ნაწილში. მუშათა დეპუტატების საბჭოების უდიდეს და ჯერ კიდევ სრულიად არასაკმაოდ დაფასებულ დამსახურებად ჩვენ სწორედ მათი საბრძოლო როლი მიგვაჩნია.

მაგრამ მუშათა დეპუტატების საბჭო თ ა ვ ი ს ე ბ უ რ ი მებრძოლი ორგანიზაცია იყო, და ორგანიზაციის სარგებლობის

ზოგადი სიტყვებით ოდნავადაც წინ ვერ წაიწევს საკითხი, თუ რამდენად სასარგებლოა ეს თ ა ვ ი ს ე ბ უ რ ი ორგანიზაცია ა ხ ლ ა ნ დ ე ლ მომენტში. «საბჭო რევოლუციური პროლეტარიატის რევოლუციური პარლამენტი იყოო», — წერს ამხ. ხრუსტალევი. მართალია. საბჭოს დამახასიათებელია სწორედ ეს, სრულიადაც არა ტექნიკური საბრძოლო როლი. საბჭოს როლი, როგორც პროფესიული კავშირების ორგანიზატორისა, როგორც ანკეტების ინიციატორისა, როგორც მომრიგებელი კამერისა და სხვ., მხოლოდ დამხმარე, მეორეხარისხოვანი იყო. სავსებით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ამ როლების შესრულება უსაბჭოოდაც. მაგრამ საყოველთაო გაფიცვა საეჭვოა შესაძლებელი იყოს მასობრივი უპარტიო საგაფიცვო კომიტეტის გარეშე. საბჭო წარმოშვა უ შ უ ა ლ ო მასობრივი ბრძოლის საჭიროებამ, როგორც ამ ბრძოლის ორგანო. ეს ფაქტია. მხოლოდ ეს ფაქტი გვაგებინებს ჩვენ საბჭოს თ ა ვ ი ს ე ბ უ რ როლსა და ნამდვილ მნიშვნელობას. სწორედ ამ ფაქტს აღნიშნავს სიტყვა «საბრძოლო» პეტერბურგის კომიტეტის რეზოლუციაში.

არც არავის მოუვიდოდა ფიქრად მუშათა დეპუტატების საბჭოს შექმნა ანკეტებისათვის, პროფესიული კავშირების განვითარებისათვის და სხვ. ს ა ბ ჭ ო ს შ ე ქ მ ნ ა ნ ი შ ნ ა ვ ს პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს უ შ უ ა ლ ო მ ა ს ო ბ რ ი ვ ი ბ რ ძ ო ლ ი ს ო რ გ ა ნ ო ე ბ ი ს შ ე ქ მ ნ ა ს. ასეთი ორგანოები არ შეიძლება შეიქმნას ყოველ მომენტში, მაშინ როცა პროფესიული კავშირები და პოლიტიკური პარტიები საჭიროა ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს და უ ც ი ლ ო ბ ლ ა დ, შეიძლება და უნდა იქმნებოდეს კიდეც ყოველგვარ პირობებში. ამიტომ პეტერბურგის კომიტეტთან შედავება საერთოდ ორგანიზაციების მნიშვნელობაზე მითითებით — დიდი შეცდომაა. ამიტომ შემცდარია აგრეთვე იმაზე მითითებაც, რომ ყველა სოციალ-დემოკრატი იცავს გლეხთა მიწათმომწყობი კომიტეტების იდეასაო: ეს კომიტეტები განზრახულია სწორედ აგრარული რე-

ფორმის საყოველთაო განხილვასთან დ ა კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ, უკვე მზარდ აგრარულ მოძრაობასთან დ ა კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ.

მაგრამ ამ კომიტეტებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ «ნაადრევი» გამოსვლა! — ირონიულად ამბობს ამხ. ხრუსტალევი. აი საქმეც ის არის, რომ მუშათა და გლეხთა გამოსვლებს შორის არსებითი განსხვავებაა სწორედ ამჟამად. გლეხთა ფართო გამოსვლა ამჟამად ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა აღმოჩნდეს «ნაადრევი», მუშათა ფართო გამოსვლა კი — ძალიანაც შეიძლება. მიზეზი გასაგებია: მუშათა კლასმა თავისი პოლიტიკური განვითარებით გ ა უ ს წ რ ო გლეხობას, ხოლო გლეხობა სრულიად რუსეთის რევოლუციური გამოსვლისათვის თავისი მზადყოფნის მხრივ ჯერ კიდევ ვ ე რ დ ა ს წ ე ვ ი ა მუშათა კლასს. იგი ეწევა მას სულ მუდამ დეკემბრის შემდეგ და მნიშვნელოვნად დეკემბრის მეოხებით (რაც უნდა ილაპარაკონ სულმოკლე პედანტებმა, რომლებიც მზად არიან სათანადოდ ვერ დააფასონ დეკემბერი ან უარყონ კიდეც დეკემბერი). იგი დაეწევა მას კ ი დ ე ვ უ ფ რ ო ჩ ქ ა რ ა ადგილობრივი საადგილმამულო კომიტეტების დახმარებით. დააშურო არიერგარდი, რომელმაც უკანასკნელ ბრძოლაში ვერ მოუსწრო დახმარებოდა ავანგარდს, უეჭველად სასარგებლოა და არანაირად არ არის სახიფათო. დააშურო ავანგარდი, რომელსაც უკანასკნელ ბრძოლაში ვერ მოუსწრო არიერგარდმა დასახმარებლად, უეჭველად სახიფათოა, და შვიდჯერ უნდა გაზომო, ვიდრე ამას იზამდე.

აი ეს თავისებური პოლიტიკური ვითარება ვერ გაითვალისწინა, ჩვენი აზრით, ამხ. ხრუსტალევმა. ის ათასჯერ მართალია საერთოდ საბჭოების დამსახურებისა და მნიშვნელობის შეფასებაში. ის მართალი არ არის ახლანდელი მომენტისა და გლეხთა და მუშათა გამოსვლების თანაფარდობის შეფასებაში. მას, ეტყობა, ავიწყდება პეტერბურგის კომიტეტის სხვა წინადადება, წამოყენებული სხვა რეზოლუციაში: მხარი დაეჭიროს იმ იდეას, რომ სათათბიროს მემარცხენე ჯგუფებიდან შეიქმნას აღმასრულებელი კომიტეტი ხალხის თვითნებური ორგანი-

ზაციების საქმიანობის გასაერთიანებლად *. ასეთ კომიტეტში შესაძლებელი იქნებოდა უფრო ზუსტად ყოფილიყო დადგენილი, თუ რა დონეზეა მთლიანად გლეხობის მზადყოფნა და სიმტკიცე, ხოლო ამის მიხედვით შეიძლებოდა პრაქტიკულ ნიადაგზე დასმულიყო მუშათა დეპუტატების საბჭოების შექმნაც. სხვანაირად რომ ვთქვათ: პეტერბურგის კომიტეტი ახლა ცდილობს უფრო მეტის მიღწევას, არა მარტო პროლეტარიატის მებრძოლი ორგანიზაციების შექმნას, არამედ მათ კოორდინირებას, შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა ს გლეხობის მებრძოლ ორგანიზაციებთან და ა. შ.. პეტერბურგის კომიტეტი იმიტომ კი არ ა ყ ო ვ ნ ე ბ ს ახლა მუშათა დეპუტატების საბჭოების შექმნას, რომ იგი მათს უდიდეს მნიშვნელობას არ აფასებდეს, არამედ იმიტომ, რომ მას სურს გაითვალისწინოს კიდევ ერთი ახალი, ამჟამად განსაკუთრებით ნათლად გამოვლენილი, პ ი რ ო ბ ა წ ა რ მ ა ტ ე ბ ი ს ა, სახელდობრ, რევოლუციური გლეხებისა და მუშების ერთობლივი მოქმედება. მაშასადამე, პეტერბურგის კომიტეტი ოდნავადაც არ იბორკავს ხელ-ფეხს და წინასწარ სრულიადაც არ განსაზღვრავს ხვალინდელი დღის ტაქტიკას. პეტერბურგის კომიტეტი ა მ წ უ თ შ ი ურჩევს ავანგარდს: ნუ ჩაებმები ბრძოლაში, ჯერ გაგზავნე დელეგატები არიერგარდთან; ხვალ არიერგარდი უფრო მოახლოვდება, იერიში უფრო ერთსულოვანი იქნება, ხვალ ჩვენ მოვასწრებთ უფრო დროიანი ლოზუნგი წამოვაყენოთ სამოქმედოდაო.

ვამთავრებთ. ამხანაგმა ხრუსტალევმა, საერთოდ რომ ვთქვათ, უაღრესად დამარწმუნებელი საბუთები წამოაყენა საბჭოების შექმნის დასაცავად. საბჭოების ზოგადი მნიშვნელობა მან საუცხოოდ შეაფასა. მისი ბრძოლა უმთავრესად მიმართულია საბჭოების როლის დაკნინების წინააღმდეგ, საერთოდ რევოლუციური გამოსვლების მნიშვნელობის დაკნინების წინააღმდეგ, და ამ ბრძოლაში ამხ. ხრუსტალევი სავსებით მართალია. ასეთი «დამკნინებელნი» ცოტანი როდი არიან ჩვენში არა მარტო კადეტებს შორის. მაგრამ ამხ. ხრუსტალევმა, რო-

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 10, გვ. 628 — 629. რ ე დ.

მელიც ჯალათებისა და დამრბევების მიზეზით მოწყვეტილია მუდმივსა და მჭიდრო ურთიერთობას პროლეტარიატთან, ვერ შესძლო სავსებით შეეფასებინა ა ხ ლ ა ნ დ ე ლ ი მ ო მ ე ნ ტ ი და რევოლუციური ძალების ა ხ ლ ა ნ დ ე ლ ი «დისპოზიცია». დ ღ ე ს ავანგარდმა მთავარი ყურადღება უნდა მიმართოს არა უშუალო გამოსვლისაკენ, არამედ არიერგარდთან და ყველა დანარჩენ რაზმთან უმჭიდროესი კავშირის განმტკიცებისა და გაფართოებისაკენ.

«ეხო» № 11, 1906 წ. 4 ივლისი

იბეჭდება გაზეთ «ეხოს» ტექსტის მიხედვით

ჟურნალ-გაზეთებს ფოკრის

«ეხოს» მე-9 ნომერში მოთავსებულმა ჩვენმა შენიშვნებმა ბოიკოტის ისტორიული როლის შეფასებისა და უპარტიო რევოლუციური ორგანიზაციების მნიშვნელობის შესახებ* დამახასიათებელი პასუხი გამოიწვიეს ბურჟუაზიული დემოკრატიის უკიდურესი მემარჯვენე და უკიდურესი მემარცხენე ფრთის მხრივ.

გაზეთ «მისლს», როგორც მოსალოდნელიც იყო, ეწყინა სიტყვა: «ბურჟუაზიული დემოკრატია» და გაჯავრებული გვერდს უვლის საკითხის არსს. იგი წერს:

„«მუშათა დეპუტატების საბჭოებშიც» კი, წმინდა პროლეტარულ, კლასობრივ ორგანიზაციაში, «ეხო» პოულობს «ბურჟუაზიულ დემოკრატიას»... ამაზე შორს, მგონია, ვერსად წახვალ».

გაიხსენეთ, ბატონო რადიკალებო, რომ მუშათა დეპუტატების საბჭოები მეტწილად «წმინდა პროლეტარულნი» არ რჩებოდნენ. ისინი თავის შემადგენლობაში ხშირად იღებდნენ ჯარისკაცთა, მატროსთა, მოსამსახურეთა, გლეხთა დეპუტატებს. განა არა სჯობია პ ი რ დ ა პ ი რ თქვათ, თუ რატომ არ გიყვართ ცნება: «ბურჟუაზიული დემოკრატია», ვიდრე უთანხმოებას კილო გამოაბათ და გვერდი აუქციოთ?

გაზეთი «რეჩი» მთლად ჰკარგავს წონასწორობას. ჩვენს წინააღმდეგ მიმართული შენიშვნის დასაწყისში კადეტი თეთრი ხელთათმანებით გამოდის, — მას «არა სურს რაიმე საწყენი თქვას». რა ჯენტლმენები არიან! მაგრამ შენიშვნის ბოლოში

* იხ. ეს ტომი, გვ. 75 — 81. რ ე დ.

კადეტი იგინება, როგორც... როგორც უბნის ზედამხედველი პოლიციელი. ჩვენი შეფასება ბოიკოტისა «მასხარობად ან მთლად სიბრიყვედ» არის მონათლული. ოჰ, კადეტურო ჯენტლმენობავ!

«რეჩი» წერს:

«ყოველ შემთხვევაში, ჩავწეროთ, რომ ბოლშევიკების ტაქტიკა მ ი ზ ნ ა დ ი ს ა ხ ა ვ დ ა სათათბიროს მოწვევისათვის ბრძოლას. და მკერდზე ხელის ცემა ბოიკოტის აუცილებლობის შესახებ მხოლოდ ა მ ო ც ა ნ ა დ ი ს ა ხ ა ვ დ ა მთავრობის შეცდომაში შეყვანას».

კმარა, ბატონო ჯენტლმენებო! თქვენ ჩინებულად მიხვდით, რომ ჩვენი აზრი სულ სხვა იყო. ბოიკოტის მიზანი იყო ვიტეს სათათბიროს ჩაშლა ისევე, როგორც ჩაშლილ იქნა ბულიგინის სათათბირო. ბოიკოტმა თუმცა ვერ მიაღწია თ ა ვ ი ს, ე. ი. პირდაპირსა და უშუალო მიზანს, მაგრამ ა რ ა პ ი რ დ ა პ ი რ ი სარგებლობა მოიტანა, სხვათა შორის, იმით, რომ მთავრობის ყურადღება დაქსაქსა. რევოლუციური ტაქტიკა აქაც, ისევე როგორც ყოველთვის, ყველაზე უკეთ ავითარებდა პროლეტარიატის შეგნებასა და ბრძოლისუნარიანობას და ამავე დროს არაპირდაპირ უზრუნველყოფდა სანახევრო რეფორმებს იმ შემთხვევაში, თუ სრული გამარჯვება არ იქნებოდა მიღწეული.

«ეხო» № 11, 1906 წ. 4 ივლისი

იბეჭდება გაზეთ «ეხოს» ტექსტის მიხედვით

გაბედული იერიში და გაუბედავი დაცვა

დიდი ხანია ცნობილია, რომ რეაქციონერები გაბედული ადამიანები არიან, ლიბერალები კი — მხდალები.

ამ ძველი ჭეშმარიტების ახალ დადასტურებას იძლევა კადეტური პროექტი სახელმწიფო სათათბიროს მიმართვისა ხალხისადმი მიწის საკითხის გამო. სამწუხაროდ, შრომის ჯგუფელების პროექტიც კადეტურზე უკეთესი არ არის: შრომის ჯგუფელები ამჯერად სრულიად უმწეოდ მისჩანჩალებენ კუდში ლიბერალურ ბურჟუაზიას. იქნებ საქმეს სათათბიროს სოციალ-დემოკრატებმა უშველონ?

გაიხსენეთ, როგორ წარმოიშვა მთელი საკითხი სახელმწიფო სათათბიროს ამ მიმართვისა ხალხისადმი. საპასუხო ადრესში სახელმწიფო სათათბირომ მხარი დაუჭირა კერძო მფლობელთა მიწების იძულებით განსხვისებას გლეხობის სასარგებლოდ. გორემიკინის სამინისტრომ უპასუხა მოკლედ, ნათლად, საუცხოო სიმტკიცითა და გადაჭრით: «დ ა უ შ ვ ე ბ ე ლ ი ა».

მაგრამ სამინისტრო ამ უხეშ-პოლიციურ უარს არ დასჯერდა. არა, მინისტრებს ზოგი რამ ასწავლა რევოლუციამ. მინისტრებს არ უნდათ თავისი მოვალეობანი ამოსწურონ ფორმალური პასუხით სათათბიროს ფორმალურ კითხვებზე. რეაქციონერები ფორმალისტები როდი არიან, ისინი საქმის კაცნი არიან. მათ იციან, რომ ნამდვილი ძალა სათათბიროში კი არ არის, არამედ ხალხშია. მათ უნდათ აგიტაცია გასწიონ ხ ა ლ ხ შ ი. მათ, სრულიად დაუყოვნებლივ, ძვირფასი დროის დაუკარგავად, შეადგინეს მ ი მ ა რ თ ვ ა ხ ა ლ ხ ი ს ა დ მ ი. სწორედ მთავრობის ამ ცნობამ (20 ივლისის თარიღით) წარმოშვა

აზრი ხალხისადმი სათათბიროს მიმართვისა. მთავრობამ უჩვენა გზა. სათათბირო ჩანჩალით უკან გაჰყვა მთავრობას, რაკი მან ვერ შესძლო უფრო ადრე დასდგომოდა ნამდვილი სახალხო წარმომადგენლობის შესაფერ გზას.

როგორ იყო შედგენილი მთავრობის ცნობა? როგორც რეაქციული მონარქისტული პარტიის ნამდვილი საბრძოლო მანიფესტი. დიახ, რეაქციონერები არაფერს ერიდებიან! მათ შეუძლიათ მებრძოლის ენით წერა. ისინი თავიანთ «ცნობაში» პირდაპირ ლაპარაკობენ მ თ ა ვ რ ო ბ ი ს სახელით. მართლაც, რა საჭიროა აქ მობოდიშება? ეს ლიბერალური პროფესორები ირწმუნებიან, ჩვენ კონსტიტუციური წყობილების პირობებში ვცხოვრობთ, სათათბიროც მთავრობის ნაწილიაო. დაე ილაყბონ პროფესორებმა! დაე მიაძინონ ხალხი კონსტიტუციური თავშესაქცევით! ჩვენ, რეაქციონერები, საქმის კაცნი ვართ. ჩვენ ვიცით, რომ ნ ა მ დ ვ ი ლ ი მთავრობა — ეს ჩვენა ვართ. ჩვენ ასეც ვამბობთ, ხოლო ამ ლიბერალური პედანტების ხრიკიანობასა და ფორმალიზმს ვაფურთხებთ. ჩვენ პირდაპირ და აშკარად ვამბობთ: გლეხებო, თქვენ არ გესმით თქვენი სარფა. იძულებითი განსხვისება თქვენთვის სახეირო არ არის, და ჩვენ, მთავრობა, მას ა რ დ ა ვ უ შ ვ ე ბ თ. გლეხთა მთელი მითქმა-მოთქმა მიწის შესახებ სიცრუეა, მოტყუებაა. გლეხობისათვის ყველაზე უკეთ მთავრობა ზრუნავს. მას ახლაც უნდა ნასუფრალი გაიღოს. გლეხებმა კი დაე იცოდნენ, რომ «არა შფოთისა და ძალადობისაგან» უნდა მოელოდნენ ისინი გაუმჯობესებას, არამედ «მშვიდობიანი შრომისაგან» (უნდა დაემატებინათ — მემამულეებისათვის შრომისგან) და გლეხობაზე ჩვენი თვითმპყრობელი მთავრობის მუდმივი ზრუნვისაგან.

ასეთი იყო მთავრობის ცნობა. ეს ომის ნამდვილი გამოცხადებაა რევოლუციის წინააღმდეგ. ეს რეაქციული თვითმპყრობელობის ნამდვილი მანიფესტია ხალხისადმი: არ მოვითმენ! შეგმუსრავ!

ახლა კადეტებსა და ამჯერად კადეტებისაგან სავსებით დატყვევებულ შრომის ჯგუფელებს განუზრახავთ პასუხი გასცენ მთავრობის გამოწვევას. დღეს გამოქვეყნებულია კადეტების პროექტი და შრომის ჯგუფელების პროექტი. რა საცოდავ, ჭეშმარიტად უბადრუკ შთაბეჭდილებას ახდენს ორივე ეს პროექტი!

რეაქციული კამარილია არ ერიდება ნაკუწნაკუწ აქციოს კანონი და მთავრობის ფორმალური ნ ა წ ი ლ ა კ ი მთავრობის რეალურ მ თ ე ლ ა დ გამოაცხადოს. კადეტები და შრომის ჯგუფელები, ვით შჩედრინის ყოვლად ბრძენი კლდის თევზები, კანონის დუმფარას ეფარებიან: ჩვენ უკანონოდ გვირტყამენ, წუწუნებენ ეს, უკაცრაული პასუხია, «ხალხის» წარმომადგენლები, ჩვენ კი კანონით ვიცავთ თავსაო! სათათბირო კანონის მიხედვით მოქმედებს და მხარს უჭერს იძულებითს განსხვისებას. კანონის მიხედვით, სათათბიროს დაუთანხმებლად, «მთავრობის არავითარ განზრახულობას არ შეიძლება ძალა ჰქონდესო». კანონის მიხედვით ჩვენ გვყავს კომისია, დიდი კომისია, 99 კაცი... იგი ამუშავებს «გულდასმით მოფიქრებულ და სწორად შედგენილ კანონს»... მოსახლეობა კი დაე «წყნარად და მშვიდად დაელოდოს ასეთი კანონის გამოსაცემად წარმოებული მუშაობის დამთავრებას» (შრომის ჯგუფელებმა ამოაგდეს ეს, ყოვლად უხამსი ბრიყვული ბოლო! სინდისი ამეტყველდა. სამაგიეროდ მათ ჩაურთეს მითითება «ადგილობრივ საადგილმამულო დაწესებულებათა» მოწყობაზე და გ ა მ ც ე მ ლ უ რ ა დ ა რ ა ფ ე რ ი თ ქ ვ ე ს იმაზე, რომ სათათბიროს, ესე იგი, მის კადეტურ უმრავლესობას, აშკარად სურს ამ დაწესებულებათა მ ე მ ა მ უ ლ უ რ-მ ო ხ ე ლ უ რ ა დ მოწყობა).

სირცხვილი და თავის მოჭრაა, ბატონო ხალხის წარმომადგენლებო! სირცხვილია თავი ისე მოგქონდეთ, თითქოს არ გესმოდეთ ის, რაც ახლა ჩამორჩენილ რუს გლეხსაც კი ესმის, სახელდობრ: რომ ქაღალდზე დაწერილი კანონი და ცხოვრების სინამდვილე ძირიან-ფესვიანად დაშორდნენ ერთმანეთს რუსეთში, რომ ვითომდა-კონსტიტუციური, სასტიკად კანონს

დაქვემდებარებული მუშაობის მშვიდობიანი გზით შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა მიაღწიო მთელი მიწის ნამდვილად გადასვლას გლეხთა ხელში და სრულ თავისუფლებას მთელი ხალხისათვის. არ უნდა გეკისრნათ სამინისტროსათვის პასუხის გაცემა, თუ არ შეგწევდათ და არ შეგწევთ გამბედაობა წეროთ ისევე მტკიცედ, ილაპარაკოთ ისევე აშკარად თქვენი, რევოლუციური, სიმართლე კამარილიის რეაქციული ს ი მ ა რ თ ლ ი ს პასუხად. ხალხისადმი მიმართვა გათვალისწინებული არ არის კანონებით სათათბიროს შესახებ: მაშ თქვენთვისვე შეინახეთ, ბრძენთა ბრძენო მეკანონენო, თქვენი «შეკითხვები» და ნუ ეჩრებით ისეთ სფეროში, სადაც თქვენ არ შეგწევთ არც გამბედაობა, არც პირდაპირობა, არც უნარი — შეეჭიდოთ რეაქციონერებს, საქმიან ადამიანებს, ბრძოლისუნარიან ადამიანებს!

ხოლო თუ წერთ ხალხისადმი მიმართვას, უნდა წეროთ სიმართლე, მთელი სიმართლე, უაღრესად მწარე და სრულიად შეუფერადებელი სიმართლე. უნდა უთხრათ ხალხს:

გლეხებო! სამინისტრომ გამოსცა თავისი მიმართვა თქვენდამი. მინისტრებს არც მიწის მოცემა უნდათ თქვენთვის, არც თავისუფლებისა. მინისტრები მოურიდებლად ლაპარაკობენ მთელი მთავრობის სახელით, ლაპარაკობენ სათათბიროს წინააღმდეგ, თუმცა სათათბირო ქაღალდზე მთავრობის ნაწილად ითვლება.

გლეხებო! მინისტრები სინამდვილეში წარმოადგენენ რუსეთის სწორედ თვითმპყრობელ მთავრობას. თქვენს სახალხო წარმომადგენლებს სათათბიროში ისინი არაფრად აგდებენ, დასცინიან მათ, აჭიანურებენ საქმეს პოლიციურ-კანონიერი ხრიკიანობით. ისინი აბუჩად იგდებენ ხალხის მოთხოვნებს, როცა განაგრძობენ, თითქოს აქ არაფერიაო, მკვლელობის, ძალადობის, ძარცვისა და რბევის ძველ პოლიტიკას.

გლეხებო! იცოდეთ, რომ სათათბირო უძლურია მოგცეთ თქვენ მიწა და თავისუფლება. სათათბირო ხელფეხშეკრულია პოლიციური მთავრობის კანონებით. უნდა მიაღწიოთ იმას,

რომ ხალხის წარმომადგენლებს ხელთ ჰქონდეთ სრული ძალაუფლება, მთელი სახელმწიფოებრივი ძალაუფლება. თქვენ მიწა და თავისუფლება გინდათ? მიაღწიეთ საყოველთაო სახალხო დამფუძნებელი კრების მოწვევას, მიაღწიეთ ძველი ხელისუფლების სავსებით გადაყენებას ყველგან, არჩევნების სრულ თავისუფლებას!

გლეხებო! იცოდეთ, რომ თქვენ არავინ გაგათავისუფლებთ, თუ თვითონ არ გაითავისუფლეთ თავი. მუშებმა ეს შეიგნეს, და მათ თავიანთი ბრძოლით ხელიდან გამოგლიჯეს 17 ოქტომბრის დათმობანი. შეიგნეთ ეს თქვენც. მხოლოდ მაშინ გახდებით რევოლუციური ხალხი, ე. ი. ისეთი ხალხი, რომელმაც იცის, თუ რისთვის უნდა იბრძოლოს, ხალხი, რომელსაც შეუძლია ბრძოლა, ხალხი, რომელსაც შეუძლია დაამარცხოს მჩაგვრელნი. მაშ გამოიყენეთ სათათბიროში წარგზავნილი თქვენი დეპუტატები, სათათბიროში გაგზავნილი თქვენი წარმომადგენლები, უფრო მჭიდროდ და უფრო ერთსულოვნად გაერთიანდით მთელს რუსეთში და მოემზადეთ დიადი ბრძოლისათვის. უბრძოლველად არც მიწა იქნება და არც თავისუფლება. უბრძოლველად თქვენ თავს მოგახვევენ გამაჩანაგებელ გამოსაყიდს, თავს მოგახვევენ მემამულეთა და მოხელეთა საადგილმამულო კომიტეტებს, რომლებიც ისევე მოგატყუებენ და გაგძარცვავენ, როგორც 1861 წელს.

გლეხებო! ჩვენ ვაკეთებთ ყოველივეს, რაც კი შეგვიძლია თქვენთვის სათათბიროში. თვითონვე მოათავეთ თქვენი საქმე, თუ მართლაც გწადიათ, რომ რუსეთში აღარ იყოს ისეთი წესწყობილება, როგორიც რჩება ახლაც, სათათბიროს შემდეგ.

* * *

მაგრამ სასაცილოა სათათბიროში ასეთი მიმართვის წამოყენებაც კი.

მართლა? განა, პირიქით, ის არ არის სასაცილო, რომ წერო «ხალხისადმი მიმართვა» დახავსებული რუსეთელი ვექილის იმ

გახევებული ენით, რომლითაც წერენ კადეტები და (და მათდა სამარცხვინოდ უნდა ვთქვათ) შრომის ჯგუფელები? ხალხია სათათბიროსათვის, თუ სათათბირო ხალხისათვის? თავისუფლება სათათბიროსათვის არის, თუ სათათბირო თავისუფლებისათვის?

* * *

დაე წაიკითხონ გლეხთა რომელიც გნებავთ კრებაზე კადეტების მიმართვა, შრომის ჯგუფელების მიმართვა და ჩვენი მიმართვა! ვნახოთ, რას იტყვიან გლეხები კითხვაზე, თუ სად არის სიმართლე?

«ეხო» № 12, 1906 წ. 5 ივლისი

იბეჭდება გაზეთ «ეხოს» ტექსტის მიხედვით

სათათბიროს პარტიები და ხალხი

ხალხისადმი მიმართვის საკითხზე სათათბიროს გუშინდელმა კამათმა ფრიად საგულისხმო მასალა მოგვცა ფართო მასების პოლიტიკური აღზრდისათვის.

ხალხისადმი მიმართვის საკითხი ისეთი დაახლოებული აღმოჩნდა ცხოვრებასთან, რომ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის ჭეშმარიტი არსი საუკეთესოდ გამოაშკარავდა. ამ საკითხის გამო სათათბირო მუხრუჭში მომწყვდეული აღმოჩნდა რეაქციულ თვითმპყრობელობასა («მთავრობის ცნობა») და რევოლუციურ ხალხს შუა, რომლის ბრძოლა სათათბიროს გარეთ, შეიძლება ითქვას, თავრიდის სასახლის ყველა სარკმელსა და ყველა ჭუჭრუტანაში იჭრებოდა. როგორც კი დაიწყო კამათი, — საკითხმა შეუკავებლად იწყო გადაწევა ფორმალური და კერძო მომენტებიდან თვით საქმის არსისაკენ.

რისთვის არის საჭირო ხალხისადმი მიმართვა? ეს საკითხი გადაჭრით დადგა სათათბიროს წინაშე. მან თავისი ელფერი მისცა მთელ კამათს. მან მთელი კამათი სწორედ იმ ნიადაგზე გადაიტანა, რომელზედაც ჩვენ დავსვით ეს საკითხი გუშინდელ მოწინავე სტატიაში *: ვუპასუხოთ თუ არა სამინისტროს შემმართებელ განცხადებას სათათბიროს შემმართებელივე განცხადებით! თუ სულ არ ვუპასუხოთ? თუ შევეცადოთ შევანელოთ უთანხმოებანი და შევარბილოთ ცხოვრებით გამოწვეული სიმკვეთრე, საკითხის დასმის სიმკვეთრე?

კამათის ამტეხი აღმოჩნდა სათათბიროს მემარჯვენე ფრთა. მემარჯვენე კადეტი პეტრაჟიცკი შეეცადა — გადაედო საკით-

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 97 — 102. რ ე დ.

ხის განხილვა. მემარჯვენე კადეტს, რასაკვირველია, მხარი დაუჭირეს ოქტიაბრისტებმა. ცხადი გახდა, რომ კონტრრევოლუციას ეშინია სათათბიროს ხალხისადმი მიმართვისა.

თავისი გარკვეული გამოსვლით რეაქცია დაეხმარა სათათბიროს მთელ მემარცხენე ფრთას დარაზმულიყო. განხილვის გადადების წინადადება ჩაიფუშა. თვით კამათიდან სრული სიცხადით აშკარავდება სამი ძირითადი მიმართულება სათათბიროში. «მემარჯვენე» (ოქტიაბრისტები და კადეტების ნაწილი) — მომხრეა გლეხთა მოძრაობის «დამშვიდებისა» და ამიტომ წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ი ა ყოველგვარი მიმართვისა. «ცენტრი» (კადეტები და, ალბათ, უპარტიოთა უმრავლესობა) — მომხრეა გლეხთა მოძრაობის «დამშვიდებისა» და ამიტომ მ ო მ ხ რ ე ა დ ა მ ა მ შ ვ ი დ ე ბ ე ლ ი მიმართვის გამოცემისა. «მემარცხენე» მიმართულება (შრომის ჯგუფელები, როგორც ეტყობა, მხოლოდ ნაწილი, და სოციალ-დემოკრატები)— მომხრეა ხალხს განემარტოს, რომ მას, ხალხს ა რ შ ე უ ძ ლ ი ა «გულდამშვიდებით და უძრავად ელოდოს» და ამიტომ მომხრეა არა «დამამშვიდებელი», არამედ რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი მიმართვისა.

შრომის ჯგუფელებმა ჟილკინმა, პოლონელმა ლედნიცკიმ, სოციალ-დემოკრატმა რამიშვილმა ყველაზე მკაფიოდ გამოხატეს ამ უკანასკნელი მიმართულების შეხედულებანი. «მოსახლეობა ებღაუჭება უკანასკნელ, თითქმის ბავშვურ იმედებს», — ამბობდა ჟილკინი. «მე არ ვლაპარაკობ მშვიდობასა, სიწყნარესა და მყუდროებაზე, მე ვლაპარაკობ ორგანიზებულ ბრძოლაზე ძველ ხელისუფლებასთან... განა სახელმწიფო სათათბირო მშვიდობისა და მყუდროების მეოხებით გაჩნდა?» ორატორმა მოაგონა ოქტომბრის ბრძოლა და, მემარცხენეთა ტაშის გრიალში, შესძახა: «ამ «უწესობას» უნდა ვუმადლოდეთ, რომ აქ ვიმყოფებით». «ამ ზოგადი აზრით, — სამართლიანად თქვა ორატორმა, — ძალიან არადამაკმაყოფილებლად არის შედგენილი კომისიის მიერ წარმოდგენილი მიმართვა ხალხისადმი» (ოღონდ უნდა დაემატოს: არადამაკმაყოფი-

ლებელია შრომის ჯგუფელების პროექტიც, რომელიც არ შეიცავს იმ აზრებსა და დებულებებს, რაც ჟილკინის სიტყვაში შევიდა). «საჭიროა ხაზგასმით აღვნიშნოთ და ბოლოს გამოვთქვათ ის აზრი, რომ არა მშვიდობასა და მყუდროებას, არამედ მოუსვენრობას, ამ სიტყვის კარგი და დიადი აზრით, შეუძლია მასების ორგანიზება»...

ლედნიცკიმ ერთი მეტად მკვეთრი სიტყვაც კი იხმარა, რომელიც გუშინ ჩვენ ვიხმარეთ — «უ ბ ა დ რ უ კ ი» უწოდა წარმოდგენილ მიმართვას. რამიშვილმაც გაილაშქრა იმ «მოწოდების წინააღმდეგ, რომ მშვიდად და წყნარად დალოდებოდნენ საკითხის გადაჭრას», და განაცხადა: «მ ხ ო ლ ო დ რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი გ ზ ა ა რ ი ს ჭ ე შ მ ა რ ი ტ ი ო» (მოგვყავს «ნაშა ჟიზნის» ანგარიშის მიხედვით). მან განაცხადა აგრეთვე, რომ აუცილებელია ითქვას მიწის გ ა მ ო უ ს ყ ი დ ა ვ ა დ გადასვლის შესახებაო.

კადეტებისა და «უპარტიოთა» უმრავლესობა მხარს უჭერდა სწორედ «დამამშვიდებელ» მიმართვას, გმობდა რევოლუციურ ნაბიჯებს (კოტლიარევსკი ლედნიცკის წინააღმდეგ), ამტკიცებდა მიმართვის სარგებლიანობას «მიწათმფლობელთა თვალსაზრისით» (კადეტი იაკუშკინი).

შავრაზმელი ვოლკონსკი, მასთან ერთად სკირმუნტი და მემარჯვენე კადეტი პეტრაჟიცკი ამტკიცებენ, რომ «სახიფათოა» მიმართვა, რომელსაც შეუძლია რევოლუცია გააღვივოსო, და მიუთითებენ კ ა ნ ო ნ ზ ე, რომლის მიხედვითაც უნდა გატარდეს აგრარული პროექტი სათათბიროში, აგრეთვე შეტანილ იქნას სახელმწიფო საბჭოში და ა. შ., და ა. შ., და ა. შ.

მიმართულებანი საუცხოოდ ჩამოყალიბდა. ერთხელ კიდევ გამოირკვა, რომ კადეტები ქანაობენ რეაქციასა და რევოლუციას შუა, ძველ ხელისუფლებასა და ხალხს შუა. ერთხელ კიდევ ცხადჰყვეს მოვლენებმა, თუ რაოდენ ბეცი და უაზრია «კადეტების მხარის დაჭერის» ტაქტიკა, ტაქტიკა, რომელიც მხოლოდ ასუსტებს სოციალ-დემოკრატებისა და რევოლუციუ-

რი დემოკრატიის რევოლუციურ პოზიციას სათათბიროში. ერთხელ კიდევ ცხადჰყვეს მოვლენებმა, რომ სოციალ-დემოკრატებს, როცა ისინი დამოუკიდებლად გამოდიან, შეუძლიათ მიიმხრონ შრომის ჯგუფელების ნაწილიც და რაოდენადმე გათიშონ კიდეც კადეტები.

პოლიტიკური ვითარება თვითონ გარდუვალი ძალით განსაზღვრავს ს.-დ. პარტიის ტაქტიკას: მემარჯვენე ფრთის სოციალ-დემოკრატების ჭაპანწყვეტის მიუხედავად, დღევანდლამდე ა რ გ ა მ ო დ ი ო დ ა არავითარი მხარის დაჭერა კადეტებისა, არამედ, საბედნიეროდ, გამოდიოდა დამოუკიდებელი პოლიტიკა პროლეტარიატისა, რომელსაც მხარს უჭერს გლეხთა დეპუტატების ნაწილი. არ გამოდიოდა ოპორტუნისტების მიერ გამოგონილი, შეთხზული დაყოფა: მემარჯვენენი კადეტების, შრომის ჯგუფელებისა და სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ ერთად. გამოდიოდა რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი დაყოფა: სოციალ-დემოკრატები და შრომის ჯგუფელები მემარჯვენეთა წინააღმდეგ, კადეტების სრული მერყეობის პირობებში.

სამწუხაროდ, ჩვენმა ს.-დ. დეპუტატებმა სავსებით როდი გამოიყენეს უაღრესად ხელსაყრელი ვითარება. მათ აუცილებლად უნდა შეეტანათ საერთო კამათის დროს თ ა ვ ი ა ნ თ ი, სოციალ-დემოკრატიული პროექტი ხალხისადმი მიმართვისა. მხოლოდ მაშინ იქნებოდა მათი პოლიტიკა ბოლომდე და სავსებით დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ე ლ ი პოლიტიკა პროლეტარიატის კლასობრივი პარტიისა, როგორც რევოლუციის ა ვ ა ნ გ ა რ დ ი ს წარმომადგენლებისა. მხოლოდ მაშინ არ გაითქვიფებოდა კამათში რამიშვილის, ჟილკინისა და ლედნიკის სწორი აზრები, არამედ გაერთიანებული, განმტკიცებული, ჩამოყალიბებული იქნებოდა რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის გაბედული და ცხადი პლატფორმით.

ვისურვოთ, რომ სათათბიროს ჩვენმა ს.-დ. ფრაქციამ გაითვალისწინოს გაკვეთილები სათათბიროს დაჯგუფებათა, რომლებიც უფრო და უფრო ხშირად ყალიბდებიან, რომ იგი უფ-

რო გადაჭრით დაადგეს სავსებით დამოუკიდებელი პროლეტარული პოლიტიკის გზას და, მიმართვის პროექტის მუხლობრივ განხილვისას, თუნდაც ნაწილობრივ გამოასწოროს საქმე, ე. ი. შეიტანოს ხოლმე დამოუკიდებელი, თანამიმდევრულად რევოლუციური ფორმულირებანი.

ხალხისადმი მიმართვის სოციალ-დემოკრატიული პროექტი, თუნდაც მხოლოდ სათათბიროში წაკითხულ პროექტად დარჩეს, უაღრესად სასარგებლო გავლენას მოახდენდა რევოლუციური ბრძოლის ორგანიზებასა და განვითარებაზე და სოციალ-დემოკრატების მხარეზე გადმოიყვანდა რევოლუციური გლეხობის საუკეთესო ელემენტებს.

«ეხო» № 13, 1906 წ. 6 ივლისი

იბეჭდება გაზეთ «ეხოს» ტექსტის მიხედვით

რეაქციის ზეთქმულება და დამრბევთა მუქარა

გაზეთ «როსსიას» დამრბევთა მთავრობისაგან სუბსიდია ეძლევა ამ მთავრობის შეხედულებათა გატარებისათვის.

ხალხისადმი სათათბიროს მიმართვის პროექტის გამო მთავრობის გაზეთის ტონი მეტისმეტი მუქარის ხასიათს იღებს. გაზეთი აშინებს სათათბიროს, — ამტკიცებს განზრახული ნაბიჯის უკანონობასაც, მის «უგუნურობასაც», «რევოლუციურობასაც» და ა. შ.. კადეტურმა «რეჩმა» დღეს უკვე სავსებით იბრუნა ფრონტი და ილაშქრებს მიმართვის წინააღმდეგ; მას, ალბათ, შეეშინდა იმ მუქარისა, რომელიც მომდინარეობს მთავრობის წინაშე მლიქვნელი პრესისაგან.

მუქარას მუქარა მოსდევს. დღეს «როსსია» წერს კადეტური სამინისტროს საკითხზე: «ვლადიმერ კრასნოე სოლნიშკოსთვის წინადადება რომ მიეცათ — რუსეთის მართვა-გამგეობა სოლოვეი რაზბოინიკს მიანდე და ეს წესრიგის დამყარების საშუალება იქნებაო, ის, ალბათ, უფრო მარტივ საშუალებას წამოაყენებდა — ბოლო მოეღოთ სოლოვეი რაზბოინიკისათვის ილია მურომეცის დახმარებით. ა მ ა ნ, რ ო გ ო რ ც ც ნ ო ბ ი ლ ი ა, კ ი დ ე ც უ შ ვ ე ლ ა ს ა ქ მ ე ს».

ეს «ილია მურომეცი», რომელიც აპირებს «ბოლო მოუღოს» რევოლუციას რუსეთში, თურმე, ს ა ე რ თ ა შ ო რ ი ს ო კ ო ნ ტ რ რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი ა რ მ ი ა ა. სტატიაში «უცხოეთის სახელმწიფოები და საქმის ვითარება რუსეთში» («როსსია», № 170) მთავრობის გაზეთი გულუბრყვილობით კი

არა, არამედ იმავე მუქარის მიზნით, გ ა ნ მ ა რ ტ ა ვ ს რუსეთის შინაურ საქმეებში უცხოეთის სახელმწიფოთა აქტიური ჩარევის საკითხს.

მთავრობის გაზეთის განმარტება უაღრესად საგულისხმო და დიდად სასარგებლოა. საერთაშორისო კონტრრევოლუციათ ყურადღებით ადევნებს თვალყურს რუსეთს, რაზმავს და ამზადებს მის წინააღმდეგ ძალებს «ყოველი შემთხვევისათვის». «გერმანიის საიმპერატორო მთავრობას — წერს «როსსია» — სავსებით ესმის ეს მდგომარეობა (სახელდობრ: რომ «საქმის ახლანდელი ვითარება რუსეთში უწინარეს ყოვლისა საზღვარგარეთელი რევოლუციური ელემენტების ზედმოქმედების შედეგია»), და ამიტომ მან მიიღო მთელი რიგი სათანადო ზომები, რომლებსაც დაუყოვნებლივ მოჰყვება სასურველი შედეგები».

ეს ზომებია გერმანიის სამხედრო ძალების მომზადება ავსტრიის ძალებთან ერთად რუსეთში შემოჭრისათვის, თუ თავისუფლების საქმე გაიმარჯვებს ან გამარჯვებას იწყებს. ბერლინის მთავრობას ამ საკითხზე მოლაპარაკება ჰქონდა უკვე ავსტრიის მთავრობასთან. ერთმაც და მეორემაც აღიარა, რომ «გარკვეულ პირობებში აქტიური ჩარევა რუსეთის შინაურ საქმეებში ამ (ე. ი. რევოლუციური) მოძრაობის ჩახშობის ან შეზღუდვის მიზნით შეიძლებოდა სასურველი და სასარგებლო ყოფილიყო». ამასთან შეთანხმდნენ, რომ ჩარევისათვის საჭიროა რუსეთის მთავრობის პირდაპირ და ნათლად გამოთქმული სურვილი.

ავსტრიაში, გალიციაში, რუსეთის საზღვარზე, სადაც აგრეთვე ეშინიათ რუსული ტიპის აგრარული მოძრაობის გავრცელების შესაძლებლობისა, თავმოყრილია სამი საარმიო კორპუსი. გალიციის მეფისნაცვალმა, რომელიც ამავე დროს რუსი მემამულეა, 26 ივნისს მოსახლეობისადმი მოწოდებაც კი გამოსცა, სადაც გაფრთხილებას იძლევა, ყოველგვარი მღელვარება უაღრესად გადაჭრით იქნება ჩახშობილიო.

ამრიგად, საერთაშორისო კონტრრევოლუციის შეთქმულება ეჭვს გარეშეა. რუსეთის მთავრობა რუსი ხალხის წინააღმდეგ უცხოეთის ჯარებს მოუხმობს დასახმარებლად. მოლაპარაკება ამის გამო წარმოებდა და წარმოებს, და ამას უკვე საკმაოდ გარკვეული ხელშეკრულება მოჰყვა.

დაე იცოდნენ მუშებმა და გლეხებმა, რომ მთავრობა ჰყიდის სამშობლოს, რათა უზრუნველყოს დამრბევთა ბრბოს ბატონობა. ასე იყო ყოველთვის და ასე იქნება ყოველთვის. ისტორია გვასწავლის, რომ გაბატონებული კლასები არასოდეს არაფერს ზოგავდნენ, პირდაპირ არაფერს ზოგავდნენ: რელიგიას, თავისუფლებას, სამშობლოს, თუ საქმე ჩაგრულ კლასთა რევოლუციური მოძრაობის ჩახშობას ეხებოდა. სრულიად უეჭველია, რომ ამასვე ჩაიდენენ რუსი მმართველი დამრბევნიც, რომ ისინი უკვე ამზადებენ ასეთ ნაბიჯს.

მაგრამ დაე ნუ შეეშინდებათ მუშებსა და გლეხებს ასეთი ნაბიჯისა. რუსეთის მთავრობას ჰყავს საერთაშორისო რეზერვი: გერმანიის, ავსტრიისა და სხვა ქვეყნების რეაქციული მთავრობები. მაგრამ ჩვენცა გვყავს მძლავრი საერთაშორისო რევოლუციური რეზერვი: ევროპის სოციალისტური პროლეტარიატი, შეკავშირებული 3-მილიონიან პარტიად გერმანიაში, ძლიერ პარტიებად ყველა ევროპულ ქვეყანაში. ჩვენ მივესალმებით ჩვენი მთავრობის მიმართვას რეაქციის საერთაშორისო რეზერვისადმი: ასეთი მიმართვა, ჯერ ერთი, თვალს აუხელს რუსეთის ყველაზე უმეცარ ადამიანებს და საუკეთესო სამსახურს გაგვიწევს მონარქიისადმი რწმენის გაქარწყლების საქმეში, მეორეც, ასეთი მიმართვა ყველაზე უკეთ გააფართოებს რუსეთის რევოლუციის მოქმედების ბაზასა და სარბიელს, გადააქცევს მას მსოფლიო რევოლუციად.

კეთილი, ბატონო ტრეპოვებო! მაშ, ასტეხეთ სროლა! მაშ, მოუხმეთ ავსტრიელთა და გერმანელთა პოლკებს რუსი მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ! ჩვენ მომხრენი ვართ ბრძოლის გაფართოებისა, მომხრენი ვართ საერთაშორისო რევოლუციისა!

* * *

მაგრამ საერთაშორისო შეთქმულების ზ ო გ ა დ ი მნიშვნელობის შეფასებისას არ შეიძლება დავივიწყოთ რუს დამრბევთა წვრილმანი კ ე რ ძ ო მიზნები. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ გულუბრყვილობას არ გამოუწვევია «როსსიის» სტატიები. «მისლი» ცდება, როცა ასე ფიქრობს. ეს «გულუბრყვილობა» კი არ არის, არც «ცინიზმია», არც «ყბედობა». ეს არის გაანგარიშებული მ უ ქ ა რ ა კ ა დ ე ტ ე ბ ი ს მ ი მ ა რ თ. დამრბევთა მთავრობას ეშინია ხალხისადმი სათათბიროს მიმართვისა და ი გ ი ე მ უ ქ რ ე ბ ა კ ა დ ე ტ ე ბ ს: «არ გაბედოთ! თორემ გავრეკავ სათათბიროს და მოვიხმობ ავსტრიელთა და გერმანელთა პოლკებს! მე უკვე მოვემზადე».

ბრიყვი კადეტები უკვე დაფრთხნენ და საზიზღრად უკუიქცნენ, როგორც ეს დღევანდელმა «რეჩმა» დაამტკიცა. საკმარისია დაემუქრო კადეტებს — კადეტები მზად არიან უკუიქცნენ...

პროლეტარიატს არ შეაშინებს დამრბევთა მთავრობის უბადრუკი მუქარა. პროლეტარიატი შეინარჩუნებს თავის დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ე ლ საბრძოლო პოზიციას და არ დააშინებინებს თავს დამფრთხალი კადეტების აჩრდილით.

ერთხელ კიდევ: აბა ასტეხეთ სროლა, ბატონო ტრეპოვებო! გააფართოეთ ბრძოლის რევოლუციური სარბიელი! საერთაშორისო პროლეტარიატი საქმეს არ დააყოვნებს!

«ეხო» № 14, 1906 წ. 7 ივლისი

იბეჭდება გაზეთ «ეხოს» ტექსტის მიხედვით

სათათბიროს დათხოვნა
და პროლეტარიატის ამოცანები [30]

დაწერილია 1906 წ. ივლისში.

დაიბეჭდა 1906 წ. ივლისში ცალკე ბროშურად. გამოცემა «ნოვაია ვოლნა»-სი

. იბეჭდება ბროშურის ტექსტის მიხედვით

სათათბიროს დათხოვნა მუშათა პარტიის წინაშე მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს საკითხებს აყენებს. აღვნიშნოთ უმთავრესი მათგანი: 1) ზოგადი შეფასება ამ პოლიტიკური მოვლენისა ჩვენი რევოლუციის მსვლელობაში; 2) შემდგომი ბრძოლის შინაარსისა და იმ ლოზუნგების განსაზღვრა, რომლებითაც ეს ბრძოლა უნდა წარმოებდეს; 3) ამ შემდგომი ბრძოლის ფორმის განსაზღვრა; 4) ბრძოლის მომენტის შერჩევა, ან, უფრო სწორედ რომ ვთქვათ, იმ გარემოებათა გათვალისწინება, რომელნიც ხელს შეგვიწყობდნენ მომენტის სწორ შერჩევაში.

შევჩერდეთ მოკლედ ამ საკითხებზე.

I

სათათბიროს დათხოვნამ ფრიად თვალსაჩინოდ და ცხადად დაადასტურა იმათი შეხედულებანი, ვინც გაფრთხილებას იძლეოდნენ არ მოვხიბლულიყავით სათათბიროს «კონსტიტუციური» გარეგნობითა და რუსეთის 1906 წლის მეორე მეოთხედის პოლიტიკის, თუ შეიძლება ასე ითქვას, კონსტიტუციური ზედაპირით. ახლა ცხოვრების მიერ სავსებით მხილებულია მთელი უბადრუკობა იმ «დიდი სიტყვებისა», რომლებიც ასე უხვად წარმოთქვეს ჩვენმა კადეტებმა (და კადეტოფილებმა) სათათბიროს მოწვევის წინა ხანებში, სათათბიროს გამო და სათათბიროსთან დაკავშირებით.

დაიხსომეთ საინტერესო ფაქტი: სათათბირო დათხოვნილია წ მ ი ნ დ ა კ ო ნ ს ტ ი ტ უ ც ი უ რ ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ზ ე. არავითარი «გარეკვა» არ ყოფილა, არც კანონთა რაიმე დარღვევა. პირიქით, კანონი სასტიკად იყო დაცული, როგორც ყოველ

«კონსტიტუციურ მონარქიაში». უმაღლესმა ხელისუფლებამ პალატა «კონსტიტუციის» საფუძველზე დაითხოვა. ამა და ამ მუხლის საფუძვლით დათხოვნილია ეს «პალატა» დ ა ი მ ა ვ ე ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ი თ (გიხაროდეთ, მეკანონეებო!) დანიშნულია ახალი არჩევნები ან ახალი სათათბიროს მოწვევის ვადა.

მაგრამ სწორედ აი აქ იჩინა უცებ თავი რუსეთის კონსტიტუციის იმ მოჩვენებითმა ხასიათმა, ჩვენებური პარლამენტარიზმის იმ ფიქტიურობამ, რაზედაც ასე დაჟინებით მიუთითებდნენ მემარცხენე ფრთის სოციალ-დემოკრატები 1906 წლის მთელი პირველი ნახევრის განმავლობაში. და ახლა ვიღაც «ვიწრო და ფანატიკოსმა» «ბოლშევიკებმა» კი არა, არამედ ფრიად მშვიდობიანმა ლეგალისტ-ლიბერალებმა აღიარეს, თ ა ვ ი ა ნ თ ი მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ აღიარეს რუსეთის კონსტიტუციის ეს განსაკუთრებული ხასიათი. ეს აღიარეს კადეტებმა იმით, რომ სათათბიროს დათხოვნას გამოეხმაურნენ მასობრივი «გაქცევით საზღვარგარეთ», ქ. ვიბორგში გამოეხმაურნენ კანონების დამრღვევი მოწოდებით [31], — გამოეხმაურნენ და ეხმაურებიან ფრიად ზომიერი «რეჩის» სტატიებით, რომელიც იძულებულია აღიაროს, რომ საქმე ფ ა ქ ტ ი უ რ ა დ ეხება თვითმპყრობელობის აღდგენას, რომ სუვორინი უნებურად სიმართლეს როშავს, როდესაც წერს: არა მგონია ახალ სათათბიროს მოვესწროო [32]. კადეტების მთელი იმედები ერთბაშად გადავიდა «კონსტიტუციიდან» რევოლუციაზე — და ეს მოხდა მხოლოდ და მხოლოდ უმაღლესი ხელისუფლების სასტიკად კონსტიტუციური აქტის გამო. ხოლო ჯერ კიდევ გუშინ კადეტები სათათბიროში იკვეხნიდნენ, «დინასტიის ფარი» ვართ და სასტიკი კონსტიტუციურობის მომხრენიო.

ცხოვრების ლოგიკა კონსტიტუციის სახელმძღვანელოთა ლოგიკაზე უფრო ძლიერია. რევოლუცია ჭკუის მასწავლებელია.

ყველაფერი, რასაც კი «ბოლშევიკი» სოციალ-დემოკრატები წერდნენ კადეტების გამარჯვებაზე (შეადარეთ ბროშურა:

«კადეტების გამარჯვება და მუშათა პარტიის ამოცანები», ნ. ლენინისა) *, ბრწყინვალედ დადასტურდა. კადეტების მთელი ცალმხრიობა და სიბეცე ცხადი გახდა. კონსტიტუციური ილუზიები, — ეს საფრთხობელა, რომლითაც ცნობდნენ მტკიცე ბოლშევიკს, — აიტუზა ყველას თვალწინ სწორედ როგორც ილუზიები, როგორც მოჩვენება, როგორც მაცდური აჩრდილი.

აღარ არის სათათბირო! ველური აღტაცებით გაჰყვირიან «მოსკოვსკიე ვედომოსტი» [23] და «გრაჟდანინი» [24]. აღარაა კონსტიტუცია! თავჩაქინდრულნი ბანს აძლევენ ჩვენი კონსტიტუციის ღრმა მცოდნენი, კადეტები, რომლებიც ესოდენ ოსტატურად მიგვითითებდნენ მასზე, ესოდენ ტკბებოდნენ მისი პარაგრაფებით. სოციალ-დემოკრატები არც ზეიმს მიეცემიან (ჩვენ სათათბიროსაგან მივიღეთ კუთვნილი), არც სულით დაეცემიან. ხალხმა ის მოიგოო, — იტყვიან ისინი, — რომ დაჰკარგა ერთერთი თავისი ილუზია.

დიახ, კადეტების პარტიის სახით სწავლობს მთელი რუსი ხალხი, სწავლობს არა წიგნით, არამედ საკუთარი, მის მიერვე შექმნილი რევოლუციით. ერთხელ ჩვენ ვთქვით, რომ კადეტების სახით ხალხი თავს აღწევს თავის პირველ ბურჟუაზიულ განმათავისუფლებელ ილუზიებს, ხოლო შრომის ჯგუფელების სახით იგი თავს დააღწევს უკანასკნელ ბურჟუაზიულ განმათავისუფლებელ ილუზიებს **. კადეტები ოცნებობდნენ ბატონყმობისა, თვითნებობისა, თავნებობისა, აზიურობისა და თვითმპყრობელობისაგან განთავისუფლებაზე ძველი ხელისუფლების დ ა უ მ ხ ო ბ ლ ა დ. კადეტებმა უკვე კრახი განიცადეს თავისი შეზღუდული ოცნებებისა. შრომის ჯგუფელები ოცნებობენ მასების სიღატაკისაგან, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციისაგან განთავისუფლებაზე სასაქონლო მეურნეობის მ ო უ ს პ ო ბ ლ ა დ: ისინი კიდევ განიცდიან

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 10, გვ. 227 — 329. რ ე დ.
** იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 10, გვ. 558. რ ე დ.

კრახს, — და ახლო მომავალში, თუ ჩვენმა რევოლუციამ ჩვენი რევოლუციური გლეხობის სრულ გამარჯვებას მიაღწია.

კადეტების სწრაფი გაფურჩქვნა, მათი თავბრუდამხვევი გამარჯვებანი არჩევნებში, მათი ზეიმი კადეტურ სათათბიროში, მათი უეცარი კრახი «საყვარელი მონარქის» (რომელმაც, შეიძლება ითქვას, სიფათში მიაფურთხა როდიჩევს, როცა ეს უკანასკნელი მას სიყვარულს უცხადებდა) ერთი კალმის მოსმით — ყველაფერი ეს სერიოზული პოლიტიკური მნიშვნელობის ამბებია, ყველაფერი ეს ხ ა ლ ხ ი ს რევოლუციური განვითარების ეტაპებია. ხალხი, ე. ი. მოსახლეობის ფართო მასები, 1906 წლისათვის მასობრივად ჯერ კიდევ ვერ ამაღლებულა შეგნებულ რევოლუციურობამდე. თვითმპყრობელობის აუტანლობის შეგნება საყოველთაო გახდა, მოხელეთა მთავრობის უვარგისობის შეგნებაც საყოველთაოა, საყოველთაოა აგრეთვე სახალხო წარმომადგენლობის აუცილებლობის შეგნებაც. მაგრამ ხალხს ჯერ კიდევ არ შეეძლო შეეგნო და შეეგრძნო ძველი ხელისუფლების შეურიგებლობა ძ ა ლ ა უ ფ ლ ე ბ ი ა ნ სახალხო წარმომადგენლობასთან. მას, როგორც აღმოჩნდა, საამისოდ სჭირდებოდა კიდევ განსაკუთრებული გამოცდილება, კ დეტური სათათბიროს გამოცდილება.

კადეტურმა სათათბირომ თავისი ხანმოკლე ცხოვრების განმავლობაში თ ვ ა ლ ნ ა თ ლ ი ვ დაანახვა ხალხს მთელი ის განსხვავება, რომელიც არსებობს უ ძ ა ლ ა უ ფ ლ ე ბ ო და ძ ა ლ ა უ ფ ლ ე ბ ი ა ნ სახალხო წარმომადგენლობას შორის. ჩვენი ლოზუნგი, დამფუძნებელი კრება (ე. ი. ს რ უ ლ ძ ა ლ ა უ ფ ლ ე ბ ი ა ნ ი სახალხო წარმომადგენლობა), ათასჯერ უფრო მართებული გამოდგა, მაგრამ ცხოვრებას, ე. ი. რევოლუციას, მისკენ მივყავდით უფრო ხანგრძლივი და მიხვეულ-მოხვეული გზით, ვიდრე ეს ჩვენ შეგვეძლო გაგვეთვალისწინებინა.

ზოგადად თვალი გადაავლეთ რუსეთის დიდი რევოლუციის მთავარ ეტაპებს და დაინახავთ, თუ როგორ უახლოვდებოდა ხალხი გ ა მ ო ც დ ი ლ ე ბ ი თ, საფეხურიდან საფეხურით, დამფუძნებელი კრების ლოზუნგს. აი «ნდობის» ეპოქა,

1904 წლის დამლევი. ლიბერალები ნეტარებენ. მათ დაიკავეს მთელი ავანსცენა. არა საკმაოდ მტკიცე სოციალ-დემოკრატები იმასაც კი ამბობდნენ, რომ არის ორი მთავარი ძალა ახლანდელ მომენტში: ლიბერალები და მთავრობაო. მაგრამ აი ხალხი იმსჭვალება «ნდობის» იდეით, ხალხი «ნდობით» მიდის 9 იანვარს ზამთრის სასახლისკენ. «ნდობის» ეპოქა აწინაურებს მესამე ძალას, პროლეტარიატს, და საფუძველს უყრის ხალხის უდიდეს უნდობლობას თვითმპყრობელი მთავრობისადმი. «ნდობის» ეპოქა თავდება იმით, რომ ხალხი უარს ამბობს დაიჯეროს მთავრობის სიტყვები «ნდობის» შესახებ.

შემდგომი ეტაპი. დაგვპირდნენ ბულიგინის სათათბიროს. ნდობა დასტურდება საქმით. ხალხის წარმომადგენლებს იწვევენ. ლიბერალები აღტაცებულნი მოგვიწოდებენ მონაწილეობა მივიღოთ არჩევნებში. ლიბერალი პროფესორები, როგორც შეჰფერის ბურჟუაზიის ამ «იდეურ» მაჩანჩალებს, მოუწოდებენ სტუდენტებს — ისწავლეთ, ხოლო რევოლუციას თავი ანებეთო. არა საკმაოდ მტკიცე სოციალ-დემოკრატები ლიბერალების საბუთებს ემორჩილებიან. სცენაზე გამოდის ხალხი. პროლეტარიატი ოქტომბრის გაფიცვით აღგვის ბულიგინის სათათბიროს და ხელთ იგდებს თავისუფლებას, ბრძოლით მოიპოვებს მანიფესტს, ფორმითა და შინაარსით სავსებით კონსტიტუციურ მანიფესტს. ხალხი გამოცდილებით რწმუნდება, რომ არ კმარა მოგცენ თავისუფლების დაპირება, საჭიროა კიდევ გქონდეს ძალა თავისუფლების დასაპყრობად.

შემდეგ. დეკემბერში მთავრობა გვართმევს თავისუფლებას. პროლეტარიატი ჯანყდება. პირველი აჯანყება დამარცხებულია. მაგრამ მოსკოვის ქუჩებში შეუპოვარი და თავგანწირული შეიარაღებული ბრძოლა აუცილებელს ხდის სათათბიროს მოწვევას. პროლეტარიატის ბოიკოტი ჩაიშალა. პროლეტარიატს არ აღმოაჩნდა საკმაო ძალა, რომ დაემხო ვიტეს სათათბირო. იგი კადეტებმა აავსეს. სახალხო წარმომადგენლობა მომხდარი ფაქტია. კადეტები ნეტარებენ. არა აქვს ზომა და საზღვარი მათს

აღტაცებულ ყიჟინას. პროლეტარიატი სკეპტიკურად დრის უცდის.

სათათბირო მუშაობას იწყებს. თავისუფლებათა მცირეოდენი გაფართოებით ხალხი კადეტებზე ათჯერ უფრო მეტად სარგებლობს. კადეტური სათათბირო თავისი სულისკვეთებისა და გამბედაობის მხრივ ხალხს მყისვე უ კ ა ნ რ ჩ ე ბ ა. კადეტური სათათბიროს ეპოქა (1906 წლის მაისი და ივნისი) ყველაზე მეტ წარმატებათა ეპოქაა კადეტებზე მ ა რ ცხ ნ ი ვ მდგომი პარტიებისათვის: შრომის ჯგუფელები სათათბიროში წინ უსწრებენ კადეტებს, სახალხო კრებებზე გმობენ კადეტებს გაუბედაობისათვის; იზრდება ს.-დ. და ს.-რ. პრესა, ძლიერდება გლეხობის რევოლუციური მოძრაობა, ჯარის მღელვარება, გამოცოცხლება ეტყობა დეკემბრით დაუძლურებულ პროლეტარიატს. კადეტების კონსტიტუციონალიზმის ეპოქა აღმოჩნდა არა კადეტური და არა კონსტიტუციური, არამედ რევოლუციური მოძრაობის ეპოქა.

ე ს მოძრაობა ა ი ძ უ ლ ე ბ ს მთავრობას დაითხოვოს სათათბირო. გამოცდილება ადასტურებს, რომ კადეტები მხოლოდ «ქაფია». მათი ძალა რევოლუციის ძალისაგან წარმომდგარი ძალაა. ხოლო რევოლუციას მთავრობა უპასუხებს სათათბიროს არსებითად რევოლუციური (თუმცა ფორმით კონსტიტუციური) დათხოვნით.

ხალხი გ ა მ ო ც დ ი ლ ე ბ ი თ რწმუნდება, რომ სახალხო წარმომადგენლობა ნ უ ლ ი ა, თუ იგი სრულძალაუფლებიანი არ არის, თუ იგი ძველმა ხელისუფლებამ მოიწვია, თუ მის გვერდით კიდევ ხელუხლებელი რჩება ძველი ხელისუფლება. მოვლენათა ობიექტური მსვლელობა დღის წესრიგში აყენებს უკვე არა კანონების, არა კონსტიტუციის ამა თუ იმ რედაქციის საკითხს, არამედ ძ ა ლ ა უ ფ ლ ე ბ ი ს, რეალური ძალაუფლების საკითხს. ყოველგვარი კანონები და ყოველგვარი არჩეული პირები ნ უ ლ ი ა, თუ კი მათ ძალაუფლება არა აქვთ. აი რა ა ს წ ა ვ ლ ა ხალხს კადეტურმა სათათბირომ. მაშ,

საუკუნო ხსენება ვუგალობოთ განსვენებულ სათათბიროს და კარგად ვისარგებლოთ მისი გაკვეთილით!

II

ამრიგად, ჩვენ პირისპირ მივადექით მეორე საკითხს: მომავალი ბრძოლის იმ ობიექტური, ისტორიის მიერ ნაკარნახევი შინაარსისა და იმ ლოზუნგების საკითხს, რომლებიც ამ ბრძოლის დროს უნდა წამოვაყენოთ.

არასაკმაოდ მტკიცე სოციალ-დემოკრატებმა, მენშევიკებმა, აქაც მოასწრეს მერყეობის გამოჩენა. მათი პირველი ლოზუნგი იყო: ბრძოლა სათათბიროს სესიის განახლებისათვის დამფუძნებელი კრების მოწვევის მიზნით. პეტერბურგის კომიტეტი პროტესტს აცხადებს. ლოზუნგის შეუსაბამობა მკვეთრად გეცემათ თვალში. ეს ოპორტუნიზმიც კი არ არის, არამედ აშკარა უაზრობაა. ც. კ. ნაბიჯსა დგამს წინ. ლოზუნგი: ბრძოლა მთავრობის წინააღმდეგ სათათბიროს დასაცავად — დამფუძნებელი კრებისმოწვევის მიზნით. ეს, რასაკვირველია, უკეთესია. ეს უკვე შორს აღარაა ლოზუნგისაგან: ბრძოლა თვითმპყრობელი მთავრობის დასამხობად — რევოლუციური გზით დამფუძნებელი კრების მოწვევისათვის. სათათბიროს დათხოვნა, უეჭველია, საბაბია იმისა, რომ ძალაუფლებიანი სახალხო წარმომადგენლობისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლა გაჩაღდეს: ამ გაგებით ლოზუნგი «სათათბიროს დასაცავად» არცთუ სავსებით მიუღებელია. მაგრამ საქმეც ის არის, რომ ამ გაგებით ეს ლოზუნგი უკვე შესულია იმის აღიარებაში ჩვენ მიერ, რომ სათათბიროს დათხოვნა ბრძოლის საბაბს წარმოადგენს. ხოლო ფორმულა: «სათათბიროს დასაცავად», თუ იგი ამნაირად არ განმარტეთ (ე. ი. ისე, როგორც ახლა განვმარტეთ), ბუნდოვანი რჩება, მას შეუძლია გაუგებრობა გამოიწვიოს, დაგვაბრუნოს რაოდენადმე უკვე აღმოფხვრილი ძველისაკენ, კადეტური სათათბიროსაკენ; ერთი სიტყვით, ეს ფორმულა წარმოშობს მთელ რიგ უმართე-

ბულო და მავნე, «რეტროგრადულ» აზრებს. რაც კი მართებულია ამ ფორმულაში, იგი სავსებით და უკლებლივ ეტევა ბრძოლის შესახებ ჩვენი გადაწყვეტილების მ ო ტ ი ვ ე ბ შ ი, იმის გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა შ ი, თუ რატომ მიგვაჩნია სათათბიროს დათხოვნა საკმაოდ მნიშვნელოვან საბაბად.

მარქსისტმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაივიწყოს, რომ ლოზუნგი უ შ უ ა ლ ო დ მომავალი ბრძოლისა არ შეიძლება უბრალოდ და პირდაპირ გამოვიყვანოთ განსაზღვრული პროგრამის ზ ო გ ა დ ი ლოზუნგიდან. საკმარისი როდია ჩვენი პროგრამის დამოწმება (იხ. ბოლოში: თვითმპყრობელობის დამხობა და დამფუძნებელი კრება და სხვ.), რომ განვსაზღვროთ ლოზუნგი — უშუალო, ა ხ ლ ა ნ დ ე ლ ი, 1906 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე მოსალოდნელი ბრძოლის ლოზუნგი. საამისოდ საჭიროა გავითვალისწინოთ კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ ი ისტორიული სიტუაცია, თვალი გავადევნოთ რევოლუციის მთელ განვითარებასა და მის მთელ თანამიმდევარ მსვლელობას, გამოვიყვანოთ ჩვენი ამოცანები არა მარტო პროგრამის პრინციპებიდან, არამედ მოძრაობის წ ი ნ ა ნ დ ე ლ ი ნაბიჯებიდან და ეტაპებიდან. მხოლოდ ასეთი ანალიზი იქნება ნამდვილად ისტორიული, დიალექტიკოსი მატერიალისტისათვის სავალდებულო ანალიზი.

და სწორედ ასეთი ანალიზი გვიჩვენებს, რომ ობიექტურმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ წ ა მ ო ა ყ ე ნ ა ახლა არა ის საკითხი, ა რ ს ე ბ ო ბ ს თ უ ა რ ა სახალხო წარმომადგენლობა, არამედ საკითხი, ძ ა ლ ა უ ფ ლ ე ბ ი ა ნ ი ა თუ არა ეს სახალხო წარმომადგენლობა.

კადეტური სათათბიროს დაღუპვის ობიექტური მიზეზია არა ის, რომ მან ვერ მოახერხა ხალხის საჭიროებათა გამოხატვა, არამედ ის, რომ მან ვერ დასძლია ძ ა ლ ა უ ფ ლ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს ბრძოლის რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი ამოცანა. კადეტურმა სათათბირომ თავისი თავი კონსტიტუციურ ორგანოდ წარმოიდგინა, ნამდვილად კი იგი ი ყ ო რევოლუციური ორგანო (კადეტები გვლანძღავდნენ ჩვენ იმისათვის, რომ სათათბიროს

ვუყურებდით, როგორც რევოლუციის ეტაპს, ან იარაღს, მაგრამ ცხოვრებამ სავსებით დაადასტურა ჩ ვ ე ნ ი შ ე ხ ე დ ულ ე-ბ ა). კადეტურმა სათათბირომ თავისი თავი ს ა მ ი ნ ი ს ტ-რ ო ს წინააღმდეგ ბრძოლის ორგანოდ წარმოიდგინა, ნამდვილად კი იგი იყო მთელი ძველი ხელისუფლების დ ა მ ხ ო ბ ი-ს ა თ ვ ი ს ბრძოლის ორგანო. ასე გამოვიდა ნამდვილად, რადგან ამას მოითხოვდა მოცემული ეკონომიური მდგომარეობა. და აი ს წ ო რ ე დ ა მ ბრძოლისათვის ისეთი ორგანო, როგორიც კადეტების სათათბირო იყო, «გამოუსადეგარი» ა ღ-მ ო ჩ ნ დ ა.

ახლა ყველაზე უმეცარი გლეხის შეგნებასაც კი უტრიალებს ურითი ჩაჭედილი აზრი: რას გვარგებს სათათბირო, რას გვარგებს რაიმე სათათბირო, თ უ ხ ა ლ ხ ს ძ ა ლ ა უ ფ ლ ე-ბ ა ა რ ა ა ქ ვ ს ო. როგორ უნდა მოვიპოვოთ ძალაუფლება? უნდა დ ა ვ ა მ ხ ო თ ძველი ხელისუფლება და შევქმნათ ახალი, სახალხო, თავისუფალი, არჩევითი ხელისუფლება. ა ნ ძველი ხელისუფლება უნდა დავამხოთ, ა ნ განუხორციელებლად მივიჩნიოთ რევოლუციის ამოცანები იმ მოცულობით, რა მოცულობითაც აყენებენ მათ გლეხობა და პროლეტარიატი.

ასე დააყენა საკითხი თვით ც ხ ო ვ რ ე ბ ა მ. ასე დააყენა საკითხი 1906 წელმა. ასე დააყენა საკითხი კადეტური სათათბიროს დათხოვნამ.

რასაკვირველია, ჩვენ არ შეგვიძლია დანამდვილებით ვთქვათ, რომ ამ საკითხს რევოლუცია ერთბაშად გადაწყვეტს, რომ ბრძოლა იოლი, უბრალო იქნება, რომ გამარჯვება სავსებით და უეჭველად უზრუნველყოფილია. ბრძოლის დაწყების წინ ვერასოდეს და ვერავინ იკისრებს ამის მსგავს თავდებობას. ლოზუნგი უბრალო და იოლი გამარჯვების თავდებობა როდია. ლოზუნგი არის იმ მ ი ზ ნ ი ს მითითება, რომელსაც უნდა მიაღწიოთ მ ო ც ე მ უ ლ ი ამოცანების განსახორციელებლად. წინათ ასეთი უშუალოდ მოცემული ამოცანები იყო შექმნა (ან მოწვევა) სახალხო წარმომადგენლობისა საზოგადოდ. ახლა ასეთი ამოცანაა: ძ ა ლ ა უ ფ ლ ე ბ ი ს უზრუნველყოფა

სახალხო წარმომადგენლობისათვის. ეს კი ნიშნავს: ძველი ხელისუფლების თავიდან მოცილებას, დამსხვრევას, დ ა მ ხ ო ბ ა ს, თვითმპყრობელი მთავრობის დამხობას.

თუ ეს ამოცანა ს ა ვ ს ე ბ ი თ არ გადაწყდა, ისე შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა სავსებით ძალაუფლებიანი იყოს სახალხო წარმომადგენლობაც, — მაშასადამე, შეუძლებელია აგრეთვე საკმარისი გარანტია იყოს იმისა, რომ ამ ახალ სახალხო წარმომადგენლობას კადეტური სათათბიროს ბედი არ ეწევა.

საქმის ობიექტური ვითარება ახლა დღის წესრიგში აყენებს ბრძოლას არა სახალხო წარმომადგენლობისათვის, არამედ ისეთი პირობების შექმნისათვის, როცა შეუძლებელი იქნებოდა სახალხო წარმომადგენლობის გარეკვა ან დათხოვნა, შეუძლებელი იქნებოდა აგრეთვე მისი გადაქცევა კომედიად, როგორც გადააქციეს კომედიად კადეტური სათათბირო ტრეპოვმა და კომპანიამ.

III

მომავალი ბრძოლის მოსალოდნელ ფორმას განსაზღვრავს ნაწილობრივ მისი შინაარსი, ნაწილობრივ კი ხალხის რევოლუციური ბრძოლისა და თვითმპყრობელობის კონტრრევოლუციური ბრძოლის წინანდელი ფორმები.

რაც შეეხება ბრძოლის შინაარსს, ჩვენ უკვე ცხადვყავით, რომ რევოლუციის ორი წლის განმავლობაში ეს შინაარსი ახლანდელი დროისათვის კონცენტრირებულია ძველი ხელისუფლების დამხობის ირგვლივ. ამ მიზნის სრული განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ საყოველთაო-სახალხო შეიარაღებული აჯანყების გზით.

რაც შეეხება ბრძოლის წინანდელ ფორმებს, ამ მხრივ მასობრივი და საერთო-სახალხო მოძრაობის «უკანასკნელ სიტყვას» რუსეთში წარმოადგენს საყოველთაო გაფიცვა და აჯანყება. 1905 წლის უკანასკნელ მეოთხედს შეუძლებელია წარუშლელი კვალი არ დაეტოვებინა პროლეტარიატის, გლეხობის, ჯარის შეგნებული ნაწილის და სხვადასხვა პროფესიულ-ინტე-

ლიგენტურ კავშირთა დემოკრატიული ნაწილის შეგნებასა და სულისკვეთებაში. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ პირველი აზრი, რომელიც თავში მოუვიდა ბრძოლისუნარიანი ელემენტების ფრიად ფართო მასას სათათბიროს დათხოვნის შემდეგ, იყო: საყოველთაო გაფიცვა. თითქოს ეჭვიც კი არავის ეპარებოდა, რომ სათათბიროს დათხოვნის პასუხი გარდუვალად უ ნ დ ა ყოფილიყო სრულიად რუსეთის გაფიცვა.

ასეთი აზრის საყოველთაო ხასიათმა გარკვეული სარგებლობა მოგვიტანა. სტიქიურ და კერძო აფეთქებათაგან მუშებს თითქმის ყველგან შეგნებულად და სისტემატურად ა კ ა ვ ე ბ დ ნ ე ნ რევოლუციური ორგანიზაციები. ამის შესახებ მოდის ცნობები რუსეთის სულ სხვადასხვა ადგილიდან. ოქტომბერ — დეკემბრის გამოცდილებამ, უეჭველია, ხელი შეუწყო იმას, რომ ყველას ყურადღება, ბევრად უფრო მეტად ყოფილიყო მიპყრობილი, ვიდრე წინათ, ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო და ე რ თ დ რ ო უ ლ გამოსვლაზე. გარდა ამისა, საჭიროა აღინიშნოს კიდევ ერთი ფრიად დამახასიათებელი გარემოება: მუშათა მოძრაობის ზოგიერთი მსხვილი ცენტრიდან, მაგალითად, პეტერბურგიდან, მიღებული ცნობების მიხედვით მუშებმა არათუ ადვილად და სწრაფად შეითვისეს საყოველთაო და ერთდროული გამოსვლის იდეის აუცილებლობა, არამედ, გარდა ამისა, ისინი მტკიცედ უჭერდნენ მხარს ს ა ბ რ ძ ო ლ ო და გადამწყვეტ გამოსვლას. სათათბიროს დათხოვნის გამო ს ა დ ე მ ო ნ ს ტ რ ა ც ი ო (ერთდღიანი ან სამდღიანი) გაფიცვის მოწყობის უხეირო აზრს, რომელიც დაებადა ზოგიერთ პეტერბურგელ მენშევიკს, მუშების მხრივ ფრიად გადამწყვეტი ოპოზიცია შეხვდა. უტყუარმა კლასობრივმა ინსტინქტმა და გამოცდილებამ იმ ადამიანებისა, რომელთაც არა ერთხელ უწარმოებიათ სერიოზული ბრძოლა, მაშინვე უკარნახა მათ, რომ საქმე ახლა სრულიად აღარ ეხება დემონსტრაციას. დემონსტრაციას ჩვენ არ გავმართავთო, — ამბობდნენ მუშები. ჩვენ გავაჩაღებთ თავგამოდებულ, გადამწყვეტ ბრძოლას, როცა საყოველთაო გამოსვლის მომენტი დადგებაო. ასეთი იყო, ყველა ცნო-

ბის მიხედვით, პეტერბურგელი მუშების საერთო აზრი. ისინი მიხვდნენ, რომ ნაწილობრივი გამოსვლები და განსაკუთრებით დემონსტრაციები ყოველივე იმის შემდეგ, რაც რუსეთმა განიცადა 1901 წლიდან (ფართო სადემონსტრაციო მოძრაობის დაწყების წელი), პირდაპირ სასაცილო იქნებოდა; ისინი მიხვდნენ, რომ პოლიტიკური კრიზისის გამწვავება შეუძლებელს ხდის ისევ «თავიდან დაწყებას», რომ მთავრობისათვის, რომელმაც სიამოვნებით «იგემა სისხლი» დეკემბერში, — უაღრესად ხელსაყრელი იქნებოდა მშვიდობიანი დემონსტრაციები. ეს დემონსტრაციები ყოვლად უსარგებლოდ დააუძლურებდნენ პროლეტარიატს, ხელს შეუწყობდნენ პოლიციელებსა და ჯარისკაცებს ევარჯიშნათ უიარაღო ხალხზე, დაეჭირათ, და დაეხვრიტათ ისინი. ასეთი დემონსტრაციები მხოლოდ ერთგვარი დადასტურება იქნებოდა სტოლიპინის კვეხნისა: რევოლუცია დავამარცხე, რადგან სათათბირო დავითხოვე ისე, რომ ამით მთავრობის საწინააღმდეგო მოძრაობა არ გამიმწვავებიაო. ახლა ამ კვეხნას ყველა ისე უყურებს, როგორც ცარიელ ტრაბახს, რადგან იციან და გრძნობენ, რომ ბრძოლა ჯერ კიდევ წინ არის. მაშინ «დემონსტრაციას» განმარტავდნენ როგორც ბრძოლას, გაასაღებდნენ მას (უიმედო) ბრძოლად, ხოლო დემონსტრაციის შეწყვეტას მთელ ქვეყნიერებას მოჰფენდნენ, როგორც ახალ დამარცხებას.

სადემონსტრაციო გაფიცვის აზრი შეჰფეროდათ მხოლოდ კადეტთა პარტიის ჩვენებურ ლედრიუ-როლენებს [25], რომელნიც ისევე ბეცური გადაჭარბებით აფასებდნენ პარლამენტარიზმს, როგორც ლედრიუ-როლენმა შეაფასა იგი 1849 წელს. პროლეტარიატმა მყისვე უკუაგდო ეს აზრი, და მშვენივრადაც მოიქცა, რომ უკუაგდო. მუშებმა, რომლებიც ყოველთვის იდგნენ რევოლუციური ბრძოლის პირისპირ, უფრო სწორად შეაფასეს, ვიდრე ზოგიერთმა ინტელიგენტმა, საბრძოლო მზადყოფნა მტრისა და გადამწყვეტი საბრძოლო გამოსვლის აუცილებლობა.

სამწუხაროდ, ჩვენს პარტიაში, იმის გამო, რომ ამჟამად მის რუსულ ნაწილში ს.-დ. მემარჯვენე ფრთა სჭარბობს, საბრძოლო გამოსვლების საკითხი მიგდებული დარჩა. რუსეთის ს.-დ. გამაერთიანებელი ყრილობა გაიტაცა კადეტების გამარჯვებამ, მან ვერ შეაფასა ახლანდელი მომენტის რევოლუციური მნიშვნელობა, თავი აარიდა ოქტომბერ — დეკემბრის გამოცდილებიდან ყველა დასკვნის გამოყვანის ამოცანას. ხოლო ამ გამოცდილების გამოყენების აუცილებლობა პარტიის წინაშე დადგა ბევრად უფრო მალე და ბევრად უფრო მწვავედ, ვიდრე ამას პარლამენტარიზმის მრავალი თაყვანისმცემელი ფიქრობდა. საქმის ასეთი ვითარების აუცილებელი შედეგი იყო ის დაბნეულობა, რომელიც ჩვენი პარტიის ცენტრალურმა დაწესებულებებმა ამ სერიოზულ მომენტში გამოიჩინეს.

მასობრივი პოლიტიკური გაფიცვის შეერთებას შეიარაღებულ აჯანყებასთან კვლავ გვიკარნახებს საქმის მთელი ვითარება. ამასთან სუსტი მხარეები გაფიცვისა, როგორც ბრძოლის დამოუკიდებელი საშუალებისა, განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება. ყველა დარწმუნდა, რომ პოლიტიკური გაფიცვის წარმატების ფრიად მნიშვნელოვანი პირობაა მისი ანაზდეულობა, შესაძლებლობა, რომ მთავრობას მოუმზადებელს მოასწრო. ახლა ეს შეუძლებელია. დეკემბერში მთავრობამ ისწავლა გაფიცვასთან ბრძოლა, და ახლა ის ამ ბრძოლისათვის ძალიან კარგად არის მომზადებული. ყველა აღნიშნავს იმ უდიდეს მნიშვნელობას, რომელიც რკინიგზებს აქვთ საყოველთაო გაფიცვაში. თუ რკინიგზები გაჩერდა — გაფიცვას ყველა შანსი აქვს იმისა, რომ საყოველთაო გახდეს. მაგრამ თუ რკინიგზების სავსებით გაჩერება ვერ მოხერხდა, — გაფიცვაც, თითქმის დანამდვილებით შეიძლება ითქვას, ვერ იქნება საყოველთაო. ხოლო რკინიგზელებისათვის გაფიცვა განსაკუთრებით ძნელია: დამსჯელი მატარებლები სავსებით გამზადებულნი დგანან; ჯარის შეიარაღებული ნაწილები გაფანტული არიან მთელ ხაზზე, ხადგურებში, ზოგან ცალკეულ მატარებლებშიც კი. ასეთ პირობებში გაფიცვას შესაძლებელია მოჰყვეს, და არა

თუ შესაძლებელია, უმრავლეს შემთხვევაში აუცილებლად მოჰყვება, პირდაპირი და უშუალო შეტაკება შეიარაღებულ ძალასთან. მემანქანე, ტელეგრაფისტი, მეისრე უცებ დადგებიან დილემის წინაშე: ან ადგილზედვე დახვრეტილ იქნან (გოლუტვინომ, ლიუბერცმა და რუსეთის რკინიგზის ქსელის სხვა სადგურებმა ტყუილად კი არ მოიპოვეს საყოველთაო-სახალხო რევოლუციური სახელი), ან მუშაობას შეუდგნენ და გაფიცვა ჩაფუშონ.

რასაკვირველია, ჩვენ უფლება გვაქვს უდიდეს გმირობას მოველოდეთ რკინიგზის მრავალ და მრავალ მუშა-მოსამსახურეთაგან, რომელთაც ს ა ქ მ ი თ დაამტკიცეს თავიანთი ერთგულება თავისუფლებისადმი. რასაკვირველია, ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ უარვყოთ რკინიგზის გაფიცვის შესაძლებლობა და მისი წარმატების შანსები. მაგრამ უფლება არა გვაქვს ჩვენს თავს დავუმალოთ ამოცანის ნ ა მ დ ვ ი ლ ი სიძნელე: ამ სიძნელეთა მიფუჩეჩება ყველაზე ცუდი პოლიტიკა იქნებოდა. ხოლო თუ სინამდვილეს პირდაპირ შევხედავთ, თუ თვალს არ დავხუჭავთ, ცხადი გახდება, რომ გაფიცვა ა უ ც ი ლ ე ბ ლ ა დ და მყისვე გადაიზრდება შეიარაღებულ აჯანყებად. რკინიგზის გაფიცვა ა რ ი ს აჯანყება, ეს უდავოა დეკემბრის შემდეგ. ხოლო თუ რკინიგზის გაფიცვა არ მოხდება, ისე ვერ შეჩერდება რკინიგზის ტელეგრაფი, ვერ შეწყდება რკინიგზით წერილების გადაზიდვა, მაშასადამე, შეუძლებელი იქნება ფოსტა-ტელეგრაფის ფართო მასშტაბით გაფიცვაც.

ამრიგად, გაფიცვას რომ შეიარაღებული აჯანყების მიმართ — ხელქვეითი მნიშვნელობა აქვს, ეს გარდუვალი აუცილებლობით გამომდინარეობს საქმის იმ მდგომარეობიდან, რომელიც შეიქმნა 1905 წლის დეკემბრის შემდეგ. ჩვენი ნებასურვილის დამოუკიდებლად, ყოველგვარი «დირექტივების» მიუხედავად, გამწვავებული რევოლუციური მდგომარეობა დემონსტრაციას გადააქცევს გაფიცვად, პროტესტს — ბრძოლად, გაფიცვას — აჯანყებად. რასაკვირველია, აჯანყება, როგორც შეიარაღებული მასობრივი ბრძოლა, შეიძლება გაჩაღ-

დეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მასში აქტიურ მონაწილეობას მიიღებს ჯარის ესა თუ ის ნაწილი. ამიტომ ჯარის გაფიცვას, ხალხის წინააღმდეგ სროლაზე უარისთქმას, უეჭველია, შეიძლება ამა თუ იმ შემთხვევაში მოჰყვეს მარტოოდენ მშვიდობიანი გაფიცვის გამარჯვება. მაგრამ გვგონია ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ასეთი შემთხვევები იქნებოდა მხოლოდ კერძო ეპიზოდები განსაკუთრებით წარმატებული აჯანყებისა და რომ ასეთი შემთხვევების გასახშირებლად, მათი რაც შეიძლება მეტად მოსაახლოებლად არსებობს მხოლოდ ერთი საშუალება: აჯანყების წარმატებით მომზადება, აჯანყების პირველ მოქმედებათა ენერგია და ძალა, ჯარის დემორალიზაცია უაღრესად გაბედული თავდასხმებით ან არმიისაგან მსხვილი ნაწილის ჩამოშორებით და ა. შ.

ერთი სიტყვით, საქმის იმ ვითარების დროს, როგორიც შექმნილია ახლა, სათათბიროს დათხოვნის მომენტში, ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ აქტიურ ბრძოლას პირდაპირ და უშუალოდ მივყავართ აჯანყებისაკენ. შეიძლება, მდგომარეობა შეიცვალოს, და მაშინ ამ დასკვნის გადასინჯვა დაგვჭირდება, მაგრამ ამჟამად იგი სავსებით უდავოა. ამიტომ სრულიად რუსეთის გაფიცვისაკენ მოწოდება ისე, თუ არ მოუწოდე აჯანყებისაკენ, არ განმარტე მისი განუყრელი კავშირი აჯანყებასთან, ეს პირდაპირ ისეთი ქარაფშუტობა იქნებოდა, რომელიც დანაშაულს უახლოვდება. ამიტომ ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ აგიტაციის დროს, რომ განვმარტოთ ბრძოლის ამა თუ იმ ფორმის ურთიერთკავშირი, შევამზადოთ ის პირობები, რომელნიც ხელს შეუწყობდნენ ბრძოლის სამი ნაკადულის: მუშათა აფეთქების, გლეხთა აჯანყებისა და სამხედრო «ამბოხების» ერთ ნიაღვრად შეერთებას. უკვე დიდი ხანია, გასული წლის ზაფხულიდან, «პოტიომკინის» ცნობილი აჯანყების დროიდან, სავსებით გარკვეულად დაისახა ეს ს ა მ ი ფ ო რ მ ა ნამდვილად ხალხური, ე. ი. მ ა ს ო ბ რ ი ვ ი, შეთქმულებისაგან ძალიან დაშორებული აქტიური მოძრაობისა, ა ჯ ა ნ ყ ე ბ ი ს ა, რომელიც დაამხობს თვითმპყრობელობას. მართალი რომ ითქვას, აჯანყების

ამ სამი კალაპოტის შეერთებაზეა დამოკიდებული სრულიად რუსეთის აჯანყების წარმატება. ეჭვს გარეშეა, ბრძოლის ისეთი საბაბი, როგორიცაა სათათბიროს დათხოვნა, ძალიან უწყობს ხელს ამ შეერთებას, ვინაიდან გლეხობის ყველაზე ჩამორჩენილი ნაწილი (მაშასადამე, აგრეთვე ჩვენი, უმთავრესად, გლეხური ჯარის ნაწილიც) სათათბიროზე დიდ იმედებს ამყარებდა.

აქედან დასკვნა: გაძლიერებულად გამოვიყენოთ სწორედ სათათბიროს დათხოვნა, როგორც საბაბი კონცენტრირებული აგიტაციისა, და მოვუწოდოთ საყოველთაო-სახალხო აჯანყებისაკენ. განვმარტოთ პოლიტიკური გაფიცვის კავშირი აჯანყებასთან. მთელი ძალღონე მივმართოთ იქით, რომ მივაღწიოთ მუშათა, გლეხთა, მატროსთა და ჯარისკაცთა გაერთიანებას და ერთად გამოსვლას აქტიური, შეიარაღებული ბრძოლისათვის.

დასასრულ, როცა ვლაპარაკობთ მოძრაობის ფორმაზე, ცალკე უნდა მოვიხსენიოთ გლეხთა ბრძოლაც. აქ გაფიცვის კავშირი აჯანყებასთან განსაკუთრებით ცხადია. ცხადია აგრეთვე, რომ აჯანყების მიზანი აქ უნდა იყოს არა მარტო სრული განადგურება ან თავიდან მოშორება ყველა და ყოველგვარ ადგილობრივ ხელისუფალთა, მათი შეცვლა ახალი, სახალხო ხელისუფლებით (საერთო მიზანი ყოველი აჯანყებისა ესაა, სულ ერთია: ქალაქში, სოფელში, ჯარში თუ სხვაგან), — არამედ აგრეთვე მემამულეების განდევნა და მემამულეთა მიწების ხელში ჩაგდება. საყოველთაო-სახალხო დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილებამდე გლეხები, უეჭველია, უნდა ეცადონ მემამულეთა მიწათმფლობელობის ფაქტიურ მოსპობას. ამაზე ბევრი ლაპარაკი საჭირო არ არის, რადგან გლეხთა აჯანყებას მემამულეებთან ანგარიშის გაუსწორებლად და მიწების ხელში ჩაუგდებლად, ალბათ, ვერც ვერავინ წარმოიდგენს. ცხადია, რაც უფრო შეგნებული და ორგანიზებული იქნება ეს აჯანყება, მით უფრო იშვიათი იქნება შენობათა, ქონების, პირუტყვის და სხვათა მოსპობის შემთხვევები. სამხედრო თვალსაზ-

რისით განსაზღვრული სამხედრო მიზნების მისაღწევად მოსპობა — მაგალითად, გადაწვა შენობებისა, ხანდახან კი ქონებისაც — ზოგჯერ სავსებით კანონიერი და სავალდებულო ღონისძიებაა. მხოლოდ პედანტებს (ან ხალხის მოღალატეებს) შეუძლიათ განსაკუთრებით იგლოვონ იმის გამო, რომ გლეხები ყოველთვის ამნაირ საშუალებებს მიმართავენ. მაგრამ რა დასამალია, რომ ხანდახან ქონების მოსპობა შედეგია მხოლოდ არაორგანიზებულობისა, უუნარობისა — ხ ე ლ თ ი გ დ ო ნ და შეინარჩუნონ მტრის ქონება მისი მოსპობის მაგივრად — ან შედეგია ს ი ს უ ს ტ ი ს ა, როდესაც მეომარი მხარე შ უ რ ს ი ძ ი ე ბ ს მტერზე, რადგან ძალა არ შესწევს გ ა ა ნ ა დ გ უ რ ო ს, გასრისოს მტერი. ჩვენ, რა თქმა უნდა, აგიტაციის დროს ყოველნაირად უნდა განუმარტოთ გლეხებს, ერთი მხრივ — სრული კანონიერება და აუცილებლობა მტერთან შ ე უ ბ რ ა ლ ე ბ ე ლ ი ბრძოლისა თვით ქონების განადგურებამდე, ხოლო მეორე მხრივ, ვუჩვენოთ მათ, რომ ორგანიზებულობის დონეზეა დამოკიდებული შესაძლებლობა — გამოინახოს ბევრად უფრო გონიერი და ხელსაყრელი გამოსავალი: მტრის მოსპობა (მემამულეებისა და მოხელეებისა, განსაკუთრებით პოლიციისა) და ყველა და ყოველგვარი ქონების გადაცემა ხალხის მფლობელობაში ან გლეხთა მფლობელობაში ისე, რომ სრულიად არ დაზიანდეს იგი (ან რაც შეიძლება ნაკლებ დაზიანდეს).

IV

ბრძოლის ფორმის საკითხთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ბრძოლის ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ი ს საკითხი.

ამ მხრივაც 1905 წლის ოქტომბერ-დეკემბრის დიდმა ისტორიულმა გამოცდილებამ წარუშლელი კვალი დააჩნია თანამედროვე რევოლუციურ მოძრაობას. მუშათა დეპუტატების საბჭოები და მათი მსგავსი დაწესებულებანი (გლეხთა კომიტეტები, რკინიგზელთა კომიტეტები, ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები და სხვ.) უდიდესი და სავსებით დამსახურებუ-

ლი ავტორიტეტით სარგებლობენ. ამჟამად ძნელი იქნებოდა ისეთი სოციალ-დემოკრატის ან სხვა პარტიათა და მიმართულებათა რევოლუციონერის გამონახვა, რომელიც საზოგადოდ არ თანაუგრძნობდეს ამგვარ ორგანიზაციებს და, კერძოდ, არ იძლეოდეს რჩევას, რომ ამჟამად მოეწყოს ასეთი ორგანიზაციები.

ამის შესახებ, თითქოს, უთანხმოება ან, ყოველ შემთხვევაში, რაოდენადმე სერიოზული უთანხმოება არ არსებობს. ამიტომ, კაცმა რომ თქვას, ამ საკითხზე შეჩერება არც არის საჭირო.

მაგრამ არის საქმის ერთი მხარე, რომელზედაც საჭიროა განსაკუთრებული ყურადღებით შეჩერება, რადგან მას ერთობ ხშირად უგულებელყოფენ. საქმე ისაა, რომ მუშათა დეპუტატების საბჭოების როლმა (სიმოკლისათვის ვილაპარაკებთ მათზე, როგორც ყველა და ყოველგვარ ასეთ ორგანიზაციათა ტ ი პ ზ ე) ოქტომბრისა და დეკემბრის დიდ დღეებში ისეთი მომხიბლავი სახელით შემოსა ეს დაწესებულებანი, რომ ისინი ზოგჯერ თითქმის ფეტიშად მიაჩნიათ. ჰგონიათ, რომ ეს ორგანოები ყოველთვის და ყველა პირობებში «აუცილებელნი და საკმარისნი» არიან მასობრივი რევოლუციური მოძრაობისათვის. აქედან წარმოსდგება უკრიტიკო დამოკიდებულება ასეთ დაწესებულებათა შექმნის მომენტის შერჩევისადმი, იმ საკითხისადმი, თუ რა რეალური პირობებია საჭირო მათი საქმიანობის წარმატებისათვის.

ოქტომბერ — დეკემბრის გამოცდილებამ ამის შესახებ ფრიად საგულისხმო მითითებანი მოგვცა. მუშათა დეპუტატების საბჭოები მ ა ს ო ბ რ ი ვ ი უ შ უ ა ლ ო ბ რ ძ ო ლ ი ს ო რ გ ა ნ ო ებ ი ა. ისინი წარმოიშვნენ, როგორც ს ა გ ა ფ ი ც ვ ო ბრძოლის ორგანოები. ისინი ძალიან მალე, აუცილებლობის ზეგავლენით, გადაიქცნენ მთავრობის წინააღმდეგ ს ა ე რ თ ო-რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი ბრძოლის ორგანოებად. ისინი შ ე უ კ ა ვ ებ ლ ა დ, მოვლენათა განვითარებისა და გაფიცვიდან აჯანყებაზე გადასვლის გამო,—გადაიქცნენ ა ჯ ა ნ-

ყ ე ბ ი ს ო რ გ ა ნ ო ე ბ ა დ. დეკემბერში რომ მთელი რიგი «საბჭოები» და «კომიტეტები» სწორედ ასეთ როლს ასრულებდნენ, ეს სრულიად უდავო ფაქტია. და მოვლენებმა სრულიად თვალნათლივ და დამარწმუნებლად ცხადყვეს, რომ ასეთი ორგანოების ძალა და მნიშვნელობა ბრძოლის დროს ს ა ვ ს ე ბ ი თ დამოკიდებულია აჯანყების ძალასა და წარმატებაზე.

არა რაიმე თეორიამ, არა ვისიმე მოწოდებამ, არა ვისიმე გამოგონილმა ტაქტიკამ, არა პარტიულმა დოქტრინამ, არამედ საქმის ვითარებამ მიიყვანა ეს უპარტიო, მასობრივი ორგანოები აჯანყების აუცილებლობამდე და გადააქცია აჯანყების ორგანოებად.

და ამჟამადაც ასეთი ორგანოების შექმნა ნიშნავს აჯანყების ორგანოების შექმნას, მათი შექმნისაკენ მოწოდება ნიშნავს აჯანყებისაკენ მოწოდებას. ამის დავიწყება ან მიჩქმალვა ხალხის ფართო მასების წინაშე ყოვლად მიუტევებელი სიბეცე და ყველაზე უარესი პოლიტიკა იქნებოდა.

რაკი ეს ასეა, — ეს კი უეჭველად ასეა, — აქედან ცხადია ის დასკვნაც, რომ აჯანყების მოსაწყობად «საბჭოები» და მსგავსი მასობრივი დაწესებულებანი ჯერ კიდევ ა რ კ მ ა რ ა. ისინი აუცილებელია მასების დარაზმვისათვის, საბრძოლო გაერთიანებისათვის, პოლიტიკური ხელმძღვანელობის პარტიული (ან პარტიათა შეთანხმებით წამოყენებული) ლოზუნგების გადაცემისათვის, მასების დაინტერესებისათვის, გაღვიძებისა და მიმხრობისათვის. მაგრამ ისინი არ კმარა უ შ უ ა ლ ო დ მ ე ბ რ ძ ო ლ ძ ა ლ თ ა ორგანიზაციისათვის, ა ჯ ა ნ ყ ე ბ ი ს ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ი ს ა თ ვ ი ს ამ სიტყვის ფრიად ვიწრო მნიშვნელობით.

პატარა ილუსტრაცია. მუშათა დეპუტატების საბჭოებს ხშირად მუშათა კლასის პარლამენტებს უწოდებდნენ. მაგრამ არც ერთი მუშა არ დათანხმდება მოიწვიოს თ ა ვ ი ს ი პარლამენტი იმისათვის, რომ იგი პოლიციას ჩაუგდოს ხელში. ყველა აღიარებს, რომ საჭიროა ძ ა ლ ე ბ ი ს დაუყოვნებლივი

ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ა, ს ა მ ხ ე დ რ ო ორგანიზაცია, საკუთარი «პარლამენტის» დასაცავად, ორგანიზაცია შეიარაღებულ მუშათა რაზმების სახით.

ახლა, როდესაც მთავრობა გამოცდილებით და საფუძვლიანად დარწმუნდა, თუ რას მოასწავებენ «საბჭოები» და რა დაწესებულებებია ეს, როდესაც იგი თავით ფეხამდე შეიარაღდა და უცდის ასეთ დაწესებულებათა შექმნას, რათა თავს დაესხას მტერს ისე, რომ არ მისცეს მას საშუალება გონს მოვიდეს და თავისი საქმიანობა გაშალოს, — ახლა ჩვენი აგიტაციის დროს განსაკუთრებით უნდა განვმარტოთ, რომ აუცილებელია ფხიზლად შევხედოთ საქმეს, რომ აუცილებელია ს ა მ ხ ე დ რ ო ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ა საბჭოების ორგანიზაციასთან ერთად მათ დასაცავად, იმ აჯანყების ჩასატარებლად, ურომლისოდაც უძლური იქნებიან ყოველგვარი საბჭოები და მასის მიერ არჩეული პირნი.

ეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, «სამხედრო ორგანიზაციები», რომლებზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ, უნდა ცდილობდნენ მოიცვან მასა არა არჩეულთა მეშვეობით, არამედ ქუჩის ბრძოლისა და სამოქალაქო ომის უშუალო მონაწილეთა მასა. ამ ორგანიზაციებმა თავის უჯრედად უნდა იყოლიონ ძალიან წვრილი, თავისუფალი კავშირები, ათეულები, ხუთეულები და, შეიძლება, სამეულებიც კი. უნდა გავაჩაღოთ მეტად ძლიერი ქადაგება, რომ ახლოვდება ბრძოლა, როდესაც ყ ო ვ ე ლ ი პატიოსანი მოქალაქე ვალდებულია თავი გასწიროს და იბრძოლოს ხალხის მჩაგვრელთა წინააღმდეგ. ნაკლები ფარმალობა, ნაკლები გაჭიანურება საქმისა, მეტი სიმარტივე ორგანიზაციისა, რომელსაც მოძრაობის უნარისა და მოქნილობის მაქსიმუმი უნდა ჰქონდეს. ყველა და თვითეული, ვისაც კი სურს თავისუფლების მხარეზე იდგეს, დაუყოვნებლივ უნდა გაერთიანდეს მებრძოლ «ხუთეულებად» — ერთი პროფესიის, ერთი ფაბრიკის ადამიანთა, ან ისეთ ადამიანთა თავისუფალ კავშირებად, რომელნიც დაკავშირებული არიან ერთმანეთთან ამხანაგობით, პარტიული ურთიერთობით, ბოლოს, ადგილსაცხოვრებ-

ლითაც კი (ერთი სოფელი, ერთი სახლი ქალაქად ან ერთი ბინა). ეს კავშირები უნდა იყვნენ როგორც პარტიულნი, ისე უპარტიონი, დაკავშირებულნი ერთმანეთთან ერთი უშუალო რევოლუციური ამოცანით: მთავრობის საწინააღმდეგო აჯანყებით. ეს კავშირები ფრიად ფართო მასშტაბით უნდა შევქმნათ და უეჭველად იარაღის მიღებამდე, დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ლ ა დ იარაღის საკითხისა.

ვერავითარი პარტიული ორგანიზაცია ვერ «შეაიარაღებს» მასებს. პირიქით, მასების დარაზმვა ადვილად მოძრავ პატარ-პატარა მებრძოლ კავშირებად მოძრაობის მომენტში უდიდეს სამსახურს გაგვიწევს იარაღის მოპოვების საქმეში.

თავისუფალი მებრძოლი კავშირები, «რაზმელების» კავშირები, თუ ვიხმართ იმ სახელწოდებას, რომელიც ასე საპატიო გახადეს მოსკოვის დეკემბრის დიდმა დღეებმა, უდიდეს სარგებლობას მოგვიტანენ აფეთქების მომენტში. სროლის მცოდნეთა რაზმი იარაღს აჰყრის პოლიციელს, უცბად თავს დაესხმის პატრულს, იშოვის იარაღს. ხოლო ის რაზმელები, რომელთაც სროლა არ იციან ან იარაღი ვერ უშოვნიათ, დაგვეხმარებიან, რომ ავაგოთ ბარიკადები, მოვახდინოთ დაზვერვა, გავაგათ კავშირი, ჩავუსაფრდეთ მტერს, ცეცხლი წავუკიდოთ შენობას, სადაც მტერი გამაგრებულა, დავიკავოთ ბინები, რომელნიც შეიძლება აჯანყებულთა ბაზად გადავაქციოთ, — ერთი სიტყვით, იმ ადამიანთა თავისუფალ კავშირებს, რომელთაც გადაწყვეტილი ექნებათ თავგანწირულად იბრძოლონ, რომელთაც მშვენივრად ეცოდინებათ ადგილმდებარეობა და რომელნიც ყველაზე მჭიდროდ იქნებიან დაკავშირებულნი მოსახლეობასთან, — შეუძლიათ ათასგვარი ფუნქცია შეასრულონ.

დაე ყოველ ფაბრიკაში, ყოველ პროფესიულ კავშირში, ყოველ სოფელში გაისმას მოწოდება ასეთი თავისუფალი მებრძოლი რაზმების მოსაწყობად. ის ადამიანები, რომელნიც ერთმანეთს კარგად იცნობენ, წინდაწინვე შექმნიან მათ. ის ადამიანები კი, რომელნიც ერთმანეთს არ იცნობენ, შექმნიან ხუთეულებსა და ათეულებს ბრძოლის დღეს ან ბრძოლის წინახანს,

ბრძოლის ადგილზევე, თუკი ასეთი კავშირების შექმნის იდეა ფართოდ გავრცელდება და მართლაც შეთვისებული ექნება მასას.

ამჟამად, როდესაც სათათბიროს დათხოვნამ აამოძრავა სულ ახალ-ახალი ფენები, თქვენ ხშირად შეხვდებით ფრიად რევოლუციურ აზრებსა და განცხადებებს ქალაქის იმ მდაბიო ხალხის უბრალო წარმომადგენელთაგან, რომელიც ყველაზე ნაკლებ არის შეკავშირებული და, თავისი საერთო შესახედაობით, ყველაზე «შავრაზმელია». მაშ ვიზრუნოთ, რათა ყველა მათგანმა იცოდეს მოწინავე მუშებისა და გლეხების გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ მალე დაიწყებენ ბრძოლას მიწისა და თავისუფლებისათვის, რათა ყველა მათგანმა იცოდეს, რომ აუცილებელია მებრძოლთა რაზმების მზადება, რათა ყველა მათგანი განიმსჭვალოს აჯანყების აუცილებლობისა და მისი სახალხო ხასიათის რწმენით. მაშინ ჩვენ მივაღწევთ — და ეს სრულიადაც არ არის უტოპია — იმას, რომ ყოველ დიდ ქალაქში იყვნენ რაზმელები არა ასობით, როგორც ეს დეკემბრის დღეებში იყო მოსკოვში, არამედ ათას-ათასობით. და მაშინ ვ ე რ ა ვ ი თ ა რ ი ტ ყ ვ ი ა მ ფ რ ქ ვ ე ვ ე ბ ი ვ ე ღ ა რ გ ა-გ ვ ი ძ ლ ე ბ ს, როგორც ამბობდა ხალხი მოსკოვში და თან აღნიშნავდა, რომ იქაური მებრძოლი რაზმები არასაკმაოდ მასობრივი, ხალხთან არასაკმაოდ დაახლოებული ხასიათისა და შემადგენლობისა იყვნენ.

მაშ ასე: შევქმნათ მუშათა დეპუტატების საბჭოები, გლეხთა კომიტეტები და ანალოგიური დაწესებულებანი ყველგან; ამასთანავე უაღრესად ფართო პროპაგანდა და აგიტაცია გავწიოთ იმისა, რომ აუცილებელია ერთდროული აჯანყება, საამისოდ ძალთა დაუყოვნებლივ მომზადება და «რაზმელთა» მასობრივი თავისუფალი რაზმების შექმნა.

* * *

P. S. * ეს თავი უკვე დაწერილი გვქონდა, როდესაც გავიგეთ ამბავი ახალი «შებრუნებისა» ჩვენი ც. კ-ის ლოზუნგებ-

* — **Postscriptum** — მინაწერი. რ ე დ.

ში: სათათბიროსათვის, როგორც დამფუძნებელი კრების მ ო მ წ ვ ე ვ ი ო რ გ ა ნ ო ს თ ვ ი ს ა ო.

მაშასადამე, ორგანიზაციის საკითხს ემატება დროებითი რევოლუციური მთავრობის ორგანიზაციის საკითხი, რადგან ასეთი იქნებოდა, არსებითად, ის დაწესებულება, რომელსაც ნამდვილად შეეძლება დამფუძნებელი კრების მოწვევა. მხოლოდ არ უნდა დავივიწყოთ, როგორც ამას ხშირად სჩადიან ჩვენი კადეტოფილები, რომ დროებითი მთავრობა უწინარეს ყოვლისა ა ჯ ა ნ ყ ე ბ ი ს ო რ გ ა ნ ო ა. სურს თუ არა განხვენებულ სათათბიროს აჯანყების ორგანო იყოს? სურთ თუ არა კადეტებს აჯანყების ორგანო იყვნენ? კეთილი, ბატონებო! ჩვენ მოხარულნი ვართ ბურჟუაზიული დემოკრატიიდან გამოსული ყოველი მოკავშირისა ბ რ ძ ო ლ ა შ ი. თუნდაც თქვენი კავშირი ჩვენთვის — გვაპატიეთ, — იგივე იყოს, რაც რუსეთისათვის საფრანგეთთან კავშირია (ე. ი. ფულის წყარო), ჩვენ მაშინაც ძალიან მოხარულნი ვიქნებოდით; ჩვენ რეალური პოლიტიკოსები ვართ, ბატონებო. მაგრამ თუ თქვენი, კადეტური მონაწილეობა აჯანყებაში უბრალო და ფუჭი მენშევიკური ოცნებაა, — ჩვენ მხოლოდ ამას ვიტყვით: რა პატარა და წვრილმანი ოცნებანი გქონიათ, ამხანაგო მენშევიკებო. უფრთხილდით, არ დაგღუპოთ კადეტებისადმი «უიმედო სიყვარულმა», რადგან კადეტები ვერ შესძლებენ თქვენი ვნების დაგვირგვინებას...

დროებითი მთავრობის საკითხი თეორიულად უკვე არაერთხელ გარკვეულა. ს.-დ. მონაწილეობის შესაძლებლობა დამტკიცებულია. მაგრამ ახლა უფრო საინტერესოა ამ საკითხის სხვანაირი, პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი დაყენება, რ ო მ ე ლ ი ც მ ო გ ვ ც ე ს ოქტომბერ — დეკემბერმა. მუშათა დეპუტატების საბჭოები და სხვანი ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ ხომ დროებითი მთავრობის ჩანასახნი იყვნენ; აჯანყებას რომ გაემარჯვნა, ძალაუფლება ა უ ც ი ლ ე ბ ლ ა დ მათ დარჩებოდათ. სიმძიმის ცენტრი უნდა გადავიტანოთ ახალი ხელისუფლების სწორედ ამ, ისტორიულად მოცემული ჩანასახი ორგანოების შესწავლა-

ზე, მათი მუშაობისა და მ ა თ ი წ ა რ მ ა ტ ე ბ ი ს პირობათა შესწავლაზე. ამჟამად ეს უფრო არსებითია, უფრო საინტერესოა, ვიდრე მკითხაობა «საზოგადოდ» დროებით რევოლუციურ მთავრობაზე.

V

ჩვენ დაგვრჩა გამოსვლის დროის საკითხის განხილვა. კადეტური სათათბიროსადმი ნაზმა სიყვარულმა მემარჯვენე ფრთის სოციალ-დემოკრატებში გამოიწვია დაუყოვნებლივი გამოსვლის მოთხოვნა. ამ იდეამ საჯარო ფიასკო განიცადა. მუშათა კლასისა და საზოგადოდ ქალაქის მოსახლეობის მასების დამოკიდებულებამ ცხადყო, რომ მდგომარეობის სერიოზულობა შეგნებული აქვთ ან გრძნობენ. ბრძოლა ნამდვილად მოსალოდნელია, რა თქმა უნდა, სრულიადაც არა სათათბიროსათვის, არამედ ძველი ხელისუფლების დ ა მ ხ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს. დროის გადადება შედეგია საერთო სულისკვეთებისა, სურვილისა, რომ მოემზადონ ნამდვილად გადამწყვეტი და თავგანწირული ბრძოლისათვის, მიაღწიონ მოქმედებათა შეთანხმებულობას.

შესაძლებელია, და, მგონია, უფრო მოსალოდნელია, რომ ახალი ბრძოლა გაჩაღდება ისევე სტიქიურად და მოულოდნელად, როგორც წინანდელი ბრძოლები, სულისკვეთების გაძლიერებისა და ერთერთი აუცილებელი აფეთქების შედეგად. თუ საქმე ასე წავა, თუ განვითარების ასეთი მსვლელობა დაისახება, როგორც გარდუვალი რამ, მაშინ ჯერ მოგვიხდება გამოსვლის დროის საკითხის გადაწყვეტა, მაშინ ჩვენი ამოცანა ის იქნება, რომ გავაათკეცოთ აგიტაცია და ორგანიზაციული მუშაობა ყველა ზემოაღნიშნული მიმართულებით.

მაგრამ, შესაძლოა, მოვლენებმა მოგვთხოვონ ხელმძღვანელები და გამოსვლის დროის დანიშვნა. თუ ეს ასე მოხდება, ჩვენ ვურჩევდით დაენიშნათ სრულიად რუსეთის გამოსვლა, გაფიცვა და აჯანყება ზაფხულის დამლევისათვის ან შემოდგომის დამდეგისათვის, აგვისტოს შუა რიცხვების ან დამლევისა-

თვის. დიდი მნიშვნელობა ექნებოდა იმას, რომ გამოყენებული ყოფილიყო ქალაქად სამშენებლო მუშაობათა პერიოდი და ზაფხულის მინდვრის სამუშაოთა დამთავრების დრო. თუ მოხერხდება გამოსვლის დროის შესახებ ყ ვ ე ლ ა გავლენიანი რევოლუციური ორგანიზაციისა და კავშირის შეთანხმება, მაშინ აღნიშნულ ვადაში გამოსვლის შესაძლებლობა გამორიცხული არ იქნებოდა. მთელ რუსეთში ბრძოლის დაწყების ერთდროულობა უდიდესი პლუსი იქნებოდა. მთავრობას კიდეც რომ გაეგო გაფიცვის ვადა, ესეც კი, ალბათ, ვერ იქნებოდა დამღუპველი. ეს ხომ შეთქმულება ან სამხედრო იერიში არ არის, რაც ანაზდეულობას მოითხოვს. მთელ რუსეთში ჯარი, ალბათ, ძალიან იქნებოდა დემორალიზებული, თუ მთელი კვირების განმავლობაში მას შეაწუხებდა ბრძოლის გარდუვალობის აზრი, თუ მას თოფქვეშ ამყოფებდნენ, ხოლო ყველა და ყოველგვარი ორგანიზაცია და მათთან ერთად უამრავი «უპარტიო» რევოლუციონერი სულ უფრო და უფრო შეთანხმებულად გასწევდნენ აგიტაციას. სათათბიროს გავლენიან წევრებსაც — სოციალ-დემოკრატებსა და შრომის ჯგუფელებს შეეძლოთ ხელი შეეწყოთ ერთდროული გამოსვლის წარმატებისათვის.

ცალკეული და სრულიად უსარგებლო აფეთქებანი, მაგალითად, ჯარისკაცთა «ამბოხებანი» და გლეხთა უიმედო აჯანყებანი, მაშინ, იქნებ, შეგვეკავებინა, თუ მთელი რევოლუციური რუსეთი ირწმუნებდა ამ დიადი საერთო ბრძოლის აუცილებლობას.

მაგრამ ვიმეორებთ, ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოხდება ყ ვ ე ლ ა გავლენიანი ორგანიზაციის სრული შეთანხმება. წინააღმდეგ შემთხვევაში დაგვრჩება ძველი გზა სულისკვეთების სტიქიური და თანდათანი ზრდისა.

VI

მოკლედ შევაჯამოთ შედეგები.

სათათბიროს დათხოვნა თვითმპყრობელობისაკენ სრული შებრუნებაა. მთელი რუსეთის ერთდროული გამოსვლის შესაძ-

ლებლობა იზრდება. ყველა კერძო აჯანყების ერთ აჯანყებად შეერთების შესაძლებლობა ძლიერდება. პოლიტიკური გაფიცვისა და აჯანყების, როგორც ძალაუფლებისათვის ბრძოლის, გარდუვალობას მოსახლეობის ფართო წრეები გრძნობენ ისე, როგორც წინათ არასოდეს არ უგრძვნიათ.

ჩვენი საქმეა უფართოესი აგიტაცია გავაჩაღოთ სრულიად რუსეთის აჯანყების სასარგებლოდ, განვმარტოთ მისი პოლიტიკური და ორგანიზაციული ამოცანები, ყოველი ღონე ვიხმაროთ, რომ ყველამ შეიგნოს მისი გარდუვალობა, დაინახოს საერთო შეტევის შესაძლებლობა და ჩაებას უკვე არა «ამბოხებაში», არა «დემონსტრაციაში», არა უბრალო გაფიცვებსა და თავდასხმაში, არამედ ძალაუფლებისათვის ბრძოლაში, მთავრობის დამხობისათვის ბრძოლაში.

საქმის მთელი ვითარება ხელს უწყობს ამ ამოცანის შესრულებას. პროლეტარიატი ემზადება ბრძოლის სათავეში ჩასადგომად. რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის წინაშე პასუხსაგები, ძნელი, მაგრამ დიადი და მადლიანი ამოცანა დგას: დაეხმაროს მუშათა კლასს, როგორც სრულიად რუსეთის აჯანყების მოწინავე რაზმს.

ეს აჯანყება დაამხობს თვითმპყრობელობას და შეჰქმნის ნამდვილად ძალაუფლებიან სახალხო წარმომადგენლობას — ე. ი. დამფუძნებელ კრებას.

P. S. ეს სტატია დაწერილია სვეაბორგის აჯანყების [21] დ ა-
წ ყ ე ბ ა მ დ ე.

სვეაბორგში დელეგაციის გაგზავნის შესახებ

რსდმპ პეტერბურგის კომიტეტის აღმასრულებელი კომისიის დადგენილება

რადგან ქ. სვეაბორგიდან [37] მიღებულია საგანგებო ცნობები, რომ ამ ქალაქში მდგომარეობა უკიდურესად გამწვავებულია და შესაძლებელია დაუყოვნებლივი აფეთქება, რსდმპ ს.-პეტერბურგის კომიტეტის აღმასრულებელი კომისია ადგენს:

1) დაუყოვნებლივ გაიგზავნოს სვეაბორგს დელეგაცია ამხანაგების NNNN-ის შემადგენლობით;

2) დაევალოს ამ დელეგაციას მიიღოს ყოველგვარი ზომები საქმის ვითარების ადგილობრივ და გულდასმით გამორკვევისათვის;

3) დაევალოს მას გავლენა მოახდინოს პარტიის ადგილობრივ წევრებზე, რევოლუციონერებსა და მოსახლეობაზე იმ მხრივ, რომ მიღწეულ იქნას გამოსვლის გადადება, თუკი ეს შესაძლებელია ისე, რომ მოსახლეობას არ დასჭირდება ძალიან დიდი მსხვერპლის გაღება უკვე დასახულ პირთა მთავრობის მიერ დაპატიმრების აზრით;

4) დაევალოს იმავე დელეგაციას, იმ შემთხვევაში, თუ აფეთქების შეჩერება სრულიად შეუძლებელი იქნება, მიიღოს უაღრესად აქტიური მონაწილეობა მოძრაობის ხელმძღვანე-

ლობაში, ე. ი. დაეხმაროს საბრძოლველად გამოსულ მასებს დაირაზმონ დამოუკიდებლად, განაიარაღონ და მოსპონ რეაქცია, სათანადო მომზადების შემდეგ დაიწყონ გადამწყვეტი შეტევითი მოქმედება და გამოვიდნენ სწორი და მართლაც რევოლუციური ლოზუნგებით, რომლებსაც შეეძლებათ გაიყოლიონ მთელი ხალხი.

დაწერილია 1906 წ. 16 (29) ივლისს.

პირველად დაიბეჭდა 1930 წ. 20 დეკემბერს გაზეთ «პრავდაში» № 349

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

ПРОЛЕТАРІЙ

Цѣна 5 коп. Москва. № 1.

РОССІЙСКАЯ СОЦІАЛЬ-ДЕМОКРАТИЧЕСКАЯ РАБОЧАЯ ПАРТІЯ.

Пролетаріи всѣхъ странъ, соединяйтесь!

Понедѣльникъ, 21-го августа 1906 г.

ОРГАНЪ МОСКОВСКАГО И С-ПЕТЕРБУРГСКАГО КОМИТЕТОВЪ Р. С.-Д. Р. П.

Передъ бурей.

Кончилъ свою сессію первый всероссійскій Государственный Думы. Пришла пора новыхъ выборовъ выборовъ въ избиратели, которыхъ выставятъ недовольные выборщики. Но что нового они принесутъ рабочимъ классамъ, представляющимъ „чернымъ“ большинствомъ пролетаріатъ отъ народа. Все время бастуютъ выборы прибавляетъ отдѣ рабочихъ. Все больше надвигается новая волна.

Такимъ и „трудовикъ“ путемъ идетъ русская революція. Да каждый выборщикъ, до каждаго крестьянина, пролетарія, пострадавшаго самодержавіе ждетъ борьбы за свободу. Не всѣмъ каждого „выборщика“ все время отложить дѣлами, все глубже борьба, все больше нужно отвлекать въ борьбѣ и участвовать въ ней пролетаріатъ и другіе народы. Да каждый выборщикъ революціи, да каждый шагомъ вперёдъ въ дѣлѣ организаціи боевой организаціи сдѣлаетъ прямо-таки обѣщаній матеріалъ рабочихъ сдѣлаетъ шаги вперёдъ въ дѣлѣ организаціи пролетаріатъ аналогичного вперёдъ, сокращаетъ выгонъ вперёдъ революціи, что отдѣлаетъ сокращаетъ не существованіе. Но сами революціи, не сдаётся на всѣ его уклоны, неудержимо подаетъ. Но стоитъ революціи становится все больше съ рабочихъ, крестьянъ, сказать, вчера тамъ бывшихъ разъединенными или одинокими. Одна за другой разрушается въ народномъ сознаніи за другой подъемъ отъ предразсудковъ, которыя сдѣлали русскій народъ покорнымъ, терпѣливымъ, пресмыкающимся, неспособнымъ к возмущенію.

Самодержавіе властвуетъ какъ рабъ рабъ, но обманъ не рабъ. Самодержавіе покрыто со всѣхъ сторонъ ненавистью и презрѣніемъ, но оно еще держится, оно еще стремится и даже свирѣпствуетъ, чтобы бить, чтобы отдавать отдѣлать. А революционная власть народа, въ пролетаріатомъ во главѣ съ крестьянами, заставляетъ, чтобы выдержать бывшій опытъ, чтобы выдержать первый и самый трудный шагъ, чтобы выдержать самый и сдержать проклятую силу самодержавія и крепостничества, окружающую Россію.

И путь борьбы страшно суровъ, но выдержать всякая революція, окружаетъ всякая умѣть, самостоятельно и самостоятельно сознаны на будущее какой революціи, какъ бросить общій лозунгъ на не пролетаріатъ. Но разно они второй русской революціи, но она уже не обстоятельно дѣлаетъ и сознаніе какъ, что если революціонный пролетаріатъ и большинство всѣ историческіе творчества народа больше, чѣмъ является во времени интересы Каждая новая революція, каждый новый шагъ, каждый новый шагъ и большинство сознательнѣе, сознаніе гнетъ для разрушенія всякаго и всякаго высшаго шагъ, и каждый разъ всѣ бывшіе и новые друзья и сознаніе пролетаріатъ, дѣлаетъ неудержимо сознаніе гнетъ для разрушенія всякаго и всякаго высшаго шагъ, и каждый разъ всѣ бывшіе и новые друзья и сознаніе пролетаріатъ, дѣлаетъ неудержимо.

Что главнѣйшія этапы нашей революціи пятилѣтнія. Знаетъ первый — поход крестьянъ, шаги нашего крестьянъ, борьба, недовольство и надежды и свободы конституціи. Этотъ второй — поход конституціонныхъ пролетаріатъ, потомъ и недовольство. Этотъ третій — поход пролетаріатъ конституціонныхъ, поход Государственной Думы. Сначала у нас просили конституціи. Потомъ у нас выражали самой торжественно просили конституціи. Теперь, теперь, на самомъ дѣлѣ просили конституціи Думы, что конституціи, самостоятельности, царскаго самодержавія, дарованія чистоплотнаго существованія, не стоитъ ожидать грома.

Въ каждомъ изъ этихъ шаговъ мы видимъ сначала не полезныхъ либеральныхъ буржуевъ, мужицкіе, сознанные, пожалуй-мужицкіе и рабочіе-сознательные, которые разрушаетъ въ умѣ и сознаніи не выдержанно, сознательнѣе сознанію гнетомъ бывшаго народа, большой сознаніе и сознаніе народной свободы и народной власти. В каждой разъ сознаніе отмѣчаетъ это сознаніе (первого времени) это либеральныя буржуевъ, разрывалъ съ ними, выдержанность выдержать, гнетомъ выдержанности выдержать. А на самомъ видѣ выдержанности выдержать, гнетомъ выдержанности выдержать, гнетомъ выдержанности выдержать.

Пролетаріатъ решительно выдержал Нѣтъ, выдержанности выдержать, гнетомъ выдержанности выдержать, гнетомъ выдержанности выдержать.

Самодержавіе выдержанности выдержать, гнетомъ выдержанности выдержать, гнетомъ выдержанности выдержать.

ქარიშხლის წინ

უკვე ერთი თვე გავიდა სახელმწიფო სათათბიროს დათხოვნის დროიდან. ჩაიარა სამხედრო აჯანყებებისა და გაფიცვების პირველმა ტალღამ, რომლებითაც ცდილობდნენ მხარში ამოსდგომოდნენ აჯანყებულთ. ზოგიერთ ადგილას უკვე თანდათან ნელდება თავგამოდება ხელისუფლებისა, რომელიც ხალხისაგან მთავრობის «გაძლიერებული» და «საგანგებო დაცვის» ღონისძიებებს მიმართავს. სულ უფრო და უფრო ცხადად ისახება რევოლუციის განვლილი ეტაპის მნიშვნელობა. სულ უფრო და უფრო ახლოვდება ახალი ტალღა.

მძიმე და ძნელი გზით მიიმართება რუსეთის რევოლუცია. ყოველ აღმავლობას, ყოველ ნაწილობრივ წარმატებას მოსდევს დამარცხება, სისხლისღვრა, თავისუფლებისათვის მებრძოლთა აბუჩად აგდება თვითმპყრობელობის მიერ. მაგრამ ყოველი «დამარცხების» შემდეგ სულ უფრო და უფრო ფართოვდება მოძრაობა, სულ უფრო და უფრო ღრმავდება ბრძოლა, სულ უფრო და უფრო იზრდება მასა ხალხის კლასებისა და ჯგუფებისა, რომლებიც ჩაბმულნი არიან და მონაწილეობენ ამ ბრძოლაში. რევოლუციის ყოველ შეტევას, მებრძოლი დემოკრატიის დასარაზმავად წინ გადადგმულ ყოველ ნაბიჯს მოსდევს პირდაპირ გაცოფებული შემოტევა რეაქციისა, მოსდევს ნაბიჯის წინ გადადგმა ხალხის შავრაზმელი ელემენტების ორგანიზაციის საქმეში, იზრდება უტიფრობა კონტრრევოლუციისა, რომელიც თავგანწირვით იბრძვის არსებობისათვის. მაგრამ რეაქციის ძალები, მიუხედავად ყოველი მისი ღონისძიე-

ბისა, განუწყვეტლივ ეცემა. რევოლუციის მხარეზე დგება სულ უფრო და უფრო მეტი ნაწილი მუშებისა, გლეხებისა, ჯარისკაცებისა, რომლებიც ჯერ კიდევ გუშინ გულგრილად უყურებდნენ საქმეს ან შავრაზმელნი იყვნენ. ზედიზედ იმსხვრევა ის ილუზიები, ზედიზედ ქრება ის ცრურწმენანი, რომელნიც რუს ხალხს გულმინდობილს, მომთმენს, გულუბრყვილოს, მორჩილს, ყველაფრის ამტანსა და ყველაფრის მიმტევებელს ხდიდნენ.

თვითმპყრობელობას მრავალი ჭრილობა აქვს მიყენებული, მაგრამ ის ჯერ კიდევ არ არის მოკლული. თვითმპყრობელობას მთელი ტანი და თავპირი შეხვეული აქვს, მაგრამ იგი ჯერ კიდევ ფეხზე დგას, ჯერ კიდევ ბოგინობს და კიდეც მძვინვარდება მით უფრო, რაც უფრო იცლება სისხლისაგან. ხოლო ხალხის რევოლუციური კლასები, პროლეტარიატის მეთაურობით, სარგებლობენ ყოველი მიყუჩებით, რათა ახალი ძალა მოიკრიბონ, რათა სულ ახალი და ახალი მახვილი ჩასცენ მტერს, რათა, ბოლოს და ბოლოს, ძირფესვიანად ამოაგდონ აზიურობისა და ბატონყმობის წყეული იარა, რომელიც რუსეთს სწამლავს.

და არ არის იმაზე უებარი საშუალება ყოველგვარი სულმოკლეობის დასაძლევად, ჩვენი რევოლუციის მომავალზე ყოველგვარი ვიწრო, ცალმხრივი და წვრილმანი ლაჩრული შეხედულების უკუსაგდებლად, როგორც ის, რომ ზოგადად გადავავლოთ თვალი მის წარსულს. ჯერ კიდევ მოკლეა რუსეთის რევოლუციის ისტორია, მაგრამ მან უკვე საკმარისად დაამტკიცა და ცხადყო, რომ რევოლუციურ კლასთა ძალები და მათი ისტორიული შემოქმედების მრავალფეროვნება ბევრად უფრო მეტია, ვიდრე მყუდროობის დროს გვეჩვენება. აღმავლობის ყოველი ტალღა, რევოლუციის მიერ განცდილი, გვიჩვენებს ძალთა უხილავსა და შედარებით უხმო დაგროვებას ახალი და უფრო მაღალი ამოცანის გადასაწყვეტად; და ყოველთვის პოლიტიკური ლოზუნგების ყველა ბეცსა და სულმოკლე შეფასებას აქარწყლებდა ამ დაგროვილ ძალთა აფეთქება.

ნათლად დაისახა ჩვენი რევოლუციის სამი მთავარი ეტაპი. პირველი ეტაპი — «ნდობის» ეპოქა, ეპოქა მასობრივი თხოვნისა, შუამდგომლობისა და განცხადებისა კონსტიტუციის აუცილებლობის შესახებ. მეორე ეტაპი — ეპოქა კონსტიტუციური მანიფესტებისა, აქტებისა და კანონებისა. მესამე ეტაპი — კონსტიტუციონალიზმის განხორციელების დასაწყისი, სახელმწიფო სათათბიროს ეპოქა. მეფეს ჯერ სთხოვდნენ კონსტიტუციას. შემდეგ მეფეს ძალით გამოგლიჯეს კონსტიტუციის საჯაროდ აღიარება. ახლა... ახლა, სათათბიროს დათხოვნის შემდეგ, გამოცდილებით რწმუნდებიან, რომ კონსტიტუცია, მეფისაგან ბოძებული, მეფის კანონებით აღიარებული, მეფის მოხელეთა მიერ განხორციელებული, გახვრეტილ ფარად არა ღირს.

თვითეულ ამ ეპოქაში თავდაპირველად ავანსცენაზე ვხედავთ მყვირალა, მკვეხარა, მეშჩანურად გონებაშეზღუდულ და მეშჩანურად თვითკმაყოფილ ლიბერალურ ბურჟუაზიას, რომელიც წინასწარ დარწმუნებულია თავის «მემკვიდრეობის უფლებებში», ქედმაღლურად ასწავლის «უმცროს მოძმეს» მშვიდობიან ბრძოლას, ლოიალურ ოპოზიციას და მეფის ხელისუფლებასთან ხალხის თავისუფლების შეთანხმებას. და ზოგიერთ სოციალ-დემოკრატს (მემარჯვენე ფრთიდან) ეს ლიბერალური ბურჟუაზია ყოველთვის დავთარს უბნევდა, თავის პოლიტიკურ ლოზუნგებს, თავის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას უმორჩილებდა მათ. ნამდვილად კი, ლიბერალური პოლიტიკანობის ხმაურში, იზრდებოდნენ და მწიფდებოდნენ ქვედაფენების რევოლუციური ძალები. ნამდვილად კი, ისტორიის მიერ დღის წესრიგში დასმული პოლიტიკური ამოცანის გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ა ს ყოველთვის კისრულობდნენ პროლეტარები, რომლებიც გაიყოლიებდნენ ხოლმე მოწინავე გლეხობას, გამოდიოდნენ ქუჩაში, უკუაგდებდნენ ყველა ძველ კანონს და ყველა ძველ ჩარჩოს, ამდიდრებდნენ ქვეყანას პირდაპირი რევოლუციური ბრძოლის საშუალებათა ახალი ფორმებით, ხერხებითა და კომბინაციებით.

გაიხსენეთ ცხრა იანვარი. როგორ ყველასათვის მოულოდნელად დაამთავრეს მუშებმა თავიანთი გმირული გამოსვლით ხალხისადმი მეფისა და მეფისადმი ხალხის «ნდობის» ეპოქა! და როგორ აიყვანეს მათ უცებ მთელი მოძრაობა ახალ, უმაღლეს საფეხურზე! გარეგნად კი 9 იანვარი ხომ სრული დამარცხება იყო. ათასობით მოკლული პროლეტარი, რეპრესიათა თარეში, რუსეთის თავზე ჩამოწოლილი ტრეპოვობის შავი ღრუბლები.

ლიბერალებმა კვლავ ავანსცენა დაიკავეს. ისინი აწყობდნენ ბრწყინვალე ყრილობებს, ეფექტიან დეპუტაციებს მეფესთან. ისინი ორივე ხელით ებღაუჭებოდნენ გადმოგდებულ ნასუფრალს: ბულიგინის სათათბიროს. მათ უკვე დაუწყეს ღრენა რევოლუციას, როგორც ძაღლებმა მსუქანი საკბილოს დანახვისას, და სტუდენტებს მოუწოდებდნენ: ისწავლეთ და პოლიტიკას თავი ანებეთო. და რევოლუციის მომხრეთა შორის სულმოკლე ადამიანებმა ლაპარაკი დაიწყეს: წავიდეთ სათათბიროში, «პოტიომკინის» შემდეგ შეიარაღებული აჯანყება უიმედოა, ზავის ჩამოგდების შემდეგ წარმოუდგენელია საბრძოლო მასობრივი გამოსვლაო.

შემდგომი ისტორიული ამოცანის ნამდვილად გადაწყვეტა მოგვცა ისევ და ისევ მხოლოდ პროლეტარიატის რევოლუციურმა ბრძოლამ. კონსტიტუციის მანიფესტი მეფეს ხელიდან გამოჰგლიჯა სრულიად რუსეთის ოქტომბრის გაფიცვამ. გლეხი და ჯარისკაცი გამოცოცხლდნენ და მუშების კვალდაკვალ თავისუფლებისა და სინათლისაკენ გაიწიეს. დგებოდა თავისუფლებათა ხანმოკლე კვირები, მათ მოჰყვა კვირები რბევა-აწიოკებისა, შავრაზმული გამხეცებისა, ბრძოლის საშინელი გამწვავებისა, გაუგონარი სისხლისმღვრელი გასწორებისა ყველა იმათთან, ვინც ხელთ აიღო იარაღი, რათა მეფის ხელიდან გამოგლეჯილი თავისუფლებანი დაეცვა.

მოძრაობა ისევ აყვანილია უმაღლეს საფეხურზე, გარეგნად კი კვლავ პროლეტარიატის სრული დამარცხება ჩანს. გაცოფებული რეპრესიები, ავსილი საპყრობილეები, დაუსრუ-

ლებელი დასჯა სიკვდილით, საძაგელი ღმუილი ლიბერალებისა, რომელნიც უარყოფდნენ აჯანყებასა და რევოლუციას.

ავანსცენას კვლავ იკავებენ ლოიალური ლიბერალიზმის მეშჩანები. ისინი კაპიტალს იძენენ მეფის მორწმუნე გლეხთა უკანასკნელი ცრურწმენის წყალობით. ისინი ირწმუნებიან, რომ არჩევნებში დემოკრატიის გამარჯვებით დაინგრევა იერიქონის კედლებიო. ისინი მეთაურობენ სათათბიროს და კვლავ ისე ექცევიან პროლეტარიატსა და რევოლუციურ გლეხობას, როგორც ეზოს მაძღარი ძაღლები «მათხოვრებს».

სათათბიროს დათხოვნა აღსასრულია ლიბერალური ჰეგემონიისა, რომელიც ბორკავდა და ამცირებდა რევოლუციას. გლეხობას ყველაზე მეტი სათათბირომ ასწავლა. გლეხობა ახლა მოგებაშია იმით, რომ კარგავს უაღრესად მავნე ილუზიებს. მთელი ხალხიც სათათბიროს გამოცდილების შემდეგ ის აღარაა, რაც წინათ იყო. მომავალი ამოცანა შეფასებულია უფრო კონკრეტულად და ეს მოპოვებულია იმ წარმომადგენლობის მარცხით, რომელზედაც ბევრი მთელ იმედს ამყარებდა. სათათბირომ ხელი შეუწყო ძალთა უფრო ზუსტ გამოანგარიშებას, მან თავი მოუყარა ხალხის მოძრაობის ზოგიერთ ელემენტს მაინც, მან საქმით გვიჩვენა, თუ როგორ იქცევიან სხვადასხვა პარტიები, მან სულ ახალ-ახალი მასების წინაშე ბევრად უფრო რელიეფურად დაგვისურათა ლიბერალური ბურჟუებისა და გლეხობის პარტიული ფიზიონომია.

კადეტების მხილება, შრომის ჯგუფელების შეკავშირება — ასეთია სათათბიროს პერიოდის ერთერთი ფრიად მნიშვნელოვანი მონაპოვარი. კადეტების ცრუ დემოკრატიზმი არა ერთხელ დაგმობილა თვით სათათბიროშივე და მერე ისეთი ადამიანების მიერ, რომელნიც მზად იყვნენ კადეტები ეწამნათ. უბირი რუსი გლეხი უკვე აღარაა პოლიტიკური სფინქსი. მიუხედავად არჩევნების თავისუფლების ყოველგვარი დამახინჯებისა, მან შესძლო გამოეჩინა თავი და შეჰქმნა ახალი პოლიტიკური ტიპი შრომის ჯგუფელისა. ამიერიდან რევოლუციურ მანიფესტებს [38], იმ ორგანიზაციებისა და პარტიების ხელ-

მოწერასთან ერთად, რომელნიც ყალიბდებოდნენ ათეული წლების განმავლობაში, მიემატა ხელმოწერა შრომის ჯგუფისა, რომელიც რამდენიმე კვირაში ჩამოყალიბდა. რევოლუციურ დემოკრატიას შეემატა ახალი ორგანიზაცია, რომელიც, რასაკვირველია, იზიარებს მრავალ ილუზიას, წვრილ მწარმოებელს რომ მოსდგამს, მაგრამ ახლანდელ რევოლუციაში იგი უეჭველად გამოხატავს აზიურ თვითმპყრობელობასთან და ბატონყმურ მემამულურ მიწათმფლობელობასთან ულმობელი და მასობრივი ბრძოლის ტენდენციებს.

სათათბიროს გამოცდილების მეოხებით რევოლუციური კლასები ბევრად უფრო დარაზმულნი, ბევრად უფრო ერთმანეთთან დაახლოებულნი, საერთო შეტევისათვის ბევრად უფრო მომზადებულნი შეიქნენ. თვითმპყრობელობამ ერთი ჭრილობა კიდევ მიიღო. იგი უფრო მეტად არის განმარტოებული. იგი უფრო უმწეოა იმ ამოცანების წინაშე, რომელთა გადაწყვეტა მის ძალებს სრულებით აღემატება. შიმშილი და უმუშევრობა კი უფრო და უფრო ძლიერდება. გლეხთა აჯანყებანი უფრო და უფრო ხშირდება.

სვეაბორგმა და კრონშტადტმა ცხადყვეს ჯარის სულისკვეთება. აჯანყებანი დათრგუნვილია, მაგრამ აჯანყება ცოცხლობს, ფართოვდება და იზრდება. აჯანყებულთა დახმარების გაფიცვას მიემხრო მრავალი შავრაზმელი ელემენტი. ეს გაფიცვა შეწყვიტეს მოწინავე მუშებმა, და ისინი მართალნი იყვნენ, ვინაიდან გაფიცვა დემონსტრაციას მოასწავებდა, ნამდვილად კი ჩვენს წინ დიდი და გადამწყვეტი ბრძოლის ამოცანა იდგა.

მოწინავე მუშებმა მართებულად შეაფასეს მომენტი. მათ სწრაფად შესცვალეს მცდარი სტრატეგიული მოძრაობა და ძალები შემოინახეს მომავალი ბრძოლისათვის. ისინი ალღოთი მიხვდნენ გაფიცვა-აჯანყების გარდუვალობას და გაფიცვა-დემონსტრაციის მავნებლობას.

ყველა ნიშანია იმისა, რომ სულიერი განწყობილება ძლიერდება. აფეთქება გარდუვალია და, იქნებ, არც ისე შორსაა. სიკვდილით დასჯა სვეაბორგსა და კრონშტადტში, გლეხებთან

გასწორება, სათათბიროს წევრების — შრომის ჯგუფელების დევნა, — ყოველივე ეს მხოლოდ სიძულვილს აღვივებს, გაბედულებასა და ბრძოლისათვის დაძაბულ მზადყოფნას ნერგავს. მეტი გაბედულება, ამხანაგებო, მეტი რწმენა ახალი გამოცდილებით გამდიდრებული რევოლუციური კლასებისა, უწინარეს ყოვლისა პროლეტარიატის ძალისადმი, მეტი დამოუკიდებელი თაოსნობა! ყველა ნიშანია იმისა, რომ ჩვენ დიდი ბრძოლის წინაშე ვდგავართ. მთელი ძალღონე უნდა ვიხმაროთ, რომ იგი ერთდროული, დაძაბული და მასის ისეთივე გმიროობით იყოს აღსავსე, როგორითაც განირჩეოდა რუსეთის დიდი რევოლუციის ყველა დიდი ეტაპი. დაე ლიბერალებმა ლაჩრულად თავი აქნიონ ამ მომავალი ბრძოლისაკენ მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რომ მთავრობას დაემუქრონ, დაე ამ გონებაშეზღუდულმა მეშჩანებმა მთელი თავიანთი «ჭკუისა და გრძნობის» ძალა მოანდომონ ახალი არჩევნების მოლოდინს, — პროლეტარიატი ბრძოლისათვის ემზადება, მწყობრად და მხნედ ეგებება ქარიშხალს, ბრძოლის შუაგულისაკენ მიისწრაფის. გვეყოფა ჰეგემონია მშიშარა კადეტებისა, ამ «სულელი პინგვინებისა», რომელნიც «ჩასუქებულ ტანს მხდალად მალავენ ციცაბო კლდეში».

«დაე მძლავრად იგრიალოს ქარიშხალმა!» [30]

«პროლეტარი», № 1,
1906 წ. 21 აგვისტო

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

ბოიკოტის შესახებ

მემარცხენე ფრთის სოციალ-დემოკრატებმა უნდა გადასინჯონ სახელმწიფო სათათბიროს ბოიკოტის საკითხი. საჭიროა გვახსოვდეს, რომ ჩვენ ყოველთვის ვაყენებდით ამ საკითხს კონკრეტულად, განსაზღვრული პოლიტიკური სიტუაციის მიხედვით. მაგალითად, ჯერ კიდევ «პროლეტარი» (ენენევისა) [40] წერდა: «სასაცილო იქნებოდა ხელის აღება თვით ბულიგინის სათათბიროს გამოყენებაზე» *, — თუკი მას ეღირსა დაბადებაო. ხოლო ვიტეს სათათბიროს გამო ბროშურაში «სახელმწიფო სათათბირო და სოციალ-დემოკრატია» (ნ. ლენინისა და ფ. დანისა) ნ. ლენინის სტატიაში ვკითხულობთ: «ჩვენ უეჭველად ხელახლა, საქმიანად უნდა განვიხილოთ ტაქტიკის საკითხი... სიტუაცია ახლა იმდაგვარი აღარ არის», ბულიგინის სათათბიროს დროს რომ იყოო (იხ. გვ. მე-2 ციტირებული ბროშურისა) **.

რევოლუციურ და ოპორტუნისტულ ს.-დემოკრატიას შორის მთავარი განსხვავება ბოიკოტის საკითხში შემდეგია. ოპორტუნისტები სჯერდებიან ყველა შემთხვევისადმი იმ ზოგადი შაბლონის მიყენებას, რომელიც ნასესხებია გერმანული სოციალიზმის განსაკუთრებული პერიოდიდან. ჩვენ უნდა გამოვიყენოთ წარმომადგენლობითი დაწესებულებანი, — სათათბირო წარმომადგენლობითი დაწესებულებაა, — მაშასადამე, ბოიკოტი ანარქიზმია და სათათბიროში უნდა წავიდე-

---

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 9, გვ. 215. რ ე დ.

** იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 10, გვ. 109. რ ე დ.

თო. ასეთი ბავშვური მარტივი სილოგიზმით ამოიწურება ყოველთვის ამ თემაზე ჩვენი მენშევიკებისა და განსაკუთრებით პლეხანოვის მთელი მსჯელობა. მენშევიკების რეზოლუცია რევოლუციურ ეპოქაში წარმომადგენლობით დაწესებულებათა მნიშვნელობის შესახებ (იხ. «პარტიინიე იზვესტია», № 2) [41] ფრიად თვალსაჩინოდ ცხადყოფს მათ მსჯელობათა ამ შაბლონურ, ანტიისტორიულ ხასიათს.

პირიქით, რევოლუციურ სოციალ-დემოკრატებს საკითხის სიმძიმის ცენტრი გადააქვთ სწორედ კონკრეტული პოლიტიკური სიტუაციის ყურადღებით აწონ-დაწონაზე. შეუძლებელია მოიცვა რუსეთის რევოლუციური ეპოქის ამოცანები უკანასკნელი დროიდან ცალმხრივად აღებული გერმანული შაბლონების გადმოწერით და ამავე დროს დაივიწყო 1847 — 1848 წლების გაკვეთილები. შეუძლებელია გაუგოთ რამე ჩვეხი რევოლუციის მსვლელობას, თუ დასჯერდებით «ანარქ სტული» ბოიკოტისა და არჩევნებში სოციალ-დემოკრატიის მონაწილეობის ცალიერ დაპირისპირებას. ისწავლეთ, ბატონებო, რუსეთის რევოლუციური ისტორიისაგან!

ამ ისტორიამ დ ა ა მ ტ კ ი ც ა, რომ ბულიგინის სათათბიროს ბოიკოტი იყო ერთადერთი სწორი ტაქტიკა, რომელიც სავსებით დაადასტურეს მოვლენებმა. ვინც ამას ივიწყებს, ვინც ბოიკოტზე ისე მსჯელობს, რომ ბულიგინის სათათბიროს გ კვეთილებს გვერდს უხვევს (როგორც ყოველთვის გვერდს უხვევენ მათ მენშევიკები), ის თავის თავს აძლევს სრული უმწეობის მოწმობას, იმის მოწმობას, რომ მას არ შეუძლია ახსნას და გაითვალისწინოს რუსეთის რევოლუციის ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და მოვლენებით უაღრესად მდიდარი ეპოქა. ბულიგინის სათათბიროს მიმართ ბოიკოტის ტაქტიკამ სწორად გაითვალისწინა როგორც რევოლუციური პროლეტარიატის სულისკვეთება, ისე მომენტის ობიექტური თავისებურებანი, რომელნიც მოახლოებულ საერთო აფეთქებას გარდუვალს ხდიდნენ.

გადავიდეთ ისტორიის მ ე ო რ ე გაკვეთილზე, — ვიტეს კადეტურ სათათბიროზე. ახლა ძალიან გავრცელებულია მონანიების სიტყვები ს.-დ. ინტელიგენტებისა ამ სათათბიროს ბოიკოტის გამო. ის ფაქტი, რომ იგი შეიკრიბა და, არაპირდაპირ, უეჭველი სამსახური გაუწია რევოლუციას, საკმარისად მიაჩნიათ, რათა მოსანანიებელ შეცდომად აღიარონ ვიტეს სათათბიროს ბოიკოტი.

მაგრამ ასეთი შეხედულება ფრიად ცალმხრივი და ბეცია. იგი ანგარიშს არ უწევს ვიტეს სათათბიროს წინაეპოქის, მისი დროისა და დათხოვნის შემდგომი დროის მთელ რიგ უდიდესი მნიშვნელობის ფაქტებს. გაიხსენეთ, რომ ამ სათათბიროს არჩევნების კანონი გამოვიდა 11 დეკემბერს [42], იმ დროს, როდესაც წარმოებდა აჯანყებულთა შეიარაღებული ბრძოლა დამფუძნებელი კრებისათვის. გაიხსენეთ, რომ მაშინ მ ე ნ შ ე ვ ი კ უ რ ი «ნ ა ჩ ა ლ ო ც» კ ი წერდა: «პროლეტარიატი ვიტეს სათათბიროს ი ს ე ვ ე აღგვის, როგორც მან ბულიგინის სათათბირო აღგავაო». ასეთ პირობებში პროლეტარიატს არ შეეძლო უბრძოლველად ჩაეგდო მეფის ხელში და არც უნდა ჩაეგდო რუსეთის პირველი წარმომადგენლობითი დაწესებულების მოწვევა. პროლეტარიატს უნდა ებრძოლნა, რომ თვითმპყრობელობა არ გაემაგრებინა ვიტეს სათათბიროს გარანტიით მიღებულ სესხს. პროლეტარიატს უნდა ებრძოლნა კონსტიტუციური ილუზიების წინააღმდეგ, რომლებზედაც მ თ ლ ა დ აგებული იყო 1906 წლის გაზაფხულზე კადეტების საარჩევნო კამპანია და არჩევნები გლეხობაში. სათათბიროს მნიშვნელობის იმ უზომო გაზვიადების დროს ასეთი ბრძოლა შეუძლებელი იყო სხვა გზით, თუ არა ბოიკოტის საშუალებით. თუ რაოდენად მჭიდროდ იყო დაკავშირებული კონსტიტუციური ილუზიების გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ ა საარჩევნო კამპანიასა და 1906 წლის გაზაფხულის არჩევნებში მონაწილეობასთან, ეს ყველაზე რელიეფურად ჩვენი მენშევიკების მაგალითით ჩანს. საკმარისია გავიხსენოთ, რომ რსდმპ მე-4 (გამაერთ.) ყრილობის რეზოლუციაში, წინააღმდეგ ბოლშევი-

კების გაფრთხილებისა, სათათბიროს «ხ ე ლ ი ს უ ფ ლ ე ბ ა» უწოდეს! მეორე მაგალითი: პლეხანოვი სრულიად უყოყმანოდ წერდა: «მთავრობა უფსკრულში გ ა დ ა ვ ა რ დ ე ბ ა, როდესაც სათათბიროს გარეკავენო». რა მალე გამართლდა მის წინააღმდეგ მაშინ თქმული სიტყვები: უნდა ვემზადოთ იმისათვის, რომ მტერი გ ა დ ა ვ ჩ ე ხ ო თ უფსკრულში და კადეტურად არ ვიქონიოთ იმის იმედი, რომ იგი თავის ნებით უფსკრულში «გადავარდებაო» *.

პროლეტარიატს მთელი ძალღონით უნდა დაეცვა თავისი დამოუკიდებელი ტაქტიკა ჩვენს რევოლუციაში, სახელდობრ: შეგნებულ გლეხობასთან ერთად მერყევი და გამცემი ლიბერალურ-მონარქისტული ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ეს ტაქტიკა კი ვიტეს სათათბიროს არჩევნების დროს შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი იყო მთელი რიგი როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური პირობების გამო, ვინაიდან ეს პირობები ქმნიდნენ იმ ფაქტს, რომ რუსეთის კუთხეთა დიდი უმრავლესობისათვის არჩევნებში მონაწილეობა უდრიდა მუშათა პარტიის მიერ კადეტებისათვის უხმოდ მხარის დაჭერას. პროლეტარიატს არ შეეძლო და არც უნდა მიეღო ორჭოფი და ხელოვნურად გამოგონილი, «ხრიკებსა» და დაბნეულობაზე აგებული ტაქტიკა არჩევნებისა უცნობი მიზნისათვის, ტაქტიკა სათათბიროს არჩევნებისა არა სათათბიროსათვის. ეს ხომ ისტორიული ფაქტია, რომელსაც ვერ გააქარწყლებს მენშევიკების ვერავითარი გაჩუმება, ვერავითარი გვერდის აქცევა და თავის დაძვრენა, — ეს ფაქტია, რომ ა რ ც ე რ თ ს მათგანს, პლეხანოვსაც კი, ა რ შ ე ე ძ ლ ო პრესაში სათათბიროსაკენ მოეწოდებინა. ეს ფაქტია, რომ პრესაში არ ყოფილა ა რ ც ე რ თ ი მოწოდება — სათათბიროში წავიდეთო. ფაქტია, რომ თვითონ მენშევიკებმაც რსდმპ გაერთიანებული ც. კ.-ის ფურცელში ოფიციალურად აღიარეს ბოიკოტი და დავა მ ხ ო ლ ო დ იმაზე გადაიტანეს, თუ რომელ სტადიაზე უნდა გატარებულიყო ბოიკოტი. ფაქტია, რომ მენშევიკებს სიმძიმის ცენტრი გადაჰქონდათ არა-

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 10, გვ. 582. რ ე დ.

ს ა თ ა თ ბ ი რ ო ს არჩევნებზე, არამედ არჩევნებზე თ ა ვ ი ს-თ ა ვ ა დ, არჩევნების პროცესზედაც კი, როგორც ორგანიზაციაზე ა ჯ ა ნ ყ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს, სათათბიროს ა ღ გ ვ ი ს ა-თ ვ ი ს. ამავე დროს კი მოვლენებმა დაგვიმტკიცეს სწორედ ის, რომ შეუძლებელია მასობრივი აგიტაცია არჩევნების დროს და რომ მასებში ერთგვარი აგიტაციის გაწევა შესაძლებელია მხოლოდ თვით სათათბიროდან.

ვინც ნამდვილად შეეცდება მხედველობაში მიიღოს და გაითვალისწინოს ყველა ეს რთული ფაქტი, როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური ხასიათისა, იგი დაინახავს, რომ კავკასია იყო მხოლოდ გამონაკლისი, საერთო წესის დამადასტურებელი. იგი დაინახავს, რომ მონანიების სიტყვები და ბოიკოტის ახსნა «ახალგაზრდული სიფიცხით» მოვლენათა ფრიად ვიწრო, ზერელე და ბეც შეფასებას წარმოადგენს.

სათათბიროს დათხოვნამ ახლა თვალნათლივ დაგვანახვა, რომ 1906 წლის გაზაფხულის პირობებში ბოიკოტი, საერთოდ რომ ითქვას, უეჭველად სწორი ტაქტიკა იყო, და რომ მან სარგებლობა მოგვიტანა. მ ა შ ი ნ დ ე ლ გარემოებაში მ ხ ო ლ ო დ ბოიკოტის საშუალებით შეეძლო სოციალ-დემოკრატიას შეესრულებინა თავისი მოვალეობა: სახელდობრ — მიეცა ხალხისათვის ის აუცილებელი გაფრთხილება მეფის კონსტიტუციის შესახებ, ის აუცილებელი კრიტიკა კადეტური შარლატნობისა არჩევნების დროს, რაც (კრიტიკა და გაფრთხილება) ბრწყინვალედ დაადასტურა სათათბიროს დათხოვნამ.

აი პატარა მაგალითი ნათქვამის საილუსტრაციოდ. ბ-ნი ვოდოვოზოვი, ეს ნახევრად-კადეტი, ნახევრად-მენშევიკი, 1906 წლის გაზაფხულზე თავგამოდებით უჭერდა მხარს არჩევნებს და კადეტებისათვის მხარის დაჭერას. გუშინ კი (11 აგვისტოს) იგი წერდა «ტოვარიშჩში» [48]: კადეტებმა «მოისურვეს პარლამენტური პარტია ყოფილიყვნენ იმ ქვეყანაში, რომელსაც პარლამენტი არა აქვს, და კონსტიტუციური პარტია იმ ქვეყანაში, რომელსაც კონსტიტუცია არა აქვსო»; «კადეტების პარტიის მთელი ხასიათი განსაზღვრა იმ ძირითადმა წინააღმ-

დეგობამ, რომელიც რადიკალურ პროგრამასა და სრულიად არარადიკალურ ტაქტიკას შორის არსებობსო».

ბოლშევიკები მეტ გამარჯვებას ვერც ინატრებდნენ, ვიდრე არის მემარცხენე კადეტისა თუ მემარჯვენე პლეხანოველის ეს აღსარება.

მაგრამ, უეჭველად უკუვაგდებთ რა სულმოკლეობისა და სიბეცის მაჩვენებელ მონანიების სიტყვებს, უკუვაგდებთ რა ბოიკოტის სულელურ ახსნას «ახალგაზრდული სიფიცხით», ამავე დროს შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ უარვყოთ კადეტური სათათბიროს ა ხ ა ლ ი გაკვეთილები. პედანტობა იქნებოდა ამ ახალი გაკვეთილების აშკარად აღიარებისა და გათვალისწინების შიში. ისტორიამ დაგვანახვა, რომ როდესაც სათათბირო იკრიბება, მის შიგნით და მის ახლოს ჩნდება სასარგებლო აგიტაციის შესაძლებლობა; — რომ შესაძლებელია სათათბიროს შიგნით კადეტების წინააღმდეგ რევოლუციურ გლეხობასთან დაახლოების ტაქტიკა. ეს პარადოქსი ჩანს, მაგრამ, უეჭველია, ასეთია ისტორიის ირონია: სწორედ კადეტურმა სათათბირომ განსაკუთრებული სიცხადით დაანახვა მასებს ამ, ვიტყვით სიმოკლისათვის, «ანტიკადეტური» ტაქტიკის სისწორე. ისტორიამ შეუბრალებლად გააქარწყლა ყოველგვარი კონსტიტუციური ილუზიები და მთელი «რწმენა სათათბიროსადმი», მაგრამ ისტორიამ უეჭველად დაამტკიცა ისიც, რომ ასეთი დაწესებულება რევოლუციისათვის თუმცა მცირედი, მაგრამ განსაზღვრული სარგებლობის მომტანი მაინც არის, როგორც ტრიბუნა აგიტაციისა, პოლიტიკურ პარტიათა ნამდვილი «დედაარსის» გამომჟღავნებისა და სხვ.

აქედან დასკვნა. სასაცილო იქნებოდა თვალი დაგვეხუჭა სინამდვილის წინაშე. ახლა სწორედ დადგა დრო, როდესაც რევოლუციური სოციალ-დემოკრატები აღარ უნდა იყვნენ ბოიკოტისტები. ჩვენ უარს არ ვიტყვით მეორე სათათბიროში წასვლაზე, როდესაც (ან: «თუ») მას მოიწვევენ. ჩვენ უარს არ ვიტყვით იმაზე, რომ გამოვიყენოთ ბრძოლის ეს ასპარეზი,

ამასთან სრულიადაც არ გავაზვიადებთ მის მცირეოდენს მნიშვნელობას, პირიქით, მთლად დავუმორჩილებთ, ისტორიის მიერ უკვე მოცემული გამოცდილების მიხედვით, სხვაგვარ ბრძოლას: ბრძოლას გაფიცვის, აჯანყებისა და სხვათა საშუალებით. ჩვენ მოვიწვევთ პარტიის მეხუთე ყრილობას; ჩვენ იქ დავადგენთ, რომ, თ უ ა რ ჩ ე ვ ნ ე ბ ი მ ო ხ დ ე ბ ა, აუცილებელი იქნება რამდენიმე კვირით საარჩევნო შეთანხმება შრომის ჯგუფელებთან (პარტიის მეხუთე ყრილობის მოუწვევლად ერთსულოვანი საარჩევნო კამპანია შეუძლებელია, ხოლო ყოველგვარი «ბლოკი სხვა პარტიებთან» მეოთხე ყრილობის დადგენილებით უეჭველად აკრძალულია). და მაშინ სასტიკად დავამარცხებთ კადეტებს.

მაგრამ ეს დასკვნა სრულიადაც ვერა და ვერ ამოსწურავს ჩვენს წინაშე დასახული ამოცანის მთელ სირთულეს. ჩვენ განზრახ ვუსვამდით ხაზს სიტყვებს: «თ უ არჩევნები მოხდება» და სხვ. ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით, მოწვეული იქნება თუ არა მეორე სათათბირო, როდის იქნება არჩევნები, რანაირია საარჩევნო უფლება; როგორი იქნება მაშინდელი სიტუაცია. ამიტომ ჩვენს დასკვნას ნაკლი აქვს, — იგი ფრიად ზოგადია: ასეთი დასკვნა საჭიროა, რათა შევაჯამოთ წარსული, რათა გავითვალისწინოთ ამ წარსულის გაკვეთილები, რათა სწორად დავაყენოთ ტაქტიკის მომავალი საკითხები, მაგრამ იგი სრულიად არ არის საკმარისი უახლოესი ტაქტიკის კონკრეტულ ამოცანათა გადასაწყვეტად.

მხოლოდ კადეტებსა და ყოველი ჯურის «კადეტმაგვარებს» შეუძლიათ ამჟამად დაკმაყოფილდნენ ასეთი დასკვნით, შეჰქმნან «ლოზუნგი» ახალი სათათბიროსათვის ოხვრა-კვნესისაგან, უმტკიცონ მთავრობას სათათბიროს რაც შეიძლება სასწრაფოდ მოწვევის სასურველობა და სხვა. რევოლუციის მხოლოდ შეგნებულსა თუ შეუგნებელ მოღალატეებს შეუძლიათ ა ხ ლ ა იქით მიმართონ მთელი ძალღონე, რომ სულიერი განწყობილებისა და აღგზნების აუცილებელი ახალი აღ-

მავლობა გამოიხატოს სწორედ არჩევნებში და არა ბრძოლაში საყოველთაო გაფიცვისა და აჯანყების საშუალებით.

ჩვენ მივადექით ახლანდელი სოციალ-დემოკრატიული ტაქტიკის საკითხის დედააზრს. ახლა საკითხის არსი სრულიად ის არ არის, მივიღოთ არჩევნებში მონაწილეობა საზოგადოდ თუ არა. აქ «ჰოს» ან «არას» თქმა იმას ნიშნავს, რომ სრულიად არაფერი თქვა მომენტის ძირითად ამოცანაზე. 1906 წლის აგვისტოს პოლიტიკური მდგომარეობა გარეგნად წააგავს 1905 წლის აგვისტოს მდგომარეობას, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში წინ გადადგმულია უდიდესი ნაბიჯი: ბევრად უფრო ზუსტად არის გამორკვეული ორივე მხარის მებრძოლთა ძალებიც, ბრძოლის ფორმებიც და ზოგიერთი ვადაც, აუცილებელი ამა თუ იმ, თუ შეიძლება ასე ითქვას, სტრატეგიული მოძრაობისათვის.

მთავრობის გეგმა ცხადია. მან სავსებით სწორედ აწონ-დაწონა, როდესაც განსაზღვრა სათათბიროს მოწვევის ვადა და წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ კ ა ნ ო ნ ი ს ა, არ განსაზღვრა არჩევნების ვადა. მთავრობას არა სურს ხელფეხი შეიბორკოს და თავისი ზრახვები გამოამჟღავნოს. ჯერ ერთი, იგი დროს იგებს საარჩევნო კანონის შეცვლის მოსაფიქრებლად. მეორეც, — და ეს მთავარია, — იგი მარაგად ინახავს არჩევნების ვადის დანიშვნას ისეთი მომენტისათვის, როდესაც შესაძლებელი იქნება სავსებით გამოირკვეს ახალი აღმავლობის ხასიათი და ძალა. მთავრობას სურს ახალი არჩევნები დაინიშნოს სწორედ ისეთს ვადაზე (ან შეიძლება ისეთი ფორმით, ე. ი. ასეთი თუ ისეთი არჩევნები), რომ დ ა ქ ს ა ქ ს ო ს დ ა დ ა ა უ ძ ლ უ რ ო ს დ ა წ ყ ე ბ უ ლ ი ა ჯ ა ნ ყ ე ბ ა. მთავრობა სწორედ მსჯელობს: თუ ყველაფერი წყნარად იქნება, ჩვენ, შეიძლება, სულ არ მოვიწვიოთ სათათბირო, ან ბულიგინის კანონებს დავუბრუნდეთო. ხოლო თუ მძლავრი მოძრაობა იქნება, შევეცდებით მის დაქსაქსვას, რისთვისაც დავნიშნავთ დროებით არჩევნებს და ამ არჩევნებით აშკარა რევოლუციურ ბრძოლას ჩამოვაშორებთ ზოგიერთ მხდალს თუ მიამიტ ადამიანსაო.

ლიბერალ ბრიყვებს (იხ. «ტოვარიშჩი» და «რეჩი») იმდენად არ ესმით მდგომარეობა, რომ თვითონვე ებმებიან მთავრობის მიერ დაგებულ მახეში. ისინი წელებზე ფეხს იდგამენ, რათა «დაამტკიცონ» სათათბიროს საჭიროება და იმის ს ა ს უ რ ვ ე ლ ო ბ ა, რომ აღმავლობა არჩევნებისაკენ წარიმართოს. მაგრამ იმათაც კი არ შეუძლიათ უარყონ, რომ უახლოესი ბრძოლის ფორმის საკითხი ჯერ კიდევ ღიად რჩება. დღევანდელი «რეჩი» (12 აგვისტოსი) აღიარებს: «რას იტყვიან გლეხები შემოდგომაზე.... ჯერჯერობით არ ვიცით». «სექტემბერ — ოქტომბრამდე, ვიდრე გლეხობის სულისკვეთება საბოლოოდ არ გამორკვეულა, ძნელია რაიმე ზოგადი წინასწარმეტყველებაო».

ლიბერალი ბურჟუები თავისი თავის ერთგულნი არიან. მათ არა სურთ და არც შეუძლიათ აქტიურად შეუწყონ ხელი ბრძოლის ფორმათა არჩევას, გლეხების სულისკვეთების გარკვევას ამა თუ იმ მხრივ. ბურჟუაზიის ინტერესები მოითხოვს არა ძველი ხელისუფლების დამხობას, არამედ მხოლოდ მის შესუსტებას და ლიბერალური სამინისტროს დანიშვნას.

პროლეტარიატის ინტერესები მოითხოვს ძველი, მეფის ხელისუფლების სრულ დამხობას და სრულძალაუფლებიანი დამფუძნებელი კრების მოწვევას. მისი ინტერესები მოითხოვს, რომ ფრიად აქტიურად ჩავერიოთ გლეხთა სულისკვეთების გარკვევაში, ბრძოლის ყველაზე გადამწყვეტი ფორმებისა და ამ ბრძოლისათვის საუკეთესო მომენტის შერჩევაში. ჩვენ არავითარ შემთხვევაში არც უნდა მოვხსნათ და არც უნდა მივაფუჩეჩოთ ლოზუნგი: დამფ. კრების მოწვევა რევოლუციური გზით, ე. ი. დროებითი რევოლუციური მთავრობის მეშვეობით. ჩვენ მთელი ძალღონე იქით უნდა მივმართოთ, რომ გავარკვიოთ აჯანყების პირობები, — პირობები მისი შეერთებისა საგაფიცვო ბრძოლასთან, ამ მიზნისათვის ყველა რევოლუციურ ძალთა დარაზმვისა და მომზადებისა და სხვა. ჩვენ სრული გაბედულებით უნდა დავადგეთ იმ გზას, რომელიც დასახულია ცნობილი მოწოდებებით «არმიისა და ფლო-

ტისადმი» და «მთელი გლეხობისადმი», მოწოდებებით, რომლებსაც ხელს აწერს ყველა რევოლუციური ორგანიზაციის «ბლოკი», მათ შორის შრომის ჯგუფიც. ბოლოს, ჩვენ განსაკუთრებით უნდა ვიზრუნოთ, რომ მთავრობამ არჩევნების დანიშვნის საშუალებით ვერავითარ შემთხვევაში ვერ მოახერხოს დაწყებული აჯანყების ვერც დაქსაქსვა, ვერც შეჩერება, ვერც შესუსტება. ამ მხრივ ჩვენთვის აუცილებლად სავალდებულო უნდა იყოს კადეტური სათათბიროს გაკვეთილები, გაკვეთილები, რომლებიც იმაში მდგომარეობს, რომ სათათბიროს კამპანია არის დაქვემდებარებული, მეორეხარისხოვანი ფორმა ბრძოლისა, მთავარ ფორმად კი — მომენტის ობიექტური პირობების გამო — რჩება ხალხის ფართო მასების უშუალო რევოლუციური მოძრაობა.

რასაკვირველია, სათათბიროს კამპანიის ასეთ დაქვემდებარებას მთავარი ბრძოლისადმი, ამ კამპანიისათვის მეორე ადგილის მიჩენას იმ შემთხვევაში, თუ ბრძოლა ცუდად დამთავრდა ან თუ იგი გადაიდო მეორე სათათბიროს გამოცდილებამდე, — ამ ტაქტიკას, თუ გნებავთ, შეიძლება ვუწოდოთ ძველი ბოიკოტისტური ტაქტიკა. ფორმალურად ასეთი სახელწოდების დაცვა შეიძლება, ვინაიდან «არჩევნებისათვის მზადება» — გარდა ყოველთვის სავალდებულო აგიტაციისა და პროპაგანდისა — არის ფრიად წვრილმანი ტექნიკური სამზადისი, რაც ძალიან იშვიათად შეიძლება არჩევნებამდე დიდი ხნით ადრე შესრულდეს. ჩვენ არა გვსურს ვიკამათოთ სიტყვებისათვის, არსებითად კი ეს არის ძველი ტაქტიკის თანამიმდევრობითი გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ა, მაგრამ არა მისი გ ა ნ მ ე ო რ ე ბ ა, ეს არის დასკვნა წინანდელი ბოიკოტიდან, მაგრამ არა წინანდელი ბოიკოტი.

შევაჯამოთ. საჭიროა გავითვალისწინოთ კადეტური სათათბიროს გამოცდილება და გავავრცელოთ მასებში ამ სათათბიროს გაკვეთილები. საჭიროა ვამტკიცოთ სათათბიროს «გამოუსადეგრობა», დამფ. კრების აუცილებლობა, კადეტების მერყეობა, მოვითხოვოთ შრომის ჯგუფელების განთავისუფ-

ლება კადეტების უღლისაგან, მხარი დავუჭიროთ პირველთ მეორეთა წინააღმდეგ. საჭიროა ახლავე აღვიაროთ აუცილებლობა სოციალ-დემოკრატებისა და შრომის ჯგუფელების საარჩევნო შეთანხმებისა იმ შემთხვევისათვის, თუ ახალი არჩევნები დაინიშნება. მთელი ძალღონით უნდა გავუწიოთ წინააღმდეგობა მთავრობის გეგმას — დაქსაქსოს აჯანყება არჩევნების დანიშვნის საშუალებით. სოციალ-დემოკრატიამ კიდევ უფრო მეტი სიმტკიცით უნდა დაიცვას თავისი ნაცადი რევოლუციური ლოზუნგები და ყოველი ღონისძიება უნდა იხმაროს, რათა უფრო მჭიდროდ დარაზმოს ყველა რევოლუციური ელემენტები და კლასები, რათა ახლო მომავალში მოსალოდნელი აღმავლობა მეფის მთავრობის საწინააღმდეგო საყოველთაო-სახალხო შეიარაღებულ აჯანყებად გადააქციოს.

დაწერილია 1906 წ. 12 (25) აგვისტოს
დაიბეჭდა 1906 წ. 21 აგვისტოს
გაზეთ «პროლეტარში» № 1

იბეჭდება გაზეთის ტექსტის
მიხედვით

პოლიტიკური კრიზისი და ოპორტუნისტული ტაქტიკის ჩაშლა

I

სათათბიროს დათხოვნით, უეჭველია, რუსეთის რევოლუციის მსვლელობაში დიდი პოლიტიკური კრიზისი აღინიშნა. როგორც ყოველმა კრიზისმა, მან ერთბაშად ძალიან გაამწვავა ყველა პოლიტიკური წინააღმდეგობა, გამოააშკარავა მრავალი მოვლენის სარჩული და ხალხის წინაშე მთელი სიგრძე-სიგანით დააყენა ის ამოცანები, რომელნიც მანამდე მხოლოდ ისახებოდნენ და ფართო მასებს არ ჰქონდათ შეგნებული. როგორც ყოველი კრიზისი, რომელიც აჯამებს წინანდელი განვითარების მთელ პერიოდს, სათათბიროს დათხოვნა აუცილებლად უნდა გადაქცეულიყო ტაქტიკურ შეხედულებათა ამა თუ იმ მიმართულების გამოცდისა და შემოწმების საშუალებად. ერთი მხრივ, კრიზისი ამთავრებს განვითარების გარკვეულ ციკლს და ამრიგად გვაძლევს შესაძლებლობას ნათლად განვსაზღვროთ ამ განვითარების ზოგადი შეფასების მართებულობა თუ უმართებულობა. მეორე მხრივ, კრიზისი გვაიძულებს დაუყოვნებლივი პასუხი გავცეთ მთელ რიგ მწვავედ წამოჭრილ საკითხებს, ამასთანავე პასუხი ხშირად იქვე, ასე ვთქვათ, ადგილზევე მოწმდება მოვლენათა სწრაფი მსვლელობის გამო.

სათათბიროს დათხოვნა რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში უკვე დიდი ხნიდან დასახული «ო რ ი ტ ა ქ ტ ი კ ი ს» სწორედ ასეთი გამოსაცდელი საშუალება გამოდგა. «სათათბიროს

პერიოდის» განმავლობაში ჩვენ ასე თუ ისე გულმშვიდად ვდავობდით ამ ორ ტაქტიკაზე, რადგან პოლიტიკური მდგომარეობა არ მოითხოვდა დაუყოვნებლივ დიდი პოლიტიკური ნაბიჯების გადადგმას. სათათბიროს დათხოვნამ ერთბაშად წარმოშვა ასეთი მოთხოვნილება. «ორი ტაქტიკა» დაყენებულ იქნა გამოსაცდელად პოლიტიკური კრიზისის წინაშე. აუცილებლად საჭიროა მთელი ყურადღებით დავაკვირდეთ ამ გამოცდის შედეგებს.

II

ჩვენი პარტიის ც. კ. მემარჯვენე ფრთის სოციალ-დემოკრატების ხელშია. ახლა მათ გარემოებამ მოსთხოვა სწრაფი, ზუსტი და ნათელი პასუხი ახალ ტაქტიკურ საკითხებზე. რანაირი იყო ეს პასუხი?

მომავალი ბრძოლის საერთო ხასიათის ძირითად საკითხზე ც. კ. უპასუხებდა ასეთი ლოზუნგების წამოყენებით: ჯერ «სათათბიროს სესიის განახლებისათვის». კადეტები ებღაუჭებიან ამ ლოზუნგს (იხ. «რეჩი» და ინტერვიუ ბ-ნ კედრინთან გაზეთ «ოკოში»). ს.-დ. პარტია უარყოფს მას. პროტესტს აცხადებენ ც. კ-ის ბოლშევიკი წევრები, პროტესტს აცხადებს პარტიის ს. პეტერბურგის კომიტეტი. ც. კ. ხელს იღებს პირველ ლოზუნგზე და აყენებს მეორეს: «სათათბიროს დასაცავად კამარილიის წინააღმდეგ — დამფუძნებელი კრების მოწვევისათვის». ბოლოს, ამ მეორე ლოზუნგიდან ვღებულობთ უკანასკნელს, მესამეს: «სათათბიროსათვის, როგორც ძალაუფლების ორგანოსთვის, რომელიც მოიწვევს დამფუძნებელ კრებას». მიუხედავად მემარცხენე ფრთის სოციალ-დემოკრატების პროტესტისა, ც. კ. ამ ლოზუნგს იცავს. ლოზუნგების საკითხში სრული დაბნეულობაა.

მეორე საკითხი: ბრძოლის რა ფორმა უნდა ავირჩიოთ? ც. კ. უწინარეს ყოვლისა გაფიცვა-დემონსტრაციისაკენ იხრება. მას სურს დაუყოვნებლივი გაფიცვისათვის მოუწოდოს, მაგრამ ყველა რევოლუციურ პარტიასა და ორგანიზაციას შორის იგი მარტოდ რჩება. მაშინ იგი ხელს აწერს ისეთს მოწო-

დებებს, რომელნიც ა ჯ ა ნ ყ ე ბ ი ს ა კ ე ნ მოუწოდებენ (მოწოდებანი «არმიისა და ფლოტისადმი» და «მთელი რუსეთის გლეხობისადმი»). მაგრამ წინ რომ გადადგამს ნაბიჯს გაფიცვა-დემონსტრაციიდან გაფიცვა-აჯანყებისაკენ, იგი ჩქარობს შემდეგ უკან გადადგას ნაბიჯი და მოუწოდებს «პროტესტის ნაწილობრივი მასობრივი გამოხატვისაკენ».

მესამე ძირითადი საკითხი: ვისთან ერთად ვიბრძოლოთ? ბურჟუაზიული დემოკრატიის რომელი ფენების იმედი ვიქონიოთ, ანდა უპირატესად რომელ მათგანს გავუწიოთ ანგარიში? რომელ პარტიებსა თუ ორგანიზაციებთან ვეძიოთ დაახლოება? ც. კ., როგორც დავინახეთ, თავის ლოზუნგებსაც და ბრძოლის იმ ფორმებსაც, რომლებსაც იგი გვირჩევს, უფარდებს «მთლიანად სათათბიროს» დონეს, კადეტების დონეს. მაგრამ — «ბუნება კარში რომ გააგდო, ის ფანჯარაში შემოიჭრება»! ც. კ. ი ძ უ ლ ე ბ უ ლ ი ა ხელი მოაწეროს მოწოდებებს ჯარისადმიც, გლეხობისადმიც და «მთელი ხალხისადმიც» მ ხ ო ლ ო დ დ ა მ ხ ო ლ ო დ რევოლუციურ ორგანიზაციებთან ერთად, მ ხ ო ლ ო დ დ ა მ ხ ო ლ ო დ შ რ ო მ ი ს ჯ გ უ ფ ე ლ ე ბ თ ა ნ (სათათბიროს ნამსხვრევებიდან) ერთად. თავის მ ს ჯ ე ლ ო ბ ა შ ი ტაქტიკის შესახებ ც. კ., როგორც ყველა მენშევიკი, გამმიჯნავ ხაზს ავლებს კადეტებსა და ოქტიაბრისტებს შორის: მარჯვნივ — «ისინი», მარცხნივ — «ჩვენ» («ჩვენ» კადეტებთან ერთად). თავის ტაქტიკურ მ ო წ ო დ ე ბ ე ბ შ ი ს ა ქ მ ი ს ა დ მ ი, თავის საბრძოლო მოწოდებებში ც. კ. გამმიჯნავ ხაზს ავლებს კადეტებსა და შრომის ჯგუფელებს შორის: კადეტები მიდიან ან მემარჯვენეებთან, ან ბრძოლაში ნეიტრალებთან. «ჩვენ» — თ უ რ მ ე, «ჩვენ» და შრომის ჯგუფელები ვყოფილვართ უკადეტებოდ. «ჩვენ», თურმე, ყ ვ ე ლ ა რევოლუციური ორგანიზაციის, მათ შორის «შრომის ჯგუფის კომიტეტის», საინფორმაციო-საკოორდინაციო ბიურო ვყოფილვართ, მაგრამ უკადეტებოდ. გამოდის: «სურვილი დიდია, ბედი კი მწარე». საშინელი სურვილი აქვთ მემარჯვენე სოციალ-დემოკრატებს იარონ კადეტებთან ერთად და ერთსულოვ-

ნად, მაგრამ ბედი აქვთ მწარე, ვინაიდან კადეტები შორდებიან მოვლენათა მსვლელობით ნაკარნახევ საბრძოლო შეთანხმებებს.

ასეთია ძირითადად სათათბიროს დათხოვნის შემდეგ მენშევიკური ტაქტიკის ფაქტიური ისტორია. ეს ისტორია აღბეჭდილია ცოტაოდენ დოკუმენტებში. წაიკითხეთ ც. კ.-ის «წერილები» (№ 4 და № 5) პარტიული ორგანიზაციებისადმი და მოწოდებანი «არმიისა და ფლოტისადმი» (ს. დ. ფრაქცია და შრომის ჯგუფის კომიტეტი), «მთელი რუსეთის გლეხობისადმი» (შრ. ჯგუფის კომიტეტი, ს.-დ. ფრაქცია, სრულიად რუსეთის გლეხთა კავშირი, ს.-რ. პარტიის ც. კ., ს.-დ. ც. კ., სრულიად რუსეთის რკინიგზელთა კავშირი, სრულიად რუსეთის მასწავლებელთა კავშირი), «მთელი ხალხისადმი» (იგივე ორგანიზაციები სამი კავშირის გამოკლებით, მაგრამ პლუს პოლონეთის სოც. პარტია, — პსპ., — და ბუნდი), წაიკითხეთ, ბოლოს, ც. კ.-ის სამი წევრის პროტესტი (გამოცემულია «მხოლოდ პარტიის წევრთათვის») [44] და თქვენ გაეცნობით სოც.-დემოკრატების სათათბიროს დათხოვნის შემდგომდროინდელი ოპორტუნისტული ტაქტიკის მთელ მასალას.

როგორია მენშევიკური ტაქტიკური დირექტივების ამ ფაქტიური, გარეგანი ისტორიის საერთო დასკვნა? ეს დასკვნა ცხადია: ქანაობა ლიბერალურ-მონარქისტულ ბურჟუაზიასა და რევოლუციურ ბურჟუაზიულ დემოკრატიას შორის. მართლაცდა, რას წარმოადგენს ც. კ.-ის ქანაობა ლოზუნგის საკითხში? ქანაობას, ერთი მხრივ, ლეგალურ-კონსტიტუციურ გზას შორის, როგორც განსაკუთრებულ, ერთადერთ გზას შორის (ლოზუნგი: «სათათბიროს სესიის განახლება») და, მეორე მხრივ, რევოლუციური გზის აღიარებასა თუ დაშვებას შორის (ლოზუნგი: «დამფუძნებელი კრება»; ლოზუნგი შ ე ს უ ს ტ ე ბ უ ლ ი ა სათათბიროს აუცილებელი მიტმასნებით). ეს არის ქანაობა კადეტებსა (რომელნიც სავსებით იღებენ და მ ი ი ღ ე ს «სესიის განახლება») და რევოლუციურ გლეხობას შორის (შრომის ჯგუფელები, ესერები, გლეხები, რკინიგზელთა

და მასწავლებელთა კავშირები, რომელთაც რსდმპ ც. კ.-თან ერთად ხელი მოაწერეს აჯანყებისადმი მოწოდებას დამფუძნებელი კრების მოსაწვევად). ჩვენი ც. კ. ანუ ჩვენი ოპორტუნისტი სოციალ-დემოკრატები კადეტებზე ცოტათი მემარცხენენი და რევოლუციურ ბურჟუაზიულ დემოკრატიაზე საგრძნობლად უფრო მემარჯვენენი არიან. ასეთია საერთო დასკვნა, რაც გამომდინარეობს ც. კ.-ის ქანაობიდან ლოზუნგების საკითხშიც, ბრძოლის ფორმის საკითხშიც და პოლიტიკურ პარტიათა დაჯგუფების საკითხშიც.

სათათბიროს მთელი პერიოდის განმავლობაში ტაქტიკური უთანხმოებანი ს.-დ. მემარჯვენე და მემარცხენე ფრთას შორის უფრო და უფრო ირკვეოდა და უფრო და უფრო გამოიხატებოდა ძირითადი საკითხით: გავლებული ყოფილიყო თუ არა გამმიჯნავი ხაზი ბურჟუაზიული დემოკრატიის შიგნით, ან საკითხით, თუ ვისთან ერთად უნდა გვევლო. მემარჯვენე ფრთის სოციალ-დემოკრატების მთელი ძალღონე იქით იყო მიმართული, რომ გვევლო კადეტებთან ერთად (საერთოდ სათათბიროსათვის მხარის დაჭერა, სათათბიროს სამინისტროს დანიშვნის მოთხოვნის მხარის დაჭერა). რევოლუციური სოციალ-დემოკრატები, პირიქით, თავიანთ ტაქტიკას მიმართავდნენ იქით, რომ კადეტებისაგან ჩამოეშორებინათ რევოლუციური ბურჟუაზიული დემოკრატია, გაეთავისუფლებინათ მისი ელემენტები კადეტების უღლისაგან და ბრძოლის მიზნებისათვის შეეკავშირებინათ ისინი პროლეტარიატთან. სათათბიროს დათხოვნამ შეაჯამა სათათბიროს პერიოდი. და რა აღმოჩნდა? აღმოჩნდა, რომ მემარჯვენე ფრთის სოციალ-დემოკრატები ი ძ უ ლ ე ბ უ ლ ნ ი იყვნენ ჩამოშორებოდნენ კადეტებს და მიმხრობოდნენ რევოლუციურ დემოკრატიას. კადეტური დარჩა მათი ლოზუნგების მხოლოდ ზოგიერთი დამატება. ცხოვრებამ აიძულა მიჯნა გაევლოთ სწორედ იქ, სადაც ამას ყოველთვის მიუთითებდნენ მემარცხენე ფრთის სოციალ-დემოკრატები. ც. კ.-ის ლოზუნგების არათანამიმდევრობა და

მათი «უმაქნისობა» განსაკუთრებული სიცხადით გამოაშკარავდა.

III

განვიხილოთ ახლა ც. კ.-ის მსჯელობა. ყველაზე უფრო სრულად იგი გადმოცემულია მე-4 «წერილში პარტიული ორგანიზაციებისადმი» (ეს წერილი უთარიღო და უნომროა, მაგრამ მის მომდევნო წერილს მეხუთე ეწოდება). ეს წერილი ჭეშმარიტად შესანიშნავი ნიმუშია ოპორტუნისტული აზროვნებისა: ის ღირს იმად, რომ მრავალჯერ გამოიცეს, შეტანილ იქნას ქრესტომათიებში, სოციალიზმის სახელმძღვანელოებში, როგორც თვალსაჩინო მაგალითი იმის განსამარტებლად, თუ როგორ ა რ უნდა მსჯელობდნენ სოციალ-დემოკრატები ტაქტიკაზე.

წერილის დედააზრს წარმოადგენს იმ საკითხის გარჩევა, რომელსაც თვით მისი ავტორები ასე აყალიბებენ: «მაშ ვის ხელში შეიძლება გადავიდეს ახლა ძალაუფლებაო?».

«ვინ არის, — ნათქვამია შემდეგ წერილში, — ან ვინ შეიძლება იყოს ახლანდელ მომენტში 140-მილიონიანი ხალხის თ ვ ა ლ შ ი ბუნებრივი მემკვიდრე მეფის მთავრობის ხელიდან გამოგლეჯილი სახელმწიფო ძალაუფლებისა?.. ვინაიდან, როცა იწყება საყოველთაო-სახალხო მოძრაობა სახელმწიფო ძალაუფლების დასაპყრობად, მთელი ხალხის შ ე გ ნ ე ბ ა შ ი უნდა იყოს აგრეთვე წ ა რ მ ო დ გ ე ნ ა იმისა, თუ ვინ ჩადგება დამხობილი მთავრობის ადგილას... მოძრაობის თვითეულ მოცემულ პერიოდში რომელიმე კოლექტივმა ან ორგანიზაციამ მთელი ხალხის შ ე გ ნ ე ბ ა შ ი უნდა შეასრულოს ასეთი როლი».

ჩვენ ხაზი გავუსვით ზემოთ ამოწერილი მსჯელობის იმ ადგილებს, რომელნიც მყისვე ცხადყოფენ ამ მსჯელობის სრულ უმწეობას. ძალაუფლების დ ა პ ყ რ ო ბ ი ს საკითხში ც. კ. ერთბაშად დგება არა პროლეტარულ-მატერიალისტურ, არამედ მეშჩანურ-იდეალისტურ თვალსაზრისზე. ხელისუფლების «ბუნებრივი თანამომდევნობა» მას გამოჰყავს არა ბრძო-

ლის რეალური პირობებიდან, — არამედ ყველაზე ფართოდ გავრცელებული «შეგნებიდან» (ხალხის «თვალში»). მას არ ესმის, რომ «ბუნებრივი მემკვიდრე» იქნება არა ის, ვინც «ასეთ როლს ასრულებს» ვისიმე «შეგნებაში», არამედ ის, ვინც ნამდვილად დ ა ა მ ხ ო ბ ს მთავრობას, ვინც ნამდვილად დ ა ი პ ყ რ ო ბ ს ძალაუფლებას, ვინც გ ა ი მ ა რ ჯ ვ ე ბ ს ბრძოლაში. ბრძოლის შედეგს განსაზღვრავს არა «მთელი ხალხის შეგნება», არამედ საზოგადოების ამა თუ იმ კ ლ ა ს ე-ბ ი ს ა და ელემენტების ძ ა ლ ა.

ამრიგად, ც. კ. ერთბაშად და სრულიად შორდება საკითხს. იმის მაგივრად, რომ შეხედოს ნამდვილი ბრძოლის პირობებს, როგორც ეს ბრძოლა წარმოებდა და წარმოებს, იგი იწყებს უცუდესი, იდეალისტური გზით, სპეკულირებას «შეგნებით» და «წარმოდგენით» იმაზე, თუ ვინ «ჩადგება დამხობილის ადგილას», და არა იმაზე, თუ ვინ ა მ ხ ო ბ ს დ ა დ ა ა მ ხ ო ბ ს. ოპორტუნისტული დასკვნების მისაღებად იძულებული გახდნენ უკუეგდოთ მთელი მარქსისტული მეთოდი, რომელიც მოითხოვს იმის შესწავლას, თუ რომელი კლასების რა ინტერესები მოითხოვენ ხელისუფლების დ ა მ ხ ო ბ ა ს და რა ინტერესები — მის შეზღუდვას; რა მატერიალური პირობები წ ა რ მ ო შ ო ბ ე ნ რევოლუციურ ბრძოლას («დამხობა») და რა პირობები — დამამხობელთა და დასამხობის კონსტიტუციური თანაცხოვრების მოწყობას. ც. კ.-ს მარქსიზმის ანაბანა რომ არ დაევიწყნა, იგი დაინახავდა თუნდაც რუსეთის რევოლუციის გამოცდილების მიხედვით, თუ ჩვენში რომელი კლასები არიან ი ძ უ ლ ე ბ უ ლ ნ ი თვით მოძრაობის მსვლელობით, ხშირად დამოუკიდებლად თავიანთი «შეგნებისა» (და თავიანთი მონარქისტული შეგნების წინააღმდეგაც კი), დ ა ა მ-ხ ო ნ ხელისუფლების დაწესებულებანი, რომელნიც მათ წინ ეღობებიან. რუსეთის XX საუკუნის მ უ შ ა თ ა დ ა გ ლ ე ხ თ ა მოძრაობის ისტორია მისცემდა ჩვენს ც. კ.-ს ხელისუფლების დაწესებულებათა ნაწილობრივი და ადგილობრივი დ ა მ ხ ო-ბ ი ს საკმაო მაგალითებს, რათა ცენტრალური ხელისუფლე-

ბის საერთო და სრული დამხობის შესახებ ემსჯელნა მარქსისტულად და არა ლედრიუ-როლენისებურად.

შემდგომს მსჯელობაში ამ თემაზე ც. კ., რაკი იგი ერთხელ ყალბ გზას დაადგა, უფრო და უფრო მეტად იბნევა. იგი იწყებს ფიქრს «დროებითი რევოლუციური მთავრობის» შემადგენლობის შესაძლებელ და მოსალოდნელ კომბინაციებზე.

მუშათა დეპუტატების საბჭოებს, აგრეთვე შრომის ჯგუფისა და ს.-დ. ფრაქციის აღმასრულებელ კომიტეტს ც. კ. გამოუსადეგრად აცხადებს. პირველთ არ გაჰყვება «ასმილიონიანი გლეხობა», მეორეს კი — «ქალაქის მდაბიო მოსახლეობის, საშუალო ბურჟუაზიის, ჯარისკაცთა, კაზაკთა მნიშვნელოვანი ნაწილი, ოფიცრობა და ა. შ... ამავე დროს კი მეტისმეტად სახიფათო შეცდომა იქნებოდა იმის ფიქრი, თითქოს ახალი სახელმწიფოებრივი ძალაუფლების დამყარება შეიძლებოდეს ყველა ამ ელემენტის ნების წინააღმდეგ».

მკითხველს წინადადებას ვაძლევთ ამ მსჯელობის პირველი ნაწილი შეადაროს დროებითი მთავრობის შესახებ ბოლშევიკური რეზოლუციის პროექტს (იხ. «პარტიინიე იზვესტია» № 2, 1906 წ. 20 მარტი, გადაბეჭდილია ლენინის «მოხსენებაში ყრილობის შესახებ», გვ. 92)*[45]. ამ პროექტში პირდაპირ ჩამოთვლილია ის ორგანიზაციები, რომლებიც დეკემბრის აჯანყებაში ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ ასრულებდნენ რევოლუციური ძალაუფლების ორგანოების როლს. გარდა მუშათა დეპუტატების საბჭოებისა იქ დასახელებულია, რა თქმა უნდა, აგრეთვე ჯარისკაცთა, რკინიგზელთა და გ ლ ე ხ თ ა კომიტეტებიც, სოფლის არჩეული ორგანოებიც კავკასიასა და ბალტიისპირა მხარეში. მაშასადამე, ისტორიამ უკვე მოგვცა პასუხი იმ საკითხზე, რომლის გადაწყვეტასაც ასე უმწეოდ ცდილობს ახლა ც. კ.. ისტორიამ უკვე ცხადყო, მოსახლეობის რომელი კლასები და რომელი ელემენტები მ ო ნ ა წ ი ლ ე ო ბ ე ნ აჯანყებაში და ჰ ქ მ ნ ი ა ნ აჯანყების ორგანოებს. მაგრამ სოციალ-დემოკრატიის ოპორტუნისტებს არათუ ავიწყდებათ (ან უნა-

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 10, გვ. 379 — 463. რ ე დ.

რი არა აქვთ გაიგონ) რევოლუციის გუშინდელი დღე, არამედ საზოგადოდ არ ესმით, რა არის დროებითი რევოლუციური მთავრობა. საკმაოა ცოტაოდენი დაფიქრება, რათა დავრწმუნდეთ, რომ ასეთი მთავრობა არის აჯანყების ორგანო (და არა მარტო შედეგი აჯანყებისა, როგორც შემცდარად არის ნაგულისხმევი დროებითი მთავრობის შესახებ მენშევიკების რეზოლუციის პროექტში — იხ. იგივე «მოხსენება», გვ. 91 ან «პარტიინიე იზვესტია» № 2).

შემდეგ, ამოწერილი მსჯელობის მეორე ნაწილი კიდევ უფრო უმართებულოა. იგი აგებულია ოპორტუნისტების ჩვეულებრივი ხერხით: ფრიად ზომიერი ლოზუნგის მეტ საფუძვლიანობას ამტკიცებენ იმით, რომ მის გარშემო უფრო მეტი სოციალური ელემენტების გაერთიანებაა შესაძლებელიო. ბერნშტეინი ამბობდა: სოციალურ რევოლუციას მხოლოდ პროლეტარიატის ნაწილი უჭერს მხარს, სოციალურ რეფორმას კი — მრავალი სოციალ-ლიბერალური ელემენტიო. ნუ გგონიათ, თითქოს შესაძლებელი იყოს მათი ნების წინააღმდეგ სოციალიზმის დამყარება! სჯობია დემოკრატიულ-სოციალისტური რეფორმების პარტია გახდეთო! მენშევიკები ამბობენ: ჩვენი რევოლუციის ნამდვილ გამარჯვებას მხარს უჭერს მხოლოდ პროლეტარიატი და წვრილი ბურჟუაზიის რევოლუციური ნაწილი (უწინარეს ყოვლისა გლეხობა), ძველი მონარქიის ლიბერალურ შეზღუდვას კი — «საშუალო ბურჟუაზიაც, ოფიცრობაც და სხვ.». ამიტომ მოდით და რევოლუციის გამარჯვება ვუწოდოთ ლიბერალების გარიგებას მეფესთან, შევცვალოთ ნამდვილი რევოლუციური მთავრობა, როგორც აჯანყების ორგანო, სათათბიროთიო!

არა, ამხანაგებო. პოლიტიკურმა არითმეტიკამ იცის ცოტა უფრო რთული ხერხები, ვიდრე არის უბრალო შეჯამება ყ ვ ე ლ ა «ოპოზიციური» ელემენტისა. ნამდვილად მებრძოლი რევოლუციური ელემენტებისათვის მერყევი და მოღალატე ოპოზიციის მიმატება ყოველთვის პლუსს როდი იძლევა, უფრო ხშირად — იგი მინუსს იძლევა. იმათ, ვისაც თავიანთი ინტე-

რესები ა ი ძ უ ლ ე ბ ს ეცადონ მონარქიის შეზღუდვას და ეშინოდეთ მონარქიის დამსხვრევისა, არავითარ შემთხვევაში არ შესწევთ უნარი შეჰქმნან აჯანყების ენერგიული და გაბედული ორგანო. ამ კადეტური ელემენტების თარგზე აჯანყების მომავალი ორგანოს წინასწარ გამოჭრის ცდა — ეს იგივეა, რომ ევროპის სოციალური რევოლუცია გამოჭრა რომელიმე ნაუმანის ან კლემანსოს თარგზე.

მერე რა კომიკურ წინააღმდეგობაში ჩაიგდეს თავი ჩვენმა ოპორტუნისტებმა! მათ სურთ კავშირი საშუალო ბურჟუაზიასთან და ოფიცრობასთან, ერთი სიტყვით, კადეტური პარტიის ელემენტებთან. მაგრამ მაშინ სრულიად უნდა უკუაგდონ დამფ. კრების ლოზუნგი, ვინაიდან მას უკუაგდებენ კადეტები! წამოაყენონ საშუალო ბურჟუაზიისა და ოფიცრობისათვის მიუღებელი ლოზუნგი დამფუძნებელი კრებისა და ამავე დროს ეცადონ მიიმხრონ ისინი იმით, რომ ზომიერ და ლოიალურ სათათბიროს უაღრესად რევოლუციური როლი თავზე მოახვიონ (დამხობა მთავრობისა და რევოლუციურ დროებით მთავრობად გადაქცევა!) — აი რა აბსურდამდე მივიდა ჩვენი ც. კ.

ესეც კია, ც. კ.-ის წერილი აბსურდების მხრივ მარტო ასეთ ხელისხელ საგოგმანებელ მარგალიტებს როდი გვაწვდის. აბა ინებეთ: «ახლანდელ მომენტში რომ მართლაც შეუძლებელი იყოს ძალაუფლების მატარებლად სხვა რისამე წამოყენება, გარდა მუშათა დეპუტატების საბჭოებისა, შეიძლება წინდაწინვე ითქვას, რომ მთავრობის დამარცხება ძ ა ლ ა უ ფ ლ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს ბ რ ძ ო ლ ა შ ი (ხოლო ეს დამარცხება აუცილებლად გულისხმობს ამ ბრძოლაში არმიის მონაწილეობას) სხვას არაფერს გამოიწვევდა, თუ არა «ხალხის მხარეზე» გადასული არმიის ს ა მ ხ ე დ რ ო დ ი ქ ტ ა ტ უ რ ა ს». (ხაზგასმა ორიგინალისაა).

ერთი ჩაუფიქრდით ამ საოცარ ტირადას: მუშ. დეპ. საბჭოებმა რომ არმიის ნაწილის დახმარებით მთავრობა დ ა ა მ ა რ ც ხ ო ნ, «ხალხის მხარეზე»* არმიის ასეთი გადასვლა

* ბრჭყალები, ალბათ, ჩვენი ც. კ.-ის ირონიას გამოხატავს!

თურმე მის სამხედრო დიქტატურას გამოიწვევდა!! მე არ ვიცი, შეიძლება თუ არა კადეტურ ლიტერატურაშიც კი გამოინახოს ბრძოლის ძლევამოსილი დამთავრებით ამგვარი დაშინების ნიმუშები? მე არ ვიცი, ასეთ რამეებს ამბობდა თუ არა ბ-ნი სტრუვეც კი, როდესაც იგი 1905 წლის ზაფხულს «ოსვობოჟ-დენიეში» [46] და 1906 წლის გაზაფხულს «პოლიარნაია ზვეზ-დაში» [47] აცამტვერებდა შეიარაღებული აჯანყების იდეას იმი-ტომ, რომ იგი, ვითომ, უახლოვდება სამხედრო დიქტატურის იდეას? ც. კ. რომ გასცნობოდა ჯარისკაცთა და მატროსთა თუნდაც ჩვეულებრივ მოთხოვნებს, რასაც ისინი აყენებდნენ უკანასკნელ წელს მომხდარი მათი უამრავი «ამბოხების» დროს, იგი დაინახავდა, რომ ეს მოთხოვნები ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ წარ-მოადგენენ კასტური არმიის სახალხო არმიად, ე. ი. მილიციად გადაქცევის მოთხოვნას. ჯარისკაცები და მატროსები ყოველ-თვის როდი ახერხებდნენ და მეტწილად სულაც ვერ ახერხებ-დნენ თავიანთ მოთხოვნათა დასკვნების ჩამოყალიბებას, მაგრამ ნუთუ ვისმესთვის შეიძლება ნათელი არ იყოს, რომ სამხედრო სამსახურის მოხდა სამშობლოში, მიტინგების თავისუფლება და სხვ., უდრის სწორედ მილიციის დაარსებას? ნუთუ ც. კ.-ს იმდენად დაუკარგავს ელემენტარული რევოლუციური ინს-ტინქტი, რომ მისთვის ნათელი არ არის განსხვავება დეკაბრის-ტების თავად-აზნაურულ რევოლუციურობასა, — ნაროდოვო-ლეცი ოფიცრების უაზნო-ინტელიგენტურ რევოლუციურობა-სა, — და მეოცე საუკუნის რუსეთის ჯარისკაცთა და მატროსთა უაღრესად დემოკრატიულ, პროლეტარულ და გლეხურ რევო-ლუციურობას შორის? ნუთუ მას თვალში არასოდეს სცემია ძირითადი განსხვავება ჯარისკაცთა მასის თითქმის სრული გულგრილობის პირობებში «ნაროდნაია ვოლიას» ეპოქის ოფიცრების რევოლუციურობასა და სწორედ უბრალო ჯარის-კაცთა მასის მძლავრი მოძრაობის პირობებში ოფიცრობის ახ-ლანდელ რეაქციულობას შორის? იმის ფიქრი, რომ ახლანდე-ლი რუსი ჯარისკაცის თუ მატროსის გადასვლა მუშათა დეპუ-ტატების საბჭოების მხარეზე მთავრობასთან ბრძოლის დროს

შესაძლებელია სამხედრო დიქტატურაზე გადასვლად გადაიქ-ცეს, — ამის საწინააღმდეგო საშუალებად იმის მიჩნევა, რომ მიიზიდო ოფიცრობა «სათათბიროსათვის» მხარის დაჭერის ზომიერი ლოზუნგით, — ეს იმას ნიშნავს, რომ ან უნდა დაჰ-კარგო სინამდვილის ყოველგვარი ალღო, ან უფრო შორს წა-ხვიდე ბ-ნ სტრუვეს და კომპ. მარჯვნივ! სოციალ-დემოკრატიუ-ლი პარტიის ცენტრალურ კომიტეტს სურს იბრძოლოს სამხედ-რო დიქტატურისაკენ რუსი ჯარისკაცის მისწრაფების წინა-აღმდეგ თავის მხარეზე ოფიცრობის მიზიდვით: აი, სადამდე მიგვიყვანეს ოპორტუნისტებმა.

ც. კ. შემდეგ ცდილობს თავისი უიმედო პოზიცია იმით დაი-ცვას, რომ აცხადებს, რაღა საჭირო არისო ახალი მთავრობის ხელოვნურად გამოძებნა, რაკი სათათბირო ან მისი ნაშთები გვაქვსო; მათ «შეუძლიათ გამოაცხადონ თავი სახელმწიფო სა-თათბიროდ», ხოლო «ხალხის აზრი, რომელიც ვერ ერკვევა და-წერილი კონსტიტუციის სირთულეში, სახ. სათათბიროს სა-ხელმწიფო ძალაუფლების ორგანოდ სთვლიდა და სთვლისო... თუ იმ ჯარებს, რომლებიც უარს იტყვიან მეფის მთავრობისად-მი მორჩილებაზე, შეუძლიათ ახალი მთავრობის სამსახურში ჩადგნენ, ეს ახალი მთავრობა სახელმწიფო სათათბირო იქ-ნებაო».

ჩინებულია! «ხალხის აზრმა» რომ ხვალ რომელიმე კანონ-ქვემდებარე დაწესებულება «ხელისუფლებად» მიიჩნიოს, ჩვენ, თურმე, ვალდებულნი ვიქნებით ამგვარი ყალბი რწმენა გავავრცელოთ, — რევოლუციური პარტიის ამოცანათა კარგი გაგება კი არის, თქვენმა მზემ. გაიგეთ, ბოლოს და ბოლოს, ძვირფასო ამხანაგებო, რომ ძალაუფლება ძალით, ბრძოლით, აჯანყებით უნდა ჩაიგდო ხელთ. ეთანხმებიან თუ არა ამას კა-დეტები? თუ ეთანხმებიან, მაშინ მობრძანდნენ, — ბრძოლაში ჩვენ არავითარ მოკავშირეს ხელს არა ვკრავთ. მაგრამ თუ ისი-ნი თანახმანი არ არიან, თუ მათ იმისიც კი ეშინიათ, რომ აჯან-ყებისაკენ ა შ კ ა რ ა დ მ ო უ წ ო დ ო ნ (ასეთი მოწოდება, თუ კი მომწოდებელნი გულწრფელნი არიან, რაც უნდა იყოს,

პირველი ნაბიჯია საქმის დასაწყებად; ეს ნაბიჯი მთელი სათათბიროდან მხოლოდ სოციალ-დემოკრატებმა და შრომის ჯგუფელებმა გადადგეს), — მაშინ ყოველგვარი ლაპარაკი სათათბიროზე, როგორც «ძალაუფლების ორგანოზე, რომელიც დამფუძნებელ კრებას მოიწვევს», მხოლოდ მავნებელი «მანილოვობაა», მხოლოდ ხალხის მოტყუებაა.

სხვაგვარ ატმოსფეროში სათათბიროს ნაშთები სხვანაირად იმოქმედებდნენო, ამბობს ც. კ., და ამით ამართლებს კადეტებს, რომელთაც ვიბორგის მოწოდებისაც კი შეეშინდათ. — დიახ, ეს მართალია, ისინი სხვანაირად იმოქმედებდნენ. რა გამომდინარეობს აქედან? ის, რომ ჩვენ უნდა ვცდილობდეთ შევქმნათ ეს ს ხ ვ ა გ ვ ა რ ი ატმოსფერო. რანაირად უნდა ვცდილობდეთ ამას? ბრძოლის უნარიანი ელემენტები უნდა ავამაღლოთ რევოლუციურ შეგნებამდე, ავწიოთ მათი შეგნება კადეტურ დონეზე მაღლა, კადეტურ ლოზუნგებზე მაღლა. თქვენ კი კადეტების სიმხდალეს ა მ ა რ თ ლ ე ბ თ არარევოლუციური ატმოსფეროთი და ამავე დროს ამ ატმოსფეროს ა დ ა ბ ლ ე ბ თ იმით, რომ რევოლუციური ლოზუნგების ადგილს კადეტურ ლოზუნგებს აჭერინებთ!

IV

ც. კ.-ის განთქმული მე-4 წერილის პრაქტიკული დასკვნა გვეუბნება: «აუცილებლად საჭიროა ახლავე ყველგან მოეწყოს პროტესტის ადგილობრივი მასობრივი გამოხატვა». მისი მიზანი სიტყვასიტყვით ასეა განსაზღვრული: «შევქმნათ ატმოსფერო მოახლოებული გადამწყვეტი ბრძოლისათვის მზადებისა»... მოახლოებული გადამწყვეტი ბრძოლისათვის კი არ უნდა ვემზადოთ, არამედ მზადების ატმოსფერო უნდა შევქმნათო!..

ჩვენმა პარტიამ იშვიათი ერთსულოვნებით უკვე დაჰგმო და უკუაგდო ც. კ.-ის ეს ლოზუნგი. მისი კამპანია «პროტესტის ნაწილობრივი მასობრივი გამოხატვისა» უ კ ვ ე წაგებულია. გაუგონარი მასშტაბით გამწვავებული სამოქალაქო ომის ვითარებაში პროტესტების დემონსტრირების, პროტესტების მოწ-

ყობის შეუსაბამობა აშკარად გეცემათ თვალში. ამ ნომერში ჩვენ ვბეჭდავთ პარტიის მთელი რიგი კომიტეტებისა და კონფერენციების რეზოლუციებს [48], რომელნიც ცხადად გვიჩვენებენ, თუ რა აღშფოთებით შეხვდნენ ც. კ.-ის ამ ლოზუნგს და მთელ მის, სათათბიროს დათხოვნის შემდეგდროინდელ, პოლიტიკას. ამიტომ ჩვენ ზედმეტ სიტყვას აღარ დავხარჯავთ იმაზე, რომ გავაბათილოთ ც. კ-ის ლოზუნგი, რომელიც ცხოვრებამ უკვე უარყო და პარტიამ უკუაგდო. საჭიროა მხოლოდ აღვნიშნოთ, ჯერ ერთი, მისი შეცდომის პრინციპული მნიშვნელობა, და მეორეც, ც. კ.-ის უხეირო ცდები, რასაც იგი მიმართავს № 5 წერილში, რათა თავი დააღწიოს იმ აუტანელ მდგომარეობას, რომელშიც იგი ჩავარდა.

პრინციპული მხრივ ც. კ.-ის შეცდომა ის არის, რომ მას სრულიად არ ესმის, თუ რა განსხვავებაა გაფიცვა-დემონსტრაციასა და გაფიცვა-აჯანყებას შორის. დეკემბრის შემდეგ ასეთი გაუგებლობა ყოვლად შეუწყნარებელია. მისი ახსნა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ც. კ.-ს არც ერთ თავის წერილში პირდაპირ არაფერი უთქვამს შეიარაღებულ აჯანყებაზე. აჯანყების საკითხის პირდაპირი დაყენებისაგან თავის დაძვრენა — ასეთია ჩვენებური ოპორტუნისტების ძველი და მუდმივი მისწრაფება, რომელიც გარდუვალობით გამომდინარეობს მთელი მათი პოზიციიდან. ეს მისწრაფება ცხადყოფს ჩვენთვის, თუ რატომ არის, რომ ც. კ. დაჟინებით ლაპარაკობს მხოლოდ გაფიცვა-დემონსტრაციაზე და ჩქმალავს გაფიცვა-აჯანყებას.

რაკი ც. კ.-მა ასეთი პოზიცია დაიკავა, მას არ შეეძლო კუდში არ მოჰქცეოდა ყველა დანარჩენ რევოლუციურ პარტიასა და ორგანიზაციას. შეიძლება ითქვას, რომ ყ ვ ე ლ ა ს, გარდა ს.-დ. ოპორტუნისტებისა, შეგნებული ჰქონდა აჯანყების საკითხის დაყენების გარდუვალობა. როგორც მოსალოდნელი იყო, ამას გაძლიერებული ყურადღება მიაქცია სრულიად რუსეთის რკინიგზის კავშირმა (იხ. ამ ნომერში დაბეჭდილი მისი რეზოლუცია და ბიუროს მოხსენება) [49]. ეს სრული სიცხადით

ჩანს მთელი რიგი მოწოდებებიდან, რომელთაც ხელს აწერს რამდენიმე რევოლუციური ორგანიზაცია (ზემოთ უკვე მოხსენებული მოწოდებანი: «არმიისა და ფლოტისადმი», «მთელი რუსეთის გლეხობისადმი» და სხვ.). ჩვენი ც. კ. ამ მოწოდებებს ხელს აწერდა თითქოს უნებურად, თითქოს თავისი რწმენის წინააღმდეგ!

მართლაც: პირდაპირ შეუძლებელია ხელს აწერდე ამ მოწოდებებს და ვერ ამჩნევდე განსხვავებას გაფიცვა-დემონსტრაციასა და გაფიცვა-აჯანყებას შორის. ც. კ.-ის ქცევის წინააღმდეგობრიობა, მისი ფლიუგერობა აშკარად გეცემათ თვალში: თავის საკუთარ ნაწარმოებებში (წერილი № 4 და № 5) იგი აჯანყების შესახებ კრინტს არა სძრავს. ხოლო როცა სხვა რევოლუციურ ორგანიზაციებთან ერთად გამოდის, იგი ხელს აწერს აჯანყებისადმი მოწოდებებს! როცა თავის ანაბარაა მიტოვებული, ჩვენი ც. კ. უეჭველად კადეტების პოზიციაზე გადავარდება ხოლმე, მთელ ძალღონეს ანდომებს კადეტებისათვის მისაღები, ან ისეთი ლოზუნგების გამოგონებას, რომელნიც მისაღებად ჩანან მათთვის. როცა სხვა რევოლუციურ ორგანიზაციებთან ერთად მიაბიჯებს, ც. კ. «წელში სწორდება», რცხვენია თავისი კადეტური ლოზუნგებისა და წესიერად იქცევა.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია ამნაირ უღირს მდგომარეობაში პირველად ჩავარდა. ეს პირველი შემთხვევაა, რომ ყველას თვალწინ მას აღვირით ატარებენ. ეს პირველი შემთხვევაა, რომ იგი არიერგარდშია. ჩვენი მოვალეობაა, რსდმპ ყველა წევრის მოვალეობაა — რადაც უნდა დაგვიჯდეს და რაც შეიძლება მალე მივაღწიოთ იმას, რომ ეს იყოს პირველი და უ კ ა ნ ა ს კ. ნ ე ლ ი.

ის, რომ ივლისის (უკანასკნელი) გაფიცვის მარცხის მიზეზებს ვერ მიმხვდარან, მთლად აიხსნება ზემოხსენებული პრინციპული შეცდომით. ბრძოლის მ ო მ ე ნ ტ ი ს დანიშვნაში შეიძლება ყოველი ადამიანი შეცდეს. ჩვენ სრულიადაც არ ვაპირებთ, რომ ა მ ი ს გ ა მ ო ც. კ.-ს ბრალი დავდოთ. მაგრამ

შეცდომის დაშვება გამოსვლის ხ ა ს ი ა თ ი ს განსაზღვრაში, შეცდომის დაშვება, მიუხედავად მთელი რიგი ორგანიზაციების მხრივ გაფრთხილებისა, რომლებთანაც ერთად ც. კ. ხელს აწერდა აჯანყებისადმი მოწოდებას, — შეუწყნარებელია!

№ 5 წერილში ც. კ. მოჰყოლია რაღაც წვრილმანსა და მეწვრილმანურ პოლემიკას ესერების წინააღმდეგ (რაც მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ შრომის ჯგუფელების წარმომადგენელი უფრო თანამიმდევრად მსჯელობდა, ვიდრე ისინი, — რა შუაშია ყველაფერი ეს და ვის ეინტერესება?), იგი გაკვირვებულია, რომ სწორედ მოწინავე, შეგნებული მუშები არ გამოეხმაურნენ მოწოდებას ივლისის გაფიცვისადმი. ჩამორჩენილი მუშები გამოეხმაურნენ; მოწინავენი კი არა! და ც. კ.-ც ბრაზობს, აღშფოთებულია, თითქმის ილანძღება.

მაგრამ ც. კ.-ს რომ სავსებით მცდარი პოზიცია არ დაეკავებინა, იგი რომ პ რ ი ნ ც ი პ უ ლ ა დ არ დაშორებოდა პროლეტარიატის ავანგარდს, მაშინ ადვილად მიხვდებოდა, თუ რაშია საქმე. ჩამორჩენილ მუშებს შეიძლება კიდევაც არ სცოდნოდათ განსხვავება გაფიცვა-დემონსტრაციასა და გაფიცვა-აჯანყებას შორის, მაგრამ მოწინავეებმა ეს განსხვავება მშვენივრად იცოდნენ. როდესაც არსებობდა იმედი სვეაბორგისა და კრონშტადტის ა ჯ ა ნ ყ ე ბ ი ს დახმარების შესაძლებლობის, — ასეთი მომენტი კი იყო, — მაშინ საყოველთაო-სახალხო გაფიცვის გამოცხადება ბუნებრივი იყო. მაგრამ, რასაკვირველია, ეს იქნებოდა (დ ა ე ს ი ყ ო) გაფიცვა არა სათათბიროს დათხოვნის წინააღმდეგ პროტესტის მიზნით (როგორც ეს უფიქრია ც. კ.-ს), არამედ აჯანყებულთა დახმარების მიზნით, აჯანყების გ ა ფ ა რ თ ო ე ბ ი ს მიზნით.

მაგრამ აი ორიოდე დღის შემდეგ საბოლოოდ გამოირკვა, რომ აჯანყება სვეაბორგსა და კრონშტადტში ა მ ჯ ე რ ა დ ჩახშობილია. გაფიცვა აჯანყებულთა მხარის დასაჭერად უადგილო აღმოჩნდა, ხოლო გაფიცვა-პროტესტი, გაფიცვა-დემონსტრაცია მოწინავე მუშებს არასოდეს ა რ ს უ რ ვ ე ბ ი ა თ. ისინი მუდამ ამბობდნენ ძალიან ცხადად და გადაჭრით (და

მხოლოდ ჩვენმა ც. კ.-მა მოახერხა არ სცოდნოდა ან არ გაეგო ეს), რომ ისინი მზად არიან გააჩაღონ საერთო, გადამწყვეტი ბრძოლა, მაგრამ არასგზით არ მოაწყობენ გაფიცვას სადემონსტრაციოდ.

ამრიგად, ივლისის გაფიცვის მარცხმა, ასე ვთქვათ, ანდერძი აუგო ოპორტუნისტი სოციალ-დემოკრატების ტაქტიკას. გადაჭრით და საბოლოოდ დამარცხდა გაფიცვა-დემონსტრაციის იდეა. გადაჭრით და საბოლოოდ დამარცხდა ლოზუნგი «პროტესტის ნაწილობრივი მასობრივი გამოხატვისა».

მაგრამ ვინც ოდნავ მაინც იცნობს რუსეთის მსხვილი ცენტრების მუშათა სულისკვეთებას, ვინც აკვირდება იმას, თუ რა ხდება ახლა გლეხობაში, — მისთვის საკვლევით ცხადია, რომ გაფიცვა-აჯანყების იდეას, აჯანყებისათვის მზადების ლოზუნგს არათუ არ დაუკარგავს მნიშვნელობა, არათუ არ გახუნებულა იგი, არამედ, პირიქით, ყველგან მწიფდება და მტკიცდება.

V

შევაჯამოთ სათათბიროს დათხოვნისშემდგომი კრიტიკული დღეების მენშევიკური ტაქტიკის მოკლე განხილვა.

სათათბიროს მთელი პერიოდის განმავლობაში მენშევიკები მუდამ ქადაგებდნენ საერთოდ სათათბიროსათვის მხარის დაჭერას, კადეტებისათვის მხარის დაჭერას (სათათბიროს სამინისტროს დანიშვნის მოთხოვნისათვის მხარის დაჭერის სახით). ბოლშევიკები თავგამოდებით ცდილობდნენ კადეტებისაგან შრომის ჯგუფელების ჩამოშორებას და მხარს უჭერდნენ «სათათბიროს მემარცხენე ჯგუფთა აღმასრულებელი კომიტეტის» შექმნის იდეას.

ვისი ტაქტიკა დადასტურდა ახლა, სათათბიროს დათხოვნის შემდეგ? კადეტებთან ერთად მხოლოდ ვიბორგის გაუბედავი მოწოდების გამოშვება მოხერხდა. კადეტებმა, რ ო გ ო რ ც პ ა რ ტ ი ა მ, მხარი არ დაუჭირეს მას, მონაწილეობა არ მიიღეს მის სასარგებლოდ არც პარტიულ აგიტაციაში, არც ა მ დ ა გ ვ ა რ ი მუშაობის განგრძობაში. ამ მოწოდების უკმარისობა მყისვე აღიარეს ჩვენმა მენშევიკებმაც კი. ვიბორგის გ•უ-

ბედავ მოწოდებას მოჰყვა სხვა, უფრო გარკვეული და უფრო გაბედული მოწოდებები. სათათბიროს ზოგიერთი ყოფილი წევრის თითო-თითოდ შეერთებას მოჰყვა შეერთება სათათბიროს იმ ო რ ი ჯგუფის «კომიტეტებისა», რომელთაც ხელი მოაწერეს მთელ რიგ მოწოდებებს და რომელნიც მონაწილეობდნენ მთელ რიგ რევოლუციურ თათბირებში და დ ა თ ა ნ ხ მ დ ნ ე ნ რევოლუციის ს ა მ ხ ე დ რ ო ს ა ბ ჭ ო ს შექმნას.

რა ჯგუფები იყვნენ ეს ორი ჯგუფი, რომელნიც, როგორც ჯგუფები, როგორც კოლექტივები, გადაურჩნენ სათათბიროს დარბევას, რომელთაც თავგზა არ აბნევიათ იმის გამო, რომ ფეხქვეშ გამოეცალათ «კონსტიტუციური» ნიადაგი?

ესენი იყვნენ სოციალ-დემოკრატები და შ რ ო მ ი ს ჯ გ უ ფ ე ლ ე ბ ი. «მემარცხენე ჯგუფების აღმასრულებელი კომიტეტი», რასაც ქადაგებდნენ ბოლშევიკები, მხარს უჭერდნენ რა ასეთი კომიტეტის შექმნის ი დ ე ა ს, — გ ა ნ ხ ო რ ც ი ე ლ დ ა. შრომის ჯგუფმა წ ა რ მ ო შ ვ ა ახალი რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი ორგანიზაცია, რომელსაც ა ხ ა ლ ი კავშირურთიერთობა აქვს გლეხობასთან, ხოლო კადეტები მოკვდნენ პოლიტიკურად — სწორედ ისე, როგორც წინასწარმეტყველებდნენ ბოლშევიკები, რომლებიც ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ «მატლები გვამებს ესევიან და არა ცოცხალ ადამიანებს» *.

სოციალ-დემოკრატების საბრძოლო შეთანხმება შრომის ჯგუფელებთან, ესერებთან და სხვებთან იქცა ფ ა ქ ტ ა დ, რომელიც დადასტურებულია ზემოთ ჩამოთვლილი ფურცლებით. ჩვენ დავკარგეთ და, რა თქმა უნდა, ბევრი რამ დავკარგეთ მხოლოდ იმიტომ, რომ გ ვ ი ა ნ მოვკიდეთ ამ საქმეს ხელი, წინათვე არ მოგვიფიქრებია იგი, თანდათან არ მოგვიმზადებია ნიადაგი, როგორც ამის რჩევას იძლეოდნენ ბოლშევიკები ჯერ კიდევ გამაერთიანებელი ყრილობისათვის წარსადგენ რეზოლუციათა პროექტში.

Volentem ducunt fata, nolentem trahunt, — ჩვენებურად ეს, დაახლოებით, ნიშნავს: შეგნებული პოლიტიკოსი მოვ-

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 10, გვ. 313. რ ე დ.

ლენებს წინ უძღვის, შეუგნებელს კი ისინი მიათრევენო. ბოლშევიკები თვეობით, თუ არა მთელი წლის განმავლობაში, დაჟინებით ამბობდნენ: ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი ა საბრძოლო შეთანხმებანი სწორედ რევოლუციურ დემოკრატიასთან, დიდი მნიშვნელობა აქვს პროლეტარიატის საბრძოლო დაახლოებას სწორედ მოწინავე გლეხობასთანაო. სათათბიროს დათხოვნამ გ ვ ა ი ძ უ ლ ა დავდგომოდით ამ გზას, ამასთან მენშევიკები, როგორც ეს უკვე ცხადვყავით ც. კ.-ის ტაქტიკის ყველა ეპიზოდის განხილვით, მოუმზადებელნი აღმოჩნდნენ, აღმოჩნდნენ ისეთნი, რომელთაც მოვლენათა «მოულოდნელი» შეტრიალება «მიათრევს» წინააღმდეგ მათი ნებისა და წინააღმდეგ მათი შეგნებისა.

აიღეთ აჯანყების საკითხი. მენშევიკები მისგან მთელი ძალღონით «თავს იძვრენდნენ». გამაერთიანებელ ყრილობაზედაც კი მათ რეზოლუცია მიიღეს შეიარაღებული აჯანყების წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ. ახლა ისინი ს დ უ მ ა ნ აჯანყების შესახებ № 4 და № 5 «წერილებში», რომელთაც წერს ც. კ. თვითონ, სხვა რევოლუციურ ორგანიზაციათა მიუთითებლად. მაგრამ აი, როდესაც იგი წერს რასმე მათთან ე რ თ ა დ, მათი მითითებით, მაშინ ჩვენ ვკითხულობთ აჯანყებისადმი პირდაპირსა და გადამწყვეტ მოწოდებებს. მაშინ ლოზუნგებიც რევოლუციური ჩნდება. მაშინ უკვე კრინტსაც აღარ სძრავენ არა მარტო სათათბიროს სესიის განახლებაზე, არამედ სათათბიროს მეშვეობით დამფუძნებელი კრების მოწვევაზედაც კი. პირიქით, მაშინ ჩვენ ვკითხულობთ (მოწოდება «მთელი ხალხისადმი»): «ა რ ა უ ძ ა ლ ა უ ფ ლ ე ბ ო სათათბირო, არამედ სრულძალაუფლებიანი დამფუძნებელი კრება, არჩეული პირდაპირი და სხვ. საარჩევნო უფლების საფუძველზე, — აი ის მიზანი, რომელიც უნდა დაისახოს ხალხმა დ ა ა რ ა მ ე ფ ი ს მ ი ნ ი ს ტ რ ე ბ მ ა, ა რ ა მ ე დ რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ხ ა ლ ხ ზ ე დ ა ყ რ დ ნ ო ბ ი ლ მ ა ხ ე ლ ი ს უ ფ ლ ე ბ ა მ უნდა მოიწვიოს ეს კრება» (ხაზგასმა ჩვენია). აი რა ენერგიული ენით ლაპარაკობს

ჩვენი ც. კ., როდესაც იგი იმყოფება წვრილბურჟუაზიული რევოლუციონერების კომპანიაში, როგორიცაა შრომის ჯგუფის კომიტეტი და პოლონეთის სოციალისტური პარტია!

აიღეთ, ბოლოს, დროებითი რევოლუციური მთავრობის საკითხი. ჩვენი მენშევიკები პლეხანოვის მეთაურობით წელიწადნახევრის განმავლობაში ამტკიცებდნენ: მასში სოციალ-დემოკრატების მონაწილეობა ბურჟუაზიულ რევოლუციონერებთან ერთად დაუშვებელია, დროებითი რევოლუციური მთავრობის შექმნის ლოზუნგის წამოყენება არის ბლანკიზმი, იაკობინელობა და სხვა კიდევ ათასგვარი მომაკვდინებელი ცოდვაო.

და მერე რა? დაითხოვეს სათათბირო, და ც. კ. იძულებულია დასვას ს წ ო რ ე დ დროებითი რევოლუციური მთავრობის საკითხი, — ის საკითხი, თუ ვისგან უნდა შესდგებოდეს იგი. საკითხისათვის სრული მოუმზადებლობა ერთბაშად იჩენს თავს: ისიც კი არ ესმით, რომ დროებითი რევოლუციური მთავრობა ა ჯ ა ნ ყ ე ბ ი ს ო რ გ ა ნ ო ა. ც. კ. წინადადებას იძლევა — დროებით რევოლუციურ მთავრობად გამოვაცხადოთ სათათბიროს ნაშთები: სოციალ-დემოკრატები, შრომის ჯგუფელები და კადეტების ნაწილიო. მაგრამ ერთი შეხედეთ, რა გამოდის, ამხანაგებო: თ ქ ვ ე ნ ხ ო მ ს ო ც ი ა ლ ი ს ტ ე ბ ს წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა ს ა ძ ლ ე ვ თ მ ო ნ ა წ ი ლ ე ო ბ ა მ ი ი ღ ო ნ დ რ ო ე ბ ი თ ს რ ე ვ ო ლ უ ც ი ურ მ თ ა ვ რ ო ბ ა შ ი ბ ურ ჟ უ ა ზ ი ულ რ ე ვ ო ლ უ ც ი ო ნ ე რ ე ბ თ ა ნ ე რ თ ა დ! და თქვენ ამას სჩადიხართ, მიუხედავად იმისა, რომ შრომის ჯგუფელებსა და მემარცხენე კადეტებს შორის სოციალ-დემოკრატები ს უ ლ უ მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო უ მ ც ი რ ე ს ო ბ ა ს შეადგენენ! ვაგლახ! დოქტრინული ლაყბობა, რომ დროებითს მთავრობაში სოციალ-დემოკრატების მონაწილეობა ბურჟუაზიულ რევოლუციონერებთან ერთად დ ა უ შ ვ ე ბ ე ლ ი ა ო მტვრად იქცევა სინამდვილის პირველ შეხებისთანავე. ყოველგვარი ლათაიები, რომელთა საშუალებითაც ცდილობდნენ გაემართლებინათ ეს შემცდარი გადაწყვეტილება მარქსის უმართებულო დამოწმებით, ჰქრება, ვითარცა კვამლი. ესეც

ცოტაა: გარდა ბურჟუაზიული რ ე ვ ო ლ უ ც ი ო ნ ე რ ე ბ ი-ს ა (შრომის ჯგუფელები, ესერები, პოლონეთის სოც. პარტია, ნაწილი გლეხთა, რკინიგზელთა და მასწავლებელთა კავშირე-ბისა) ჩვენი «მტკიცე» ვითომდა-მარქსისტები ყოველგვარი უმართებულო და მართებული საშუალებით მიათრევენ მო-მავალ დროებით მთავრობაში ბურჟუაზიულ შ ე მ თ ა ნ ხ-მ ე ბ ლ ე ბ ს ა ც (კადეტებს)!

დიახ, ძნელი წარმოსადგენია ოპორტუნისტული ტაქტიკის უფრო სრული დამარცხება, როგორიც განიცადა ჩვენმა ც. კ.-მა სათათბიროს დათხოვნის შემდეგ. ვიდრე არ დაგვიანე-ბულა, საჭიროა ამოვათრიოთ ჩვენი პარტია ამ ჭაობიდან.

«პროლეტარი» № 1,
1906 წ. 21 აგვისტო

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის»
ტექსტის მიხედვით

დღევანდელი ამბების გამო

«სისხლიანმა დღემ» ვარშავაში და პოლონეთის სხვა ქალაქებში[50], სტოლიპინის მკვლელობის ცდამ, მინის[51] მოკვლამ, — ყოველივე ამან საყოველთაო ინტერესი აღძრა «პარტიზანული გამოსვლების» საკითხისადმი, — ჩვენ ვხმარობთ იმ გამოთქმას, რომელიც ჩვეულებრივი გახდა პარტიაში და დადასტურებულია გამაერთიანებელი ყრილობის რეზოლუციით.

რედაქციას განზრახვა აქვს უახლოეს მომავალში მოათავსოს ერთი ან რამდენიმე სტატია, რომლებშიც დაწვრილებით და შეძლებისამებრ ყოველმხრივ იქნება განხილული ეს უდიდესი მნიშვნელობის საკითხი *. ჯერჯერობით კი, რათა ჩვენი მკითხველებისათვის უცნობი არ დარჩეს ჩვენი შეხედულებანი, გამოვთქვამთ მხოლოდ ქვემომოყვანილ მოკლე შენიშვნებს, რომლებიც შემდგომს სტატიებში დაწვრილებით იქნება განვითარებული და უფრო ზუსტად ჩამოყალიბებული.

პირველი შენიშვნა. უკიდურესობანი არაფერში არ ვარგა, პარტიზანული გამოსვლების მოწყობის დროს ფართო მასების სულისკვეთებისათვის ანგარიშის გაწევის აუცილებლობა არც ერთი სოციალისტისათვის არ არის საეჭვო. ამიტომ აუცილებლად საჭიროდ მიგვაჩნია მხედველობაში მივიღოთ შეხედულება ბუნდისა, რომელიც იცნობს ვარშავაში მუშაობის პირობებს და იქაური მასების სულიერ განწყობილებას (ბუნდი, როგორც ეტყობა, ეთანხმება პოლონელ სოციალ-დემოკრა-

* იხ. ეს ტომი, გვ. 241 — 254. რ ე დ.

ტებსაც), სახელდობრ ის შეხედულება, რომ პოლონეთის სოც. პარტიამ «გადაამლაშა». გადაამლაშა თუ არა, ეს ფაქტის საკითხია, და ჩვენ კომპეტენტური არა ვართ ეს საკითხი გადავწყვიტოთ. .არასოდეს არ უნდა გადაამლაშო ხოლმე, მაგრამ «უკიდურესობათა» ცალკეული შემთხვევების გამო უმართებულო იქნებოდა დაგვესკვნა ბრძოლის განსაზღვრული ფორმის უვარგისობა.

საერთოდ და მთლიანად ჩვენ პლუსად მიგვაჩნია რუსეთში სათათბიროს დათხოვნის შემდეგ პარტიზანული ბრძოლის გამწვავება. მთავრობის მოძალადეებთან გამანადგურებელი და ულმობელი პარტიზანული ბრძოლა ჩვენ დროულად და მიზანშეწონილად მიგვაჩნია.

მეორე შენიშვნა. უეჭველად ცდება და დიდადაც ცდება ჩვენი პარტიის ც. კ., როდესაც მე-4 «წერილის» (პარტიული ორგანიზაციებისადმი) შენიშვნაში აცხადებს: «თავის თავად გულისხმება, რომ ეგრეთწოდებულ «პარტიზანულ» საბრძოლო გამოსვლებს პარტია წინანდებურად უარყოფს».

ეს მართალი არ არის. ჩვენ ვემორჩილებით ყრილობის გადაწყვეტილებებს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ დავემორჩილებით ც. კ.-ის ისეთ დადგენილებებს, რომელნიც ამ გადაწყვეტილებებს არღვევენ. ყველა, ვინც კი გაირჯება და ყურადღებით წაიკითხავს გამაერთიანებელი ყრილობის რეზოლუციას, სათაურით: «პარტიზანულ მოქმედებათა შესახებ», ადვილად დაინახავს, რომ ჩვენი პარტია უარყოფს პარტიზანულ მოქმედებათა ერთ სახეს, აღიარებს მეორეს და გვირჩევს მესამეს.

იგი სავსებით უარყოფს კერძო ქონებათა ექსპროპრიაციას. იგი არ უარყოფს სახაზინო სახსრების ექსპროპრიაციას, მაგრამ მოითხოვს მისთვის განსაკუთრებით სასტიკ პირობებს («უწყებულ ადგილას რევოლუციური ხელისუფლების ორგანოთა შექმნის შემთხვევაში» და ა. შ.).

შემდეგ, ყრილობის რეზოლუცია აღიარებს პარტიზანულ მოქმედებას ქონებათა უექსპროპრიაციოდ,

ე. ი. ა ღ ი ა რ ე ბ ს «ტ ე რ ო რ ს», ა ღ ი ა რ ე ბ ს პ ა რ ტ ი ზ ა ნ უ ლ მ ო ქ მ ე დ ე ბ ა ს მ ტ რ ი ს მ ო კ ვ ლ ი ს მ ი ზ ნ ი თ. ე ს ა ღ ი ა რ ე ბ ა ნ ა თ ლ ა დ დ ა გ ა რ კ ვ ე უ ლ ა დ გ ა მ ო ხ ა ტ უ ლ ი ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ი ს ს ა კ უ თ რ ი ვ ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი ს პ ი რ ვ ე ლ ს ა ვ ე ს ი ტ ყ ვ ე ბ შ ი:

«ყ რ ი ლ ო ბ ა ა დ გ ე ნ ს: 1) ა ღ ი ა რ ე ბ ს რ ა მ ო მ ა ვ ა ლ ი ა ჯ ა ნ ყ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს რ ე ვ ო ლ უ ც ი ურ ძ ა ლ თ ა მ ო მ ზ ა დ ე ბ ა ს თ ა ნ ე რ თ ა დ (ხ ა ზ გ ა ს მ ა ყ ვ ე ლ გ ა ნ ჩ ვ ე ნ ი ა), რ ა ს ა ც ს ა ფ უ ძ ვ ლ ა დ უ დ ე ვ ს მ უ შ ა თ ა მ ა ს ე ბ ი ს ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ა, მ თ ა ვ რ ო ბ ი ს ტ ე რ ო რ ი ს ა დ ა შ ა ვ რ ა ზ მ ე ლ ე ბ ი ს ძ ა ლ ა დ ო ბ ა თ ა წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ა ქ ტ ი ი ურ ი ბ რ ძ ო ლ ი ს ა უ ც ი ლ ე ბ ლ ო ბ ა ს, ს ა ჭ ი რ ო დ თ ვ ლ ი ს...» (შ ე მ დ ე გ მ ი დ ი ს ა კ რ ძ ა ლ ვ ა ქ უ რ დ ო ბ ი ს ა, კ ე რ ძ ო ს ა ხ ს რ ე ბ ი ს ხ ე ლ თ ჩ ა გ დ ე ბ ი ს ა დ ა ს ხ ვ.).

ყ რ ი ლ ო ბ ი ს გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა, რ ა ც ჩ ვ ე ნ ზ ე მ ო თ ა მ ო ვ წ ე რ ე თ, ს ა ვ ს ე ბ ი თ ც ხ ა დ ი ა. მ ა ს ე ბ შ ი მ უ შ ა ო ბ ა ს თ ა ნ «ე რ თ ა დ» ა ღ ი ა რ ე ბ უ ლ ი ა «ა ქ ტ ი ი ურ ი ბ რ ძ ო ლ ა» მ ო ძ ა ლ ა დ ე ე ბ თ ა ნ, ე. ი. უ ე ჭ ვ ე ლ ა დ ა ღ ი ა რ ე ბ უ ლ ი ა მ ა თ ი მ ო კ ვ ლ ა «პ ა რ ტ ი ზ ა ნ უ ლ მ ო ქ მ ე დ ე ბ ა თ ა» გ ზ ი თ.

პ ა რ ტ ი ზ ა ნ უ ლ მ ო ქ მ ე დ ე ბ ა თ ა ა მ, მ ე ო რ ე, ს ა ხ ი ს (მ ო ძ ა ლ ა დ ე თ ა მ ო კ ვ ლ ა) შ ე ზ ღ უ დ ვ ი ს შ ე ს ა ხ ებ რ ე ზ ო ლ უ ც ი ა შ ი ნ ა თ ქ ვ ა მ ი ა მ ხ ო ლ ო დ შ ე მ დ ე გ ი: «ვ ე რ ი დ ო თ მ შ ვ ი დ ო ბ ი ა ნ მ ო ქ ა ლ ა ქ ე თ ა პ ი რ ა დ ი ს ა კ უ თ რ ე ბ ი ს დ ა რ ღ ვ ე ვ ა ს, ი მ შ ე მ თ ხ ვ ე ვ ე ბ ი ს გ ა მ ო კ ლ ე ბ ი თ (ი ს მ ი ნ ე თ!), რ ო დ ე ს ა ც ე ს ა რ ი ს უ ნ ე ბ უ რ ი შ ე დ ე გ ი მ თ ა ვ რ ო ბ ა ს თ ა ნ ბ რ ძ ო ლ ი ს ა ა ნ, რ ო გ ო რ ც, მ ა გ ა ლ ი თ ა დ, ბ ა რ ი კ ა დ ე ბ ი ს ა გ ე ბ ი ს დ რ ო ს, რ ო დ ე ს ა ც ე ს გ ა მ ო წ ვ ე უ ლ ი ა უ შ უ ა ლ ო ბ რ ძ ო ლ ი ს ს ა ჭ ი რ ო ე ბ ი თ».

ა მ რ ი გ ა დ, რ ო დ ე ს ა ც ა მ ა ს მ ო ი თ ხ ო ვ ს უ შ უ ა ლ ო ბ რ ძ ო ლ ა, მ ა შ ი ნ დ ა ს ა შ ვ ე ბ ი ა კ ე რ ძ ო ს ა კ უ თ რ ე ბ ი ს დ ა რ ღ ვ ე ვ ა ც, მ ა გ ა ლ ი თ ა დ, ბ ა რ ი კ ა დ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს ე ტ ლ ე ბ ი ს დ ა ს ხ ვ. ხ ე ლ ი შ ი ჩ ა გ დ ე ბ ა. რ ო დ ე ს ა ც უ შ უ ა ლ ო ბ რ ძ ო ლ ა ა რ ა რ ი ს, მ ა შ ი ნ ყ რ ი ლ ო ბ ა გ ვ ი კ ა რ ნ ა ხ ე ბ ს — ვ ე რ ი დ ო თ «მ შ ვ ი დ ო ბ ი ა ნ» მ ო ქ ა ლ ა ქ ე თ ა პ ი რ ა დ ი უ შ ი შ რ ო ე ბ ი ს დ ა რ ღ ვ ე ვ ა ს, მ ა გ რ ა მ ყ რ ი ლ ო ბ ა ი ქ ვ ე ა ღ ნ ი შ ნ ა ვ ს გ ა მ ო ნ ა კ ლ ი ს ს: ს ა ხ ე ლ დ ო ბ რ, პ ი რ ა დ ი უ შ ი შ რ ო ე ბ ი ს «უ ნ ე ბ უ რ» დ ა რ ღ ვ ე ვ ა ს, რ ო გ ო რ ც მ თ ა ვ რ ო ბ ა ს თ ა ნ ბ რ ძ ო ლ ი ს შ ე დ ე გ ს,

ყრილობა დანაშაულად არ უთვლის პარტიზანულ მოქმედებათა მონაწილეებს.

დასასრულ, ყრილობა პირდაპირ ურჩევს პარტიას პარტიზანულ მოქმედებათა სახეს, როცა ადგენს უშენიშვნოდ და შეუზღუდავად: «იარაღი და საბრძოლო საჭურველი, რაც მთავრობას ეკუთვნის, ხელთ იგდეთ ყოველი მარჯვე შემთხვევის დროს».

მაგალითად: პოლიციელებს აქვთ იარაღი, რომელიც მთავრობას ეკუთვნის. «მარჯვე შემთხვევაა»...

მესამე შენიშვნა. ჩვენ ვურჩევთ ჩვენი პარტიის ყველა მრავალრიცხოვან მებრძოლ ჯგუფებს ბოლო მოუღონ თავიანთ უმოქმედობას და დაიწყონ მთელი რიგი პარტიზანული მოქმედებანი, ზუსტად ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე, ე. ი. ქონებათა სრულიად უექსპროპრიაციოდ, მშვიდობიან მოქალაქეთა «პირადი უშიშროების» რაც შეიძლება ნაკლებად «დარღვევით» და ჯაშუშების, აქტიური შავრაზმელების, პოლიციის, ჯარისა და ფლოტის მეთაურ პირთა დასხვათა დასხვათა პირადი უშიშროების უდიდესი დარღვევით. «იარაღი» და «საბრძოლო საჭურველი კი, რაც მთავრობას ეკუთვნის, ხელთ იგდონ ყოველი მარჯვე შემთხვევის დროს».

«პროლეტარი“ № 1,
1906 წ. 21 აგვისტო

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის»
ტექსტის მიხედვით

«მუშათა ყრილობის» შესახებ

შენიშვნა

გაზეთი «ტოვარიშჩ» ათავსებს შენიშვნას: ამხ. აქსელროდი «მუშათა ყრილობისათვის» აგიტაციას ეწევაო. ჩვენცა გვაქვს ცნობები, რომ მენშევიკები მართლაც ეწევიან ასეთ აგიტაციას. ვფიქრობთ, რომ პარტიული მოვალეობა მოითხოვს ამგვარი საკითხების აშკარად განხილვას. ან იქნებ აგიტაცია მუშათა ა შ კ ა რ ა ყრილობისათვის ფრიად თვალსაჩინო მენშევიკების მხრივ პარტიისაგან ფ ა რ უ ლ ა დ უნდა წარმოებდეს? თუ აქსელროდს შესაძლებლობა არა აქვს პრესის საშუალებით გამოთქვას თავისი შეხედულებანი, ჩვენ შეგვიძლია მას ჩვენი გაზეთის ფურცლები შევთავაზოთ.

«პროლეტარი» № 1,
1906 წ. 21 აგვისტო

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

მოსკოვის აჯანყების ზაკვეთილები

წიგნი: «მოსკოვი 1905 წ. დეკემბერში» (მ. 1906) ფრიად და ფრიად დროიანად გამოვიდა. დეკემბრის აჯანყების გამოცდილების შეთვისება მუშათა პარტიის საარსებო ამოცანაა. სამწუხაროდ, ეს წიგნი კასრი თაფლია, რომელშიც ერთი კოვზი კუპრია გარეული: მასალა, მიუხედავად იმისა, რომ იგი სრული არ არის, ფრიად საინტერესოა, დასკვნები კი წარმოუდგენლად დაუდევარი, წარმოუდგენლად უგვანოა. ამ დასკვნებზე ჩვენ ცალკე ვილაპარაკებთ *, ახლა კი შევეხოთ თანამედროვე პოლიტიკურ ჭირვარამს, მოსკოვის აჯანყების გაკვეთილებს.

მთავარი ფორმა დეკემბრის მოძრაობისა მოსკოვში მშვიდობიანი გაფიცვა და დემონსტრაციები იყო. მუშათა მასის უდიდესი უმრავლესობა აქტიურად მონაწილეობდა ბრძოლის მხოლოდ ამ ფორმებში. მაგრამ სწორედ დეკემბრის გამოსვლამ მოსკოვში თვალნათლივ დაგვანახვა, რომ საყოველთაო გაფიცვამ, როგორც ბრძოლის დამოუკიდებელმა და მთავარმა ფორმამ, თავისი დრო მოჭამა, რომ მოძრაობა სტიქიური, შეუკავებელი ძალით სცილდება ამ ვიწრო ფარგლებს და წარმოშობს ბრძოლის უმაღლეს ფორმას, აჯანყებას.

მოსკოვის ყველა რევოლუციურ პარტიას, ყველა კავშირს, როდესაც ისინი გაფიცვას აცხადებდნენ, შეგნებული ჰქონდათ და გრძნობდნენ კიდეც, რომ გაფიცვა აუცილებლად გადაიქცეოდა აჯანყებად. 6 დეკემბერს მუშათა დეპუტატების საბჭომ დაადგინა: «ვესწრაფოთ გაფიცვის გადაქცევას შეიარაღებულ

* იხ. ეს ტომი, გვ. 211 — 216. რ ე დ.

აჯანყებად». მაგრამ ნამდვილად არც ერთი ორგანიზაცია მომზადებული არ ყოფილა ამისათვის, მებრძოლი რაზმების კოალიციური საბჭოც [52] კი ლაპარაკობდა (9 დ ე კ ე მ ბ ე რ ს!) აჯანყებაზე, როგორც რაღაც შორეულზე, და ქუჩის ბრძოლა წარმოებდა, უეჭველია მის უნებურად და მისი მონაწილეობის გარეშე. ორგანიზაციები ჩ ა მ ო რ ჩ ნ ე ნ მოძრაობის ზრდასა და გაქანებას.

გაფიცვა აჯანყების სახეს იღებდა, უწინარეს ყოვლისა, იმ ობიექტურ პირობათა გავლენით, რომლებიც ოქტომბრის შემდეგ შეიქმნა. უკვე შეუძლებელი იყო, რომ მთავრობას საყოველთაო გაფიცვა ანაზდეულად დასტეხოდა თავს, მან უკვე დარაზმა სამხედრო მოქმედებისათვის მზადმყოფი კონტრრევოლუცია. როგორც რუსეთის რევოლუციის საერთო მსვლელობამ ოქტომბრის შემდეგ, ისე მოსკოვის ამბების თანამიმდევრობამ დეკემბრის დღეებში გასაოცრად დაადასტურა მარქსის ერთერთი ღრმა დებულება: რევოლუცია წინ მიდის იმით, რომ ჰქმნის დარაზმულსა და მაგარ კონტრრევოლუციას, ე. ი. იძულებულყოფს მტერს მიმართოს თავდაცვის უფრო და უფრო უკიდურეს საშუალებებს და ამრიგად იმუშავებს თავდასხმის უფრო და უფრო მძლავრ საშუალებებს [53].

7 და 8 დეკემბერი: მშვიდობიანი გაფიცვა, მასების მშვიდობიანი დემონსტრაციები. 8 დეკემბერს, საღამოს: აკვარიუმის გარემოცვა. 9 დეკემბერს, დღისით: დრაგუნების მიერ სტრასტნაიას მოედანზე ხალხის ცემა-ტყეპა. საღამოს — ფიდლერის სახლის დარბევა. სულისკვეთება ძლიერდება. ქუჩის მასა, შეუკავშირებელი მასა სავსებით სტიქიურად და გაუბედავად აგებს პირველ ბარიკადებს.

10 დეკემბერი: იწყება არტილერიის დაშენა ბარიკადებისათვის და ქუჩაში — ხალხისათვის. ბარიკადებს უკვე გაბედულად აგებენ, ისიც ცალცალკე კი აღარა, არამედ უეჭველად მასობრივად. მთელი მოსახლეობა ქუჩაშია; მთელი ქალაქის მთავარი ცენტრები ბარიკადების ქსელით იფინება. რამდენიმე დღის განმავლობაში გაჩაღებულია რაზმელების მედგარი პარ-

ტიზანული ბრძოლა ჯარებთან, ბრძოლა, რომელმაც ჯარები მოქანცა და დუბასოვი იძულებული გახადა მაშველი ძალები ეთხოვა. მხოლოდ 15 დეკემბერს გადაძლიეს სავსებით მთავრობის ძალებმა, და 17 დეკემბერს სემიონოველებმა გაანადგურეს პრესნია, აჯანყების უკანასკნელი ბურჯი.

გაფიცვიდან და დემონსტრაციებიდან გადავდივართ ცალკეულ ბარიკადებზე. ცალკეული ბარიკადებიდან — ბარიკადების მასობრივად აგებასა და ჯართან ქუჩის ბრძოლაზე. ორგანიზაციების გვერდის აქცევით მასობრივი პროლეტარული ბრძოლა გაფიცვიდან აჯანყებად იქცა. ეს არის რუსეთის რევოლუციის უდიდესი ისტორიული მონაპოვარი, მიღწეული 1905 წლის დეკემბრით, — მონაპოვარი, შეძენილი, როგორც ყველა წინანდელი მონაპოვარი, უდიდესი მსხვერპლის ფასად. მოძრაობა საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვიდან აყვანილია უმაღლეს საფეხურზე. მან აიძულა რეაქცია წინააღმდეგობა ბ ო ლ ო მ დ ე გაეწია და ამით უაღრესად მოაახლოვა ის მომენტი, როდესაც რევოლუციაც ბოლომდე მივა შეტევის საშუალებათა გამოყენების მხრივ. რეაქცია ბარიკადების, სახლებისა და ქუჩაში მიმავალი ხალხისათვის ზარბაზნების დაშენაზე შორს ვ ე რ ს ა დ წავა. რევოლუციას კიდევა აქვს საშუალება მოსკოველ რაზმელებზე უფრო შორს წავიდეს, ფრიად და ფრიად გაფართოვდეს და გაღრმავდეს. და რევოლუცია დეკემბრის შემდეგ ძალიან წინ წავიდა. რევოლუციური კრიზისის საფუძველი ბევრად უფრო გაფართოვდა, — ახლა მახვილი უფრო ბასრად უნდა გავლესოთ.

ბრძოლის ობიექტური პირობების შეცვლა, რამაც მოითხოვა გაფიცვიდან აჯანყებაზე გადასვლა, პროლეტარიატმა უფრო ადრე იგრძნო, ვიდრე მისმა ხელმძღვანელებმა. როგორც ყოველთვის, პრაქტიკა აქაც წინ უსწრებდა თეორიას. მშვიდობიანი გაფიცვა და დემონსტრაციები ვეღარ აკმაყოფილებდა მუშებს, ისინი კითხულობდნენ: შემდგომ რა? — და მოითხოვდნენ უფრო აქტიურ მოქმედებას. ბარიკადების აგების დირექტივა რაიონებმა მიიღეს დიდი დაგვიანებით, როდესაც ცენტრ-

ში უკვე აგებდნენ ბარიკადებს. მუშათა მასებმა ხელი მოჰკიდეს საქმეს, მაგრამ არ ამით დაკმაყოფილდნენ და კითხულობდნენ: შემდგომ რა? — და აქტიურ მოქმედებას მოითხოვდნენ. ჩვენ, სოციალ-დემოკრატიული პროლეტარიატის ხელმძღვანელები, დეკემბერში იმ სარდალს დავემსგავსენით, რომელმაც თავისი პოლკები ისე ბრიყვულად დააწყო, რომ მისი ჯარის უმეტეს ნაწილს ბრძოლაში აქტიური მონაწილეობა არ მიუღია. მუშათა მასები ეძებდნენ და ვერ პოულობდნენ დირექტივებს აქტიური მასობრივი მოქმედების შესახებ.

ამრიგად, იმაზე ბეცური არა არის რა, როგორც პლეხანოვის შეხედულება, რომელსაც ყველა ოპორტუნისტმა ჩასჭიდა ხელი: არ უნდა დაგეწყოთ უდროო გაფიცვა, «ხელი არ უნდა მოგეკიდათ იარაღისთვისაო». პირიქით, საჭირო იყო უფრო გადაჭრით, ენერგიულად და მეტი შეტევით აგვეღო ხელთ იარაღი, საჭირო იყო გაგვემარტა მასებისათვის, რომ საკმარისი არ იყო მარტოოდენ მშვიდობიანი გაფიცვა, რომ აუცილებელი იყო უშიშარი და ულმობელი შეიარაღებული ბრძოლა. და ახლა ჩვენ, ბოლოს და ბოლოს, აშკარად და ყველას გასაგონად უნდა აღვიაროთ პოლიტიკური გაფიცვების უკმარისობა, უფართოეს მასებში უნდა გავწიოთ აგიტაცია შეიარაღებული აჯანყებისათვის და არ დავფაროთ ეს საკითხი არავითარი «წინასწარი საფეხურებით», არავითარ ბურუსში არ გავხვიოთ იგი. მასებისაგან იმის დამალვა, რომ აუცილებელია თავგამოდებული, სისხლისმღვრელი, გამანადგურებელი ომი, როგორც მომავალი გამოსვლის უშუალო ამოცანა, — ეს იქნება საკუთარი თავისა და ხალხის მოტყუება.

ასეთია დეკემბრის ამბების პირველი გაკვეთილი. მეორე გაკვეთილი შეეხება აჯანყების ხასიათს, მისი წარმოების წესს, ხალხის მხარეზე ჯარის გადმოსვლის პირობებს. ჩვენი პარტიის მემარჯვენე ფრთაში ამ გადმოსვლის შესახებ ფრიად ცალმხრივი შეხედულებაა გავრცელებული. არ შეიძლება თანამედროვე ჯარის წინააღმდეგ ბრძოლა, საჭიროა, რათა ჯარი რევოლუციური გახდესო. რასაკვირველია, თუ რევოლუცია მასობ-

რივი არ გახდება და თვით ჯარსაც არ მოედება იგი, ისე ლაპარაკიც კი შეუძლებელია სერიოზულ ბრძოლაზე. რასაკვირველია, ჯარში მუშაობა აუცილებლად საჭიროა. მაგრამ არ შეიძლება ჯარის ეს გადმოსვლა წარმოვიდგინოთ როგორც უბრალო, ერთეული აქტი, რომელიც შედეგი იქნება, ერთი მხრივ, დარწმუნებისა და, მეორე მხრივ, შეგნებისა. მოსკოვის აჯანყება თვალსაჩინოდ ცხადყოფს ამნაირი შეხედულების შაბლონურობასა და უსიცოცხლობას. ნამდვილად კი ჯარის მერყეობა, რომელიც აუცილებელია ყოველი ჭეშმარიტად სახალხო მოძრაობის დროს, რევოლუციური ბრძოლის გამწვავებისას იწვევს «ნამდვილ» ბ რ ძ ო ლ ა ს ჯ ა რ ი ს ა თ ვ ი ს. მოსკოვის აჯანყება გვიჩვენებს რეაქციისა და რევოლუციის სწორედ უაღრესად თავგამოდებულ, უაღრესად გააფთრებულ ბრძოლას ჯარისათვის. დუბასოვმა თვითონ განაცხადა: მოსკოვის 15 ათასი ჯარისკაციდან მხოლოდ 5 ათასია საიმედოო. მთავრობა აკავებდა მერყეევებს სულ სხვადასხვანაირი, მეტად უკიდურესი ზომებით: მათ არწმუნებდნენ, მათ თავს უქონავდნენ, ქრთამავდნენ საათების, ფულის და სხვ. დარიგებით, მათ არაყით ათრობდნენ, ატყუებდნენ, აშინებდნენ, ყაზარმებში ამწყვდევდნენ, იარაღს ჰყრიდნენ; გამცემლობითა და ძალადობით იტაცებდნენ მათი წრიდან იმ ჯარისკაცებს, რომლებიც ყველაზე არასაიმედოდ მიაჩნდათ. და უნდა ვიქონიოთ ვაჟკაცობა პირდაპირ და აშკარად აღვიაროთ, რომ ამ მხრივ ჩვენ მთავრობის უკან აღმოვჩნდით. ჩვენ ვერ მოვახერხეთ მერყეევი ჯარის გულისათვის ჩვენს განკარგულებაში არსებული ძალები გამოგვეყენებინა ისეთივე აქტიური, თამამი, გაბედული და შეტევითი ბრძოლის გასაჩაღებლად, როგორიც აწარმოვა და ჩაატარა მთავრობამ. ჩვენ ვამზადებთ და კიდევ უფრო შეუპოვრად მოვამზადებთ ჯარის იდეურ «დამუშავებას». მაგრამ ჩვენ საბრალო პედანტები ვიქნებით, თუ დავივიწყებთ, რომ აჯანყების მომენტში საჭიროა აგრეთვე ფიზიკური ბრძოლა ჯარისათვის.

მოსკოვის პროლეტარიატმა დეკემბრის დღეებში ჩვენ მოგვცა ჯარის იდეური «დამუშავების» ჩინებული გაკვეთილე-

ბი, — მაგალითად, 8 დეკემბერს სტრასტნაიას მოედანზე, როდესაც ხალხი გარს შემოერტყა კაზაკებს, გაერია მათში, უძმობილდებოდა მათ და იძულებული გახადა უკან წასულიყვნენ. ანდა 10 დეკემბერს პრესნიაზე, როდესაც ორი მუშა-ქალი, რომელთაც 10 000-იან ხალხში დროშა მიჰქონდათ, კაზაკებს წინ შეეგება ყვირილით: «მოგვკალით! ცოცხალნი დროშას არ დაგითმობთო!». კაზაკები შეყოყმანდნენ და უკან გაქანდნენ, ხალხი კი ყვიროდა: «გაუმარჯოს კაზაკებს!». გაბედულობისა და გმირობის ეს ნიმუშები პროლეტარიატის შეგნებაში სამუდამოდ უნდა აღიბეჭდოს.

მაგრამ აი დუბასოვისაგან ჩვენი ჩამორჩენილობის მაგალითები. დიდ სერპუხოვის ქუჩაზე 9 დეკემბერს მოდიან ჯარისკაცები მარსელიეზის სიმღერით აჯანყებულებთან შესაერთებლად. მუშები მათთან დელეგატებს გზავნიან. მალახოვი კისრის ტეხით თვითონ მიეშურება მათკენ. მუშებმა დაიგვიანეს, მალახოვი დროზე მივიდა. მან ცხარე სიტყვა წარმოთქვა, შეაყოყმანა ჯარისკაცები, დრაგუნები შემოარტყა მათ, ყაზარმებში წაიყვანა და იქ გამოკეტა. მალახოვმა მიასწრო მისვლა, ჩვენ კი ვერ მივასწარით, თუმცა ორ დღეში ჩვენი მოწოდებით აღსდგა 150 000 კაცი, რომელთაც შეეძლოთ და უნდა მოეწყოთ კიდეც ქუჩების პატრულები. მალახოვმა ჯარისკაცებს გარს დრაგუნები შემოარტყა, ჩვენ კი მალახოვებს მეყუმბარეები ვერ შემოვარტყით გარს. ჩვენ შეგვეძლო და კიდეც უნდა გვექნა ეს, და ს.-დ. პრესა უკვე დიდი ხანია (ძველი «ისკრა») აღნიშნავდა, რომ აჯანყების დროს სამოქალაქო და სამხედრო უფროსების ულმობლად მოსპობა ჩვენი მოვალეობაა. ის, რაც დიდ სერპუხოვის ქუჩაზე მოხდა, ჩანს, განმეორდა არსებითად ნესვიჟის ყაზარმებთანაც, კრუტიცკის ყაზარმებთანაც და იმ დროსაც, როდესაც პროლეტარიატი შეეცადა «მოეხსნა» ეკატერინოსლაველები; ეს განმეორდა ალექსანდროვში მესანგრეებთან დელეგატების გაგზავნის დროსაც, მოსკოვისაკენ როსტოვიდან გამოგზავნილი არტილერიის უკან დაბრუნების დროსაც, კოლომნაში მესანგრეთა განიარაღების დროსაც და

ასე შემდეგ. აჯანყების მომენტში ჩვენ ვერ აღმოვჩნდით მერყევი ჯარისათვის ბრძოლის ამოცანის სიმაღლეზე.

დეკემბერმა თვალნათლივ დაადასტურა კიდევ ერთი ღრმა და ოპორტუნისტების მიერ მივიწყებული დებულება მარქსისა, რომელიც წერდა: აჯანყება ხელოვნებაა და ამ ხელოვნების მთავარი წესი — თავგანწირული, გაბედული, უაღრესად გადამწყვეტი შ ე ტ ე ვ ა არისო [54]. ჩვენ საკმარისად ვერ შევითვისეთ ეს ჭეშმარიტება. ჩვენ საკმარისად არც თვითონ შეგვისწავლია და არც მასებისათვის გვისწავლებია ეს ხელოვნება, ეს წესი აუცილებელი შეტევისა. ახლა მთელი ენერგიით უნდა ავინაზღაუროთ დანაკლისი. საკმარისი არ არის დაჯგუფებანი პოლიტიკური ლოზუნგების მიხედვით, აუცილებლად საჭიროა აგრეთვე შეიარაღებული აჯანყების მიხედვით დაჯგუფება. ვინც მისი წინააღმდეგია, ვინც მისთვის არ ემზადება, — იგი დაუნდობლად უნდა განვდევნოთ რევოლუციის მომხრეთა რიგებიდან, განვდევნოთ მისი მოწინააღმდეგეებისაკენ, გამყიდველებისა თუ ლაჩრებისაკენ, ვინაიდან ახლოვდება დღე, როდესაც მოვლენათა ძალა, როდესაც ბრძოლის ვითარება გვაიძულებს ამ ნიშნის მიხედვით დავყოთ მტრები და მეგობრები. ჩვენ უნდა ვქადაგებდეთ არა პასიურობას, არა იმის უბრალო «ლოდინს», თუ როდის «გადმოვა» ჩვენს მხარეს ჯარი, — არა, ჩვენ ყველა ზარი უნდა ვრეკოთ იმის შესახებ, რომ აუცილებლად საჭიროა გაბედული შეტევა და თავდასხმა იარაღით ხელში, აუცილებლად საჭიროა ამასთანავე უფროსების განადგურება და მეტად ენერგიული ბრძოლა მერყევი ჯარისათვის.

მესამე დიდი გაკვეთილი, რაც მოსკოვმა მოგვცა, შეეხება ტაქტიკას და აჯანყებისათვის ძალთა ორგანიზაციას. სამხედრო ტაქტიკა დამოკიდებულია სამხედრო ტექნიკის დონეზე, — ეს ჭეშმარიტება დაღეჭა და პირში ჩაუდო მარქსისტებს ენგელსმა [55]. ახლა სამხედრო ტექნიკა ის როდიღაა, XIX საუკუნის ნახევარში რომ იყო. არტილერიის წინააღმდეგ ხალხის გროვად მოქმედება და ბარიკადების დაცვა რევოლვერებით სიბრიყვე იქნებოდა. და კაუტსკი მართალი იყო, როდესაც

წერდა: დროა მოსკოვის შემდეგ გადავსინჯოთ ენგელსის დასკვნები, მოსკოვმა «ახალი საბარიკადო ტაქტიკა» წამოაყენაო [56]. ეს ტაქტიკა იყო პარტიზანული ომის ტაქტიკა. ორგანიზაცია, რომელსაც ასეთი ტაქტიკა მოითხოვდა, იყო მოძრავი და ფრიად პატარა რაზმები: ათეულები, სამეულები, ორეულებიც კი. ჩვენში ახლა ხშირად შეხვდებით ისეთ სოციალ-დემოკრატებს, რომლებიც ხითხითებენ, როდესაც ლაპარაკი ხუთეულებსა და სამეულებზე ჩამოვარდება. მაგრამ ხითხითი არის მხოლოდ იოლი ხერხი — თვალის დასახუჭად იმ ტაქტიკისა და ორგანიზაციის ახალი საკითხის წინაშე, რასაც თანამედროვე სამხედრო ტექნიკის დროს ქუჩის ბრძოლა წარმოშობს. ჩაუკვირდით, ბატონებო, მოსკოვის აჯანყების ამბავს, და თქვენ მიხვდებით, თუ რა კავშირი აქვთ «ხუთეულებს» «ახალი საბარიკადო ტაქტიკის» საკითხთან.

მოსკოვმა წამოაყენა იგი, მაგრამ სრულიადაც არ განუვითარებია, სრულიადაც არ გაუშლია რაოდენადმე ფართო, ნამდვილად მასობრივი მასშტაბით. რაზმელები ცოტანი იყვნენ, მუშათა მასას არ მიუღია გაბედული თავდასხმების ლოზუნგი და არც გამოუყენებია იგი, პარტიზანული რაზმების ხასიათი მეტად ერთფეროვანი იყო, მათი იარაღი და ხერხები არასაკმარისი იყო, ხალხის ხელმძღვანელობის უნარი მათ თითქმის არ ჰქონდათ განვითარებული. ჩვენ ყველაფერი ეს უნდა ავინაზღაუროთ და ავინაზღაურებთ კიდეც, რისთვისაც უნდა ვისწავლოთ მოსკოვის გამოცდილებით, გავავრცელოთ ეს გამოცდილება მასებში, გამოვიწვიოთ თვით მასების შემოქმედება ამ გამოცდილების შემდგომი განვითარების საქმეში. და ის პარტიზანული ომი, ის მასობრივი ტერორი, რომელიც ახლა, დეკემბრის შემდეგ, წარმოებს თითქმის განუწყვეტლივ მთელ რუსეთში, უეჭველად ხელს შეგვიწყობს ვასწავლოთ მასებს, თუ რანაირია სწორი ტაქტიკა აჯანყების მომენტში. სოციალ-დემოკრატიამ უნდა სცნოს და თავის ტაქტიკად მიიღოს ეს მასობრივი ტერორი, რასაკვირველია, ისე, რომ უხელმძღვანელოს და კონტროლი გაუწიოს მას, დაუმორჩილოს იგი მუშათა

მოძრაობისა და საერთო-რევოლუციური ბრძოლის პირობებსა და ინტერესებს, უკუაგდოს და მოჰკვეთოს დაუნდობლად ამ პარტიზანული ბრძოლის ის «ბოსიაკური» დამახინჯება, რასაც ასე ჩინებულად და ასე დაუნდობლად უსწორდებოდნენ მოსკოველები აჯანყების დღეებში და ლატვიელები — ლატვიელთა ნაქები რესპუბლიკების დღეებში.

სამხედრო ტექნიკა სულ უკანასკნელ დროს კიდევ ახალ ნაბიჯებს სდგამს წინ. იაპონიის ომმა წარმოშვა ხელის გრანატი. იარაღის ფაბრიკამ ბაზარზე გამოუშვა ავტომატური თოფი. ერთსაც და მეორესაც უკვე წარმატებით იყენებენ რუსეთის რევოლუციაში, მაგრამ სრულიადაც ძრასაკმაო რაოდენობით. ჩვენ შეგვიძლია და უნდა გამოვიყენოთ კიდეც ტექნიკის გაუმჯობესება, ვასწავლოთ მუშათა რაზმებს ყუმბარების მასობრივი დამზადება, დავეხმაროთ მათ და ჩვენს მებრძოლ რაზმებს მოიმარაგონ ფეთქებადი ნივთიერება, საფალიები და ავტომატური თოფები. თუ ქალაქის აჯანყებაში მუშათა მასა მონაწილეობას მიიღებს, თუ მტერს მასობრივად დავესხმით თავს, თუ გაბედულად და უნარიანად ვიბრძოლებთ ჯარისათვის, რომელიც კიდევ უფრო მეტად ყოყმანობს სათათბიროს შემდეგ, სვეაბორგისა და კრონშტადტის შემდეგ, თუ საერთო ბრძოლაში სოფლის მონაწილეობას უზრუნველვყოფთ, — სრულიად რუსეთის შემდგომს შეიარაღებულ აჯანყებაში გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება!

მაშ უფრო ფართოდ გავშალოთ ჩვენი მუშაობა და უფრო გაბედულად წამოვაყენოთ ჩვენი ამოცანები, რისთვისაც უნდა შევითვისოთ რუსეთის რევოლუციის დიადი დღეების გაკვეთილები. ჩვენს მუშაობას საფუძვლად უდევს კლასთა ინტერესებისა და ახლანდელ მომენტში მთელი ხალხის განვითარების მოთხოვნილებათა სწორი გათვალისწინება. მეფის ხელისუფლების დამხობისა და რევოლუციური მთავრობის მიერ დამფუძნებელი კრების მოწვევის ლოზუნგის გარშემო ჩვენ ვაჯგუფებთ და მომავალშიც დავაჯგუფებთ პროლეტარიატის, გლეხობისა და ჯარის უფრო და უფრო მეტ ნაწილს. მასების

შეგნების განვითარება, როგორც ყოველთვის, მთელი ჩვენი მუშაობის ბაზად და მთავარ შინაარსად რჩება. მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ ამ ზოგადს, მუდმივსა და ძირითად ამოცანას ისეთი მომენტები, როგორსაც ამჟამად რუსეთი განიცდის, უმატებენ განსაკუთრებულ, სპეციალურ ამოცანებს. ნუ გადავიქცევით პედანტებად და ფილისტერებად, ნუ ავარიდებთ თავს მომენტის ამ განსაკუთრებულ ამოცანებს, ბრძოლის ახლანდელი ფორმების ამ სპეციალურ ამოცანებს ჩვენს მუდმივსა და ყველა პირობებში, ყოველ დროში უცვლელ მოვალეობაზე უშინაარსო მითითებათა საშუალებით.

გვახსოვდეს, რომ ახლოვდება დიადი მასობრივი ბრძოლა. ეს იქნება შეიარაღებული აჯანყება. იგი, შეძლებისამებრ, ერთდროული უნდა იყოს. მასებმა უნდა იცოდნენ, რომ ისინი ებმებიან შეიარაღებულ, სისხლისმღვრელ, თავგანწირულ ბრძოლაში. სიკვდილის არარად ჩაგდება უნდა გავრცელდეს მასებში და ამან უნდა უზრუნველყოს გამარჯვება. მტერზე შეტევა მეტად ენერგიული უნდა იყოს; არა თავდაცვა, არამედ თავდასხმა უნდა გახდეს მასების ლოზუნგად; მტრის ულმობელი განადგურება გადაიქცევა მათ ამოცანად; ბრძოლის ორგანიზაცია მოძრავი და მოქნილი შეიქმნება; ჯარის მერყეევი ელემენტები ჩაბმული იქნებიან აქტიურ ბრძოლაში. შეგნებული პროლეტარიატის პარტიამ თავისი მოვალეობა უნდა შეასრულოს ამ დიად ბრძოლაში.

«პროლეტარი» № 2,
1906 წ. 29 აგვისტო

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

ტაქტიკური მერყეობა

ჩვენ მივიღეთ პლეხანოვის «დნევნიკის» № 6 — თორმეტი გვერდი, დაბეჭდილი ჟენევაში. სასიამოვნოდ გაგვაოცა იმ გარემოებამ, რომ რუსეთის ლიბერალურ-ბურჟუაზიულმა პრესამ ამჯერად თავი შეიკავა, გამონაკლისის სახით, პლეხანოვის შექებისაგან. ალბათ, სათათბიროს გარეკვამ გაჰფანტა ამხ. პლეხანოვის ოპტიმიზმი — ვფიქრობდით ჩვენ, როდესაც ლიბერალურ გაზეთებში ვკითხულობდით «დნევნიკის» № 6 გამოსვლის ცნობებს ჩვეულებრივი თანაგრძნობის ციტატების მოუთავსებლად.

და მართლაც, ამხ. პლეხანოვი «დნევნიკის» № 6-ში სტოვებს მენშევიზმის უკიდურესი მემარჯვენე ფრთის იმ პოზიციას, რომელიც მას ეჭირა (ამხ. რახმეტოვთან ერთად) სათათბიროს დროს. მისთვის სრულიად უცხო დარჩა მენშევიკების მისწრაფება — შ ე ა ს უ ს ტ ო ნ რევოლუციური ლოზუნგი: «დამფუძნებელი კრებისათვის» ასეთი დამატებით: «სათათბიროს მეშვეობით» და «სათათბიროსათვის» და სხვ.. პლეხანოვი სამართლიანად ამტკიცებს, რომ ლოზუნგად შეიძლება წამოვაყენოთ მხოლოდ დამფუძნებელი კრების მოწვევა, და სამართლიანადვე აკრიტიკებს ვიბორგის მანიფესტს ამ ლოზუნგის უქონლობისათვის. პლეხანოვისთვის სრულიად უცხო დარჩა აგრეთვე მენშევიკების მისწრაფება — აუცილებლად დაუკავშირონ სათათბიროს «გამოსვლა», თუნდაც ნაწილობრივი გამოსვლა საერთოს მაგივრად, თუნდაც დაუყოვნებლივი და მოუმზადებელი უფრო ნაგვიანევისა და უფრო მომწიფებუ-

ლის მაგივრად. დასასრულ, პლეხანოვი სოციალ-დემოკრატიის ლოზუნგებს არათუ არ უგუებს კადეტურ ლოზუნგებს, არათუ არ აიგივეებს კადეტებს ბურჟუაზიულ დემოკრატიასთან საერთოდ, არამედ, პირიქით, პირდაპირ და აშკარად აკრიტიკებს კადეტების ორჭოფობას (ამიტომ არის, რომ კადეტების გაზეთები სდუმან პლეხანოვის შესახებ!), ფრიად გადაჭრით უპირისპირებს მ ა თ «მშრომელ» გლეხობას.

ყველაფერი ეს ჩვენ უაღრესად გვახარებს. მაგრამ სამწუხარო ისაა, რომ პლეხანოვს შერჩენია მთელი რიგი ტაქტიკური მიკიბ-მოკიბულობა და ტაქტიკური მერყეობა.

პლეხანოვი სამართლიანად უსაყვედურებს ვიბორგის მოწოდების ავტორებს იმის გამო, რომ ისინი «დასჯერდნენ» მოწოდებას გადასახადების გადახდის უარის თქმაზე და ახალწვეულთა გამოყვანაზე, რომ ისინი ცდილობენ კანონიერების ნიადაგი შეინარჩუნონ. იგი ამბობს, საჭირო იყო თქმა: «ემზადეთ, ვინაიდან დრო ახლოვდება». საჭირო იყო დამფუძნებელი კრების ლოზუნგის წამოყენებაო.

მაგრამ გადასახადების გადახდაზე და სხვ. უარისთქმა ბრძოლის ს ა შ უ ა ლ ე ბ ა ა. დამფუძნებელი კრების მოწვევა ბრძოლის უახლოესი მ ი ზ ა ნ ი ა. როდესაც კადეტებს უსაყვედურებთ მისწრაფებას — დასჯერდნენ მარტოოდენ საშუალებას, საჭიროა მ ი უ თ ი თ ო თ სხვა საშუალებებზე და განიხილოთ მათი გამოყენების პირობები, მათი მნიშვნელობა და სხვ. ამ საკითხის გვერდის ავლა, როგორც ამას სჩადის პლეხანოვი შენიშვნით «კმა არს დღისა ზრუნვა მისი», უმართებულოა. სოციალ-დემოკრატია ვალდებულია უხელმძღვანელოს პროლეტარიატს არა მარტო მართებული ლოზუნგების წამოყენების საქმეში, არამედ ბრძოლის ყველაზე გადამწყვეტ და ყველაზე მიზანშეწონილ ს ა შ უ ა ლ ე ბ ა თ ა ამორჩევის საქმეშიც. რუსეთის რევოლუციის გამოცდილებამ უკვე მოგვცა საკმაოდ ბევრი მასალა იმისა, თუ როგორ იცვლება ბრძოლის ამოცანების გაფართოებასთან, ბრძოლის მონაწილე მასის ზრდასთან ერთად აგრეთვე ბრძოლის საშუალებანი, ხერხები,

მეთოდები, რომელნიც უფრო გაბედულნი, უფრო შეტევითნი ხდებიან. სწორედ ისეთ მომენტში, როგორიც ახლანდელი მომენტია, ჩვენ კი არ უნდა მივჩქმალოთ, არამედ განსაკუთრებული ყურადღებით უნდა შევისწავლოთ საკითხი ბრძოლის სხვადასხვა საშუალებისა, როგორიცაა: პოლიტიკური გაფიცვა, შეიარაღებული აჯანყება და სხვ.. ეს საჭირბოროტო საკითხებია, და მათზე პასუხის გაცემას სამართლიანად მოითხოვენ ჩვენგან მოწინავე მუშები.

როცა პლეხანოვი არჩევს საკითხს, თუ რა დამოკიდებულებაშია სხვადასხვა კლასის ინტერესები დამფ. კრების მოთხოვნასთან, იგი ერთმანეთისაგან განასხვავებს ს ა მ კლასს. (1) პროლეტარიატის შესახებ იგი აღნიშნავს, რომ მისი კლასობრივი ინტერესები სავსებით ემთხვევა საერთო-სახალხო ინტერესებს. (2) «მშრომელი გლეხობის» შესახებ იგი აღნიშნავს იმის შესაძლებლობას, რომ განსაზღვრულ პირობებში მისი ინტერესები დაშორდება საერთო-სახალხო ინტერესებს, მაგრამ ხაზს უსვამს, რომ «მისი კლასობრივი ინტერესი» მოითხოვს დამფ. კრების მოწვევას. (3) «იმ ფენების შესახებ, რომელთა წარმომადგენელია კ.-დ. პარტია», პლეხანოვი აღიარებს, რომ «კლასობრივი ინტერესები» აიძულებს მათ უნდობლად მოეპყრან დამფ. კრების მოწვევას, რომ ეს დაამტკიცებს მათს «შერიგებას» ბატონ სტოლიპინების მოქმედებასთან, მათს შიშს, რომ სრულიად აუნაზღაურებლად დაეკარგებათ მემამულეებს მიწები და სხვ.. და პლეხანოვი აცხადებს: «მე არ მინდა წინასწარმეტყველება ვიკისრო» იმის შესახებ, კლასობრივი ინტერესები დასძლევენ კადეტებში საერთო-სახალხო ინტერესებს, თუ პირიქითაო.

წინასწარმეტყველებენ ხოლმე მომავალს, ხოლო კადეტების მხრივ დამფ. კრების ლოზუნგსა და რევოლუციურ ბრძოლაზე ხელის აღება კი აწმყოა. ამის მიჩქმალვა არათუ უსარგებლოა, არამედ მავნებელიცაა. ხოლო თუ მას არ მივჩქმალავთ, აშკარაა, უნდა აღვიაროთ: «პროლეტარიატი შეგნებულ მშრომელ გლეხობასთან ე რ თ ა დ არასაიმედო და მერყევი

კადეტების წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ». პლეხანოვი პირისპირ მიადგა ამ ტაქტიკურ დირექტივას, რომელიც აუცილებლობით გამომდინარეობს მის მიერ საკითხის ახლანდელი დაყენებიდან.

იგი წერს: «ყველა ის პარტია, რომელნიც მონაწილეობენ ამ მოძრაობაში (დამფ. კრებისათვის ბრძოლაში), დაუყოვნებლივ უნდა შესთანხმებოდნენ ერთმანეთს ამ საქმეში ურთიერთი დახმარებისათვისაო». სწორია! რა პარტიებია ეს პარტიები? ესენი არიან ის პარტიები, რომლებიც კადეტებზე მ ა რ ცხ ნ ი ვ დგანან და რომელთაც უნდა ვუწოდოთ რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის პარტიები (რადგან დამფ. კრების ლოზუნგი რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი ლოზუნგია წინააღმდეგ კადეტების ოპოზიციური და «ლ ო ი ა ლ უ რ ი» ლოზუნგისა: «რაც შეიძლება მალე ახალი სათათბირო»). მაშ ასე, პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს პ ა რ ტ ი ი ს ს ა ბ რ ძ ო ლ ო შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი დ ე მ ო კ რ ა ტ ი ი ს პ ა რ ტ ი ე ბ თ ა ნ.

ეს სწორედ ის არის, რასაც ჩვენ ყოველთვის დაჟინებით მოვითხოვდით. დაგვრჩენია მხოლოდ ვისურვოთ, რომ პლეხანოვმა ამიერიდან თანამიმდევრად გაატაროს ეს თვალსაზრისი. რათა თ ა ნ ა მ ი მ დ ე ვ რ ა დ გავატაროთ იგი, იძულებული ვიქნებით ასეთი საბრძოლო შეთანხმების პ ი რ ო ბ ა დ წამოვაყენოთ არა მარტო რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ-დემოკრატიული ლოზუნგის (დამფ. კრება) აღიარება, არამედ აგრეთვე აღიარება ბრძოლის იმ რევოლუციური საშუალებისა, რომლისათვისაც ჩვენი მოძრაობა უკვე მომწიფებულია და რომელიც მან აუცილებლად უნდა გამოიყენოს დამფ. კრებისათვის ბრძოლაში, ე. ი. აღიარება ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო-ს ა ხ ა ლ ხ ო ა ჯ ა ნ ყ ე ბ ი ს ა. შემდეგ, რათა ნამდვილად განვმარტოთ დამფ. კრების ლოზუნგი და არა მარტო გავიმეოროთ იგი, საჭირო იქნება დავსვათ დ რ ო ე ბ ი თ ი რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი მ თ ა ვ რ ო ბ ი ს ს ა კ ი თ ხ ი ც. ამ საკითხის დაუსმელად პლეხანოვი სწორად ვერ გამიჯნავს «მშრომელი» გლეხობის ინტერესებს «კადეტთა პარტიის მიერ წარმოდგენილი ფენების» კლასობრივი ინტერე-

სებისაგან. ამ საკითხის დაუსმელად პლეხანოვი ვეებერთელა ხარვეზს დასტოვებს ჩვენს პროპაგანდასა და აგიტაციაში, ვინაიდან ყოველ აგიტატორს შეეკითხებიან: ვინ უნდა მოიწვიოს, მუშათა პარტიის აზრით, დამფ. კრება?

აჯანყების საკითხს, ისევე როგორც საზოგადოდ ბრძოლის საშუალებათა საკითხს, პლეხანოვი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სრულიად უსაფუძვლოდ უვლის გვერდს. იგი წერს: «ამჟამად აჯანყება შეიძლება იყოს მხოლოდ ხალხის აღშფოთების აფეთქება, მხოლოდ ამბოხება, რომელსაც იოლად ჩაახშობდნენ ხელისუფალნი; მაგრამ ჩვენ არ გვინდა ამბოხებანი და აფეთქებანი; ჩვენ გვინდა ძლევამოსილი რევოლუცია».

ეს იმას უდრის, რომ ნოგის 1905 წ. აგვისტოში ეთქვა: «ჩვენ გვინდა ა რ ა პორტ-არტურის იერიშები, ა რ ა მ ე დ პორტ-არტურის აღებაო». შეიძლება დაუპირისპიროთ უდროო იერიშები დროიანს, მოუმზადებელი — მომზადებულს, მაგრამ არ შეიძლება იერიშები საერთოდ დავუპირისპიროთ სიმაგრის «აღებას». ეს შეცდომაა. ეს ნიშნავს სიმაგრის აღების საშუალებათა საკითხის გვერდის ავლას. და სწორედ ამ შეცდომას სჩადის ამხანაგი პლეხანოვი.

იგი ან ბოლომდე არ ამბობს სათქმელს, ან საკითხი თვითონ მისთვისაც ნათელი არ არის.

გაფიცვა-დემონსტრაციის განსხვავება გაფიცვა-აჯანყებისაგან ნათელია: «პროტესტის ნაწილობრივი მასობრივი გამოხატვის» განსხვავება საერთო და სრულიად რუსეთის გამოსვლისაგან — ნათელია. ნათელია აგრეთვე განსხვავება ნაწილობრივი და ადგილობრივი აჯანყებებისა საერთო, სრულიად რუსეთის, აჯანყებისაგან, რომელსაც მხარს დაუჭერენ ყ ვ ე ლ ა რევოლუციური პარტია და ელემენტი. თუ თქვენ დემონსტრაციებს, ნაწილობრივ პროტესტებს, ნაწილობრივ აჯანყებებს «აფეთქებებს» უწოდებთ, თქვენი აზრიც აგრეთვე ნათელი იქნება, და თქვენი პროტესტიც «აფეთქების მოწყობის» წინააღმდეგ სავსებით სამართლიანი იქნება.

მაგრამ იმის თქმა: «ჩვენ გვესაჭიროება ა რ ა აფეთქებანი, ა რ ა მ ე დ ძლევამოსილი რევოლუციაო», არაფრის თქმას ნიშნავს. კიდევ უარესი: ეს ნიშნავს სულ უბრალო რამეს დიდმნიშვნელოვანი სახე მისცე. ეს ნიშნავს გ ა ა ბ რ უ ო მკითხველი ეფექტური, მაგრამ ცარიელი ფრაზის რახარუხით. მეტად ძნელია გამონახოთ ჭკუათამყოფელი ორი რევოლუციონერი, რომელნიც ა რ დ ა ე თ ა ნ ხ მ ე ბ ი ა ნ ერთმანეთს იმაში, რომ ჩვენ გვესაჭიროება «არა აფეთქებანი, არამედ ძლევამოსილი რევოლუცია». მაგრამ ამავე დროს არც ისე ადვილია გამონახოთ ორი, სავსებით საღად მოაზროვნე რევოლუციონერი, რომელნიც ერთმანეთს დ ა ე თ ა ნ ხ მ ე ბ ი ა ნ იმაში, თუ ს ა ხ ე ლ დ ო ბ რ ბრძოლის რა საშუალება და სახელდობრ რა მ ო მ ე ნ ტ ი იქნება არა «აფეთქება», არამედ სწორი ნ ა ბ ი ჯ ი ძლევამოსილი რევოლუციისაკენ. როცა პლეხანოვი ეფექტიანად იმეორებს იმას, რაშიც ეჭვი არავის ეპარება, და გვერდს უვლის იმას, რაც საკითხის ნამდვილ სიძნელეს შეიცავს, იგი არც თუ ძალიან წინ მიდის.

დასასრულ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ პლეხანოვი, რა თქმა უნდა, ცდილობს გზადაგზა «უჩქმიტოს» ბოლშევიკებს: ისინი ბლანკისტებიც არიან, რადგან სათათბიროს ბოიკოტი გამოუცხადეს, «თავქარიანებიც», რადგან თითქოს არ იცოდნენ (ამხ. პლეხანოვის დარიგებამდე «დნევნიკის» № 6-ში), რომ საჭიროა გაძლიერებული მუშაობა ჯარშიო. ამ ჩქმეტის მხოლოდ აღნიშვნაა საკმარისი, — მასზე პასუხის გაცემა არა ღირს. თუ ამხ. პლეხანოვი ფიქრობს, რომ ა ხ ლ ა ნ დ ე ლ ი თავისი ტაქტიკური პოზიციით ოგი აძლიერებს ჩვენს პარტიაში მენშევიკებს და ასუსტებს ბოლშევიკებს, ჩვენ არაფერი გვაქვს იმის საწინააღმდეგო, რომ იგი ამნაირ საამურ შეცდომაში დავტოვოთ.

«პროლეტარი» № 2,
1906 წ. 29 აგვისტო

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

მთავრობის პოლიტიკა და მომავალი ბრძოლა

გერმანელი სოციალ-დემოკრატების ერთერთმა იუმორისტულმა გაზეთმა წლინახევრის წინათ მოათავსა ნიკოლოზ II კარიკატურა. მეფე დახატული იყო სამხედრო ფორმაში მოცინარი სახით. ის პურის ნატეხით აღიზიანებდა თმაგაბურძგნილ გლეხს, — ხან თითქმის პირში ჩაუდებდა ამ ნატეხს, ხან უკან იტაცებდა. გაბურძგნილი გლეხის სახე ხან კმაყოფილების ღიმილით ნათლდებოდა, ხან კი გაბოროტებით იჭმუხნებოდა, როდესაც პურის ნატეხს, რომელიც ეს-ეს არის პირში უნდა ჩავარდნოდა, უკან სტაცებდნენ. ამ ნატეხს ეწერა: «კონსტიტუცია». უკანასკნელი «სცენა» გამოხატავდა გლეხს, რომელსაც მთელი ძალღონე დაეძაბა, რათა პურის ნატეხი მოეკბიჩა, მაგრამ — თავი მოკბიჩა ნიკოლოზ რომანოვს.

მოსწრებული კარიკატურაა. თვითმპყრობელობა, მართლაც, აი უკვე რამდენიმე წელიწადია «აღიზიანებს» რუს ხალხს კონსტიტუციით, აი ეს-ეს არის უნდა მისცენ მას «თითქმის სავსებით» ეს კონსტიტუცია, და მერე უცებ ბევრად უფრო მწარე სახით დაამყარებენ მთელ ძველ თვითნებობას, ყოველგვარ პოლიციურ აღვირახსნილობასა და უკანონობას. განა დიდი ხანია, რაც ქვეყნად არსებულთაგან თითქმის ყველაზე დემოკრატიული «პარლამენტი» გვქონდა? განა დიდი ხანია, რაც მთელი პრესა მსჯელობდა კადეტურ სამინისტროზე, როგორც ფრიად ახლობელსა და რეალურ შესაძლებლობაზე? ძნელი დასაჯერებელია, რომ ყოველივე ეს იყო სულ ორი-სამი თვის წინათ. ორიოდე ბრძანებულება, მანიფესტები, განკარ-

გულებანი, — და ძველი თვითმპყრობელობა მეფობს; ყველა-საგან დაგმობილი, შერცხვენილი და საჯაროდ მიფურთხებული ერთი მუჭა ხაზინის ქურდები, ჯალათები და დამრბევნი კვლავ მთლად აბუჩად იგდებენ ხალხს, კვლავ არბევენ, ძარცვავენ, სცემენ, პირში ბურთსა სჩრიან და ჰაერს აუტანელი ბატონ-ყმური სიმყრალით სწამლავენ.

საყოველთაო-სახალხო რევოლუციური ბრძოლის განვითა-რების თვალსაზრისით ხანმოკლე «თავისუფლების დღეების» ეს სწრაფი შეცვლა გაცოფებული რეაქციის ხანგრძლივი თვეე-ბით აიხსნება ძალთა იმ წონასწორობით, რომელიც დამყარდა მებრძოლთა შორის გასული წლის შემოდგომიდან. თვით-მპყრობელობას უ კ ვ ე ა ღ ა რ ძალუძს ხალხის გამგებლობა, ხალხს ჯ ე რ კ ი დ ე ვ ა რ ძალუძს ნამდვილად დაამხოს დამრ-ბევთა მთავრობა. ორივე მეომარი მხარე ერთმანეთის წინა-აღმდეგ დგას მსგავსად ორი მტრული არმიისა; ხან დროებით ისვენებენ ბრძოლისაგან და ძალღონეს იკრებენ, ხან საძულველ მტერთან ახალ ბრძოლას აჩაღებენ.

კადეტური და ნოვოე ვრემიასებური პრესის პუბლიცისტე-ბი, არსებითად, ერთმანეთს ეთანხმებიან ამ მერყეობათა მ ა-მ ო რ ა ლ ი ზ ე ბ ე ლ შეფასებაში. ერთნიც და მეორენიც გმობენ, დასტირიან მთავრობის მერყეობას, გაუბედაობას, ქანა-ობას და მოუწოდებენ მას «სიმტკიცისაკენ» — ერთნი რეპრე-სიების სიმტკიცისაკენ, მეორენი კი — დაპირებული კონსტი-ტუციის განხორციელების სიმტკიცისაკენ. როგორც პირ-ველთა, ისე მეორეთათვის უცხოა გაგება კლასობრივი ბრძო-ლისა, რომელიც სცვლის საზოგადოებრივ ძალთა ნამდვილ თანაფარდობას.

და ამ ბრძოლის განვითარების მსვლელობაში აუცილებე-ლია შეგნებულობისა და დარაზმულობის ზრდა რევოლუციის რიგებშიც და რეაქციის რიგებშიც, აუცილებელია ბრძოლის სულ უფრო მწვავე და ულმობელ ფორმებზე გადასვლა. «თა-ვისუფლების დღეებიდან» «დახვრეტათა თვეებზე» სწრაფი გადასვლები ძალიან შეგუებულია იმასთან, რომ შემცირდეს

პასიურთა და გულგრილთა რიცხვი, რომ ბრძოლაში ჩაებან ახალ-ახალი ფენები და ელემენტები, განვითარდეს მასების შეგნება იმით, რომ განსაკუთრებული რელიეფობით ვუჩვენოთ მათ თვითმპყრობელობის ხან ერთი, ხან მეორე მხარე სრულიად რუსეთის სხვადასხვა ექსპერიმენტის მაგალითის მიხედვით. რაც უფრო სწრაფი და უფრო მძაფრი იქნება ეს გადასვლები, მით უფრო მალე მივაღწევთ იმ უკანასკნელ შედეგს, რომელსაც აუცილებლად განსაზღვრავს საზოგადოებრივ ძალთა სიჭარბე თავისუფლების მხარეზე.

და ამიტომ შეგნებულ მუშებს შეუძლიათ სავსებით დამშვიდებით უცქირონ რეპრესიათა გამოყენების საქმეში თვითმპყრობელობის საოცრად სწრაფ «პროგრესს». განაგრძეთ ამგვარადვე, ბატონო რომანოვებო, ტრეპოვებო, იგნატიევებო და სტოლიპინებო! რაც უფრო გულმოდგინედ ივლით ამ გზით, მით უფრო მალე ამოსწურავთ ბოლომდე თქვენს უკანასკნელ რეზერვებს. თქვენ იმუქრებით სამხედრო დიქტატურის, სამხედრო წესების გამოცხადებით მთელ რუსეთში? მაგრამ ამნაირი სამხედრო წესებით, უეჭველია, ყველაზე მეტად რევოლუცია მოიგებს. სამხედრო დიქტატურა და სამხედრო წესები იძულებულს გაგხდით მობილიზაცია უყოთ ჯარის ახალ მასებს, ხოლო უკვე ამჟამად ყველაზე «საიმედო» ჯარების, კაზაკთა ჯარების, განმეორებითმა მობილიზაციამაც კი კაზაკების გაპარტახებულ სტანიცებში მღელვარების ზრდა გამოიწვია, ამ ჯარის «არასაიმედობა» გააძლიერა. სამხედრო წესებს ფული უნდა, ხოლო თვითმპყრობელობის ფინანსები უკვე ახლაც გამოუვალ მდგომარეობაშია. სამხედრო წესები იწვევს ჯარისკაცებში აგიტაციის გაძლიერებას და მოსახლეობას ავიწყებს შიშს რეპრესიათა უაღრესად «საშინელი» ფორმების წინაშე; პოლონეთი და ბალტიისპირა მხარე მჭევრმეტყველად მოწმობენ ამას.

ჩვენ ვთქვით, რომ რეაქცია სამხედრო დიქტატურით «იმუქრება». ეს, ნამდვილად რომ ითქვას, სწორი არ არის, რადგან ახლა, მას შემდეგ, რაც ყველა გუბერნიაში და «განაპირა მხარეებში», ე. ი. 87 გუბერნიიდან 82-ში შემოღებულია სამხე-

დრო-საველე სასამართლოები, სასაცილოცაა ლაპარაკი სამხედრო დიქტატურაზე, როგორც მომავალზე. ეს უკვე აწმყოა, და სახელწოდების შეცვლა, უფრო «საშინელი» სიტყვის ხმარება («საგანგებო დაცვის» მაგივრად «დიქტატურა»), ერთი დიქტატორის დანიშვნა სრულიად ვერაფერს მიუმატებს მასობრივ დაპატიმრებას, გაუსამართლებლად გადასახლებას, დამსჯელ ექსპედიციებს, ქუჩაში ჩხრეკას, ოფიცრების განაჩენით დახვრეტას. რუსეთში უკვე ახლა მეფობს სამხედრო-პოლიციური დიქტატურა. რეპრესიები უკვე ახლა იქამდე მივიდა, რომ რევოლუციონერები, მიჩვეულნი ამნაირ «მოპყრობას» პლევეს დროიდან, ამ რეპრესიათაგან ზარალობენ შედარებით ნაკლებად, ხოლო მთელი სიმძიმე ამ რეპრესიებისა თავს ატყდება «მშვიდობიან» მოსახლეობას, რომლის «აგიტირებასაც» ბატონი სტოლიპინები ფრიად მოსაწონი წარმატებით ეწევიან.

ზამთრის რეპრესიები მოჰყვა ნამდვილ რევოლუციურ აჯანყებას, რომელსაც არ თანაუგრძნობდა ლიბერალურ-მონარქისტული ბურჟუაზია; მიუხედავად ამისა, ამ რეპრესიებმა შეამზადეს სავსებით ოპოზიციური სათათბირო, რომლისგანაც ყველაზე მეტად რევოლუციურმა ელემენტებმა ისარგებლეს. შემოდგომის რეპრესიები მოჰყვა ლეგალური «კონსტიტუციონალიზმის» ხანას. შეუძლებელია, რომ მათ შეამზადონ სათათბიროს მ ხ ო ლ ო დ უფრო მემარცხენე შემადგენლობა.

დამრბევთა ბრბო რეპრესიების უძლურებას გრძნობს და დახმარების ძებნაში აქეთ-იქით ეხეთქება. ერთი მხრივ, ჩაიფუშა ოქტიაბრისტებთან გარიგების ცდა. მეორე მხრივ, პობედონოსცევი და კომპ. ამზადებენ ყოველგვარი «კონსტიტუციის» სრულ გაუქმებას. ერთი მხრივ, იხსნება უნივერსიტეტები, და მოყიდული პრესა გოდებს მტკიცე ლიბერალიზმის აუცილებლობაზე. მეორე მხრივ, კრძალავენ კადეტთა პარტიის ყრილობასაც კი (სტოლიპინები ამით კადეტებს ძალიან ეხმარებიან!), დ სდევნიან პრესას ისე, რომ დურნოვო არ სდევნიდა ასე. ერთი მხრივ, სამხედრო-საველე სასამართლოები. მეორე მხრივ,

ფართოდ მოფიქრებული ცდა სოფლის ბურჟუაზიასთან გარიგებისა[57].

მთავრობა გრძნობს, რომ მისი ერთადერთი ხსნაა — განამტკიცოს სოფლის გლეხური ბურჟუაზია, თემის შიგნით, რათა მას დაეყრდნოს გლეხთა მასის წინააღმდეგ. მაგრამ იმ მიზნისაკენ, რომლისკენაც გუჩკოვები წავიდოდნენ ჭკვიანად და ფრთხილად, რომლისკენაც კადეტები მოხერხებულად და მარჯვედ მიიპარებიან, პოლიციელი დერჟიმორდები ისე უხეშად, სულელურად და უშნოდ მიემართებიან, რომ მთელი მათი «კამპანიის» ჩაფუშვა ყველაზე უფრო მოსალოდნელია. გლეხური ბურჟუაზიის ელემენტები მცირერიცხოვანნი, მაგრამ ეკონომიურად ძალიან ძლიერნი არიან სოფლად. მემამულეთა და სხვა მიწების გამოყიდვა კადეტების აგრარული რეფორმის ტიპის მიხედვით თავზე ქონს მოუსვამდა მ თ ე ლ გლეხობას და ჩინებულად მიაღწევდა იმ მიზანს, რომლისკენაც დათვურად «ლაწა-ლუწით» მიიწევს თვითმპყრობელობა, სახელდობრ: ფრიად განამტკიცებდა გლეხურ ბურჟუაზიას და «წესრიგის» ბურჯად გახდიდა მას.

მაგრამ რომანოვები, ტრეპოვები, იგნატიევები და სტოლიპინები იმდენად ბრიყვნი არიან, რომ ამას ვერ მიხვდებიან. სათათბიროში მათ უხეში უარით უპასუხეს გლეხებს მიწის თაობაზე, ახლა კი მოხელეთა საშუალებით ჰ ყ ი დ ი ა ნ საუფლისწულო და სახაზინო მიწებს. მოჰყვება თუ არა ამას ა ხ ლ ა ნ დ ე ლ ი მთავრობის მხარეზე სოფლის ბურჟუაზიის გავლენიანი ფენების ნამდვილი გადასვლა, ეს დიდი საკითხია, ვინაიდან მოხელეთა ხროვა ისევე გააჭიანურებს საქმეს, ისევე განაგრძობს ძარცვას და ქრთამების აღებას, როგორც ამას რომანოვები და მათი ბრბო მუდამ სჩადიოდნენ. ხოლო გლეხთა მასას საუფლისწულო და სახაზინო მიწების გამოყიდვის ამბავი კიდევ უფრო მეტად რომ «წაუკიდებს ცეცხლს», ეს ეჭვს გარეშეა. ამ მიწების გაყიდვა უმრავლეს შემთხვევაში იქნება გლეხთა სასყიდლის გ ა დ ი დ ე ბ ა, რადგან საიჯარო ფასი გამოსაყიდ გადასახდელად გადაიქცევა. ხოლო მიწაზე გლეხთა სასყიდლის

გადიდება, — ეს არის ყველაზე უკეთესი რამ, რის გამოგონებაც კი შეეძლო მთავრობას მის წინააღმდეგ ჩვენი აგიტაციის გასაადვილებლად. ეს ჩინებული საშუალებაა იმისა, რომ გლეხები კიდევ უფრო მეტად გააბოროტონ და რომ მათ მხარი დაუჭირონ ჩ ვ ე ნ ს ლოზუნგს: სრული უარყოფა მიწის ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი სასყიდელისა, მ თ ე ლ ი მიწა რევოლუციის გამარჯვების შემთხვევაში გლეხობის ხელში უნდა გადავიდეს.

გლეხურ ბურჟუაზიასთან ლაქუცი მთავრობამ ასე უხეიროდ მოაწყო ნაწილობრივ იმ სიბრიყვის გამო, რომელიც ყოველ პოლიციურ მთავრობას მოსდგამს, ნაწილობრივ იმის გამო, რომ მას ფული უკიდურესად ესაჭიროება. მისი ფინანსები მეტისმეტად ცუდ მდგომარეობაშია. მოსალოდნელია კრახი. საზღვარგარეთ ფულს არ იძლევიან. საშინაო სესხს გასავალი არა აქვს. იძულებული ხდებიან ძალდატანებით და ფ ა რ უ ლ ა დ მოათავსონ სესხი შემნახველი სალაროების კაპიტალში, — ფ ა რ უ ლ ა დ, ვინაიდან შემნახველი სალაროების მეანაბრენი ამჟამად ყველაზე ნაკლებად არიან განწყობილნი შეიყიდონ სახელმწიფო რენტა. თვითმპყრობელობის ლაქიები უკვე იწყებენ სუნის აღებას, რომ გარდუვალია ოქროს ვალუტის კრახი და გადასვლა მარად და მარად ქაღალდის ფულის განუსაზღვრელ გამოშვებაზე.

განაგრძეთ ასევე, ბატონო სტოლიპინებო! თქვენ კარგად მუშაობთ ჩვენთვის! მოსახლეობას თქვენ უკეთ აღელვებთ, ვიდრე ჩვენ ამას შევძლებდით. თქვენ რეპრესიები ბოლომდე მიიყვანეთ და ამით თვალნათლივ ცხადყავით ყველასათვის, რომ აუცილებელია ბოლომდე იქნას მიყვანილი საბრძოლო რევოლუციური გამოსვლაც.

«პროლეტარი» № 3,
1906 წ. 8 სექტემბერი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

ხელები შორს!

წიგნი: «მოსკოვი 1905 წ. დეკემბერში» მიძღვნილია იმ ამბებისადმი, რომლებსაც რუსეთის რევოლუციის ისტორიაში უდიდესი მნიშვნელობა აქვთ. მოსკოვის აჯანყებიდან გამომდინარე დადებითი დასკვნების მთავარი მხარეები წინა ნომერში გავამუქეთ *. ამ შენიშვნაში ჩვენ შევჩერდებით ამ მნიშვნელოვანი, მაგრამ უხეიროდ შესრულებული ნაშრომის იმ მხარეებზე, რომელნიც განსაკუთრებით ახლო ეხებიან მოსკოველ სოციალ-დემოკრატებს.

წიგნის «შემდგენლები» წინასიტყვაობაში იუწყებიან: ჩვენ ვსარგებლობდით ს.-დ. ორგანიზაციების მასალებით, მაგრამ ამ ორგანიზაციებს, «როგორც ასეთებს, არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ ამ ნაშრომთანაო». თავისთავად გასაგებია, რომ ს.-დ. ორგანიზაციების მიერ მასალების ასეთი მიწოდება ისეთი პირებისათვის, რომელნიც პასუხისმგებელნი არ არიან ამ ორგანიზაციათა წინაშე, უაღრესად არანორმალური მოვლენაა. მუშათა პარტიის ორგანიზაციები ახლა, უეჭველია, უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნენ იმის გამო, რომ მათი მასალები დაუდევრად დაამუშავეს და უხამსობათა თაიგულით «შეამკეს». მოსკოვის ს.-დ.-ების ყ ვ ე ლ ა ორგანიზაციამ და უწინარეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, ხელმძღვანელმა ორგანიზაციამ მათ შორის, მოსკოვის კომიტეტმა, ჩვენი აზრით, უნდა განიხილონ ეს საქმე და მიიღონ ზომები, რომ ხსენებული არანორმალობა აღარ განმეორდეს.

აი მრავალთაგან ერთი ნიმუში იმისა, თუ წიგნის უსახელო შემდგენელნი როგორ «ამუშავებენ» ს.-დ. ორგანიზაციებისა-

* იხ. ეს ტომი, გვ. 189-198. რ ე დ.

გან მიღებულ მასალებს. ლაპარაკია რევოლუციური ორგანიზაციების როლზე მოსკოვის ამბებში და კერძოდ რსდმპ მოსკოვის კომიტეტთან არსებული მებრძოლი ორგანიზაციის მოწოდებაზე, რომელიც დაიბეჭდა 11 დეკემბერს «იზვესტია სოვეტა რაბოჩიხ დეპუტატოვ»-ის № 5-ში [58]. შემდგენლები სრულებით არ გვაცნობენ ამ «იზვესტიას» მთლიან შინაარსსა და ხასიათს და ამნაირი კრიტიკით ავარჯიშებენ თავის ღრმააზრიანობას. მათ ციტატი მოჰყავთ № 5-დან: «ბრძოლა სავსებით გაჩაღებულია. მრავალი საათის განმავლობაში, მოსკოვის ქუჩებში წარმოებს მთელი რიგი სისხლისმღვრელი ბრძოლები აჯანყებული ხალხისა მეფის ჯარებთან». შემდგენლები «აკრიტიკებენ»: «ჩვენ ვიცით, რომ მოსკოვის ქუჩებში ხდებოდა მხოლოდ შეტაკებანი ჯარებისა რაზმელების მცირერიცხოვან გუნდებთანაო». და ისინი ყალბი პათოსით ილაშქრებენ «ერთი მუჭა შეიარაღებულ პირთა ბრძოლით მასობრივი ბრძოლის შეცვლის» (sic! *) წინააღმდეგ და გაიძახიან: «სადღა უნდა ყოფილიყვნენ მასები, რით უნდა გამოხატულიყო მათი აქტიურობა?» და სხვ., და ა. შ.

რა არის ეს?? ნუთუ «კრიტიკის» ამგვარი ხერხებით საკუთარი ღრმააზრიანობის გამოჩენის ამ ჭაპანწყვეტას შეიძლება მეცნიერული ანალიზი ვუწოდოთ?? ერთი ჩაუფიქრდით: სერიოზულ ისტორიულ ნაშრომში, რევოლუციურ ორგანიზაციათა როლის სპეციალურ თავში ავტორები ცდილობენ ხელი ჩასჭიდონ იმას, რომ 11 დეკემბერს, ე. ი. კრიზისამდე რამდენიმე დღის წინ, ბრძოლის ახალი ხერხების დასაწყისშივე მუშათა დეპუტატების საბჭომ გაჰბედა ლაპარაკი «აჯანყებულ ხალხზე»! ალბათ, მას უნდა ელაპარაკნა «რაზმელების მცირერიცხოვან გუნდებზე» ღრმააზროვანი შემწყნარებლობის გამომეტყველებით და არა მოეწოდებინა ხალხისა და მასებისათვის — მხარი დაეჭირათ დაწყებული ბრძოლისათვის? აბა როგორ არ უნდა ვუწოდოთ საძაგლობა ამ ჭაპანწყვეტას,

* — ასე! რედ.

დოქტრინულად «ჭკუის ძალის დატანებას», ამ სიტყვიერ კილოების გამობმას, როდესაც იმავე «შემდგენლებს» თქვენ უპოვნით წიგნში მ თ ე ლ რ ი გ ადგილებს, სადაც ლაპარაკი ხალხზე საზოგადოდ, იმაზე, რომ «მთელი მოსახლეობა» ქუჩაში გამოვიდაო? გაიგეთ, საცოდავო ადამიანებო, რომ 11 დეკემბერს მოსკოვის რევოლუციურ ორგანიზაციაში ყოფნა დაჯანყებულ ხალხზე ა რ ა ფ რ ი ს თ ქ მ ა შეეძლოთ მხოლოდ შავრაზმელებს ან მთლად გამოფიტული სულის პატრონ პედანტებს, მსგავსად პოლაკისა ლეონიდ ანდრეევის მოთხრობაში «ვარსკვლავებისაკენ»!

განვაგრძოთ. მებრძოლი ორგანიზაციის მოწოდების გამო, რომელიც «იზვესტიას» იმავე № 5-ში იყო დაბეჭდილი, შემდგენლები ხითხითებენ: «3—4 კაცისაგან შემდგარ რაზმებს, მოწოდების ავტორთა აზრით, უნდა ეჩუქებინათ (!) ხალხისათვის მოძალადეთა საუკუნებრივი ბატონობისაგან განთავისუფლებული დედაქალაქი». «მებრძოლმა ორგანიზაციამ გადაწყვიტა, რომ მასების მოქმედება საჭირო არ არისო».

მივმართოთ მოწოდებას. შემდგენლებს ეს მოწოდება დაუბეჭდიათ ა რ ა მ თ ლ ა დ, არამედ მხოლოდ ამონაწერები. მაგრამ თვით ამ «მკვლევართა» მიერ ამორჩეულ ამონაწერებშიც ვკითხულობთ მებრძოლი ორგანიზაციის პ ი რ დ ა პ ი რ ს მოწოდებას: «დ ა ე ს რ ა ზ მ ე ბ ი რ ა ც შ ე ი ძ ლ ე ბ ა მ ე ტ ი ი ყ ო ს». ამრიგად, ხალხისადმი რაღაცის «ჩუქების» აზრს, იმას, რომ «მასების მოქმედება ს ა ჭ ი რ ო ა რ ა რ ი ს», მიაწერენ იმ ადამიანებს, რომელნიც შეიარაღებული ბრძოლის პირველსავე დღეს მოუწოდებენ «რაც შეიძლება მეტი» მუშაჩაეწეროს მებრძოლ რაზმებშიო...

რა არის ეს? ლიტერატურული დაუდევრობა თუ საჯირითო ლიტერატურა?

ავტორები ოდნავადაც არ ცდილობენ გაარკვიონ საკითხი, თუ რა კავშირი აქვს სამხედრო ორგანიზაციას სამხედრო ტექნიკასთან, რანაირია როლი უშუალოდ-შეიარაღებული ბრძო-

ლისა და დამხმარე ბრძოლისა მათს ურთიერთობაში. ისინი არ ცდილობენ წარსულს გადაავლონ თვალი; მათ ავიწყდებათ, რომ რუსეთში საყოველთაო გაფიცვებიც და დემონსტრაციებიც იწყებოდა მონაწილეთა ძალიან მცირეოდენი, ახლანდელი საზომით, სულ უმნიშვნელო რიცხვით. ნატამალიც კი არ არის სერიოზული ისტორიული შესწავლისა, არის მხოლოდ გამოხდომა, რაც პირდაპირ ზიზღის გრძნობას იწვევს. მებრძოლი ორგანიზაციის მოწოდება, მისი აზრის დამახინჯების მიზნით, მოყვანილია მხოლოდ ნაწყვეტებად 145-ე გვერდზე; მხოლოდ შემდგომ გადმოცემაში, გაკვრით, აღნიშნულია, რომ იგივე მოწოდება «წინადადებას იძლევა დაინდონ ქვეითი ჯარისკაცები» (გვ. 154), ე. ი. პირდაპირ ანგარიშს უწევს მასების ფსიქოლოგიას, პირდაპირ განასხვავებს შავრაზმულ ჯარს მერყევი ჯარისაგან. სამაგიეროდ ოქტიაბრისტების მოწოდება, რომელსაც მოსკოვის აჯანყების შესწავლასთან სრულიად არავითარი დამოკიდებულება არა აქვს, მთლად არის გადმობეჭდილი!

ს.-დ. ორგანიზაციებს მასალები მიუნდვიათ ისეთი პირებისათვის, რომელნიც სრულად ბეჭდავენ ოქტიაბრისტთა მოწოდებას და ნაკუწებს ჰგლეჯენ მუშათა დეპუტატების საბჭოს მებრძოლი ორგანიზაციის მოწოდებებიდან — უხამსი გონებამახვილობის უხამსი ვარჯიშობის გულისათვის...

გადავიდეთ ბატონ შემდგენლების დასკვნებზე. «პროლეტარიატი, როგორც მასა, არ გამოსულა» (გვ. 245). «მოსკოვის პროლეტარიატი არ გამოსულა არც 9 — 10 დეკემბერს.., არც შემდგომ დღეებში. და ეს სასახელოა მისი შეგნებულობისა და ორგანიზებულობისთვისაო» (244).

გესმით, ამხანაგო მუშებო: თქვენთვის «სასახელო» ამიერიდან, თურმე, ის ყოფილა, რომ მასა არასაკმარისად იბრძოდა!! მუშათა მასა აქტიურ, შეტევითს ბრძოლაში რომ საკმაო მონაწილეობას არ იღებდა, ეს, თურმე, პლუსი ყოფილა. ხოლო მუშათა მასამ თავის ხელმძღვანელებს რომ გაუსწრო და ბარიკადების მასობრივად აგება დაიწყო, იგი რომ ხელ-

მძღვანელთაგან სულ მუდამ მოითხოვდა მოწოდებას უფრო გადამწყვეტი მოქმედებისაკენ, ეს, ალბათ, მინუსია...

«მოსკოვის ამბები, — წერენ შემდგენლები, — ცხადყოფენ, რომ ახლანდელ ისტორიულ პერიოდში, რომელსაც მილიტარიზმის უდიდესი განვითარება ახასიათებს, აჯანყებული ხალხის გამარჯვების აუცილებელი პირობაა აჯანყებული ხალხის მხარეზე ჯარის მნიშვნელოვანი ნაწილის აქტიური გადასვლა ან ჯარის მასების კატეგორიული უარი — იხმარონ იარაღი ხალხთან ბრძოლაში»...

მერყეევი ჯარისათვის ბრძოლა ჩვენს ბრძენთ ვერ შეუმჩნევიათ და ვერც გაუგიათ. მათ, ალბათ, წარმოუდგენიათ აჯანყების შესაძლებლობა ისე, რომ ჯარის შავრაზმულ ნაწილთან ბრძოლა არ წარმოებდეს, ისე, რომ აქტიური ბრძოლა არ აწარმოოს რევოლუციურმა ხალხმა, რომელსაც დაბნეულობა შეაქვს ჯარის რიგებში. ისინი დამდგარან კადეტების თვალსაზრისზე, რომელნიც მზად არიან მიესალმონ ჯარის «გადმოსვლას», მაგრამ «სიგიჟედ და დანაშაულობად» აცხადებენ შეიარაღებულ აჯანყებასა და მის ქადაგებას...

...«მაგრამ არმიის ასეთი მოქმედება შესაძლებელია მხოლოდ რევოლუციის დასასრულს (sic!) და ისიც ისეთი რევოლუციისა, რომელსაც საერთო-სახალხო ხასიათი აქვს. პროლეტარიატის დეკემბრის აჯანყებას, რომელსაც ბურჟუაზიული მოსახლეობის მასა მხოლოდ პასიურად (?) თანაუგრძნობდა, ს ა კ უ თ ა რ ი ლ ო ზ უ ნ გ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს (ხაზგასმა ჩვენია) გამოსვლას მხარს ვერ (!) დაუჭერდა არმია, და ამიტომ «საყოველთაო გაფიცვის შეიარაღებულ აჯანყებად გადაქცევის მისწრაფება» წარმატებით ვერ დამთავრდებოდა და ისტორიულ შეცდომად უნდა იქნას აღიარებულიო».

ესეც გაკვეთილი თქვენთვის, მოსკოვის მუშებო! ნუ გამოხვალთ «საკუთარი ლოზუნგებისთვის»!..

ძნელი წარმოსადგენია, თუ როგორ შეეძლოთ ადამიანებს მისულიყვნენ ასეთ პედანტობამდე, აზროვნების ასეთ კადეტურ უბადრუკობამდე და უაღრესად სერიოზული ისტორიული

მასალის დასკვნების ასეთ გაუგვანეობამდე. დაე მოსკოველ-მა სოციალ-დემოკრატებმა წიგნის ავტორებს გამოუცხადონ თავიანთი აღშფოთება და მოუწოდონ პარტიის ყველა წევრს და რევოლუციის ყველა მომხრეს ხელახლა დააგროვონ მასალები, რათა ღირსეულად გააშუქონ დეკემბრის აჯანყება, მოგვცენ მისი სერიოზული კრიტიკა. დაე დეკემბრის აჯანყების ყველა შეცდომა და ნაკლი დაუზოგავად იქნას გამომქღავნებული მებრძოლი პროლეტარიატის ჭკუის სასწავლებლად, მაგრამ კადეტებსა და ლიტერატურულ მოჯირითეებს პროლეტარიატის პარტიამ უნდა უთხრას: ხელები შორს!

«პროლეტარი» № 3,
1906 წ. 8 სექტემბერი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

პოლონეთის სოც. პარტიის პარტიზანული გამოსვლის შესახებ[59]

ჩვენმა გამაერთიანებელმა ყრილობამ, უეჭველია, გადაჭრით უარყო ყოველგვარი «ექსპროპრიაცია», ასე რომ ამ მხრივ პოლონეთის სოციალისტური პარტიის მიერ რსდმ პარტიის დამოწმება აბსოლუტურად უსაფუძვლოა. უეჭველია აგრეთვე, რომ პსპ-ს, როდესაც იგი 2 (15) აგვისტოს «გამოსვლას» აწყობდა, ანგარიში არ გაუწევია არც მისი მიზანშეწონილობისათვის, არც ფართო მასების სულისკვეთებისათვის, არც მუშათა მოძრაობის პირობებისათვის. ყველა ამ გარემოებისათვის ანგარიშის გაწევის აუცილებლობა აშკარაა, და პარტიზანულ მოქმედებათა შესახებ ბოლშევიკური რეზოლუციის პროექტში ეს ხაზგასმითაა აღნიშნული ცალკე მუხლში. მაგრამ, ჩვენი აზრით, დასაგმობია პარტიზანულ გამოსვლათა ტაქტიკის დ ა მ ა ხ ი ნ ჯ ე ბ ა პსპ-ის მიერ და არა თვით ეს «ტაქტიკა» საზოგადოდ. ისეთ პარტიზანულ გამოსვლას, როგორიც იყო პიტერის მუშების მიერ გასულ წელს შავრაზმული «ტვერის»[60] დარბევა, ჩვენი ამხანაგები — პოლონეთის სოციალ-დემოკრატები, ალბათ, მოიწონებდნენ.

«პროლეტარი» № 3,
1906 წ. 8 სექტემბერი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

ბუნდის შეერთება რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიასთან

ამ ცოტა ხნის წინათ შესდგა რუსეთის ებრაელი ს.-დ. მუშების ორგანიზაციის — ბუნდის მე-7 ყრილობა. ბუნდის წევრთა მთელი რიცხვი, ამ ყრილობის ანგარიშით, აღწევს 33 000-ს 257 ორგანიზაციაში. წარმომადგენლობა ყრილობაზე მოწყობილი იყო დემოკრატიულ საფუძველზე, 1 დელეგატი პარტიის 300 წევრზე. არჩევნებში მონაწილეობდა დაახლოებით 23 000 წევრი, რომლებმაც ყრილობაზე გაგზავნეს 68 დელეგატი გადამწყვეტი ხმით.

მთავარი საკითხი, რომელიც ყრილობაზე უნდა გადაეწყვიტათ, იყო რსდმ პარტიასთან ბუნდის გაერთიანების საკითხი. როგორც ცნობილია, რსდმპ გამაერთიანებელმა ყრილობამ მხარი დაუჭირა გაერთიანებას და დაამტკიცა ამ გაერთიანების პირობები. ახლა ბუნდის მე-7 ყრილობამ მიიღო ეს პირობები. რსდმ პარტიასთან გაერთიანება გავიდა 48 ხმით 20-ის წინააღმდეგ. ამრიგად, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია ბოლოს და ბოლოს მართლაც სრულიად რუსეთისა და ერთიანი გახდა. წევრთა რიცხვი ჩვენს პარტიაში ახლა 100000 კაცს აღემატება: გამაერთიანებელ ყრილობაზე წარმოდგენილი იყო 31 000, შემდეგ 26 000-მდე პოლონელი სოციალ-დემოკრატი, 14 000-მდე ლატვიელი და 33 000 ებრაელი სოციალ-დემოკრატი.

ბუნდის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლები შევიდნენ რსდმპ ცენტრალურ კომიტეტში. საკმაოდ ძნელი მუშაობა არის საჭირო, რომ ადგილობრივ განხორციელდეს ბუნდის ორგანიზაციების გაერთიანება რსდმპ ორგანიზაციებთან.

მეორე საკითხი, რომელიც განხილულ იქნა ბუნდის ყრილობაზე, იყო თანამედროვე პოლიტიკური მომენტის საკითხი. ვრცელ რეზოლუციაში, რომელიც მიღებულია ხმების დიდი უმრავლესობით, ბუნდის მე-7 ყრილობამ ტაქტიკურ ლოზუნგად აღიარა დამფუძნებელი კრების მოწვევა, ამასთან უარყო ამ ლოზუნგის შემასუსტებელი ყოველგვარი განმარტება, როგორიცაა «სათათბიროს მეშვეობით» და სხვ.. სათათბიროს ბოიკოტი უარყოფილია პირობითად, ე. ი. აღიარებულია აუცილებლობა არჩევნებში მონაწილეობისა იმ შემთხვევაში, თუ პროლეტარიატის პარტიას შეეძლება დამოუკიდებლად ჩაატაროს საარჩევნო კამპანია.

მესამე საკითხი იყო საკითხი «პარტიზანული გამოსვლებისა», მათ დაუნაწილებლად «ექსებად» და ტერორისტულ მოქმედებად. უდიდესი უმრავლესობით მიღებულია რეზოლუცია პარტიზანული გამოსვლების წინააღმდეგ.

უკანასკნელი საკითხი იყო ბუნდის ორგანიზაციის საკითხი. მიღებულ იქნა საორგანიზაციო წესდება.

ჯერჯერობით ვჯერდებით ამ მოკლე შენიშვნას და ვიმედოვნებთ, უახლოეს მომავალში უფრო ახლოს გავაცნოთ მკითხველებს ბუნდის მე-7 ყრილობის გადაწყვეტილებები.

დაწერილია 1906 წ. სექტემბერში
პირველად დაიბეჭდა 1937 წ.
ლენინის კრებულში XXX

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

ესერული მენშევიკები

სოციალ-დემოკრატები ჯერ კიდევ 1905 წლის დამდეგს აღნიშნავდნენ, რომ ს.-რ. («სოციალისტ-რევოლუციონერების») პარტიის პროგრამის პროექტი მოასწავებს აშკარა გადასვლას «ნაროდნიკობიდან მარქსიზმისაკენ» *. გარდუვალობა პარტიის შინაგანი რღვევისა, პარტიისა, რომელიც ამ გადასვლას ახდენდა, აშკარა იყო.

ახლა ს.-რ. პარტიის ეს იდეური და პოლიტიკური რღვევა უკვე ფაქტია. «ს.-რ. პარტიის პირველი ყრილობის ოქმებმა», რაც პარიზში ცალკე წიგნად გამოვიდა მიმდინარე წელს, ნათლად დასახეს ამ რღვევის ყველა ხაზი. «მაქსიმალისტთა» და ახლადწარმოშობილი «შრომის სახალხო-სოციალისტური პარტიის» წარმომადგენელთა მიმდინარე პოლიტიკურმა ლიტერატურამ რღვევის სისრულე საბოლოოდ გამოააშკარავა.

ორი დიდი გათიშვა სოციალ-დემოკრატიის შიგნით, რაც მან განიცადა, — გათიშვა «ეკონომისტებსა» და ძველ ისკრელთა შორის 1900 — 1903 წლებში და გათიშვა «მენშევიკებსა» და «ბოლშევიკებს» შორის 1903 — 1906 წლებში, — გამოწვეული იყო მთელი საერთაშორისო სოციალიზმის დამახასიათებელი ორი მიმდინარეობის მწვავე ბრძოლით, სახელდობრ: ოპორტუნისტული მიმდინარეობისა და რევოლუციური მიმდინარეობისა იმ თავისებური ფორმით, რომელიც რუსეთის რევოლუციის ამა თუ იმ პერიოდს შეესაბამებოდა. პირიქით, ს.-რ. პარტია, ასე თუ ისე აშკარა გამოსვლის პირველ ცდის-

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 8, გვ. 83 — 91 რ ე დ.

თანავე, გამოსვლისა, რომელიც ასე თუ ისე მაჩვენებელი უნდა ყოფილიყო ნამდვილი პარტიულობის არსებობისა, დაირღვა ს ა მ მ ი მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ა დ: 1) მემარცხენე — «მაქსიმალისტები», 2) ცენტრი — ძველი ტიპის ს.-რ.-ები და 3) მემარჯვენე — ოპორტუნისტები (სხვანაირად «ლეგალისტები», «შრომის სახალხო სოციალისტები» და სხვ.), რომელთაც ჩვენ შევეხებით ამ სტატიაში. ს.-რ. პარტიის I ყრილობის ოქმების მიხედვით ცხადად ჩანს სამივე მიმდინარეობის კონტურები. ახლა უკვე არის მკაფიო ლიტერატურული გამოხატულებანი «ცენტრიდან» გამოყოფილ (თუ გამოყოფის პროცესში მყოფ?) მიმდინარეობათა. მაქსიმალისტებმა გამოსცეს «პირდაპირ მიზნისაკენ» და ვრცელი საპროგრამო ბროშურა ბ-ნ ტაგ — ინისა [61]: «შრომის თეორიის პრინციპები». ესერების ოპორტუნისტებმა თითქმის ბოლომდე თქვეს ყველაფერი ბ-ნ პეშეხონოვისა და კომპ. ნაწერებში. «ცენტრის» წარმომადგენელმა, ბ-ნმა ჩერნოვმა, საკვლევით საფუძვლიანად უწოდა მაქსიმალისტებს «ვულგარული სოციალისტები» გაზეთ «მისლში» (ან შეიძლება «გოლოს», «დელო ნაროდა» [62] და სხვ.), მაგრამ ოპორტუნისტი ს.-რ.-ების შესახებ, თუ არ ვცდებით, პრესაში იგი ჯერჯერობით სდუმს. ალბათ, იაფად როდი დაუჯდათ ესერთა «ჭაობისა» და ესერების «უკიდურეს მემარჯვენეთა» კონკუბინატი ზემოხსენებულ გაზეთებში.

«შრომის საწყისის» მომხრეთა, ლავროვისა და მიხაილოვსკის თაყვანისმცემელთა, სამ მიმართულებად დაშლა რუსული წვრილბურჟუაზიული რადიკალიზმის ისტორიაში დიდ პოლიტიკურ ფაქტს წარმოადგენს. მარქსისტები მთელი ყურადღებით უნდა მოეპყრან ამ ფაქტს, რომელიც არაპირდაპირ ნათელს ჰფენს იმასაც, თუ რა პოლიტიკური მიმართულებით მწიფდება გამოღვიძების გზაზე შემდგარი რუსი გლეხობის აზროვნება.

ს.-რ.-ების მთელი საპროგრამო პოზიციის ძირითადი წინააღმდეგობა არის მერყეობა ნაროდნიკობასა და მარქსიზმს შორის. მარქსიზმი მოითხოვს პროგრამა-მაქსიმუმისა და პროგრა-

მა-მინიმუმის ნათლად გამიჯვნას. მაქსიმუმი, — ეს არის საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნა, რაც შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა სასაქონლო წარმოების მოუსპობლად. მინიმუმი, — ეს არის ის გარდაქმნანი, რომელთა მოხდენაც შესაძლოა ჯერ კიდევ სასაქონლო წარმოების ფარგლებში. პირველისა და მეორის აღრევა ერთმანეთში გარდუვალად იწვევს პროლეტარული სოციალიზმის ათასგვარ წვრილბურჟუაზიულ და ოპორტუნისტულ ან ანარქისტულ დამახინჯებას, გარდუვალად ა ბ ნ ე ლ ე ბ ს სოციალური რევოლუციის ამოცანას, რომელიც უნდა განხორციელდეს პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობის გზით.

ძველი რუსული ნაროდნიკობის, ლავროვის, ვ. ვ.-ის, მიხაილოვსკისა და კომპ. პრინციპების თვალსაზრისით, პროგრამა-მაქსიმუმისა და პროგრამა-მინიმუმის გამიჯვნა არც საჭიროა და გაუგებარიცაა, რადგან სასაქონლო წარმოების კანონთა და კატეგორიათა მიყენებას რუსეთის გლეხური მეურნეობის მიმართ ნაროდნიკული თეორია უარყოფს. ლავროვისა და მიხაილოვსკის (აგრეთვე ვ. ვ.-ის და ნიკოლაი — ონის [63], რომელთაც სრულიად ტყუილად ივიწყებენ, ვინაიდან თანამედროვე ნაროდნიკებს ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი იდეების ს ხ ვ ა წ ყ ა რ ო არ გ ა ა ჩ ნ ი ა თ) რაოდენადმე თანამიმდევარი მომხრეები აუცილებლად უნდა ა მ ხ ე დ რ ე ბ უ ლ ი ყ ვ ნ ე ნ პროგრამის ამ მარქსისტული დაყოფის წინააღმდეგ — მაქსიმუმად და მინიმუმად დაყოფის წინააღმდეგ. და ესერების პირველმავე ცდამ — გადასულიყვნენ წრეობანიდან პარტიულობაზე, ცხადყო ამ ამხედრების ძალა და მიმართულება. ნაროდნიკობის რევოლუციურ ტენდენციათა მომხრეებმა განაცხადეს: რატომ უნდა მოვითხოვდეთ მარტო მიწის სოციალიზაციას? ჩვენ სწორედ ასევე მოვითხოვთ ფაბრიკებისა და ქარხნების სოციალიზაციას! ძირს პროგრამა-მინიმუმი! ჩვენ მაქსიმალისტები ვართ! ძირს სასაქონლო წარმოების თეორიაო!

არსებითად, ეს მაქსიმალისტური მიმდინარეობა, როგორც მოსალოდნელიც იყო, თითქმის ერთვის ანარქიზმს.

ნაროდნიკობის ოპორტუნისტულ მიმდინარეობათა მომხრეებმა, ოთხმოციანი წლების ნაროდნიკებმა, გოდება მორთეს: რა საჭიროა პროგრამა-მინიმუმი, პროლეტარიატის რაღაც დიქტატურა? სოციალიზმი — ეს შორეული პერსპექტივაა! რა საჭიროა მ ა ს ე ბ ი ს ა თ ვ ი ს საშინელი სახელწოდება: «სოციალისტ-რევოლუციონერები»? რა საჭიროა «რესპუბლიკის» მოთხოვნა? რა საჭიროა არალეგალური პარტია? ძირს ყოველივე ეს! ძირს პროგრამა-მაქსიმუმი! ძირს პროგრამა-მინიმუმის «საშიში» ადგილები! ყოველგვარი პროგრამის მაგივრად დაე იყოს «პლატფორმა» აშკარა, ლეგალური, არარესპუბლიკური «შრომის სახალხო-სოციალისტური პარტიისაო»! *

ესერ ცენტრისტებს, ძველ ესერებს ა რ შ ე უ ძ ლ ი ა თ ორივე ამ მიმდინარეობისაგან თავი დაიცვან ისე, თუ არ მოიშველიეს სასაქონლო წარმოების კანონები, ისე, თუ ა რ ს ე ბ ი თ ა დ არ დადგნენ მარქსიზმის თვალსაზრისზე. ამიტომ სავსებით კანონიერი იყო ის ბრალდება, რომელიც ს.-რ. პარტიის I ყრილობაზე გაისმოდა მარჯვნიდანაც და მარცხნიდანაც წინააღმდეგ ესერების ცენტრისა: თქვენ მარქსიზმს იზიარებთ, გსურთ სოც.-დემოკრატებს შეეჯიბროთ, გინდათ «სოციალ-დემოკრატების ჰანგზე ითამაშოთო». ამ ცენტრის გადასვლა სოციალ-დემოკრატებისაკენ ახლა მარტოოდენ დროის საკითხია. და რაც უფრო მალე დადგება რევოლუციური პარტიების სავსებით აშკარად არსებობის ეპოქა, მით უფრო მალე დადგება ეს დრო. მოვლენათა ულმობელ ლოგიკას ვერ გაუძლებს ვერავითარი ცრურწმენა მარქსისტული «დოგმატიზმის» წინააღმდეგ.

კადეტური სათათბიროს ხანმოკლე არსებობის დრო რუსეთის საერთო პოლიტიკურ ასპარეზზე გლეხთა მასის წარმომად-

---

* იხ. განსაკუთრებით ბ-ნ პეშეხონოვის სტატიები «რუსსკოე ბოგატსტვოს»[84] ივლისისა და აგვისტოს წიგნში, აგრეთვე საგაზეთო შენიშვნები «შრომის სახალხო-სოციალისტური პარტიის» შექმნის, მისი საორგანიზაციო კომისიის ან პეტერბურგის კომიტეტის სხდომის შესახებ და სხვ.

გენელთა პირველი გამოსვლის ეპოქა იყო. ესერები აუცილებლად უნდა ცდილიყვნენ ამ წარმომადგენლებთან დაახლოებას და მათს პოლიტიკურად დარაზმვას თავისი პროგრამის გარშემო. ამასთანავე აღმოჩნდა, რომ სოციალ-დემოკრატებმა შედარებით მალე შეჰქმნეს პარტიული ს.-დ. ფრაქცია. პირიქით, ს.-რ.-ებს შეეძლოთ ყოველთვის ემოქმედნათ მხოლოდ შრომის ჯგუფელების ზურგს უკან. წვრილ მწარმოებელს პოლიტიკურად შეკავშირების უნარი მაშინვე ბევრად უფრო ნაკლები აღმოაჩნდა, ვიდრე მუშათა კლასს. ესეც ცოტაა: შრომის ჯგუფელების ზურგს უკანაც კი ს.-რ.-ებმა ვერ მოახერხეს ერთიანი პოლიტიკური კამპანიის ჩატარება. გლეხობის ძირითად საკითხში — მიწის საკითხში ოპორტუნისტ და ცენტრისტ ესერებს შორის განხეთქილებამ მალე იჩინა თავი. «საპარლამენტო» გამოსვლის ასპარეზზე პირველებმა გაიმარჯვეს მასის წარმომადგენელთა წინაშე: მათ შეაგროვეს 104 შრომის ჯგუფელი ოპორტუნისტული აგრარული პროექტის სასარგებლოდ, მაშინ როცა იმ აგრარულ პროექტს, რომელიც ახლოსაა ს.-რ. პარტიის პროგრამასთან, შემდეგში მხარი დაუჭირა მხოლოდ 33 შრომის ჯგუფელმა (იმავე 104-დან).

ეს განხეთქილება მთელი ხალხის წინაშე აშკარა პოლიტიკური გამოსვლის დროს აუცილებლად მოითხოვდა იმ უთანხმოებათა სისტემატიზაციას, რომლებმაც ეს განხეთქილება გამოიწვიეს. ამ სისტემატიზაციაში ყველაზე შორს წავიდა ესერ ოპორტუნისტთა ერთერთი ბელადი, ბ-ნი პეშეხონოვი. აი მისი შეხედულებანი, აი მისი გარმარტებული ...გლეხი კადეტების «პლატფორმის მოხაზულობა და ოდენობა»:

«რევოლუციური მოთხოვნები შეთანხმებული და შეფარდებული უნდა იყოს რევოლუციურ ძალებთან» (იხ. «რუსსკოე ბოგატსტვო», № 8, გვ. 194). ამიტომ «მიწისა და თავისუფლების ხაზის» «ძალიან შორს წაწევა» არ შეიძლება. «ორივე სოციალისტური პარტიის: ს.-დ. და ს.-რ.» პროგრამა-მაქსიმუმისა და პროგრამა-მინიმუმის მაგივრად წვრილ ბურჟუას ესაჭიროება ერთიანი «პლატფორმა», როგორც «კამპანიის გეგმა,

რომელიც ნავარაუდევი იქნება არა ხანგრძლივი პერიოდისათვის, თვით სოციალიზმამდე, არამედ მხოლოდ უახლოესი დროისათვის». გზის დანარჩენი ნაწილი საბოლოო მიზნამდე, — ეს «შ ო რ ე უ ლ ი პ ე რ ს პ ე ქ ტ ი ვ ა ა» (გვ. 196). ამიტომ «პლატფორმიდან» უნდა ა მ ო ვ ა გ დ ო თ რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ა: «ჩვენ ანგარიში უნდა გავუწიოთ ფსიქოლოგიურ ფაქტორს... მონარქიის იდეა ძალიან მტკიცედ არის გამჯდარი ხალხის შეგნებაში»... «ათას წელს ამაოდ როდი ჩაუვლია»... «ფართო მასების ამ ფსიქოლოგიას ანგარიში უნდა გავუწიოთ»... «რესპუბლიკის საკითხი ძალიან დიდ სიფრთხილეს მოითხოვს» (198). იგივე ითქმის ნაციონალურ საკითხზე. «ჩვენ ისევ და ისევ გვიხდება ანგარიში გავუწიოთ ხალხის ფსიქოლოგიას, რომელიც ჩანერგილი აქვს მას ათასწლოვანი ისტორიით»... «ამიტომ ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია მასებში გავიდეთ არა ეროვნებათა დამოუკიდებლობის» (და მათი თვითგამორკვევის, ამთავრებს ამ აზრს ავტორი სხვა ადგილას) «ლოზუნგით, არამედ იმ მოთხოვნით, რომელსაც ცხოვრება აყენებს, — მათი ავტონომიის მოთხოვნით». ერთი სიტყვით, ბ-ნი პეშეხონოვი პირდაპირ აყენებს კითხვას: «შესაძლებელია თუ არა მოვიპოვოთ მთელი თავისუფლება?» და პირდაპირ უპასუხებს: შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა ო.

შემდეგ იგი აყენებს კითხვას: «შესაძლებელია თუ არა მთელი მიწა მოვიპოვოთ?» და აქაც უპასუხებს: შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა ო. სიფრთხილე, სიფრთხილე, სიფრთხილე, ბატონებო! გლეხთა დეპუტატები სათათბიროში ბ-ნ პეშეხონოვს ეუბნებოდნენ: «ჩვენ იმისთვის გამოგვგზავნეს, რომ მიწა კი არ გავცეთ, არამედ მივიღოთო». გლეხებს ახლა მიწის არც სოციალიზაცია (გათანაბრება) უნდათ, არც ნაციონალიზაცია. მათ ეშინიათ ამისი. მათ უნდათ მიწის მხოლოდ მ ი მ ა ტ ე ბ ა. «ამიტომ უფრო მიზანშეწონილი იქნება, თუ პლატფორმაში «მიწის» ხაზს ბოლომდე არ მივიყვანთო» (206 გვ.). «მე საშიშადაც კი მიმაჩნია ამჟამად საყოველთაო გათანაბრების საკითხის წამოყენება» (205 გვ.). «საჭიროა სანადელო და კერძო მფლო-

ბელთა მიწები შრომითი ნორმის ფარგლებში ახლანდელ მფლობელებს დავუტოვოთ», თანახმად 104-თა პროექტისა, ხოლო ხალხის საყოველთაო საკუთრებად მთელი მიწის გადაცემა უნდა გადაიდოს, — ალბათ, როგორც აგრეთვე «შორეული პერსპექტივა».

სიფრთხილე, ზომიერება და აკურატობა საჭიროა როგორც ბრძოლის საშუალებებში, ისე ორგანიზაციის წესში. შეიარაღებული აჯანყება? «მე (პეშეხონოვი) დაუდალავად ვღაღადებ: თანაწარმხედინ სასუმელი ესე ჩემგან!.. ძალიან სამწუხარო იქნება, თუ ვისმე აჯანყება წარმოუდგენია არა როგორც სამწუხარო შესაძლებლობა, არამედ როგორც საბედისწერო აუცილებლობა»... «საშიშია... მისი გამოყენება გაუფრთხილებლად... მთელი მოძრაობა შეიძლება ჩაიშალოსო» (№ 7, გვ. 177 — 178). მთავარი მორიგი ამოცანა — «ხალხის ძალთა» ორგანიზაციაა. «მე ნაკლებად მწამს, რომ ამ ამოცანის რაოდენადმე მაინც დამაკმაყოფილებლად გადაწყვეტა შესძლოს ჩვენში არსებულმა ორმა სოციალისტურმა პარტიამ. დროა დავრწმუნდეთ, რომ კონსპირაციულ ორგანიზაციას არ შეუძლია მასები შემოიკრიბოს. კ.-დ. პარტიამაც განაცხადა ამ საქმეში თავისი უმწეობა. ცხადია, «ხალხის ძალთა» ორგანიზაციას ხელი უნდა მოჰკიდოს კიდევ სხვა ვინმემაც, და ამისათვის, მე ვფიქრობ, საჭიროა ლეგალური სოციალისტური პარტია» (№ 7, გვ. 179 — 180).

როგორც მკითხველი ხედავს, არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ბ-ნ პეშეხონოვის შეხედულებები მთლიანი, მწყობრი და დამთავრებულია. ს.-რ. ოფიციალური პროგრამიდან ცოტაღა დარჩენია მონარქიის ამ დამცველს, ამ პოლიტიკანს, რომელიც მათრახს ამართლებს იმის გამო, რომ ამ მათრახს ათასწლოვანი ისტორია აქვს. და თუ ბატონ «ნამდვილ» ს.-რ-ებს * შეეძლოთ სათათბიროს მთელი პერიოდის განმავლობაში ოსტატურად დაემალათ ა ს ე თ ი უთანხმოებანი, თუ მათ შეეძლოთ ამ უთანხმოებათა მიჩქმალვის მიზნით საერთო მუშაობისათვის

* მიუხედავად მთელი მათი მყვირალა რევოლუციური ფრაზებისა.

ერთსა და იმავე გაზეთში მოკალათებულიყვნენ, ეს მხოლოდ ცხადყოფს იმას, თუ სადამდე მიდის პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი თ ვ ა ლ თ მ ა ქ ც ო ბ ა.

რა შეადგენს ესერული ოპორტუნიზმის სოციალ-ეკონომიურ, კლასობრივ საფუძველს? ის, რომ ბატონი პეშეხონოვები და კომპ. ეგუებიან მ ე უ რ ნ ე გ ლ ე ხ ი ს ი ნ ტ ე რ ე ს ე ბ ს, უფარდებენ სოციალიზმს მის ინტერესებს.

აიღეთ მთავარი საკითხი: მიწის საკითხი. ბ-ნი პეშეხონოვი ორჯერ სიამოვნებით იმეორებს შრომის ჯგუფელ-გლეხთა ნათქვამს, რომელიც მას ძალიან მოსწონებია: «ჩვენ იმისათვის გამოგვგზავნეს, რომ კი არ გავცეთ მიწა, არამედ მივიღოთო». მართლაც, ეს ფრიად საგულისხმო სიტყვებია. მაგრამ ეს სიტყვები მთლად აქარწყლებენ ნაროდნიკობის წვრილბურჟუაზიულ ილუზიებს და ადასტურებენ მარქსისტების ყველა დებულებას. ეს სიტყვები თ ვ ა ლ ნ ა თ ლ ი ვ გ ვ ი ჩ ვ ე ნ ებ ენ, რომ უ კ ვ ე ი ღ ვ ი ძ ებ ს საშუალო გლეხის მესაკუთრული ინსტინქტები. მხოლოდ პოლიტიკური ეკონომიისა და დასავლეთ-ევროპის ისტორიის სრულ უვიცებს შეუძლიათ არ იცოდნენ, რომ ეს ინსტინქტები მით უფრო მეტად მაგრდება და ვითარდება, რაც უფრო ფაროოა პოლიტიკური თავისუფლება და ხალხის ძალაუფლებიანობა.

რანაირი დასკვნა უნდა გამოიტანოს «მასის» მიერ არჩეული ჭკვიანი მეურნე გლეხის ამ სიტყვებიდან იმან, ვისთვისაც სოციალიზმი ცარიელი ფრაზა არაა? ცხადია, ის დასკვნა, რომ წვრილ მეპატრონეთა ეს კლასი შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა სოციალიზმის მატარებელი იყოს; — რომ სოციალისტებს შეუძლიათ და უნდა დაუჭირონ კიდეც მხარი წვრილ მეპატრონეთა კლასს მემამულეებთან ბრძოლაში ამ ბრძოლის მ ხ ო ლ ო დ და მ ხ ო ლ ო დ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მნიშვნელობისა და ბურჟუაზიულ-დემოკრატიული შედეგების გულისთვის; — რომ სოციალისტი ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ი ა კი არ მიჩქმალოს, არამედ გ ა მ ო ა ა შ კ ა რ ა ო ს წინააღმდეგობა მთელი მუშათა მასის და იმ წვრილ მეპატრონეთა ინტერესებისა, რომელთაც

სურთ გააძლიერონ და გაამაგრონ თ ა ვ ი ა ნ თ ი, მეპატრონეთა, მდგომარეობა, რომელნიც მტრულად უყურებენ მიწის ან სხვა რისამე «გაცემას» უსახლკაროთა, ღარიბ-ღატაკთა მასებისათვის. «ჩვენ გვინდა კი არ გავცეთ მიწა, არამედ მივიღოთო»! განა შეიძლება იყოს ამაზე რელიეფური გამოხატულება წვრილბურჟუაზიული მესაკუთრული ინსტინქტებისა და ზრახვებისა!

სოციალ-დემოკრატი აქედან აკეთებს დასკვნას: ჩვენ მხარი უნდა დავუჭიროთ ამ წვრილ მეპატრონეებს მემამულეებთან და თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში ამ ბრძოლის რევოლუციური ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ხასიათის გამო. მთელი ხალხის მდგომარეობა გაუმჯობესდება მათი გამარჯვების დროს, მაგრამ გაუმჯობესდება კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ ი წყობილების გაუმჯობესებისა და განვითარების მიმართულებით. ამიტომ ჩვენ კი არ უნდა ვაქებდეთ ამ კლასის მესაკუთრულ ა ნ მ ე პ ა ტ რ ო ნ უ ლ ინსტინქტებს, არამედ, პირიქით, ა ხ ლ ა ვ ე უნდა დავიწყოთ ბრძოლა ამ ინსტინქტებთან, განვუმარტოთ მათი მნიშვნელობა პროლეტარიატს, გავაფრთხილოთ პროლეტარიატი და დავრაზმოთ იგი დამოუკიდებელ პარტიად. ჩვენი აგრარული პროგრამაა: დავეხმაროთ წვრილ მეპატრონეებს, რომ მათ რევოლუციური გზით კისრიდან გადაიგდონ მებატონეები, მივუთითოთ მათ მიწის ნაციონალიზაციის, როგორც კაპიტალიზმის დროს შესაძლებელი საუკეთესო აგრარული წყობილების, განხორციელების პირობებზე, და გამოვარკვიოთ პროლეტარისა და წვრილი მეპატრონის ინტერესთა მთელი განსხვავება.

წვრილი მედუქნის სოციალიზმი სხვა დასკვნამდე მიდის: «ანგარიში გავუწიოთ» «მასის» (წვრილ მეპატრონეთა მასის, და არა უქონელთა მასის) ფსიქოლოგიას, მონურად ქედი მოვიხაროთ მეპატრონის სურვილის წინაშე — «მიიღოს» მემამულისაგან, მაგრამ არ «მისცეს» პროლეტარს; წვრილი მეპატრონის საამებლად გადავდოთ სოციალიზმი ბუნდოვანი «შორეული დროისათვის», ვ ც ნ ო თ წვრილი მეპატრონის მისწრა-

ფება — გ ა ა მ ა გ რ ო ს თავისი, მეპატრონის, მდგომარეობა; — ერთი სიტყვით, «სოციალიზმი» უნდა ვუწოდოთ წვრილ მეპატრონეთა ვიწრო ანგარებისადმი მსახურებას და მათს ცრურწმენათა წინაშე ლაქიობას.

მონარქისტული გრძნობები ცრურწმენაა. იქნებ, თქვენ ფიქრობთ, რომ სოციალისტების ამოცანაა ებრძოლონ ცრურწმენას? ცდებით: «შრომის სოციალიზმი» უნდა ეგუებოდეს ცრურწმენას.

იქნებ, თქვენ ფიქრობთ, რომ მონარქისტული ცრურწმენის ხანდაზმულობა და «სიმტკიცე» (??) მოითხოვს განსაკუთრებით დაუნდობელ ბრძოლას მასთან? ცდებით: «შრომის სოციალიზმს» მათრახის ხანდაზმულობიდან გამოჰყავს მხოლოდ აუცილებლობა მათრახისადმი «ფრიად ფრთხილი» დამოკიდებულებისა.

მართალია, კადეტებთან მებრძოლი — ვითომდა მებრძოლი — ბ-ნი პეშეხონოვი მთლიანად იმეორებს სწორედ კადეტურ მსჯელობას მონარქიის სასარგებლოდ. მაგრამ მერე რა? ნუთუ აქამდე არ იცოდით, რომ ბურჟუაზიული რადიკალი ებრძვის ბურჟუაზიულ ლიბერალს მ ხ ო ლ ო დ იმისთვის, რომ მისი ადგილი დაიკავოს, და სრულიადაც არა იმისთვის, რომ მისი პროგრამა არსებითად სხვა პროგრამით შესცვალოს? ნუთუ თქვენ დაგავიწყდათ ფრანგი შრომის სოციალისტების... ესე-იგი: რადიკალ-სოციალისტების ისტორია, რომელნიც ფრანგ კადეტებს იმისთვის ებრძოდნენ, რომ მინისტრებად გადაქცევის შემდეგ სწორედ ისევე მოქცეულიყვნენ, როგორც ფრანგი კადეტები? ნუთუ ვერ ხედავთ, რომ ბ-ნი პეშეხონოვი ბ-ნ სტრუვესაგან იმაზე მეტად არ განირჩევა, ვიდრე ბობჩინსკი განსხვავდებოდა დობჩინსკისაგან?

ბ-ნი პეშეხონოვი, იქნებ, ხვდება, რომ «მიწის მიღების, მაგრამ ა რ გ ა ც ე მ ი ს» სურვილსა და მ ო ნ ა რ ქ ი ა ს შორის ერთგვარი მ ა ტ ე რ ი ა ლ უ რ ი კავშირი არსებობს, რომ «არ გასცე», უნდა დ ა ი ც ვ ა. მონარქია ხომ სხვა არა არის რა, თუ არა დაქირავებული პოლიციური დაცვა იმათი, ვისაც სურს

«არ გასცეს», იმათგან, ვისაც შ ე უ ძ ლ ი ა აიღოს *. კადეტებს მონარქია სჭირდებათ მსხვილი ბურჟუაზიის დასაცავად. «შრომის სოციალისტებს» მონარქია სჭირდებათ მეურნე გლეხების დასაცავად.

თავისთავად გასაგებია, რომ «შრომის სოციალისტების» ასეთი მსოფლმხედველობიდან აუცილებლად გამომდინარეობს აჯანყებისადმი პედანტურ-უხამსი დამოკიდებულება («სამწუხარო შესაძლებლობა»; შეადარეთ ბ-ნ სტრუვეს 1905 წ. ზაფხულის სტატიები «ოსვობოჟდენიეში» «აჯანყების გიჟურსა და დანაშაულებრივ ქადაგებაზე»). აქედანვე გამომდინარეობს ქედმაღლური ზიზღი «კონსპირაციული ორგანიზაციისადმი» და 1 9 0 6 წ ლ ი ს ა გ ვ ი ს ტ ო შ ი ო ხ ვ რ ა «ღ ი ა ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი პ ა რ ტ ი ი ს» შესახებ. იმ ობიექტურ ისტორიულ პირობებზე, რომელნიც აჯანყებას გ ა რ დ უ ვ ა ლ ს ხდიან, — რომელნიც, ბნელი მასის მთელ ცრურწმენათა მიუხედავად, თავს აბვევენ მას მისივე საარსებო ინტერესებისათვის სწორედ მონარქიასთან ბრძოლას, — რომელნიც «ღია სოციალისტური პარტიის» შესახებ მანილოვისებურ ოხვრას ბატონ უშაკოვების [85] წისქვილზე მიშვებულ წყლად აქცევენ, — ამ ობიექტურ ისტორიულ პირობებზე ბატონი პეშეხონოვები არ ფიქრობენ. ლავროვისა და მიხაილოვსკის თაყვანისმცემლებმა ანგარიში უნდა გაუწიონ დაბეჩავებული მასის ფსიქოლოგიას და არა იმ ობიექტურ პირობებს, რომელნიც გ ა რ დ ა ქ მ ნ ი ა ნ მ ე ბ რ ძ ო ლ ი მასის ფსიქოლოგიას.

შევაჯამოთ. ჩვენ ახლა ვიცით, თუ რას ნიშნავს შრომის სახალხო სოციალისტობა. შრომის — ეს ნიშნავს: მლიქვნელობას

---

* მესაკუთრეთა პოლიციური დაცვის მეორე იარაღს ეწოდება მ უ დ მ ი ვ ი ა რ მ ი ა. და აი, ბ-ნი პეშეხონოვი წერს: «დემოკრატიული რესპუბლიკა... თ ი თ ქ ო ს, გულისხმობს მუდმივი ჯარის შეცვლას ხალხის შეიარაღებით» (№ 8, გვ. 197). კეთილინებეთ, ბატონო ლავროვისა და მიხაილოვსკის თაყვანისმცემელნო, აგვიხსნათ გ უ ლ ა ხ დ ი ლ ა დ, რას ნიშნავს ეს ჩინებული «თ ი თ ქ ო ს»?

იმ წვრილ მეპატრონეთა ინტერესების წინაშე, რომელთაც სურთ «მიიღონ, მაგრამ არ გასცენ». სახალხო — ეს ნიშნავს: მლიქვნელობას ხალხის მონარქისტულ ცრურწმენათა წინაშე, რუსეთისაგან ზოგიერთი ეროვნების ჩამოშორების შოვინისტური შიშის წინაშე. სოციალისტი — ეს ნიშნავს: სოციალიზმის გამოცხადებას შორეულ პერსპექტივად და ვიწრო, დოქტრინულ და პოლიტიკანებისათვის სამძიმო პროგრამის შეცვლას ფართო, თავისუფალი, მოქნილი, მოძრავი, მსუბუქი, მსუბუქად ჩაცმული და თითქმის მთლად გაშიშვლებული «პლატფორმით». გაუმარჯოთ «შრომის სახალხო სოციალისტებს»!

ბატონი პეშეხონოვები რუსეთის გლეხობაში დაწყებული საზოგადოებრივი რეაქციის პირველი მერცხლები არიან. ღმერთს ქვეყნად პეშეხონოვები იმისთვის მოუვლენია, რომ თვალსაჩინო გახდეს მარქსისტული დებულება ყოველი წვრილი მწარმოებლის ორპირი ბუნების შესახებ. გლეხს აქვს გონება და ცრურწმენა, აქვს რევოლუციური უნარი ექსპლოატირებული ადამიანისა და რეაქციული ზრახვები წვრილი მეპატრონისა, რომელსაც სურს «მიიღოს, მაგრამ არ გასცეს». ბატონი პეშეხონოვები გლეხი მეპატრონის რეაქციული მხარეების იდეური გამომხატველნი არიან. ბატონი პეშეხონოვები რუსი გლეხის «უ კ ა ნ ა მ ხ ა რ ი ს» მჭვრეტელნი არიან. ბატონი პეშეხონოვები ი დ ე უ რ ა დ იმავე სამუშაოს ასრულებენ, რასაც ბატონი გურკოები და სტიშინსკები ასრულებენ უ ხ ე შ ა დ-მ ა ტ ე რ ი ა ლ უ რ ა დ, როდესაც გლეხ ბურჟუებს სახაზინო და საუფლისწულო მიწების მიყიდვით ქრთამავენ.

მაგრამ ეს კიდევ დიდი საკითხია, შესძლებენ კი ამგვარი დაკერებ-მიკერებით რაოდენამდე საგრძნობლად შეასუსტონ მასების გარდუვალი შეტაკება მწვავე ბრძოლაში მათს ექსპლოატატორებთან? ეს კიდევ დიდი საკითხია, შესძლებს თუ არა გლეხის ტრადიციული და ათასგვარი ოპორტუნისტების მიერ შეახლებული ცრურწმენა დასძლიოს ღარიბი გლეხობის გონიერება, რომელიც რევოლუციის ცეცხლში იღვიძებს. სო-

ციალ-დემოკრატები ყოველ შემთხვევაში შეასრულებენ თავის მოვალეობას გლეხობის რ ე ვ ო ლ უ ც ი ურ ი თვითშეგნების განვითარებისა და განწმენდის საქმეში.

ხოლო მემარჯვენე ფრთის სოციალ-დემოკრატებისთვის ბატონი პეშეხონოვები დაე გაფრთხილება იყვნენ. როცა ვაკრიტიკებდით შრომის სახალხო სოციალისტებს, ჩვენ შეგვეძლო გვეთქვა ზოგიერთი ს.-დ. მენშევიკისთვის: **mutato nomine de te fabula narratur** (არაკი შენზეა ნათქვამი, შეცვლილია მხოლოდ სახელი). ჩვენცა გვყავს ისეთნი, რომელნიც ოხრავენ ღია პარტიისათვის, მზად არიან პროგრამა შესცვალონ პლატფორმით, ჩამოქვეითდნენ მასამდე. ჩვენ გვყავს პლეხანოვი, რომელმაც დეკემბრის აჯანყების ცნობილი შეფასება მოგვცა: «არ უნდა მოგეკიდათ ხელი იარაღისთვისო». ჩვენ გვყავს «ოტკლიკი სოვრემენნოსტის» თანამშრომელი მალიშევსკი, რომელსაც განუზრახავს (მართალია, ა რ ა «ოტკლიკი სოვრემენნოსტი»-ში) რესპუბლიკის განდევნა პროგრამიდან. ამ ადამიანებს ძალიან არგებთ კარგად ჩაუკვირდნენ ბატონი პეშეხონოვების მთელ «ნატურალურ სილამაზეს».

«პროლეტარი» № 4,
1906 წ. 19 სექტემბერი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

მზადდება ახალი სახელმწიფო გადატრიალება!

გუჩკოვის წერილი ტრუბეცკოისადმი დიდხანს აინტერესებდა და ნაწილობრივ ახლაც აინტერესებს ჩვენს პოლიტიკურ პრესას, თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ მოქრთამულსა და რამდენიმე გადარჩენილ ლიბერალურ გაზეთს. ამ წერილს მართლაც აქვს ერთგვარი მნიშვნელობა. იგი მოწმობს, რომ რუსეთის მსხვილი ბურჟუაზიის ფართო ფენებში კონტრრევოლუციური მიმართულების განვითარების მხრივ დიდი ნაბიჯია გადადგმული. ამ ფენებისათვის უკვე ოქტომბრის პოლიტიკურმა გაფიცვამ შეასრულა გადამწყვეტი გარდატეხის პუნქტის როლი. მსხვილმა ბურჟუამ ერთბაშად თქვა: «კმარა!» 17 ოქტომბრის შემდეგ. და ამიტომ რუსეთის რევოლუციის ორიგინალური — და ძალიან დამახასიათებელი — ნიშნეულობა აღმოჩნდა ის, რომ კონსტიტუციური მანიფესტის თარიღით ისარგებლეს, როგორც პარტიის სახელწოდებით, მსხვილბურჟუაზიულმა ელემენტებმა; ისინი დადგნენ მეფის მთავრობის მხარეზე, რომელმაც იწყო ახალი კონსტიტუციის შეგუება თვითმპყრობელობასთან. ოქტომბერი — ეს არის თარიღი რუსეთის რევოლუციის დღევანდლამდე ერთადერთი ნაწილობრივი გამარჯვებისა. ოქტიაბრისტები ეწოდება ჩვენში კონტრრევოლუციური მსხვილი ბურჟუაზიის პარტიას.

რუსეთის რევოლუციის კლასობრივი წინააღმდეგობანი რელიეფურადაა გამოხატული ამ წინააღმდეგობრივს დაპირისპირებაში. ამის ახსნას იძლევა მარქსისტული შეხედულება რუსეთის თანამედროვე რევოლუციაზე. ეს რევოლუცია ბურჟუაზიულია. იგი ყოველ შემთხვევაში ნიადაგს წმენდს კაპიტალიზ-

მის უფრო ფართო და სწრაფი განვითარებისათვის. მიწისათვის ბრძოლაში რევოლუციური გლეხობის სრული გამარჯვების მიჩნევა «შრომის საწყისის» გამარჯვებად, «სოციალიზაციაზე» გადასვლად — ეს მთლად წვრილბურჟუაზიული ილუზიაა. მაგრამ კაპიტალიზმისათვის ნიადაგის გარდუვალი გაწმენდა შესაძლებელია ორი დიდი ხაზით წარიმართოს. ბატონყმური რუსეთის გარდაქმნა ბურჟუაზიულ რუსეთად შესაძლებელია იმ პირობებში, რომლებიც უზრუნველყოფენ გლეხობისა და პროლეტარიატის მასების კეთილდღეობას იმდენად, რამდენადაც კი კაპიტალიზმის დროს ეს წარმოსადგენია. იგი შესაძლებელია აგრეთვე იმ პირობებში, რომლებიც ყველაზე მეტად უზრუნველყოფენ მქონებელი კლასების, მემამულეებისა და კაპიტალისტების ინტერესებს. აქამდე ჩვენი რევოლუცია მეორე გზით მიდის. და თუ იგი ვერც ერთს დიდ გამარჯვებას ველარ მოიპოვებს, ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ რუსეთის რევოლუციის ნებისაღმსრულებელნი აღმოჩნდებიან კონტრრევოლუციური ბურჟუა-ოქტიაბრისტები, — მსგავსად იმისა, როგორც 1848 წლის გერმანიის ნახევრადი რევოლუციის ნებისაღმსრულებელი აღმოჩნდა იუნკერი ბისმარკი.

ბ-ნი გუჩკოვი მთლად სულელი ადამიანი როდია. იგი უკვე სიამოვნებით იფშვნეტს ხელებს იმის მოლოდინში, რომ რევოლუციის საბოლოო დამარცხების შემდეგ ხელთ აიღებს მმართველობის სადავეებს და საქმიან, გეშეფტ-მახერულ ბურჟუაზიულ «ლიბერალიზმს» შეაერთებს ულმობელ სამხედრო-პოლიციურ რეპრესიებთან უკმაყოფილო «ქვედაფენების» წინააღმდეგ. როგორც პრაქტიკულმა, უიდეო ბურჟუაზიულმა მოსაქმემ, ბ-ნმა გუჩკოვმა უკეთ შეიგნო ნამდვილი პოლიტიკური მდგომარეობა, ვიდრე ჩვენებური ბურჟუაზიული ინტელიგენციის მრავალმა ფილოსოფოსმა და ფრაზიორმა. (**L'ignorance est moins eloignée de la verité que le préjudice!** — უმეცრება უფრო ნაკლებად არის დაშორებული ჭეშმარიტებას, ვიდრე ცრურწმენა.) ბ-ნ გუჩკოვს მიწაზე ჩამოაქვს კადეტების ბურჟუაზიული იდეალები. ამ მხრივ განსაკუთრებით სა-

გულისხმოა მისი წერილის შემდეგი ადგილი, რომელიც ვერ დააფასა ჩვენებურმა მონურმა პრესამ:

«ახლა ეჭვს გარეშეა, — სწერს გუჩკოვი ტრუბეცკოის, — რომ რევოლუციის გამარჯვება ან რევოლუციური კრიზისის ახალი გამწვავებაც კი დაასამარებს ჩვენს ნორჩ პოლიტიკურ თავისუფლებასაც და ჩვენი კულტურისა და კეთილდღეობის ნაშთებსაც».

ეს შესანიშნავად სწორი და შესანიშნავად ზედგამოჭრილი შეფასებაა ახლანდელი პოლიტიკური მდგომარეობისა კაპიტალისტის და მემამულის ინტერესთა თვალსაზრისით. ბ-ნი გუჩკოვი პირდაპირ უდგება საკითხს. ახლანდელი პოლიტიკური მდგომარეობის მთელი დედააზრი მართლაც ისაა, მოგველის თუ არა რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი კ რ ი ზ ი ს ი ს ა ხ ა ლ ი გ ა მ-წ ვ ა ვ ე ბ ა. ჩვენ მადლობელნი ვართ გულახდილობისათვის, ბ-ნო გუჩკოვ! ჩვენ სავსებით გვესმის, რომ «რეჩში» მოკალათებულ ბურჟუაზიულ პროფესორებსა და დიპლომატებს არ მოსწონთ თქვენი გაბედულება, პირდაპირობა, სისწრაფე და შეტევა, თქვენი — უკაცრავად ვულგარული თქმისათვის — უნარი «წამოყრანტალებისა», მაგრამ ჩვენ, სოციალისტები, მეტად აღტაცებულნი ვართ თქვენი ამ უნარით. იგი ჩვენთვის ხელსაყრელია.

ამრიგად, ვისაც სურს სერიოზულად დასვას თანამედროვე პოლიტიკური მდგომარეობის საკითხი, მან სავსებით ნათლად უნდა განსაზღვროს თავისი დამოკიდებულება რ ე ვ ო ლ უ-ც ი უ რ ი კ რ ი ზ ი ს ი ს ა ხ ა ლ ი გ ა მ წ ვ ა ვ ე ბ ი ს ა დ მ ი. ბ-ნი გუჩკოვი ასეც იქცევა. «მე წინააღმდეგი ვარო», — აცხადებს ის მთელი თავისი წერილით. მე ყველაფერს და ყოველივეს ვუმორჩილებ ამ გამწვავებასთან ბრძოლის ინტერესებს, ყოველივე იმის დათრგუნვის ინტერესებს, რასაც მისკენ მივყავართო. მიზეზი ცხადია. ახალი გამწვავება იმუქრება რ ე ვ ო-ლ უ ც ი ი ს გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ი თ, რომელიც, თავის მხრივ, ემუქრება... ბატონ გუჩკოვების, რომანოვების, სტოლიპინებისა და დამრბევთა დანარჩენი ხროვის მამულების «ნაშ-

თებს», — იმ ბურჟუაზიული პრივილეგიების «ნაშთებს», რომელნიც შეიძლება პროლეტარიატის შემდგომი ბრძოლის საწინააღმდეგო ფარად გამოდგნენ, ერთი სიტყვით, «ჩ ვ ე ნ ი (გუჩკოვების, რომანოვების, სტოლიპინების) კეთილდღეობის ნაშთებს».

ბ-ნი გუჩკოვი სწორედ მსჯელობს, ბევრად უფრო სწორედ და უფრო თანამიმდევრად, ვიდრე მის წინააღმდეგ ახლა მღაღადებელი კადეტები, რომელთაც ათასგვარი ვინოგრადოვების, სტრუვეების, იზგოევების, ბერდიაევების, მილიუკოვების სახით მრავალჯერ გამოუტირნიათ «სიგიჟის სტიქიის» გამარჯვების დროს «თავისუფლებისა და კულტურის» მომავალი დასაფლავება.

რევოლუციონერებსაც როდი აწყენთ ისწავლონ რეაქციისაგან თანამედროვე პოლიტიკური მდგომარეობის, ე ს ე-ი გ ი «რევოლუციური კრიზისის ახალი გამწვავების» საკითხის თანამიმდევრად დასმა. ეს გამწვავება აუცილებლად იქნება წინანდელზე კიდევ უფრო მასობრივი გამოსვლა, გამდიდრებული რუსეთის დიდი რევოლუციის დიადი წლის გამოცდილებით. ხოლო ამ წლის გამოცდილება, დაწყებული ოქტომბრის გაფიცვით და განგრძობილი დეკემბრის აჯანყებით, მშვიდობიანი სათათბიროთი და მისი გარეკვით, — იწვევს სრულიად რუსეთის შეტევითს შეიარაღებულ აჯანყებას და თან გაფიცვას, როგორც ბრძოლის დამხმარე და არაპირდაპირ საშუალებას.

მთავრობამ მთელი თავისი პოლიტიკა შეუფარდა რევოლუციური კრიზისის ამ ახალ გამწვავებას, რომელსაც ყველა მოელის. უეჭველია, მან განზრახ არ დანიშნა ახალი სათათბიროს არჩევნების ვადა, რათა ხელფეხი შეკრული არ ჰქონდეს, რათა იმ შემთხვევაში, თუ საყოველთაო-სახალხო ბრძოლა ძალიან გამწვავდება, ეცადოს დაქსაქსოს მისი ძალები არჩევნების ანაზდეულად დანიშვნით. უეჭველია აგრეთვე, რომ სწორედ ამ თვალსაზრისით მთავრობა ახლა ფრიად დიდი ყურადღებით სწავლობს საკითხს, მოიწვიოს თუ არა ახალი სათათბირო და დ ა ს ტ ო ვ ო ს თ უ ა რ ა ძ ვ ე ლ ი ს ა ა რ ჩ ე ვ ნ ო კ ა ნ ო-

ნ ი. და სოციალ-დემოკრატიას ყველაზე ნაკლები უფლება აქვს ამ საკითხს უზრუნველად მოეპყრას.

მთავრობის წინაშე დგას დილემა: შეეცადოს ერთხელ კიდევ მოიწვიოს სათათბირო მოქმედი საარჩევნო კანონის მიხედვით და ამასთან გააძლიეროს რეპრესიები, ზედმოქმედება მოახდინოს არჩევნებზე, შეაკავშიროს შავრაზმელები, — თუ მეორე სათათბიროს წ ი ნ საარჩევნო კანონი ისეთნაირად შესცვალოს, რომ უეჭველად უზრუნველყოს «მუშაობისუნარიანი», ე. ი. შავრაზმული სათათბიროს მიღება. რეაქცია მემამულეთა კლასის წრეში, შავრაზმელი მემამულეების გამარჯვება ერობაში, უკმაყოფილების აშკარა ზრდა ხალხში, — ყველაფერი ეს პირდაპირ უკარნახებს მთავრობას დაუყოვნებლივ გააუქმოს მოქმედი საარჩევნო კანონი, შეზღუდოს საარჩევნო უფლება ისე, რომ ვიტეს სათათბიროდან ბულიგინისას მივუბრუნდეთ, ან შეიძლება უფრო უარესსაც, ანდა პირდაპირ მოიწვიოს მეორე სათათბიროში ერობათა წარმომადგენელნი. ჩვენი პრესის მოსყიდულმა კალმოსნებმა უკვე წამოროშეს, რომ ასეთი გეგმები არის «სფეროებში», ე. ი. სასახლის ხროვაში; ისინი ამზადებენ ნიადაგს და ამტკიცებენ, თვითმპყრობელობას «უფლება» აქვს უსათათბიროდ გამოსცეს ახალი საარჩევნო კანონიო.

განვიხილოთ, მთავრობის პოლიტიკის რომელი ამ «კურსთაგანია» ყველაზე უფრო მოსალოდნელი. 11 დეკემბრის საარჩევნო კანონის შენარჩუნების სასარგებლოდ ლაპარაკობს კონსტიტუციური «კანონიერება», პოლიტიკური სიფრთხილე, ლოიალობა. როგორც ხედავთ, ყოველივე ეს «იდეალური» მოსაზრებებია, რომელთა შეფურთხებასაც შეეჩვივნენ რომანოვები და პობედონოსცევები. და მართლაც, სასაცილოა იმის ფიქრი, რომ ამგვარი მოსაზრებებით იხელმძღვანელებენ თავით ფეხამდე სისხლითა და ტალახით გასვრილი ადამიანები, რომელნიც უკანასკნელი, თავგამოდებული ბრძოლით იცავენ თავის მონათმფლობელურ უფლებებს. სასაცილოა იმის ფიქრი, რომ მეფის ხროვა მოერიდება «კანონიერებას», როდესაც ეს ხროვა

არ მორიდებია იმავე 11 დეკემბრის კანონის, 20 თებერვლის კანონის[67] და სხვათა გამოცემას, არ ერიდება ახლა «კანონის» სულ ერთიანად შეგინებას. არა, ყველა ეს საბუთი სრულიად უმნიშვნელოა!

ევროპის აზრი? სესხის მიღების აუცილებლობა? ეს აუცილებლობა ყველაზე საარსებოა. ევროპის კაპიტალი ფულს გაიღებს მხოლოდ «წესრიგის» გარანტიით. მაგრამ თუ როგორია ეს «წესრიგი», — კაპიტალისთვის სულ ერთია, მისთვის სასაფლაოს წესრიგიც კი უფრო სიმპათიურია. ხოლო მეორე კადეტური (ან, ღმერთმა დაიფაროს, უფრო მემარცხენე!) სათათბირო გვპირდება ახალ ფინანსურ მხილებას, ახალ «უწესოებას»! არა, სწორედ ევროპული სესხის თვალსაზრისით მთავრობისათვის პირდაპირ ხელსაყრელია გააუქმოს ახლანდელი საარჩევნო კანონი, რათა უზრუნველყოს შავრაზმული სათათბირო და მის მიერ ყველა და ყოველგვარი სესხის დადასტურება.

რა თქმა უნდა, არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ არსებითად თვითმპყრობელობასა და ლიბერალურ-მონარქისტულ ბურჟუაზიას შორის შეთანხმება ა უ ც ი ლ ე ბ ლ ა დ ს ა ჭ ი რ ო ა მეტად ღრმა ეკონომიურ და პოლიტიკურ მიზეზთა გამო. პირველი სათათბიროს მეშვეობით შეთანხმების პირველი ცდის წარუმატებლობა სრულიადაც არ ნიშნავს და არც შეიძლება ნიშნავდეს ყველა ამნაირი ცდის წარუმატებლობას, — ამგვარი ცდა კი ჯერ ძალიან და ძალიან ბევრი იქნება. მაგრამ სწორედ კადეტური სათათბიროს მეშვეობით შეთანხმება არ შეიძლება ახლა ჩაითვალოს (და ვერც თვითმპყრობელობა ჩათვლის) განსაკუთრებით მოსალოდნელად.

რევოლუციონერები სწავლობენ რევოლუციის გამოცდილებას, მაგრამ ამ გამოცდილებას სწავლობს თვითმპყრობელობაც და სწავლობს მეტად ყურადღებით. არსებული საარჩევნო კანონის დროს უფრო მემარჯვენე შემადგენლობის სათათბიროს მოწვევის იმედები სრულიად უმნიშვნელოა, ამას ყველანი ხედავენ. მეორე სათათბიროს მოწვევის დრო უწევს სწორედ ზამთრის დამლევს, როდესაც შიმშილობა, უმუშევ-

რობა, ხალხის ფართო მასების გაჭირვება ჩვეულებრივ განსაკუთრებით მწვავდება. კადეტებზე მარცხნივ მდგომი პარტიები, უეჭველია, ახლა წინანდელზე ბევრად უფრო ნაკლებად იქნებიან განწყობილნი, რომ მორჩილად გაჰყვნენ ლიბერალურ-მონარქისტულ ბურჟუაზიას, მათ ახლა ბევრად უფრო მეტი უნარი ექნებათ დამოუკიდებელი, გადამწყვეტი და აქტიური პოლიტიკური მოქმედებისა. არა! ჩვენ არ უნდა ავყვეთ ილუზიებს, არ უნდა წარმოვიდგინოთ მტერი ისე, რომ იგი თითქოს სრულიად უჭკუო, მიუხვედრელი, წინდაუხედავი იყოს. ჩვენ ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს, რომ შავრაზმული მთავრობის «აზროვნებისა და საქმიანობის დევგმირები» ყოველ ღონეს იხმარენ, რათა კადეტური სათათბიროს ცდის განმეორება შეუძლებელი გახადონ.

სათათბიროს გარეკვამ მთავრობას დაანახვა, რომ არ მოხდა დაუყოვნებლივი, ფართო და საყოველთაო-სახალხო აჯანყება. «სფეროებს» მოეწონათ ჩუმად და საიდუმლოდ შემზადებული **coup d'état** (სახელმწიფო გადატრიალება). ისინი იმყოფებიან იმის ფრიად ძლიერი შთაბეჭდილების ქვეშ, რაც მათ რევოლუციის წინააღმდეგ მარჯვე და გაბედულ შეტევად ეჩვენებათ. მათ არ შეუძლიათ ახლა არ იფიქრონ იმაზე, რომ წ ი ნ დ ა წ ი ნ ვ ე გაიმეორონ ასეთივე შეტევა, «რევოლუციური კრიზისის ახალი გამწვავების» თავიდან აცილების სახით. მეფის კარისკაცები სამხედრო პირები არიან. შეტევაზე გადასვლა, საომარი მოქმედების ინიციატივის ხელში აღება, — ასეთი ტაქტიკის უპირატესობა მათ მშვენივრად ესმით. აჯანყების შიში? მაგრამ იგი ასე თუ ისე გარდუვალია — ე ს დ ა ა მ ტ კ ი ც ე ს მუშათა გაფიცვებმა, სამხედროთა და გლეხთა აჯანყებებმა მთელი წლის განმავლობაში. მეორე კადეტური სათათბირო აჯანყებისათვის ხალხს კიდევ უფრო ხელსაყრელ სიტუაციას შეუქმნის; საბოლოოდ ჩაიფუშება «სამხედრო-საველე ლიბერალიზმის» პოლიტიკა, მოსახლეობა დაიღლება რეპრესიებით და სხვა, და სხვა. თუ «რევოლუციური კრიზისის ახალი გამწვავება» გარდუვალია, მაშინ ჩ ვ ე ნ პირველნი უნდა და-

ვესხათ თავსაო, — ასე მსჯელობს იგნატიევი, ალბათ, ასე. და იგი თავს დაგვესხმის, — მეფე გააუქმებს არჩევნების წინ 11 დეკემბრის საარჩევნო კანონს და გამოსცემს ახალ კანონს, რომელიც უ ზ რ უ ნ ვ ე ლ ყ ო ფ ს სათათბიროს შავრაზმულ შემადგენლობას.

ჩვენ წინასწარმეტყველის პრეტენზია არა გვაქვს და ვერ ვიკისრებთ გავითვალისწინოთ ახლანდელი, ფრიად რთული პოლიტიკური მდგომარეობიდან ყოველგვარი შესაძლო გამოსავალი. მაგრამ სოციალ-დემოკრატია ვალდებულია ზუსტად აწონ-დაწონოს პოლიტიკაში მოქმედი ყველა ძალის ტენდენციები, რათა გონიერად წარმართოს თავისი ტაქტიკა. ასეთ აწონ-დაწონას მივყავართ ურყევ დასკვნამდე: მუშებო! იყავით მზად საიმისოდ, რომ მთავრობა არჩევნების დროისათვის შავრაზმულ საარჩევნო კანონს შემოიღებს! გლეხებო! იცოდეთ, რომ მთავრობა ამუშავებს არჩევნების წესების შეცვლის გეგმას ისე, რომ გლეხთა დეპუტატები, შრომის ჯგუფელები სათათბიროში ვ ე ღ ა რ მოხვდნენ!

მთავრობას ჩვენ საშუალება არ უნდა მივცეთ, რომ მოუმზადებელს მოგვისწროს. ჩვენ ფრიად ენერგიული აგიტაცია უნდა გავწიოთ მასებში და განვუმარტოთ მათ მოსალოდნელი საფრთხე,— ჩვენ უნდა გავფანტოთ გულუბრყვილო რწმენა იმისა, რომ საარჩევნო კანონი, როგორც «კონსტიტუციური» აქტი, მტკიცეა, — ჩვენ უნდა გავაქარწყლოთ კონსტიტუციური ილუზიები, — ჩვენ უნდა გავახსენოთ ევროპის რევოლუციათა მაგალითები, როდესაც საარჩევნო წესებს ხშირად ცვლიდნენ, — ჩვენ მთელი ძალღონით უნდა გავაღვივოთ იმის შეგნება, რომ კრიზისი, რომელიც ახლა მწვავდება, პარლამენტური, კონსტიტუციური კრიზისი კი არ არის, არამედ რევოლუციური კრიზისია, რომელსაც გადაწყვეტს მხოლოდ ძალა, რომელსაც დააბოლოებს მხოლოდ ძლევამოსილი შეიარაღებული აჯანყება.

«პროლეტარი» № 5,
1906 წ. 30 სექტემბერი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

პარტიზანული ომი

პარტიზანულ მოქმედებათა საკითხი ძალიან ეინტერესება ჩვენს პარტიასა და მუშათა მასას. ჩვენ უკვე არა ერთხელ შევხებივართ გაკვრით ამ საკითხს და ახლა განზრახვა გვაქვს შევუდგეთ ჩვენი შეხედულების უფრო მთლიანად გადმოცემას, რასაც ჩვენ დაპირებული ვიყავით.

I

დავიწყოთ თავიდან. რა ძირითადი მოთხოვნები უნდა წაუყენოს ყოველმა მარქსისტმა ბრძოლის ფორმათა საკითხის განხილვას? ჯერ ერთი, მარქსიზმი სოციალიზმის ყველა პრიმიტიული ფორმისაგან იმით განირჩევა, რომ იგი მოძრაობას ბრძოლის მხოლოდ ერთ რომელიმე განსაზღვრულ ფორმას როდი უკავშირებს. იგი აღიარებს ბრძოლის სულ სხვადასხვაგვარ ფორმას, ამასთანავე კი არ «იგონებს» მათ, არამედ მხოლოდ აზოგადებს, აყალიბებს, შეგნებულობას ანიჭებს რევოლუციურ კლასთა ბრძოლის იმ ფორმებს, რომელნიც თავისთავად იბადებიან მოძრაობის მსვლელობაში. მარქსიზმი, რომელიც უეჭველად მტრულად უყურებს ყოველგვარ განყენებულ ფორმულას, ყოველგვარ დოქტრინულ რეცეპტს, მოითხოვს დაკვირვებულ დამოკიდებულებას მიმდინარე მ ა ს ო ბ რ ი ვ ი ბრძოლისადმი, რაც მოძრაობის განვითარებასთან ერთად, მასების შეგნებულობის ზრდასთან ერთად, ეკონომიური და პოლიტიკური კრიზისების გამწვავებასთან ერთად თავდაცვისა და შეტევის სულ ახალ-ახალსა და სულ უფრო და უფრო მრავალნაირ ხერხებს წარმოშობს. ამიტომ მარქსიზმი უსათუოდ არ უარყოფს ბრძოლის არც ერთ ფორმას. მარქსიზმი არავითარ შემთხვევაში არ სჯერდება ბრძოლის შესაძლებელ და მხოლოდ ამ მომენტში არსებულ ფორმებს; იგი აღიარებს,

რომ არსებული სოციალური კონიუნქტურის შეცვლასთან ერთად აუცილებელია ბრძოლის ახალი, განსაზღვრული პერიოდის მოღვაწეთათვის უცნობი ფორმები. ამ მხრივ მარქსიზმი სწავლობს, თუ შეიძლება ასე ითქვას, მასობრივი პრაქტიკით და შორს არის პრეტენზიისაგან — ასწავლოს მასებს ბრძოლის ისეთი ფორმები, რომელთაც კაბინეტში ჩაკეტილი «სისტემატიკოსები» იგონებენ. ჩვენ ვიცით, — ამბობდა, მაგალითად, კაუტსკი, როცა იხილავდა სოციალური რევოლუციის ფორმებს, — რომ მომავალი კრიზისი მოგვიტანს ბრძოლის ახალ ფორმებს, რომელთა გათვალისწინება ახლა არ შეგვიძლიაო.

მეორეც, მარქსიზმი მოითხოვს ბრძოლის ფორმების საკითხის უეჭველად ისტორიულ განხილვას. ამ საკითხის ისტორიულ-კონკრეტული ვითარების გარეშე დაყენება იმას ნიშნავს, რომ დიალექტიკური მატერიალიზმის ანაბანისა არა გაგებოდეს რა. ეკონომიური ევოლუციის სხვადასხვა მომენტში, პოლიტიკურ, ნაციონალურ-კულტურულ, საყოფაცხოვრებო და სხვა პირობათა მიხედვით, წინ დგება ბრძოლის სხვადასხვა ფორმები, იქცევა ბრძოლის მთავარ ფორმებად, ხოლო ამასთან დაკავშირებით, თავის მხრივ, იცვლება ბრძოლის მეორეხარისხოვანი, დამხმარე ფორმებიც. ბრძოლის რომელიმე საშუალების საკითხზე ჰოს ან არას თქმა ისე, თუ დაწვრილებით არ განიხილე ამა თუ იმ საფეხურზე არსებული მოძრაობის განვითარების კონკრეტული პირობები, იმას ნიშნავს, რომ მარქსიზმის ნიადაგი სავსებით მიატოვო.

ასეთია ორი ძირითადი თეორიული დებულება, რომლებითაც ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ. დასავლეთ ევროპის მარქსიზმის ისტორია გვაძლევს ზემონათქვამის დამადასტურებელ უამრავ მაგალითს. ევროპის სოციალ-დემოკრატიას ამჟამად ბრძოლის მთავარ ფორმებად მიაჩნია პარლამენტარიზმი და პროფესიული მოძრაობა, იგი წარსულში აღიარებდა აჯანყებას და, კონიუნქტურის შეცვლასთან ერთად, სავსებით მზად არის მომავალშიც აღიაროს იგი, — წინააღმდეგ ლიბერალი

ბურჟუების აზრისა, როგორიც არიან რუსი კადეტები და «ბეზ-ზაგლავიელები» [69]. სოციალ-დემოკრატია უარყოფდა საყოველთაო გაფიცვას 70-იან წლებში, როგორც სოციალურ პანაცეას, როგორც არაპოლიტიკური გზით ბურჟუაზიის ერთბაშად დამხობის საშუალებას, — მაგრამ სოციალ-დემოკრატია სავსებით სცნობს მასობრივ პოლიტიკურ გაფიცვას (განსაკუთრებით რუსეთის 1905 წლის გამოცდილების შემდეგ), როგორც ბრძოლის ერთერთ ისეთ საშუალებას, რომელიც აუცილებლად საჭიროა განსაზღვრულ პირობებში. სოციალ-დემოკრატია სცნობდა XIX საუკუნის 40-იან წლებში ქუჩის საბარიკადო ბრძოლას, — განსაზღვრულ პირობათა გამო უარყოფდა მას XIX საუკუნის დამლევს, — გამოთქვამდა სრულ მზადყოფნას — გადაესინჯა ეს უკანასკნელი შეხედულება და ეცნო საბარიკადო ბრძოლის მიზანშეწონილობა მოსკოვის გამოცდილების შემდეგ, — რომელმაც, კ. კაუტსკის სიტყვებით, ახალი საბარიკადო ტაქტიკა წამოაყენა.

II

რაკი მარქსიზმის ზოგადი დებულებანი დავადგინეთ, გადავიდეთ რუსეთის რევოლუციაზე. გავიხსენოთ მის მიერ წამოყენებული ბრძოლის ფორმების ისტორიული განვითარება. ჯერ მუშათა ეკონომიური გაფიცვები (1896 — 1900), შემდეგ მუშებისა და სტუდენტების პოლიტიკური დემონსტრაციები (1901 — 1902), გლეხთა ამბოხებანი (1902), დემონსტრაციებთან სხვადასხვანაირად კომბინირებული მასობრივი პოლიტიკური გაფიცვების დასაწყისი (როსტოვი, 1902; 1903 ზაფხულის გაფიცვები; 1905 წ. 9 იანვარი), სრულიად რუსეთის პოლიტიკური გაფიცვა და თან საბარიკადო ბრძოლის ადგილობრივი შემთხვევები (1905 წ. ოქტომბერი), მასობრივი საბარიკადო ბრძოლა და შეიარაღებული აჯანყება (1905, დეკემბერი), საპარლამენტო მშვიდობიანი ბრძოლა (1906 წ. აპრილი — ივნისი), სამხედროთა ნაწილობრივი აჯანყებები (1905 წ. ივნისი — 1906 წ. ივლისი), გლეხთა ნაწილობრივი აჯანყებები (1905 წ. შემოდგომა — 1906 წ. შემოდგომა).

ასეთია საქმის ვითარება 1906 წლის შემოდგომისათვის, საერთოდ ბრძოლის ფორმათა თვალსაზრისით. თვითმპყრობელობის ბრძოლის «საპასუხო» ფორმა არის შავრაზმული რბევა, დაწყებული 1903 წლის გაზაფხულს კიშინიოვით და გათავებული 1906 წლის შემოდგომაზე სედლეცით. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში შავრაზმული რბევის და ებრაელების, სტუდენტების, რევოლუციონერების, შეგნებული მუშების ცემა-ტყეპის ორგანიზაცია სულ უფრო და უფრო ძლიერდება, სრულყოფილი ხდება, აერთიანებს მოყიდული ბრბოს ძალადობასთან შავრაზმული ჯარის ძალადობას, რომელიც იქამდე მიდის, რომ არტილერიას ხმარობს სოფლად და ქალაქად, ერთვის დამსჯელ ექსპედიციებს, დამსჯელ მატარებლებს და ასე შემდეგ.

ასეთია სურათის ძირითადი ფონი. ამ ფონზე იხატება, — უეჭველია, როგორც რაღაც კერძო, მეორეხარისხოვანი, დამხმარე, — ის მოვლენა, რომლის შესწავლას და შეფასებასაც შეეხება ეს სტატია. რას წარმოადგენს ეს მოვლენა? როგორია მისი ფორმები? მისი მიზეზები? წარმოშობის დრო და გავრცელების დონე? მისი მნიშვნელობა რევოლუციის საერთო მსვლელობაში? მისი დამოკიდებულება მუშათა კლასის ბრძოლასთან, რომელსაც აწყობს და ხელმძღვანელობს სოციალ-დემოკრატია? ასეთია ის საკითხები, რომლებზედაც უნდა გადავიდეთ ახლა, სურათის ზოგადი ფონის დახატვის შემდეგ.

მოვლენა, რომელიც ჩვენ გვაინტერესებს, არის შ ე ი ა რ ა ღ ე ბ უ ლ ი ბრძოლა. მას აწარმოებენ ცალკეული პირები და პატარ-პატარა ჯგუფები. ისინი ნაწილობრივ ეკუთვნიან რევოლუციურ ორგანიზაციებს, ნაწილობრივ (რუსეთის ზოგიერთ ადგილას — მ ე ტ წ ი ლ ა დ) არ ეკუთვნიან არავითარ რევოლუციურ ორგანიზაციას. შეიარაღებული ბრძოლა ისახავს ორ ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა მიზანს, რომელნიც ზ უ ს ტ ა დ უნდა გავარჩიოთ ერთმანეთში; — სახელდობრ, ეს ბრძოლა, ჯერ ერთი, მიმართულია ცალკეულ პირთა, სამხედრო-პოლიციური სამსახურის უფროსთა და ხელქვეითთა მოკვლისაკენ; — მეორეც,

როგორც მთავრობის, ისე კერძო პირთა ფულადი სახსრების კონფისკაციისაკენ. კონფისკებული სახსრები ნაწილობრივ ხმარდება პარტიას, ნაწილობრივ იხარჯება სპეციალურად შეიარაღებაზე და აჯანყების მომზადებაზე, ნაწილობრივ იმ პირთა შესანახავად, რომელნიც ეწევიან ჩვენს მიერ დახასიათებულ ბრძოლას. მსხვილი ექსპროპრიაციები (კავკასიაში, როდესაც წაიღეს 200 ათასზე მეტი, და მოსკოვში — 875 ათასი მანეთი) ხმარდებოდა პირველ რიგში სწორედ რევოლუციურ პარტიებს, — წვრილი ექსპროპრიაციები ხმარდება, უწინარეს ყოვლისა, და ხანდახან სულ მთლად, «ექსპროპრიატორების» შენახვას. ბრძოლის ეს ფორმა ძალიან ფართოდ განვითარდა და გავრცელდა, უეჭველია, მხოლოდ 1906 წელს, ე. ი. დეკემბრის აჯანყების შემდეგ. იმ მიზეზთა შორის, რომელთაც გამოიწვიეს ზემოაღწერილი ბრძოლა, დიდი როლი შეასრულა პოლიტიკური კრიზისის გამწვავებამ შეიარაღებული აჯანყების დონემდე და განსაკუთრებით გაჭირვების, შიმშილობისა და უმუშევრობის გამწვავებამ ქალაქად და სოფლად. როგორც სოციალური ბრძოლის უპირატესი და ე რ თ ა დ ე რ თ ი ფორმაც კი, ბრძოლის ეს ფორმა შეითვისეს მოსახლეობის მაწანწალა ელემენტებმა, ლუმპენებმა და ანარქისტულმა ჯგუფებმა. ბრძოლის «საპასუხო» ფორმად თვითმპყრობელობის მხრივ უნდა მივიჩნიოთ სამხედრო წესები, ახალი ჯარის მობილიზაცია, შავრაზმული რბევა (სედლეცი), სამხედრო-საველე სასამართლოები.

III

განსახილველი ბრძოლის ჩვეულებრივი შეფასება შემდეგში მდგომარეობს: ეს არის ანარქიზმი, ბლანკიზმი, ძველი ტერორი, მასებისაგან მოწყვეტილი ერთეულების მოქმედება, რაც იწვევს მუშების დემორალიზაციას, აშორებს მათ მოსახლეობის ფართო წრეებს, დეზორგანიზაცია შეაქვს მოძრაობაში, ზიანს აყენებს რევოლუციასაო. ასეთი შეფასების დამადასტურებელ მაგალითებს ადვილად გამოძებნიან ხოლმე გაზეთებში ყოველდღიურად გამოქვეყნებული ამბებიდან.

მაგრამ დამამტკიცებელია თუ არა ეს მაგალითები? ეს რომ შევამოწმოთ, ავიღოთ ისეთი მხარე, სადაც ყ ვ ე ლ ა ზ ე მ ე ტ ა დ არის განვითარებული ბრძოლის ხსენებული ფორმა, — ლატვიის მხარე. აი როგორ უჩივის ლატვიის სოციალ-დემოკრატიის მოქმედებას გაზეთი «ნოვოე ვრემია» (9 და 12 სექტემბრის თარიღით). ლატვიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია (რსდმპ ნაწილი) წესიერად უშვებს საკუთარ გაზეთს 30 000 ცალად. ოფიციალურ განყოფილებაში იბეჭდება სიები ჯაშუშებისა, რომელთა მოსპობა ყოველი პატიოსანი ადამიანის მოვალეობაა. პოლიციის ხელშემწყობნი «რევოლუციის მოწინააღმდეგეებად» ცხადდებიან და სიკვდილით უნდა დაისაჯონ; გარდა ამისა, პასუხს აგებენ თავიანთი ქონებითაც. მოსახლეობას ნაბრძანები აქვს, რომ ს.-დ. პარტიისათვის ფული გასცეს მხოლოდ ბეჭედდასმული ქვითრის წარდგენისას. პარტიის უკანასკნელ ანგარიშში აღნიშნულ 48 000 მანეთის წლიურ შემოსავალში მოხსენებულია ექსპროპრიაციის გზით მოპოვებული 5 600 მანეთი, მიღებული ლიბავის განყოფილებისაგან იარაღისათვის. — «ნოვოე ვრემია», რასაკვირველია, ცოფებსა ჰყრის ამ «რევოლუციური კანონმდებლობის», ამ «მრისხანე მთავრობის» წინააღმდეგ.

ვერავინ გაბედავს, რომ ლატვიელ ს. დ.-ების ამ მოქმედებას უწოდოს ანარქიზმი, ბლანკიზმი, ტერორიზმი. მაგრამ რატომ? იმიტომ, რომ აქ ც ხ ა დ ი ა ბრძოლის ახალი ფორმის კავშირი აჯანყებასთან, რომელიც დეკემბერში მოხდა და რომელიც ხელახლა მწიფდება. მთელ რუსეთზე რომ ვილაპარაკოთ, ეს კავშირი ასე აშკარად როდი ჩანს, მაგრამ იგი არსებობს. «პარტიზანული» ბრძოლის გავრცელება სწორედ დეკემბრის შემდეგ, მისი კავშირი არა მარტო ეკონომიური, არამედ პოლიტიკური კრიზისის გამწვავებასთან ეჭვს გარეშეა. ძველი რუსული ტერორიზმი ინტელიგენტ-შეთქმულის საქმე იყო; ახლა პარტიზანულ ბრძოლას, საერთოდ, ეწევა ან მებრძოლი მუშა ან უმუშევარი მუშა. ბლანკიზმი და ანარქიზმი ადვილად მოსდით თავში იმ ადამიანებს, რომელნიც შაბლონს ემორჩილებიან,

მაგრამ აჯანყების ვითარებაში, რაც ასე ნათელია ლატვიის მხარეში, ამ გაზეპირებული იარლიყების უვარგისობა თვალში გეცემათ.

ლატვიელთა მაგალითი ნათლად გვიჩვენებს, რომ სრულიად უმართებულო, არამეცნიერული და არაისტორიულია პარტიზანული ომის ის ანალიზი აჯანყების ვითარებასთან დაუკავშირებლად, რომელიც ესოდენ ჩვეულებრივია ჩვენში. მხედველობაში უნდა მივიღოთ ეს ვითარება, ჩავუფიქრდეთ აჯანყების დიდი აქტების შუალედი პერიოდის თავისებურებებს, უნდა შევიგნოთ, ბრძოლის რა ფორმები წარმოიშობა ამასთანავე აუცილებლად და არ უნდა დავიძვრინოთ თავი გაზეპირებული სიტყვებით, რომლებსაც ერთნაირად იმეორებენ კადეტიცა და ნოვოევრემიაელიც: ანარქიზმი, ძარცვა, მაწანწალობაო!

ამბობენ: პარტიზანულ მოქმედებას ჩვენს მუშაობაში დეზორგანიზაცია შეაქვსო. მივუყენოთ ეს მსჯელობა 1905 წლის დეკემბრის შემდგომ შექმნილ ვითარებას, შავრაზმული დარბევებისა და სამხედრო წესების ეპოქას. რას უფრო მეტი დეზორგანიზაცია შეაქვს მოძრაობაში ასეთ ეპოქაში: წინააღმდეგობის გაუწევლობას თუ ორგანიზებულ პარტიზანულ ბრძოლას? შეადარეთ ცენტრალური რუსეთი მის დასავლეთ განაპირა მხარეებს, პოლონეთსა და ლატვიის მხარეს. ეჭვს გარეშეა, რომ პარტიზანული ბრძოლა გაცილებით უფრო ფართოდ არის გავრცელებული და უფრო დიდად განვითარებულია დასავლეთ განაპირა მხარეში. და ისიც ეჭვს გარეშეა, რომ რევოლუციური მოძრაობა საერთოდ, ს.-დ. მოძრაობა განსაკუთრებით უფრო მეტად დეზორგანიზებულია ცენტრალურ რუსეთში, ვიდრე მის დასავლეთ განაპირა მხარეში. რა თქმა უნდა, ჩვენ აზრადაც არ მოგვდის აქედან ის დასკვნა გამოვიტანოთ, თითქოს პოლონეთისა და ლატვიის ს.-დ. მოძრაობა უფრო ნაკლებად დეზორგანიზებული პარტიზანული ომის წყალობით იყოს. არა. აქედან მხოლოდ ის გამომდინარეობს, რომ პარტიზანული ომი არა-

ფერ შუაშია 1906 წლის რუსეთის ს.-დ. მუშათა მოძრაობის დეზორგანიზაციაში.

აქ ხშირად იმოწმებენ ნაციონალურ პირობათა თავისებურებას. მაგრამ ეს დამოწმება განსაკუთრებით ნათლად ცხადყოფს გავრცელებული არგუმენტაციის სისუსტეს. თუ საქმე ნაციონალური პირობებია, მაშინ საქმე ყოფილა არა ანარქიზმი, ბლანკიზმი, ტერორიზმი, — რაც საერთოდ რუსეთისა და სპეციალურად რუსული ცოდვებია, — არამედ სულ სხვა რაღაც. განიხილეთ ეს სულ სხვა რაღაც კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ ა დ, ბატონებო! თქვენ მაშინ დაინახავთ, რომ ნაციონალური ჩაგვრა ან ანტაგონიზმი ვერაფერსა ხსნის, ვინაიდან იგი ყოველთვის არსებობდა დასავლეთ განაპირა მხარეებში, პარტიზანული ბრძოლა კი მხოლოდ ახლანდელმა ისტორიულმა პერიოდმა წარმოშვა. არის მრავალი ადგილი, სადაც ნაციონალური ჩაგვრა და ანტაგონიზმი არსებობს, მაგრამ არ არის პარტიზანული ბრძოლა, რომელიც ზოგჯერ ყოველგვარი ნაციონალური ჩაგვრის გარეშე ვითარდება. საკითხის კონკრეტული განხილვა დაგვანახვებს, რომ საქმე ნაციონალური ჩაგვრა კი არ არის, არამედ აჯანყების პირობებია. პარტიზანული ბრძოლა არის ბრძოლის აუცილებელი ფორმა ისეთ დროს, როდესაც მასობრივი მოძრაობა ნამდვილად უკვე მისულია აჯანყებამდე და როდესაც სამოქალაქო ომში «დიდ ბრძოლათა» შორის ასე თუ ისე ხანგრძლივი დრო გადის.

მოძრაობაში დეზორგანიზაცია შეაქვს არა პარტიზანულ მოქმედებას, არამედ სისუსტეს პარტიისას, რომელსაც ვერ მოუხერხებია ამ მოქმედების ხ ე ლ მ ძ ღ ვ ა ნ ე ლ ო ბ ა. აი რატომ არის, რომ პარტიზანულ გამოსვლათა შეჩვენებასთან ერთად, რაც გვჩვევია ჩვენ, რუსებს, არსებობს ფარული, შემთხვევითი, მოუწესრიგებელი პარტიზანული მოქმედება, რომელსაც მართლაც დეზორგანიზაცია შეაქვს პარტიაში. რაკი ჩვენ უძლურნი ვართ გავიგოთ, თუ რა ისტორიული პირობები იწვევენ ამ ბრძოლას, უძლურნი ვართ აგრეთვე გავაქარწყლოთ მისი ცუდი მხარეები. ბრძოლა კი მაინც წარმოებს. მას იწვე-

ვენ მძლავრი ეკონომიური და პოლიტიკური მიზეზები. ჩვენ არ ძალგვიძს მოვსპოთ ეს მიზეზები და მოვსპოთ ეს ბრძოლა. ჩვენი ჩივილი პარტიზანულ ბრძოლაზე, — ეს არის ჩივილი ჩვენს პარტიულ სისუსტეზე აჯანყების საქმეში.

რაც დეზორგანიზაციაზე ვთქვით, იგივე ითქმის დემორალიზაციაზედაც. დემორალიზაციას ახდენს არა პარტიზანული ომი, არამედ ა რ ა ო რ გ ა ნ ი ზ ე ბ უ ლ ო ბ ა, უწესრიგობა, პარტიზანული გამოსვლების უპარტიობა. ამ ყ ო ვ ლ ა დ უ ე ჭ ვ ე ლ ი დემორალიზაციისაგან ოდნავადაც ვერ გვიხსნის პარტიზანულ გამოსვლათა გმობა და წყევლა-კრულვა, რადგან ეს გმობა და წყევლა-კრულვა აბსოლუტურად უძლურია შეაჩეროს მოვლენა, რომელსაც ღრმა ეკონომიური და პოლიტიკური მიზეზები იწვევენ. შემოგვედავებიან: თუ ჩვენ უძლურნი ვართ შევაჩეროთ არანორმალური და დემორალიზაციის მომხდენი მოვლენა, ეს იმის საბუთად როდი გამოდგება, რომ პ ა რ ტ ი ა ბრძოლის ანორმალურ და დემორალიზაციის მომხდენ საშუალებებზე გადავიდესო. მაგრამ ასეთი შემოდავება უკვე წმინდა ლიბერალურ-ბურჟუაზიული იქნებოდა და არა მარქსისტული, ვინაიდან სამოქალაქო ომი ან პარტიზანული ომი, როგორც მისი ერთერთი ფორმა, მარქსისტს არ შეუძლია ს ა ზ ო გ ა დ ო დ ანორმალურად და დემორალიზაციის მომხდენად მიიჩნიოს. მარქსისტი დგას არა სოციალური მშვიდობის, არამედ კლასობრივი ბრძოლის ნიადაგზე. მწვავე ეკონომიური და პოლიტიკური კრიზისების გარკვეულ პერიოდებში კლასობრივი ბრძოლა ვითარდება აშკარა სამოქალაქო ომად, ე. ი. ხალხის ორ ნაწილს შორის შეიარაღებულ ბრძოლად. ასეთ პერიოდებში მარქსისტი ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ი ა სამოქალაქო ომის თვალსაზრისზე იდგეს. მარქსიზმის თვალსაზრისით სამოქალაქო ომის რაიმე მორალური დაგმობა სრულიად დაუშვებელია.

სამოქალაქო ომის ეპოქაში პროლეტარიატის პარტიის იდეალია მ ე ო მ ა რ ი პ ა რ ტ ი ა. ეს აბსოლუტურად უდავოა. ჩვენ სავსებით შესაძლებლად მიგვაჩნია, რომ სამოქალა-

ქო ომის თვალსაზრისით შეიძლება ამტკიცოთ და დაამტკიცოთ ამა თუ იმ მომენტში სამოქალაქო ომის ამა თუ იმ ფორმის მ ი ზ ა ნ შ ე უ წ ო ნ ლ ო ბ ა. სამოქალაქო ომის სხვადასხვა ფორმის კრიტიკას ს ა მ ხ ე დ რ ო მ ი ზ ა ნ შ ე წ ო ნ ი ლ ო- ბ ი ს თვალსაზრისით ჩვენ სავსებით ვცნობთ და უეჭველად თანახმა ვართ, რომ ა ს ე თ საკითხში გადამწყვეტი ხმა ეკუთვ- ნის თვითეული კუთხის ს.-დ. პრაქტიკოსებს. მაგრამ მარქსი- ზმის პრინციპების გულისათვის ჩვენ უეჭველად მოვითხოვთ, რომ სამოქალაქო ომის პირობათა ანალიზისაგან თავს არ იძვ- რენდნენ გაცვეთილი და შაბლონური ფრაზებით ანარქიზმის, ბლანკიზმის, ტერორიზმის შესახებ, რომ პარტიზანულ მოქმე- დებათა უაზრო ხერხებს, რომლებსაც იყენებს პოლონეთის სოციალისტური პარტიის ესა და ეს ორგანიზაცია ამა და ამ მომენტში, არ სახავდნენ საფრთხობელად საზოგადოდ პარტი- ზანულ ომში ს.-დ. მონაწილეობის საკითხის გამო.

პარტიზანული ომის მიერ მოძრაობის დეზორგანიზაციაზე მითითებას კრიტიკულად უნდა ვეპყრობოდეთ. ბრძოლის ყ ო- ვ ე ლ გ ვ ა რ ი ახალი ფორმა, რომელიც დაკავშირებულია ახალ საფრთხესთან და ახალ მსხვერპლთან, აუცილებლად «დეზორგანიზაციას» ახდენს ბრძოლის ამ ახალი ფორმისათვის მოუმზადებელ ორგანიზაციებში. პროპაგანდისტთა ჩვენს ძველ წრეებში დეზორგანიზაცია შეჰქონდა აგიტაციაზე გადასვლას. შემდგომ ჩვენს კომიტეტებში დეზორგანიზაცია შეჰქონდა დემონსტრაციებზე გადასვლას. ყოველგვარ სამხედრო მოქმე- დებას იმ დროს, როგორიც უნდა იყოს ეს ომი, განსაზღვრული დეზორგანიზაცია შეაქვს მეომართა რიგებში. მაგრამ აქედან როდი შეიძლება დავასკვნათ, რომ არ უნდა ვიომოთ. აქე- დან მხოლოდ ის უნდა დავასკვნათ, რომ საჭიროა ომი ვ ი ს- წ ა ვ ლ ო თ. ესაა და ეს.

როდესაც ვხედავ სოციალ-დემოკრატებს, რომელნიც ამა- ყად და თვითკმაყოფილებით აცხადებენ: ჩვენ ანარქისტები, ქურდები, მძარცველები როდი ვართ, ჩვენ ამაზე მაღლა ვდგა- ვართ, ჩვენ უარვყოფთ პარტიზანულ ომსაო, მე ვეკითხები ჩემს

თავს: ესმით კი ამათ, რასაც ლაპარაკობენ? მთელ რუსეთში ხდება შავრაზმული მთავრობის შეიარაღებული შეტაკება და ბრძოლა მოსახლეობასთან. რევოლუციის განვითარების ახლანდელ საფეხურზე ეს მოვლენა აბსოლუტურად გარდუვალია. მოსახლეობა სტიქიურად, არაორგანიზებულად — და სწორედ ამიტომ ხშირად უვარგისი და ც უ დ ი ფორმით — უპასუხებს ამ მოვლენას აგრეთვე შეიარაღებული შეტაკებებითა და თავდასხმებით. მე მესმის, რომ ჩვენი ორგანიზაციის სისუსტისა და მოუმზადებლობის გამო შეგვიძლია ხელი ავიღოთ ა მ სტიქიური ბრძოლის პარტიულ ხელმძღვანელობაზე ამა თუ იმ ადგილას და ამა თუ იმ მომენტში. მე მესმის, რომ ეს საკითხი უნდა გადაწყვიტონ ადგილობრივმა პრაქტიკოსებმა, რომ სუსტი და მოუმზადებელი ორგანიზაციების გარდაქმნა ადვილი საქმე როდია. მაგრამ როდესაც ვხედავ, რომ სოციალ-დემოკრატიის თეორეტიკოსი ან პუბლიცისტი ამ მოუმზადებლობის გამო მწუხარებას კი არა გრძნობს, არამედ ამაყური თვითკმაყოფილებითა და თავმომწონე აღფრთოვანებით იმეორებს ყრმობაში გაზეპირებულ ფრაზებს ანარქიზმის, ბლანკიზმის, ტერორიზმის შესახებ, მაშინ მე გული მტკივა ქვეყნად ყველაზე რევოლუციური დოქტრინის დამცირების გამო.

ამბობენ: პარტიზანული ომი შეგნებულ პროლეტარიატს დაქვეითებულ ლოთ მაწანწალებს უახლოვებსო, ეს მართალია. მაგრამ აქედან მხოლოდ ის გამომდინარეობს, რომ პროლეტარიატის პარტიას არასოდეს არ შეუძლია პარტიზანული ომი ბრძოლის ერთადერთ ან თუნდ მთავარ საშუალებად ჩათვალოს; რომ ეს საშუალება უნდა დავუმორჩილოთ სხვა საშუალებებს, უნდა შევუფარდოთ ბრძოლის მთავარ საშუალებებს, უნდა გავაკეთილშობილოთ სოციალიზმის განმანათლებელი და მაორგანიზებელი გავლენით. ხოლო თუ ეს უ კ ა ნ ა ს კ ნ ე ლ ი პირობა არ იქნება, ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ბრძოლის ყ ვ ე ლ ა, გადაჭრით ყველა საშუალება აახლოებს პროლეტარიატს მის ზემოთ თუ ქვემოთ მდგომ სხვადასხვა არაპროლეტარულ ფენებთან და, მოვლენათა სტიქიური მსვლე-

ლობის ანაბარა მიტოვებული, ცვდება, მახინჯდება, ირყვნება. გაფიცვები, თუ მათ მოვლენათა სტიქიურ მსვლელობას მივანდობთ, გადაგვარდებიან «Alliances»-დ — მუშათა და მეპატრონეთა შეთანხმებად მომხმარებლების წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ. პარლამენტი ირყვნება და იქცევა საროსკიპოდ, სადაც ბურჟუაზიული პოლიტიკანების ხროვა ბითუმად და ცალობით ვაჭრობს «ხალხის თავისუფლებით», «ლიბერალიზმით», «დემოკრატიით», რესპუბლიკანიზმით, ანტიკლერიკალიზმით, სოციალიზმით და ყველა სხვა გასავლიანი საქონლით. გაზეთი ირყვნება და იქცევა ყველასათვის ხელმისაწვდომ მაჭანკლად, მასების გარყვნის იარაღად, ბრბოს ქვენა ინსტინქტების წინაშე ტლანქი მლიქვნელობის იარაღად და სხვ., და სხვ.. სოციალ-დემოკრატიამ არ იცის ბრძოლის უნივერსალური საშუალებანი, ისეთები, რომელნიც ჩინური კედლით გამიჯნავდნენ პროლეტარიატს იმ ფენებისაგან, რომელნიც მასზე ცოტა მაღლა ან ცოტა დაბლა დგანან. სოციალ-დემოკრატია სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა საშუალებას ხმარობს და მათ გამოყენებას ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს ფარგლავს ს ა ს ტ ი კ ა დ განსაზღვრული იდეური და ორგანიზაციული პირობებით *.

IV

ევროპის ბურჟუაზიულ რევოლუციებთან შედარებით რუსეთის რევოლუციაში ბრძოლის ფორმები უდიდესი სხვადასხვანაირობით განირჩევა. კაუტსკიმ ეს ნაწილობრივ იწინასწარმეტყველა, როდესაც 1902 წელს თქვა: მომავალი რევო-

* ბოლშევიკ ს.-დ.-ებს ხშირად აბრალებენ პარტიზანული გამოსვლებისადმი განუსჯელს, მიკერძოებულ დამოკიდებულებას. ამიტომ ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ, რომ რეზოლუციის პროექტში პარტიზანულ მოქმედებათა შესახებ (იხ. «პარტიინიე იზვესტია» № 2 და ლენინის მოხსენება ყრილობაზე) ბოლშევიკების ის ნ ა წ ი ლ ი, რომელიც იცავდა ასეთ მოქმედებებს, აყენებდა მათი აღიარების შემდეგ პირობებს: კერძო ქონების «ექსები» სრულიად არ დაიშვებოდა; სახაზინო ქონების «ექსებს» კი არ ურჩევდა, არამედ მხოლოდ დ ა ს ა შ ვ ე ბ ა დ თვლიდა იმ პირობით, თუ ამას კ ო ნ ტ რ ო ლ ს გ ა უ წ ე ვ დ ა პ ა რ ტ ი ა და თუ სახსრები ა ჯ ა ნ ყ ე ბ ი ს ს ა ჭ ი რ ო ე ბ ა ს მოხმარდებოდა. პარტიზანულ მოქმე-

ლუცია (იგი დასძენდა: შ ე ს ა ძ ლ ო ა რუსეთის გამოკლებით) იქნება არა იმდენად ხალხის ბრძოლა მთავრობასთან, რამდენადაც ბრძოლა ხალხის ორ ნაწილს შორისო. რუსეთში ჩვენ, უეჭველია, ვხედავთ ამ მ ე ო რ ე ბრძოლის უფრო ფართო განვითარებას, ვიდრე დასავლეთის ბურჟუაზიულ რევოლუციებში. ხალხის წრიდან გამოსული მტრები ჩვენი რევოლუციისა მცირერიცხოვანნი არიან, მაგრამ ბრძოლის გამწვავებასთან ერთად ისინი სულ უფრო და უფრო მეტად ირაზმებიან და მათ მხარს უჭერენ ბურჟუაზიის რეაქციული ფენები. ამიტომ სრულიად ბუნებრივი და აუცილებელია, რომ ა ს ე თ ეპოქაში, საყოველთაო-სახალხო პოლიტიკურ გაფიცვათა ეპოქაში, ა ჯ ა ნ ყ ე ბ ა ვერ ჩამოყალიბდება იმ ცალკეული აქტების ძველ ფორმად, რომლებიც შემოფარგლულია ძალიან მოკლე დროით და ძალიან მცირე ტერიტორიით. სავსებით ბუნებრივი და აუცილებელია, რომ აჯანყება იღებს ხანგრძლივი, მთელი ჩვენი ქვეყნის მომცველი სამოქალაქო ომის უფრო მაღალ და რთულ ფორმებს, ე. ი. ხალხის ორ ნაწილს შორის შეიარაღებული ბრძოლის ფორმებს. ასეთი ომი შეუძლებელია წარმოვიდგინოთ სხვანაირად, თუ არა რამდენიმე, ერთმანეთისაგან შედარებით ხანგრძლივი დროით დაშორებულ, დიდ ბრძოლად და ამ ხნის განმავლობაში მომხდარ მრავალ მცირე შეტაკებად. რაკი ეს ასეა, — ეს კი უეჭველად ასეა, — სოციალ-დემოკრატია აუცილებლად უნდა ისახავდეს ამოცანად ისეთი ორგანიზაციების შექმნას, რომელთაც უნარი ექნებათ რაც შეიძლება მეტი ხელმძღვანელობა გაუწიონ მასებს როგორც ამ დიდ ბრძოლებში, ისე, შეძლებისამებრ, ამ წვრილ შე-

---

დებას ტერორის ფორმით უ რ ჩ ე ვ დ ა მთავრობის მოძალადეთა და ა ქ ტ ი უ რ შავრაზმელთა წინააღმდეგ, მაგრამ იმ პირობით, რომ: 1) ანგარიში გაგვეწია ფართო მასების სულისკვეთებისათვის; 2) მხედველობაში მიგვეღო ამა თუ იმ ადგილის მუშათა მოძრაობის პირობები; 3) გვეზრუნა იმაზე, რომ პროლეტარიატის ძალღონე ტყუილუბრალოდ არ დახარჯულიყო. გამაერთიანებელი ყრილობის მიერ მიღებული რეზოლუცია ამ პროექტისაგან პრაქტიკულად მ ხ ო ლ ო დ იმით განირჩევა, რომ აკრძალულია სახაზინო ქონების «ექსები».

ტაკებებში. სოციალ-დემოკრატია კლასთა ბრძოლის სამოქალაქო ომად გამწვავების ეპოქაში ამოცანად უნდა ისახავდეს არა მარტო იმას, რომ მონაწილეობა მიიღოს, არამედ ხელმძღვანელი როლიც შეასრულოს ამ სამოქალაქო ომში. სოციალ-დემოკრატიამ თავისი ორგანიზაციები ისე უნდა აღზარდოს და მოამზადოს, რომ ისინი ნამდვილად გამოდიოდნენ მეომარ მხარედ, რომელიც არც ერთ შემთხვევას არ გაუშვებს ხელიდან, რათა მტრის ძალებს ზიანი მიაყენოს.

თქმა არ უნდა, ეს ძნელი ამოცანაა. მისი ერთბაშად გადაწყვეტა შეუძლებელია. როგორაც სამოქალაქო ომის დროს მთელი ხალხი ხელახლა იზრდება და იწვრთნება ბრძოლაში, ისე ჩვენი ორგანიზაციებიც უნდა აღვზარდოთ, გამოცდილების მიხედვით გარდავქმნათ იმისათვის, რომ ეს ამოცანა შეასრულონ.

ჩვენ მცირეოდენი პრეტენზიაც კი არა გვაქვს იმისა, რომ პრაქტიკოსებს თავს მოვახვიოთ ბრძოლის რაიმე შეთხზული ფორმა, ან იმისაც კი, რომ კაბინეტიდან გადავწყვიტოთ საკითხი, თუ რა როლი ეკუთვნის პარტიზანული ომის ამა თუ იმ ფორმას რუსეთის სამოქალაქო ომის საერთო მსვლელობაში. ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ ამა თუ იმ პარტიზანულ გამოსვლათა კონკრეტულ შეფასებაში დავინახოთ საკითხი მიმართულებისა სოციალ-დემოკრატიაში. ჩვენ ამოცანად მხოლოდ ის მიგვაჩნია, რომ შეძლებისამებრ ხელი შევუწყოთ ბრძოლის იმ ახალი ფორმების სწორ თეორიულ შეფასებას, რომლებსაც ცხოვრება აყენებს; — რომ დაუნდობლად ვებრძოლოთ შაბლონსა და ცრურწმენას, რომელნიც ხელს უშლიან შეგნებულ მუშებს სწორედ დააყენონ ახალი და ძნელი საკითხი, სწორედ მიუდგნენ მის გადაწყვეტას.

«პროლეტარი» № 5,
1906 წ. 30 სექტემბერი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის»
ტექსტის მიხედვით

პარტიზანული ომის საკითხისათვის[69]

ჩვენ ეს რეზოლუცია პრინციპულად სწორ რეზოლუციად მიგვაჩნია და აღვნიშნავთ, რომ იგი ეთანხმება იმ დებულებებს, რომლებიც ჩვენ განვავითარეთ სტატიაში «პარტიზანული ომი». თვით რეზოლუციის ტექსტში შესატანად ჩვენ წამოვაყენებდით რამდენიმე მეორეხარისხოვან შესწორებას და დამატებას. მოტივების მე-3 მუხლში ჩვენ ვიტყოდით: «რევოლუციას, არ შესწევს რა ძალა ა ხ ლ ა ნ დ ე ლ მ ო მ ე ნ ტ შ ი» და სხვ.. თვით სარეზოლუციო ნაწილში ჩვენ დავუმატებდით «ექსების» უარყოფას, თანახმად ყრილობის დადგენილებისა, შემდეგ. დავუმატებდით მითითებას, რომ აუცილებლად საჭიროა პარტიზანული გამოსვლები შევუფარდოთ ფართო მასების სულისკვეთებას და მუშათა მოძრაობის პირობებს. თუმცა ცხადია, მოსკოველ ამხანაგებს ეს თავისთავად გასაგებად მიაჩნიათ.

«პროლეტარი» № 5,
1906 წ. 30 სექტემბერი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

რუსეთის პოლიტიკურ პარტიათა კლასიფიკაციის ცდა

რსდმპ გამაერთიანებელმა ყრილობამ, როგორც ცნობილია, თავი აარიდა რუსეთის პოლიტიკური პარტიების კლასობრივი ანალიზისა და მათდამი პროლეტარული დამოკიდებულების გარკვევის ამოცანას. ამსტერდამის რეზოლუციის [70] ზოგადი დადასტურება მხოლოდ თავის არიდების ფორმაა და სხვა არაფერი. რევოლუცია კი უფრო და უფრო დაჟინებით მოითხოვს ჩვენგან მარქსისტული მეთოდისა და მარქსისტული თეორიის გამოყენებას პარტიათა შექმნის იმ ღრმა და ფრიად საინტერესო პროცესის გასაშუქებლად, რომელიც, გასაგები მიზეზების გამო, რუსეთში უფრო სწრაფად და უფრო მწვავედ მიმდინარეობს, ვიდრე სხვაგან სადმე.

რასაკვირველია, ეს პროცესი სრულიადაც არ დამთავრებულა და მას ჯერჯერობით არავითარი სავსებით მტკიცე შედეგები არ მოუცია. მაგრამ ეს პროცესი არც ა რ ა ს ო დ ე ს დამთავრდება კაპიტალისტურ საზოგადოებაში, ხოლო მისი შედეგები შეიძლებოდა «მტკიცე» ყოფილიყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რევოლუცია, როგორც მთელი ძველი პოლიტიკური ზედნაშენის მძაფრი მსხვრევა, შეჩერდებოდა. ამიტომ ჩვენ არასგზით არ შეგვიძლია გადავდოთ ბურჟუაზიულ პარტიათა ანალიზის ამოცანა, მით უმეტეს, რომ, ერთი მხრივ, ოქტომბრის თავისუფლებათა პერიოდმა და, მეორე მხრივ, პირველი სათათბიროს პერიოდმა, უეჭველია, უკვე მოგვცეს დ ი დ ი შედეგები, რომელთაც არ შეიძლება ანგარიში არ გავუწიოთ. როგორც აშკარა რევოლუციური ბრძოლა გაფიცვის,

აჯანყებისა და სხვ. ფორმით, ისე ახალი საარჩევნო კამპანია მოითხოვს ჩვენი პარტიისაგან ნათლად და ცხადად განსაზღვროს თავისი დამოკიდებულება სხვადასხვა პარტიისადმი, ეს კი შესაძლებელია მხოლოდ მათი მეცნიერული, ე. ი. კლასობრივი ანალიზის საფუძველზე.

დავიწყოთ რაოდენადმე მნიშვნელოვანი პოლიტიკური პარტიების (ან, შეიძლება ითქვას, პარტიათა ტ ი პ ე ბ ი ს *) ჩამოთვლით «მემარჯვენეებიდან» «მემარცხენეებისაკენ». 1) რუსი ხალხის კავშირი, მონარქისტები და სხვ. 2) უფლებრივი წესრიგის პარტია. 3) ოქტიაბრისტები. 4) მშვიდობიანი განმაახლებელნი. 5) დემოკრატიულ რეფორმათა პარტია. 6) კადეტები. 7) თავისუფალი მოაზროვნენი, რადიკალები, ბეზზაგლავიელები და სხვ. 8) შრომის სახალხო სოციალისტები. 9) სოციალისტ-რევოლუციონერები. 10) მაქსიმალისტები. 11) სოციალ-დემოკრატები — მენშევიკები და ბოლშევიკები. ანარქისტებს არ ვიხსენიებთ, რადგან მათი (და, შეიძლება ითქვას, აგრეთვე მაქსიმალისტების) მიჩნევა პოლიტიკურ პარტიად ძალიან საეჭვო იქნებოდა.

პარტიათა ამ ჭრელ მწკრივში ცხადად გამოიყოფა ჩვენებური პოლიტიკური პარტიების ხ უ თ ი ძირითადი ტ ი პ ი: 1) შავრაზმელები; 2) ოქტიაბრისტები; 3) კადეტები; 4) ტრუდოვიკები და 5) სოციალ-დემოკრატები. ასეთი დაჯგუფების სისწორეს ამტკიცებს ამა თუ იმ პარტიის კლასობრივი ბუნების განხილვა.

---

* ჩვენ ვლაპარაკობთ პარტიათა ტ ი პ ე ბ ზ ე, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ შეუძლებელია ყველა წვრილმან დაყოფას გამოვეკიდოთ, და არც ისე დიდი მნიშვნელობა აქვს ამას (მაგ., რომელიმე პროგრესულ-სამრეწველო პარტიის ან «დისკის»[71] განსხვავება უფლებრივი წესრიგის პარტიისაგან სრულიად უმნიშვნელოა); მეორეც, შეცდომა იქნებოდა ანგარიში გაგვეწია მხოლოდ ფორმალურად გამოსული პარტიებისათვის და გამოგვეტოვებინა სავსებით დასახული პოლიტიკური მიმდინარეობანი. საკმარისია პოლიტიკური ატმოსფეროს სულ მცირეოდენი ცვლილება, და ეს მიმდინარეობანი რამდენიმე კვირაში პ ა რ ტ ი ა თ ა ფორმას მიიღებენ.

სოციალ-დემოკრატიის ცალკეულ ტიპად გამოყოფის აუცილებლობა ეჭვს გარეშეა. ეს ზოგადევროპული ტიპია. რუსეთში ეს არის ერთადერთი მ უ შ ა თ ა პარტია, პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს პარტია როგორც თავისი შემადგენლობით, ისე თავისი მტკიცედ გარკვეული პროლეტარული თვალსაზრისით.

შემდეგ, არანაკლებ ცხადია ტ რ უ დ ო ვ ი კ ე ბ ი ს ცალკე ტიპად გამოყოფის აუცილებლობა. ამ ტიპს ეკუთვნიან: «შრომის სახალხო-სოციალისტური პარტია», საკუთრივ ესერები და, ბოლოს, მაქსიმალისტები. ისინი ყველანი «შრომის საწყისის» პრინციპულ თვალსაზრისზე დგანან. მათ ყველას ახასიათებს მისწრაფება—გააერთიანონ და შეაერთონ ერთ «შრომის ჯგუფად» პროლეტარი და წვრილი მწარმოებელი. ისინი ისწრაფიან დაეყრდნონ უპირატესად გლეხობას. და სახელმწიფო სათათბირომ, გამოჰყო რა შრომის ჯგუფად გლეხთა დეპუტატების უმრავლესობა, ფაქტიურად დაამტკიცა, რომ ხსენებულმა მიმართულებებმა მოახერხეს (მეტნაკლებად) მართლაც ჩაეყარათ საძირკველი გლეხობის პოლიტიკური ორგანიზაციისათვის.

მართალია, ამ ტიპის პოლიტიკური პარტიები, ს.-დ.-ებთან შედარებით, განუზომლად ნაკლებად არიან გაფორმებულნი და დამთავრებულნი ჩამოყალიბების მხრივ. ნომინალურად მაქსიმალისტების პარტია არ არსებობს, თუმცა სოციალისტ-რევოლუციონერებთან მათი გათიშვა მომხდარი ფაქტია, რომელიც დადასტურებულია მათი როგორც ლიტერატურული, ისე ტერორისტული გამოსვლების დამოუკიდებლობით. სახელმწიფო სათათბიროში ესერებს არ შეუქმნიათ საკუთარი ფრაქცია და შრომის ჯგუფელების ნ ა წ ი ლ ი ს ზურგს უკან მოქმედებდნენ. «შრომის სახალხო-სოციალისტური პარტიაც» მხოლოდ ახლა იბადება, თუმცა იგი ლიტერატურულად უკვე გამოდის არა მარტო წმინდა ესერებთან ბლოკით, არამედ სავსებით დამოუკიდებლადაც; სათათბიროშიც მისი ლიდერები ნაწილობრივ ესერებთან ერთად, ნაწილობრივ მათგან დამოუკიდებლად მოქმედებდნენ. «ს.-რ. პარტიის პირველი ყრილობის

ოქმებიც» (პარიზი. 1906) ცხადყოფს ამ შრომის სახალხო სოციალისტების გამოსვლას, როგორც განსაკუთრებული «ჯ გ უ ფ ი ს ა ს», რომელსაც ს.-რ. პარტიისაგან დამოუკიდებლად უჭირავს თავი. ერთი სიტყვით, ამ ბანაკში ვხედავთ (1) კონსპირაციულ პარტიას (ს.-რ.), რომელსაც სრულიად არ ძალუძს შექმნას რაოდენადმე მტკიცე და რაოდენადმე მასობრივი ორგანიზაცია,—არ ძალუძს იმოქმედოს დამოუკიდებლად, თავისი დროშით არც სახ. სათათბიროში, არც თავისუფლებათა პერიოდის ლიტერატურაში; (2) ლეგალურ პარტიას (შრ. სახ. სოც.), რომელიც უ ნ დ ა წ ა რ მ ო ი შ ვ ა ს და რომელიც გამოვიდა, როგორც ჯგუფი, ს.-რ. ყრილობაზე (1905 წ. დეკემბერი), მაგრამ აქამდე ვერ მოუხერხებია მასობრივი ორგანიზაციის შექმნის დაწყებაც კი და როგორც ლიტერატურაში, ისე სახ. სათათბიროში მოქმედებს უმეტესად ს.-რ.-ებთან ბლოკშეკრული.

ის ფაქტი, რომ შედარებითი თავისუფლების ორი პერიოდის შემდეგაც («ოქტომბრისა» და «სათათბიროს» პერიოდები) ტრუდოვიკები ისევ რჩებიან პოლიტიკურად ჩამოუყალიბებელნი, რასაკვირველია, არ შეიძლება შემთხვევით აიხსნას. უეჭველია, აქ გავლენას ახდენს ის გარემოება, რომ წვრილ ბურჟუაზიას, პროლეტარიატთან შედარებით, ორგანიზების ნაკლები უნარი აქვს (განსაკუთრებით სოფლად). უეჭველია, რომ ტრუდოვიკების იდეური დაბნეულობაც გამოსახავს თანამედროვე წვრილი მწარმოებლის საზოგადოებაში არსებულ ფრიად მერყევ მდგომარეობას: ტრუდოვიკების უკიდურესი მემარჯვენე ფრთა («შრომის სახალხო-სოციალისტური პარტია» ბატონ პეშეხონოვების მეთაურობით) ძალიან ნაკლებად განსხვავდება კადეტებისაგან, ვინაიდან იგი პროგრამიდან აგდებს რესპუბლიკასაც და მთელი მიწის მოთხოვნასაც; ტრუდოვიკების უკიდურესი მემარცხენე ფრთა, მაქსიმალისტები, ძალიან მცირედ განირჩევა ანარქისტებისაგან.

ეს ორი უკიდურესობა, ასე ვთქვათ, გვიჩვენებს მშრომელი წვრილი ბურჟუაზიის პოლიტიკური მერყეობის ამპლიტუდას.

ეკონომიურად სავსებით გასაგებია, რომ სწორედ წვრილი ბურჟუაზია იჩენს ასეთ მერყეობას. უეჭველია, რუსეთის რევოლუციის უახლოესი მომავალი ამ მერყეობას უფრო გააძლიერებს, ვიდრე შეასუსტებს. მაგრამ როცა ამ მერყეობას აღვნიშნავთ და განვმარტავთ, ჩვენ, რასაკვირველია, არ უნდა დავივიწყოთ ტრუდოვიკების ტიპის პარტიათა უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა. ნამდვილი პოლიტიკური თავისუფლება ყველაზე მეტად გააძლიერებს სწორედ ამ პარტიებს, ვინაიდან პოლიტიკური თავისუფლების უქონლობის დროს ორგანიზების უნარი მათ უფრო სუსტი აქვთ, ვიდრე ბურჟუაზიას, აგრეთვე უფრო სუსტი, ვიდრე პროლეტარიატს. მეორე მხრივ, ისეთ უპირატესად წვრილბურჟუაზიულ და გლეხურ ქვეყანაში, როგორიც რუსეთია, სრულიად გარდუვალია იდეურად მერყევი და პოლიტიკურად დაუდგრომელი, მაგრამ ფრიად დიდი წვრილბურჟუაზიული ანუ «შრომის» პარტიების წარმოშობა.

ისეთ ქვეყანაში, როგორიც რუსეთია, ბურჟუაზიული რევოლუციის შედეგი ყველაზე მეტად დამოკიდებულია წვრილ მწარმოებელთა პოლიტიკურ მოქმედებაზე. მსხვილი ბურჟუაზია რომ გვიღალატებს, ეს ეჭვს გარეშეა (მან უკვე ორი მესამედით გვიღალატა). პროლეტარიატი რომ ყველაზე საიმედო მებრძოლი იქნება, ამის მტკიცება რუსი მუშების მიმართ, ოქტომბრისა და დეკემბრის შემდეგ, საჭიროც არ არის. წვრილი ბურჟუაზია კი სწორედ ის ცვალებადი სიდიდეა, რომელიც შედეგს განსაზღვრავს. ამიტომ სოციალ-დემოკრატები განსაკუთრებული ყურადღებით უნდა დაუკვირდნენ მის ახლანდელ პოლიტიკურ ქანაობას კადეტურ ლოიალურ უბადრუკობასა და გაბედულ, ულმობელ რევოლუციურ ბრძოლას შორის. და, რასაკვირველია, ისინი ამ პროცესს არა მარტო უნდა დაუკვირდნენ, არამედ შეძლებისამებრ მასზე პროლეტარულ გავლენასაც უნდა ახდენდნენ.

გავყვეთ ქვევით. კადეტების ცალკეულ ტიპად გამოყოფის აუცილებლობა ეჭვს გარეშეა. დემოკრატიული რეფორმების

პარტია მათ მარჯვნივ, თავისუფლად მოაზროვნენი, რადიკალები და სხვანი მარცხნივ—სრულიად უმნიშვნელო განშტოებანია და მეტი არაფერი. თანამედროვე პოლიტიკური ეპოქისათვის კადეტები დამოუკიდებელი პოლიტიკური ტიპია. მისი განსხვავება ტრუდოვიკებისაგან ცხადია. ტიპიური ტრუდოვიკი, ეს არის შეგნებული გლეხი. მისთვის უცხო არ არის მონარქიასთან გარიგების მისწრაფება, ბურჟუაზიული წყობილების ფარგლებში თ ა ვ ი ს მიწის ნაკვეთზე დამშვიდების მისწრაფება, მაგრამ ამჟამად მისი მთავარი ძალა მიმართულია ბრძოლისაკენ მემამულეების წინააღმდეგ—მიწისათვის, ბრძოლისაკენ ბატონყმური სახელმწიფოს წინააღმდეგ—დემოკრატიისათვის. მისი იდეალია ექსპლოატაციის მოსპობა; ოღონდ ეს მოსპობა მას წარმოუდგენია წვრილბურჟუაზიულად, და ამიტომ მისი მისწრაფებიდან ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ გამომდინარეობს ბრძოლა არა ყოველგვარ ექსპლოატაციასთან, არამედ ბრძოლა მხოლოდ ისეთ ექსპლოატაციასთან, რომელსაც მემამულენი და მსხვილი ფინანსისტები ეწევიან. კადეტი ტიპიური ბურჟუაზიული ინტელიგენტია და ნაწილობრივ ლიბერალური მემამულეც კი. მონარქიასთან გარიგება, რევოლუციის შეწყვეტა მისი ძირითადი მისწრაფებაა. კადეტი, ბრძოლის უნარს სავსებით მოკლებული, ნამდვილი მაკლერია. მისი იდეალია ბურჟუაზიული ექსპლოატაციის სამუდამოდ განმტკიცება მოწესრიგებული, ცივილიზებული, პარლამენტური ფორმებით. მისი პოლიტიკური ძალაა გაერთიანება ბურჟუაზიული ინტელიგენციის უზარმაზარი მასისა, რომელიც აუცილებელია ყოველ კაპიტალისტურ საზოგადოებაში, მაგრამ რომელიც, რასაკვირველია, აბსოლუტურად მოკლებულია უნარს ოდნავ მაინც სერიოზულად მოახდინოს გავლენა ამ საზოგადოების წესების ნამდვილ შეცვლაზე.

ტიპიური ოქტიაბრისტი ბურჟუაზიული ინტელიგენტი კი არა, არამედ მსხვილი ბურჟუა არის. იგი ბურჟუაზიული საზოგადოების იდეოლოგი კი არ არის, არამედ მისი უშუალო ბატონ-პატრონია. იგი პირდაპირ დაინტერესებულია კაპიტა-

ლისტური ექსპლოატაციით და ზიზღით უყურებს ყოველგვარ თეორიას, აფურთხებს ინტელიგენციას და უკუაგდებს «დემოკრატიზმის» ყოველგვარ პრეტენზიას, რომელიც კადეტებს მოსდგამთ. იგი ბურჟუა-მოსაქმეა. იგიც, როგორც კადეტი, მიისწრაფის მონარქიასთან გარიგებისაკენ, მაგრამ ამ გარიგებად გულისხმობს არა ამა თუ იმ პოლიტიკურ სისტემას, არა პარლამენტარიზმს, არამედ რამდენიმე პირის ან მეთაურის შეთანხმებას მეფის კარის კამარილიასთან, რათა მმართველ ბურჟუაზიას პირდაპირ დაუმორჩილონ მოუქნელი, ყეყეჩი და აზიურად მექრთამე რუსი მოხელე. ოქტიაბრისტი,—ეს არის კადეტი, რომელიც პრაქტიკულ ცხოვრებაში იყენებს თავის ბურჟუაზიულ თეორიებს. კადეტი, — ეს არის, ოქტიაბრისტი, რომელიც, როდესაც მოიცლის მუშებისა და გლეხების ძარცვისაგან, ოცნებობს იდეალურ ბურჟუაზიულ საზოგადოებაზე. ოქტიაბრისტი ჯერ კიდევ ცოტაოდენს ისწავლის პარლამენტურ მოქცევასა და პოლიტიკურ თვალთმაქცობას დემოკრატიზმის თამაშში. კადეტი ჯერ კიდევ ცოტაოდენს ისწავლის საქმიან ბურჟუაზიულ გეშეფტმახერობას,—და ისინი შეერთდებიან, გარდუვალად და აუცილებლად შეერთდებიან, სრულიად დამოუკიდებლად იმისა, შესძლებენ თუ არა სწორედ ახლანდელ მომენტში და სწორედ ახლანდელი «მშვიდობიანი განმაახლებელნი» ამ შეერთების განხორციელებას.

მაგრამ ნუ ვილაპარაკებთ მომავალზე. ჩვენი საქმე ისაა, რომ ვისწავლოთ აწმყოს გაგება. როდესაც მთელი ძალაუფლება მეფის კარის არამზადათა ხროვას ხელშია, სრულიად ბუნებრივია, რომ კადეტების მარტოოდენ დემოკრატიული ფრაზებიც და მათი «პარლამენტური» ოპოზიციაც ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ სამსახურს უწევდა კადეტებზე უფრო მარცხნივ მდგომ ელემენტებს. ბუნებრივია ისიც, რომ ოქტიაბრისტი, ამ ელემენტებისადმი უშუალოდ მტრულად განწყობილი, გაბრაზებული შორდება კადეტს და მხარს უჭერს (პირველ სათათბიროს არჩევნებში) მთავრობის შავრაზმელებს.

შავრაზმელები შეადგენენ ჩვენებურ პოლიტიკურ პარტიათა უკანასკნელ ტიპს. მათ უნდათ არა «17 ოქტომბრის კონსტიტუცია», როგორაც ბატონ გუჩკოვებს, არამედ თვითმპყრობელობის შენარჩუნება და ფორმალური აღდგენა. მათ ინტერესს შეადგენს მთელი ის სიბინძურე, სიბნელე და გამყიდველობა, რაც იფურჩქნება სათაყვანებელი მონარქის სრული ძალაუფლებიანობის დროს. მათ აკავშირებს გაცოფებული ბრძოლა კამარილიის პრივილეგიებისათვის, ბრძოლა იმისათვის, რომ შესაძლებლობა ჰქონდეთ წინანდებურად ძარცვონ, იძალადონ და მთელ რუსეთს პირში ბურთი ჩასჩარონ. ახლანდელი მეფის მთავრობის დაცვა რადაც უნდა დაჯდეს — აი რა აკავშირებს მათ ყოველ ნაბიჯზე ოქტიაბრისტებთან, ამიტომაც რომელიმე უფლებრივი წესრიგის პარტიის წევრთა შესახებ ასე ძნელია ითქვას, სად თავდება შავრაზმელი და სად იწყება ოქტიაბრისტი.

ამრიგად, რუსეთის რევოლუციამ სულ მოკლე ხანში დასახა პოლიტიკურ პარტიათა დიდი ტიპები, რომელნიც შეეფარდებიან რუსი საზოგადოების ყველა ძირითად კლასს. ჩვენ გვყავს პარტია შეგნებული, სოციალისტური პროლეტარიატისა, — პარტიები რადიკალური თუ მორადიკალო წვრილი ბურჟუაზიისა და უწინარეს ყოვლისა სოფლის წვრილი ბურჟუაზიისა, ე. ი. გლეხობისა,—პარტიები ლიბერალურ-ბურჟუაზიულნი,— პარტიები რეაქციულ-ბურჟუაზიულნი. პოლიტიკურ დაჯგუფებათა შეუფარდებლობა ეკონომიურ, კლასობრივ დაყოფასთან მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ორ უკანასკნელ ჯგუფს უპირისპირდება პოლიტიკური პარტიების არა ორი, არამედ სამი ჯგუფი: კადეტები, ოქტიაბრისტები და შავრაზმელები. მაგრამ ეს შეუფარდებლობა სავსებით აიხსნება ახლანდელი მომენტის დროებითი თავისებურებით, როცა უაღრესად გამწვავდა რევოლუციური ბრძოლა, როცა პრაქტიკულად მეტისმეტად ძნელია ერთმანეთისაგან გაარჩიო თვითმპყრობელობის დაცვა და მონარქიის აუცილებლად დაცვა, როცა ეკონომიური ნიშნის მიხედვით დაჯგუფება (პროგრესული კაპიტალიზმის

მხარეზე და რეაქციული კაპიტალიზმის მხარეზე) ბუნებრივად ეჯვარედინება პოლიტიკურ დაჯგუფებას (ახლანდელი მთავრობის მხარეზე და მის წინააღმდეგ). მაგრამ კადეტებისა და ოქტიაბრისტების ნათესაობა ძალიან აშკარაა, და დიდი და «საქმიანი» ლიბერალურ-ბურჟუაზიული პარტიის შექმნის გარდუვალობა არა გვგონია ვისთვისმე სადავო იყოს.

დასკვნა: რუსეთში პოლიტიკურ პარტიათა შექმნის პროცესი იძლევა მარქსიზმის თეორიის ფრიად ბრწყინვალე დადასტურებას.

P. S. * სტატია დაწერილია 17 ოქტომბრის კავშირის გათიშვამდე. ახლა შიპოვის გამოსვლა და მომავალი ჩამოყალიბება ზომიერ-ლიბერალური პარტიისა (მემარცხენე ოქტიაბრისტები, მშვიდობიანი განმაახლებლები და მემარჯვენე კადეტები) იმის საბოლოო მომასწავებელია, რომ რუსეთის ყველა პოლიტიკური პარტია ჩამოყალიბდება ყოველი კაპიტალისტური ქვეყნის პარტიების ოთხ ძირითად ტიპად.

«პროლეტარი» № 5,
1906 წ. 30 სექტემბერი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

---

*

---

* — **Postscriptum** — მინაწერი. რ ე დ.

შენიშვნები «სოციალ-დემოკრატის»[72] № 1-ის გამო

ჩვენს მიერ ეს-არის ახლა მიღებული № 1 «სოციალ-დემოკრატის» (რსდმპ ც. კ.-ის გ ა მ ო ც ე მ ა) სტატიამ «პარტიზანული გამოსვლები» საუცხოოდ დაადასტურა ჩვენ მიერ № 5 «პროლეტარში» ნათქვამი, რომ გაცვეთილი, ფილისტერული მსჯელობა ამ თემაზე შაბლონური და არაისტორიულია *. ავტორი რისხვად ევლინება ძარცვა-გლეჯას, ანარქიზმს, ბლანკიზმს, ტკაჩევიზმს [73], შარაგზის ყაჩაღობას («გზის ყაჩაღებს», როგორც ამბობს უხეირო თარგმანი გერმანულიდან), რისხვად ევლინება სწორედ ისევე, როგორც ლიბერალები. ლიბერალები თავიანთ ბუნებას არ ღალატობენ, როცა ისინი, «ანარქიის» მომიზეზებით, უარყოფენ ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ შეიარაღებულ ბრძოლას მთავრობასთან. სოციალ-დემოკრატი, რომელიც სიტყვიერად არ უარყოფს ასეთ ბრძოლას, მაგრამ საქმით არ განიხილავს საკითხს ა მ თ ვ ა ლ ს ა ზ რ ი ს ი თ, ფაქტიურად ლიბერალიზმის პოზიციაზე გადადის. აი დამახასიათებელი მაგალითი. «რამდენადაც რევოლუციური პარტიები თვითონ კისრულობენ ანარქიის მფარველობას, ისინი ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული კლასების გაბოროტებას თავის წინააღმდეგ მიმართავენ და ამით ხელს უწყობენ რეაქციას». ამრიგად, ან უნდა ჰფარველობდე ა ნ ა რ ქ ი ს ტ უ ლ შეიარაღებულ ბრძოლას, ანდა სავსებით უნდა აარიდო თავი შეიარაღებულ ბრძოლას! სხვა გამოსავალი, ავტორის მიხედვით, არ არის. ორგანიზებულ, გეგმაზომიერ, იდეურ, პოლიტიკუ-

* იხ. ეს ტომი, გვ. 241—254. რ ე დ.

რად აღმზრდელ შეიარაღებულ ბრძოლას იგი შ ე ს ა ძ ლ ე ბ-ლ ა დ ა რ ა თ ვ ლ ი ს. რა საცოდავი არჩევანი ჰქონია მას!

«რევოლუციონერთა პარტიზანული გამოსვლების ერთ-ერთი სახე: კერძო და სახაზინო ქონების ექსპროპრიაცია ცხოვ-რებამ უკვე დაასამარაო». ეს ხომ აშკარა სიცრუეა, ამხანაგო! შეუძლებელია, რომ თქვენ არ იცოდეთ ისეთი მ ე ნ შ ე ვ ი-კ უ რ ი ორგანიზაციები, რომლებიც გამაერთიანებელი ყრი-ლობის შ ე მ დ ე გ მონაწილეობდნენ, პირდაპირ თუ არა-პირდაპირ, ხაზინის ექსებში, ნ ა დ ა ვ ლ ი ს «უ ტ ი ლ ი ზ ა-ც ი ა შ ი» და სხვა. როცა სოციალ-დემოკრატის სიტყვა სხვაა და საქმე კიდევ სხვა, ეს უკვე სულ არაფრად ვარგა. ეს თვალთ-მაქცობას იწვევს. ეს დამოკიდებულია ან არა სუფთა სინ-დისზე (ასეთ ახსნას ჩვენ უარვყოფთ), ანდა მოუფიქრებელ, უთავბოლო თეორიაზე.

ამხ. აქსელროდი № 1 «პროლეტარის» შენიშვნაზე გულ-მოსული გვიპასუხებს «სოციალ-დემოკრატში» *. სვეტნახევა-რი პეტიტი შეიცავს გაოგნებას, გაკვირვებას, დარწმუნებას, საყვედურს, ჩვენი მისამართით იმის გამო, რომ ჩვენ მის აგი-ტაციას მუშათა ყრილობის სასარგებლოდ პარტიისაგან «დაფა-რული» აგიტაცია ვუწოდეთ. აქსელროდს ვერასგზით ვერ გაუ-გია, თუ რას ნიშნავს ეს. და ამავე დროს თვითონ ამბობს: «მე ახლო მომავალში ვ ი ს ა რ გ ე ბ ლ ე ბ მით (ჩემს განკარ-გულებაში არსებული შესაძლებლობითაო), რათა მუშათა ყრი-ლობის საკითხი პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი გ ა ნ ხ ი ლ ვ ი ს ას-პ ა რ ე ზ ზ ე (ხაზგასმა ჩვენია) «გამოვიტანოო». ჰოდა, დიდი ხანია ასე უნდა მოქცეულიყავით! უნდა დ ა გ ე წ ყ ო თ არა წრეობრივი ჩურჩულით, არამედ იმით, რომ «საკითხი პ ო ლ ი-ტ ი კ უ რ ი განხილვის ასპარეზზე გამოგეტანათ». მაშინ თქვენი აგიტაცია პარტიულად სწორი, აშკარა, რევოლუციური კლასის შესაფერისი იქნებოდა. მაშინ ბურჟუაზიული პრესა ვერ შესძლებდა სოციალ-დემოკრატიაში შფოთის შეტანას და

* იხ. ეს ტომი, გვ. 188. რ ე დ.

მისი პრესტიჟის შელახვას ამ წრეობრივ ჩურჩულზე სენსაციური შენიშვნების გამოქვეყნებითა და ათასგვარი გაუგებრობის გამოწვევით. მეტისმეტად სამწუხაროა, რომ ახლაც კი თავის დაგვიანებულ და უაღრესად ვრცელ «წერილში რედაქციისადმი» აქსელროდი გ ვ ე რ დ ს უ ვ ლ ი ს საკითხის არსს, კ რ ი ნ ტ ს ა ც არა სძრავს იმაზე, თუ სახელდობრ რანაირ ყრილობას გვირჩევს იგი, როდის, რა საფუძველზე, ვინ იწვევს ამ ყრილობას და სახელდობრ რა მიზნით. აქსელროდი თავს იძვრენს ამგვარი ფრაზებით: ყრილობის მოსამზადებელი მუშაობა ცხოველმყოფელ გავლენას მოახდენს სოციალ-დემოკრატიაზე «სწორედ იმდენად, რამდენადაც ეს მუშაობა გაჟღენთილი იქნება ნამდვილად სოციალ-დემოკრატიული შინაარსით, ე. ი. რამდენადაც წრეობრივ ინტერესებსა და ფრაქციულ ანგარიშებს განდევნიან იქიდან სოციალ-პოლიტიკური საკითხები და ამოცანები, რომლებსაც უაღრესად უშუალო დამოკიდებულება აქვთ მუშათა კლასის სასიცოცხლო ინტერესებთანაო».

მოიღეთ მოწყალება, ამხანაგო! ეს ხომ სრული უშინაარსობაა, ოღონდ მაღალფარდოვან სიტყვებში გახვეული. ყრილობის მზადება გამოაცოცხლებს სოციალ-დემოკრატიას სწორედ იმდენად, რამდენადაც ეს მზადება ნამდვილად სოციალ-დემოკრატიული იქნებაო! ახალიცაა და ჭკვიანურიც. «ფრაქციული ანგარიშები» უნდა განდევნონ სოციალ-პოლიტიკურმა საკითხებმა და ამოცანებმაო, — ხოლო სწორედ ამ საკითხებისა და ამოცანების სხვადასხვანაირად გაგებამ გაჰყო პარტია ფრაქციებად! ნამდვილი იწილო-ბიწილოა.

ამავე დროს პლეხანოვი ტლანქად და უგვანოდ იგონებს ჭორებს პარტიული ყრილობისათვის ბრძოლის მოტივების შესახებ და ასევე ტლანქად აქებს აქსელროდის «ბედნიერ აზრს», რომ მუშათა ყრილობა «რ ა ც შ ე ი ძ ლ ე ბ ა მ ა ლ ე» იქნას მოწვეულიო. დიახ, დიახ... მართლაც, რა შეიძლება იყოს იმაზე უფრო ბედნიერი აზრი, რომ ნამდვილად სოციალ-დემოკრატიული მუშაობა აცოცხლებს სოციალ-დემოკრატიას?

«სოციალ-დემოკრატის» სარედაქციო მოწინავეში ვკითხულობთ: «ახლა, ისევე როგორც II ყრილობის შემდეგ, ორივე ფრაქცია (ბოლშევიკები და მენშევიკები), ალბათ, თანაბრად ძლიერია რიცხობრივად» და ცოტათი ქვემოთ მეორედ ვკითხულობთ: «ახლა, ისევე როგორც II ყრილობის შემდეგ, ორივე ფრაქცია თანაბრად გავლენიანია პარტიაში». ავტორის აზრი ნათელია. «ც. კ.-ის» ოფიციალური «გამოცემის» მოწინავე სტატიაში ეს აზრი დიდ მნიშვნელობას იძენს. მუშათა კლასის პარტიამ ზუსტად უნდა იცოდეს, თუ ვისგან შესდგება მისი «ფრაქციები» და რამდენად არიან ისინი ძლიერნი. რას ემყარება მათი თანასწორობის აზრი?

ორში ერთი: ან ავტორს მხედველობაში ჰყავს პარტიის მხოლოდ რუსული ნაწილი (პლუს კავკასია), ანდა იგი უმატებს პოლონელებს, ლატვიელებსა და ბუნდს. თუ პირველ განმარტებას მივიღებთ, გამოდის, რომ ავტორი აღიარებს «უმრავლესობის» უდიდეს გაძლიერებას «უმცირესობის» ხარჯზე IV (გამაერთიანებელი) ყრილობის შემდეგ, ვინაიდან ამ ყრილობაზე წარმოდგენილი იყო დაახლოებით 13 000 ბოლშევიკი და 18 000 მენშევიკი. მაგრამ ასეთი განმარტება დაუჯერებელია, რადგან ნაციონალური სოციალ-დემოკრატიული პარტიები უკვე თვეზე მეტია რაც ყველანი გაერთიანდნენ რსდმ პარტიასთან. მაშასადამე, უნდა მივიღოთ მეორე განმარტება. მაშინ აშკარაა, რომ ავტორი პოლონელებსა და ლატვიელებს მიაკუთვნებს ბოლშევიკებს, ხოლო ბ უ ნ დ ს — მ ე ნ შ ე ვ ი კ ებ ს. თუ ვიანგარიშებთ, რომ, ნაციონალური სოციალ-დემოკრატიული პარტიების უკანასკნელ ყრილობათა მონაცემებით, არის დაახლოებით 40 000 პოლონელი და ლატვიელი, ბუნდის დაახლოებით 30 000 წევრი, მაშინ მართლაც მივიღებთ ორივე ფრაქციის დაახლოებითს თანასწორობას.

მაგრამ, იბადება კითხვა, მართებულია თუ არა ბუნდის მიკუთვნება მენშევიკებისადმი? რა თქმა უნდა, თუ ც. კ. ამტკიცებს ამას, ჩვენ მას უნდა დავუჯეროთ. მაგრამ საჭიროა გამოვარკვიოთ ასეთი დაჯგუფების მნიშვნელობა. ტაქტიკის სფეროში იგი არ დასტურდება ბუნდის უკანასკნელი რეზოლუციე-

ბით, თუ ამ რეზოლუციებს ერთობლივად ავიღებთ. მაშასადამე, ახსნა-განმარტება უნდა ვეძიოთ ბუნდის ორგანიზაციულ პოზიციაში. ალბათ, ც. კ.-ის გამოცემა მხედველობაში იღებს, როგორც რეალურ ფაქტს, იმ გარემოებას, რომ ბუნდი საგანგებო ყრილობას არ მოითხოვს. ვისაც მართლა სურს შესცვალოს პარტიის, როგორც მთელის, პოლიტიკა, ე. ი. ც. კ.-ის პოლიტიკა, მან ყრილობა უნდა მოითხოვოს; ვინც არ მოითხოვს, მას არ სურს სერიოზულად შესცვალოს ეს პოლიტიკაო, — ასეთია აზრის ამ მსვლელობის დედაარსი.

ეს არგუმენტაცია უდავოა, და ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია ხელი შევუწყოთ მის გამორკვევასა და სწორედ შეფასებას ჩვენი პარტიის ყველა ორგანიზაციის მიერ. მართლაც, დემოკრატიულ ორგანიზაციაში ნეიტრალიტეტი თითქმის შეუძლებელია და თავის შეკავება ხშირად მოქმედებას უდრის. ამ «მოქმედების» შედეგი თვალწინ გვაქვს. ც. კ.-ის გამოცემა ქადაგებს უალრესად ბუნდოვან იდეებს «მუშათა ყრილობის» შესახებ და გარკვეულად და თანამიმდევრად მენშევიკურ პოზიციას ადგას ტაქტიკაში. თუ რა შედეგებით ემუქრება ეს მთელ პარტიას საარჩევნო კამპანიის ან გამოსვლებისადმი ახალ მოწოდებათა შემთხვევაში, ეს საკმაოდ ცხადყვეს ც. კ.-ის «ლოზუნგებმა» სათათბიროს დროს და მისი გარეკვის შემდეგ. თავისი ახლანდელი «თავშეკავებით» ბუნდი მართლაც გახდა მენშევიკური ტაქტიკისა და ც. კ.-ის პოლიტიკის თანამონაწილედ.

დაწერილია 1906 წ. ოქტომბრის დამდეგს
პირველად დაიბეჭდა 1931 წელს
ლენინის კრებულში XVI

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

რუსი რადიკალი წინდაუხედავია! [74]

20 სექტემბრის «ტოვარიშჩში» მოთავსებულია ფრიად საგულისხმო «ბაასი» კადეტისა ვიღაც უფრო მემარცხენე პოლიტიკოსთან (ტრუდოვიკთან?), რომელიც ამ გაზეთის თანამშრომლის ბ-ნ ვ. ვ. ხ. — ოვის [75] თვალსაზრისს გამოხატავს. აი როგორ ტუქსავს რადიკალი კადეტს:

«განა პირიქით არ არის?» — ეკითხება იგი კადეტს, რომელიც ორატორობს იმაზე, რომ მხოლოდ თავისი უფლებისადმი რწმენას შეუძლია შეჰქმნას ძალაო. «განა ძალა არ გვინერგავს უფლების დაურღვევლობის რწმენას?». «თქვენი პარტიის მოღვაწეობა.... პოლიტიკურ დონკიხოტობად მიმაჩნია... თქვენ ფიქციებს განამტკიცებდით»... «თქვენი კონსტიტუციური ილუზიების ბრალია... ის, რასაც და როგორც თქვენ ლაპარაკობდით, ჰქმნიდა გადამეტებულ რწმენას სათათბიროს ყოვლისშემძლეობისადმი. ეს კი ხელს არ უწყობდა საზოგადოებრივ ძალთა დაგროვებას... ყოველთვის, როდესაც მე ვისმენდი სათათბიროში და სათათბიროს გარეთ წარმოთქმულ თქვენს სიტყვებს, მე მსურდა, რომ თქვენ სათათბირო აღარ ჩაგეთვალათ კონსტიტუციურ ორგანოდ, არამედ მიგეჩნიათ მხოლოდ იმ საზოგადოებრივი ნების ორგანოდ, რომელიც ებრძვის მეორე ნებას... საქმის ვითარება ყველაზე მეტად საკუთარ ძალთა ორგანიზაციას მოითხოვდა... სათათბიროს მთელი ძალღონე უნდა ეხმარა, რათა თვითონ შეექმნა ის აპარატი, რომელიც მას კანონმა არ მისცა... თქვენ ააშკარავებთ თქვენს აქილესის ტერფს — კონსტიტუციურ ილუზიებს... მე ყოველთვის ვრწმუნდებოდი მხოლოდ იმაში, თუ რა მაგრად გასჯდო-

მია თქვენს პარტიას ძვალ-რბილში კონსტიტუციური ფიქციები... მე გკიცხავთ (თქვენ, კადეტებს), რადგან თქვენ მებრძოლ მხარედ კი აღარ გრძნობდით თავს, არამედ ბრძოლის რაღაც ლიკვიდატორებს წარმოადგენდით. თქვენ სხვათა შორის გვთავაზობდით იმას, რაც სხვა ქვეყნებში უკვე მხარეთა ბრძოლის შედეგად შეიქმნა».

მართლაც, რა საგულისხმო სიტყვებია! ოღონდ ტყუილად «გამოიყვანა» ჩვენმა მამაცმა ბერნშტეინელმა ძალიან სულელი კადეტი, რათა იგი დაემარცხებინა «ბაასში». რაც უნდა იყოს, არიან უფრო ჭკვიანებიც. არიან ისეთები, რომლებიც ყურადღებით ადევნებენ თვალყურს მენშევიკურ ლიტერატურას და განსაკუთრებით პლეხანოვის ნაწერებს. ასეთი კადეტი თავის მოსაუბრეს სხვანაირად უპასუხებდა.

იგი ეტყოდა: ჩემო ძვირფასო რადიკალო! **Qui prouve trop, ne prouve rien.** ვინც ძალიან ბევრს ამტკიცებს იგი ვერაფერს ამტკიცებს. თქვენ კი, უეჭველია, ძ ა ლ ი ა ნ ბ ე ვ რ ს ამტკიცებთ თქვენივე საკუთარი პოზიციის თვალსაზრისით. განა თქვენ არ იყავით, სათათბიროს არჩევნებში მხარს რომ გვიჭერდით და ბოიკოტისტებს ებრძოდით? ამას არჩევნები გ ა ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ე ბ დ ა თ. ეს არჩევნები მ თ ლ ა დ იმის ნიშნით მიმდინარეობდა, რასაც ახლა თქვენ «კონსტიტუციურ ილუზიებს» უწოდებთ (ფუ, ფუ! ბოლშევიკური ნაწარმოებებით ხომ არ გამოგიჭედიათ თავი?). მე შემეძლო თქვენთვის მეჩვენებინა, უძვირფასესო რადიკალო, თქვენს საკუთარ გაზეთ «ტოვარიშჩში» ისეთი ადგილი — ერთი კი არა! — სადაც თქვენ (უსათუოდ თქვენ პირადად კი არა, არამედ თქვენი თანამოაზრენი) არწმუნებდით გულმინდობილ რუს ობივატელს: თუ არჩევნებში «სახალხო თავისუფლების» პარტია გაიმარჯვებს, უხეირო მინისტრები იძულებული იქნებიან გადადგნენო. ჰა? რაო? თქვენ დაგავიწყდათ ეს, ჩემო ძვირფასო რადიკალო? ჩვენ კი ეს გვახსოვს, ძალიან კარგად გვახსოვს. არ შეიძლებოდა, ფრიად პატივცემულო, ისე არჩევა, თუ არ დავპირდებოდით ლოიალობას, თუ არ დავიფიცებდით, რომ ბრძოლის მხოლოდ კონსტიტუციურ ხერხებს ვიხმარდით. ჩვენ კი,

ჩვენ, სახალხო თავისუფლების პარტია, დაპირებებს მხოლოდ იმისათვის ვიძლევით, მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რომ ავასრულოთ ეს დაპირებანი!

თქვენ ამბობთ, რომ ჩვენ ძალიან გვწამდა სათათბიროს ყოვლისშემძლეობა, რომ ეს ხელს არ უწყობდა «საკუთარ» ძალთა დაგროვებას? მაგრამ, ღვთის გულისათვის, წაიკითხეთ, რას წერდა პლეხანოვი, თქვენთვის უსათუოდ ავტორიტეტული მწერალი. ხომ სწორედ თქვენ, თქვენს თანამოაზრეებს და არა კადეტებს, გიყვართ ინტიმურ ლაპარაკში თქმა, რომ ისინი, კაცმა რომ თქვას, სავსებით, სავსებით სოციალ-დემოკრატები არიანო! და ასეთებად გამოაცხადებდნენ კიდეც თავს, თუ რომ... თუ რომ სოციალ-დემოკრატია მთლად დადგებოდა პლეხანოვის თვალსაზრისზეო. და განა პლეხანოვი არ იყო, რსდმპ გამაერთიანებელ ყრილობაზე რომ ამბობდა, კონსტიტუციურ ილუზიებზე ყვირილი მხოლოდ ანარქისტებს შეუძლიათო? განა პლეხანოვმა არ წამოაყენა რეზოლუცია, რომელშიც სათათბიროს ეწოდებოდა არამც თუ მარტო ძ ა ლ ა უ ფ ლ ე ბ ა — და ეს სახელწოდება დაამტკიცა ს.-დ. გამაერთიანებელმა ყრილობამ!! — არამედ ისეთი ძალაუფლებაც, «რომელიც თვით მეფის მიერ არის სასიცოცხლოდ მოწოდებული და კანონით დამტკიცებულიო»? განა პლეხანოვი არ იყო, მენშევიკების პატივცემულ ორგანოში რომ წერდა, — და თქვენ ხომ, ბატონო «ნაშა ჟიზნელებო», ყოველთვის აქებდით მენშევიკების ამ ტენდენციებს! — ყველაზე დიდი საგიტაციო მნიშვნელობა აქვს სათათბიროში ორგანულ მუშაობასაო? და თქვენ ტაშს უკრავდით პლეხანოვს, თქვენ პრესაში აღტაცებას გამოთქვამდით მისი «მამაცობის» გამო «ბლანკიზმთან» ბრძოლაში (დიახ, დიახ! თქვენ სწორედ ასე წერდით!). თქვენ, სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ჯერ ფეხსაცმელიც არ გაგცვეთიათ მას შემდეგ, რაც ყველაფერი ეს მოხდა, და უკვე თვითონვე იმეორებთ სავალალო ბლანკისტურ შეცდომებს!!

კადეტს რომ ამნაირად დაეცვა თავი, მისი თავდაცვა თავდასხმად გადაიქცეოდა, და რადიკალი სასტიკად იქნებოდა დამარცხებული...

ეს რადიკალი კონსტიტუციური ილუზიების წინააღმდეგ თავისი ახლანდელი პარტიზანული გამოსვლით მოგვაგონებს ხალხური ეპოსის იმ გმირს, რომელიც სამგლოვიარო პროცესიას შეხვდა და გაიძახოდა: «ეგ ერთი და სხვა მრავალიო». მართლაცდა, დაუკვირდით: როდის იყო დიდმნიშვნელოვანი და აუცილებლად საჭირო კონსტიტუციურ ილუზიებთან ბრძოლა? ცხადია, მაშინ, როდესაც ეს ილუზიები ყვაოდნენ და შეეძლოთ დ ი დ ი ვნება მოეტანათ და ნამდვილადაც მოჰქონდათ დიდი ვნება, აცდუნებდნენ რა ყველა «მცირეთა ამათ». სხვანაირად რომ ითქვას: მაშინ, როდესაც ფართო მასას შეიძლებოდა მოსჩვენებოდა და უ ნ დ ა მოსჩვენებოდა კიდევაც, რომ კონსტიტუცია არსებობდა, ნამდვილად კი არავითარი კონსტიტუცია არ არსებობდა. სწორედ ასეთი დრო იყო პირველი სათათბიროს არჩევნების პერიოდი და სათათბიროს სხდომათა პერიოდი, ე. ი. 1906 წლის მარტი — ივნისი. სწორედ მაშინ მოიტანეს დ ი დ ი ვნება კონსტიტუციურმა ილუზიებმა. მაგრამ მაშინ მათ სისტემატურად ებრძოდნენ მხოლოდ ს.-დ. ბოლშევიკები, მიდიოდნენ რა მდინარების წინააღმდეგ. მაშინ ბატონი ხ. — ოვები და «ნაშა ჟიზნის» სხვა მწერლები ხ ე ლ ს უ წ ყ ო ბ დ ნ ე ნ ამ ილუზიებს, როცა «ეომებოდნენ» ბოლშევიკებს და ლანძღავდნენ მათ კადეტების მკაცრი კრიტიკისათვის.

ახლა სათათბირო გარეკილია. კადეტები დამარცხებულნი არიან. არც აღარავის ჰგონია, რომ კონსტიტუცია არსებობს. ახლა არც თუ ისე კეთილშობილ ცხოველებსაც კი შეუძლიათ კადეტების ჩაწიხლვა («მე ვლანძღავ მათ» — იხილე «ბაასი») და ყოველი ოთხი სიტყვის შემდეგ მეხუთეზე კონსტიტუციური ილუზიების წყევლა-კრულვა. ეჰ, ბატონო რადიკალებო! ძვირად ღირს კვერცხი აღდგომა დღეს!..

ბ-ნ ხ. — ოვის და კომპ. მაგალითი საგულისხმო ნიმუშია იმისა, თუ როგორ უმწეოდ და უიდეოდ, მოდუნებულად და უძლურად მისცურავენ მდინარებისამებრ ადამიანები, რომლებსაც თავი მოაქვთ განათლებულ პოლიტიკოსებად, თავისუფალ მოაზროვნეებად და რადიკალებადაც კი. 1906 წლის

მარტ-ივნისში ისინი ხელს უწყობდნენ კონსტიტუციურ ილუზიებს იმით, რომ სათათბიროს ძალაუფლებას უწოდებდნენ, კუდში მისჩანჩალებდნენ კადეტებს, იმ დროს მოდაში შემოსული პარტიის დაუნდობელი კრიტიკის გამო ტუჩებს პრუწავდნენ. 1906 წ. სექტემბერში ისინი «ლანძღავენ» კადეტებს და «ეომებიან» კონსტიტუციურ ილუზიებს; მათ არ ესმით, რომ ისინი კვლავ ჩამორჩნენ, რომ ახლა ეს საკმარისი როდია, არამედ საჭიროა პირდაპირი მოწოდება რევოლუციური ბრძოლის განსაზღვრული (წინანდელი ისტორიული განვითარებით განსაზღვრული) ფორმისადმი.

კარგი კი იქნებოდა, რომ რუსი ინტელიგენცია, რომელიც მრავლად წარმოშობს ამგვარ უბადრუკებს, ასეთი ვაჟბატონების მაგალითზე ისწავლიდეს და შეიგნებდეს ოპორტუნიზმის მთელ მავნებლობას. ტყუილად მიაჩნიათ ჩვენში ხშირად ეს სიტყვა «მხოლოდ ლანძღვად» და არ უკვირდებიან მის მნიშვნელობას. ოპორტუნისტი არ ღალატობს თავის პარტიას, არ ჰყიდის მას, არ შორდება მას. იგი გულწრფელად და გულმოდგინედ განაგრძობს მის სამსახურს. მაგრამ მისი ტიპიური და დამახასიათებელი თვისებაა წუთიერი გუნების აყოლა, მოდის მორჩილება, პოლიტიკური სიბეცე და უხასიათობა. ოპორტუნიზმი არის პარტიის ხანგრძლივი და არსებითი ინტერესების მსხვერპლად შეწირვა მისი წუთიერი, წარმავალი, მეორეხარისხოვანი ინტერესებისათვის. მრეწველობის ერთგვარი აღმავლობა, ვაჭრობის შედარებით აყვავება, ბურჟუაზიული ლიბერალიზმის ოდნავი გამოცოცხლება, — და ოპორტუნისტი უკვე ყვირის: ნუ აფრთხობთ ბურჟუაზიას, ნუ გაურბით მას, თავი ანებეთ «ფრაზებს» სოციალური რევოლუციის შესახებ! სათათბირო შეიკრიბა, პოლიციურ-კონსტიტუციურმა «გაზაფხულმა» დაჰბერა, — და ოპორტუნისტი სათათბიროს უკვე ძალაუფლებას უწოდებს, ისწრაფის დასწყევლოს «დამღუპველი» ბოიკოტი, იჩქარის წამოაყენოს სათათბიროს სამინისტროს, ე. ი. კადეტური სამინისტროს მოთხოვნისათვის მხარის დაჭერის ლოზუნგი. უკუიქცა ტალღა, — ოპორტუნისტი ასევე

გულწრფელად და ასევე უდროო დროს იწყებს კადეტების «ლანძღვას» და კონსტიტუციური ილუზიების გინებას.

ამგვარი ინტელიგენტური სულისკვეთების ბატონობის დროს შეუძლებელია რაიმე მტკიცე პოლიტიკა, რომელიც ჭეშმარიტად რევოლუციური კლასის შესაფერისი იქნება, რომელიც დაგვაძლევინებს ყოველგვარ წვრილმან მიხვევ-მოხვევას, მერყეობას და მტკიცედ გაგვიძღვება მტრის წინააღმდეგ გადამწყვეტი, თავდადებული, გაბედული ბრძოლის მოსამზადებლად. აი რატომ უნდა შეეძლოს შეგნებულ პროლეტარიატს კრიტიკულად მოეპყრას იმ ინტელიგენციას, რომელიც მის მხარეზე დგება, რატომ უნდა ისწავლოს პოლიტიკაში ოპორტუნიზმთან დაუნდობელი ბრძოლა.

დაიბეჭდა 1906 წ. 18 ოქტომბერს
ჟურნალ «ვესტნიკ ჟიზნის» № 12-ში
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება ჟურნალის ტექსტის
მიხედვით

კადეტთა ყრილობის შედეგებისათვის

ჩვენ არა ერთხელ გამოგვირკვევია, რომ თვითმპყრობელობის ბრძოლა პროლეტარულ-გლეხურ რევოლუციასთან აუცილებლად თავს ატყდება ლიბერალურ ოპოზიციასაც. რაკი პროლეტარიატი სდუმს, დამრბევთა მთავრობა, რასაკვირველია, შემთხვევას არ გაუშვებს, რომ კადეტიც მიახრჩოს. ახლა იგი მშვიდობიან განმაახლებელს ახრჩობს. იგი ახლა არც თუ ისეთი მოწყალებით უყურებს ოქტიაბრისტსაც კი. და თუნდაც სამხედრო-საველე მართლმსაჯულების წყალობით დროებით ჩაჩუმდეს ბრაუნინგების ტკაცუნი, ყუმბარების გრიალი და აღარ გაისმოდეს კლასიკური «ხელები მაღლა»! — ეს, რა თქმა უნდა, სრულიადაც არ იქნება იმის საწინდარი, რომ კადეტი და მშვიდობიანი განმაახლებელი, ბოლოს და ბოლოს, ეღირსებიან ლეგალური, კონსტიტუციური ბრძოლის ნანატრ მყუდროებას.

შეიძლებოდა გვეფიქრნა, რომ გაცოფებული რეაქციის შედეგად ლიბერალური ოპოზიციის ხელმძღვანელი წრეები შორს მარცხნივ აღმოჩნდებოდნენ გადასროლილნი. სათათბიროს გარეკვამ ძირიან-ფესვიანად შეარყია კონსტიტუციური ილუზიები. არ არის «ტოვარიშჩის» ან «სტოლიჩნაია პოჩტას» [78] ისეთი თანამშრომელი, რომელსაც ახლა ეს არ ესმოდეს. კადეტური პრესის დაღუპვას (მთელი პროვინციული და სატახტო პრესის მნიშვნელოვანი ნაწილისა), ყრილობის აკრძალვას, პარტიის ლეგალიზაციაზე უარისთქმას, ყველა იმ პირთა სამართალში მიცემას, ვინც ვიბორგის მოწოდებას ხელი მოაწერა, თითქოს, იძულებული უნდა გაეხადა კადე-

ტები, რომ უკუეგდოთ საზოგადოებრივი აზრის ორგანიზაციის თვალსაზრისი და, ბოლოს და ბოლოს, დამდგარიყვნენ საზოგადოებრივ ძალთა ორგანიზაციის თვალსაზრისზე. და შემდეგ, საფიქრებელი იყო, რომ თუ კადეტთა ბელადებს არ ეყოფოდათ გმირული გამბედაობა, რომ ამაყად გადასულიყვნენ იატაკქვეშეთში, მათი არმია იქვე, ადგილზევე, მიატოვებდა ამ ბელადებს.

კადეტთა ყრილობამ ცხადყო, რომ ასეთი ვარაუდი სწორი არ არის. ჯერჯერობით მაინც. ყრილობამ დაადასტურა, მართალია, არცთუ დიდი ხალისით, ის «ადგილის ტკეპნა», ანუ, უფრო სწორედ რომ ითქვას, «არც ერთი ნაბიჯი ადგილიდან», რომელიც მას ცენტრალურმა კომიტეტმა შესთავაზა. ყრილობამ მიიღო რეზოლუცია საზოგადოებრივ ძალთა ორგანიზაციის შესახებ, მაგრამ რეზოლუცია სრულიად პლატონური, რომელიც არავის არაფერს ავალდებულებს და სრულიად არ მიუთითებს იმ საქმესაც კი, რომლისთვისაც და რომელშიც ეს ძალები შეიძლება და უნდა დაირაზმონ კიდეც. ყრილობამ მიიღო, — მართალია, შედარებით უმნიშვნელო უმრავლესობით, — ტაქტიკური რეზოლუციის ცნობილი მე-4 მუხლი, რომელიც აღიარებს: საჭიროა პარტიამ პასიური წინააღმდეგობა გაუწიოს იმ პასიურ წინააღმდეგობას, რომელიც სტიქიურად იზრდება ხალხის ქვედაფენებში და რომელსაც გვირჩევს ვიბორგის მოწოდება. ყრილობა დამთავრდა, როგორც ყრილობა ერთიანი, განუყოფელი «სახალხო თავისუფლების პარტიისა».

და, უეჭველია, ასეც უნდა მომხდარიყო. კადეტების პარტიის გათიშვის ჟამი ჯერ არ დამდგარა. თუ კლასობრივმა წინააღმდეგობამ შესძლო უკვე საბოლოოდ მოექცია აშკარა კონტრრევოლუციის ფარგლებში მსხვილი ბურჟუაზიის ფართო ფენები, სამაგიეროდ მას ჯერ ვერ მოუხერხებია იმ საშუალო და წვრილი ბურჟუაზიის ფართო ფენების საკმაოდ დაშლა, რომლებმაც არჩევნებში კადეტებს მისცეს ხმა. ჯერჯერობით არ არის ობიექტური ნიშნები იმისა, რომ ობივატელური პროვინცია მოეცვას რევოლუციის წინაშე იმ ბურ-

ჟუაზიულ შიშს, რომელსაც უკვე უსაზღვროდ შეუპყრია გუჩკოვის ყაიდის «ჯალათი ჰუმანისტები».

ეს დაშლა სწრაფად მიმდინარეობს. და თვით კადეტთა ბელადებიც, რასაკვირველია, დარწმუნებულნი როდი არიან, რომ მათ მიერ შექმნილი ჭრელი ბ ლ ო კ ი «სახალხო თავისუფლებისა» გაუძლებს გამწვავებული სოციალურ-პოლიტიკური ბრძოლის გამოცდას.

რუსეთის რევოლუციაში, უეჭველია, უნდა იყოს ის საბედისწერო მიჯნა, რომლის იქითაც ამ ბლოკის გათიშვა პირდაპირ გარდუვალი იქნება. ამ მიჯნას მივაღწევთ და გადავცილდებით კიდეც მაშინ, როდესაც პროლეტარულ-გ ლ ე ხ უ რ ი აჯანყების ორომტრიალი საბოლოოდ ჩაითრევს ქალაქის წვრილი, ნაწილობრივ აგრეთვე ს ა შ უ ა ლ ო ბურჟუაზიის ფართო ფენებს. მაშინ, მაგრამ მხოლოდ მაშინ, უზარმაზარი კადეტური ბლოკიდან ნამდვილად დარჩება მხოლოდ ის მქონებელი საშუალო ბურჟუაზია, რომელსაც უეჭველად ბედად უწერია, რომ მან ბოლოს და ბოლოს გაიზიაროს ბ-ნ გუჩკოვთან ერთად მისი ბურჟუაზიული შიში. მაშინ გაიფანტება ნაციონალური რევოლუციის ის მოჩვენება, რომელიც ჯერ კიდევ ასე ძლიერია ახლა და რომელიც ბევრს ხელს უშლის სათანადოდ შეაფასოს რუსეთის რევოლუციის კლასობრივ წინააღმდეგობათა ჭეშმარიტად გიგანტური შემოქმედებითი როლი. ამ მიჯნაზე უზარმაზარი პოლიტიკური პარტია, რომელიც ეყრდნობა საზოგადოებრივი ა ზ რ ი ს ორგანიზაციას, გადაიქცევა დიდი ხნის დრომოჭმულ ანაქრონიზმად, ხოლო ნამდვილად მასობრივი მოძრაობის ყველა ელემენტი, როგორც მარჯვნივ, ისე მარცხნივ, მიაკუთვნებენ ძალას, შიშველ მატერიალურ ძალას, იმ დიდ არა მარტო დამანგრეველ, არამედ შემოქმედებითს როლსაც, ურომლისოდაც, რასაკვირველია, წარმოუდგენელია რევოლუციის ნამდვილი დამთავრება. მაგრამ იქ, სადაც მატერიალური ძალა მოიპოვებს თავის უმაღლეს უფლებას, იქ ადგილი აღარ ექნება კადეტურ-ბურჟუაზიულ ჰეგემონიას. ამას მოწმობს ჩვენი ბრძოლის მთელი წარ-

სული; წინასწარმეტყველება როდია საჭირო, რათა უტყუარად გავითვალისწინოთ, რომ იგივე მოხდება მაშინაც, თუ ჩვენ მოგველის რევოლუციის ახალი აღმავლობის განცდა. კადეტის ფიგურა რევოლუციის ნადავლის გაყოფის «კანონიერი» მონაწილეა და სხვა არაფერი.

და აი რატომ იყვნენ ობიექტურად მართალნი კადეტთა ის ბელადები, რომელნიც წინადადებას იძლეოდნენ: ვიბორგის მოწოდება გატაცების უბრალო შეცდომად აღვიაროთ, რამდენადაც ეს მოწოდება უ შ უ ა ლ ო დ მოგვიხმობს პასიური წინააღმდეგობის ტაქტიკისაკენაო. ვინაიდან ბრძოლის ახლანდელი დაძაბულობის დროს არ არის და არც შეიძლება იყოს ისეთი მასობრივი პასიური წინააღმდეგობა, რომელიც არ იქცეოდეს უშუალოდ აქტიურ შეტევად. ბ-ნი სტრუვე სავსებით მართალია, როდესაც ამბობს: ბრძოლის ასეთი კულტურული საშუალება (თურმე, წინააღმდეგ წმინდა რევოლუციური, შეტევითი საშუალებისა) გამოსადეგია მხოლოდ კულტურული, კონსტიტუციური მთავრობის წინააღმდეგო. ვინ დაეჭვდება თუნდ ერთი წუთით მაინც, რომ სტოლიპინის ბანდა თავის დამსჯელ ექსპედიციებს დასძრავს გადასახადთა მასობრივი გადაუხდელობისა და ახალწვეულთა გამოყვანაზე მასობრივად უარისთქმის პირველ ნიშნებისთანავე. ხოლო ვინღა შეაჩერებს მაშინ მოსახლეობას გადავიდეს თავდაცვაზე, იარაღით ხელში აქტიურ შეტევაზე?

ვიბორგის მოწოდებაც, მისი ხელმოწერის მომენტშიც კი წმინდა კადეტური გაგებით, საუკეთესო შემთხვევაში მთავრობის მიმართ ასეთი გადასვლის მუქარა იყო და სრულიადაც არა პრაქტიკული ლოზუნგი. და ბატონი მილიუკოვები და სტრუვეები ამ შემთხვევაში სრულიადაც არ არიან პასუხისმგებელნი იმ პროვინციელ კადეტთა პოლიტიკური გულუბრყვილობისათვის, რომელთაც ეს მოწოდება პრაქტიკულ ლოზუნგად მიიჩნიეს. ამას მოწმობს მოწოდების ბედი პროვინციაში. ტერორიზებული პრესა ამ ბედზე ძალიან ნაკლებად და ძალიან ყრუდ ლაპარაკობდა, მაგრამ ის, რასაც ის ლაპარაკობ-

და, გვგონია, ცხადყოფს, რომ «სახალხო თავისუფლების» პარტია, როგორც პარტია, გაძლიერებით იყენებდა ამ მოწოდებით აღიარებულ პასიური წინააღმდეგობის პრინციპს თვით მოწოდებისავე მიმართ. რაკი ეს ასეა, ყრილობას შეეძლო მხოლოდ განემტკიცებინა კადეტების ეს პოზიცია. ყრილობის უმცირესობა, რომელმაც ერთხანს აურზაური ატეხა ამის გამო, ბოლოს და ბოლოს დანებდა და პარტიაში დარჩა.

ხოლო ჩვენი ქვეყნის სიღრმიდან ყოველდღე მოდის ცნობები იმის შესახებ, რომ პასიური წინააღმდეგობის იდეამ ხალხის მასებში გამოხმაურება ჰპოვა. გადასახადთა გამოუღებლობა, ახალწვეულთა მიუცემლობა, ხელისუფალთა ბოიკოტი ნამდვილად პრაქტიკული ლოზუნგი ხდება. არავინ ხუჭავს თვალს იმ უზარმაზარ ორგანიზაციულ ხარვეზებზე, რომელთა პირობებშიც იზრდება ეს მოძრაობა. ვერავინ უარყოფს მასში ქაოსურობის გარდუვალობას. მაგრამ ეს ქაოსი ჰქმნის წესრიგს — რევოლუციის წესრიგს, ხალხის ქაოსურ, სტიქიურ აფეთქებათა ამ უმაღლეს საფეხურს. სიძულვილმა, რომელიც ახლა ხალხის მასებში დუღს სამხედრო-საველე კონსტიტუციის უზარმაზარი ზედმოქმედებით, არ შეიძლება არ გადმოხეთქოს და აქა-იქ მართლაც გადმოხეთქა შეიარაღებული ბრძოლის გაჩაღებით. ჩვენ არ მოგვეპოვება ცნობები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელი იყოს უტყუარად ვიწინასწარმეტყველოთ, რომ ჯარში გაწვევისა და გადასახადთა აკრების მომენტში ხალხის საყოველთაო აჯანყება იფეთქებს, თუნდაც წმინდა პასიური წინააღმდეგობის ფორმით, მაგრამ ამ ბრძოლის გამოხატულება რომ გვექნება, ეს უეჭველია. და კადეტები დროულად დგებიან განზე. «სინდისი ნებას არ გვაძლევს დავადასტუროთ ეს სახიფათო ექსპერტიზაო», განაცხადა კადეტთა ყრილობამ ქ-ნ ტირკოვას, პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრის პირით.

მაგრამ სინდისის დამოწმება, რასაკვირველია, საქმის ვითარებას ვერა სცვლის. მოახლოებული მოვლენები მათემატიკური სიზუსტითაც რომ მეტყველებდნენ სახალხო რევოლუ-

ციის ახლო ხანში გამარჯვებას, კადეტთა ხელმძღვანელი წრეები საქმეს სხვანაირად მაინც ვერ შეხედავდნენ. ამის თავდებია კადეტთა პარტიის მთელი წარსული, მოლაპარაკება დამრბევებთან სამინისტრო პორტფელების შესახებ კადეტთა პარტიის ისტორიის საკულმინაციო პუნქტი იყო; ეს მოლაპარაკება მისთვის ობიექტურად ბევრად უფრო დამახასიათებელი იყო, ვიდრე ვიბორგის მოწოდება. და პარტიის ერთერთი ყველაზე ავტორიტეტიანი წარმომადგენელი, პროფესორი გრედესკული, ფრიად გარკვევით გვიდასტურებს ამას («რეჩი» № 180): «ჩვენ ვცხოვრობდით ჩვენს ხალხთან ერთად, — ამბობს ის, — ჩვენ ვიზიარებდით მის მშფოთვარე აღტყინებას». მაგრამ ეს იყო «მშფოთვარე, ფიცხი ახალგაზრდობის დრო»; ახლა დადგა «შეუპოვარი და მედგარი სიმწიფის» დრო, ხოლო ამ სიმწიფის პალადიუმია საარჩევნო კამპანია და სეფე-სიტყვაზე სათათბიროს საპასუხო ადრესი პლატფორმის სახით.

«მშფოთვარე აღტყინება» კადეტთა პარტიას ხალხთან ერთად არასოდეს არ გაუზიარებია და არც შეეძლო გაეზიარებინა, პატივცემულმა პროფესორმა ეს მხოლოდ ლამაზი სიტყვისათვის წამოროშა. მაგრამ კადეტთა პარტია, მისი ყრილობის სახით, არც მარჯვნივ გადახრილა. იგი ძველ ადგილას დარჩა. იგი წინანდებურად აპირებს მონაწილეობა მიიღოს ახლანდელ რევოლუციურ კრიზისში მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი შეიძლება წ მ ი ნ დ ა პ ა რ ლ ა მ ე ნ ტ უ რ კრიზისად გადაგვარდეს.

ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ მივესალმოთ იმ გარკვეულობას, იმ სიცხადეს, რომელიც ყრილობამ ამ მხრივ თავის დადგენილებებს მისცა. რასაკვირველია, მან ძალიან უნდა გაუტეხოს გული იმათ, ვისაც ვიბორგის მოწოდება მიაჩნდა კადეტების «გამემარცხენების დასაბამად» და იმის აშკარა ნიშნად, რომ ყალიბდება რუსეთის რევოლუციის ნაციონალური ხასიათი.

ყრილობამ განაცხადა, რომ მას რევოლუცია წარმოუდგენია მხოლოდ როგორც საპარლამენტო ბრძოლა და ამით დემოკრატიის ფართო მასის წინაშე პირდაპირ დააყენა ძალაუფ-

ლებისათვის აშკარა ბრძოლის საკითხი. რუსეთის რევოლუციის მთელი მსვლელობა მოწმობს, რომ დემოკრატია ამ საკითხს არა კადეტურად უპასუხებს. სოციალ-დემოკრატია უნდა ემზადებოდეს იმისათვის, რომ ამ პასუხის მომენტისათვის ქალაქისა და სოფლის ღარიბებმა სწორედ იგი, სოციალ-დემოკრატია, მიიჩნიონ რევოლუციის პერიოდში თავის ბუნებრივ ჰეგემონად.

«პროლეტარი» № 6,
1906 წ. 29 ოქტომბერი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

ოპიზიციელობა რევოლუციურ წრეში

კონტრრევოლუციურ პერიოდებს სხვათა შორის ახასიათებს კონტრრევოლუციური იდეების გავრცელება არა მარტო უხეში და პირდაპირი ფორმით, არამედ უფრო დახვეწილი ფორმითაც, სახელდობრ რევოლუციურ პარტიათა შორის ობივატელური სულისკვეთების ზრდის სახით. რევოლუციურ პარტიათა სახელწოდებით ამბ. მარტოვი თავის ახალ ბროშურაში «პოლიტიკური პარტიები რუსეთში» აერთიანებს ს.-დ. და ს.-რ. პარტიებს. ჩვენ იმედი გვაქვს სხვა დროს დავუბრუნდეთ მარტოვის საინტერესო ბროშურას, რომელშიც იგი მენშევიკურ ლიტერატურაში უჩვეულო პირდაპირობითა და გარკვეულობით აკრიტიკებს კადეტებს, მაგრამ ამავე დროს ჩვენებური პოლიტიკური პარტიების სრულიად არასწორ, არამარქსისტულ კლასიფიკაციას იძლევა და ააშკარავებს მენშევიზმის ძირითად შეცდომას, როცა ოქტიაბრისტების ტიპის პარტიებს «ცენტრის» პარტიებს აკუთვნებს.

მაგრამ ეს გაკვრით. ამჟამად ჩვენ გვაინტერესებს ს.-დ. და ს.-რ. ლიტერატურის ზოგიერთი სხვა ახალი რამ. ჩვენ განზრახვა გვაქვს აღვნიშნოთ კონტრრევოლუციური სულისკვეთების ყველაზე დიდი გამოხატულებანი, უფრო სწორედ რომ ითქვას, კონტრრევოლუციური სულისკვეთების ანარეკლი ამ წრეში. დეკემბრის აჯანყების დამარცხების შემდეგ დემოკრატიაში კონტრრევოლუციური სულისკვეთების ყველაზე დიდი გამოხატულება იყო შებრუნება კადეტებისა, რომელნიც უკუაგდებდნენ დამფუძნებელი კრების ლოზუნგს და «პოლიარნაია ზვეზდას» და სხვა ამგვარ გამოცემათა ფურცლებზე ყო-

ველგვარად გმობდნენ და ტალახში სვრიდნენ შეიარაღებული აჯანყების მონაწილეებსა და იდეოლოგებს. სათათბიროს გარეკვისა და ივლისის სახალხო მოძრაობის მარცხის შემდეგ დემოკრატიაში კონტრრევოლუციური სულისკვეთების მხრივ ახალი ამბავი იყო ესერებისაგან მათი მემარჯვენე ფრთის საბოლოოდ გამოყოფა, ნახევრადკადეტური, «სახალხო-სოციალისტური» პარტიის შექმნა. ოქტომბერ-დეკემბრის პირველი და დიდი აღმავლობის შემდეგ მებრძოლ დემოკრატიას ჩამოშორდნენ კადეტები. მაის-ივნისის მეორე, მცირე აღმავლობის შემდეგ მას თანდათან ჩამოშორდნენ სახალხო სოციალისტები.

№ 4 «პროლეტარში» [77] ჩვენ დავახასიათეთ ამ სახალხო სოციალისტების იდეურ-პოლიტიკური ფიზიონომიის ძირითადი ნიშნები *. მას შემდეგ მათ მოასწრეს სავსებით ფორმალურად გამოსვლა და გამოაქვეყნეს «შრომის (სახალხო-სოციალისტური)» პარტიის პროგრამა — ესერების პროგრამის გადაკეთება რევოლუციურიდან ოპორტუნისტულ, მეშჩანურ-ლეგალურ პროგრამად, — გამოაქვეყნეს ახალი პარტიის საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობაც. მართალია, ამ საორგანიზაციო კომიტეტის 17 წევრს შორის (ბატონი ანენსკი, ელპატიევსკი, მიაკოტინი, პეშეხონოვი და სხვ.) სათათბიროს მხოლოდ ე რ თ ი ყოფილი წევრია «შრომის ჯგუფიდან», ბ-ნი კრიუკოვი, რეალური სასწავლებლის მასწავლებელი და მწერალი-პუბლიცისტი. ახალი შრომის პარტიის დამაარსებელთა შორის არც ერთი ნ ა მ დ ვ ი ლ ი, რაოდენადმე თვალსაჩინო «ტრუდოვიკის» სახელი არ არის! საკვირველი როდია, რომ სახალხო სოციალისტებს ზოგიერთნი თვითმარქვია ტრუდოვიკებს უწოდებენ. საკვირველი როდია, რომ გაზეთებში უკვე ვხვდებით ცნობებს სხვა შრომის პარტიების შესახებ. «ტოვარიშჩი» იუწყებოდა, რომ ბ-ნი სედელნიკოვი, რომელიც, რასაკვირველია, ბევრად უფრო თვალსაჩინო და სათათბიროში მოღვაწეობით ხალხისათვის ბევრად უფრო

* იხ. ეს ტომი, გვ. 220 — 232. რ ე დ.

ნაცნობი «ტრუდოვიკია», ვიდრე სრულიად უცნობი ბ-ნი კრიუკოვი, აარსებს შ რ ო მ ი ს ს ა ხ ა ლ ხ ო პარტიას. ხალხმრავალ კრებაზე, რაზედაც მოგვითხრობს «ტოვარიშჩი», ბ-ნი სედელნიკოვი გულახდილად და პირდაპირ იცავდა თავის იდეებს, პრეტენზიას არ აცხადებდა სოციალისტის სახელწოდებაზე და «დემოკრატიული მონარქიის» დროშას აფრიალებდა. ხალხიდან გამოსული ტრუდოვიკის პირდაპიროობამ და გულახდილობამ, იმავე ცნობით, გამოიწვია უდიდესი რისხვა ტრუდოვიკ-ჟურნალისტის, ბ-ნ მიაკოტინისა, რომელიც თავის შესიტყვებაში იცავდა სახალხო სოციალისტების შეხედულებებს.

ამ ოჯახური დავის წვრილმანები ჩვენ არ გვაინტერესებს. ჩვენთვის საგულისხმოა აღვნიშნოთ მხოლოდ გუშინდელ ესერებსა და ზოგიერთ «ტრუდოვიკს» შორის ოპორტუნისტულ ტენდენციათა სხვადასხვაგვარი გამოხატულება. ამ მხრივ ბ-ნი პეშეხონოვი ყველაზე მეტ «პროგრესს განიცდის» (ესერებს ჩვენზე გაცილებით გამბედავი «ნოვატორ-პროგრესისტები» ჰყავთ). «რუსსკოე ბოგატსტვოს» სექტემბრის წიგნში იგი უფრო და უფრო შორს მიდის რევოლუციონერებისაგან კადეტებისაკენ მიმავალი გზით. იგი ცდილობს წაშალოს განსხვავება რევოლუციურ «მოპოვებასა» და კადეტურ «მიღებას» შორის. «დაამტკიცა» რა აგვისტოში, რომ მთლად არც თავისუფლების მოპოვება შეიძლება და არც მიწისა, ახლა იგი «ამტკიცებს», რომ შეუძლებელია «თავისუფლების მოპოვება ქვევიდან». **Ce n' est que le premier pas qui coûte** * ანუ, როგორც რუსები იტყვიან: **первая чарочка колом, вторая — соколом, а остальные — мелкими пташечками.** ახალი კადეტი [პუბლიცისტი] ლეგალური ჟურნალის ფურცლებზე მიწასთან ასწორებს შეიარაღებული აჯანყების იდეას, დროებითი რევოლუციური მთავრობის იდეას, ამასთან, რასაკვირველია, პირდაპირ როდი ასახელებს ყველაფერს, სრულად არ მოჰყავს რევოლუციურ პარტიათა ის მანიფესტი, რომელსაც იგი «აბა-

* სიტყვასიტყვით: ძნელია მხოლოდ პირველი ნაბიჯი. რ ე დ.

თილებს», თავისუფლად მყოფი, იგი ამახინჯებს და ამარტივებს იმათ აზრებს, ვინც არალეგალურ პრესაში იცავდა აჯანყების' იდეას, დროებითი რევოლუციური მთავრობის იდეას. მართლაცდა, ხომ ჰქონდათ რაიმე მიზანი ბატონ სახალხო სოციალისტებს, როდესაც მათ თავიანთი პარტიის ლეგალიზაცია მოახდინეს! რასაკვირველია, მისი ლეგალიზაცია მათ მოახდინეს არა იმისათვის, რომ აჯანყების იდეა დაეცვათ, არამედ იმისათვის, რომ უარეყოთ იგი!

ს.-დ. ლიტერატურაში კონტრრევოლუციური სულისკვეთების ასახვის მხრივ ახალ დიდ ამბავს წარმოადგენს მოსკოვის ყოველკვირეული «ნაშე დელო». კადეტურმა პრესამ უკვე ყური გამოგვიჭედა მენშევიკების ამ ახალ და დიდ «პროგრესზე»; — ისინი, როგორც ვიცით, წინ მიდიან რევოლუციონერებისაგან კადეტებისაკენ. «რეჩმა» განსაკუთრებული მისასალმებელი სტატია მოათავსა, «ტოვარიშჩმა» აღტაცებით გაიმეორა «ნაშე დელოს» მთავარი აზრები, «რეჩმა» გაიმეორა «ტოვარიშჩის» ნათქვამი, «ტოვარიშჩმა» თავისი შეხედულებანი დაადასტურა «რეჩზე» მითითებით, — ერთი სიტყვით, რუსეთის რევოლუციის განათლებულ გამცემთა განათლებული საზოგადოება არაჩვეულებრივი აღტაცების მღელვარებას განიცდიდა. «რეჩმა» ვილაციისაგან ისიც კი გაიგო, რომ «ნაშე დელოს» სათავეში უდგანან ცნობილი მენშევიკები, ბატონი მასლოვი, ჩერევანინი, გრომანი, ვალენტინოვი.

ჩვენ არ ვიცით, მართალია თუ არა «რეჩის» ეს ცნობები, თუმცა იგი ჩვეულებრივ დიდ პრეტენზიებს აცხადებს, ყველა მენშევიკურ საქმეს გაცნობილი ვარო. მაგრამ ჩვენ ვიცნობთ ჩერევანინის მოწინავე სტატიას «ნაშე დელოს» № 1-ში. ღირს მოვიყვანოთ ის ადგილი, რომელსაც კადეტები გაუხარებია:

«პროლეტარიატის მხრივ უაზრობა და სიგიჟე იქნებოდა, იგი რომ, როგორც ამას ზოგიერთნი გვირჩევენ, გლეხობასთან ერთად ჩაბმულიყო ბრძოლაში როგორც მთავრობის, ისე ბურჟუაზიის წინააღმდეგ სრულძალაუფლებიანი და საყოველთაოსახალხო დამფუძნებელი კრებისათვის» (გვ. 4). «საჭიროა

დაჟინებით მოვითხოვოთ, რომ მოწვეულ იქნას ახალი სათათბიროო». სამინისტრო სათათბიროს უმრავლესობისაგან უნდა შესდგებოდეს. «ძნელია ამაზე მეტის იმედი გვქონდეს იმ სრული არაორგანიზებულობისა და საშინელი უმეცრების დროს, რაც ახლა გლეხობას ახასიათებს». (გვ. 6). როგორც ხედავთ, ეს არის გულახდილობა, რომელიც წმიდანობამდე მიდის. ამხანაგი ჩერევანინი, თუმცა იგი რევოლუციური პარტიის შიგნით რჩება, ბევრად უფრო მარჯვნივ გადაიხარა, ვიდრე ბ-ნი პეშეხონოვი, რომელმაც ახალი «ლეგალური პარტია» დააარსა. ბ-ნი პეშეხონოვი დამფუძნებელი კრების ლოზუნგზე ჯ ე რ კ ი დ ე ვ არ ამბობს უარს და სათათბიროს სამინისტროს მოთხოვნას ჯ ე რ კ ი დ ე ვ აკრიტიკებს — ეს საკმარისი არ არისო.

ჩვენ არა გვსურს ჩვენი მკითხველები შეურაცხვყოთ და ამიტომ, რა თქმა უნდა, არ შევუდგებით ჩერევანინის პოზიციის დარღვევას. ჩერევანინი უკვე ყბადაღებულია ყველა სოციალ-დემოკრატის მიერ ფრაქციათა განურჩევლად. მაგრამ ჩვენ მოვუწოდებთ მკითხველებს ფრიად სერიოზულად ჩაუფიქრდნენ იმ მიზეზებს, რომლებმაც ცნობილი და პასუხისმგებელი მენშევიკი ესოდენ დაუჯერებელი სიადვილით გადაიქცეს ლიბერალად. ძნელი როდია დაგმოთ და უკუაგდოთ ოპორტუნიზმის «უკიდურესობა», «ექსცესი», რომელიც თვალში გეცემათ. ბევრად უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს იმ შეცდომათა წყაროს გამოაშკარავებას, რაც სოციალ-დემოკრატს სიწითლეს ჰგვრის. ჩვენ მოვუწოდებთ მკითხველებს ჩაუფიქრდნენ, მართლაც განსხვავება ჩერევანინსა და ჩვენს ც. კ.-ს შორის უფრო ღრმაა თუ არა, ვიდრე სედელნიკოვსა და პეშეხონოვს შორის?

მთელი ამ «ოთხეულის» მისწრაფებათა სარჩული ერთი და იგივეა. ობივატელური, წვრილბურჟუაზიული ტიპის ადამიანები რევოლუციამ მოღალა. პატარა, უფერული, უბადრუკი, მაგრამ მშვიდობიანი კანონიერება გვირჩევნია, ვიდრე რევოლუციური აღტყინებისა და კონტრრევოლუციური გაშმაგების ქარიშხლიანი ცვალებადობაო. რევოლუციურ პარტიათა შიგნიდან ეს მისწრაფება გამოიხატება ამ პარტიათა გარდაქმნის

სურვილით. დაე პარტიის ძირითად ბირთვად ობივატელი გახდეს: «პარტია მ ა ს ო ბ რ ი ვ ი უნდა იყოს». ძირს არალეგალობა, ძირს კონსტიტუციური «პროგრესის» ხელშემშლელი კონსპირაცია! უნდა მოხდეს ძველი რევოლუციური პარტიების ლეგალიზაცია. ამისათვის კი საჭიროა მათი პროგრამების სრული რეფორმა ორი ძირითადი მიმართულებით: პოლიტიკური და ეკონომიური მიმართულებით. უნდა ამოვაგდოთ რესპუბლიკის და მიწის კონფისკაციის მოთხოვნა, ამოვაგდოთ სოციალისტური მიზნის ნათელი და ცხადი, შეურიგებლად-მკაცრი, ხელშესახები განმარტება, სოციალიზმი დავისახოთ «შორეულ პერსპექტივად», როგორც ეს უბადლო სიკეკლუცით გამოთქვა ბ-ნმა პეშეხონოვმა.

ჩვენ მიერ მოხსენებული «ოთხეულის» სხვადასხვა წარმომადგენელნი სხვადასხვა საბაბით და სხვადასხვა ფორმით გამოხატავენ სწორედ ამ მისწრაფებებს. სედელნიკოვის დემოკრატიული მონარქია; — «სახალხო-სოციალისტური» პარტიის «პროგრესი» ტრუდოვიკისაგან კადეტისაკენ; — დამფუძნებელი კრებისათვის რევოლუციური ბრძოლის უარყოფა ჩერევანინის მიერ; — მუშათა ყრილობა აქსელროდისა და პლეხანოვისა; — ჩვენი ც. კ.-ის ლოზუნგი — «სათათბიროსათვის»;—მსჯელობა კონსპირაციისა და იატაკქვეშეთის კონსერვატიულობის, «საერთო-ნაციონალურ ბურჟუაზიულ რევოლუციაზე» გადასვლის პროგრესულობის შესახებ «სოციალ-დემოკრატის» № 1-ში, რომელსაც იგივე ც. კ. სცემს — ყოველივე ეს არის გამოხატულება ერთი საერთო ძირითადი მისწრაფებისა, ყოველივე ეს არის ერთი ნაკადი ობივატელობისა, რომელიც რევოლუციურ პარტიებში თავს მაღლა სწევს.

პარტიის ლეგალიზაციის, მასასთან მისი «მიახლოების», კადეტებთან შეთანხმების, საერთო-ნაციონალურ ბურჟუაზიულ რევოლუციასთან დაახლოების თვალსაზრისით ჩერევანინმა ს ა ვ ს ე ბ ი თ ლ ო გ ი კ უ რ ა დ გამოაცხადა «უაზრობად და სიგიჟედ» დამფუძნებელი კრებისათვის ბრძოლა. «პროლეტარის» № 1-ში ჩვენ უკვე აღვნიშნეთ *, რომ ჩვენი

* იხ. ეს ტომი, გვ. 163 — 183. რ ე დ.

ც. კ. აშკარად ეწინააღმდეგება თავის თავს, როდესაც ცნობილ «წერილებში პარტიული ორგანიზაციებისადმი» (№№ 4 და 5) ჰქადაგებს საშუალო ბურჟუაზიასთან, ოფიცრობასთან და სხვ. კავშირს და ამავე დროს აყენებს დამფუძნებელი კრების ლოზუნგს, რომელიც მათთვის მ ი უ ღ ე ბ ე ლ ი ა. ჩერევანინი ამ მხრივ უფრო თანამიმდევარია და უფრო მართებულად, ანუ უფრო პატიოსნად, უფრო გულახდილად მსჯელობს, ვიდრე ბატონი პეშეხონოვები ანდა ჩვენი ც. კ. ცეკას «სოციალ-დემოკრატი» ან ცბიერობს, ან გასაოცარ მოუფიქრებლობას იჩენს, როდესაც, ერთი მხრივ, აცამტვერებს იმ «მარშრუტებს, რომელნიც პროლეტარიატს საერთო-ნაციონალურ მოძრაობას აშორებენ», «პოლიტიკურ იზოლაციას უმზადებენ მას», ხოლო, შეორე მხრივ, მხარს უჭერს დამფუძნებელი კრების ლოზუნგს და ამბობს: «საჭიროა აჯანყებისათვის ვემზადოთო».

აიღეთ მუშათა ყრილობა. ამას წინათ (6 ოქტომბერს) კადეტურმა გაზეთმა «ტოვარიშჩმა», ბოლოს და ბოლოს წამოაყრანტალა ამ ყრილობის საიდუმლოება. ამ გაზეთის ცნობით, «სოციალ-დემოკრატიის ერთერთ უხუცეს ბელადს, რომელმაც მუშათა ყრილობის საკითხი წამოაყენა», აი რა უთქვამს ამ რამდენიმე დღის წინათ წაკითხულ მოხსენებაში: «მათ («მუშათა ყრილობის» წევრებს) შეუძლიათ მიიღონ ს.-დ. მთელი პროგრამა, შესაძლოა, ზოგიერთი ცვლილებით, მაშინ პარტია გამოვა თავისი არალეგალური ორგანიზაციიდანაო». საქმე ნათელია. უხუცეს ბელადებს რცხვენიათ პირდაპირ თქვან, რომ მათ სურთ ცვლილების შეტანა პარტიის პროგრამაში, რათა პარტია ლეგალურ მდგომარეობაზე გადავიდეს. ვთქვათ, ამოაგდეს რესპუბლიკა, დამფუძნებელი კრება და პროლეტარიატის სოციალისტური დიქტატურის ხსენება, დაუმატეს, რომ პარტია იბრძვის მხოლოდ კანონიერი საშუალებებით (როგორც ეს ეწერა გერმანელი ს.-დ.-ების პროგრამაში განსაკუთრებული კანონის გამოცემამდე) და სხვ. «მ ა შ ი ნ პ ა რ ტ ი ა გ ა მ ო ვ ა თ ა ვ ი ს ი ა რ ა ლ ე გ ა ლ უ რ ი ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ი დ ა ნ ა ო» — ოცნებობენ «უხუცესი ბელადები», მაშინ

დამთავრდება გადასვლა «კონსერვატიული» არალეგალობიდან, რევოლუციურობიდან, იატაკქვეშეთიდან «პროგრესულ» კონსტიტუციურ კანონიერებაზე. სწორედ ეს არის მუშათა ყრილობის დედაარსი, რომელსაც მორცხვად მალავენ. მუშათა ყრილობა ის ქლოროფორმია, რომელსაც უხუცესი ბელადები გამოუწერენ ხოლმე «კონსერვატიულ» ს.-დ.-ებს, რათა უმტკივნეულოდ გაუკეთონ მათ ოპერაცია, როგორიც ბატონმა პეშეხონოვებმა ს.-რ. პარტიას გაუკეთეს. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ბატონი პეშეხონოვები პრაქტიკულნი, საქმიანნი არიან და იციან, საით მიდიან, ჩვენი უხუცესი ბელადების შესახებ კი ამის თქმა ცოდვა იქნებოდა. მათ არ ესმით, რომ ახლანდელ პოლიტიკურ ვითარებაში მუშათა ყრილობა მარტოოდენ ცარიელი ლაყბობაა; როდესაც ეს ვითარება შეიცვლება რევოლუციური აღმავლობით, მუშათა ყრილობა სრულიადაც არ მოგვიტანს ობივატელურ-დამამშვიდებელი კანონიერების გამარჯვებას, თუკი რევოლუციური ს.-დ. პარტიის გაფართოებამ მაშინ ზედმეტი არ გახადა მუშათა ყრილობა, ხოლო თუ ახლანდელი ვითარება შეიცვლება ისე, რომ სავსებით და მტკიცედ გაიმარჯვა რეაქციამ, მაშინ მუშათა ყრილობას შეუძლია შ ე კ ვ ე ც ო ს ს.-დ. პროგრამა იმ ზომამდე, რომ აქსელროდიც კი შეძრწუნდეს.

კადეტური პრესა რომ მთელი ძალღონით მხარს უჭერს მუშათა ყრილობის იდეას, ეს სავსებით გასაგებია, ვინაიდან იგი ალღოთი ხვდება ამ წამოწყების ობივატელურსა და ოპორტუნისტულ ტენდენციებს. ბ-ნი პორტუგალოვი — კადეტი, რომელიც თავის თავს უპარტიო სოციალისტად თვლის, — ტყუილად კი არ არის აღტაცებული აქსელროდის «ბრძნული პოზიციით» და იმეორებს მის აბუჩადამგდებ სიტყვებს პარტიაზე, როგორც «წრეობრივ ორგანიზაციაზე» («წრე» — 100 — 150 ათასი წევრი, ე. ი. ევროპული მასშტაბით, ერთი მილიონიდან მილიონნახევრამდე ხმა არჩევნებში!), და სერიოზული გამომეტყველებით კითხულობს: «კლასია პარტიისათვის თუ პარტია კლასისათვის?». ჩვენ ამ ბრძნულ კითხვაზე

ვუპასუხებთ კითხვითვე ბურჟუაზიული მწერლების მიმართ: თავი ღიპისათვის თუ ღიპი თავისათვის?

აიღეთ, ბოლოს, ცეკას «სოციალ-დემოკრატის» მსჯელობა. იმავე ბ-ნმა პორტუგალოვმა სწორედ შეიგნო ამ მსჯელობის არსი, როცა მოიყვანა ის ადგილი, რომელიც ჩერევანინის განცხადებებზე ნაკლები სახელის ღირსი როდია. «იგი (მენშევიკური მიმდინარეობა) ცდილობდა ხელი შეეწყო იმისათვის, რომ არალეგალური რევოლუციური ბრძოლა ინტელიგენციისა, რომელიც ეყრდნობა პროლეტარიატის მოწინავე ფენებს, გარდუვალად გადაქცეულიყო საერთო-ნაციონალურ ბურჟუაზიულ რევოლუციად». ბ-ნი პორტუგალოვი კომენტარს უკეთებს: «ჯერ კიდევ ახლახან ასეთ მუქარას (? ბეჭდვითი შეცდომაა? ასეთ იდეებს?) აუცილებლად აცხადებდნენ «ბურჟუაზიულ-დემოკრატიული» წარმოშობის ერესად. ახლა «ბურჟუაზიულ დემოკრატებს» აღარაფერი აქვთ ამ შენიშვნების დასამატებელიო».

ბ-ნი პორტუგალოვი მართალია. ამას წინათაც, ახლაც და ყოველთვის «სოციალ-დემოკრატის» მოწინავის მსჯელობას ვაცხადებდით, ვაცხადებთ და გამოვაცხადებთ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული იდეების ნაყოფად. ჩაუკვირდით, მართლაც, ამ მსჯელობას. არალეგალური ბრძოლა შეიძლება გადაიქცეს აშკარა ბრძოლად; ინტელიგენტთა ბრძოლა — სახალხო ანუ მასობრივ ბრძოლად; კლასის მოწინავე ფენების ბრძოლა — მთელი კლასის ბრძოლად; მაგრამ არალეგალური რევოლუციური ბრძოლის გადაქცევა საერთო-ნაციონალურ ბურჟუაზიულ რევოლუციად — ეს პირდაპირ აბდაუბდაა. ამ მსჯელობის რეალური მნიშვნელობა კი ისაა, რომ პროლეტარიატის თვალსაზრისს სცვლიან ბურჟუაზიული დემოკრატიის თვალსაზრისით.

«ორი წლის სამოქალაქო ომმა ჩვენში ნაციონალური რევოლუცია შეჰქმნა. ეს ფაქტია»... ამბობს «სოციალ-დემოკრატის» მოწინავე. ეს ფაქტი კი არა, ფრაზაა. სამოქალაქო ომი რუსეთში, თუ ამ სიტყვას სერიოზული მნიშვნელობით ვიხმართ,

ჯერ ორი წელიწადი როდია რაც წარმოებს. 1904 წლის სექტემბერში არავითარი სამოქალაქო ომი არ ყოფილა. სამოქალაქო ომის ცნების უზომოდ გაფართოება მხოლოდ იმათთვის არის ხელსაყრელი, ვინც უგულებელყოფს ნ ა მ დ ვ ი ლ ი სამოქალაქო ომის პერიოდში მუშათა პარტიის გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ ამოცანებს. რუსეთის რევოლუცია 1905 წლის 17 ოქტომბრამდე გაცილებით უფრო იყო საერთო-ნაციონალური, ვიდრე ახლა არის. საკმარისია აღვნიშნოთ რეაქციის მხარეზე მემამულეთა გადასვლა. საკმარისია გავიხსენოთ «ოქტიაბრისტების» ტიპის კონტრრევოლუციური პარტიების შექმნა და 1906 წლის ზაფხულის კადეტებში კონტრრევოლუციურ თვისებათა უეჭველი გაძლიერება 1905 წლის ზაფხულის ოსვობოჟდენიელებთან შედარებით. ოსვობოჟდენიელები ერთი წლის წინათ არ ლაპარაკობდნენ და არც შეეძლოთ ელაპარაკნათ რევოლუციის შეწყვეტაზე, სტრუვე მაშინ რევოლუციის მხარეზე დგებოდა. კადეტები ახლა პირდაპირ ამბობენ, ჩვენი მიზანია რევოლუციის შეწყვეტაო.

მაშასადამე, რას ნიშნავს ნამდვილად არალეგალური რევოლუციური ბრძოლის ეს გადაქცევა საერთო-ნაციონალურ ბურჟუაზიულ რევოლუციად? ეს ნიშნავს რუსეთის რევოლუციის მსვლელობით უკვე გამოაშკარავებულ კლასობრივ წინააღმდეგობათა უგულებელყოფას ან დაჩრდილვას. პროლეტარიატის გადაქცევას მოწინავე მებრძოლიდან, რომელიც დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ე ლ რევოლუციურ პოლიტიკას ეწევა, ბურჟუაზიული დემოკრატიის იმ ფრაქციის დამატებად, რომელიც ყველაზე უფრო ჩანს, ყველაზე მეტ პრეტენზიას აცხადებს «საერთო-ნაციონალურ» მისწრაფებათა წარმომადგენლობაზე. აქედან გასაგებია, თუ რატომ უნდა ეთქვა ბურჟუაზიულ ლიბერალს: ჩვენ აღარაფერი გვაქვს დასამატებელი, ჩვენ სავსებით ვეთანხმებით, ჩვენ მხარს ვუჭერთ სწორედ პროლეტარული ბრძოლის გადაქცევას საერთო-ნაციონალურ ბრძოლადაო. საერთო-ნაციონალურ ბრძოლად (ან, სულ ერთია, საერთო-ნაციონალურ რევოლუციად) გადაქცევა იმას

ნიშნავს, რომ აიღოთ ის, რაც საერთო აქვთ კადეტებსა და მათზე უფრო მემარცხენე სხვა პარტიებს, და ეს საერთო აღიაროთ სავალდებულოდ; ყოველივე დანარჩენი კი უკუაგდოთ, როგორც ისეთი რამ, «რაც პროლეტარიატს პოლიტიკურ იზოლაციას უმზადებს». სხვა სიტყვებით: მიემხროთ კადეტების მოთხოვნებს, ვინაიდან ყველა სხვა მოთხოვნა უკვე «საერთო-ნაციონალური» არ იქნება. აქედან ბუნებრივად გამომდინარეობს ორჭოფული ს.-დ. ოპორტუნიზმის ლოზუნგები: «სათათბიროსათვის, როგორც დამფუძნებელი კრების მომწვევი ძალაუფლების ორგანოსათვის», ან სათათბიროსათვის, როგორც «დამფუძნებელი კრების მოპოვების ბერკეტისათვის» («სოციალ-დემოკრატი» № 1). აქედან გამომდინარეობს თანამიმდევარი ს.-დ. ოპორტუნიზმის ლოზუნგი: უაზრობა და სიგიჟეა დამფუძნებელი კრებისათვის ბრძოლა, ვინაიდან დამფუძნებელი კრების მოთხოვნა «პროლეტარიატს პოლიტიკურ იზოლაციას უმზადებს», «საერთო-ნაციონალური ბურჟუაზიული რევოლუციის» ფარგლებს სცილდება და სხვ.

რევოლუციური სოციალ-დემოკრატები სხვანაირად უნდა მსჯელობდნენ. იმის მაგივრად, რომ ვიმეოროთ «საერთო-ნაციონალურ ბურჟუაზიულ რევოლუციაზე» ფრიად ზოგადი ფრაზები, რომელთა ბურჟუაზიული დამახინჯება ძალიან ადვილია, ჩვენ ანალიზი უნდა გავუკეთოთ ზუსტად გარკვეული კლასებისა და პარტიების კონკრეტულ მდგომარეობას რევოლუციის სხვადასხვა მომენტში. 1900 და 1901 წლებში ძველი «ისკრა» და «ზარია» სრული უფლებით ლაპარაკობდნენ სოციალ-დემოკრატიაზე, როგორც საერთო-ნაციონალური განთავისუფლების იდეათა მატარებელზე, როგორც მოწინავე მებრძოლზე, რომელიც იმხრობს ყველას, თავადაზნაურობის ლიბერალ წინამძღოლებსაც კი. მაშინ ეს მართალი იყო, რადგან მთავრობის პოლიტიკაში არაფერი, აბსოლუტურად არაფერი ყოფილა ისეთი, რაც შესძლებდა ოდნავ მაინც დაეკმაყოფილებინა ფრიად მოკრძალებული ბურჟუაზიული ლიბერალიზმიც კი. სრულიად რუსეთის ოქტომბრის გაფიცვამ დაამ-

ტკიცა ეს სიმართლე, ვინაიდან მაშინ პროლეტარული ბრძოლა შეიქმნა ყოველგვარი, მათ შორის ფრიად მოკრძალებული ბურჟუაზიული ლიბერალიზმის მიზიდვის ცენტრი.

17 ოქტომბრის შემდეგ ვითარება შეიცვალა და უნდა შეცვლილიყო კიდეც. ლიბერალურ-მონარქისტული ბურჟუაზია (ტყუილად უწოდებს მას ამხ. მარტოვი «ლიბერალურ-დემოკრატიულს») უნდა აღმდგარიყო მონარქიისა და მემამულეთა მიწათმფლობელობის დასაცავად, აღმდგარიყო პირდაპირ (ოქტიაბრისტები) ან არაპირდაპირ (კადეტები), ვინაიდან რევოლუციის შემდგომი გამარჯვებანი სერიოზულად და უშუალოდ ემუქრებოდნენ ამ საყვარელ დაწესებულებებს. ღრმად ცდებიან ისინი, ვისაც ავიწყდებათ, რომ რევოლუციის პროგრესთან, მის ამოცანათა ზრდასთან ერთად იცვლება აგრეთვე კლასთა და ხალხის იმ ელემენტთა შემადგენლობაც, რომელთაც უნარი აქვთ მონაწილეობა მიიღონ ამ ამოცანათა განხორციელებისათვის ბრძოლაში. პროლეტარიატი ბურჟუაზიული რევოლუციის გავლით მიდის სოციალიზმისაკენ. ამიტომ ბურჟუაზიულ რევოლუციაში მან უნდა ფეხზე დააყენოს და რევოლუციურ ბრძოლაში ჩააბას ხალხის სულ უფრო მეტი და მეტი რევოლუციური ფენები. 1901 წელს იგი აღვიძებდა ერობის ლიბერალებს. ახლა მისი მთავარი ამოცანა, ობიექტურ პირობათა გამო, შეიქნა ის, რომ გააღვიძოს, გაანათლოს, ბრძოლაში ჩააბას რევოლუციური გლეხობა და ყოველგვარად გაათავისუფლოს იგი არა მარტო ხალასი კადეტების, არამედ აგრეთვე პეშეხონოვის ტიპის ტრუდოვიკთა იდეური და პოლიტიკური მეურვეობისაგან. თუ რევოლუციას შეუძლია გაიმარჯვოს, ეს მ ხ ო ლ ო დ დ ა მ ხ ო ლ ო დ იმის წყალობით, რომ პროლეტარიატს კავშირი ექნება ნამდვილად-რევოლუციურ და არა ოპორტუნისტულ გლეხობასთან. ამიტომ, თუ ჩვენ სერიოზულად ვლაპარაკობთ, რომ რევოლუციის (და არა მარტო კონსტიტუციის) მომხრენი ვართ, სერიოზულად ვლაპარაკობთ «ახალ რევოლუციურ აღმავლობაზე», მაშინ ჩვენ გადაჭრით უნდა შევებრძოლოთ ყოველგვარ ცდას იმისას, რომ სავსებით

უკუაგდონ დამფუძნებელი კრების ლოზუნგი ან შეასუსტონ იგი სათათბიროს აუცილებელი მიტმასნებით (სათათბირო, როგორც ძალაუფლების ისეთი ორგანო, რომელიც დამფუძნებელ კრებას მოიწვევს, ან სათათბირო, როგორც ბერკეტი დამფუძნებელი კრების მოსაპოვებლად და სხვ.), პროლეტარიატის ამოცანების დაკნინებით კადეტური ან ვითომდა საერთო-ნაციონალური ბურჟუაზიული რევოლუციის ფარგლებამდე. გლეხთა მასიდან აუცილებლად გახდება ოპორტუნისტული და შემდგომ რეაქციულიც კი მხოლოდ შეძლებული და საშუალო გლეხობა. მაგრამ ეს გლეხობის უმცირესობაა. ღარიბი გლეხობა პროლეტარიატთან ერთად ხალხის, ერის უდიდეს უმრავლესობას შეადგენს. ამ უმრავლესობას შ ე უ ძ ლ ი ა გაიმარჯვოს და სავსებით გაიმარჯვებს ბურჟუაზიულ რევოლუციაში, ე ს ე-ი გ ი შ ე უ ძ ლ ი ა მ ო ი პ ო ვ ო ს ს რ უ ლ ი თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა და მ თ ე ლ ი მ ი წ ა, განახორციელოს მუშათა და გლეხთა კეთილდღეობის მაქსიმუმი, როგორიც კი შესაძლებელია კაპიტალისტურ საზოგადოებაში. თუ გნებავთ, ერის უმრავლესობის ასეთს რევოლუციას შეიძლება საერთო-ნაციონალური ბურჟუაზიული რევოლუცია ვუწოდოთ, მაგრამ ყველასათვის ცხადია, რომ ამ სიტყვების ჩვეულებრივი მნიშვნელობა სრულიად სხვაა, რომ მათი ნამდვილი მნიშვნელობა ამჟამად კადეტურია.

ჩვენ «კონსერვატიული» სოციალ-დემოკრატები ვართ იმ აზრით, რომ მხარს ვუჭერთ ძველ რევოლუციურ ტაქტიკას. «პროლეტარიატმა ბოლომდე უნდა გაატაროს დემოკრატიული გადატრიალება, შეიერთოს გლეხობის მასა, რათა ძალით დათრგუნოს თვითმპყრობელობის წინააღმდეგობა და გააქარწყლოს ბურჟუაზიის მერყეობა» («ორი ტაქტიკა») *. ეს დაიწერა 1905 წლის ზაფხულში. ახლა ბრძოლის მიზანი უფრო დიდია, ამოცანა უფრო ძნელია, შეტაკება უფრო ცხარე იქნება. საჭიროა გავაქარწყლოთ ყოველგვარი, მათ შორის ინტელიგენტური, მათ შორის გლეხური ბურჟუაზიის მერყეობა. საჭიროა

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 9, გვ. 110. რ ე დ.

შევუერთოთ პროლეტარიატს გადამწყვეტი რევოლუციური ბრძოლის უნარმქონე ღარიბი გლეხობის მასა. «რევოლუციის ახალი აღმავლობის» წინაშე სწორედ ამ დიად ამოცანებს დაა ყენებს არა ჩვენი სურვილი, არამედ ობიექტური პირობები. შეგნებულმა პროლეტარიატმა ბოლომდე უნდა შეასრულოს თავისი მოვალეობა.

P. S.* ეს სტატია უკვე გადაცემული იყო დასაბეჭდად, როდესაც წავიკითხეთ ამხ. მარტოვის წერილი «ტოვარიშჩში». ლ. მარტოვი ემიჯნება ჩერევანინს კადეტებთან ბლოკის საკითხში. ეს ძალიან კარგია. მაგრამ საოცარია და ძალიან სამწუხარო, რომ ლ. მარტოვი არ ემიჯნება ჩერევანინის აღმოჩენას: «უაზრობა და სიგიჟეა დამფუძნებელი კრებისათვის ბრძოლაო», თუმცა მის მიერ ციტირებული № 73 «ტოვარიშჩიდან» მას არ შეეძლო ეს აღმოჩენა არ სცოდნოდა. ნუთუ მარტოვიც პროგრესირების გზით უკვე ჩერევანინამდე მივიდა?

«პროლეტარი» № 6,
1906 წ. 29 ოქტომბერი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

---

* — **Postscriptum** — მინაწერი. რედ.

მარტოვისა და ჩერევანინის გამოსვლა ბურჟუაზიულ პრესაში[78]

ამბავი იმისა, თუ როგორ სარგებლობს ზოგიერთი სოციალ-დემოკრატი ბურჟუაზიული, კადეტური, «ტოვარიშჩის» მსგავსი გაზეთებით, ხოლო მისი მეშვეობით «ნოვი პუტ»-ითაც[79], რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის შესახებ ყალბი ცნობების გასავრცელებლად. — უარყოფა. — შეფასება. — დასკვნები

სიყალბე, რომელსაც ლ. მარტოვი ავრცელებს ბურჟუაზიული პრესის მეშვეობით

12 ოქტომბრის ბურჟუაზიულ, კადეტურ გაზეთ «ტოვარიშჩში» (№ 85) გ ა დ ა ბ ე ჭ დ ი ლ ი ა, სრულიად უშენიშვნოდ, კადეტური გაზეთისავე «ნოვი პუტის» სიტყვები: «ჩვენ («ნოვი პუტს») არ შეგვიძლია არ აღვიაროთ, რომ, დაყინებით მოითხოვენ რა უკიდურეს მემარცხენეებთან მუდმივს ბლოკს (ამას ჩვენ ვიგებთ ბ-ნ მარტოვის წერილიდან), ისინი (ბოლშევიკები) უფრო თანამიმდევარნი არიან, ვიდრე ბ-ნი მარტოვი».

მაშ ასე, «ნოვი პუტ» პირდაპირ იმოწმებს ლ. მარტოვს ბოლშევიკების შესახებ თავისი ყალბი ცნობის დასადასტურებლად.

საჭიროა ფაქტების აღდგენა.

«ბოლშევიკური» «პროლეტარის» № 1-ში დაბეჭდილ სტატიაში «ბოიკოტის შესახებ» ნათქვამი იყო (გვ. 3): «ჩვენ

მოვიწვევთ პარტიის მეხუთე ყრილობას; ჩვენ იქ დავადგენთ, რომ, თუ არჩევნები მოხდება, აუცილებელი იქნება რამდენიმე კვირით საარჩევნო შეთანხმება შრომის ჯგუფელებთან (პარტიის მეხუთე ყრილობის მოუწვევლად ერთსულოვანი საარჩევნო კამპანია შეუძლებელია, ხოლო ყოველგვარი «ბლოკი სხვა პარტიებთან» მეოთხე ყრილობის დადგენილებით უეჭველად აკრძალულია). და მაშინ სასტიკად დავამარცხებთ კადეტებს» *.

ი ი ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი ის, რაც კი დაწერილია ჩვენთვის ცნობილ ს.-დ. ლიტერატურაში საარჩევნო შეთანხმებისადმი ბოლშევიკების დამოკიდებულების შესახებ. ცხადია, «ნოვი პუტ» შეცდომაში შეიყვანა ლ. მარტოვმა. ბოლშევიკებს ა რ ა-ს ო დ ე ს არათუ დაჟინებით არ მოუთხოვნიათ, არამედ არც კი უხსენებიათ «მუდმივი ბლოკი უკიდურეს მემარცხენეებთან». ეს ერთი. მეორე: ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი «ბლოკისათვის» ბოლშევიკები მოითხოვდნენ უკვე გამოტანილი დადგენილების გ ა დ ა ს ი ნ ჯ ვ ა ს ახალ ყრილობაზე. ამაზე ტყუილად სდუმან ისინი, ვისაც ა შ ი ნ ებ ს ს.-დ. მუშათა პარტიის ახალი ყრილობა. ამაზე ტყუილად სდუმან აგრეთვე ბურჟუაზიული გაზეთები, რომელნიც თავის მკითხველებს ყალბ ცნობებს აწვდიან ან უქმნიან ყალბ შთაბეჭდილებას, თითქოს სოციალ-დემოკრატებს ფორმალურად ა რ ჰ ქ ო ნ დ ე თ აკრძალული ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი ბლოკი.

მესამე: ლ. მარტოვი, რომელიც ბურჟუაზიულ გაზეთებში წერს, განზრახ, ან დაუდევრობით, ან უმეცრებით, კადეტური გაზეთის «ტოვარიშჩის» მეშვეობით მკითხველებს უნერგავს იმ აზრს, რომ ბოლშევიკებს დასაშვებად მიაჩნიათ შეთანხმებანი დ ა ბ ა ლ საარჩევნო სტადიაზეც, ე. ი. მ ა ს ებ ი ს წ ი ნ ა შ ე აგიტაციის დროს, მაშინ როდესაც თვითონ მას, ლ. მარტოვს, მიზანშეწონილად მიაჩნია მხოლოდ «კერძო შეთანხმებანი ჩვენებური მრავალსაფეხურიანი საარჩევნო სისტემის უმაღლეს სტადიებზე».

* იხ. ეს ტომი, გვ. 158. რ ე დ.

ამგვარი მტკიცებისათვის ლ. მარტოვს არავითარი საბუთი არ მოეპოვება. ლ. მარტოვი ბურჟუაზიული პრესის მეშვეობით სიყალბეს ავრცელებს, ვინაიდან ბოლშევიკები საჭიროდ სთვლიდნენ შეთანხმებას მხოლოდ უმაღლესი სტადიებისათვის, და მხოლოდ ტრუდოვიკებთან, ისიც მხოლოდ რამდენიმე კვირით, ისიც მხოლოდ მეხუთე ყრილობის ნებართვით.

ამ სიყალბის გასავრცელებლად, რომელიც ადვილად შეიძლება შეიჭრას მასებში, ვინაიდან ყველასათვის ცნობილია კადეტური გაზეთების მიდრეკილება — თანაუგრძნონ მენშევიკებს და თანაგრძნობით გადაბეჭდონ ყველაფერი, რაიარი ტყუილის თქმაც კი არ უნდა მოეპრიანოთ მენშევიკებს ბოლშევიკების მიმართ, — ლ. მარტოვმა ისარგებლა «პროლეტარის» შეხედულებათა «შემოკლებული» გადმოცემით. თუმცა მთელი ეს შეხედულება სავსებით ეტევა ზემოთ მთლიანად მოყვანილ ხუთ ნაბეჭდ სტრიქონში, მიუხედავად ამისა ლ. მარტოვმა საჭიროდ დაინახა შეემოკლებინა იგი, და თანაც თავისი სიტყვებით გადმოეცა. მკითხველიც ხედავს, რომ ლ. მარტოვის შემოკლებული გადმოცემა სრულს დამახინჯებას უდრის.

«პროლეტარის» ხუთ სტრიქონში საკითხს გაკვრით ვეხებით. იქ სპეციალურად მოხსენებული არ არის არჩევნების არც დაბალი, არც უმაღლესი საფეხურები და სტადიები. მაგრამ, შეიძლება, ამიტომ შემომედავონ: თქვენც არავითარი საბუთი არა გაქვთ ამტკიცოთ, რომ ამ ხუთ სტრიქონში ლაპარაკი არ არის პირველ სტადიაზე შეთანხმების შესახებაო. ასეთი შემოდავება შეუძლია მხოლოდ ისეთ ადამიანს, რომელსაც სწადია ასოს გამოეკიდოს და სხვისი მსჯელობის ცხადი აზრი დაამახინჯოს.

უეჭველია, ხუთ სტრიქონში საკითხის განმარტებას მრავალი ხარვეზი აქვს, მაგრამ განა სტატიის საერთო ხასიათი და მთელი მისი შინაარსი ნებას იძლევა რომ არა მთლად თქმული

გავიგოთ გაფართოებულად (შეთანხმებათა მიმართ) და არა შეზღუდულად?

მაგრამ ზემოხსენებული ციტატის «ასოც» (თუ მას არ «შევამოკლებთ» à la * ლ. მარტოვისა) უეჭველად მეტყველებს გაფართოებული გაგების წინააღმდეგ, ვინაიდან ყველას, ვინც ოდნავ მაინც იცნობს არჩევნებს, ესმის, რომ პ ი რ ვ ე ლ სტადიაზე შეთანხმება შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა განისაზღვროს «რამდენიმე კვირით», იგი თ ვ ე ე ბ ს მოითხოვს. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ პეტერბურგში უ კ ვ ე ა ხ ლ ა ვ ე ასახელებენ პარტიებს, რომელთაც სურთ არჩევნების დროს კადეტებთან ბლოკი შეჰკრან, უ კ ვ ე ა ხ ლ ა გადმოგვცემენ, თუ დაახლოებით როგორ განაწილდება ქალაქ პეტერბურგის დეპუტატთა ადგილები კადეტებსა და პარტიებს შორის. ამბობენ, არჩევნები მოსალოდნელია 17 დეკემბერსაო. ჯერ ორი თვის წინათვე ის ადამიანები, რომელთაც მართლა სურთ შეთანხმება დაბალ სტადიაზე, უკვე იწყებენ მორიგებას, პირდაპირ ან შუამავალთა შემწეობით. შემდეგ, მიიღეთ მხედველობაში თვით არჩევნების ხანგრძლივობა, ამას მიუმატეთ ის დრო, რაც სჭირდება საკითხის პ ა რ ტ ი უ ლ გადაწყვეტას, ცენტრიდან მთელი რუსეთის ყველა კუთხეში პ ა რ ტ ი უ ლ ი დირექტივების გადაცემას, — და თქვენ დაინახავთ, რომ პარტიათა შორის შეთანხმება არჩევნების დაბალ სტადიაზე მოითხოვს თ ვ ე ე ბ ს, ხოლო «რამდენიმე კვირაში» შესაძლებელია შეთანხმების ჩატარება სწორედ მხოლოდ უმაღლეს სტადიებზე, ე. ი. ადგილების განაწილება ბრძოლის შემდეგ, უშუალოდ თვით ამომრჩეველთა ხმის მიცემით მიღებულ ძალთა გამოანგარიშების მიხედვით.

ბოლოს, რაკი მაიძულეს პრესაში გამოვსულიყავი ამ საკითხზე, უხერხულად მიმაჩნია თავი შევიკავო ჩემი პირადი აზრის გადმოცემისაგან. ახლანდელი პოლიტიკური სიტუაციის დროს მეხუთე ყრილობაზე მე დავიცავდი შემდეგს: არჩევნების დაბალ სტადიაზე სოციალ-დემოკრატებისათვის არავითარი

* — მსგავსად. რ ე დ.

ბლოკი და შეთანხმება სხვა პარტიებთან არ არის დასაშვები. მასების წინაშე არჩევნების დროს ჩვენი გამოსვლა აბსოლუტურად დამოუკიდებელი უნდა იყოს. უმაღლეს სტადიებზე დასაშვებია შეთანხმება ტრუდოვიკებთან მხოლოდ და მხოლოდ ადგილების პროპორციულად განაწილების შესახებ, ამასთან უპარტიო ტრუდოვიკები ჩვენ უნდა «გ ა ვ ხ ა დ ო თ» პარტიულებად, დავუპირისპიროთ მათ შორის მყოფი ოპორტუნისტები და ნახევრადკადეტები (ენესები, ს.-ს., «სახალხო-სოციალისტური პარტია» და სხვ.) რევოლუციურ ბურჟუაზიულ დემოკრატებს.

მარტოვი და ჩერევანინი

ლ. მარტოვი «ტოვარიშჩში» აბათილებდა ჩერევანინს, რომელიც კადეტებთან შეთანხმებაზე ლაპარაკობდა. ჩერევანინი იმავე «ტოვარიშჩში» ახლა განმარტავს «გაუგებრობას». ამ განმარტებიდან გამომდინარეობს, რომ «ნაშე დელოს» № 1-ში ჩერევანინს მაინცდამაინც სავსებით გარკვეული რამ არა უთქვამს რა იმის შესახებ, დაბალ თუ უმაღლეს საფეხურებზე მიაჩნია მას შესაძლებლად შეთანხმება. არსებითად კი იგი მომხრეა იმისა, რომ დ ა შ ვ ე ბ უ ლ ი ქ ნ ა ს შეთანხმება დ ა ბ ა ლ ს ა ფ ე ხ უ რ ე ბ ზ ე დ ა ც რ ო გ ო რ ც ს ო ფ ლ ა დ, ი ს ე ქ ა ლ ა ქ ა დ. რომელ პარტიებთან მიაჩნია დასაშვებად ჩერევანინს შეთანხმება, ამას იგი არ ამბობს. მისთვის (როგორც ჩანს, მარტოვისთვისაც) არ არსებობს განსხვავება რევოლუციურ და ოპორტუნისტულ ბურჟუაზიას შორის, ს. რ.-ებსა და კადეტებს შორის, «33» სათათბიროელის ტიპის ტრუდოვიკებსა და «სახ. სოციალისტების» ტიპის ტრუდოვიკებს შორის და სხვ. ესეც ცოტაა, ჩერევანინს შესაძლებლად მიაჩნია დ ა ბ ა ლ ს ა ფ ე ხ უ რ ე ბ ზ ე ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი კ ა ნ დ ი დ ა ტ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს შ ე უ თ ა ნ ხ მ ე ბ ლ ა დ ხ მ ი ს მ ი ც ე მ ა ც კ ი!

ამრიგად, ჩერევანინის პოზიცია სავსებით ირკვევა. ეს არა მარტო თვალსაჩინო (როგორც მას უწოდებს ბურჟუაზიუ-

ლი პრესა), არამედ აგრეთვე პასუხისმგებელი მენშევიკი, რომელიც ამასთანავე ყოველკვირეული გამოცემის «ნაშე დელოს» სათავეში დგას, იწონებს ყოველგვარ ბლოკს, იწონებს იმასაც კი, რომ სოციალ-დემოკრატებმა ბურჟუაზიულ კანდიდატებს მისცენ ხმა. ბოლშევიკები, მაშასადამე, სავსებით და უეჭველად მართალნი იყვნენ, როდესაც ამბობდნენ: მენშევიკები მუშათა კლასს ლიბერალურ-მონარქისტული ბურჟუაზიის მაჩანჩალად აქცევენ, სოციალ-დემოკრატიას კადეტების ამყოლ-დამყოლის როლს აკისრებენო.

დაე ახლა უკვე ნუღარავინ შევა შეცდომაში იმ ჭეშმარიტი მნიშვნელობის შესახებ, რომელიც აქვს ჩვეულებრივს მენშევიკურ ლოზუნგს: ბრძოლა სათათბიროსათვის, როგორც რევოლუციის ორგანოს ან ბერკეტის, ან იარაღისთვისაო და სხვ... რათა მხარი დაუჭირონ რევოლუციას, მენშევიკები მხარს უჭერენ «სათათბიროს» საზოგადოდ. ხოლო იმისათვის, რომ მხარი დაუჭირონ სათათბიროს საზოგადოდ, ისინი მზად არიან ხმა მისცენ, შეუთანხმებლადაც კი, კადეტთა პარტიის კანდიდატურებს, პარტიისა, რომელსაც რევოლუციის შეწყვეტა სურს!

გაიხსენეთ ფრანგი სოციალისტები, როგორიც არიან მილიერანი, ვივიანი, ბრიანი, რომელნიც ახლა, კლემანსოს მეთაურობით, არხეინად განაგებენ არქიბურჟუაზიულ საფრანგეთს, ჯარებს გზავნიან გაფიცულთა წინააღმდეგ და სხვ.. რათა მხარი დაეჭირათ სოციალიზმისათვის, ისინი მოუწოდებდნენ მხარი დაეჭირათ რესპუბლიკისათვის საზოგადოდ, რესპუბლიკისათვის, როგორც ასეთისათვის. რათა მხარი დაეჭირათ რესპუბლიკისათვის, ისინი ხმას აძლევდნენ, შეთანხმებით და შეუთანხმებლად, ჩვეულებრივ ბურჟუაზიულ პოლიტიკანებს, ოპორტუნისტებს. და ამნაირად ისინი, ნელნელა და შეუჩერებლივ, იქამდე მივიდნენ, რომ თვითონვე გადაიქცნენ ბურჟუაზიული ჩაგვრის ასეთივე ჩვეულებრივ მომხრეებად.

დიდ შარაგზაზე, თელილ გზაზე გამოვიდნენ ჩერევანინი და მისი მსგავსნი!

მარტოვი? იგი წინააღმდეგია შეთანხმებისა დაბალ საფეხურებზე. მან გააბათილა ჩერევანინი. ეს ფრიად სასიხარულოა. ოღონდ... ოღონდ დააკვირდით, რ ო გ ო რ გააბათილა მან იგი. ყოველი გონიერი პოლიტიკოსი თავის საარჩევნო ტაქტიკას ყოველთვის უმორჩილებს თავის ზოგად პოლიტიკურ ტაქტიკას. ჩერევანინის ტაქტიკა კადეტური გაზეთების თავაზიანობის წყალობით, ახლა ყველასათვის ცნობილია: «პროლეტარიატის მხრივ უაზრობა და სიგიჟე იქნება ეცადოს, როგორც ამას ზოგიერთნი გვირჩევენ, გლეხობასთან ერთად გააჩაღოს ბრძოლა მთავრობასთანაც და ბურჟუაზიასთანაც სრულძალაუფლებიანი და საყოველთაო-სახალხო დამფუძნებელი კრებისთვის». ჩერევანინის ეს სახელგანთქმული დებულება ც ი ტ ი რ ე ბ უ ლ ი ი ყ ო «ტოვარიშჩის» იმ ნომერში, რომელზედაც «უპასუხა» ლ. მარტოვმა. და აი, როდესაც ლ. მარტოვი აბათილებდა ჩერევანინის საარჩევნო ტაქტიკას, მას კ რ ი ნ ტ ი ც არ დაუძრავს ჩერევანინის მ თ ე ლ ი პოლიტიკური ტაქტიკის ამ ძირითადი დებულების წინააღმდეგ.

ვინ უფრო თანამიმდევარია ამ ორს შორის? ვინ უფრო მტკიცედ დგას ფეხზე? სათათბიროსათვის თუ რევოლუციისათვის? სათათბიროსათვის საზოგადოდ — ნიშნავს: კადეტებისათვის — ნიშნავს: დამფუძნებელი კრების წინააღმდეგ. რევოლუციისათვის — ნიშნავს: განსაზღვრული პირობებით სათათბიროს მხოლოდ განსაზღვრული ნაწილისათვის — ნიშნავს: კადეტების წინააღმდეგ — ნიშნავს: უაზრობა და სიგიჟეა ახლა დამფუძნებელი კრების ლოზუნგის უკუგდება ან თუნდაც შესუსტება.

სოციალ-დემოკრატები ბურჟუაზიულ გაზეთებში

ეკადრება თუ არა სოციალ-დემოკრატს მონაწილეობის მიღება ბურჟუაზიულ გაზეთებში?

არა. თეორიული მოსაზრებანიც, პოლიტიკური რიგიანობაც, ევროპის სოციალ-დემოკრატიის პრაქტიკაც ასეთი მონაწილეობის წინააღმდეგ ღაღადებს. ცნობილია, რომ ახლახანს

გერმანელი სოციალ-დემოკრატების ერთერთ ყრილობაზე ეს საკითხი წამოიჭრა და კიდეც განიხილეს. ცნობილია, რომ ჩვენი გერმანელი ამხანაგები ს ა ს ტ ი კ ა დ ჰ გ მ ო ბ ე ნ სოციალ-დემოკრატების მონაწილეობას ბურჟუაზიულ პრესაში, გადაჭრით იბრძვიან, რომ რევოლუციური პროლეტარიატის პარტიამ ამ დარგშიც არ დაუშვას არც ბლოკი, არც შეთანხმება, არამედ შეინარჩუნოს დამოუკიდებლობა, რათა მუშათა პარტიის ლიტერატორები ს ა ქ მ ი თ, და არა მხოლოდ სიტყვით, შეკავშირებულნი იყვნენ, კონტროლს ემორჩილებოდნენ, ერთი სიტყვით, მტკიცე პარტიულნი იყვნენ.

გვაქვს თუ არა უფლება ამ წესებს გადავუხვიოთ რუსეთში?

ჩვენ შეგვესიტყვებიან: წესის გამონაკლისი ყოველთვის არის შესაძლებელიო. — ეს უდავოა. არ შეიძლება გავკიცხოთ გადასახლებული, რომელ გაზეთსაც უნდა მიმართოს მან. ძნელია ხ ა ნ დ ა ხ ა ნ გაკიცხვა სოციალ-დემოკრატისა, რომელიც ხელფასის გულისათვის მუშაობს ბურჟუაზიული გაზეთის რომელსამე მეორეხარისხოვან განყოფილებაში. შეიძლება გავამართლოთ საჩქარო და საქმიანი უარყოფის მოთავსება და სხვ. და სხვ.

მაგრამ აბა შეხედეთ, რა ხდება ჩვენში. «გაუგებრობათა» უარყოფის სახით, რომლებსაც იწვევს ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ-რ ა ტ ი უ ლ ი «ნაშე დელო», ლ. მარტოვი წერს თითქმის ორ სვეტს კადეტურ გაზეთში, გულდამშვიდებით გადმოგვცემს ზოგი ს.-დ.-ის შეხედულებებს, ეკამათება სხვა ს.-დ.-ებს, ამახინჯებს მისთვის მიუღებელი ს.-დ.-ების შეხედულებებს და სრულიად არ ფიქრობს იმ სიამოვნებაზე, რასაც იგი ჰგვრის პროლეტარიატის ყველა მტერს თავისი სალიტერატურო «ბლოკით» კადეტებთან. კადეტური გაზეთები მყისვე ეხმაურებიან ლ. მარტოვის მიერ კადეტურ პრესაში მოთავსებულ სტატიას, ახმაურებენ მას, თავისი მხრივაც ცოტა რასმე უმატებენ მარტოვის მიერ რევოლუციური სოციალ-დემოკრატების შესახებ გავრცელებულ სიყალბეს, მხარზე ხელს უთათუნებენ მარტოვს («რეჩი») და სხვ.. ჩერევანინი შეაცდინეს. თუ მარტოვი «ტოვარიშჩში» აბათილებდა ჩერევანინის «გაუგებრობას» და

ამავე დროს ათას და მრავალ კიდევ სხვა რამეზე ლაპარაკობდა, რატომ ჩერევანინსაც არ შეუძლია იმავე «ტოვარიშჩში» მოათავსოს ლ. მარტოვის «გაუგებრობათა» გაბათილება? სხვათა შორის, რატომ არ უნდა ისარგებლონ ამ შემთხვევით და არ დაიწყონ კადეტურ პრესაში (სოციალ-დემოკრატიულში მაინც სათაკილოა!) მსჯელობა საკითხზე, აძლიონ თუ არა სოციალისტებმა ხმა ბურჟუაზიულ კანდიდატურებს შეუთანხმებლადაც კი *.

და აი, კადეტურ გაზეთებში გახსნილია განსაკუთრებული განყოფილება: სოციალ-დემოკრატი ოპორტუნისტების საშინაო-სალიტერატურო მიმოწერა. ვინაიდან მისი საგანია მტკიცება, რომ დასაშვებია კადეტებთან ბლოკი და კადეტებისათვის ხმის მიცემაც კი, ამიტომ კადეტები სიამოვნებით უთმობენ კუთხეს მიუსაფარ «პროგრესულ» ს.-დ.-ებს, რომელნიც ეაურბიან რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის «კონსერვატიულ» წესებს.

ლიტერატურის მენშევიკი გენერლები ორ ბინად ეწყობიან. სუფთა ბინაში ისინი კეთილ ბატონებს ებაასებიან კადეტებთან ბლოკზე და ამასთანავე ანეკდოტებს უამბობენ რევოლუციურ ს.-დ.-ებზე. მოუვლელ ბინაში — რომელსამე მუშურ გაზეთში ან სოც.-დემ. გამოცემასა თუ ფურცელში, — ისინი მუშებს სთავაზობენ «მუშათა უპარტიო ყრილობას» და ანათლებენ მათ — დამფუძნებელი კრებისათვის ბრძოლა უაზრობა და სიგიჟეაო. დაე, მუშებმა ცოტა მოიცადონ და მოითმინონ: როცა კადეტურ გაზეთ «ტოვარიშჩში» გათავდება სოციალ-დემოკრატიული დისკუსია სოციალისტების ბლოკზე ბურჟუაზიასთან, მაშინ მუშებიც ზოგ რასმე გაიგებენ... და, იყენებენ რა ტურგენევის ერთერთი პერსონაჟის საყოველდღეო წესს, მუშათა ყრილობის ჩვენებური მომხრეები წე-

* ფ. დანი უკვე გადაბარგდა «ტოვარიშჩში» არა «გაუგებრობათა» გასაბათილებლად, არამედ ისე, კომპანიის გულისათვის.

რილს წერილზე სწერენ «ტოვარიშჩში» და თანაც გაიძახიან: ჩვენი პარტია ინტელიგენტური პარტიაა...

ნუთუ მუშა სოციალ-დემოკრატები არ ჩაერევიან საქმეში, რათა ბოლო მოუღონ ამ ემსგავსოებას? ნუთუ ეს საზოგადოდ ჩვენი პარტიის ყველა წევრისათვის სულ ერთია?

დაწერილია 1906 წ. ოქტომბერში

ცალკე ბროშურად დაიბეჭდა 1906 წ. ოქტომბერში «პროლეტარსკოე დელოს» გამომც.

იბეჭდება ბროშურის ტექსტის მიხედვით

საგანგებო პარტიული ყრილობის მოწვევის შესახებ[80]

ცენტრალური კომიტეტის «სოციალ-დემოკრატის» ორივე ნომერში მოთავსებულია პლეხანოვისა და მარტოვის სტატიები საგანგებო ყრილობის მოწვევის წინააღმდეგ. სტატიები დაწერილია ისეთი აღგზნებული, გაბოროტებული ტონით, შიგ იმდენი შხამი, ბრაზი, პირადი ხასიათის გადაკვრით ნათქვამი სიტყვა და ეჭვებია, რომ ერთბაშად მკვდრეთით სდგება ემიგრანტული ‘კინკლაობის უცუდესი ეპოქის ატმოსფერო. ჩვენი პარტიის ც. კ., როდესაც თ ა ვ ი ს გამოცემაში ყრილობის შესახებ ამ და მ ხ ო ლ ო დ ამ სტატიებს ათავსებს, პირდაპირ სათაკილო მდგომარეობაში აგდებს თავის თავს. აბა ერთი დაუკვირდით: დემოკრატიულად ორგანიზებული მუშათა პარტიის პასუხისმგებელი სამინისტრო სრულიად ჰკარგავს მოთმინებას და გულზე სკდება ახალი ყრილობისათვის აგიტაციის გაწევის გამო! ეს ხომ პირდაპირ უხამსობაა, ამხანაგებო. სწორედ იმით, რომ ბრაზობთ და ილანძღებით თ ქ ვ ე ნ ი რწმუნებულებისა და თ ქ ვ ე ნ ი ტაქტიკის გადასინჯვისათვის აგიტაციის გამო, — თქვენ თვითონვე ფრიად სასტიკად ჰგმობთ საკუთარ თავს. ღვარძლიანი დაცინვის თვალსაზრისით ყრილობის ზოგიერთი მომხრე იმის უკეთეს რამეს ვერც კი ისურვებდა, რომ პლეხანოვისა და მარტოვის სტატიები ხელახლა გამოეცათ და ფართოდ გაევრცელებინათ.

საკითხავია, რატომ არის, რომ ც. კ.-ის სახელით ყრილობის წინააღმდეგ ილაშქრებენ ისეთი ადამიანები, რომელთაც შეუძლიათ ლაპარაკი მხოლოდ ნაწყენის კილოთი და თითქმის სლუკუნით? იმიტომ, რომ უკვე ფრიად ნათელი და მარტივია ის ორი ძირითადი ფაქტი, რამაც აუცილებელი გახადა აგიტა-

ცია ახალი ყრილობისათვის. ერთი ამ ფაქტთაგანი შეეხება პარტიის შემადგენლობას, მეორე — მის ტაქტიკას.

თავისი შემადგენლობით ჩვენი პარტია გამაერთიანებელი ყრილობის დროს ითვლიდა 13 000 ბოლშევიკს და 18 000 მენშევიკს. ც. კ. და უფრო მეტად კი ცენტრ. ორგანოს რედაქცია გამოხატავენ 18 000 კაცის ნებას. ახლა პარტიაში შემოვიდნენ 14 000 ლატვიელი, 26 000 პოლონელი და 33 000 ბუნდელი*. «სოციალ-დემოკრატის» № 1 მოწინავე სტატიაში ორჯერ და სავსებით კატეგორიულად არის აღიარებული, რომ პარტიაში ახლა ორივე ფრაქცია დაახლოებით თანაბარია. ასეთი აზრი, ცხადია ემყარება იმას, რომ პოლონელებსა და ლატვიელებს აკუთვნებენ ბოლშევიკებს, ხოლო ბუნდელებს — მენშევიკებს. ვთქვათ, ბუნდელების მენშევიკებისადმი მიკუთვნება მართებულია. მაშინაც კი ცხადია აშკარა არანორმალობა იმისა, რომ მენშევიკური ც. კ. წარმოადგენს მ თ ე ლ ჩვენს პარტიას (ც. კ.-ში შვიდი მენშევიკია, სამი ბოლშევიკი, ერთი ლატვიელი, ორი ბუნდელი, ერთი პოლონელი ითვლება ც. ო.-ს წევრის უფლებებით; ყველა პოლიტიკურ საკითხში გადამწყვეტი ხმის უფლებით მონაწილეობს კიდევ ხუთი მენშევიკი, ც. ო.-ს რედაქტორები).

რაც შეეხება ტაქტიკას, ყრილობის შემდეგ განვლილ 5 — 6 თვის მანძილზე პარტიამ განიცადა ჩვენი რევოლუციის ორი მნიშვნელოვანი პერიოდი: სათათბიროს პერიოდი და «სათათბიროს გარეკვის სამინისტრო». ჩვენი ც. კ.-ის ტაქტიკა სათათბიროს მიმართ გამოიხატებოდა საერთოდ მთელი (კადეტური) სათათბიროს მხარის დაჭერით. ამ ტაქტიკის აპოგეას წარმოადგენდა სათათბიროს (ე. ი. კადეტური) სამინისტროს მოთხოვნისა და დანიშვნის მხარის დაჭერის ლოზუნგი. პარტიის

* გაზეთ «ტოვარიშჩის» 1 ოქტომბრის №-ში მოთავსებულია, ვითომდა ც. კ.-ის ცნობების მიხედვით, ახალი ციფრები, რომელნიც მაინც ვერ სცვლიან ძირითად თანაფარდობას. ამ ციფრების მიხედვით ჩვენი პარტიის წევრთა რიცხვი ახლა დაახლოებით 150 000-ს უდრის. ამათგან დაახლოებით 33 000 არის ბოლშევიკი, 43 ათ. მენშევიკი, 13 ათ. ლატვიელი, 28 ათ. პოლონელი და 33 ათ. ბუნდელი.

უმრავლესობამ ეს ტაქტიკა და ეს ლოზუნგი რომ არ სცნო, — ეს ფაქტია. სათათბიროს პერიოდის განმავლობაში ს.-დ. პარტია ებრძოდა თავისი ც. კ.-ის ტაქტიკას. ამ ფაქტის კომენტირება და მის მნიშვნელობაზე ლაპარაკი ზედმეტია.

შემდეგ. სათათბიროს გარეკვის მერე ც. კ. პროტესტის ნაწილობრივი მასობრივი გამოხატვის მოწყობის მომხრე იყო. საერთო ტაქტიკის ლოზუნგად იქცა: მხარის დაჭერა სათათბიროსათვის, როგორც დამფუძნებელი კრების მომწვევი ძალაუფლების ორგანოსათვის. და ისევ უეჭველი ისტორიული ფაქტია, რომ პარტიის უდიდესმა უმრავლესობამ არ მიიღო თავისი ც. კ.-ის არც კონკრეტული ლოზუნგი და არც საერთო ტაქტიკა. ხოლო ვინც დაკვირვებით წაიკითხავს «სოციალ-დემოკრატის» №№ 1 — 2-ს, მან არ შეიძლება არ დაინახოს, რომ იქ ამ საერთო ტაქტიკას იცავენ, ამართლებენ და ასაბუთებენ (სათათბიროსათვის მხარის დაჭერა როგორც დამფ. კრების მოწვევის ბერკეტისათვის; კადეტები გლეხობასთან შედარებით ქალაქის პროგრესული ბურჟუაზიაა და სხვ.).

აქედან ცხადია, რომ, თუ სათათბიროს ხელახალი კამპანია დაიწყო, პარტიას მოუხდება ბრძოლა ც. კ.-ის მიერ სათათბიროს შესახებ წამოყენებულ ლოზუნგებთან, ხოლო თუ ახლო ხანში ადგილი ექნება რევოლუციურ გამოსვლებს, მოხდება ძალთა დაქსაქსვა და ბრძოლის დეზორგანიზაცია იმის გამო, რომ ც. კ. არ გამოხატავს პარტიის უმრავლესობის ნებას. მაშასადამე, ახალი პარტიული ყრილობის ყოველი დაყოვნება ახლა არა მარტო პირდაპირი დარღვევაა პარტიის დემოკრატიული ორგანიზაციის მთელი არსისა და მთელი აზრისა, არამედ იგი ფრიად სახიფათო დაბრკოლებასაც წარმოადგენს პროლეტარიატის უახლოესი ბრძოლისათვის სათათბიროს გარშემო და საერთო-რევოლუციური ბრძოლისათვის.

P. S.* ამ შენიშვნის დაწერის შემდეგ გამოსული «სოციალ-დემოკრატის №№ 3 — 5 უფრო მეტად ადასტურებს ყოველი-

---

* — **Postscriptum** — მინაწერი. რ ე დ.

ვე ზემონათქვამს. საარჩევნო შეთანხმებათა საკითხზე მენშევიკებში სრული განხეთქილება აღმოჩნდა და მათი ც. კ. ქანაობს მარტოვიდან ჩერევანინისაკენ. მარტოვმა საჯაროდ უარყო ჩერევანინი. პლეხანოვმა თანამშრომლობისათვის კადეტურ გაზეთს მიაშურა, რათა ჩერევანინს დახმარებოდა. «სოციალ-დემოკრატის» № 4-ის მოწინავე ამტკიცებს, რომ ც. კ. კვლავ აპირებს წამოაყენოს პარტიის წინააღმდეგ თავისი ლოზუნგები მთლიანად სათათბიროსათვის მხარის დაჭერისა და სათათბიროს სამინისტროს დანიშვნის მოთხოვნის მხარის დაჭერის შესახებ.

«პროლეტარი» № 7,
1906 წ. 10 ნოემბერი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის»
ტექსტის მიხედვით

როგორ იწერება ისტორია...

ეს ძველი ისტორიაა: სახელმწიფო სათათბიროს ბოიკოტის ისტორია. «სოციალ-დემოკრატის» № 3-ში ერთი ამხანაგი-მენშევიკი ამ ისტორიას შემდეგნაირად წერს (სტ. «სიტუაცია თუ პოზიცია?»):

«როდესაც ისტორიამ შემოგვთავაზა ბულიგინის სათათბიროს პროექტი, ჩვენ, გამოვდიოდით რა ჩვენი საერთო პრინციპული პოზიციიდან, რჩევას ვიძლეოდით მოწყობილიყო სახალხო სათათბიროს თვითნებური პარალელური არჩევნები, ბულიგინის სათათბიროს დაპირისპირებით, რომლის კარებიც ჩვენთვის დახშული იყო. ხოლო როდესაც, დეკემბრის აჯანყების შემდეგ, ჩვენ აღმოვჩნდით»...

მოითმინეთ, პატივცემულო ისტორიკოსო, — ერთ წუთს! თქვენ რომ თავზე ახტებით ფაქტებს ბულიგინის პროექტიდან დეკემბრის აჯანყებისაკენ — ეს კიდევ არაფერი, ეს ნახტომი მხოლოდ ქრონოლოგიურია. მაგრამ თქვენსავე ტაქტიკას და «პრინციპულ პოზიციას» რომ თავზე ახტებით, — ეს უკვე სხვა რამეა, ეს, სულ ცოტა რომ ვთქვათ... დიპლომატიური ნახტომია. თქვენ განა მ ხ ო ლ ო დ «თვითნებური არჩევნების» მოწყობას გვირჩევდით? განა ბულიგინის სათათბიროს თქვენ უცქეროდით როგორც მ ხ ო ლ ო დ ისეთს, რომლის «კარებიც თქვენთვის დახშული იყო»? მაშასადამე, თქვენ აპირებდით თქვენი, სახალხო სათათბიროს, გულისათვის ბულიგინის სათათბიროსათვის ბოიკოტის გამოცხადებას? ან მის უგულებელყოფას? განა მაშინ არ აწარმოებდით ბრძოლას რომელიღაც ბოიკოტისტების წინააღმდეგ? განა თქვენ არ ამბობდით დაჟინებით, მოსალოდნელ «ბულიგინურ» საარჩევნო კამპა-

ნიაში დადებითი მონაწილეობა უნდა მივიღოთო? განა თქვენ არ მოითხოვდით, რომ პარტიას მხარი დაეჭირა არჩევნებში მემარცხენე ლიბერალებისათვის და სხვა? როგორ დაგავიწყდათ ყოველივე ეს?

«როდესაც დეკემბრის აჯანყების შემდეგ ჩვენ აღმოვჩნდით»... მოითმინეთ, თქვენ ერთი წვრილმანი კიდევ გამოსტოვეთ. რუსეთმა ბოიკოტი გამოუცხადა ბულიგინის სათათბიროს, სახალხო სათათბირო კი აქამდეც არ არის... მერე რა, მიიჩნიეთ თუ არა თქვენი მაშინდელი ტაქტიკა მცდარად? არა, თქვენ უპასუხებდით ბოიკოტისტებს, რომ თქვენი ტაქტიკა ბულიგინის სათათბიროს მიმართ კარგი იყო, მაგრამ მხოლოდ რევოლუციამ შეუშალა მას ხელი მთელი თავისი ბრწყინვალეებით გამოჩენილიყო... აი ახლა, რაკი ყველაფერ ამას გაიხსენებთ, განაგრძეთ თქვენი ისტორიის წერა.

«ხოლო როდესაც, დეკემბრის აჯანყების შემდეგ, ჩვენ აღმოვჩნდით ახალი, ვიტეს სათათბიროს მოწვევის ფაქტის წინაშე, ჩვენ წინადადებას ვიძლეოდით მონაწილეობა მიგვეღო არჩევნების პირველ სტადიებში, რადგან ანგარიშს ვუწევდით ორ შესაძლებლობას: ან თვით ჩვენი მონაწილეობის ფაქტი გამოიწვევდა რევოლუციურ აღმავლობას, რომელიც აღგვიდა ვიტეს სათათბიროს...»

მოითმინეთ, პატივცემულო ისტორიკოსო, მოითმინეთ, ეს რა გემართებათ? «ჩვენი მონაწილეობის ფაქტი გამოიწვევდა რევოლუციურ აღმავლობას»... არა, თქვენ, ალბათ, მხოლოდ ხუმრობთ! თქვენ ყოველთვის ბრალს სდებდით ბოლშევიკებს, ისინი თავიანთ ძალებს გულუბრყვილოდ აზვიადებენო, — და განა შეიძლება თქვენ სერიოზულად ლაპარაკობდეთ იმაზე, რომ რევოლუციურ აღმავლობას — და მერე როგორს: «რომელიც აღგვიდა»... და სხვ., — გამოიწვევდა «ჩვენი მონაწილეობის ფაქტი». არა, ეს, რა თქმა უნდა, სერიოზული ლაპარაკი როდია.

მაშასადამე: «...ან თვით ჩვენი მონაწილეობის ფაქტი გამოიწვევდა რევოლუციურ აღმავლობას, რომელიც აღგვიდა ვიტეს სათათბიროს და წარმოშობდა ჩვენთვის უფრო ხელსაყრელ წარმომადგენლობითს დაწესებულებას; ანდა რევოლუ-

ციური აღმავლობა უშუალოდ არ დადგებოდა, — და მაშინ არათუ შესაძლებლობა გვექნებოდა, მაშინ თვით საქმის ვითარება გვაიძულებდა წავსულიყავით სათათბიროში, როგორც ეს მოხდა მოსკოვის ლეფორტის რაიონში».

უკაცრავად, მაგრამ ამ მეორე «ან»-ზე, მე მახსოვს, მაშინ არაფერი გითქვამთ!

დიახ, არაფერი გვითქვამსო, — გვიპასუხებს ჩვენი ისტორიკოსი.

«მართალია, ბროშურაში, რომელიც გამოსცა გაერთიანებულმა რედაქციამ, ჩვენ განვაცხადეთ, რომ ჩვენ რჩევას არ ვიძლევით უშუალოდ მივიღოთ მონაწილეობა სათათბიროს არჩევნებში. მაგრამ ჩვენ ეს ვქენით, ჩვენ წინასწარ შევიკარით ხელფეხი მხოლოდ კომპრომისის გულისთვის, რადგან იმედი გვქონდა, რომ ამით ბოიკოტისტებთან რაიმე შეთანხმებას მივაღწევდით ერთიანი ტაქტიკის შესამუშავებლად. ჩვენი მხრივ ეს იყო «ოპორტუნიზმი», სახელდობრ — შეგნებული შეგუება ამხანაგ-ბოიკოტისტების ჩამორჩენილ და ბეც შეხედულებებთან, და ამას ჩვენ გულწრფელად ვნანობთ».

აი, თურმე, რა ყოფილა! თქვენ ერთს ლაპარაკობდით და სხვას ფიქრობდით. და ლაპარაკობდით პროლეტარიატისა და მთელი რევოლუციური ხალხის წინაშე... თქვენ «ნანობთ» ამას! იცით კი ანდაზა: «ტყუილს მოკლე ფეხები აქვს»? იქნებ, თქვენი ახლანდელი «მონანიებაც» ვისიმე «ჩამორჩენილ» ან «ბეც» შეხედულებებთან «შეგუებითაა» გამოწვეული. სადაა ასეთი «ოპორტუნიზმის», ასეთი «კომპრომისების» საზღვარი? როგორღა უნდა მოვექცეთ რომელსამე თქვენს ლოზუნგს, როცა თქვენ თვითონვე აცხადებთ, რომ ერთერთ უმნიშვნელოვანეს ტაქტიკურ საკითხში თქვენი ლოზუნგი არა გულწრფელად იქნა წამოყენებული? ახლა, შეიძლება, თქვენზე ისიც კი გაიფიქროს ვინმემ: სოციალ-დემოკრატებს მხოლოდ იმიტომ უწოდებენ თავს, რომ რევოლუციური პროლეტარიატის «ჩამორჩენილ და ბეც შეხედულებებს შეგუონო».

არა, მე უნდა გამოგესარჩლოთ. პოლემიკამ ისე გაგიტაცათ, რომ თქვენ სასტიკად ცილი დასწამეთ საკუთარ თავს.

თქვენ გულწრფელი ბოიკოტისტები იყავით არჩევნების მესამე სტადიაზე, როგორც ჩვენ გულწრფელი ბოიკოტისტები ვიყავით ყველა სტადიაზე. მაგრამ ბ ო ი კ ო ტ ი ს ტ ე ბ ი კი ვიყავით ორივენი ერთად. **Nebst gefangen, nebst gehangen.** ერთად დაიჭირეს, ერთად ჩამოახრჩეს. თქვენ ახლა გსურთ «ჩამოგვახრჩოთ» იმიტომ, რომ ჩვენ ბოიკოტისტები ვიყავით. მაგრამ მაშინ, ძვირფასო ამხანაგებო, საკუთარი თავის ჩამოხრჩობაც მოგიხდებათ: თქვენც ხომ იმავე ადგილას წაგასწრეს, სადაც ჩვენ. «მაგრამ ჩვენ მოვინანიეთ!» — აცხადებთ თქვენ. ეს, მართლაც, ცოტათი ამსუბუქებს თქვენს დანაშაულს. მაგრამ ეს თქვენ არ გამართლებთ და სასჯელისაგან ვერ გიხსნით. ვთქვათ, აღარ ჩამოგახრჩობენ, მაგრამ, მაგალ., გაგწკეპლავენ. ნუთუ ამას ესწრაფით?

ჩვენ კი არა მოგვინანიებია რა. ჩვენ ვამბობდით და ვამბობთ: ბოიკოტი, არა-ბოიკოტი, — ეს პრინციპის საკითხი კი არა, მიზანშეწონილობის საკითხია. პირველი სათათბიროს ბოიკოტი მიზანშეწონილი იყო. მან ხალხის მასებს მისცა სათათბიროს პროლეტარული შეფასება ცოცხალი, კონკრეტული ფორმით, როგორც ისეთი დაწესებულებისა, რომელიც უმწეოა გადაწყვიტოს რევოლუციის ძირითადი საკითხები. ახლა სათათბიროს გარეკვა და ყველაფერი, რაც ამას მოჰყვა, ადასტურებს ამ შეფასებას; ხალხის მასები ცხადად ხედავენ, რომ აქაც პროლეტარიატი აღმოჩნდა მათი ბუნებრივი ბელადი რევოლუციაში, და მან წინასწარ გააფრთხილა ისინი, რომ ამაოა კონსტიტუციური ილუზიები. ბოიკოტმა მიიზიდა მთავრობის ყურადღება და ძალები — და ამით ხელი შეუწყო ბურჟუაზიული ოპოზიციის გამარჯვებას არჩევნებში. ბოიკოტმა ფართო პროლეტარული მასები დარაზმა რევოლუციური პროტესტის ერთიან აქტში. მისი საორგანიზაციო და ორგანიზაციული მნიშვნელობა უზარმაზარი იყო.

ბოიკოტმა დიდი საქმე გააკეთა, — მაგრამ მან უ კ ვ ე გააკეთა იგი. სათათბიროს შეფასება მოცემულია, სათათბიროს მიმართ ილუზიებს მძლავრი ლახვარი ჩაეცა — საჭირო აღარაა ამის განმეორება. მთავრობის ძალებს ბოიკოტი ახლა ვეღარ

მიიზიდავდა — მთავრობამ, რასაკვირველია, შეიგნო წარსული არჩევნების გაკვეთილი. სააგიტაციო და ორგანიზაციული მუშაობის შესრულება შესაძლებელია არჩევნებში მონაწილეობის ნიადაგზე არა უარესად, ვიდრე ბოიკოტის ნიადაგზე — თუ საარჩევნო კანონი კიდევ უფრო არ გააუარესეს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში კი, იქნებ, ხელახლა ბოიკოტი გახდეს საჭირო. შეიძლება აგრეთვე სათათბიროს არჩევნებს ყურადღება აღარ მიექცეს, თუ კვლავ დაიწყო დიდი რევოლუციური ბრძოლები.

ამრიგად, ბოიკოტი მომავალშიც დარჩება ჩვენთვის მიზანშეწონილობის საკითხად. ჩვენ მხოლოდ ჯ ე რ ჯ ე რ ო ბ ი თ ვერ ვხედავთ საკმაო საბუთს ბოიკოტისათვის.

ვისაც თავი დამნაშავედ მიაჩნია, მას შეუძლია მონანიებას შეუდგეს. მაგრამ დაე მან ამ შემთხვევაში ფერფლი დაიყაროს თ ა ვ ზ ე და დაფლითოს თ ა ვ ი ს ი ტანისამოსი და არა სხვისი. ხოლო ისტორიის დამახინჯება და მონანიებით გატაცების დროს ცილისწამება, — თუნდაც საკუთარი თავისადმი, — სრულიადაც არ არის საჭირო.

«პროლეტარი» № 7,
1906 წ. 10 ნოემბერი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

პოსტსკრიპტუმი სტატიისა: «სოციალ-დემოკრატია და საარჩევნო კამპანია»

ეს სტატია უკვე დაწერილი იყო, როდესაც გაზეთ «ტოვარიშჩში» გამოქვეყნდა გ. ვ. პლეხანოვის «ღია წერილი შეგნებული მუშებისადმი». ამ წერილში პლეხანოვი «მანევრებს აკეთებს» ბურჟუაზიის მემარცხენე ფრთასა და სოციალ-დემოკრატიის მემარჯვენე ფრთას შორის და საბოლოოდ წყვეტს კავშირს როგორც საერთაშორისო რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის პრინციპებთან, ისე პარტიის გამაერთიანებელი ყრილობის გადაწყვეტილებებთან. პარტიის ყრილობამ ფორმალურად აკრძალა ყოველგვარი ბლოკი ბურჟუაზიულ პარტიებთან. შეგნებული, ორგანიზებული პროლეტარი თავის პარტიულ კრებებზე ყოველგვარ ბლოკს ბურჟუაზიასთან «პროლეტარიატის საქმის ღალატს» უწოდებს; «ტოვარიშჩში» დაბეჭდილ თავის სტატიაში და პარტიული ორგანიზაციებისადმი მიმართულ წერილში ლ. მარტოვი დგება ბოლშევიკურ, ე. ი. თანამიმდევარ-რევოლუციურ თვალსაზრისზე და გადაჭრით ილაშქრებს პირველ სტადიაზე ყოველგვარი ბლოკის წინააღმდეგ. «პირველ საკითხზე («ბლოკი» თუ შეთანხმებანი არჩევნების დროს), — წერს მარტოვი, — ჩემი წინადადება იქნებოდა დაგვეცვა, ყ რ ი ლ ო ბ ი ს რ ე ზ ო ლ უ ც ი ა ზ ე დ ა ყ რ დ ნ ო ბ ი თ, ს რ უ ლ ი დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ლ ო ბ ა ჩ ვ ე ნ ი მ ო ნ ა წ ი ლ ე ო ბ ი ს ა არ ჩ ე ვ ნ ე ბ ი ს პ ი რ ვ ე ლ ს ტ ა დ ი ა ში, ე. ი. იქ, სადაც ჩვენ მასების წინაშე გამოვდივართ». საკითხის

ასე დაყენება პლეხანოვს «ყალბად გაგებული შეურიგებლობის» გამოხატულებად მიაჩნია. «იქ, სადაც ჩვენ დარწმუნებულნი ვერ ვიქნებით ჩვენი კანდიდატის გამარჯვებაში, — წერს პლეხანოვი, — ჩ ვ ე ნ ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ნ ი ვ ა რ თ შ ე ვ უ თ ა ნ ხ მ დ ე თ ს ხ ვ ა პ ა რ ტ ი ე ბ ს, რ ო მ ლ ე ბ ს ა ც კ ი ს უ რ თ ჩ ვ ე ნ ს ძ ვ ე ლ წ ე ს წ ყ ო ბ ი ლ ე ბ ა ს ე ბ რ ძ ო ლ ო ნ» *. ამნაირად, პლეხანოვს, წინააღმდეგ ყრილობის გადაწყვეტილებისა, დასაშვებად მიაჩნია შეთანხმება ბურჟუაზიულ პარტიებთან, მაგრამ თავისი «პოლიტიკური სიბრძნით» იგი ითვალისწინებს შემთხვევებს, როდესაც ჩვენ ასეთი შეთანხმება არ უნდა დავდოთ, «იქ, — წერს იგი, — სადაც ეჭვი არ გვეპარება, რომ მოვახერხებთ ჩ ვ ე ნ ი ს ა კ უ თ ა რ ი კ ა ნ დ ი დ ა ტ ი ს გ ა ყ ვ ა ნ ა ს *, ჩვენ შეგვიძლია ვიმოქმედოთ და უნდა ვიმოქმედოთ კიდევაც სხვა პარტიებისაგან დამოუკიდებლად». საოცარი «პოლიტიკური სიბრძნეა»! სადაც დარწმუნებულნი ვართ, რომ საკუთარ კანდიდატს ჩვენვე გავიყვანთ, ჩვენ მას თვითონვე გავიყვანთ. სადაც დარწმუნებულნი არა ვართ, იქ მივმართავთ დასახმარებლად... იმათ, «რომელთაც სურთ ძველ წესწყობილებას ებრძოლონ», ანდა ვეხმარებით ამ «მსურველებს» თავიანთი კანდიდატის გაყვანაში. მაგრამ იქ, სადაც ეს «მსურველები ბრძოლისა» დარწმუნებულნი იქნებიან, რომ თვითონვე გაიყვანენ თავიანთ კანდიდატებს, როგორ ფიქრობთ, ჰოი, თანამშრომელო კადეტური გაზეთებისა, პლეხანოვო, მოინდომებენ ისინი ჩვენთან შეთანხმებას? რაკი ლაპარაკია შეთანხმებაზე, ხომ ყოველი პოლიტიკური ბალღისათვის ცხადია, რომ შეთანხმება საჭიროა მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც პარტია დარწმუნებული არ არის, რომ საკუთარი ძალებით გაიყვანს თავის კანდიდატებს. მაგრამ ჩვენ ასეთ შემთხვევებშიც წინააღმდეგნი ვართ ყოველგვარი შეთანხმებისა. გ. ვ. პლეხანოვი კი, როგორც თავისუფლების ჭეშმარიტი რაინდი, განგაშსა სტეხს კადეტურ «ტოვარიშჩში» და მოუხმობს ყველა «ბრძოლის მსურველთ»... მობრძანდით,

* ხაზგასმა პლეხანოვისაა.

ყველა «მსურველნო»! პროლეტარიატი იბრძვის, თქვენ ბრძოლა «გსურთ»! ჩინებულია... ხოლო თუ პროლეტარს ესეც ეცოტავა, მაშინ იგი, რასაკვირველია, «თავისუფლების მტერი» ყოფილა.

ასე, ნელ-ნელა, საფეხურიდან საფეხურზე, კადეტთა სანუკვარი მენშევიკების ბელადი, რომელმაც დაივიწყა ის, რაც სათათბიროს გარეკვის შემდეგ თქვა, ქვეითდება... ჩერევანინამდე... პლეხანოვი, მისთვის ჩვეული «სისწრაფით, იერიშით და მახვილი თვალით», მიეშურება ჩვენი მემარჯვენე ფრთის ყველაზე მემარჯვენეებისაკენ. ძალიან შორს ჩამორჩენილა მარტოვი; ძლივსღა მისჩანჩალებს უკან თავის იდეურ ბელადს «სოციალ-დემოკრატი». ჯერ კიდევ ცენტრალური კომიტეტის ორგანო, ჩვენებური საარჩევნო კამპანიის კლასობრივი ხასიათის შესახებ ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ გვაწვდის შეთანხმებათა რთულ სისტემას, აშენებს კიბეს, რომლითაც სოციალ-დემოკრატია კადეტებამდე უნდა დაეშვას. ჯერაო, გვირჩევს «სოციალ-დემოკრატი», დამოუკიდებელი, ე. ი. კლასობრივი, გამოსვლა იქ, სადაც ჩვენ წარმატების შანსები გვაქვს; თუ წარმატების შანსები არა გვაქვს — ჩვენ გავერთიანდებით იმ ბურჟუაზიულ პარტიებთან, «რომლებიც ჩვენთან ერთად დამფუძნებელი კრების მოწვევისაკენ ისწრაფიან»; თუ ამ პარტიებს დამფუძნებელი კრება არა სურთ — მით უარესი — (ეს უკანასკნელი, მესამე, ანტიკლასობრივი და ანტიდემოკრატიული საფეხურია),—ჩვენ მათთანაც გავერთიანდებითო. თუ როგორ ახერხებს ცენტრალური კომიტეტი, არჩეული ყრილობის მიერ თავის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად, — ამ გადაწყვეტილებათა დარღვევას, — ეს მისი საიდუმლოებაა. ფაქტი ისაა, რომ ამჟამად ჩვენს თვალწინ იშლება სოციალ-დემოკრატიისათვის ყველაზე სამარცხვინო სანახაობა, როდესაც ერთი და იმავე ხელმძღვანელი ცენტრალური ორგანოს რედაქციაში «კიბო უკუ მიიწევს»..., ხოლო «გედი ღრუბლებისაკენ მიილტვის», როდესაც ჩვენთვის ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიცაა საარჩევნო ტაქტიკა, არათუ პარტიაში, არამედ «ხელმძღვანელ» ფრაქციაშიც კი არც

აზრთა ერთიანობაა, არც მოქმედების ერთიანობა. რომელ ქვეყანაში და რომელი სოციალისტური პარტია, გარდა უკიდურესი ოპორტუნისტული პარტიებისა, დაუშვებდა ასეთს პოლიტიკურ გათახსირებას? და საგულისხმო ისაა, რომ სწორედ ყველა ეს კიბო, ქარიყლაპია და გედი, ეს ერთმანეთის მბეგველნი მარტოვი და პლეხანოვი, სწორედ ესენი აწარმოებენ მეტად თავგამოდებულ კამპანიას პარტიის საგანგებო ყრილობის მოწვევის წინააღმდეგ, იმ ყრილობისა, რომელიც ახლა უფრო მეტად გვჭირდება, ვიდრე ოდესმე დაგვჭირებია.

«პროლეტარი» № 7,
1906 წ. 10 ნოემბერი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

სოციალ-დემოკრატია და საარჩევნო ფეთანხმეგანი [81]

დაწერილია 1906 წ. ოქტომბრის დამლევს.

დაიბეჭდა 1906 წ. ნოემბერში ცალკე ბროშურად. გამოცემა «ვპერიოდისა»

21 ტ. 11

იბეჭდება ბროშურის ტექსტის მიხედვით

მეორე სათათბიროს საარჩევნო კამპანიის საკითხი ძალიან ეინტერესება ახლა მუშათა პარტიას. ამასთანავე განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცევა «ბლოკს», ე. ი. ს.-დ.-ების მუდმივსა და დროებითს საარჩევნო შეთანხმებას სხვა პარტიებთან. ბურჟუაზიული, კადეტური პრესა — «რეჩიც», «ტოვარიშჩიც», «ნოვი პუტიც», «ოკოც» და სხვ. — ყოველნაირად არწმუნებს მუშებს, ს.-დ.-ებსა და კადეტებს შორის «ბლოკი» (საარჩევნო შეთანხმება) აუცილებელიაო. ს.-დ. მენშევიკების ნაწილი მომხრეა ასეთი ბლოკისა (ჩერევანინი «ნაშე დელოში» და «ტოვარიშჩში») ნაწილი კი წინააღმდეგია (მარტოვი «ტოვარიშჩში»). ბოლშევიკი სოციალ-დემოკრატები წინააღმდეგნი არიან ბლოკისა, მათ მხოლოდ საარჩევნო კამპანიის უმაღლეს საფეხურებზე მიაჩნიათ დასაშვებად კერძო შეთანხმებანი ადგილთა განაწილების შესახებ იმის მიხედვით, თუ რა ძალა აღმოაჩნდებათ რევოლუციურ და ოპოზიციურ პარტიებს ამომრჩეველთა თავდაპირველი კენჭისყრის დროს.

შევეცადოთ მოკლედ გადმოვცეთ ამ უკანასკნელი თვალსაზრისის საფუძვლები.

I

სოციალ-დემოკრატია პარლამენტარიზმს (წარმომადგენლობითს კრებებში მონაწილეობას) უყურებს, როგორც პროლეტარიატის განათლების, აღზრდისა და დამოუკიდებელ კლასობრივ პარტიად შეკავშირების ერთერთ საშუალებას, როგორც მუშათა განთავისუფლებისათვის პოლიტიკური ბრძოლის ერთერთ საშუალებას. ეს მარქსისტული შეხედულება გადაჭრით აცალკევებს სოციალ-დემოკრატიას, ერთი მხრივ,

ბურჟუაზიული დემოკრატიისაგან, მეორე მხრივ, ანარქიზმისაგან. ბურჟუაზიული ლიბერალები და რადიკალები პარლამენტარიზმს სთვლიან საზოგადოდ სახელმწიფოებრივი საქმეების გაძღოლის «ბუნებრივ» და ერთადერთ ნორმალურ, ერთადერთ კანონიერ საშუალებად და უარყოფენ კლასობრივ ბრძოლას და თანამედროვე პარლამენტარიზმის კლასობრივ ხასიათს. ბურჟუაზია მთელი ძალღონით, ყოველნაირი საშუალებით და ყოველგვარი საბაბით ცდილობს თვალები აუხვიოს მუშებს, რათა მათ არ დაინახონ, თუ როგორ არის, რომ პარლამენტარიზმი ბურჟუაზიული ჩაგვრის იარაღს წარმოადგენს, რათა მათ ვერ შეიგნონ პარლამენტარიზმის ისტორიულ-პირობითი მნიშვნელობა. ანარქისტებსაც არა აქვთ უნარი შეაფასონ პარლამენტარიზმის ისტორიულად განსაზღვრული მნიშვნელობა; ისინი საზოგადოდ უარყოფენ ბრძოლის ასეთ საშუალებას. ამიტომ სოციალ-დემოკრატები რუსეთში ვადაჭრით ებრძვიან ანარქიზმსაც და ბურჟუაზიის მისწრაფებასაც — დ ა ა მ თ ა ვ რ ო ს რაც შეიძლება მალე რევოლუცია პარლამენტის ნიადაგზე ძველ ხელისუფლებასთან გარიგების გზით. სოციალ-დემოკრატებმა მთელი თავისი საპარლამენტო მოღვაწეობა მთლად და უეჭველად დაუმორჩილეს მუშათა მოძრაობის საერთო ინტერესებს და პროლეტარიატის განსაკუთრებულ ამოცანებს თანამედროვე, ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში.

აქედან გამომდინარეობს უწინარეს ყოვლისა, რომ ს.-დ.-ების მონაწილეობას სათათბიროს კამპანიაში სრულიად არა აქვს ისეთი ხასიათი, როგორიც აქვს სხვა პარტიების მონაწილეობას. მათგან განსხვავებით ჩვენ ამ კამპანიას არავითარ თვითკმარსა ან თუნდაც უმთავრეს მნიშვნელობას არ ვანიჭებთ. მათგან განსხვავებით ჩვენ ამ კამპანიას ვუმორჩილებთ კლასობრივი ბრძოლის ინტერესებს. მათგან განსხვავებით ჩვენ ამ კამპანიის ლოზუნგად ვაყენებთ არა პარლამენტარიზმს პარლამენტურ რეფორმათა გულისათვის, არამედ რევოლუციურ ბრძოლას დამფუძნებელი კრებისათვის და ამასთანავე ბრძო-

ლას უმაღლესი ფორმებით, რომელნიც გამომდინარეობენ უკანასკნელი წლების ბრძოლის ფორმათა ისტორიული განვითარებიდან *.

II

რა დასკვნა გამომდინარეობს ნათქვამიდან საარჩევნო შეთანხმებათა მიმართ? უწინარეს ყოვლისა ის დასკვნა, რომ ჩვენი მთავარი და ძირითადი ამოცანაა განვავითაროთ პროლეტარიატის, როგორც ერთადერთი ბოლომდე რევოლუციური კლასის, როგორც ძლევამოსილი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ერთადერთი შესაძლებელი ბელადის, კლასობრივი შეგნება და დამოუკიდებელი კლასობრივი ორგანიზაცია. ამიტომ მთელი საარჩევნო კამპანიისა და სათათბიროს გარშემო მთელი კამპანიის კლასობრივი დამოუკიდებლობა ჩვენი უმნიშვნელოვანესი ზოგადი ამოცანაა. სხვა, კერძო ამოცანებს ეს არ უარყოფს, მაგრამ ისინი ყოველთვის მას უნდა დავუმორჩილოთ, მას უნდა შევუგუოთ. ჩვენ უსათუოდ უნდა გამოვდიოდეთ ამ ზოგადი დებულებიდან, რომელსაც ადასტურებს მარქსიზმის თეორიაც და საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის მთელი გამოცდილებაც.

შეიძლება ისე მოგვეჩვენოს, რომ რუსეთის რევოლუციაში პროლეტარიატის განსაკუთრებული ამოცანები ერთბაშად თავდაყირა აყენებენ ამ ზოგად დებულებას. სახელდობრ, მსხვილმა ბურჟუაზიამ ოქტიაბრისტების სახით უკვე ულა-

* ჩვენ აქ არ ვეხებით ბოიკოტის საკითხს, რადგან ეს არ შეადგენს ჩვენი ბროშურის თემას. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ შეუძლებელია შევაფასოთ იგი კონკრეტული ისტორიული ვითარების გაუთვალისწინებლად. ბულიგინის სათათბიროს ბოიკოტი მარჯვე გამოდგა. ვიტეს სათათბიროს ბოიკოტი აუცილებელი და მართებული იყო. რევოლუციური სოციალ-დემოკრატია პირველი უნდა ადგებოდეს ყველაზე გადამწყვეტი და ყველაზე პირდაპირი ბრძოლის გზას და უკანასკნელი უნდა მიმართავდეს ბრძოლის უფრო შემოვლითს საშუალებებს. სტოლიპინის სათათბიროს ბოიკოტი შეუძლებელია ძველი ფორმით და არც მართებული იქნებოდა პირველი სათათბიროს გამოცდილების შემდეგ.

ლატა რევოლუციას ან მიზნად დაისახა კონსტიტუციის საშუალებით შეაჩეროს რევოლუცია (კადეტები); რევოლუციის გამარჯვება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პროლეტარიატს მხარს დაუჭერს გლეხთა იმ მასის ყველაზე მოწინავე და შეგნებული ნაწილი, რომელსაც თავისი ობიექტური მდგომარეობა უბიძგებს ბრძოლისაკენ და არა გარიგებისაკენ, რევოლუციის დამთავრებისაკენ და არა დასუსტებისაკენ. აქედან — შეიძლება დაასკვნან — სავალდებულოა სოციალ-დემოკრატების შეთანხმებანი მთელი არჩევნების განმავლობაში გლეხურ დემოკრატიასთან.

მაგრამ ასეთი დასკვნის გამოტანა სრულიად შეუძლებელია იმ სავსებით სწორი დებულებიდან, რომ ჩვენი რევოლუციის სრული გამარჯვება შესაძლებელია მხოლოდ პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის სახით. ჯერ კიდევ უნდა დამტკიცდეს, რომ მთელი არჩევნების განმავლობაში გლეხურ დემოკრატიასთან ბლოკი შესაძლებელი და სასარგებლოა არსებული პარტიული თანაფარდობის (გლეხური დემოკრატია ჩვენში ახლა უკვე წარმოდგენილია არა ერთი, არამედ რამდენიმე სხვადასხვა პარტიით) თვალსაზრისით და არსებული საარჩევნო სისტემის თვალსაზრისით. ჯერ კიდევ უნდა დამტკიცდეს, რომ ამა თუ იმ პარტიასთან ბლოკის საშუალებით ჩვენ უკეთ გამოვხატავთ და დავიცავთ ნამდვილი რევოლუციური გლეხობის ინტერესებს, ვიდრე ა მ ა დ ა ა მ გლეხური დემოკრატიული პარტიის კრიტიკის, გლეხური დემოკრატიის ერთი ელემენტის მეორისადმი დ ა პ ი რ ი ს პ ი რ ე ბ ი ს საქმეში ჩვენი პარტიის სრული დამოუკიდებლობის საშუალებით. იმ დებულებიდან, რომ ახლანდელ რევოლუციაში პროლეტარიატი ყველაზე მეტად რევოლუციურ გლეხობასთან არის დაახლოებული, გამომდინარეობს ს.-დ. უცილობლად საერთო პოლიტიკური «ხაზი»: გლეხურ დემოკრატიასთან ერთად გამცემი მსხვილბურჟუაზიული «დემოკრატიის» (კადეტების) წინააღმდეგ. მაგრამ გამომდინარეობს თუ არა აქედან, რომ ა ხ ლ ა სა-

ჭიროა საარჩევნო ბლოკი ენესებთან (ს.-ს. — სახალხო-სოციალისტური პარტია) ან ესერებთან, ამის თქმა ჯერ კიდევ არ შეიძლება, ვიდრე არ გამოგვირკვევია ამ პარტიათა განსხვავება ერთმანეთისაგან და კადეტებისაგან, ვიდრე არ გაგვირკვევია ახლანდელი საარჩევნო სისტემა მისი მრავალსაფეხურიანობით. აქედან გამომდინარეობს უშუალოდ და უეჭველად მხოლოდ ერთი რამ: არავითარ შემთხვევაში არ შეგვიძლია ჩვენს საარჩევნო კამპანიაში დავჯერდეთ პროლეტარიატის ცარიელსა და აბსტრაქტულ დაპირისპირებას საერთოდ ბურჟუაზიული დემოკრატიის მიმართ. პირიქით, ჩვენ მთელი ყურადღება უნდა მივმართოთ იქით, რომ ჩვენი რევოლუციის ისტორიის მონაცემთა მიხედვით ზუსტად განვასხვაოთ ერთმანეთისაგან ლიბერალურ-მონარქისტული და რევოლუციურ-დემოკრატიული ბურჟუაზია, განვასხვაოთ ერთმანეთისაგან კადეტები, სახალხო სოციალისტები და ესერები, თუ უფრო კონკრეტულად ვილაპარაკებთ. მხოლოდ ასეთი განსხვავების საშუალებით შეგვიძლია ყველაზე უფრო სწორად გამოვარკვიოთ ჩვენი უახლოესი «მოკავშირეები». ამასთანავე ჩვენ ვერ დავივიწყებთ, ჯერ ერთი, რომ სოციალ-დემოკრატებმა ბურჟუაზიული დემოკრატიიდან გამოსულ ყველა მოკავშირეს თვალყური უნდა ადევნონ, როგორც მტერს. მეორეც, ჩვენ კიდევ ცალკე განვიხილავთ, თუ რა უფრო ხელსაყრელია ჩვენთვის: ის, რომ ხელფეხი შევიკრათ რომელიმე სახალხო სოციალისტებთან (მაგალითისათვის ვამბობთ) საერთო ბლოკით, თუ შევინარჩუნოთ სრული დამოუკიდებლობა, რათა გადამწყვეტ წუთს ყოველთვის გვქონდეს შესაძლებლობა გავთიშოთ უპარტიო «ტრუდოვიკები» ოპორტუნისტებად (სახ. სოციალისტები) და რევოლუციონერებად (ს.-რ.), დავუპირისპიროთ პირველნი მეორეებს და სხვ.

ამრიგად, მოსაზრება ჩვენი რევოლუციის პროლეტარულ-გლეხური ხასიათის შესახებ ჯერ კიდევ არ გვაძლევს უფლებას გამოვიტანოთ დასკვნა, რომ აუცილებელია მეორე სათათბი-

როს არჩევნების ამა თუ იმ საფეხურზე ამა თუ იმ გლეხურ-დემოკრატიულ პარტიასთან შეთანხმება. ეს მოსაზრება ჯერ კიდევ სრულიადაც არ არის საკმარისი იმისათვისაც კი, რომ საზოგადოდ არჩევნებში პროლეტარულ-კლასობრივი დამოუკიდებლობა შევზღუდოთ, ამ დამოუკიდებლობის უარყოფაზედაც რომ არაფერი ვთქვათ.

III

ჩვენი ამოცანის გადაწყვეტას, რომ უფრო ახლოს მივუდგეთ, ჯერ ერთი, უნდა დავხედოთ, თუ როგორი იქნება ძირითადი პარტიული დაჯგუფება მეორე სათათბიროს არჩევნების დროს, მეორეც, დავუკვირდეთ ახლანდელი საარჩევნო სისტემის თავისებურებებს.

საარჩევნო შეთანხმებანი ხდება ხოლმე პარტიათა შორის. როგორია უმთავრესი ტიპები პარტიებისა, რომელნიც არჩევნებში იბრძოლებენ? შავრაზმელები, უეჭველია, კიდეც უფრო მჭიდროდ გაერთიანდებიან, ვიდრე პირველი სათათბიროს არჩევნების დროს. ოქტიაბრისტები და «მეონები» (მშვიდობიანი განახლების პარტია) ან მათ მიემხრობიან, ან კადეტებს, ანდა (ეს უფრო სარწმუნოა) იქანავებენ შავრაზმელებსა და კადეტებს შორის. ყოველ შემთხვევაში, ოქტიაბრისტების მიჩნევა «ცენტრის პარტიად» (როგორც ამას სჩადის ლ. მარტოვი ახალ ბროშურაში: «პოლიტიკური პარტიები რუსეთში») ძირითადი შეცდომაა: იმ ნ ა მ დ ვ ი ლ ბრძოლაში, რომელმაც ჩვენი რევოლუციის ბედი საბოლოოდ უნდა გადაწყვიტოს, ც ე ნ ტ რ ს წარმოადგენენ კ ა დ ე ტ ე ბ ი. კადეტები — ეს არის ორგანიზებული პარტია, რომელიც დამოუკიდებლად გამოდის არჩევნებში და ამასთანავე პირველ სათათბიროს არჩევნებში გამარჯვებით არის დამთვრალი. მაგრამ ეს პარტია არცთუ ისეთი სასტიკი დისციპლინით და მტკიცე დარაზმულობით ხასიათდება. მემარცხენე კადეტები უკმაყოფილონი არიან ჰელსინგფორსში დამარცხებით და ღელავენ. მათი ნაწილი (ამას წინათ ბ-ნი ალექსინსკი მოსკოვში) სახალხო სოციალის-

ტებისაკენ გადადის. პირველ სათათბიროში გვხვდებოდნენ ისეთი «განსაკუთრებით იშვიათი» კადეტები, რომელნიც ხელსაც კი აწერდნენ 33-თთა პროექტს მიწის ყოველგვარი კერძო საკუთრების მოსპობის შესახებ (ბადამშინი, ზუბჩენკო, ლოჟკინი). მაშასადამე, არცთუ უიმედო საქმეა, რომ ამ «ცენტრის» თუნდაც უმნიშვნელო ნაწილი მემარცხენეთა მხარეზე იქნას გადმობირებული. კადეტები მშვენივრად გრძნობენ თავის სისუსტეს ხალხის მასებში (ამას წინათ კადეტური «ტოვარიშჩი» იძულებული იყო თვითონვე ეღიარებინა ეს) და ხალისით დასთანხმდებოდნენ მემარცხენეებთან ბლოკს. კადეტური გაზეთები ტყუილად კი არ უთმობდნენ გულაჩვილებული სიხარულით თავის ფურცლებს სოციალ-დემოკრატებს მარტოვსა და ჩერევანინს ს.-დ. და კ.-დ. ბლოკის საკითხის განსახილველად. ჩვენ, რასაკვირველია, არასოდეს არ დავივიწყებთ და საარჩევნო კამპანიის დროს განვუმარტავთ მასებს, რომ პირველ სათათბიროში კადეტებმა არ შეასრულეს თავიანთი დაპირებანი, ხელს უშლიდნენ შრომის ჯგუფელებს, კონსტიტუციობანას თამაშობით იყვნენ გართულნი და ა. შ., და ა. შ., იქამდეც კი მივიდნენ, რომ აფუჩეჩებდნენ ოთხსაფეხურიან არჩევნებს[82], მხარს უჭერდნენ საკატორღო კანონ-პროექტებს და სხვ.

შემდეგ მოსდევენ «ტრუდოვიკები». ამ ტიპის, ე. ი. წვრილბურჟუაზიული და უმეტესად გლეხური პარტიები იყოფიან უ პ ა რ ტ ი ო «შრომის ჯგუფად» (რომელსაც ამას წინათ საკუთარი ყრილობა ჰქონდა), სახალხო სოციალისტებად და ესერებად (პ. ს. პ. — «პოლონეთის სოციალისტური პარტია» და სხვ. ასე თუ ისე ეთანაბრება ესერებს). რაოდენადმე თანამიმდევარი და გაბედული რევოლუციონერები და რესპუბლიკელები მხოლოდ ესერები არიან. სახალხო სოციალისტები ჩვენებურ მენშევიკებზე გაცილებით უფრო ცუდი ოპორტუნისტები არიან, ნამდვილად რომ ითქვას, ნახევრად-კადეტები. უპარტიო «შრომის ჯგუფს», იქნებ, გლეხთა მასაში პირველებსა და მეორეებზე უფრო მეტი გავლენა ჰქონდეს, მაგრამ მისი გაბედული დემოკრატიზმის დონის გამორკვევა ძნელია, თუმ-

ცა ისინი, უეჭველია, კადეტებზე გაცილებით უფრო მემარცხენეები არიან და, როგორც ჩანს, რევოლუციურ დემოკრატიას ეკუთვნიან.

სოციალ-დემოკრატია ერთადერთი პარტიაა, რომელიც უთანხმოებათა მიუხედავად, არჩევნებში ბოლომდე გამოვა დისციპლინირებული,—რომელსაც აქვს სავსებით გარკვეული და სასტიკად-კლასობრივი ბაზისი, — რომელმაც გააერთიანა რუსეთის ყველა ხალხთა ყველა ს.-დ. პარტია.

მაგრამ როგორ უნდა შეკრათ საერთო ბლოკი ტრუდოვიკებთან, თუ ამ ტიპის პარტიების შ ე მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ა ისეთია, როგორც ზემოთ დავახასიათეთ? სად არის უ პ ა რ ტ ი ო ტრუდოვიკების მხრივ გარანტიები? განა შესაძლებელია პარტიის ბლოკი უპარტიოებთან? რა ვიცით, რომ ბატონი ალექსინსკები ხვალ სახალხო სოციალისტებს არ ჩამოშორდებიან და კადეტებს არ დაუბრუნდებიან?

ცხადია, ტრუდოვიკებთან ნ ა მ დ ვ ი ლ ი პარტიული შეთანხმება შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა. ცხადია, ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ შეგვიძლია ხელი შევუწყოთ ოპორტუნისტი სახალხო სოციალისტებისა და რევოლუციონერი ს.-რ.-ების გაერთიანებას, არამედ უნდა გავთიშოთ და ერთმანეთს დავუპირისპიროთ ისინი. ცხადია, უპარტიო შრომის ჯგუფის არსებობისას ჩვენთვის ყოველ მხრივ უფრო ხელსაყრელია სრული დამოუკიდებლობა, რათა მათზე მოვახდინოთ უეჭველად რევოლუციური გავლენა, ვიდრე ხელფეხი შევიბორკოთ და მივჩქმალოთ მონარქისტებსა და რესპუბლიკელებს შორის არსებული განსხვავება და სხვ.. ასეთი მიჩქმალვა ს.-დ.-ებისათვის ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ა დ დ ა უ შ ვ ე ბ ე ლ ი ა, და უკვე მარტო ამ მოსაზრებით საჭიროა უცილობლად უკუვაგდოთ ბლოკი, რაკი პარტიების ა რ ს ე ბ უ ლ ი დაჯგუფება აერთიანებს უპარტიო ტრუდოვიკებს, სახალხო სოციალისტებსა და ს.-რ.-ებს.

შეიძლება თუ არა მართლაც მათი შეერთება და ერთიანდებიან თუ არა ისინი? უეჭველად შეიძლება მათი შეერთება, ვი-

ნაიდან წვრილბურჟუაზიული კლასობრივი ბაზისი ერთია. ნამდვილად ერთიანდებოდნენ პირველ სათათბიროშიც, ოქტომბრის პერიოდის გაზეთებშიც, სათათბიროს პერიოდის გაზეთებშიც, სტუდენტობაში ხმის მიცემის დროსაც (**si licet parva componere magnis** — თუ შეიძლება, რომ პატარა დიდს შევადაროთ). მართლაცდა, ეს — წვრილმანი, მაგრამ სხვებთან დაკავშირებით, დამახასიათებელი სიმპტომია, რომ «ავტონომიურ» სტუდენტობაში ხმის მიცემის დროს ხშირად ერთმანეთს ეჯახებოდა სამი სია: კადეტების სია, ტრუდოვიკების, სახალხო სოციალისტების, ესერებისა და პ. ს. პ. ბლოკის სია და, ბოლოს, ს.-დ.-ებისა.

პროლეტარიატის თვალსაზრისით პარტიათა კლასობრივი დაჯგუფების სიცხადე ყველაზე მაღლა დგას, ხოლო უპარტიო (ანდა სახალხო სოციალისტებსა და ესერებს შორის მოქანავე) ტრუდოვიკებზე დამოუკიდებელი ზეგავლენის სარგებლიანობა უფრო აშკარაა, ვიდრე უპარტიოებთან პარტიის შეთანხმების ცდა. პ ა რ ტ ი ა თ ა შესახებ არსებულ ცნობებს უნებურად მივყავართ შემდეგ დასკვნამდე: უთუოდ არავითარი შეთანხმებანი დაბალ სტადიაზე, მასების წინაშე აგიტაციის დროს; უმაღლეს სტადიებზე მთელი ძალღონე უნდა ვიხმაროთ, რომ ადგილების განაწილების დროს დავამარცხოთ კადეტები სოციალ-დემოკრატებისა და ტრუდოვიკების კერძო შეთანხმების საშუალებით, — დავამარცხოთ სახალხო სოციალისტები ს.-დ.-ებისა და ესერების კერძო შეთანხმების საშუალებით.

შემოგვეკამათებიან: ვიდრე თქვენ, გაუსწორებელი უტოპისტი-ბოლშევიკები, ოცნებობთ კადეტების დამარცხებაზე, თქვენ ყველას დაგამარცხებენ შავრაზმელები, ვინაიდან თქვენ დ ა ა ქ უ ც მ ა ც ე ბ თ ხ მ ე ბ ს! ესდეკები, ტრუდოვიკები და კადეტები ერთად უსათუოდ სასტიკად დაამარცხებდით შავრაზმელებს, ხოლო თუ ცალკ-ცალკე იმოქმედებთ, შეიძლება საერთო მტერს იოლი გამარჯვება არგუნოთო. ვთქვათ, შავებს აქვთ 26 ხმა ასიდან, ტრუდოვიკებსა და კადეტებს 25

თვითეულს, ესდეკებს — 24, თუ ს-დ.-ების, ტრუდოვიკებისა და კადეტების ბლოკი არ იქნება, შავრაზმელი გავაო.

ეს მოსაზრება ხშირად სერიოზულად მიაჩნიათ, და საჭიროა იგი ყურადღებით განვიხილოთ. ხოლო ამისათვის საჭიროა განვიხილოთ ა რ ს ე ბ უ ლ ი, ე. ი. რუსეთის ახლანდელი საარჩევნო სისტემა.

IV

სათათბიროს არჩევნები ჩვენში პირდაპირი კი არ არის, მრავალსაფეხურიანია. მრავალსაფეხურიან არჩევნებში ხმების დაქსაქსვა საშიშია მხოლოდ დაბალ სტადიაზე. მხოლოდ მაშინ, როდესაც არჩევნებში მონაწილეობას იღებენ პირველადი ამომრჩევლები, ჩვენ არ ვიცით, თუ როგორ განაწილდება ხმები; მხოლოდ მასებს შორის აგიტაციის დროს ვმოქმედებთ ჩვენ «თვალდახუჭულნი». უმაღლეს სტადიებზე, ამრჩეველთა საშუალებით გატარებული არჩევნების დროს, გენერალური ბრძოლა უკვე მოთავებულია; რჩება მხოლოდ ადგილების განაწილება პარტიათა კერძო შეთანხმებით, რომელთაც უკვე ზუსტად ი ც ი ა ნ თავიანთი კანდიდატებისა და თავიანთი ხმების რიცხვი.

არჩევნების დაბალი საფეხურია ამრჩეველთა არჩევა ქალაქად, ათკომლელთა არჩევა სოფლად, რწმუნებულთა არჩევა მუშათა კურიაში.

ქალაქად თვითეულ საარჩევნო ერთეულში (ოლქი და სხვ.) ჩვენ გამოვდივართ ამომრჩეველთა დიდი მასის წინაშე. ხმების დაქსაქსვის საფრთხე უდავოდ არსებობს. უდავოა, რომ ქალაქებში შავრაზმელი ამრჩევლები შეიძლება ზოგან გავიდნენ მ ხ ო ლ ო დ დ ა მ ხ ო ლ ო დ «მემარცხენეთა ბლოკის» უქონლობის გამო, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ, მაგალითად, ესდეკები კადეტებს ჩამოაცლიან ხმების ნაწილს. მახსოვს, მოსკოვში გუჩკოვმა მიიღო 900-მდე ხმა, კადეტებმა კი — 1 400-მდე. საკმაო იყო ესდეკს კადეტისათვის 501 ხმა წაერთმია, და გუჩკოვი გამარჯვებული გამოვიდოდა. და ეჭვს

გარეშეა, რომ ობივატელური საზოგადოება მხედველობაში მიიღებს ამ არცთუ ისე ეშმაკურ მექანიკას, შეეშინდება ხმების დაქსაქსვისა და მხოლოდ ამის გამო მისცემს ხმას ყველაზე ზომიერს ოპოზიციიდან. მივიღებთ იმას, რასაც ინგლისში ეწოდება «სამკუთხოვანი» არჩევნები, როდესაც ქალაქის წვრილ ამომრჩევლებს ეშინიათ სოციალისტს მისცენ ხმა, რომ ხმები არ დააკლონ ლიბერალს და ამით გამარჯვება არ არგუნონ კონსერვატორს.

რა საშუალება არსებობს ამ საფრთხის წინააღმდეგ? მხოლოდ ერთი: შეთანხმებანი დაბალ სტადიაზე, ე. ი. ამრჩეველთა ს ა ე რ თ ო ს ი ა, რომელშიც პარტიული კანდიდატები იმდენი იქნებიან შერჩეულნი, რამდენიც დადგენილი იქნება პარტიათა შორის დადებული ხელშეკრულებით ბ რ ძ ო ლ ი ს დ ა წ ყ ე ბ ა მ დ ე. შეთანხმების მონაწილე ყველა პარტია მაშინ მოუწოდებს ამომრჩეველთა მთელ მასას ხმა მისცეს საბელდობრ მხოლოდ ამ საერთო სიას.

განვიხილოთ ამ საშუალების გამოყენების სასარგებლო და საწინააღმდეგო საბუთები.

საბუთები მის სასარგებლოდ: შესაძლებელია მტკიცე პარტიული აგიტაციის გაწევა. დაე სოციალ-დემოკრატებმა მასის წინაშე რამდენიც ენებოთ გააკრიტიკონ კადეტები, ოღონდ დაუმატონ: ისინი შავრაზმელებს მაინც სჯობიან, და ჩვენ მათ შევუთანხმდით საერთო სიის შესახებო.

საწინააღმდეგო საბუთები: საერთო სია აშკარა წინააღმდეგობაში იქნება ს.-დ. მთელ დამოუკიდებელ, კლასობრივ პოლიტიკასთან. როცა ვურჩევთ მასას — ხმა მისცეს კ.-დ. და ს.-დ. საერთო სიას, ჩვენ ამით აუცილებლად ძალიან ვაბუნდოვანებთ კლასობრივ და პოლიტიკურ დაყოფათა სიცხადეს. სათათბიროში ლიბერალისათვის ადგილის მოსაპოვებლად ჩვენ ნიადაგს ვაცლით ჩვენი კამპანიის პრინციპულსა და საერთო რევოლუციურ მნიშვნელობას! კლასობრივ პოლიტიკას ჩვენ ვუმორჩილებთ პარლამენტარიზმს იმის მაგივრად, რომ პარლამენტარიზმი დავუმორჩილოთ კლასობრივ პოლიტიკას.

ჩვენ საშუალებას ვისპობთ ს ა კ უ თ ა რ ი ძალები დავითვალოთ. ჩვენ ვკარგავთ იმას, რაც ყველა არჩევნებში ხანგრძლივი და მტკიცეა: სოციალისტური პროლეტარიატის შეგნებისა და დარაზმულობის განვითარებას. ჩვენ ვიძენთ იმას, რაც წარმავალი, პირობითი და საეჭვოა: კადეტის უპირატესობას ოქტიაბრისტის წინაშე.

და მერე რის გულისათვის ვაგდებთ საფრთხეში სოციალისტური აღზრდის მტკიცე მუშაობას? შავრაზმელთა კანდიდატურების საფრთხის გამო? მაგრამ სათათბიროს 524 ადგილიდან რუსეთის ყველა ქალაქი იძლევა სულ 35 დეპუტატის ადგილს (სპბ.—6, მოსკოვი — 4, ვარშავა და ტაშკენტი — ორ-ორს, დანარჩენი 21 ქალაქი — თითო-თითოს). მაშასადამე, თავისთავად ქალაქები არსებითად ვერავითარ შემთხვევაში ვერ შესცვლიან რაოდენადმე მაინც სათათბიროს ფიზიონომიას. გარდა ამისა, ხომ არ შეიძლება დავჯერდეთ მარტოოდენ ფორმალურ მოსაზრებას ხმების დაქსაქსვის არითმეტიკული შესაძლებლობის შესახებ. უნდა განვიხილოთ, დიდია თუ არა ამისი პოლიტიკური მოსალოდნელობა. და ასეთი განხილვა გვიჩვენებს, რომ შავრაზმელებს პირველი სათათბიროს არჩევნებშიც კი ხმათა უმნიშვნელო უმცირესობა ჰქონდათ, რომ «გუჩკოვისეული» ზემოხსენებული მაგალითისთანა შემთხვევები გამონაკლისია. «ვესტნიკ კ.-დ. პარტიის»[88] (1906, 19/IV, № 7) ცნობებით, ოც ქალაქში, რომლებმაც სათათბიროში გაგზავნეს 28 დეპუტატი, 1 761 ამრჩევლიდან იყო 1 468 კადეტი, 32 პროგრესისტი და 25 უპარტიო. ოქტიაბრისტები — 128, სავაჭრო-სამრ. პარტიიდან — 32 და მემარჯვენენი — 76, ე. ი. სულ მემარჯვენენი 236, 15%-ზე ნაკლები. 10 ქალაქში არ გასულა ა რ ც ე რ თ ი მემარჯვენე ამრჩეველი, 3 ქალაქში გავიდა არა უმეტეს ათ-ათი მემარჯვენე ამრჩევლისა (80-დან). განა გონივრულია ასეთ პირობებში უარი ვთქვათ საკუთარი, კლასობრივი კანდიდატურებისათვის ბრძოლაზე შავრაზმელთა წინაშე გადაჭარბებული შიშის გამო? განა ასეთი პოლიტიკა,

გარდა პრინციპული ქანაობისა, სიბეცე არ იქნება ვიწრო პრაქტიკული თვალსაზრისითაც კი?

ტრუდოვიკებთან ბლოკი კადეტების წინააღმდეგ? — შემოგვედავებიან ჩვენ. მაგრამ ჩვენ უკვე ცხადვყავით ტრუდოვიკებს შორის პარტიულ ურთიერთობათა ის თავისებურებანი, რომელნიც ასეთ ბლოკს არასასურველსა და მიზანშეუწონელს ხდიან. ქალაქად, სადაც ყველაზე მეტად არის თავმოყრილი მუშა მოსახლეობა, უკიდურესი საჭიროება თუ არ იქნება, ისე არასოდეს არ უნდა ვთქვათ უარი სავსებით დამოუკიდებელ ს.-დ. კანდიდატურებზე. ასეთი უკიდურესი საჭიროება კი არ არის. ცოტა ნაკლები იქნება თუ ცოტა მეტი კადეტი ან ტრუდოვიკი (განსაკუთრებით სახალხო სოციალისტების ტიპისა!), ამას სერიოზული პოლიტიკური მნიშვნელობა არა აქვს, რადგან თვით სათათბიროს შეუძლია საუკეთესო შემთხვევაში მხოლოდ დამხმარე, მეორეხარისხოვანი როლი შეასრულოს. სათათბიროს არჩევნების შედეგის განსაზღვრისათვის პოლიტიკურად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს გლეხობას, მნიშვნელობა აქვთ ამრჩეველთა საგუბერნიო კრებებს და არა ქალაქებს *. ამრჩეველთა საგუბერნიო კრებებზე კი ჩვენ განვახორციელებთ ჩვენს ზოგადპოლიტიკურ კავშირს ტრუდოვიკებთან კადეტების წინააღმდეგ გაცილებით უფრო კარგად და უფრო უტყუარად, სასტიკი პრინციპულობის სრულიად დაურღვევლად, ვიდრე არჩევნების დაბალ სტადიაზე სოფლად. სწორედ სოფლად არჩევნებზე გადავალთ ახლა.

V

დიდ ქალაქებში პოლიტიკურმა პარტიულმა ორგანიზებულობამ ზოგან, როგორც ვიცით, აღგავა არჩევნების ერთერთი საფეხური. კანონით, არჩევნები ორსაფეხურიანი იყო. ნამდვილად კი არჩევნები ზოგჯერ პირდაპირი გამოვიდა, ან თითქმის

* რასაკვირველია, პატარა ქალაქებიც ახდენენ გავლენას საგუბერნიო საარჩევნო კრებათა შემადგენლობაზე ქალაქთა ყრილობების საშუალებით. კადეტებსა და პროგრესისტებს აქაც სრული უმეტესობა ჰქონ-

პირდაპირი, ვინაიდან ამომრჩევლები ნათლად იცნობდნენ მებრძოლ პარტიათა ხასიათს, ცალკეულ შემთხვევებში იცნობ-დნენ იმ პ ი რ ე ბ ს ა ც კი, რომელთა გაყვანაც სათათბიროში განზრახული ჰქონდა ამა თუ იმ პარტიას. სოფლად, პირიქით, საფეხურები იმდენად ბევრია, ამომრჩეველთა შექუჩებულობა იმდენად მცირეა, პარტიათა აშკარა გამოსვლისათვის დაბრკოლებანი იმდენად უზარმაზარია, რომ პირველი სათათბიროს არჩევნები ხდებოდა და მეორე სათათბიროს არჩევნები მოხდება ძალიან «მიჩქმალულად». სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: აქ ძალიან ხშირად, უმეტეს შემთხვევაშიც კი, პარტიული აგიტაციის დროს ილაპარაკებენ პარტიებზე საზოგადოდ და, პოლიციის შიშით, გ ა ნ ზ რ ა ხ ვერაფერს იტყვიან პიროვნებებზე. რადიკალი და რევოლუციური გლეხები (და არა მარტო გლეხები) განზრახ ამოეფარებიან უპარტიოთა სახელს. ათკომლელთა არჩევნებში საქმეს გადაწყვეტს ადამიანის ცოდნა, ამა თუ იმ კაცისადმი პირადი ნდობა, მ ი ს ი თანაგრძნობა სოციალ-დემოკრატიული სიტყვებისადმი. აქ ისეთი სოციალ-დემოკრატები, რომელნიც დაემყარებიან ა დ გ ი ლ ო ბ რ ი ვ პარტიულ ორგანიზაციას, ძალიან ცოტანი გვეყოლებიან. მაგრამ ისეთი სოციალ-დემოკრატები, რომლებიც ადგილობრივი სოფლის მოსახლეობის თანაგრძნობას მოიპოვებენ, შეიძლება ბევრად მეტი აღმოჩნდნენ, ვიდრე ეს შესაძლებელია წარმოვიდგინოთ ჩვენი პარტიის დაბალი უჯრედების შესახებ არსებული ცნობების მიხედვით.

დათ: მაგალ., ქალაქთა ყრილობების 571 ამრჩევლიდან იყო 424 კადეტი და პროგრესისტი, 147 მემარჯვენე («ვესტნ. კ.-დ. პ.», 1906, № 5, 28/III). ცალკეულ ქალაქთა მიხედვით მერყეობა, რა თქმა უნდა, ძალიან დიდია. საქმის ასეთი მდგომარეობის დროს ჩვენ, ალბათ, შევძლებდით ძალიან ბევრ შემთხვევაში დამოუკიდებელი ბრძოლა გაგვემართნა კადეტებისათვის ისე, რომ არ შეგვშინებოდა ხმათა შემთხვევითი დაქუცმაცებისა და არც ერთ არა სოციალ-დემოკრატიულ პარტიაზე არ ვყოფილიყავით დამოკიდებულნი. — მუშათა კურიაში არჩევნების დაბალ სტადიაზე ბლოკის შესახებ, ალბათ, არც ერთი სოციალ-დემოკრატი სერიოზულად არ ილაპარაკებს. მუშათა მასაში განსაკუთრებით აუცილებელია სოც.-დემოკრატების სრული დამოუკიდებლობა.

წვრილბურჟუაზიული რომანტიკოსები, სახალხო სოციალისტების მსგავსნი, რომელნიც ჩვენებური წესწყობილების პირობებში ლეგალურ სოციალისტურ პარტიაზე ოცნებობენ, ვერ მიმხვდარან, თუ როგორ აძლიერებს კონსპირაციული პარტიისადმი ნდობასა და თანაგრძნობას მისი მტკიცე, უკომპრომისო, მებრძოლი სულისკვეთება და ამავე დროს უჩინარობა მისი ორგანიზაციისა, რომელიც მარტო პარტიული ხალხის მეშვეობით როდი მოქმედებს მასებზე. ნამდვილად რევოლუციურ, ცეცხლში გამოწრთობილ არალეგალურ პარტიას, რომელიც მიჩვეულია ბატონ პლეველებს და რომელსაც ვერ აშინებს ბატონ სტოლიპინების ვერავითარი სისასტიკე, სამოქალაქო ომის ეპოქაში შეიძლება უფრო მეტი უნარი აღმოაჩნდეს მასებზე ფართო გავლენის მოხდენისა, ვიდრე ზოგიერთ ლეგალურ პარტიას, რომელსაც შეუძლია «ბავშვური გულუბრყვილობით» დაადგეს «მტკიცე კონსტიტუციურ გზას».

პარტიაში შემავალ სოციალ-დემოკრატებს, და ისეთ სოც.-დემოკრატებს, რომლებიც მასში არ შედიან, გამარჯვების ბევრი შანსი ექნებათ ათკომლელთა და რწმუნებულთა არჩევის დროს. სოფლად არჩევნების ამ სტადიებზე წარმატებისათვის სრულიადაც არა აქვს დიდი მნიშვნელობა ტრუდოვიკებთან ბლოკს ან საერთო სიას. ერთი მხრივ, აქ ძალიან პატარაა საარჩევნო ერთეულები. მეორე მხრივ, ნამდვილად პარტიული, ან პარტიასთან რაოდენადმე მაინც მიახლოებული ტრუდოვიკები ძალიან იშვიათად იქნებიან. სოც.-დემოკრატების სასტიკი პარტიულობა, მათი უეჭველი დამორჩილება პარტიისადმი, რომელმაც მოახერხა წლობით გაეძლო არალეგალურად და 100 — 150 ათასამდე აიყვანა ყველა ეროვნების თავის წევრთა რიცხვი, რომელმაც უკიდურეს მემარცხენეთა შორის მხოლოდ ერთმა შეჰქმნა პარტიულივე ფრაქცია პირველ სათათბიროში, — ეს პარტიულობა უდიდესი რეკომენდაცია და გარანტია იქნება იმათ თვალში, ვისაც არ ეშინია გადამწყვეტი ბრძოლისა, არამედ მთელი სულითა და გულით სურს იგი, მაგრამ მთლად არ ენდობა თავის ძალას, ეშინია იკისროს ინიციატივა, ეშინია აშკარად გამოვიდეს. სასტიკი, «არალე-

გალური», პარტიულობის ეს სასარგებლო მხარე ჩვენ ყოველ-ნაირად უნდა გამოვიყენოთ, და ჩვენთვის სრულიადაც ხელ-საყრელი არ არის, რომ იგი თუნდაც რაოდენადმე შევასუს-ტოთ რაიმე მუდმივი ბლოკით. ჩვენი ერთადერთი აგრეთვე პარტიული და აგრეთვე გადაჭრით, დაუნდობლად-რევოლუ-ციური კონკურენტი აქ შეიძლება იყვნენ მხოლოდ ესერები. მაგრამ მათთან ბლოკი სოფლად არჩევნების პ ი რ ვ ე ლ სტა-დიაზე შესაძლებელი იქნება ნამდვილი პარტიულობის საფუ-ძველზე მხოლოდ როგორც გამონაკლისი: საკმარისია წარმო-ვიდგინოთ რეალურად და კონკრეტულად არჩევნების პირო-ბები სოფლად, რომ დავრწმუნდეთ ამაში *. ხოლო რამდენა-დაც უპარტიო-რევოლუციური გლეხები ისე იმოქმედებენ, რომ განზრახ არ მიემხრობიან მხოლოდ და მხოლოდ ერთს რომელიმე პარტიას, იმდენად ჩვენთვის ყოველმხრივ უფრო ხელსაყრელია მოვახდინოთ მათზე ჩვენთვის სასურველი ზეგავლენა სასტიკი პარტიულობის მიმართულებით. კავშირის, აგიტაციის უპარტიულობა ვერ შებორკავს პარტიულ სოციალ-დემოკრატს, ვინაიდან მის გამორიცხვას არასოდეს არ მოინ-დომებენ რევოლუციური გლეხები, ხოლო უპარტიო-რევო-ლუციურ კავშირში მონაწილეობის ნებას აძლევს მას გამაერ-თიანებელი ყრილობის სპეციალური რეზოლუცია გლეხთა მოძრაობისათვის მხარის დაჭერის შესახებ. ამრიგად, ჩვენ შეგვიძლია შევინარჩუნოთ ჩვენი პარტიულობა, დავიცვათ იგი ბოლომდე, მივიღოთ მისგან უდიდესი მორალური და პოლი-ტიკური სარგებლობა და ამავე დროს სავსებით შევეგუოთ მუშაობას უპარტიო-რევოლუციურ გლეხთა შორის, უპარ-ტიო-რევოლუციურ კავშირებში, წრეებში, კრებებზე, მუშაო-ბას უპარტიო-რევოლუციურ კავშირურთიერთობის სა-

* რა თქმა უნდა, შემთხვევითი როდია ის გარემოება, რომ პირველ სათათბიროში ესერებმა სრულიად ვერ შესძლეს პარტიულად გამოსუ-ლიყვნენ, უფრო ვერ შესძლეს, ვიდრე არ მოისურვეს. ესერებს სათათბი-როში, ისევე როგორაც ესერებს უნივერსიტეტში, ეგონათ, რომ უფრო ხელსაყრელია ამოეფარონ უ პ ა რ ტ ი ო ტრუდოვიკებს ან ბლოკი შეჰკრან მათთან.

შუალებით და სხვ.. ნაცვლად ჩვენი სასტიკი პარტიულობის შემზღუდველი და შემავიწროებელი ბლოკისა ესერებთან, რომლებიც ორგანიზაციულად მოიცავენ რევოლუციური გლეხობის მხოლოდ სრულიად უმნიშვნელო ნაწილს, — ჩვენ კიდევ უფრო ფართოდ და კიდევ უფრო თავისუფლად გამოვიყენებთ ჩვენს პარტიულ პოზიციასაც და «ტრუდოვიკების» უპარტიო წრეებში მუშაობის მთელ სარგებლობასაც.

აქედან გამომდინარეობს ის დასკვნა, რომ სოფლად საარჩევნო კამპანიის დაბალ სტადიებზე, ე. ი. ათკომლელთა და რწმუნებულთა არჩევის დროს (რწმუნებულთა არჩევა ხანდახან, ალბათ, სინამდვილეში გამოიხატება არჩევნების პირველი სტადიის როლით), ჩვენ არავითარი საარჩევნო შეთანხმება არ გვესაჭიროება. პოლიტიკურად გარკვეულ ადამიანთა, ათკომლელთა და რწმუნებულთა თანამდებობისათვის კანდიდატებად გამოსადეგ ადამიანთა პროცენტი ისეთი მცირეა, რომ სოციალ-დემოკრატებს, რომელთაც გლეხთა ნდობა და პატივისცემა მოუპოვებიათ (ხოლო უამპიროზოდ რაიმე სერიოზული კანდიდატურა წარმოუდგენელია), დიდი შანსი აქვთ თითქმის უკლებლივ გავიდნენ ათკომლელებად და რწმუნებულებად ისე, რომ სხვა პარტიებთან არავითარი შეთანხმება არ დასჭირდეთ.

ხოლო რწმუნებულთა კრებაზე შეიძლება უკვე დავეყრდნოთ იმ თავდაპირველი საარჩევნო ბრძოლების ზუსტ შედეგებს, რომელნიც მთელ საქმეს წინასწარ სწყვეტენ. აქ შესაძლებელი და აუცილებელია... არა ბლოკი, რასაკვირველია, არა მჭიდრო, არა მუდმივი შეთანხმებანი, არამედ კერძო შეთანხმებანი ადგილების განაწილების შესახებ. აქ, უფრო კი სათათბიროს დეპუტატთა ასარჩევად გამართულ ამრჩეველთა კრებებზე, ჩვენ ტრუდოვიკებთან ერთად უნდა დავამარცხოთ კადეტები, ესერებთან ერთად დავამარცხოთ სახალხო სოციალისტები, და სხვ.

VI

ამრიგად, მოქმედი საარჩევნო სისტემის განხილვა გვიჩვენებს, რომ არჩევნების დაბალ სტადიებზე ბლოკი განსაკუთრებით არასასურველია ქალაქად და არც აუცილებელია. სოფლად დაბალ სტადიებზე (ე. ი. ათკომლელთა და რწმუნებულთა არჩევნების დროს) ბლოკი არც სასურველია და სრულიადაც არ არის საჭირო. გადამწყვეტი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვთ რწმუნებულთა სამაზრო კრებებსა და ამრჩეველთა საგუბერნიო კრებებს. აქ, ე. ი. უმაღლეს სტადიებზე, კერძო შეთანხმებანი საჭიროა და შესაძლებელია ისე, რომ პარტიულობის არასასურველი დარღვევა არ მოხდეს, ვინაიდან ბრძოლა მასების წინაშე მოთავებულია, ხალხის წინაშე ამის გულისათვის არავითარი გამოსვლა უპარტიულობის პირდაპირ თუ არაპირდაპირ დასაცავად (ან, თუ გნებავთ, მის დაშვების დასაცავად) საჭირო არ არის — ამით პროლეტარიატის მტკიცე კლასობრივი დამოუკიდებელი პოლიტიკის არავითარი მიჩქმალვის საფრთხე არ არსებობს *.

ახლა განვიხილოთ ჯერ ფორმალური, ასე ვთქვათ, არითმეტიკული მხრივ, თუ როგორი ხასიათისა იქნება ეს კერძო საარჩევნო შეთანხმებანი უმაღლეს სტადიებზე.

ავიღოთ სანიმუშო პროცენტული თანაფარდობა, ე. ი. ამრჩეველთა განაწილება (და რწმუნებულთა, რომელნიც შემდგომ გადმოცემაში იგულისხმებიან) პარტიების მიხედვით ამრჩეველთა თვითეულ ასეულში. ამრჩეველთა კრებაზე რომ გაი-

* საინტერესოა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო სოც.-დემოკრატიის პრაქტიკაც გვაძლევს დაბალ და უმაღლეს სტადიებზე შეთანხმებათა განსხვავების გამოცდილებას. საფრანგეთში სენატორების არჩევნები ორსაფეხურიანია: ამომრჩეველნი ირჩევენ სადეპარტამენტო (საგუბერნიო) ამრჩევლებს, ეს უკანასკნელნი კი ირჩევენ სენატორებს. ფრანგ რევოლუციურ სოც.-დემოკრატებს, გედისტებს, არასდროს არ დაუშვიათ რაიმე შეთანხმება, რაიმე საერთო სიები დაბალ სტადიაზე; მათ დასაშვებად მიაჩნდათ კერძო შეთანხმებანი უმაღლეს სტადიაზე, ე. ი. სადეპარტამენტო ამრჩეველთა კრებებზე ადგილების განაწილების დროს. ოპორტუნისტები, ჟორესისტები, დაბალ სტადიაზეც აწყობდნენ შეთანხმებას.

მარჯვო, საჭიროა გარკვეული კანდიდატის სასარგებლოდ გქონდეს 100-დან არანაკლებ 51 ხმისა. ს.-დ. ამრჩეველთა ტაქტიკის ზოგადი წესი აქედან შემდეგია: უნდა ვეცადოთ მივიმხროთ სოც.-დემოკრატებთან ყველაზე ახლო მდგომნი ან მხარის დაჭერის ყველაზე უფრო ღირსნი და იმდენი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ამრჩევლები, რომ მათთან ერთად დავამარცხოთ დანარჩენები და, მაშასადამე, გავიყვანოთ ნაწილობრივ სოც.-დემოკრატი ამრჩევლები, ნაწილობრივ კი ს ა უ კ ე თ ე ს ო ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ამრჩევლები *.

ნათელვყოთ ეს წესი მარტივი მაგალითებით. ვთქვათ, 100-დან 49 ამრჩეველი შავრაზმელია, 40—კადეტი, 11—სოც.-დემოკრატი. საჭიროა კერძო შეთანხმება ს.-დ.-ებისა და კადეტებისა სათათბიროს' დეპუტატების საერთო სიის მთლიანად გასაყვანად, რასაკვირველია, იმ საფუძველზე, რომ სათათბიროს ადგილები განაწილდეს ამრჩეველთა რიცხვის პროპორციულად (ე. ი., აღნიშნულ მაგალითში, სათათბიროში მთელი გუბერნიის მანდატების ერთ მეხუთედს', ვთქვათ, ათიდან ორს, მიიღებდნენ სოც.-დემოკრატები, ხოლო ოთხს, რვას ათიდან, კადეტები). თუ 49 კადეტი იქნება, 40 ტრუდოვიკი და 11 ს.-დ., მაშინ ჩვენ უნდა ვეცადოთ ტრუდოვიკებთან შეთანხმებას, რათა კადეტები დავამარცხოთ და ჩვენთვის მოვიპოვოთ მანდატების მეხუთედი, ხოლო ოთხი მეხუთედი ვარგუნოთ ტრუდოვიკებს. ამგვარ შემთხვევაში ჩვენ საუცხოო შესაძლებ-

---

* სიმარტივისათვის ჩვენ ვგულისხმობთ ამრჩეველთა წმინდა პარტიულ და მხოლოდ და მხოლოდ პარტიულ განაწილებას. ნამდვილად, რასაკვირველია, მრავალი უპარტიო ამრჩეველი შეგვხვდება. ასეთ შემთხვევაში, ს.-დ. ამრჩევლის ამოცანა ისაა, რომ რაც შეიძლება მეტად გამოარკვიოს ყველას პოლიტიკური ფიზიონომია, განსაკუთრებით ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ამრჩევლებისა, და შესძლოს გააერთიანოს «მემარცხენე უმრავლესობა» სოც.-დემოკრატებისაგან და სოც.-დემოკრატებისათვის ყველაზე სასურველი ბურჟუაზიული კანდიდატებისაგან. პარტიულ ტენდენციათა» გარჩევის ძირითადი ნიშნების შესახებ ჩვენ ქვემოთ ვილაპარაკებთ.

ლობა გვეძლევა შევამოწმოთ ტრუდოვიკების დემოკრატიზმის თანამიმდევრობა და გაბედულება: დათანხმდებიან თუ არა ისინი სავსებით შეაქცინონ ზურგი კადეტებს და დაამარცხონ ისინი მუშათა პარტიის ამრჩევლებთან ერთად, თუ მოინდომებენ «იხსნან» ესა თუ ის კადეტი, იქნებ, ბლოკიც კი მოინდომონ კადეტებთან და არა სოც.-დემოკრატებთან. ჩვენ აქ შევძლებთ და კიდევაც უნდა დავამტკიცოთ საქმით და ვუჩვენოთ მთელ ხალხს, თუ საით უფრო მიილტვიან ესა თუ ის წვრილი ბურჟუები — მონარქისტული ბურჟუაზიისაკენ თუ რევოლუციური პროლეტარიატისაკენ.

უკანასკნელ მაგალითში ტრუდოვიკებს უბრალო ანგარიში უკარნახებს ბლოკი შეჰკრან სოც.-დემოკრატებთან და არა კადეტებთან, ვინაიდან მაშინ ისინი მიიღებენ მანდატების საერთო რიცხვის $^4/_5$-ს, მეორე შემთხვევაში კი მხოლოდ $^4/_9$-ს. ამიტომ ამაზე უფრო საინტერესო იქნებოდა საწინააღმდეგო შემთხვევები: 11 კადეტი, 40 ტრუდოვიკი და 49 სოციალ-დემოკრატი. უბრალო ანგარიში ამნაირ შემთხვევაში ტრუდოვიკებს უკარნახებს კ.-დ.-ებთან ბლოკს: მაშინ «ჩვენ» სათათბიროში მეტ ადგილს მივიღებთო. დემოკრატიზმისა და ნამდვილი მშრომელი მასების ინტერესებისადმი პრინციპული ერთგულება კი მოითხოვს უეჭველად სოც.-დემოკრატებთან ბლოკს, თუნდაც ამისათვის საჭირო გახდეს სათათბიროში რამდენიმე ადგილის დათმობა. პროლეტარიატის წარმომადგენლებმა ყურადღებით უნდა გაითვალისწინონ ყველა ასეთი და მსგავსი შემთხვევა, ამრჩევლებს და მთელ ხალხს უნდა განუმარტონ (აუცილებლად საჭიროა რწმუნებულთა და ამრჩეველთა კრებებზე შეთანხმებათა შედეგების ყველას საყურადღებოდ გამოქვეყნება) ამ საარჩევნო არითმეტიკის პ რ ი ნ ც ი პ უ ლ ი მნიშვნელობა.

შემდეგ, უკანასკნელ მაგალითში ჩვენ ვხედავთ ისეთ შემთხვევას, როდესაც სოც.-დემოკრატებს უბრალო ანგარიშიც და პრინციპული მოსაზრებებიც უკარნახებენ, რომ ტრუდოვიკები გასთიშონ. თუ მათ შორის, ვთქვათ, ორი სავსებით პარტიული ესერია, ჩვენ ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ,

რათა ისინი შემოვიერთოთ და 51 ხმით დავამარცხოთ ყველა კადეტი და ყველა დანარჩენი, ნ ა კ ლ ე ბ ა დ რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი, ტრუდოვიკი. თუ ტრუდოვიკებში 2 ესერია და 38 სახალხო სოციალისტი, ჩვენ შესაძლებლობა მოგვეცემა შევამოწმოთ ესერების ერთგულება დემოკრატიზმის ინტერესებისადმი და მშრომელი მასების ინტერესებისადმი: მხარი დაუჭირეთ რესპუბლიკელ-დემოკრატებს, ვეტყოდით ჩვენ, წინააღმდეგ სახალხო სოციალისტებისა, რომელთაც მონარქია დასაშვებად მიაჩნიათ, — მხარი დაუჭირეთ მემამულეთა მიწის კონფისკაციას წინააღმდეგ სახალხო სოციალისტებისა, რომელთაც დასაშვებად მიაჩნიათ მიწის გამოყიდვა, — მხარი დაუჭირეთ მთელი ხალხის შეიარაღების მომხრეებს წინააღმდეგ სახალხო სოციალისტებისა, რომელთაც დასაშვებად მიაჩნიათ მუდმივი ჯარი. და მაშინ ვნახავდით, ვის ამჯობინებენ ესერები: სოციალ-კადეტებს * თუ სოციალ-დემოკრატებს.

ამნაირად ჩვენ მივადექით ამ საარჩევნო არითმეტიკის პრინციპულ-პოლიტიკურ მხარეს და მნიშვნელობას. აქ ჩვენი მოვალეობაა ადგილების გამოკიდებას დავუპირისპიროთ სოციალისტური პროლეტარიატის თვალსაზრისისა და ჩვენი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სრული გამარჯვების ინტერესების უაღრესად მტკიცე, მედგარი და თანამიმდევარი დაცვა. არავითარ შემთხვევაში და არავითარი სახით არ უნდა მიჩქმალონ ჩვენმა ს.-დ. რწმუნებულებმა და ამრჩევლებმა ჩვენი ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი მიზნები, ჩვენი, როგორც პ რ ო ლ ე ტ ა რ უ ლ ი პარტიის, მტკიცე კლასობრივი პოზიცია. მაგრამ საკმარისი როდია მარტო სიტყვა «კლასობრივის» განმეორება, რომ დავამტკიცოთ პროლეტარიატის, რო-

* ასე უწოდა სახალხო სოციალისტებს «სოზნატელნაია როსსიამ» [84]. სხვათა შორის, ამ გამოცემის პირველმა და მეორე ნაკვეთმა ფრიად დიდი სიამოვნება მოგვგვარა. ბატონი ჩერნოვი, ვადიმოვი და სხვები ჩ ი ნ ებ უ ლ ა დ ამარცხებენ პეშეხონოვსაც და ტაგ — ინსაც. განსაკუთრებით კარგია გაბათილება ტაგ — ინისა სასაქონლო წარმოების თეორიის თვალსაზრისით, წარმოებისა, რომელიც კაპიტალიზმის გზით სოციალიზმად ვითარდება.

გორც თანამედროვე რევოლუციის ავანგარდის, როლი. საკმარისი როდია გადმოვცეთ ჩვენი სოციალისტური მოძღვრება და მარქსიზმის ზოგადი თეორია, რომ დავამტკიცოთ პროლეტარიატის მოწინავე როლი. ამისათვის საჭიროა კიდევ უნარი — თანამედროვე რევოლუციის მწვავე საკითხების განხილვის დროს საქმით ცხადვყოთ, რომ მუშათა პარტიის წევრები ყველაზე თანამიმდევრად, ყველაზე მართებულად, ყველაზე გაბედულად, ყველაზე ოსტატურად იცავენ ამ რევოლუციის ინტერესებს, მისი სრული გამარჯვების ინტერესებს. ეს ადვილი ამოცანა როდია, და მისთვის მომზადება ძირითადი და მთავარი მოვალეობაა ყოველი სოც.-დემოკრატისა, რომელიც საარჩევნო კამპანიაში ებმება.

რწმუნებულთა, ამრჩეველთა კრებებზე (თავისთავად იგულისხმება, მთელ საარჩევნო კამპანიაშიც) პარტიათა და პარტიულ ელფერთა განსხვავება პატარა, მაგრამ არა უსარგებლო პრაქტიკული საქმე იქნება. ამ საქმეზე, სხვათა შორის, ცხოვრება შეამოწმებს მრავალ იმ სადავო საკითხს, ს.-დ. მუშათა პარტიას რომ აღელვებს. მისი მემარჯვენე ფრთა, დაწყებული «ნაშე დელოს» უკიდურესი ოპორტუნისტებით და გათავებული «სოციალ-დემოკრატის» ზომიერი ოპორტუნისტებით, ყოველნაირად ჩქმალავს და ამახინჯებს ტრუდოვიკებისა და კადეტების განსხვავებას და, როგორც ეტყობა, ვერ ამჩნევს ახალს, ფრიად მნიშვნელოვან მოვლენას: ტრუდოვიკების დაყოფას სახალხო სოციალისტებად, ესერებად და ისეთებად, რომელნიც ან პირველებისაკენ იხრებიან ან მეორეებისაკენ. რასაკვირველია, უკვე პირველი სათათბიროსი და მისი გარეკვის ისტორიამ მოგვცა დოკუმენტური საბუთები, რომლებიც უეჭველად მოითხოვენ კადეტებისა და ტრუდოვიკების განსხვავებას ერთმანეთისაგან და ამტკიცებენ ამ უკანასკნელთა უფრო თანამიმდევარსა და გაბედულ დემოკრატიზმს. მეორე სათათბიროს წინა საარჩევნო კამპანიამ კიდევ უფრო თვალნათლივ, უფრო ზუსტად, უფრო სრულად, უფრო ფართოდ უნდა დაამტკიცოს და ცხადყოს ეს. საარჩევნო კამპანია თვითონ გვასწავლის, როგორც მაგალითებით ვცდილობდით ეს

გვეჩვენებინა, თუ როგორ უნდა განასხვაონ მართებულად სოციალ-დემოკრატებმა ერთიმეორისაგან ესა თუ ის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული პარტია, და იგი ფაქტიურად გააბათილებს, ან, უფრო სწორედ რომ ვთქვათ, უკუაგდებს იმ ღრმად შემცდარ აზრს, რომლის მიხედვითაც კადეტები მიჩნეული არიან საზოგადოდ ჩვენებური ბურჟუაზიული დემოკრატიის მთავარ ან თუნდ სერიოზულ წარმომადგენლებად.

აღვნიშნოთ კიდევ, რომ საარჩევნო კამპანიაში საზოგადოდ და უმაღლეს სტადიებზე საარჩევნო შეთანხმებათა დადების საქმეში სოც.-დემოკრატებს' უნდა შეეძლოთ მარტივად და ნათლად, მასისათვის გასაგებად ლაპარაკი; მათ გადაჭრით უნდა უკუაგდონ თავსატეხი ტერმინების, უცხო სიტყვების, გაზეპირებული, მზამზარეული, მაგრამ მასისათვის ჯერ კიდევ გაუგებარი, მისთვის უცნობი ლოზუნგების, განსაზღვრათა, დასკვნათა მძიმე არტილერია. უნდა შეგვეძლოს ულათაიებოდ, უბრალოდ, ფაქტებითა და ციფრებით განვმარტოთ სოციალიზმის საკითხები და რუსეთის ახლანდელი რევოლუციის საკითხები.

ამასთანავე თავისთავად წამოიჭრება ამ რევოლუციის ორი ძირითადი საკითხი: თავისუფლების საკითხი და მიწის საკითხი. ამ ძირითადი საკითხებისაკენ, რომელნიც აღელვებენ მთელ მასას, უნდა მივმართოთ წმინდა-სოციალისტური ქადაგებაც, — უნდა განვასხვავოთ წვრილი მეპატრონის თვალსაზრისი პროლეტარიატის თვალსაზრისისაგან, — უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისაგან ხალხზე გავლენის მოსაპოვებლად მებრძოლი პარტიები. შავრაზმელები, თვით ოქტიაბრისტების ჩათვლით, წინააღმდეგნი არიან თავისუფლებისა, წინააღმდეგნი არიან ხალხისათვის მიწის გადაცემისა. მათ სურთ შესწყვიტონ რევოლუცია ძალადობით, მოყიდვით, მოტყუებით. ლიბერალურ-მონარქისტული ბურჟუაზია, კადეტები, აგრეთვე ცდილობენ შესწყვიტონ რევოლუცია მთელ რიგ დათმობათა საშუალებით. ლიბერალურ-მონარქისტულ ბურჟუაზიას არა სურს მისცეს ხალხს არც მთელი თავისუფლება, არც მთელი მიწა. მას სურს შეინარჩუნოს მემა-

მულური მიწათმფლობელობა გამოყიდვის საშუალებით და ადგილობრივი საადგილმამულო კომიტეტების დაარსებით არა საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭისყრის საფუძველზე. ტრუდოვიკებს, — ე. ი. წვრილ ბურჟუაზიას, განსაკუთრებით სოფლისას, — სურთ მოიპოვონ მთელი მიწა და მთელი თავისუფლება, მაგრამ ისინი ამ მიზნისაკენ არამტკიცედ, შეუგნებლად, გაუბედავად მიდიან; ისინი მერყეობენ, ერთი მხრივ, სოციალ-კადეტების (ს.-ს.) ოპორტუნიზმს შორის, სოციალ-კადეტებისა, რომელნიც ამართლებენ ლიბერალური ბურჟუაზიის ჰეგემონიას გლეხობაზე, თეორიად აქცევენ ამ ჰეგემონიას, და, მეორე მხრივ, სასაქონლო წარმოების დროს ვითომ შესაძლებელი გათანაბრების უტოპიზმს შორის. სოციალ-დემოკრატია თანამიმდევრად უნდა იდგეს პროლეტარიატის თვალსაზრისზე; მან უნდა გასწმინდოს გლეხობის რევოლუციური თვითშეგნება სახალხო სოციალისტების ოპორტუნიზმისაგან და იმ უტოპიზმისაგან, რომელიც ჩრდილავს თანამედროვე რევოლუციის ნამდვილ საარსებო ამოცანებს. ხოლო მუშათა კლასი, ისევე როგორც მთელი ხალხი, მხოლოდ რევოლუციის სრული გამარჯვების დროს შესძლებს ჯეროვნად, სწრაფად, გაბედულად, თავისუფლად და ფართოდ მოჰკიდოს ხელი მთელი ცივილიზებული კაცობრიობის ძირითადი ამოცანის გადაწყვეტას: კაპიტალის უღლისაგან შრომის განთავისუფლებას.

ბრძოლის საშუალებათა საკითხზედაც ყურადღებით შევჩერდებით საარჩევნო კამპანიაში და პარტიებს შორის კერძო შეთანხმებათა დადების საქმეში. ჩვენ განვმარტავთ, თუ რა არის დამფუძნებელი კრება, და რატომ ეშინიათ მისი კადეტებს. ჩვენ შევეკითხებით ლიბერალ ბურჟუებს, კადეტებს: რა ზომების დაცვაა და დამოუკიდებლად გატარებას აპირებენ ისინი იმისათვის, რომ ვერავინ შესძლოს მოეპყრას ხალხის წარმომადგენლებს ისე, როგორც «მოეპყრნენ» «პირველი გაწვევის» დეპუტატებს. ჩვენ მოვაგონებთ კადეტებს და განვუმარტავთ რაც შეიძლება უფრო ფართო მასას კადეტების უმსგავს მოღალატურ დამოკიდებუ-

ლებას' გასული წლის ბრძოლის ოქტომბერ-დ ე კ ე მ ბ რ ი ს ფორმებისადმი. ჩვენ შევეკითხებით ყველა და ყოველ კანდიდატს, ფიქრობენ თუ არა ისინი მთელი თავიანთი მოქმედება სათათბიროში საესებით დ ა უ მ ო რ ჩ ი ლ ო ნ ს ა თ ა თ ბ ი რ ო ს გარეთ ბრძოლის ინტერესებს, მიწისა და თავისუფლებისათვის ფართო სახალხო მოძრაობის ინტერესებს. ჩვენ უნდა გამოვიყენოთ საარჩევნო კამპანია რ ე ვ ო ლ უ ც ი ი ს ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ი ს ა თ ვ ი ს, ე. ი. პროლეტარიატისა და ბურჟუაზიული დემოკრატიის ნ ა მ დ ვ ი ლ ი რევოლუციური ელემენტების ორგანიზაციისათვის.

ასეთია ის დ ა დ ე ბ ი თ ი შინაარსი, რომლის შეტანასაც უნდა ვცდილობდეთ მთელ საარჩევნო კამპანიაში და კერძოდ სხვა პარტიებთან კერძო შეთანხმებათა დადების საქმეში.

VII

შევაჯამოთ.

სოციალ-დემოკრატიის საერთო საარჩევნო ტაქტიკის გამოსავალი პუნქტი უნდა იყოს რევოლუციური პროლეტარიატის კლასობრივი პარტიის სრული დამოუკიდებლობა.

ამ საერთო წესის გადახვევა შეიძლება მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის დროს და განსაკუთრებულ შემზღუდველ პირობებში.

თავისებურებანი რუსეთის საარჩევნო სისტემისა და მოსახლეობის უმეტესი ნაწილის, გლეხობის პოლიტიკური დაჯგუფებისა, არ იწვევენ ამ უკიდურეს საჭიროებას საარჩევნო კამპანიის დაბალ სტადიებზე, ე. ი. დიდ ქალაქებში ამრჩეველთა არჩევისას, ხოლო სოფლად ათკომლელთა და რწმუნებულთა არჩევნების დროს. დიდ ქალაქებში ეს აუცილებელი არ არის, ვინაიდან აქ არჩევნებს მნიშვნელობა აქვს ს რ უ ლ ი ა დ ა ც არა სათათბიროს დეპუტატების რიცხვის მიხედვით, არამედ იმის გამო, რომ აქ სოც.-დემოკრატები გამოვლენ მოსახლეობის ყველაზე ფართო, ყველაზე კონცენტრირებული,

მთელი თავისი მდგომარეობით «ყველაზე სოციალ-დემოკრატიული» ფენების წინაშე.

სოფლად მასის პოლიტიკური განუვითარებლობა, მისი პოლიტიკური ჩამოუყალიბებლობა, დაქსაქსულობა, მოსახლეობის სიმეჩხრე და არჩევნების' გარეგანი პირობები იწვევენ უპარტიო (და უპარტიო-რევოლუციური) ორგანიზაციების, კავშირების, წრეების, კრებების, შეხედულებათა, მისწრაფებათა განსაკუთრებულ განვითარებას. ასეთ პირობებში დაბალ სტადიებზე ბლოკი სულაც არ არის საჭირო. ს.-დ.-ების სასტიკი პარტიულობა ყოველმხრივ უფრო მართებული და უფრო მიზანშეწონილია.

ამრიგად, ზოგად დებულებას პროლეტარიატისა და რევოლუციური გლეხობის კავშირის აუცილებლობის შესახებ მივყავართ იქითკენ, რომ აუცილებლად უნდა აღვიაროთ მხოლოდ კერძო შეთანხმებანი (ასეთი ტიპისა: ტრუდოვიკებთან კადეტების წინააღმდეგ) საარჩევნო სისტემის უმაღლეს სტადიებზე, ე. ი. რწმუნებულთა და ამრჩეველთა კრებებზე. საკითხის ასეთსავე გადაწყვეტას გვიკარნახებენ ტრუდოვიკების შიგნით არსებულ პოლიტიკურ დაყოფათა თავისებურებანი.

ყველა ამ კერძო შეთანხმებაში სოც.-დემოკრატებმა სასტიკად უნდა განასხვავონ ერთმანეთისაგან ბურჟუაზიულ-დემოკრატიული პარტიები და მათ შორის არსებული ელფერნი მათივე დემოკრატიზმის თანამიმდევრობისა და გაბედულობის დონის მიხედვით.

საარჩევნო კამპანიისა და კერძო შეთანხმებათა იდეურ-პოლიტიკური შინაარსი იქნება გარკვევა სოციალიზმის მოძღვრებისა და სოც.-დემ. დამოუკიდებელი ლოზუნგებისა თანამედროვე რევოლუციაში, როგორც მისი ამოცანების მიმართ, ისე ამ ამოცანათა განხორციელების გზებისა და საშუალებათა საკითხში.

ეს ბროშურა დაწერილია «სოციალ-დემოკრატის» მეხუთე ნომრის გამოსვლამდე. ამ ნომრამდე ჩვენს პარტიას სრული საფუძვლით შეეძლო იმედი ჰქონოდა, რომ სოციალისტებისა-

თვის დაუშვებელ შეთანხმებას ბურჟუაზიულ პარტიებთან არჩევნების პირველ სტადიაზე ჩვენი პარტიის ც. კ. უეჭველად არ იწონებს. ჩვენ ვალდებული ვიყავით ასე გვეფიქრნა, ვინაიდან ისეთმა გავლენიანმა მენშევიკმა, როგორიც ამხ. ლ. მარტოვია, გ ა დ ა ჭ რ ი თ გაილაშქრა პირველ სტადიაზე ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი შეთანხმების წინააღმდეგ, გაილაშქრა არა მარტო «ტოვარიშჩში», არამედ საარჩევნო კამპანიის მზადების საკითხზე ც. კ.-ის სახელით ორგანიზაციებისათვის დაგზავნილ (მარტოვის) წერილშიც.

ახლა აღმოჩნდა, რომ ჩვენმა ც.-კ.-მა ჩერევანინისაკენ იბრუნა პირი ან ყოველ შემთხვევაში შეყოყმანდა. «სოციალ-დემოკრატის» მეხუთე ნომრის მოწინავე დ ა ს ა შ ვ ე ბ ა დ ს თ ვ ლ ი ს ბლოკს პ ი რ ვ ე ლ ს ტ ა დ ი ა ზ ე, და იმასაც კი არ აღნიშნავს ზუსტად, თუ სახელდობრ რომელ ბურჟუაზიულ პარტიებთან! დღევანდელი (31 ოქტომბრის) წერილი პლეხანოვისა, რომელმაც კადეტებთან ბლოკის დასაცავად გადაიბარგა კადეტურ გაზეთ «ტოვარიშჩში», ცხადყოფს ყველასათვის, თუ ვისი გავლენით შეყოყმანდა ც. კ.. პლეხანოვი კი, ჩვეულებისამებრ, ქადაგებს, როგორც მისანი; წარმოთქვამს ფრიად ბანალურ, გაცვეთილ აზრებს; სრულიად გვერდს უხვევს სოციალისტური პროლეტარიატის კლასობრივ ამოცანებს (ალბათ, მისი შემხიზნველი ბურჟუაზიული გაზეთის მიმართ თავაზიანობის გამო) და არც კი ცდილობს შეეხოს კონკრეტულ მონაცემებსა და საბუთებს.

ნუთუ ჟენევიდან ეს ერთი «შემოძახება» საკმარისი აღმოჩნდება, რომ ც. კ. მარტოვიდან ჩამოქანდეს... ჩერევანინამდე?

ნუთუ გამაერთიანებელი ყრილობის გადაწყვეტილებას, რომლითაც აკრძალულია ბურჟუაზიულ პარტიებთან ყოველგვარი შეთანხმება, ჩაშლის ყრილობაზე არჩეული ცენტრალური კომიტეტი?

ს.-დ.-ების მწყობრ საარჩევნო კამპანიას უდიდესი საფრთხე ემუქრება.

სოციალისტურ მუშათა პარტიას ემუქრება მისი დამშლელი და პროლეტარიატის კლასობრივი დამოუკიდებლობის საქმის დამღუპველი შეთანხმება ბურჟუაზიულ პარტიებთან არჩევნების პირველ სტადიაზე.

დაე შეკავშირდნენ ყველა რევოლუციური სოციალ-დემოკრატები და დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადონ ოპორტუნისტულ არევ-დარევასა და მერყეობას!

განსაკუთრებული აზრი, შეტანილი რსდმპ სრულიად რუსეთის კონფერენციაზე პოლონეთის, ლატვიის მხარის, ს.-პეტერბურგის, მოსკოვის, ცენტრალურ-სამრეწველო ოლქისა და ვოლგისპირეთის ს.-დ. დელეგატების სახელით[85]

სახელმწიფო სათათბიროს ბოიკოტის ტაქტიკა, რომელმაც ხელი შეუწყო ხალხის მასების მიერ ამ დაწესებულების უძალაუფლებიანობისა და დამოკიდებული როლის მართებულად შეფასებას, სავსებით გაამართლა სახელმწ. სათათბიროს საკანონმდებლო მოღვაწეობის კომედიამ და მისმა გარეკვამ.

მაგრამ ბურჟუაზიის კონტრრევოლუციურმა მოქმედებამ და რუსეთის ლიბერალიზმის შემთანხმებელმა ტაქტიკამ ხელი შეუშალეს ბოიკოტის უშუალო წარმატებას და აიძულეს პროლეტარიატი გაემართა ბრძოლა მემამულეთა და ბურჟუაზიის კონტრრევოლუციასთან სათათბიროს კამპანიის ნიადაგზედაც.

სოციალ-დემოკრატიამ ეს ბრძოლა სათათბიროს გარეთ და თვით სათათბიროში უნდა აწარმოოს პროლეტარიატის კლასობრივი შეგნების განვითარებისა, მთელი ხალხის წინაშე კონსტიტუციურ ილუზიათა შემდგომი მხილებისა და რევოლუციის განვითარების ინტერესებისათვის.

საქმის ასეთი მდგომარეობის გამო და ზემოხსენებული მიზნით, რუსეთის ს.-დ. მუშათა პარტიამ უნდა მიიღოს უალ-

რესად ენერგიული მონაწილეობა სათათბიროს ახლანდელ კამპანიაში.

სოციალ-დემოკრატიული საარჩევნო კამპანიისა და სათათბიროს კამპანიის ძირითადი ამოცანებია, ჯერ ერთი, განმარტება ხალხისათვის, რომ სათათბირო სრულიად გამოუსადეგარია, როგორც პროლეტარიატისა და რევოლუციური წვრილი ბურჟუაზიის, განსაკუთრებით გლეხობის, მოთხოვნათა განხორციელების საშუალება. მეორე, განმარტება ხალხისათვის, რომ შეუძლებელია განვახორციელოთ პოლიტიკური თავისუფლება საპარლამენტო გზით, ვიდრე რეალური ძალაუფლება მეფის მთავრობის ხელში რჩება, იმის განმარტება, რომ აუცილებელია შეიარაღებული აჯანყება, დროებითი რევოლუციური მთავრობა და დამფუძნებელი კრება, არჩეული საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭისყრის საფუძველზე. მესამე, პირველი სათათბიროს კრიტიკა და რუსეთის ლიბერალიზმის სიკოტრის გამოაშკარავება, განსაკუთრებით კი იმის განმარტება, თუ რამდენად საშიში და დამღუპველი იქნებოდა რევოლუციის საქმისათვის, რომ განმათავისუფლებელ მოძრაობაში კადეტების ლიბერალურ-მონარქისტულ პარტიას უპირატესი და ხელმძღვანელი როლი შეესრულებინა.

როგორც პროლეტარიატის კლასობრივი პარტია, სოციალ-დემოკრატია მთელ საარჩევნო და სათათბიროს კამპანიაში უნდა დარჩეს უეჭველად დამოუკიდებელი; მან აქაც არც ერთს სხვა ოპოზიციურსა თუ რევოლუციურ პარტიას არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეუერთოს არც თავისი ლოზუნგები, არც თავისი ტაქტიკა.

ამიტომ საარჩევნო კამპანიის პირველ საფეხურზე, ე. ი. მასების წინაშე, როგორც საერთო წესი, იგი უეჭველად დამოუკიდებლად უნდა გამოვიდეს და მხოლოდ პარტიული კანდიდატურები წამოაყენოს.

ამ წესის გადახვევა დასაშვებია მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევებში და მხოლოდ იმ პარტიების მიმართ, რომლებიც სავსებით იღებენ ჩვენი უშუალო პოლიტიკური ბრძოლის ძირითად ლოზუნგებს, ე. ი. აღიარებენ შეია-

რაღებული აჯანყების აუცილებლობას და იბრძვიან დემოკრატიული რესპუბლიკისათვის. ამასთან ასეთი შეთანხმებანი შეიძლება ვრცელდებოდეს მხოლოდ კანდიდატების საერთო სიის წამოყენებაზე და არაფრით არ უნდა ზღუდავდეს სოციალ-დემოკრატიის პოლიტიკური აგიტაციის დამოუკიდებლობას.

მუშათა კურიაში სოციალ-დემოკრატიული პარტია აუცილებლად დამოუკიდებლად გამოდის და არავითარ სხვა პარტიასთან არ სდებს შეთანხმებას.

არჩევნების უმაღლეს საფეხურებზე, ე. ი. ამრჩეველთა კრებებზე ქალაქად, რწმუნებულთა და ამრჩეველთა კრებებზე სოფლად, დასაშვებია კერძო შეთანხმებანი მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რომ შეთანხმების დამდებმა პარტიებმა პროპორციულად გაინაწილონ ადგილები ხმების რიცხვის მიხედვით. ამასთან სოციალ-დემოკრატია დემოკრატიული თანამიმდევრობისა და გაბედულების მხრივ განასხვავებს ბურჟუაზიული პარტიების შემდეგს ძირითად ტიპებს: ა) ს.-რ.-ებს, პოლონეთის სოც. პარტიას და მათ მსგავს რესპუბლიკურ პარტიებს *; ბ) სახალხო სოციალისტებს და ამგვარი ტიპის ტრუდოვიკებს **; გ) კ.-დ.-ებს.

დაწერილია 1906 წ. 4 (17) ნოემბერს

დაიბეჭდა 1906 წ. 23 ნოემბერს
გაზეთ «პროლეტარში» № 8

იბეჭდება გაზეთის ტექსტის
მიხედვით

---

* იქნებ, ამათვე მივაკუთვნოთ ს.-ს.-ებიც (სიონისტ-სოციალისტები) [88].

** იქნებ, ამათვე მივაკუთვნოთ ზოგიერთი ებრაელი დემოკრატიც. თუ ებრაელი სოც.-დემოკრატების აზრი არ გვეცოდინება, ჩვენ კომპეტენტური არა ვართ ვიმსჯელოთ ამ საკითხებზე.

ამომრჩევლებისადმი მიმართვის პროექტი

ამხანაგო მუშებო და რუსეთის ყველა მოქალაქენო! ახლოვდება სახ. სათათბიროს არჩევნების დრო. მუშათა კლასის პარტია, სოციალ-დემოკრატია, მოგიწოდებთ თქვენ ყველას მონაწილეობა მიიღოთ არჩევნებში, რათა ხელი შეუწყოთ იმ ძალების დარაზმვას, რომელთაც ნამდვილად შესწევთ უნარი იბრძოლონ თავისუფლებისათვის.

ხალხის მასები ჩვენს რევოლუციაში იბრძვიან მოხელეებისა და პოლიციის, მემამულეებისა და კაპიტალისტების ბატონობის წინააღმდეგ, ხოლო უწინარეს ყოვლისა მეფის თვითმპყრობელური მთავრობის წინააღმდეგ. მასები იბრძვიან მიწისა და თავისუფლებისათვის, დამრბევებისა და ჯალათების იმ ბრბოს დასამხობად, რომელიც მოყიდვით, მოტყუებით, მხეცური ძალადობით, საპყრობილეებითა და სამხედრო-საველე სასამართლოებით უპასუხებს მილიონებისა და ათეული მილიონების მოთხოვნებს.

1905 წლის ოქტომბრის გაფიცვით მთელი რუსეთის მუშებმა მეფეს ძალით გამოგლიჯეს ხელიდან თავისუფლებისა და სათათბიროს საკანონმდებლო უფლებათა დაპირება. მეფის მთავრობამ დაარღვია ეს დაპირება. საარჩევნო კანონმა შეჭკვეცა გლეხთა და მუშათა უფლებანი მემამულეებისა და კაპიტალისტების სასარგებლოდ. თვით სათათბიროს უფლებანი თითქმის მთლად გაქარწყლებულია. მაგრამ არც ესაა კიდევ თავიდათავი. თავიდათავი ის არის, რომ ყველა თავისუფლება და უფლება ფარატინა ქაღალდად რჩებოდა, რადგანაც ნამდვილი ძალაუფლება, ნამდვილი ძალა წინანდებურადვე მთლად

მეფის მთავრობის ხელში იყო. არავითარ სათათბიროს არ შეუძლია მისცეს ხალხს მიწა და თავისუფლება და ვერც მისცემს, ვიდრე ნამდვილი ძალაუფლება დამრბევთა და თავისუფლების ჯალათთა ხელში იქნება.

აი რატომ იყო, რომ რევოლუციურმა მუშებმა ხალხის სხვა ფენებიდან გამოსულ თავისუფლებისათვის შეგნებულ მებრძოლთა უმრავლესობასთან ერთად ბოიკოტი გამოუცხადეს სათათბიროს. სათათბიროს ბოიკოტი იყო ცდა, რომ დამრბევებისათვის ხელიდან გამოგვეგლიჯა ხალხის დეპუტატთა მოწვევის საქმე. სათათბიროს ბოიკოტი ხალხის გაფრთხილება იყო — არ დაეჯერებინა ფარატინა ქაღალდისათვის, ეს იყო მოწოდება ნამდვილი ძალაუფლებისათვის საბრძოლველად. ბოიკოტი ჩაიფუშა, რადგან ლიბერალურმა ბურჟუაზიამ უღალატა თავისუფლების საქმეს. «სახალხო» თავისუფლების პარტიამ, კადეტებმა, ლიბერალური მემამულეებისა და «განათლებულ» ბურჟუაზიულ მოლაყბეთა ამ პარტიამ, ზურგი შეაქცია პროლეტარიატის გმირულ ბრძოლას, გლეხებისა და ჯარის საუკეთესო ნაწილის აჯანყებას სიგიჟე უწოდა და მონაწილეობა მიიღო დამრბევთა მიერ მოწყობილ არჩევნებში. კადეტური ბურჟუაზიის ღალატის გამო, მთელი ხალხი დროებით იძულებულია ანგარიში გაუწიოს კანონებსა და არჩევნებს, რომლებიც დამრბევებმა მოაწყეს, დამრბევებმა გააყალბეს, დამრბევებმა გადააქციეს ხალხის დაცინვად.

მაგრამ, როცა ახლა არჩევნებში ვმონაწილეობთ, ჩვენ შეგვიძლია და კიდევაც უნდა ავუხილოთ ხალხს თვალი ძალაუფლებისათვის ბრძოლის საჭიროებაზე, კადეტების მიერ კონსტიტუციობანას თამაშობის ამაოებაზე. მთელი რუსეთის მოქალაქენო! ჩაუფიქრდით იმ გაკვეთილს, რომელიც პირველმა სათათბირომ მოგვცა!

თავისუფლების მოსაპოვებლად და გლეხებისათვის მიწის გადასაცემად მებრძოლნი გაჟლიტეს, გადაასახლეს, საპყრობილეებში ჩაჰყარეს. სათათბიროში უმრავლესობა კადეტებს ეკუთვნოდა. ამ ლიბერალურ ბურჟუებს ეშინოდათ ბრძოლისა,

ეშინოდათ ხალხისა, ისინი სჯერდებოდნენ სიტყვებსა და შუამდგომლობებს, მოუწოდებდნენ მოთმინებით ლოდინისაკენ, ესწრაფოდნენ დამრბევთა მთავრობასთან შეთანხმებას, გარიგებას. და მეფემ, რაკი დაინახა, რომ მის წინაშე მებრძოლნი კი არა, მლიქვნელი ბურჟუები იდგნენ, გარეკა ისინი არასასურველი სიტყვებისათვის.

მუშებო, გლეხებო და ყველა მშრომელნო! არ დაივიწყოთ ეს დიადი გაკვეთილი! გახსოვდეთ, რომ როცა 1905 წლის შემოდგომაზე მებრძოლი ხალხის სათავეში რევოლუციური მუშები იდგნენ, როცა მუშათა გაფიცვას, მუშათა აჯანყებას უერთდებოდა გლეხთა და შეგნებულ ჯარისკაცთა აჯანყებანი, — მაშინ მთავრობა დათმობათა გზას ადგებოდა. ხოლო როცა 1906 წლის გაზაფხულსა და ზაფხულს ხალხს სათავეში მოექცა ლიბერალურ-მონარქისტული ბურჟუაზია, კადეტები, ხალხის ხელისუფლებასა და დამრბევთა ხელისუფლებას შორის მოქანავე პარტია, მაშინ დათმობათა მაგიერ დეპუტატებმა იგემეს პოლიციის წიხლი, რომელმაც სათათბირო გარეკა.

სათათბიროს გარეკვა ყველას უჩვენებს, თუ რაოდენ ფუჭი და უნაყოფოა კადეტების შუამდგომლობანი, თუ რაოდენ საჭიროა პროლეტართა ბრძოლისათვის მხარისდაჭერა. მუშათა კლასმა ოქტომბრის გაფიცვით მთავრობას ხელიდან გამოგლიჯა თავისუფლების დაპირება. იგი ახლა ძალღონეს იკრებს, რათა ხალხის საყოველთაო აჯანყებით ნამდვილად გამოგლიჯოს მტერს ხელიდან თავისუფლება, რათა დაამხოს მეფის მთავრობა, დაამყაროს რესპუბლიკა, შემოიღოს უკლებლივ ყოველგვარ ხელისუფალთა არჩევა სახელმწიფოში და დროებითი რევოლუციური მთავრობის საშუალებით მოიწვიოს საყოველთაო-სახალხო დამფუძნებელი კრება საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭისყრის საფუძველზე.

მუშათა კლასი, როცა ის თავისუფლებისათვის იბრძვის, ცდილობს, რათა თავისუფლება ემსახურებოდეს არა მარტო მდიდრებსა და წარჩინებულებს, არამედ მთელ ხალხს. მუშებს თავისუფლება სჭირდებათ იმისათვის, რომ გააჩაღონ ფართო

ბრძოლა კაპიტალის უღლისაგან შრომის სრული განთავისუფლებისათვის, ადამიანის მიერ ადამიანის ყოველგვარი ექსპლოატაციის მოსპობისათვის, საზოგადოების სოციალისტური მოწყობისათვის. ვერავითარი თანასწორობა, წვრილ მეურნეთა, გლეხთა თანასწორობაც კი საერთო-სახალხო მიწით სარგებლობის მხრივ, ვერ იხსნის ხალხს სიღატაკისა, უმუშევრობისა და ჩაგვრისაგან, სანამ კაპიტალის ბატონობა არსებობს. და მხოლოდ ყველა მუშის დარაზმვით, მშრომელთა მასების მიერ მათთვის მხარის დაჭერის პირობებში, შეიძლება კაპიტალის იმ უღლის გადაგდება, ყველა ქვეყნის მუშებს რომ აწევთ კისრად. სოციალისტურ საზოგადოებაში თავისუფლება და თანასწორობა მოტყუება როდი იქნება; მშრომელნი აღარ იქნებიან დაქსაქსულნი წვრილ განცალკევებულ მეურნეობებად; საერთო შრომით დაგროვილი სიმდიდრე ხალხის მასას მოხმარდება და არა მის ჩაგვრას; მშრომელთა ბატონობა მოსპობს ყოველი ეროვნების, სარწმუნოების ყოველგვარ ჩაგვრას ან ერთი სქესის ჩაგვრას მეორის მიერ.

ამხანაგო მუშებო და რუსეთის ყველა მოქალაქენო! ისარგებლეთ არჩევნებით, რათა გაამაგროთ ნამდვილი მებრძოლნი თავისუფლებისა და სოციალიზმისათვის, რათა თვალი აუხილოთ ყველასა და თვითეულს და დაანახვოთ მათ სხვადასხვა პარტიის ნამდვილი მიზნები და ჭეშმარიტი ხასიათი!

სოციალ-დემოკრატების გარდა, პარტიების სამი მთავარი ჯგუფი მონაწილეობს არჩევნებში: შავრაზმელები, კადეტები, ტრუდოვიკები.

შავრაზმელები, — ესენი მთავრობის მომხრე პარტიები არიან. ისინი იცავენ თვითმპყრობელ მონარქიას, პოლიციურ ძალაუფლებას, მემამულეთა ხელში მთელი მიწების შენარჩუნებას. ესენი არიან პარტია მონარქისტებისა, რუსი ხალხის კავშირი, უფლებრივი წესრიგის პარტია, სავაჭრო-სამრეწველო პარტია, 17 ოქტომბრის კავშირი, მშვიდობიანი განახლების პარტია. ესენი ყველანი ხალხის პირდაპირი მტრები არიან, პირდაპირი დამცველნი დამრბევთა მთავრობისა, იმ

მთავრობისა, რომელმაც სათათბირო გარეკა, სამხედრო-სავე-ლე სასამართლოების მთავრობისა.

კადეტები (კ.-დ. ანუ «სახალხო თავისუფლების პარტია») ლიბერალურ-მონარქისტული ბურჟუაზიის მთავარი პარტიაა. ლიბერალური ბურჟუები ხალხსა და დამრბევთა მთავრობას შუა მერყეობენ. სიტყვით ისინი მთავრობის წინააღმდეგ არიან; საქმით მათ ყველაზე მეტად ხალხის ბრძოლისა ეშინიათ. საქმით ისინი მოწადინებული არიან შეუთანხმდნენ მონარქიას, ე. ი. დამრბევებს, ხალხის წინააღმდეგ. კადეტები სათათბიროში აყენებდნენ კატორღულ კანონებს პრესის წინააღმდეგ და კრებების წინააღმდეგ. კადეტები სათათბიროში წინააღმდეგი იყვნენ იმისა, რომ მიწის საკითხი გადასცემოდა ადგილობრივ კომიტეტებს, რომლებიც საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭისყრით უნდა ყოფილიყვნენ არჩეულნი. კადეტები — ესენი არიან ლიბერალი მემამულენი, რომელთაც ეშინიათ იმისა, რომ გლეხებმა თვითონ და თავისებურად არ გადასჭრან მიწის საკითხი. ვისაც არა სურს, რომ ხალხის დეპუტატები პოლიციურმა ხელისუფლებამ გარეკოს, ვისაც არა სურს, რომ გლეხებს თავს მოახვიონ ისეთივე გამაჩანაგებელი გამოყიდვა, როგორც 1861 წელს, — დაე მან იზრუნოს იმაზე, რომ მეორე სათათბირო კვლავ კადეტური სათათბირო არ იყოს.

ტრუდოვიკები, — ესენი არიან პარტიები და ჯგუფები, რომელნიც წვრილი მეპატრონეების, უმთავრესად წვრილი გლეხების, ინტერესებსა და შეხედულებებს გამოხატავენ. ამ პარტიათა შორის ყველაზე უფრო მხდალია «შრომის სახალხო-სოციალისტური პარტია»; — იგი ბევრად არ ჯობია კადეტებს. შემდეგ მიდის სათათბიროს «შრომის ჯგუფი», რომლის საუკეთესო წევრები, ონიპკოს მსგავსნი, სათათბიროს გარეკვის შემდეგ ეხმარებოდნენ აჯანყებულ ხალხს. შრომის პარტიებს შორის ყველაზე უფრო რევოლუციური არიან — «სოციალისტ-რევოლუციონერები» (ესერები, ს.-რ.). ტრუდოვიკები მზად არიან გაბედულად, — ხანდახან აჯანყებითაც კი, —

დაიცვან გლეხთა მასის ინტერესები მიწისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში, მაგრამ ისინი ყოველთვის როდი ახერხებენ თავი დააღწიონ ლიბერალური ბურჟუების გავლენასა და ბურჟუაზიულ შეხედულებებს მთელ თავის მოღვაწეობაში. წვრილი მეპატრონე შრომისა და კაპიტალის დიადი მსოფლიო ბრძოლის გზაჯვარედინზე დგას: — როგორ მოიქცეს, ესწრაფოს იმას, რომ ბურჟუაზიული გზით «კაცი გამოვიდეს», თვითონ გახდეს მეპატრონე, თუ ესწრაფოს იმას, რომ პროლეტარიატს ბურჟუაზიის ბატონობის დამხობაში დაეხმაროს. ჩვენ, სოციალ-დემოკრატები, ვისარგებლებთ არჩევნებით, რათა გლეხთა მასის და გლეხობის ყველა მეგობარს ვუთხრათ: გლეხები მხოლოდ მაშინ მოიპოვებენ მიწასა და თავისუფლებას, თუ იმოქმედებენ არა შუამდგომლობებით, არამედ ბრძოლით, თუ ისინი დაუჯერებენ არა მეფეს, არა ლიბერალური ბურჟუების დაპირებას, არამედ ირწმუნებენ მუშათა კლასთან ხელიხელჩაკიდებული შეთანხმებული ბრძოლის ძალას.

სოციალ-დემოკრატების პარტია არის შეგნებული და მებრძოლი პროლეტარიატის პარტია. მას არა სწამს ბურჟუაზიის არავითარი დაპირება, იგი სიღატაკისა და გაჭირვებისაგან ხსნას ეძებს არა წვრილი მეურნეობის განმტკიცებაში, არამედ ყველა მშრომელის დარაზმულ ბრძოლაში სოციალიზმისათვის.

ამხანაგო მუშებო და ყველა თქვენ, ვინც კაპიტალის სამსახურში იმყოფებით! თქვენ ყველამ დაინახეთ, რომ, როცა მთავრობამ წაგვართვა თავისუფლების ჩანასახი, ბურჟუაზიამაც იწყო მუშებისათვის ყველა მათ მონაპოვართა წართმევა, იწყო კვლავ სამუშაო დღის გაგრძელება, ხელფასის შემცირება, ჯარიმების გადიდება, ყოველგვარი შევიწროების გაძლიერება, შეგნებული მუშების ჩაგვრა ან დათხოვნა. მხოლოდ თავისუფლების გამარჯვებით შეუძლიათ მუშებსა და მოსამსახურეებს უზრუნველყონ თავიანთი მონაპოვარნი ბურჟუაზიისაგან, მიაღწიონ 8 საათის სამუშაო დღეს, უკეთეს ხელფასს და ცხოვრების გვარიან პირობებს. და მხოლოდ დარაზმული,

ერთსულოვანი, თავდადებული და გაბედული ბრძოლით შეუძ-ლია მუშათა კლასს, მთელი მშრომელი მასების სათავეში ჩა-მდგარს, მოუპოვოს ნამდვილი თავისუფლება მთელ ხალხს.

ამხანაგო მუშებო და რუსეთის ყველა მოქალაქენო! ხმა მიეცით რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის კანდიდატებს! იგი იბრძვის სრული თავისუფლებისათვის, რეს-პუბლიკისათვის, ხალხის მიერ მოხელეთა არჩევისათვის. იგი იბრძვის ყოველგვარი ნაციონალური ჩაგვრის წინააღმდეგ. იგი იბრძვის გლეხებისათვის მ თ ე ლ ი მიწის გადასაცემად, ს რ უ ლ ი ა დ გ ა მ ო უ ყ ი დ ვ ე ლ ა დ. იგი მხარს უჭერს შეგნებულ მატროსთა და ჯარისკაცთა ყველა მოთხოვნას და ცდილობს მუდმივი არმიის შეცვლას ხალხის საყოველთაო შეიარაღებით.

ამხანაგო მუშებო და რუსეთის ყველა მოქალაქენო! ხმა მიეცით რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის კანდიდატებს!

«პროლეტარი» № 8,
1906 წ. 23 ნოემბერი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

კადეტებთან ბლოკის შესახებ

მენშევიკებმა რსდმპ სრულიად რუსეთის კონფერენციაზე ბუნდელების დახმარებით გაიყვანეს გადაწყვეტილება კადეტებთან ბლოკის დაშვების შესახებ. ზეიმობს კადეტური პრესა და კიდით კიდემდე ჰფენს საამო ამბავს, თანაც ფრთხილად უბიძგებს მენშევიკებს კიდევ ერთი საფეხურით დაბლა დაეშვან, კიდევ ერთი ნაბიჯით უფრო შორს წავიდნენ — მარჯვნივ. მკითხველი სხვა ადგილას იპოვნის კონფერენციის გადაწყვეტილებებს, რევოლუციური ს.-დ.-ების განსაკუთრებულ აზრს და ამომრჩევლებისადმი მათი მიმართვის პროექტს *. აქ კი ჩვენ შევეცდებით დავახასიათოთ კადეტებთან ბლოკის ზოგადი და ძირითადი პოლიტიკური მნიშვნელობა.

ასეთი დახასიათებისათვის კარგ მასალას იძლევა «სოციალ-დემოკრატის» № 6 და განსაკუთრებით სარედაქციო სტატია «უკიდურეს მემარცხენეთა ბლოკი». დავიწყოთ ამ სტატიის ერთერთი ყველაზე დამახასიათებელი ადგილით.

ჩვენ გვეუბნებიანო, — წერს «ს.-დ.», — რომ «მენშევიკებმა, რომლებიც ამოცანად ისახავდნენ მთელი სათათბიროს წაბიძგებას რევოლუციური გზისაკენ, მისი გარეკვის შემდეგ მიატოვეს თავიანთი პოზიცია და ბლოკი შეჰკრეს რევოლუციურ პარტიებთან და ჯგუფებთან; ეს ბლოკი გამოიხატა, ჯერ ერთი, ორი საერთო პროკლამაციის გამოცემით, — არმიისა და გლეხობისადმი; მეორეც, მოსალოდნელი გაფიცვის გამო მოქმედებათა საკოორდინაციოდ კომიტეტის დაარსებით. ეს დამოწმება პრეცედენტისა დიდ გაუგებრობაზეა დამყარებული.

* იხ. ეს ტომი, გვ. 354—360. რ ე დ.

აღნიშნულ შემთხვევაში ჩვენმა პარტიამ სხვა რევოლუციურ პარტიებთან და ჯგუფებთან შეჰკრა ა რ ა პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ბლოკი, არამედ ს ა ბ რ ძ ო ლ ო შეთანხმება, რასაც ჩვენ ყოველთვის მიზანშეწონილად და საჭიროდ ვთვლიდით».

ხაზგასმა «სოციალ-დემოკრატისაა».

...ა რ ა პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ბლოკი, არამედ ს ა ბ რ ძ ო ლ ო შეთანხმება... იწამეთ ღმერთი, ამხანაგო მენშევიკებო! ეს ხომ არათუ რაღაც უაზრო რამეა, არამედ პირდაპირ უმეცრებაა. ორში ერთი: ან თქვენ ბლოკად გულისხმობთ მხოლოდ საპარლამენტო შეთანხმებას, ან — მარტო საპარლამენტოს არა. თუ პირველია, — მაშინ ბლოკი არის საბრძოლო შეთანხმება საპარლამენტო ბრძოლისათვის. თუ მეორე, — მაშინ საბრძოლო შეთანხმება არის პოლიტიკური ბლოკი, რადგან «ბრძოლა», რომელიც მოკლებულია პოლიტიკურ მნიშვნელობას, ბრძოლა კი არა, უბრალო ჩხუბია.

ცენტრალურ კომიტეტელო ამხანაგებო! მიხედეთ თქვენს რედაქტორებს, დამიჯერეთ, მიხედეთ, თორემ სირცხვილია სოციალ-დემოკრატიისათვის.

— ც. კ.-ის ორგანოს მიერ მკითხველისათვის მიწოდებული აბდაუბდა იქნებ უბრალო წამოცდენაა? ან, იქნებ, უხერხული გამოთქმაა?

— სრულიადაც არა. «სოციალ-დემოკრატის» შეცდომა ის კი არ არის, რომ მას კურიოზი გამოუვიდა, არამედ, პირიქით, კურიოზი გამოვიდა იმიტომ, რომ ყველა მის მსჯელობას და მთელ მის პოზიციას ძირითადი შეცდომა უძევს საფუძვლად. უაზრო შეხამება სიტყვებისა: «ა რ ა პოლიტიკური ბლოკი, ა რ ა მ ე დ საბრძოლო შეთანხმება» *, შემთხვევით კი არა, აუცილებლად და გარდუვალად წარმოსდგა მენშევიზმის იმ ძირითადი «უაზრობისაგან», რომელიც იმის გაუგებლობაში

* მაინცდამაინც სწორედ ისეთი კაზუსი მოხდა, რომ მენშევიკებმა, რომლებიც მუდამ გვისაყვედურებდნენ «პოლიტიკისადმი» «ბრძოლის» დაპირისპირებას, თ ვ ი თ ო ნ სწორედ ამ უაზრო დაპირისპირებაზე ააგეს მ თ ე ლ ი თ ა ვ ი ა ნ თ ი მ ს ჯ ე ლ ო ბ ა!

მდგომარეობს, რომ ახლა საპარლამენტო ბრძოლა რუსეთში სავსებით ექვემდებარება, და ამასთანავე მეტად უშუალოდ, პარლამენტს-გარე ბრძოლის პირობებსა და ხასიათს. სხვანაირად რომ ვთქვათ: ცალკეული ლოგიკური შეცდომა გამოხატავს თანამედროვე რევოლუციურ ვითარებაში მენშევიკების მიერ სათათბიროს მთელი როლისა და მთელი მნიშვნელობის საერთო გაუგებლობას.

ჩვენ, რა თქმა უნდა, არ წავბაძავთ მენშევიკებს და მათს ბელადს პლეხანოვს «ბრძოლისა» და «პოლიტიკის» საკითხზე ჩვენთან პოლემიკის ხერხებში. ჩვენ არ ვუსაყვედურებთ მათ იმის გამო, რომ ისინი, ს.-დ. პროლეტარიატის ბელადები, შესაძლებლად სთვლიან დასდონ ა რ ა პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი საბრძოლო შეთანხმება.

ჩვენ ყურადღებას ვაქცევთ მხოლოდ შემდეგ საკითხს: რ ა ტ ო მ უნდა შეეკრათ ბლოკი ჩვენს მენშევიკებს სათათბიროს გარეკვის შემდეგ მ ხ ო ლ ო დ რ ე ვ ო ლ უ ც ი ო ურ პარტიებთან და ჯგუფებთან? რასაკვირველია, არა იმიტომ, რომ ამას დიდი ხანია ქადაგებდა (მხოლოდ და მხოლოდ მენშევიკებისადმი სიძულვილის გამო) ვიღაც ანარქისტ-ბლანკისტი ლენინი. ობიექტურმა პირობებმა ა ი ძ უ ლ ე ს მენშევიკები, ყველა მათი თეორიის მიუხედავად, შეეკრათ სწორედ ასეთი რევოლუციური, ანტიკადეტური ბლოკი. ობიექტურმა პირობებმა გამოიწვიეს ის, რომ, მენშევიკების ნებისა და შ ე გ ნ ე ბ ი ს მ ი უ ხ ე დ ა ვ ა დ, მშვიდობიანი პარლამენტური ბრძოლის დიალექტიკურმა განვითარებამ პირველ სათათბიროში რ ა მ დ ე ნ ი მ ე დ ღ ე შ ი სრულებით არამშვიდობიან, არაპარლამენტურ ბრძოლად აქცია იგი. მენშევიკების მიერ შეუცნობელი (კადეტების მიერ მათთვის თვალის ახვევის გამო), ფორმალურად შეუკვრელი პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ბ ლ ო კ ი, — რაც სურვილებისა და უახლოეს პოლიტიკურ მისწრაფებათა ერთიანობით, უახლოესი პოლიტიკური მიზნებისათვის ბრძოლის საშუალებათა ერთიანობით გამოიხატებოდა, — ეს შეუცნობელი «პოლიტიკური ბლოკი» გ ა რ ე მ ო ე ბ ა თ ა

ძ ა ლ ი თ «საბრძოლო შეთანხმებად» იქცა. ჩვენი ჭკუის კოლოფები კი ისე დააბნია ამ მოულოდნელობამ, რაც პლეხანოვის პირველი სათათბიროს ეპოქის წერილებში გათვალისწინებული არ იყო, რომ მორთეს ყვირილი: «ეს პოლიტიკური ბლოკი კი ა რ ა, ა რ ა მ ე დ საბრძოლო შეთანხმებაა!».

სწორედ იმიტომაც არაფრად ვარგა თქვენი პოლიტიკა, საყვარელო ამხანაგებო, რომ თქვენ ითვალისწინებთ შეთანხმებას ი ს ე თ ი «ბრძოლისათვის», რომელიც ნამდვილი არაა, ფიქტიურია, მოკლებულია გადამწყვეტ მნიშვნელობას, და ხელიდან გეპარებათ ი ს ე თ ი «ბრძოლის» პირობები, რომელსაც რუსეთის რევოლუციის მთელი მსვლელობა დაუძლეველი ძლიერებით წამოსწევს ხოლმე სცენაზე და რომელიც ისეთი პირობებიდანაც კი წარმოსდგება, პირველი შეხედვით უაღრესად მშვიდობიანი, პარლამენტური, კონსტიტუციური პირობებიდან, — ისეთი პირობებიდანაც კი, რომლებსაც სათათბიროელი როდიჩევები ქებათა-ქებას ასხამდნენ სათაყვანებელი, არაპასუხისმგებელი მონარქის შესახებ წარმოთქმულ სიტყვებში.

თქვენ სწორედ იმ შეცდომას სჩადიხართ, რომელშიც ტყუილუბრალოდ ბრალსა სდებთ ბოლშევიკებს. თქვენი პოლიტიკა არ არის ბრძოლის პოლიტიკა. თქვენი ბრძოლა არ არის ნამდვილი პოლიტიკური ბრძოლა, არამედ სათამაშო-კონსტიტუციური ბრძოლაა, პარლამენტური კრეტინიზმია. იმ «ბრძოლისათვის», რომელიც შეიძლება მოითხოვონ პირობებმა ხვალვე, თქვენ შეთანხმებათა ე რ თ ი ხაზი გაქვთ, — «პოლიტიკისათვის» კი — შეთანხმებათა მ ე ო რ ე ხაზი. და ამიტომ თქვენ არ ვარგიხართ არც «ბრძოლისათვის», არც «პოლიტიკისათვის», არამედ მხოლოდ კადეტების დამქაშების როლისათვის.

ჩვენს პარტიაში ახლა ბევრს კამათობენ სიტყვა «ბლოკის» მნიშვნელობის შესახებ. ერთი ამბობს: ბლოკი — ეს საერთო სიაა. მეორე: არა, ბლოკი საერთო პლატფორმა არისო. სიბრიყვეა მთელი ეს კამათი, სქოლასტიკურია იგი. საქმის არსი

ოდნავადაც არ იცვლება იმით, უფრო მჭიდრო თუ ნაკლებ მჭიდრო შეთანხმებას უწოდებთ თქვენ ბლოკს. კამათის არსი სრულიადაც არ არის ის, დასაშვებია თუ არა მჭიდრო ან არა-მჭიდრო შეთანხმებანი. ვინც ასე ფიქრობს, იგი წვრილმან, სრულიად უმნიშვნელო პარლამენტურ ტექნიკაში ეფლობა და ივიწყებს ამ ტექნიკის პ ო ლ ი ტ ი კ უ რ შ ი ნ ა ა რ ს ს. კამათის არსი ისაა, თუ რ ა ხ ა ზ ი თ უნდა შეჰკრას სოციალისტურმა პროლეტარიატმა შეთანხმებანი ბურჟუაზიასთან, რაც აუცილებელია, საზოგადოდ რომ ვთქვათ, ბურჟუაზიულ რევოლუციაში. ბოლშევიკები შეიძლება არ დაეთანხმონ ერთმანეთს ამა თუ იმ საკითხში: საჭიროა თუ არა შეთანხმებანი არჩევნებში რევოლუციური ბურჟუაზიის ამა თუ იმ პარტიასთან, მაგრამ ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის კამათის არსი სრულებითაც ეს არაა. კამათის არსი ისევ ისაა: ბურჟუაზიულ რევოლუციაში სოციალისტური პროლეტარიატი ლიბერალურ-მონარქისტული ბურჟუაზიის უკან უნდა მიჩანჩალებდეს, თუ წინ უნდა მიუძღოდეს რევოლუციურ-დემოკრატიულ ბურჟუაზიას.

სტატია «უკიდურეს მემარცხენეთა ბლოკი» იმის უამრავ ნიმუშს იძლევა, თუ როგორ უხვევს მენშევიკების აზრი უთანხმოების პოლიტიკური არსიდან ფუჭი წვრილმანებისაკენ. ბლოკის ტაქტიკად სტატიის ავტორს თვითონ მიაჩნია (გვ. 2, სვეტი 3) საერთო პლატფორმაც და საერთო სიაც. და ამავე დროს იგი ამტკიცებს, რომ ჩვენ ვიცავთ «ბლოკს» ტრუდოვიკებთან და ესერებთან, მენშევიკები კი იცავენ არა ბლოკს, არამედ მხოლოდ «ნაწილობრივ შეთანხმებას» კადეტებთან. ეს ხომ ბავშვობაა, საყვარელო ამხანაგებო, და არა არგუმენტაცია!

შეადარეთ ერთმანეთს მენშევიკების რეზოლუცია, მიღებული სრულიად რუსეთის კონფერენციაზე, და ბოლშევიკების რეზოლუცია. მეორე რეზოლუცია ესერებთან შეთანხმებისათვის უფრო ვიწრო პირობებს აყენებს, ვიდრე პირველი რეზოლუცია კადეტებთან შეთანხმებისათვის. ეს უდავოა, რადგან, ჯერ ერთი, ბოლშევიკებმა დასაშვებად მიიჩნიეს შეთანხმება

მხოლოდ ისეთ პარტიებთან, რომელნიც იბრძვიან რესპუბლიკისათვის და აღიარებენ შეიარაღებული აჯანყების საჭიროებას, ხოლო მენშევიკებმა დასაშვებად მიიჩნიეს შეთანხმება «ოპოზიციურ-დემოკრატიულ პარტიებთან» საზოგადოდ. მაშასადამე, ბოლშევიკებმა რევოლუციური ბურჟუაზიის ცნება განსაზღვრეს ნათელი პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ნიშნებით, ხოლო მენშევიკებმა პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი განსაზღვრის მაგიერ მოგვცეს მარტო ტ ე ქ ნ ი კ უ რ-პ ა რ ლ ა მ ე ნ ტ უ რ ი სიტყვა. რესპუბლიკა და შეიარაღებული აჯანყება — გარკვეული პოლიტიკური კატეგორიებია. ოპოზიცია — მხოლოდ საპარლამენტო ტერმინია. ეს ტერმინი ისე ბუნდოვანია, რომ შეიცავს ოქტიაბრისტებსაც, მშვიდობიან განმაახლებლებსაც და მთავრობის ყველა უკმაყოფილოსაც. მართალია, დამატება: «დემოკრატიულს» შეაქვს პოლიტიკური მომენტი, მაგრამ იგი არ არის გარკვეული. ამ სიტყვით იგულისხმებიან კადეტები. მაგრამ სწორედ ეს არ არის მართალი. «დემოკრატიული» უწოდო მ ო ნ ა რ ქ ი ს ტ უ ლ პარტიას, პარტიას, რომელსაც ზედა პალატა დასაშვებად მიაჩნია, პარტიას, რომელიც აყენებს კატორღულ კანონებს კრებებისა და პრესის შესახებ, პარტიას, რომელმაც საპასუხო ადრესიდან ამოაგდო პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭისყრა, პარტიას, რომელიც უარყოფდა მთელი ხალხის მიერ არჩეულ საადგილმამულო კომიტეტებს, — ე ს ხ ა ლ ხ ი ს მ ო ტ ყ უ ე ბ ა ს ნიშნავს. ეს მკვეთრი სიტყვაა, მაგრამ სამართლიანია. მენშევიკები ატყუებენ ხალხს კადეტების დემოკრატიზმის შესახებ.

მეორეც, ბოლშევიკებს დასაშვებად მიაჩნიათ ბურჟუაზიულ რესპუბლიკელებთან შეთანხმება მხოლოდ როგორც «გამონაკლისი». მენშევიკები არ მოითხოვენ, რომ კადეტებთან ბლოკი მხოლოდ გამონაკლისი იყოს.

მესამე, ბოლშევიკები უთუოდ კრძალავენ ყოველგვარ შეთანხმებას მუშათა კურიაში («ა რ ა ვ ი თ ა რ ს ხ ვ ა პ ა რ ტ ი ა ს თ ა ნ»). მენშევიკებს დ ა ს ა შ ვ ე ბ ა დ მ ი ა ჩ ნ ი ა თ ბ ლ ო კ ი მ უ შ ა თ ა კ უ რ ი ა შ ი ც, რადგანაც აქ აკრძა-

ლულია შეთანხმებანი მხოლოდ ისეთ ჯგუფებთან და პარტიებთან, რომელნიც «არ დგანან პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის თვალსაზრისზე». ეს შემთხვევითი როდია, რადგან კონფერენციაზე იყვნენ პროლეტარულ-კლასობრივი ალღოს მქონე მენშევიკები, რომლებიც დავობდნენ ამ უაზრო ფორმულირების წინააღმდეგ, მაგრამ დამარცხდნენ მენშევიკების უმრავლესობის მიერ. გამოვიდა რაღაც სრულიად გაურკვეველი და ბუნდოვანი რამ, რაც ფართო გასაქანს უტოვებს ყოველგვარ ავანტიურიზმს. ხოლო, გარდა ამისა, გამოვიდა მარქსისტისათვის უკვე ყოვლად ცუდი აზრი, თითქოს სხვა პარტია, გარდა სოციალ-დემოკრატიულისა, შ ე ი ძ ლ ე ბ ა აღიარებულ იქნას ისეთ პარტიად, რომელიც «პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის თვალსაზრისზე დგას».

ჰოდა, ამის შემდეგ ბავშვობა მაინც როგორ არ ვუწოდოთ იმის დამტკიცების ცდას, რომ ბოლშევიკები აღიარებენ უ ფ რ ო მ ჭ ი დ რ ო ბლოკს რესპუბლიკურ ბურჟუაზიასთან, ესერებთან, ვიდრე მენშევიკები მონარქისტულ ბურჟუაზიასთან, კადეტებთან?

სრულიად ყალბი მსჯელობა მეტნაკლებად მჭიდრო ბლოკის შესახებ იმ პოლიტიკური საკითხის მიჩქმალვას ემსახურება, თუ ვ ი ს თ ა ნ დ ა რ ი ს თ ვ ი ს ა ა დასაშვები ბლოკი. აიღეთ «საარჩევნო პლატფორმის პროექტი», დაბეჭდილი № 6 «სოციალ-დემოკრატში». ეს დოკუმენტი მენშევიკური პოლიტიკის ერთი იმ უთვალავ დოკუმენტთაგანია, რომელნიც კადეტებთან მენშევიკების ი დ ე უ რ ი ბლოკის არსებობას ამტკიცებენ. კონფერენციის რეზოლუცია საარჩევნო პლატფორმის ამ პროექტში საჭირო «შესწორებათა» შეტანის შესახებ თვალნათლივ გვიჩვენებს ამას. აბა დააკვირდით: სოციალ-დემოკრატების კონფერენცია იძულებული იყო გაეხსენებინა თავისი ც. კ.-სთვის, რომ არალეგალური გამოცემიდან არ შეიძლება ამოიშალოს რესპუბლიკის ლოზუნგი, რომ არ შეიძლება დავჯერდეთ ზოგად ბუნდოვან სიტყვებს შუამდგომლობისა და ბრძოლის შესახებ, არამედ საჭიროა ზუსტად დავასახელოთ და

პროლეტარული თვალსაზრისით დავახასიათოთ სხვადასხვა პარტია, რომ საჭიროა აღვნიშნოთ აჯანყების აუცილებლობა, ხაზი გავუსვათ სოციალ-დემოკრატიის კლასობრივ ხასიათს! იმის გახსენება ს.-დ. პარტიის ც. კ.-ისათვის, რომ პარტიის პირველ საარჩევნო მოწოდებაში საჭიროა ხაზი გაესვას პარტიის კლასობრივ ხასიათს, — ასეთი გახსენების შესაძლებლობა შეეძლო გამოეწვია მხოლოდ დიდ არანორმალობას, ც. კ.-ის შეხედულებათა ძირითად შეცდომას.

ჯერ ესეც არ ვიცით, დაიდება თუ არა ჩვენში და რამდენად ფართოდ დაიდება პრაქტიკული შეთანხმებანი კ.-დ.-თან. ხოლო იდეური შეთანხმება, იდეური ბლოკი კი უკვე თვალწინ გვაქვს: საარჩევნო პლატფორმის პროექტში პროლეტარიატის თვალსაზრისისა და ლიბერალურ-მონარქისტული ბურჟუაზიის თვალსაზრისის განსხვავების მიჩქმალვა *. პირიქით, ამომრჩევლებისადმი ბოლშევიკების მიმართვის პროექტში ჩვენ ვხედავთ, რომ ნაჩვენებია არა მარტო ეს განსხვავება, არამედ პროლეტარიატის თვალსაზრისისა და წვრილ მეპატრონეთა კლასის თვალსაზრისის განსხვავებაც.

საარჩევნო ბლოკის საკითხში სწორედ ეს პრინციპული, იდეური მხარე უნდა იქნას წამოწეული პირველ ადგილას. ამაოა მენშევიკების თავის მართლების ყოველი ცდა: ჩვენაო დამოუკიდებელნი ვიქნებით მთელ საარჩევნო აგიტაციაში, არაფრით შევკვეცავთ მას და მხოლოდ უკანასკნელ წუთში შევიტანთ ჩვენს კანდიდატებს კ.-დ.-ების სიაშიო!

---

* მენშევიკების ეს შეცდომა პირველი რიგია. სათათბიროში გამოქვეყნებულ რსდმპ ცნობილ დეკლარაციაში მათ იგივე შეცდომა ჩაიდინეს. ისინი ბოლშევიკებს ესერობას აბრალებდნენ, თვითონ კი წაშალეს განსხვავება ს.-დ.-ებისა და ტრუდოვიკების შეხედულებათა შორის, ასე რომ სათათბიროს ეპოქის ესერული გაზეთები სოციალ-დემოკრატების მიერ სათათბიროში გამოქვეყნებულ დეკლარაციას ესერულ იდეათა პლაგიატს უწოდებდნენ! პირიქით, სათათბიროსათვის გათვალისწინებული დეკლარაციის [87] ჩვენს კონტრპროექტში ჩვენი განსხვავება წვრილი ბურჟუებისაგან ნათლად იყო ნაჩვენები.

ეს ტყუილია. ჩვენ, რასაკვირველია, დარწმუნებული ვართ, რომ საუკეთესო მენშევიკებს გულწრფელად სურთ ეს. მაგრამ საქმე მათი სურვილები კი არაა, არამედ თანამედროვე პოლიტიკური ბრძოლის ობიექტური პირობებია. ეს პირობები იწვევენ იმას, რომ მენშევიკების თვითეული ნაბიჯი მათს საარჩევნო კამპანიაში უკვე გასვრილია კადეტიზმით, უკვე ხასიათდება ს.-დ. თვალსაზრისის მიჩქმალვით. ჩვენ ცხადვყავით ეს საარჩევნო პლატფორმის პროექტის მაგალითით და ახლა კიდევ ცხადვყოფთ მთელ რიგ სხვა დოკუმენტთა და მსჯელობათა საშუალებით.

მენშევიკების მთავარი საბუთია შავრაზმული საფრთხე. ამ საბუთის პირველი და ძირითადი სიყალბე: შავრაზმული საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლა არ შეიძლება კადეტური ტაქტიკითა და კადეტური პოლიტიკით. ამ პოლიტიკის არსია ცარიზმთან, ესე-იგი შავრაზმულ საფრთხესთან შერიგება. პირველმა სათათბირომ საკმაოდ დაგვანახვა, რომ კადეტი არ იბრძვის შავრაზმული საფრთხის წინააღმდეგ, არამედ ლაპარაკობს წარმოუდგენლად საზიზღარ სიტყვებს მონარქის, შავრაზმელების აშკარა ბელადის, უდანაშაულობისა და არაპასუხისმგებლობის შესახებ. ამიტომ მენშევიკები, როცა მათ კადეტები სათათბიროში გაჰყავთ, არათუ შავრაზმულ საფრთხეს არ ებრძვიან, არამედ, პირიქით, თვალს უხვევენ ხალხს, ჩრდილავენ შავრაზმული საფრთხის ნამდვილ მნიშვნელობას. სათათბიროში კადეტების გაყვანის საშუალებით შავრაზმული საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლა იგივეა, რომ დარბევას ებრძოლო ლაქია როდიჩევის სიტყვებით: «კადნიერებაა დარბევის პასუხისმგებლად მონარქის მიჩნევაო».

გაცვეთილი საბუთის მეორე ნაკლია სოციალ-დემოკრატის მიერ კადეტისათვის დემოკრატიულ ბრძოლაში ჰეგემონიის ჩუმად დათმობა. ხმების დაქსაქსვა თუ შავრაზმელის გამარჯვებას უზრუნველყოფს, რატომ ჩვენ ვიქნებით დამნაშავე იმაში, რომ ხმა არ მივეცით კადეტს, ხოლო კადეტი კი არ იქნება დამნაშავე, რომ ჩვენ არ მოგვცა ხმა?

— ჩვენ უმცირესობა ვართო, — გვიპასუხებენ ქრისტიანული მორჩილებით გამსჭვალული მენშევიკები. — კადეტები უფრო ბევრნი არიან. კადეტებს ხომ არ შეუძლიათ თავიანთი თავი რევოლუციონერებად გამოაცხადონო.

— დიახ! მაგრამ ეს არ არის იმის საბუთი, რომ სოციალ-დემოკრატებმა თავიანთი თავი კადეტებად გამოაცხადონ. მთელ ქვეყნიერებაზე არსად ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო, რომ ბურჟუაზიული რევოლუციის სანახევროდ გამარჯვების დროს სოციალ-დემოკრატები უმრავლესობა ყოფილიყვნენ ბურჟუაზიულ დემოკრატებთან შედარებით. და ყველგან, ყველა ქვეყანაში, სოციალ-დემოკრატების პირველ დამოუკიდებელ გამოსვლას საარჩევნო კამპანიაში გოდებითა და ღმუილით ხვდებოდნენ ლიბერალები, რომლებიც სოციალისტებს შავრაზმელების ხელის შეწყობას აბრალებდნენ.

ამიტომ ჩვენ ერთობ დამშვიდებული ვხვდებით ხოლმე მენშევიკების ჩვეულებრივ წამოძახილს: ბოლშევიკებს შავრაზმელები გაჰყავთო. ყველა სოციალისტს ამას უკიჟინებდა ყველა ლიბერალი. როცა კადეტების წინააღმდეგ ბრძოლაზე უარს ამბობთ, თქვენ კადეტების იდეური გავლენის ქვეშ სტოვებთ იმ პროლეტარული და ნახევრადპროლეტარული ელემენტის მასებს, რომელსაც შეუძლია სოციალ-დემოკრატებს გაჰყვეს *. დღეს თუ არა, ხვალ თქვენ მოგიხდებათ, თუ სოციალისტობას თავს არ დაანებებთ, დამოუკიდებელი ბრძოლა დაიწყოთ, მიუხედავად შავრაზმული საფრთხისა. ხოლო დღეს უფრო ადვილი და უფრო საჭიროა სწორი ნაბიჯის გადადგმა, ვიდრე ხვალ. მე-3 სათათბიროში (თუკი მეორის შემდგომ მას მოიწვევენ) თქვენთვის კიდევ უფრო ძნელი გახდება კ.-დ.-თან ბლოკის გაწყვეტა, თქვენ კიდევ უფრო გაიხლართე-

* კადეტები უკვე თვითონ აღიარებენ, რომ არჩევნებში მათ საფრთხე მარცხნიდან ემუქრება («რეჩის» ნამდვილი სიტყვები, ანგარიში პეტერბურგის გუბერნიის შესახებ). შავრაზმულ საფრთხეზე ყვირილით კადეტები ატყუებენ მენშევიკებს, რათა თავიდან აიცილონ საფრთხე მარცხნიდან!!

ბით რევოლუციის გამცემლებთან არაბუნებრივ ურთიერთობაში. ხოლო ნ ა მ დ ვ ი ლ ი შავრაზმული საფრთხე, ვიმეორებთ, არის სრულიადაც არა სათათბიროს შავი მანდატები, არამედ რბევა-აწიოკება, სამხედრო-საველე სასამართლოები. ამ ნამდვილ საფრთხესთან ბრძოლას უძნელებთ თქვენ ხალხს, რაკი თვალებზე მას კადეტურ საფარველს აფარებთ.

გაცვეთილი საბუთის მესამე სიყალბე: სათათბიროს და მისი როლის არასწორი შეფასება. საუცხოო სტატიაში: «უკიდურეს მემარცხენეთა ბლოკი» მენშევიკები იძულებული იყვნენ ელიარებინათ, თავიანთი ჩვეულებრივი მტკიცების გასაბათილებლად, რომ საქმის არსი ტექნიკური შეთანხმება კი არ არის, არამედ სწორედ ორი ტაქტიკის ძირეული პოლიტიკური განსხვავება.

ამ სტატიაში ვკითხულობთ:

««ბლოკის» ტაქტიკა, შეგნებულად თუ შეუგნებლად, ნავარაუდევია ისე, რომ მომავალ სათათბიროში შეიქმნას შეკავშირებული რევოლუციური უმცირესობა წაშლილი სოციალ-დემოკრატიული ელფერით, — უმცირესობა, რომელიც სისტემატურ ომს გააჩაღებდა როგორც სათათბიროს უმრავლესობის, ისე მთავრობის წინააღმდეგ, და, განსაზღვრულ მომენტში, დაამხობდა სათათბიროს და დროებით მთავრობად გამოაცხადებდა თავს. ნაწილობრივ შეთანხმებათა ტაქტიკა იქითკენაა მიმართული, რომ შეძლებისამებრ გამოყენებულ იქნას საერთოდ სათათბირო, ე. ი. სათათბიროს უმრავლესობა, თვითმპყრობელური წყობილების წინააღმდეგ საბრძოლველად და ამასთან მუდამ დაცულ იქნას სათათბიროში დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის უკიდურესი პოზიცია».

«წაშლილ ელფერს» რაც შეეხება, მკითხველს უკვე დავანახვეთ, რომ სწორედ მენშევიკებს მიუძღვით ბრალი ამაში, მუშათა კურიის არჩევნებშიც, ბლოკის უფრო თავისუფლად დაშვებაშიც, სოციალ-დემოკრატიზმის კადეტიზმით იდეურ შეცვლაშიც. დროებითი მთავრობის «გამოცხადების» შესახებაც ასევე სასაცილოა მენშევიკების მტკიცება; მათ ავიწყდებათ, რომ საქმე გამოცხადება კი არ არის, ა ჯ ა ნ ყ ე ბ ი ს მთელი მსვლელობა და წ ა რ მ ა ტ ე ბ ა ა. დროებითი მთავრობა, რომელიც აჯანყების ორგანოს არ წარმოადგენს, ლიტონი სიტყვა ან ცარიელი ავანტიურაა.

მაგრამ, არსებითად, ზემოთმოყვანილ ციტატაში მენშევიკებმა შემთხვევით თქვეს წმინდა ჭეშმარიტება. მართლაც, ყველაფერი სწორედ იმაზეა დამოკიდებული, მ ი გ ვ ა ქ ვ ს თ უ ა რ ა მ ს ხ ვ ე რ პ ლ ა დ «მთლიანი» ლიბერალური სათათბიროსათვის («სათათბირო საერთოდ») სოციალ-დემოკრატიული საარჩევნო კამპანიის დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ლ ო ბ ა? მართლაც, ბოლშევიკებისათვის უფრო მნიშვნელოვანია საარჩევნო კამპანიის სრული დამოუკიდებლობა, ჩვენი პოლიტიკისა და ჩვენი ფრაქციის სრული (და არა ნახევრადკადეტური) სოციალ-დემოკრატიულობა. ხოლო მენშევიკებისათვის უფრო მნიშვნელოვანია მთლიანი კადეტური სათათბირო ნახევრადკადეტურად გაყვანილი ს.-დ.-ების დიდი რიცხვით. შეიძლება სათათბიროს ორი ტიპი: 200 შავი, 280 კ.-დ., 20 ს.-დ. ან 400 კ.-დ. და 100 ს.-დ. ჩვენ პირველ ტიპს ვაძლევთ უპირატესობას და ბავშვობად ვთვლით სათათბიროდან შავების გაძევების მიჩნევას შავი საფრთხის მოსპობად.

ჩვენი ხაზი ყველგან ერთია: საარჩევნო ბრძოლაშიც, სათათბიროს ბრძოლაშიც, ქუჩის ბრძოლაშიც იარაღით ხელში. ყველგან: სოციალ-დემოკრატები რევოლუციურ ბურჟუაზიასთან ერთად გამცემი კადეტების წინააღმდეგ. ხოლო მენშევიკები «სათათბიროს» ბრძოლას კადეტებთან ერთად ეწევიან (მთლიანად სათათბიროსათვის და კადეტურ სამინისტროსათვის მხარის დაჭერა), აჯანყების შემთხვევაში კი იცვლიან პოლიტიკას და სდებენ «ა რ ა პოლიტიკურ ბლოკს, ა რ ა მ ე დ საბრძოლო შეთანხმებას». ამიტომ მართალი იყო ის ბოლშევიკი, რომელმაც კონფერენციაზე თქვა: დაუჭირეს რა მხარი კ.-დ.-ბთან ბლოკს, ბუნდელებმა კონტრაბანდად გაატარეს კადეტური სამინისტროსათვის მხარის დაჭერაო.

ჩვენ მიერ ამოწერილი ციტატი საუცხოოდ ადასტურებს იმას, თუ როგორ აქცევს კადეტებთან ბლოკი ცარიელ ფრაზად მენშევიკური რეზოლუციის კარგ სიტყვებს საარჩევნო კამპანიის ლოზუნგების შესახებ: «დავრაზმოთ რევოლუციის ძალები სათათბიროს შიგნით» (და არა კადეტების დანართი დავრაზმოთ და რევოლუციის ნამდვილი ძალების დეზორგანიზა-

ცია მოვახდინოთ?), — «გამოვააშკარაოთ სათათბიროს უძლურება» (და არა კადეტების უძლურება დავუმალოთ მასებს?), — «განვუმარტოთ მასებს, რომ ფუჭია ბრძოლის მშვიდობიანად გათავების იმედი» (და არა ის, რომ განვუმტკიცოთ მასებს ილუზიების მთესველი კადეტების პარტიის გავლენა?).

და კადეტურმა პრესამ საუცხოოდ გაითვალისწინა კ.-დ.-თან მენშევიკების ბლოკის პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი მნიშვნელობა. ჩვენ ზემოთ ვთქვით: ლიბერალების უკან ჩანჩალი თუ რევოლუციონერების მეთაურობა. ამის დასადასტურებლად ჩვენ დავიმოწმებთ ჩვენს პოლიტიკურ პრესას.

განა იპოვნით რაოდენადმე მაინც სერიოზულსა და მასობრივ დადასტურებას, იმისას, რომ ბოლშევიკები უკან მისჩანჩალებდნენ ბურჟუაზიულ რევოლუციონერებს, მათზე იყვნენ დამოკიდებულნი? სასაცილოცაა ამაზე ლაპარაკი. რუსეთის მთელი პრესა ცხადად გვიჩვენებს, და რევოლუციის ყველა მტერიც აღიარებს, რომ სწორედ ბოლშევიკები ატარებენ დამოუკიდებელ პოლიტიკურ ხაზს და იმხრობენ ბურჟუაზიული რევოლუციონერების ცალკეულ ჯგუფებსა და საუკეთესო ელემენტებს.

ბურჟუაზიული ოპორტუნისტები კი? მათ ათჯერ უფრო მეტი პრესა აქვთ, ვიდრე ყველა ს.-დ. და ს.-რ. ერთად. და სწორედ ისინი ატარებენ დამოუკიდებელ პოლიტიკურ ხაზს, მენშევიკებსა და სახალხო სოციალისტებს კი უბრალო დამქაშებად აქცევენ.

მენშევიკების რეზოლუციებიდან მ თ ე ლ კადეტურ პრესაში მოყვანილია მ ხ ო ლ ო დ ადგილები ბლოკის შესახებ და გ ა მ ო ტ ო ვ ე ბ უ ლ ი ა «სათათბიროს უძლურება», «რევოლუციის ძალების ორგანიზაცია სათათბიროს შიგნით» და სხვა ასეთი რამეები. კადეტები არათუ გამოსტოვებენ ხოლმე ასეთ რამეებს, არამედ პ ი რ დ ა პ ი რ ჰ გ მ ო ბ ე ნ მათ; ისინი ლაპარაკობენ ხან მენშევიკების «ფრაზებზე», ხან «არათანამიმდევრობაზე», ხან «მენშევიზმის ლოზუნგების მერყეობაზე»,

ხან «მენშევიკების მიმართ ბოლშევიკების დამღუპველ გავლენაზე».

რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ნების წინააღმდეგ, საუკეთესო მენშევიკების სურვილის წინააღმდეგ, პოლიტიკური ცხოვრება ანგარიშს უწევს მათს კადეტურ საქმეს და უკუაგდებს მათს რევოლუციურ ფრაზებს.

კადეტი ჯიბეში იდებს მენშევიკების დახმარებას, მხარზე ხელს უთათუნებს პლეხანოვს ბლოკის ქადაგებისათვის, და იქვე, ზიზღით, ტლანქად, როგორც ნაძარცვი მოგებით გამაძღარი ვაჭარი, გაჰყვირის: ეს ცოტაა, ბატონო მენშევიკებო! საჭიროა კიდევ იდეური დაახლოება! (იხილე «ტოვარიშჩის» სტატიები პლეხანოვის წერილის გამო), — ეს ცოტაა, ბატონო მენშევიკებო, საჭიროა აგრეთვე შეწყვიტოთ ან, ყოველ შემთხვევაში, შესცვალოთ პოლემიკა! (იხილე მემარცხენე კადეტური «ვეკის» მოწინავე სტატია ჩვენი კონფერენციის რეზოლუციების შესახებ). აღარას ვამბობ «რეჩზე», რომელიც პირდაპირ სიტყვას აწყვეტინებს კადეტებზე დანაღვლიანებულ მენშევიკებს და აცხადებს: «ჩვენ სათათბიროში მივდივართ საკანონმდებლოდ» და არა რევოლუციის მოსახდენადაო!

საბრალო მენშევიკები, საბრალო პლეხანოვი! მათი სასიყვარულო უსტარები კადეტებისადმი სიამოვნებითაა წაკითხული, მაგრამ მათ ჯერ კიდევ დერეფანს იქით არ უშვებენ.

შეხედეთ პლეხანოვის გამოსვლას ბურჟუაზიულ, კადეტურ გაზეთ «ტოვარიშჩში». რა აღტაცებით შეხვდნენ მას ბ-ნი პროკოპოვიჩი და ქ-ნი კუსკოვა, სწორედ ისინი, რომელნიც პლეხანოვმა 1900 წელს განდევნა ს.-დ. პარტიიდან ამ პარტიის ბურჟუაზიულად გახრწნის ცდისათვის. ახლა პლეხანოვმა მიიღო ტაქტიკა პროკოპოვიჩისა და კუსკოვას განთქმული «credo»-სი *, — და ბერნშტეინელებიც უტიფრად უგზავნიან მას ჰაეროვან კოცნას და გაჰყვირიან: ჩვენ, ბურჟუაზიული დემოკრატები, ყოველთვის ამას ვამბობდითო!

* — მრწამსი, პროგრამა, მსოფლმხედველობის გადმოცემა. რედ.

ხოლო პლეხანოვი, რათა კადეტურ დერეფანში მოხვედრილიყო, იძულებული გახდა მთელი ხალხის წინაშე უარი ეთქვა თავის გუშინდელ განცხადებებზე. აი ფაქტები.

«დნევნიკის» მე-6 ნომერში, 1906 წ. ივლისს, სათათბიროს გარეკვის შემდეგ, პლეხანოვი წერდა: პარტიები, რომლებიც მოძრაობაში მონაწილეობენ, უნდა შეთანხმდნენო. ერთად რომ დავარტყათ, საჭიროა წინასწარ პირი შევკრათო. «ჩვენი ძველი წესწყობილების მოძულე პარტიები უნდა... შეუთანხმდნენ ერთმანეთს ამ პროპაგანდის ძირითადი იდეის შესახებ. ხოლო სათათბიროს გარეკვის შემდეგ ასეთი იდეა შეიძლება იყოს მხოლოდ დამფუძნებელი კრების იდეა»...

...«მხოლოდ» დამფუძნებელი კრების იდეა. ასეთი იყო გეგმა პოლიტიკური ბლოკისა და საბრძოლო შეთანხმებისა პლეხანოვისათვის 1906 წ. ივლისში.

ხუთი თვის შემდეგ, 1906 წ. ნოემბერს, პლეხანოვი სცვლის შეთანხმების ხაზს. რატომ? ნუთუ მას შემდეგ შეიცვალა ურთიერთდამოკიდებულება იმ პარტიებისა, რომლებიც დამფუძნებელ კრებას მოითხოვენ ან არ მოითხოვენ?

კადეტები მას შემდეგ, ეს საერთო აზრია, კიდევ უფრო შორს წავიდნენ მარჯვნივ. პლეხანოვი კი მიდის კადეტურ პრესაში და სდუმს დამფუძნებელი კრების შესახებ, რომელზედაც ლაპარაკი აკრძალულია ლიბერალთა დერეფნებში.

ნუთუ ცხადი არ არის, რომ ამ სოციალ-დემოკრატს ფეხი დაუცდა?

მაგრამ ეს ცოტაა. «დნევნიკის» იმავე მე-6 ნომერში პლეხანოვი პირდაპირ კადეტებზე ლაპარაკობდა. პლეხანოვი განმარტავდა მაშინ (მას შემდეგ დიდი ხანია, დიდი!) დამფუძნებელი კრების იდეისადმი კადეტთა უნდობლობის ანგარებიან-კლასობრივ ხასიათს. პლეხანოვი მაშინ სიტყვასიტყვით შემდეგს წერდა კადეტების შესახებ:

«ვინც უარს იტყვის ამ იდეის (დამფუძნებელი კრების) პროპაგანდაზე ამა თუ იმ საბაბით, იგი ნათლად გვაგრძნობი-

ნებს, რომ, არსებითად, არც კი ეძებს საკადრისი პასუხი გასცეს ბ-ნ სტოლიპინისა და კომპანიის მოქმედებას, რომ იგი, თუნდაც გულის წუხილით, ურიგდება ამ მოქმედებას; რომ იგი ილაშქრებს მის წინააღმდეგ მხოლოდ სიტყვიერად, მხოლოდ თვალის ასახვევად» (ხაზგასმა ჩვენია).

პლეხანოვმა ახლა მიაშურა კადეტურ გაზეთს და საარჩევნო ბლოკის ქადაგება იდეური ბლოკის განხორციელებით დაიწყო. კადეტურ გაზეთში პლეხანოვმა არ მოისურვა ხალხისათვის ეთქვა, კადეტები ურიგდებიან სტოლიპინის ბრბოს, ისინი მხოლოდ თვალის' ასახვევად ილაშქრებენო.

რატომ არ მოისურვა პლეხანოვმა 1906 წ. ნოემბერში გაემეორებინა ის, რაც მან 1906 წ. ივლისში თქვა?

აი რას ნიშნავს «ტექნიკური» ბლოკი კადეტებთან, და აი რატომ ვეწევით ჩვენ ულმობელ ბრძოლას ამ ბლოკის დამშვებ სოციალ-დემოკრატებთან.

ნაადრევად ხომ არ ზეიმობთ, ბატონო კადეტებო? უბლოკოდ მოახდენენ სოციალ-დემოკრატები არჩევნებს' კავკასიასა და ურალში, პოლონეთსა და ლატვიის მხარეში, მოსკოვის ცენტრალურ ოლქში და, ალბათ, პიტერში.

არავითარი ბლოკი კადეტებთან! არავითარი შერიგება იმათთან, ვინც სტოლიპინის ბრბოს ურიგდება!

«პროლეტარი» № 8,
1906 წ. 23 ნოემბერი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

ბრძოლა მოკადეტო სოციალ-დემოკრატებთან და პარტიული დისციპლინა

კადეტებთან ბლოკის დაშვებამ საბოლოოდ გამოარკვია მენშევიკების, როგორც მუშათა პარტიის ოპორტუნისტული ფრთის, ფიზიონომია. კადეტებთან ბლოკის წინააღმდეგ ჩვენ მეტად ფართო და მეტად დაუნდობელ იდეურ ბრძოლას ვაჩაღებთ და კიდეც უნდა გავაჩაღოთ. ეს ბრძოლა ყველაზე უკეთ აღზრდის და შეაკავშირებს რევოლუციური პროლეტარიატის მასებს, რომლებიც ჩვენს დამოუკიდებელ (არა მხოლოდ სიტყვიერად, არამედ საქმითაც, ე. ი. კადეტებთან ბლოკის შეუკვრელად) საარჩევნო კამპანიაში თავიანთი კლასობრივი თვითშეგნების განვითარებისათვის ახალ მასალას მიიღებენ.

იბადება კითხვა, როგორ უნდა შევუთავსოთ ერთმანეთს ეს დაუნდობელი იდეური ბრძოლა და პროლეტარიატის პარტიული დისციპლინა? ეს საკითხი პირდაპირ უნდა დაისვას და ერთბაშად სავსებით გამოირკვეს, რომ რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის პრაქტიკულ პოლიტიკაში არავითარი გაუგებრობა და არავითარი მერყეობა არ იყოს.

განვიხილოთ ჯერ ამ საკითხის პრინციპული, ხოლო შემდეგ პრაქტიკული მხარე, რომელიც ყველას უშუალოდ აინტერესებს.

პრინციპულად არა ერთხელ გაგვისაზღვრავს ჩვენი შეხედულება დისციპლინის მნიშვნელობასა და დისციპლინის ცნებაზე მუშათა პარტიაში. მოქმედების ერთიანობა,

განხილვისა და კრიტიკის თავისუფლებ ა, — აი ჩვენი განსაზღვრება. მხოლოდ ასეთი დისციპლინაა მოწინავე კლასის დემოკრატიული პარტიის ღირსი. მუშათა კლასის ძალა ორგანიზაციაა. მასების დაურაზმავად პროლეტარიატი არარაა. ორგანიზებული კი იგი ყველაფერია. ორგანიზებულობა არის მოქმედების ერთიანობა, პრაქტიკული გამოსვლის ერთიანობა. მაგრამ, რა თქმა უნდა, ყოველი მოქმედება და ყოველი გამოსვლა დასაფასებელია მხოლოდ იმიტომ და იმდენად, რამდენადაც მათ წინ მივყავართ და არა უკან, — რამდენადაც ისინი პროლეტარიატს იდეურად რაზმავენ, ამაღლებენ მას და არა ამცირებენ, არ რყვნიან და არ ასუსტებენ. უიდეო ორგანიზებულობა უაზრობაა, რომელიც პრაქტიკაში მუშებს ძალაუფლებით აღჭურვილი ბურჟუაზიის საცოდავ მაჩანჩალებად აქცევს. ამიტომ თუ არ არის განხილვისა და კრიტიკის თავისუფლება, ისე პროლეტარიატი მოქმედების ერთიანობას არა სცნობს. ამიტომ შეგნებულმა მუშებმა არასოდეს არ უნდა დაივიწყონ, რომ არის ხოლმე პრინციპების ისეთი სერიოზული დარღვევა, რომელიც ყოველგვარი ორგანიზაციული ურთიერთობის გაწყვეტას სავალდებულოდ ხდის.

რომელიმე ლიტერატურულმა მოჯირითემ ჩემი სიტყვები რომ არ გადაასხვაფეროს, ზოგადად დასმულ საკითხს ახლავე კონკრეტულად დავსვამ. ის გარემოება, რომ სოციალ-დემოკრატებმა დასაშვებად სცნეს კადეტებთან ბლოკის შეკვრა, ხომ არ მოითხოვს ორგანიზაციულ ურთიერთობათა სრულ გაწყვეტას, ე. ი. გათიშვას? ჩვენ ვფიქრობთ, რომ ა რ ა, და ყველა ბოლშევიკიც ასე ფიქრობს. ჯერ ერთი, მენშევიკები en grand * პრაქტიკული ოპორტუნიზმის გზას, ბორძიკით და გაუბედავად, მხოლოდ ახლა ადგებიან. ჯერ კიდევ არ გამშრალა ის მელანი, რომლითაც მარტოვმა დაწერა — ვემიჯნებიო ჩერევანინს, რომელსაც კადეტებთან ბლოკი დასაშვებად მიაჩნდაო, — დაწერა იმ დროს, როდესაც ჟენევიდან კადეტური პაროლი ჯერ კიდევ არ იყო მოცემული [88]. მეორეც, — და ეს გა-

* — დიდი ზომით. რ ე დ.

ცილებით უფრო მნიშვნელოვანია, — რუსეთში პროლეტარიატის ახლანდელი ბრძოლის ობიექტური ვითარება ისეთია, რომ იგი უძლეველი ძალით მოითხოვს გ ა რ კ ვ ე უ ლ გადამწყვეტ ნაბიჯებს. რევოლუცია დიდი აღმავლობის გზას დაადგება (როგორც ჩვენ ვფიქრობდით), თუ სრული დაქვეითების გზით წავა (როგორც ზოგიერთი სოც.-დემ. ფიქრობს, თუმცა ამის თქმისა ეშინია), — ო რ ი ვ ე შემთხვევაში კადეტებთან ბლოკის ტაქტიკა აუცილებლად გაცამტვერდება და არც ისე შორეულ მომავალში. ამიტომ ჩვენ ახლა ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ნ ი ვართ დავიცვათ პარტიული ერთიანობა ისე, რომ ინტელიგენტური ნერვიულობა არ დაგვემართოს და რევოლუციური პროლეტარიატის სიმტკიცეს, მის საღ კლასობრივ ინსტინქტს დავენდოთ. დასასრულ, მესამე, პრაქტიკულად ახლანდელ საარჩევნო კამპანიაში მენშევიკებისა და ც. კ.-ის გადაწყვეტილება ბლოკის სასარგებლოდ ადგილობრივ ორგანიზაციებს ხელფეხს არ უბორკავს და მთელ ჩვენს პარტიას საერთოდ თავს არ ახვევს კადეტებთან სამარცხვინო ბლოკის ამ ტაქტიკას.

ახლა გადავიდეთ საკითხის კონკრეტულად დასმაზე. რამდენად სავალდებულოა რსდმპ სრულიად რუსეთის კონფერენციის გადაწყვეტილებანი? — და ც. კ.-ის დირექტივები? — და რამდენად ავტონომიურნი არიან პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციები?

ეს საკითხები, უეჭველია, ჩვენს პარტიაში დაუსრულებელ კამათს გამოიწვევდა, თვით კონფერენციას რომ არ გადაეწყვიტა ისინი. კონფერენციის ყველა წევრი თანახმა იყო, რომ მისი გადაწყვეტილებანი ს ა ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ო ა რ ა რ ი ს და არავის არაფერში ბოჭავს, ვინაიდან კონფერენცია სათათბირო დაწესებულებაა და არა გადამწყვეტი. მისი დელეგატები დემოკრატიულად კი არ იყვნენ არჩეულნი, არამედ ც. კ.-მა შეარჩია მის მიერვე ნაჩვენები ორგანიზაციებიდან და მის მიერვე ნაჩვენები რაოდენობით. ა მ ი ტ ო მ ბოლშევიკებს, ლატვიელებსა და პოლონელებს ბლოკის შესახებ მენშევიკური რეზოლუციის შესალამაზებლად კონფერენციაზე დრო არ დაუკარ-

გავთ, არ შეუმუშავებიათ კომპრომისები (როგორიცაა ბოიკოტის სისწორის აღიარება მონარქისტულ ბურჟუაზიასთან ბლოკის დაშვებასთან ე რ თ ა დ!), არამედ პირდაპირ დ ა უ პ ი რ ი ს პ ი რ ე ს საარჩევნო კამპანიის თავიანთი პლატფორმა, თავიანთი ლოზუნგები, თავიანთი ტაქტიკა. ბოლშევიკების სწორედ ასეთი მოქმედება იყო აუცილებლად საჭირო სათათბირო კონფერენციაზე, რომელსაც ყრილობის მაგიერობა კი არ უნდა გაეწია, არამედ ეს ყრილობა მოემზადებინა, — საკითხი კი არ უნდა გადაეწყვიტა, არამედ უფრო მკაფიოდ და უფრო ზუსტად დაეყენებინა, — შინაპარტიული ბრძოლა კი არ უნდა დაემალა, კი არ უნდა მიეჩქმალა, არამედ წარემართა იგი, უფრო მთლიანი და უფრო იდეური გაეხადა.

განვაგრძოთ. კონფერენციის დადგენილებანი (ამა თუ იმ ცვლილებით) ც. კ.-ის დირექტივები ხდება. ც. კ.-ის დირექტივები სავალდებულოა მთელი პარტიისათვის. რა ფარგლებშია ეს დირექტივები სავალდებულო ამ საკითხში?

რა თქმა უნდა, ყრილობის დადგენილებათა ფარგლებში და პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციების ავტონომიის ფარგლებში, რომელიც აღიარებულია ყრილობის მიერ. დავა ამ ფარგლების შესახებ ისევ შეიძლებოდა დაუსრულებელი და გადაუწყვეტელი ყოფილიყო (ვინაიდან გამაერთიანებელი ყრილობის რეზოლუცია კრძალავს საარჩევნო კამპანიაში ბურჟუაზიულ პარტიებთან ყოველგვარ ბლოკს), — კონფერენციას რომ, რ ო გ ო რ ც მ ე ნ შ ე ვ ი კ ე ბ ი ს, ი ს ე ბ ო ლ შ ე ვ ი კ ე ბ ი ს დ ა ც. კ.-ი ს წ ე ვ რ ე ბ ი ს თ ა ნ ხ მ ო ბ ი თ, ერთერთი თავისი ყველაზე ნაკლებად უსახო რეზოლუცია არ მიეღო. ის გარემოება, რომ ა მ რეზოლუციის კენჭისყრის დროს ფრაქციული დაყოფა არ მომხდარა, მუშათა პარტიის ერთიანობისა და ბრძოლისუნარიანობის ერთერთი მნიშვნელოვანი საწინდარია.

აი ამ რეზოლუციის ტექსტი:

«კონფერენცია გამოთქვამს რწმენას, რომ ერთი და იმავე ორგანიზაციის ფარგლებში ამ ორგანიზაციის ყველა წევრისთვის სავალდებულოა

გაატაროს საარჩევნო კამპანიის შესახები ყველა გადაწყვეტილებანი, რომელნიც, ც. კ.-ის საერთო დირექტივების ფარგლებში, ადგილობრივი ორგანიზაციების კომპეტენტური ორგანოს მიერ არის მიღებული, ამასთან ც. კ.-ს შეუძლია ადგილობრივ ორგანიზაციებს აუკრძალოს არა წმინდა-სოციალ-დემოკრატიული სიების წამოყენება, მაგრამ მან არ უნდა დაავალდებულოს ისინი წამოაყენონ არა წმინდა-სოციალ-დემოკრატიული სიები».

ჩვენ მიერ ხაზგასმული ადგილები თავიდან გვაცილებენ დაუსრულებელ დავას და, იმედი უნდა ვიქონიოთ, არასასურველ და სახიფათო შეხლა-შემოხლასაც. ც. კ.-ის საერთო დირექტივები ვერ გასცილდებიან იმ ფარგლებს, რომ ბლოკი კ.-დ.-თან დასაშვებადაა ცნობილი. ყველა სოციალ-დემოკრატმა, განურჩევლად ფრაქციისა, ამასთანავე განაცხადა, რომ კადეტებთან ბლოკი მაინც არც ისე საკადრისი რამ არის, ვინაიდან ბლოკის აკრძალვას ჩვენ ყველანი ც. კ.-ს ვანდობდით, იმის უფლებას კი არ ვაძლევთ, რომ ამ ბლოკის შეკვრა გვიბრძანოსო.

დასკვნა ნათელია. პარტიის წინაშე ორი პლატფორმაა. ერთი — კონფერენციის 18 დელეგატისა — მენშევიკებისა და ბუნდელებისა. მეორე — 14 დელეგატისა — ბოლშევიკებისა, პოლონელებისა და ლატვიელებისა. ადგილობრივი ორგანიზაციების კომპეტენტურ ორგანოებს ნება აქვთ აირჩიონ, გადააკეთონ, შეავსონ და შესცვალონ ეს პლატფორმები ახალი პლატფორმებით. კომპეტენტური ორგანოების გადაწყვეტილების შემდეგ ჩვენ ყველანი, პარტიის წევრნი, ვმოქმედობთ როგორც ერთი კაცი. ოდესაში ბოლშევიკი ვალდებულია საარჩევნო ყუთში ჩააგდოს ბიულეტენი, რომელსაც კადეტის სახელი აწერია, თუნდაც ამის გამო ბოლშევიკს გული ერეოდეს. მოსკოვში მენშევიკი ვალდებულია საარჩევნო ყუთში ჩააგდოს მხოლოდ ისეთი ბიულეტენი, რომელსაც მარტოოდენ სოციალ-დემოკრატების სახელი აწერია, თუნდაც მას სული და გული ელეოდეს კადეტებისათვის.

მაგრამ არჩევნები ხომ ხვალ არ არის. დაე ყველა რევოლუციონერი სოციალ-დემოკრატი უფრო მჭიდროდ შეკავშირდეს; დაე გააჩაღონ მათ მეტად ფართო, მეტად ულმობელი იდეური ბრძოლა კადეტებთან ბლოკის წინააღმდეგ. ასეთი ბლოკი აფერხებს რევოლუციას, აუძლურებს პროლეტარულ კლასობრივ ბრძოლას, რყვნის მასების მოქალაქეობრივ შეგნებას!

«პროლეტარი» № 8,
1906 წ. 23 ნოემბერი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

როგორ ეწევიან არმავირელი სოციალ-დემოკრატები საარჩევნო კამპანიას?

პირველი სათათბიროს არჩევნებში არმავირელი სოციალ-დემოკრატები ბლოკს ჰკრავდნენ კადეტებთან. ამის შესახებ თავის დროზე წერდა «ვოლნა»[89] და მკაცრად ჰკიცხავდა არმავირელებს. ამის გამო მაშინ ჩვენი პარტიის ც. კ.-მაც გაგზავნა წერილი არმავირში და უსაყვედურა იქაურ ამხანაგებს გამაერთიანებელი ყრილობის დირექტივის დარღვევა.

ახლა არმავირელ ამხანაგებს, ალბათ, აქვთ პრაქტიკული გამოცდილება, თუ რას ნიშნავს კადეტებთან ბლოკი. ყოველ შემთხვევაში თავიანთ უახლეს პარტიულ ლიტერატურაში ისინი არათუ არ ჰქადაგებენ კადეტებთან ბლოკს, არამედ, პირიქით, პ ი რ დ ა პ ი რ ამბობენ კადეტების შესახებ მ თ ე ლ ს ი მ ა რ თ ლ ე ს. ჩვენ არ გამოვეკიდებით არმავირულ გამოცემათა ლიტერატურულ ფორმას, ეს წვრილმანობა იქნებოდა. მოვიყვანთ მხოლოდ მკაფიო ადგილებს, რომლებიც ცხადყოფენ არმავირელთა ტაქტიკას.

ჩვენს წინაშეა № 2 გაზეთ «არმავირსკი პროლეტარისა», — რსდმპ არმავირის კომიტეტის გამოცემა, დათარიღებული 1906 წ. ოქტომბრით და გამოსული 5 000 ცალად.

მოწინავე სტატიაში ვკითხულობთ:

«დაე კადეტებმა, ვაჭრებმა, მოხელეებმა, მემამულეებმა, ლიბერალებმა იცეკვონ მთავრობის დუდუკზე, პროლეტარიატი კი ქედს არ მოიხრის და არ მოისურვებს შერიგებას».

შემდეგ სტატიაში, რომელიც სპეციალურად შეიცავს მოწოდებას არჩევნებისათვის მზადების შესახებ, ნათქვამია:

«დაირაზმენით, მონაწილეობა მიიღეთ ხმის მიცემაში, დაეპატრონეთ სათათბიროს!

ეყოფათ თავრიდის სასახლის ხავერდოვან სავარძლებში სხდომა ბატონკაცებს-კადეტებს. დროა მუშათა დაკოჟრილმა ხელებმა გააგდონ ეს ყბედები და მუქთახორები!»

«იჩქარეთ უზრუნველყოთ თქვენი პროლეტარული ადგილი სათათბიროში, რათა კადეტური სალაყბოდან იგი გადავაქციოთ «ხალხის ჯალათის, წყეული თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის რევოლუციურ ასპარეზად».

ფურცელში «ამომრჩევლებისადმი», რომელიც დათარიღებულია 1906 წ. ნოემბრით და გამოცემულია 3 000 ცალად, არმავირის კომიტეტი წერს:

«მიხვდა ხალხი, რომ მხოლოდ ძალით აიღებს იგი იმას, რასაც ნებაყოფლობით არ აძლევს მას მომაკვდავი თვითმპყრობელობა, რაც არ მისცა მას კადეტურმა უძალაუფლებო სათათბირომ... მოვაწყოთ მისი საშუალებით, ამ სათათბიროს საშუალებით, ჩვენი რევოლუცია, ჩვენი დეპუტატების სახით თავრიდის სასახლეში შევიყვანოთ ხალხის ძლიერება, ახალს სათათბიროში ჩვენი დეპუტატების ხელით გავაჩაღოთ მცხუნვარე კოცონი რევოლუციური ალისა და გავაღვივოთ იგი მთელი პროლეტარული და რევოლუციური რუსეთის ქარიშხლისებური დაბერვით. ახალ სათათბიროსკენ, ახალ სათათბიროსკენ!!

...ამხანაგებო და მოქალაქენო! ჩვენი მომავალი სათათბირო არ იქნება შავრაზმული, არც კადეტური იქნება — იგი იქნება პროლეტარული და გლეხური — ჩვენი სრულძალაუფლებიანი სათათბირო».

ვიმეორებთ, წვრილმანობა იქნებოდა ამ მიმართვების ფორმას ან კერძო მომენტებს გამოვეკიდოთ.

მნიშვნელოვანია მათი დედაარსი. მნიშვნელოვანია დამოუკიდებელი პოლიტიკა არმავირელი სოციალ-დემოკრატებისა, რომელთაც განვლეს მოლაყბეებთან და მუქთახორებთან ბლოკის სალხინებელი.

ესეც თქვენი იმედები სოციალ-დემოკრატებზე, «რეჩისა» და «ტოვარიშჩის», «ვეკისა» და «რუსსკიე ვედომოსტის» ვაჟბატონებო [30]! ესეც თქვენი «საფრთხე მარცხნიდან», რომელიც ამ დღეებში «რეჩს» წამოსცდა!

მაშ იბრძოლეთ, ყველა რევოლუციონერო სოციალ-დემოკრატო! იბრძოლეთ კადეტებთან ბლოკის წინააღმდეგ! ამხანაგი მენშევიკები, მსგავსად არმავირელებისა, გაივლიან ბურჟუაზიის ოპორტუნისტებთან ბლოკის სალხინებელს და დაუბრუნდებიან რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიას.

«პროლეტარი» № 8,
1906 წ. 23 ნოემბერი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

ვინ ავირჩიოთ სახელმწიფო სათათბიროში?[91]

მოქალაქენო! ეცადეთ, რომ მთელმა ხალხმა ნათლად გაიგოს, თუ რა მთავარი პარტიები იბრძვიან არჩევნებზე ს.-პეტერბურგში და რას ესწრაფის თვითეული პარტია!

რომელია სამი მთავარი პარტია?

შავრაზმელები, ესენი არიან რუსი ხალხის კავშირი, მონარქისტები, უფლებრივი წესრიგის პარტია, 17 ოქტომბრის კავშირი, სავაჭრო - სამრეწველო პარტია, მშვიდობიანი განახლების პარტია.

კადეტები—ესენი არიან «სახალხო» თავისუფლების ანუ კონსტიტუციურ-«დემოკრატიული» (ნამდვილად კილიბერალურ-მონარქისტული) პარტია, «დემოკრატიული» რეფორმების პარტია, რადიკალები და სხვ.

სოციალ-დემოკრატები. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია. ეს არის რუსეთის ყველა ეროვნების, რუსების, ლატვიელების, პოლონელების, ებრაელების, მალოროსების, სომხების, ქართველების, თათრებისა და სხვათა შეგნებული მუშების პარტია.

ვის ინტერესებს იცავს სამი მთავარი პარტია?

შავრაზმელები იცავენ ახლანდელ მეფის მთავრობას, მხარს უჭერენ მემამულეებს, მოხელეებს, პოლიციის ძალაუფლებას, სამხედრო საველე სასამართლოებს, დარბევებს.

კადეტები იცავენ ლიბერალური ბურჟუების, ლიბერალური მემამულეების, ვაჭრებისა და კაპიტალისტების ინტერესებს. კადეტები ბურჟუაზიული ადვოკატების, ჟურნალისტების, პროფესორებისა და მათ მსგავსთა პარტიაა.

სოციალ - დემოკრატია არის მუშათა კლასის პარტია, რომელიც იცავს ყველა მშრომელთა და ექსპლოატირებულთა ინტერესებს.

რას ესწრაფის სამი მთავარი პარტია?

შავრაზმელები ისწრაფიან შეინარჩუნონ ძველი თვითმპყრობელობა, ხალხის უუფლებობა, მის მიმართ მემამულეების, მოხელეების, პოლიციის სრული ბატონობა.

კადეტები ისწრაფიან, რათა ძალაუფლება ლიბერალური ბურჟუაზიის ხელში გადავიდეს. მონარქია, შეინარჩუნებს რა პოლიციურ და სამხედრო-ძალაუფლებას, უნდა იცავდეს კაპიტალისტთა უფლებას — ძარცვონ მუშები და გლეხები.

სოციალ-დემოკრატია ისწრაფის, რათა მთელი ძალაუფლება გადავიდეს ხალხის ხელში, ე. ი. დაამყაროს დემოკრატიული რესპუბლიკა. სოციალ-დემოკრატებს სრული თავისუფლება ესაჭიროებათ იმისათვის, რომ იბრძოლონ სოციალიზმისათვის, კაპიტალის უღლისაგან შრომის განთავისუფლებისათვის.

რანაირი თავისუფლების მიცემა სურს ხალხისათვის სამ მთავარ პარტიას?

შავრაზმელები ხალხს არავითარ თავისუფლებას, არავითარ ძალაუფლებას არ აძლევენ. მთელი ძალაუფლება--მეფის მთავრობას. ხალხის უფლებებია: იხადოს გადასახადები, იმუშაოს მდიდრებისათვის, იჯდეს საპატიმროში.

კადეტებს სურთ ისეთი «სახალხო თავისუფლება», რომელიც უნდა ექვემდებარებოდეს, ჯერ ერთი, ზედა პალატას, ე. ი. მემამულეებსა და კაპიტალისტებს; მეორეც, მონარქიას, ე. ი. მეფეს მისი უპასუხისმგებლო პოლიციითა და სამხედრო ძალითურთ. ერთი მესამედი ძალაუფლება ხალხს, ერთი მესამედი — კაპიტალისტებს, ერთი მესამედი—მეფეს.

სოციალ-დემოკრატებს სურთ სრული თავისუფლება და მთელი ძალაუფლება ხალხისათვის, ყველა მოხელის არჩევა, ჯარისკაცთა განთავისუფლება უაზარმული კატორღიდან და თავისუფალი სახალხო ლაშქრის მოწყობა.

როგორ უყურებს სამი მთავარი პარტია გლეხების მიერ მიწის მოთხოვნას?

შავრაზმელები იცავენ მემამულეებატონეთა ინტერესებს. არავითარი მიწა გლეხობას. დაე მხოლოდ ბობოლებმა შეიყიდონ მიწა მემამულეებისაგან ნებაყოფლობითი შეთანხმებით.

კადეტებს სურთ შეინარჩუნონ მემამულეთა მიწათმფლობელობა დათმობათა გზით. ისინი გლეხებს სთავაზობენ გამოყიდვას, რომელმაც უკვე ერთხელ, 1861 წელს, გააჩანაგა გლეხები. კადეტები თანახმანი არ არიან, რომ მიწის საკითხი გადაწყვიტონ საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭისყრით არჩეულმა ადგილობრივმა კომიტეტებმა.

სოციალ-დემოკრატებს სურთ მოსპონ ჩვენებური მემამულური მიწათმფლობელობა. მთელი მიწა უნდა გადაეცეს გლეხებს და უსათუოდ გამოუყიდავად. მიწის საკითხი უნდა გადაწყვიტონ საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭისყრით არჩეულმა ადგილობრივმა კომიტეტებმა.

რის მილწევა შეუძლია სამ მთავარ პარტიას, მთელი მათი ბრძოლა რომ წარმატებით დამთავრდეს?

შავრაზმელებს, თუ ისინი ყველა საშუალებით იბრძოლებენ, შეუძლიათ მიაღწიონ იმას, რომ ხალხი საბოლოოდ გაჩანაგდება, მთელი რუსეთი საბოლოოდ გაველურდება სამხედრო-საველე სასამართლოებით და დარბევებით.

კადეტებს, თუ ისინი მხოლოდ «მშვიდობიანი» საშუალებებით იბრძოლებენ, შეუძლიათ მიაღწიონ იმას, რომ დამრბევთა მთავრობა წვრილმანი დათმობებით მოისყიდის მსხვილ ბურჟუაზიას და სოფლის ბობოლებს, ხოლო ლიბერალურ მოლაყბეებს გარეკავს არასაკმაოდ ლაქიური

სოციალ-დემოკრატებს, თუ ისინი ყველა საშუალებით იბრძოლებენ და თვით აჯანყებასაც მოაწყობენ, შეუძლიათ შეგნებული გლეხობისა და ქალაქის ღარიბთა დახმარებით მიაღწიონ სრულ თავისუფლებას და მთელ მიწას გლეხობისათვის. ხოლო თავისუფლებისა და მთელი

სიტყვებისათვის სათაყვანებელ, არაპასუხისმგებელ, ხელშეუხებელ, კონსტიტუციურ მონარქზე.	ევროპის შეგნებული მუშების დახმარების პირობებში რუს სოციალ - დემოკრატებს შეუძლიათ სწრაფი ნაბიჯით გაეშურონ სოციალიზმისაკენ.

მოქალაქენო! ხმა მიეცით არჩევნებში რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის კანდიდატებს!

სოციალ-დემოკრატია და შრომის პარტიები

მოქალაქენო! ვისაც სურს შეგნებულად მიიღოს მონაწილეობა სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში, იმან უწინარეს ყოვლისა ნათლად უნდა შეიგნოს სამი მთავარი პარტიის ძირითადი განსხვავება. შ ა ვ რ ა ზ მ ე ლ ე ბ ი იცავენ მეფის მთავრობის დარბევებსა და ძალადობას. კ ა დ ე ტ ე ბ ი იცავენ ლიბერალურ მემამულეთა და კაპიტალისტთა ინტერესებს. ს ო ც ი ა ლ - დ ე მ ო კ რ ა ტ ე ბ ი იცავენ მუშათა კლასისა და ყველა მშრომელთა და ექსპლოატირებულთა ინტერესებს.

ვისაც სურს შეგნებულად დაიცვას მუშათა კლასისა და ყველა მშრომელთა ინტერესები, იმან უნდა იცოდეს, თუ ნამდვილად რომელ პარტიას შესწევს უნარი ყველაზე უფრო თანამიმდევრად და ყველაზე უფრო გაბედულად დაიცვას ეს ინტერესები.

რომელი პარტიები კისრულობენ მუშათა კლასისა და ყველა მშრომელთა ინტერესების დაცვას?

მუშათა კლასის პარტია, რუსეთის სოციალ - დემოკრატიული მუშათა პარტია, რომელიც პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის თვალსაზრისზე დგას.	შრომის პარტიები, ესე-იგი პარტიები, რომლებიც წვრილი მეპატრონის თვალსაზრისზე დგანან:
სოციალისტ - რევოლუციონერების პარტია.	შრომის (სახალხო სოციალისტური) პარტია და უპარტიო ტრუდოვიკები.

ვის ინტერესებს იცავენ ნამდვილად ეს პარტიები?

ინტერესებს პროლეტარეებისას, რომლებსაც ცხოვრების პირობები უსპობენ მეპატრონედ გადაქცევის ყოველგვარ იმედს და აიძულებენ ისწრაფონ, რათა სრულიად შეიცვალოს კაპიტალისტური საზოგადოებრივი წყობილების ყველა საფუძველი.

ინტერესებს წვრილი მეპატრონეებისას, რომლებიც იბრძვიან კაპიტალის უღლის წინააღმდეგ, მაგრამ თვით თავისი ცხოვრების პირობების გამო ისწრაფიან — გახდნენ მეპატრონეები, განამტკიცონ თავიანთი წვრილი მეურნეობა, გამდიდრდნენ ვაჭრობისა და მუშათა დაქირავების საშუალებით.

რამდენად მტკიცენი არიან ეს პარტიები შრომისა და კაპიტალის დიად მსოფლიო ბრძოლაში?

სოციალ-დემოკრატიას არ შეუძლია შეიწყნაროს შრომის რაიმე შერიგება კაპიტალთან. იგი რაზმავს დაქირავებულ მუშებს კაპიტალთან ულმობელი ბრძოლისათვის, წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრების მოსპობისათვის და სოციალისტური საზოგადოების მოწყობისათვის.

შრომის პარტიები ოცნებობენ კაპიტალის ბატონობის მოსპობაზე, მაგრამ წვრილი მეპატრონის ცხოვრების პირობების გამო ისინი გარდუვალად მერყეობენ კაპიტალის წინააღმდეგ დაქირავებულ მუშებთან ერთად ბრძოლასა და იმ მისწრაფებას შორის, რომ შეარიგონ მუშები და კაპიტალისტები ყველა მშრომელის გადაქცევით წვრილ მეპატრონეებად, რომელთაც თანასწორად დაურიგდებათ მიწა ან რომელნიც უზრუნველყოფილი იქნებიან კრედიტით და სხვა.

რის მილწევა შეუძლიათ ამ პარტიებს, თუ თავიანთ საბოლოო მიზნებს სავსებით განახორციელებენ?

პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობა პროლეტარიატის მიერ და კაპიტალისტური წარმოების გადაქცევა საზოგადოებრივ მსხვილ, სოციალისტურ წარმოებად.

მთელი მიწის თანაბრად განაწილება წვრილ მეპატრონეთა, წვრილ გლეხთა შორის, ამასთან მათ შორის ისევ გარდუვალი იქნება ბრძოლა და მოხდება დაყოფა მდიდრებად და ღარიბებად, მუშებად და კაპიტალისტებად.

რანაირ თავისუფლებას ესწრაფიან ხალხისათვის ეს პარტიები ახლანდელ რევოლუციაში?

სრულ თავისუფლებასა და სრულ ძალაუფლებას ხალხისათვის, ესე-იგი დემოკრატიულ რესპუბლიკას, მოხელეთა არჩევას, მუდმივი ჯარის შეცვლას ხალხის საყოველთაო შეიარაღებით.

სრულ თავისუფლებასა და სრულ ძალაუფლებას ხალხისათვის, ესე-იგი დემოკრატიულ რესპუბლიკას, მოხელეთა არჩევას, მუდმივი ჯარის შეცვლას ხალხის საყოველთაო შეიარაღებით.

დემოკრატიის, ესე-იგი ხალხის სრულ ძალაუფლებიანობის შეერთებას მონარქიასთან, ესე-იგი მეფის, პოლიციისა და მოხელეების ძალაუფლებასთან. ეს ისეთივე უაზრო სურვილია და ისეთივე გამცემი პოლიტიკაა, როგორც ლიბერალური მემამულეებისა, კადეტებისა.

როგორ უყურებენ ეს პარტიები გლეხების მიერ მიწის მოთხოვნას?

სოციალ-დემოკრატია მოითხოვს მემამულეთა ყველა მიწის გადაცემას გლეხებისათვის სრულიად გამოუყიდავად.	სოციალისტ-რევოლუციონერები მოითხოვენ მემამულეთა ყველა მიწის გადაცემას გლეხებისათვის სრულიად გამოუყიდავად.	ტრუდოვიკები მოითხოვენ მემამულეთა მთელი მიწის გადაცემას გლეხებისათვის, მაგრამ მათ დასაშვებად მიაჩნიათ გამოყიდვა. გამოყიდვის დაშვება, რაც გააჩანაგებს გლეხებს, ისეთივე გამცემი პოლიტიკაა, როგორც ლიბერალური მემამულეებისა, კადეტებისა.

მოქალაქენო! ხმა მიეცით არჩევნებში რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის კანდიდატებს!

დაიბეჭდა 1906 წ. 23 ნოემბერს
ცალკე ფურცლად გაზეთ «პროლეტარის»
№ 8-ის დამატების სახით

იბეჭდება ფურცლის ტექსტის
მიხედვით

ახალი სენატური განმარტება

რაოდენადმე მაინც აშკარა პოლიტიკური ბრძოლის ვითარებაში ცხოვრება ყოველი ტაქტიკური ნაბიჯის საოცრად სწრაფსა და საოცრად მკაფიო შემოწმებას იძლევა. რსდმპ სრულიად რუსეთის კონფერენციის ყველა დელეგატმა, ალბათ, ვერ მოასწრო თავის ადგილას მისვლა და პარტიული ორგანიზაციებისათვის ანგარიშის ჩაბარება, რომ კადეტებთან ბლოკის სადავო საკითხმა სრულიად ახალი გაშუქება მიიღო. ეს საკითხი კი ახლა ყველა სადღეისო პოლიტიკური საკითხის ცენტრში დგას.

რსდმპ კონფერენციაზე არც ერთ დელეგატს აზრადაც კი არ მოსვლია, რომ ს.-დ.-ებს შეეძლოთ რაოდენადმე მაინც შეესუსტებინათ ან საზოგადოდ თუნდაც შეეცვალათ თავიანთი დამოუკიდებელი ტაქტიკური ლოზუნგები საარჩევნო კამპანიაში. ფორმალურად, პარტიის ც. კ.-ის მიერ წარმოდგენილ და 18 ხმით 14 წინააღმდეგ (ბოლშევიკები, პოლონელები, ლატვიელები) მიღებულ რეზოლუციაში რსდმპ პლატფორმისა და ლოზუნგების სრული დამოუკიდებლობა ქვაკუთხედად არის მიჩნეული. არავითარი რაოდენადმე მაინც მუდმივი კავშირი სხვა პარტიებთან ჩვენი პლატფორმის თუნდ ოდნავი «შერბილების» ნიადაგზე უსათუოდ არ დაიშვება. და მთელი დავა ს.-დ. მარჯვენა და მარცხენა ფრთას შორის მხოლოდ და მხოლოდ იმაზე იყო, საქმით იცავენ თუ არა მემარჯვენე ს.-დ.-ები ამ პრინციპულ პოზიციას? ხომ არ ეწინააღმდეგებიან ისინი მას, როცა კ.-დ.-ებთან ბლოკს დასაშვებად სთვლიან? ხელოვნური,

ფიქტიური, მხოლოდ სიტყვიერი ხომ არ არის «ტექნიკურ» და იდეურ შეთანხმებათა გამიჯვნა?

მაგრამ... ალბათ, ჩვენს პარტიაშიც, ე. ი. მის რეალურ «კონსტიტუციაში», არის სენატის მსგავსი დაწესებულება, არის შესაძლებლობა, რომ სენატურ განმარტებათა გზით პარტიული «კანონები», პარტიის ოფიციალური ორგანოების გადაწყვეტილებანი მათს პირდაპირ საწინააღმდეგო რამედ გადააქციონ. რსდმპ დადგენილებათა ახალი სენატური განმარტება, როგორც მოსალოდნელი იყო, ჟენევიდან მოგვევლინა. იგი დაიბეჭდა კადეტურ გაზეთ «ტოვარიშჩში» როგორც გ. პლეხანოვის «საჯარო პასუხი» [92] (სავსებით ლასალისებურად!) ამ გაზეთის ერთი მკითხველისადმი, რომელიც «თავის თავს არც ბურჟუად სთვლის და არც სოციალ-დემოკრატად». ჩვენი პარტიული თითქმის-ლასალი მიეშველა იმ გაზეთის მკითხველს, რომელიც ფაქტიურად სოციალ-დემოკრატიის რენეგატების ორგანოა.

«ტოვარიშჩის» მკითხველი, სხვათა შორის, ეკითხებოდა გ. პლეხანოვს, თუ «როგორი შეიძლება ყოფილიყო, მისი აზრით, საერთო საარჩევნო პლატფორმა მემარცხენე და უკიდურესი მემარცხენე პარტიებისა». გ. პლეხანოვმა უპასუხა: «ამ კითხვაზე არ არის და არც შეიძლება იყოს სხვა პასუხი, გარდა ამ ორი სიტყვისა: ს რ უ ლ ძ ა ლ ა უ ფ ლ ე ბ ი ა ნ ი ს ა თ ა თ ბ ი რ ო».

«არ არის და არც შეიძლება იყოს სხვა პასუხი»... ჩვენი თითქმის-ლასალის ამ სიტყვებს, ალბათ, უწერია «ისტორიული» გახდეს, ყოველ შემთხვევაში ამ სიტყვის გოგოლისებური მნიშვნელობით მაინც. გ. პლეხანოვმა კეთილინება თავის დროზე მოესმინა მოხსენება იმის შესახებ, რომ არსებობს რსდმპ რომელიღაც ც. კ., რომ იკრიბება ამ პარტიის რაღაც სრულიად რუსეთის კონფერენცია, რომ ც.-კ.-იც და ეს კონფერენციაც იმუშავებენ თავის პასუხს იმ საკითხებზე, რომლებიც ეინტერესებათ არა მარტო ქ-ნ კუსკოვას და ბ-ნ პროკოპოვიჩს, გ. პლეხანოვის ახლანდელ თანამშრომლებს, არამედ რუსეთის სოციალისტ მუშებსაც. გ. პლეხანოვი ამას სრულიადაც არ

შეუწუხებია; მან განაცხადა: «არ არის დ ა ა რ ც შ ე ი ძ ლ ე-ბ ა ი ყ ო ს სხვა პასუხი, გარდა ჩემი პასუხისა». და ეს დიდად მოწყალე სიტყვები დაბეჭდილია კადეტურ გაზეთში სწორედ იმ მომენტში, როცა მთელმა წერა-კითხვის მცოდნე რუსეთმა უკვე იცის მ ე ო რ ე პასუხი, რომელიც მთელი რუსეთის ს.-დ. მუშათა პარტიის როგორც სოლქო დაწესებულებების, ისე ცენტრალური დაწესებულების ყ ვ ე ლ ა წარმომადგენელმა მოგვცა.

ჭეშმარიტად, ისეთი «ისტორია» გამოდის, რომლის გმირადაც ნოზდრევი არა ერთხელ ყოფილა.

მაგრამ გადავიდეთ ჩვენი უბადლო გ. პლეხანოვის ერთგვარად უბადლო და შეუდარებელი პასუხის არსზე.

უწინარეს ყოვლისა, ჩვენ ვხედავთ, რომ იგი აზრადაც კი არ იტარებს შეთანხმებათა შესაძლებლობას პირველ სტადიაზე ისე, თუ საერთო საარჩევნო პლატფორმა არ იქნება. ჩვენ, ბოლშევიკებს, ეს შეხედულება მეტისმეტად მოგვწონს. აღიარებს რა ამას, გ. პლეხანოვი მენშევიკებს დათვურ სამსახურს უწევს. ჩვენ მუდამ აღვნიშნავდით კონფერენციაზე, მენშევიკებთან და ბუნდელებთან კამათში, აგრეთვე № 8 «პროლეტარში» *, რომ პირველ სტადიაზე შეთანხმებათა დადებას არ შეუძლია გავლენა არ იქონიოს ჩვენს პარტიულ გამოსვლაზე მასების წინაშე, რომ, მაშასადამე, ეს შეთანხმებანი გარდუვალად და აუცილებლად, ჩვენი სურვილებისა და გეგმების წინააღმდეგ, მიიღებენ ერთგვარი იდეური დაახლოების, ს.-დ.-ების პოლიტიკური დამოუკიდებლობის ერთგვარი დაჩრდილვის, შესუსტებისა და დაჩლუნგების ელფერს. გ. პლეხანოვმა, მისთვის ჩვეული ხერხიანობითა და პარტიული ტაქტით, მხარი დაუჭირა ჩვენს იერიშს მენშევიკების წინააღმდეგ. მან პირდაპირ იმაზე მეტიც კი აღიარა, რასაც ჩვენ დაჟინებით ვამბობდით, აღიარა ს ა ე რ თ ო პ ლ ა ტ ფ ო რ მ ა, ე. ი. პირდაპირი ი დ ე უ რ ი ბლოკი კადეტებთან.

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 368. რ ე დ.

თურმე, არა მარტო რუსეთის სახელმწიფოში, არამედ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაშიც სენატური განმარტება სახელს უტეხს იმას, ვის სასარგებლოდაც ის იწერება.

შემდეგ. დაე ჩაუფიქრდეს მკითხველი, თუ რა უშუალო აზრი აქვს პლეხანოვის «კადეტურ-სოციალ-დემოკრატიულ» ლოზუნგს: «სრულძალაუფლებიანი სათათბირო», — ამ ლოზუნგისადმი სხვადასხვა პარტიის დამოკიდებულების მიუხედავად. სიტყვები «სრულძალაუფლებიანი სათათბირო» ნიშნავს სათათბიროს სრულძალაუფლებიანობის მოთხოვნას. რომელი სათათბიროსი? ცხადია, იმ სათათბიროსი, რომლის დეპუტატებსაც ახლა აირჩევენ რუსეთის მოქალაქენი, 11 დეკემბრის კანონისა და სენატის განმარტებათა საფუძველზე. გ. პლეხანოვი წინადადებას იძლევა, რომ ა მ სათათბიროსათვის მოვითხოვოთ სრულძალაუფლებიანობა. ცხადია, იგი დარწმუნებულია, რომ ეს სათათბირო არ იქნება შავრაზმული, ვინაიდან შავრაზმული სათათბიროსათვის მას არ შეეძლო სრული ძალაუფლებიანობა მოეთხოვა. წამოაყენო ლოზუნგი: «სრულძალაუფლებიანი სათათბირო» და ამავე დროს გაიძახოდე — შავრაზმული სათათბირო სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენსო, — ეს თავის თავის გამათრახებას ნიშნავს. ეს ნიშნავს დაადასტურო ბოლშევიკების აზრი, რომ შავრაზმული სათათბიროს სერიოზული საფრთხე ნამდვილად არ არსებობს, და რომ კადეტები იგონებენ ან აზვიადებენ ცალკეულ შემთხვევებში ამ საფრთხეს თავისი ანგარებიანი მიზნებით, სახელდობრ, რათა მუშებსა და მთელს რევოლუციურ დემოკრატიას შეუსუსტონ რწმენა საკუთარი ძალებისადმი, რათა ააშორონ კ.-დ. პარტიას «ს ა ფ რ თ ხ ე მ ა რ ც ხ ნ ი დ ა ნ», რაც მას მართლაც ემუქრება. თვით «რეჩმა», კ.-დ.-ების ოფიციალურმა ორგანომ, აღიარა ე ს საფრთხე კადეტების ანგარიშში საარჩევნო კამპანიის მდგომარეობის შესახებ, პეტერბურგის გუბერნიაში.

გადავიდეთ პლეხანოვის ლოზუნგის ნამდვილ პოლიტიკურ შინაარსზე. მისი აღმომჩენი აღტაცებულია ამ ლოზუნგით. «ეს ზოგადი ფორმულა, — წერს იგი, — თავისი ალგებრული სახით სავსებით ზუსტად გამოხატავს ამჟამად როგორც მემარცხენეებისათვის, ისე უკიდურესი მემარცხენეებისათვის მეტად საარსებო პოლიტიკურ ამოცანას», საშუალებას იძლევა რა შეუკვეცლად შეინარჩუნონ ყველა დანარჩენი თავიანთი მოთხოვნის მთელი სისრულე. «კადეტებს ვერ წარმოუდგენიათ სრულძალაუფლებიანი სათათბირო ისე, როგორც სოციალ-დემოკრატებმა უნდა წარმოიდგინონ იგი. მაგრამ ამათაც და იმათაც ესაჭიროებათ სრულძალაუფლებიანი სათათბირო. ამიტომ ერთნიც და მეორენიც ვალდებულნი არიან იბრძოლონ მისთვის».

პლეხანოვის ამ სიტყვებიდან ცხადია, რომ თვითონ მასაც შეგნებული აქვს კადეტებისა და სოციალ-დემოკრატების მიერ ამ ლოზუნგის სხვადასხვანაირად გაგების აუცილებლობა. ლოზუნგი ერთია, «საერთოა», მაგრამ კადეტებს ვერ «წარმოუდგენიათ» ამ ლოზუნგის მნიშვნელობა ისე, როგორც სოციალ-დემოკრატებს.

საკითხავია, რისთვისაა საჭირო მაშინ საერთო ლოზუნგი? და საზოგადოდ რისთვის უნდა წამოვაყენოთ მასის წინაშე ლოზუნგები და პლატფორმები?

განა იმისათვის, რომ კეთილსახიერი გარეგნობა დავიცვათ? რომ დავფაროთ რაღაც, რაც მასებს არ უნდა ავუხსნათ? რომ ხალხის ზურგს უკან მოვახდინოთ პარლამენტური მანევრი, რომელიც ყოველგვარ სარგებლიანობას გვიქადის? თუ იმისათვის, რომ ავამაღლოთ მასების კლასობრივი თვითშეგნება და მართლა განუმარტოთ მათ მათი ახლანდელი პოლიტიკური ამოცანები?

ყველამ იცის, რომ ბურჟუაზიული პოლიტიკანები ყველგან და ყოველთვის აყენებენ ხალხის წინაშე ყოველგვარ ლოზუნგს, პროგრამას და პლატფორმას ხალხის მოსატყუებლად. ბურჟუაზიული პოლიტიკანები ყოველთვის უწოდებენ თავი-

ანთ თავს, განსაკუთრებით არჩევნების წინ, ლიბერალებსაც, პროგრესისტებსაც, დემოკრატებსაც, თვით «რადიკალ-სოციალისტებსაც» კი, მ ხ ო ლ ო დ ი მ ი ს ა თ ვ ი ს, რომ ხმები მიიღონ და ხალხი მოატყუონ. ეს უთუოდ საყოველთაო მოვლენაა ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში. მარქსი და ენგელსი ამიტომ კიდეც ამბობდნენ ბურჟუაზიულ დეპუტატებზე, **die das Volk vertreten und zertreten,** — რომ ისინი წარმოადგენენ ხალხს და თრგუნავენ მას თავიანთი სადეპუტატო უფლებამოსილებითო [69].

და აი «უხუცესი» რუსი სოციალ-დემოკრატი, სოციალ-დემოკრატიის ფუძემდებელი, პირველი საერთო-პარტიული საარჩევნო კამპანიისათვის აყენებს პლატფორმას, რომელსაც კადეტები უსათუოდ სხვანაირად განმარტავენ, სოციალ-დემოკრატები კიდევ სხვანაირად! რა არის ეს? როგორ ხდება ეს?

თუკი კ.-დ.-ებსა და ს.-დ.-ებს არ შეუძლიათ ერთნაირად წარმოიდგინონ სრულძალაუფლებიანი სათათბირო, — მაშასადამე, ვერც ხალხის ფართო მასებში იქნება ერთნაირი წარმოდგენა მის შესახებ, ვინაიდან კ.-დ.-ებიც და ს.-დ.-ებიც გამოხატავენ ამა თუ იმ კლასის განსაზღვრულ ინტერესებს, განსაზღვრულ მისწრაფებებს თუ ცრურწმენას. პლეხანოვს კადეტების წარმოდგენა სრულძალაუფლებიან სათათბიროზე, ალბათ, არასწორ წარმოდგენად მიაჩნია, ხოლო პოლიტიკური ამოცანების ყოველი არასწორი წარმოდგენა მავნებელია ხალხისათვის. მაშასადამე, პლეხანოვი აყენებს ლოზუნგს ისეთი ფორმით, რომელსაც უ ს ა თ უ ო დ ვნება მოაქვს ხალხისათვის, რაკი აუხსნელად და დაფარულად სტოვებს ერთგვარ არასწორ წარმოდგენას. პირდაპირ და უბრალოდ რომ ვთქვათ, ეს ნიშნავს მუშებისა და მთელი ხალხის მოტყუებას კ.-დ.-ების და ს.-დ.-ების მოჩვენებითი ერთიანობის გულისათვის.

რაში მდგომარეობს კადეტების არასწორი წარმოდგენა სრულძალაუფლებიან სათათბიროზე? პლეხანოვი ამაზე სდუმს. ეს დუმილი, ჯერ ერთი, ამტკიცებს, რომ პლეხანოვი სარგებლობს საარჩევნო კამპანიით (საარჩევნო პლატფორმის წამო-

ყენება უკვე ნაბიჯია საარჩევნო კამპანიისა) არა ხალხის შეგ-ნების გასავითარებლად, არამედ მის დასაბნელებლად. მეორეც, ეს დუმილი ყოველივე აზრს უკარგავს პლეხანოვის დასკვნას: «კ.-დ.-ებსაც და ს.-დ.-ებსაც ესაჭიროებათ სრულძალაუფლე-ბიანი სათათბიროო». ესაა უბრალო სიტყვიერი მიკიბ-მოკიბ-ვით დაფარული უაზრობა: ეს არის იმის თქმა, რომ ორ სხვა-დასხვანაირ პარტიას ესაჭიროება ერთი და იგივე რამ, მათ მიერ სხვადასხვანაირად გაგებული! მაშასადამე, არა ერთი და იგივე: პირველივე შემხვედრი დაიჭერს პლეხანოვს ლოგიკურ მარცხში. შეიძლება, თუ გნებავთ, თვითმპყრობელი მონარ-ქიაც და დემოკრატიული რესპუბლიკაც «ა» ასოთი აღნიშნო და თქვა, რომ სხვადასხვა პარტიას ნება აქვს ამ ზოგადი ალგე-ბრული ფორმულით სხვადასხვანაირი არითმეტიკული ოდენო-ბა იგულისხმოსო. ეს იქნება წმინდა პლეხანოვისებური ლო-გიკა ანუ, უკეთ, პლეხანოვისებური სოფისტიკა.

არსებითად, პლეხანოვი პ ი რ დ ა პ ი რ ს ი ც რ უ ე ს ამ-ბობს, თითქოს კ.-დ.-ებსაც და ს.-დ.-ებსაც ესაჭიროებოდეთ სრულძალაუფლებიანი სათათბირო ან უფრო მეტიც: სრულ-ძალაუფლებიანი სახალხო წარმომადგენლობა, რომელზედაც განუწყვეტლივ ლაპარაკია მისი სტატიის მეორე ნახევარში. სრულძალაუფლებიანი სახალხო წარმომადგენლობა არის დამ-ფუძნებელი კრება, და ამასთან ისეთი დამფუძნებელი კრება, რომელიც იარსებებს არა მონარქის გვერდით, არამედ მეფის მთავრობის დ ა მ ხ ო ბ ი ს შ ე მ დ ე გ. თუ პლეხანოვს ეს უბრალო ჭეშმარიტება დაავიწყდა, მაშინ ჩვენ ვურჩევთ მას წაიკითხოს რსდმპ პროგრამა და განსაკუთრებით მისი უკანასკ-ნელი აბზაცი, სადაც სწორედ ამაზეა ლაპარაკი.

კადეტებს არ ესაჭიროებათ ასეთი, მართლაც სრულძალა-უფლებიანი სახალხო წარმომადგენლობა, იგი საშიშია მათ-თვის და დამღუპველია იმ ინტერესებისა, რომლებსაც ისინი გამოხატავენ. იგი გამორიცხავს მათთვის სანუკვარსა და ბურ-ჟუაზიული ჯიბისათვის ძვირფას მონარქიას. იგი უქარწყლებს მათ მემამულეთა მიწების გამოყიდვის იმედს. ეს იმდენად მარ-

თალია, რომ თ ვ ი თ პლეხანოვიც კი თავისი «დნევნიკის» № 6-ში ლაპარაკობდა კადეტების ანგარებიან-კლასობრივ უნდობლობაზე დამფუძნებელი კრების იდეისადმი, ლაპარაკობდა იმაზე, რომ კადეტები, დამფუძნებელი კრების შიშით, უ რ ი გ დ ე ბ ი ა ნ სტოლიპინის ბრბოსაო.

№ 8 «პროლეტარში» ჩვენ უკვე მოვიყვანეთ ეს ადგილები პლეხანოვის № 6 «დნევნიკიდან» *, აღვნიშნეთ, რომ პლეხანოვმა ახლა უნდა უარყოს თავისი გუშინდელი განცხადებანი. მისი ფრაზა: «კადეტებსაც ესაჭიროებათ სრულძალაუფლებიანი სათათბირო» სწორედ საკუთარი სიტყვების ასეთი უ ა რ ყ ო ფ ა ა.

პლეხანოვის ძირითადი უ მ ა რ თ ლ ო ბ ი დ ა ნ ლოგიკური აუცილებლობით გამომდინარეობს მთელი რიგი სხვა უმართლობანი. ა რ ა რ ი ს მ ა რ თ ა ლ ი, რომ «სრულძალაუფლებიანი სახალხო წარმომადგენლობა თვითონაა წინასწარი პირობა ყველა მოწინავე პარტიის ყველა დანარჩენი... მოთხოვნის განხორციელებისა», რომ «უმისოდ ვერც ერთი ამ მოთხოვნათაგანი ვერ განხორციელდება», რომ მემარცხენეებისა და უკიდურესი მემარცხენეების ბრძოლა დაიწყება მაშინ, როცა «იგი (სრულძალაუფლებიანი სახალხო წარმომადგენლობა) იქნება». სრულძალაუფლებიანი სახალხო წარმომადგენლობა არის რევოლუციის დაგვირგვინება, მისი ბოლომდე მიყვანა, არის მისი სრული გამარჯვება. კადეტები კი მოწადინებული არიან შეაჩერონ რევოლუცია, შეწყვიტონ იგი წვრილმანი დათმობებით და პირდაპირ ამბობენ ამას. როცა პლეხანოვი მუშებსა და მთელ ხალხს იმის რწმენას უნერგავს, რომ კადეტებს აქვთ რევოლუციის სრული გამარჯვებისათვის ბრძოლის უნარიო, ამით იგი აშკარად ატყუებს ხალხის მასებს.

«ჩვენ ჯერჯერობით გვყავს მხოლოდ სრულძალაუფლებიანი ბ-ნი სტოლიპინი», — წერს პლეხანოვი. არ ვიცით, სიტყვის წამოცდენაა ეს, თუ ისევ კადეტების მიბაძულობა («სრულ-

* იხ. ეს ტომი, გვ. 375. რ ე დ.

ძალაუფლებიანი სათათბირო=მეფის სათათბირო მეფის მიერ სათათბიროს უმრავლესობიდან დანიშნული მინისტრებით»), თუ ხრიკი ცენზურისათვის? სტოლიპინი არათუ სრულძალაუფლებიანი არ არის, არამედ ყოვლად უბადრუკი ლაქიაა მეფისა და მეფის კარის შავრაზმელთა ბრბოსი. თუ პლეხანოვი ამაში ვერ დაარწმუნა დარბევათა მხილებამ სათათბიროში, დაე მან წაიკითხოს ლიბერალური გაზეთები რუსი ხალხის კავშირის ყოვლადშემძლე გავლენის შესახებ.

«ახლა, — ამბობს პლეხანოვი, — როგორც მემარცხენე, ისე უკიდურესი მემარცხენე პარტიები ვალდებულნი არიან ერთად გამოვიდნენ იმათ წინააღმდეგ, ვისაც არ სურს სრულძალაუფლებიანი ან, შესაძლოა, არც არავითარი სახალხო წარმომადგენლობაო».

მაშასადამე, ვალდებულნი არიან გამოვიდნენ კადეტების წინააღმდეგ, რომელთაც ა რ ა ს უ რ თ სრულძალაუფლებიანი სახალხო წარმომადგენლობა.

პლეხანოვმა ჩინებულად გაიმათრახა თავი, რაკი გვიჩვენა, დოქტრინიორობის წინააღმდეგ ბრძოლის სახით, უცუდესი, იეზუიტური, დოქტრინიორობის ნიმუში. ფრაქციული თვალსაზრისით, ბოლშევიკებს შეეძლოთ გახარებოდათ მისი გამოსვლა, რადგან მენშევიკური ტაქტიკისათვის ამაზე უფრო ძლიერი მახვილის ჩაცემის წარმოდგენა შეუძლებელია. როგორც ერთიანი რსდმ პარტიის წევრები, ჩვენ სირცხვილის გრძნობას განვიცდით გ. პლეხანოვის გამოსვლის გამო.

კ.-დ.-ების ოფიციალურმა ორგანომ «რეჩმა» ისეთი პასუხი გასცა პლეხანოვს, რომ თვით უმშვიდესი ს.-დ.-ები, ვგონებ, განიკურნებიან ახლა თავისი ოპორტუნისტული ილუზიებისაგან. «რეჩის» პირველი პასუხი, 226-ე ნომრის მოწინავე (25 ნოემბერი), თავიდან ბოლომდე დაცინვაა პლეხანოვისა, რომელმაც ხელი გაუწოდა კადეტებს, და ამასთანავე დაცინვა იმ ლიბერალის მხრივ, რომელსაც არ დაუვიწყნია პლეხანოვისა და მისი კოლეგების თავდასხმები ლიბერალების ოპორტუნიზმზე «ი ს კ რ ა შ ი». «ამ შემთხვევაშიც, — დაცინვით წერდა

პლეხანოვზე კ.-დ.-ების ორგანო, — ბ-ნი პლეხანოვი ყოველ-გვარი პატივისცემისა და მოწონების ღირსი ძალღონით ცდილობს, ცოტათი მარჯვნივ დასძრას თავისი ამხანაგები მათ მიერ დაკავებული მეტად მემარჯვენე პოზიციებიდან». მაგრამ... მაგრამ ჩვენ მაინც უნდა შევეკამათოთო.

და კადეტის შეკამათება არის ტიპიური პასუხი მეფაბრიკისა იმ მუშისადმი, რომელმაც თხოვნით მიმართა მეფაბრიკეს, გამოეყო რა ამხანაგ მუშებს, რომელთაც ერთად წარუდგინეს მეფაბრიკეს გაფიცვით ზურგგამაგრებული მოთხოვნები. — სათხოვნელად მოსულხარ? საქებურია. მაგრამ რა ხეირია შენგან, თუკი შენი უგუნური კოლეგები შენსავით არ იქცევიან? რა ხეირია შენგან, თუკი მთლად არ ამბობ იმას, რაც სათქმელია? სრულძალაუფლებიანი სათათბირო? როგორ არა! სწორედ მაგისათვის გავიტეხ სახელს წესრიგის მომხრე პირთა თვალში! უნდა თქვათ: სათათბიროს უმრავლესობის სამინისტრო. მაშინ ჩვენ დავთანხმდებით ს.-დ.-ებთან ერთად საერთო პლატფორმას!

ასეთია შინაარსი «რეჩის» პასუხისა, რომელიც უხვად და მწარედ დასცინის პლეხანოვის გულუბრყვილო «ალგებრასაც» და იმასაც, რომ 1904 წ. ნოემბერში იგი იყო ს-დ.-ების ხელმძღვანელ კოლეგიაში (მაშინ პლეხანოვი იყო ც. ორგ. რედაქციის წევრი და რსდმპ უმაღლესი «საბჭოს» თავმჯდომარე), იმ კოლეგიაში, რომელმაც უარი თქვა «პარიზის სახელგანთქმულ შეთანხმებაზე» [14] ბურჟუაზიულ დემოკრატიასთან. სწორედ მაშინ იყო «ალგებრული ნიშანი», — ირონიულად შენიშნავს «რეჩი», სახელდობრ: «დემოკრატიული რეჟიმი». ჩვენ ასეთად კონსტიტუციურ მონარქიას ვგულისხმობდით. ესერები კი, რომელთაც იწამეს შეთანხმება, დემოკრატიულ რესპუბლიკას. თქვენ უარი თქვით მაშინ, გ. ვ. პლეხანოვო! ახლა მოჭკვიანდით? ჩვენ, კადეტები, გაქებთ, მაგრამ ს ა ქ მ ი ს გ უ ლ ი ს ა თ ვ ი ს თქვენ კიდევ მარჯვნივ უნდა გადაიხაროთო.

და «რეჩი» აშკარად აღიარებს, რომ კადეტები «დამფუძნებელი კრების» ლოზუნგითაც ატყუებდნენ ხალხს. ჩვენ, კა-

დეტებს, გვინდოდა დამფუძნებელი კრება «მ ო ნ ა რ ქ ი ს პ რ ე რ ო გ ა ტ ი ვ ი ს (ე. ი. უფლებათა) შ ე ნ ა რ ჩ უ ნ ე ბ ი თ», და სრულიადაც არა რესპუბლიკური დამფუძნებელი კრება. ჩვენთვის ხელსაყრელი იყო ამ ტყუილით ხალხის თანაგრძნობის მოპოვება, მაგრამ ახლა ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანია მეფის ბრბოს თანაგრძნობის მოპოვება. ამიტომ ძირს «საშიში», «ორაზროვანი», «უიმედო», «მავნე რევოლუციური ილუზიების გამღვივებელი» ლოზუნგი — «სრულძალაუფლებიანი სათათბირო». ჩვენ მოვითხოვთ ს.-დ.-ებისაგან მათს წინანდელ, ცეკისტურ ლოზუნგს: სათათბიროს უმრავლესობისაგან შემდგარი სამინისტროსათვის მხარის დაჭერას, ამასთანავე, ამ ლოზუნგიდან გამომდინარე «შ ე დ ე გ ე ბ ი თ უ რ თ». ხოლო ეს შედეგებია — კი არ შევასუსტოთ, არამედ გ ა ვ ა ძ ლ ი ე რ ო თ (sic! *) კადეტთა უმრავლესობა სათათბიროშიო.

და «რეჩის» შემდეგ ნომერში სარედაქციო სტატია სპეციალურად განუმარტავს მეფის შავრაზმულ ბრბოს (პლეხანოვისათვის საკითხის განმარტების სახით), კადეტებს ა რ ე ს ა ჭ ი რ ო ე ბ ა თ «სრულძალაუფლებიანი» სათათბიროო. სათათბიროს გამოცხადება სრულძალაუფლებიანად სახელმწიფო გადატრიალებაა. ამას კადეტები არასოდეს არ დათანხმდებიან. «სრულძალაუფლებიანი სათათბიროსაკენ ჩვენ, კადეტები, ოდნავადაც არ მივისწრაფით და არც ვალდებულნი ვართ მივისწრაფოდეთ». «ნუთუ ბ-მა პლეხანოვმა, თავისი ჩვეულებრივი გამჭრიახობის მიუხედავად, მოვლენათა მსვლელობიდან ვერ მიიღო» ეს გაკვეთილი?

დიახ, კადეტების დაცინვა პლეხანოვის ჩვეულებრივ გამჭრიახობაზე პირდაპირ გულში ხვდება მას. რუსეთის რევოლუციის ამბების მთელმა მსვლელობამ პლეხანოვს ვერ გააცნო კადეტები. იგი დასჯილია და ახიცაა მასზე, დასჯილია იმით, რომ კადეტებმა ზიზღით უარყვეს ხელი, გაწვდილი ისეთი სოციალ-დემოკრატის მიერ, რომელიც მოქმედებდა თავისი პარტიის დამოუკიდებლად და მისი ნების წინააღმდეგ.

* — ასეა! რ ე დ.

«რეჩის» პასუხს პლეხანოვისადმი ზოგადი პოლიტიკური მნიშვნელობაცა აქვს. კადეტები მარჯვნივ იხრებიან დღეობით კი არა, საათობით. ისინი მოურიდებლად ლაპარაკობენ, რომ მოურიგდებიან შავრაზმულ მონარქიას და დაამსხვრევენ «მავნე რევოლუციურ ილუზიებს».

მთელი რუსეთის მუშები, დარწმუნებულნი ვართ, მცირე სარგებლობას როდი მიიღებენ ამ გაკვეთილიდან. კ.-დ.-ებთან ბლოკის ნაცვლად ისინი გააჩაღებენ დამოუკიდებელ საარჩევნო კამპანიას, მიიმხრობენ რევოლუციურ ბურჟუაზიას და საბოლოოდ გადასჩეხენ პოლიტიკური გამცემლობის ორმოში ბურჟუაზიული პოლიტიკანების ბრბოს, რომლებიც ხალხს ატყუებენ «ხალხის თავისუფლების» შესახებ ლათაიებით!

«პროლეტარი» № 9,
1906 წ. 7 დეკემბერი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

მენშევიზმის კრიზისი

მუშათა უპარტიო ყრილობისა და კადეტებთან ბლოკის ქადაგება, უეჭველია, მენშევიკების ტაქტიკის ერთგვარ კრიზისს მოასწავებს. რაკი საზოგადოდ მთელი მათი ტაქტიკის პრინციპულ მოწინააღმდეგეთა რიცხვს ვეკუთვნით, ჩვენ ვერ შევძლებდით, რასაკვირველია, თვითონ გადაგვეწყვიტა საკითხი, თუ რამდენად მომწიფებულია ეს კრიზისი, ასე ვთქვათ, მისი გარეგნული გამოვლენისათვის. ამხ. ი. ლარინმა დახმარება აღმოგვიჩინა თავისი ახალი, მეტად საგულისხმო ბროშურით: «მუშათა ფართო პარტია და მუშათა ყრილობა» (მ. 1906 წ., საწყობი «ნოვი მირის» გ ა მ ო მ ც ე მ ლ ო ბ ა ს თ ა ნ).

ამხ. ი. ლარინი ხშირად ლაპარაკობს მენშევიკთა უმრავლესობის სახელით. იგი თავის თავს უწოდებს, და სრული უფლებითაც უწოდებს, მენშევიზმის პასუხისმგებელ წარმომადგენელს. იგი მუშაობდა სამხრეთშიც და პიტერშიც უაღრესად «მენშევიკურ» რაიონში, ვიბორგის რაიონში. იგი დელეგატად იყო გამაერთიანებელ ყრილობაზე. იგი მუდამ წერდა «გოლოს ტრუდაში» და «ოტკლიკი სოვრემენნოსტშიც». ყველა ეს ფაქტი მეტად მნიშვნელოვანია ბროშურის შესაფასებლად, რომლის მნიშვნელობა ავტორის გულმართლობაშია და არა მის ლოგიკაში, — მის მოწოდებულ ცნობებშია და არა მის მსჯელობაში.

I

ტაქტიკაზე მსჯელობას მარქსისტმა საფუძვლად რევოლუციის ობიექტური მსკელობის შეფასება უნდა დაუდოს. ბოლშევიკები, როგორც ცნობილია, ცდილობდნენ ამის მიღწევას

გამაერთიანებელ ყრილობაზე წარმოდგენილ რეზოლუციაში თანამედროვე მომენტის შესახებ[95]. მენშევიკებმა თვითონვე მოხსნეს თავიანთი რეზოლუცია ამის შესახებ. ამხ. ლარინი, როგორც ჩანს, გრძნობს, რომ ასეთი საკითხების მოხსნა არ შეიძლება, და ცდილობს განიხილოს ჩვენი ბურჟუაზიული რევოლუციის მსვლელობა.

იგი განასხვავებს ორ პერიოდს. პირველი პერიოდი, რომელიც მთელ 1905 წელს მოიცავს, არის აშკარა მასობრივი მოძრაობის პერიოდი. მეორე პერიოდი, 1906 წლიდან, — საშინლად ნელი მზადებაა «თავისუფლების საქმის ფაქტიური გამარჯვებისა», «ხალხის მისწრაფებათა განხორციელებისა». ამ მზადებაში ძირითად როლს ასრულებს სოფელი, რომლის დაუხმარებლად «განცალკევებული ქალაქი დაძლეულ იქნა». ჩვენ განვიცდით «რევოლუციის შინაგან, გარეგნულად თითქოს პასიურ, ზრდას».

«ის, რასაც აგრარული მოძრაობა ეწოდება, — მუდმივი მღელვარება, რაც აქტიური თავდასხმის საყოველთაო ცდად არ გადაქცეულა, მცირე ბრძოლა ადგილობრივი ხელისუფლებისა და მემამულეების წინააღმდეგ, გადასახადების შეჩერება, დამსჯელი ექსპედიციები, — ყოველივე ეს ყველაზე ხელსაყრელი გზაა სოფლისათვის, მისი ძალების ეკონომიის თვალსაზრისით თუ არა, რაც საეჭვოა, მისი შედეგების ეკონომიის თვალსაზრისით მაინც. ეს გზა, რომელიც სოფელს საბოლოოდ არ ჰფიტავს, რომელსაც [illegible]თვის, საერთოდ, მეტი შეღავათი მოაქვს, ვიდრე დამარცხება, ძალუმად არღვევს ძველი ხელისუფლების საყრდენებს ისე, რომ ჰქმნის პირობებს, როცა ამ ხელისუფლებამ ან უეჭველად იარაღი უნდა დაჰყაროს ან დაემხოს პირველივე სერიოზული განსაცდელისაგან, როდესაც დრო დადგება». და ავტორი აღნიშნავს, რომ 2 — 3 წლის განმავლობაში შეიცვლება პოლიციისა და ჯარის პირადი შემადგენლობა, შეივსება უკმაყოფილო სოფლის ელემენტებით:

«ჩვენი შვილები ჯარისკაცები იქნებიანო», როგორც ავტორისათვის უთქვამს ერთ გლეხს.

ამხ. ლარინის დასკვნა ორნაირია. 1) ჩვენში «სოფელი ვერ დაწყნარდება. ავსტრიის 1848 წელი ჩვენში ვერ განმეორდება». 2) «რუსეთის რევოლუცია საყოველთაო-სახალხო შეიარაღებული აჯანყების გზით როდი მიდის ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, როგორც ჩრდილო-ამერიკის ან პოლონეთის რევოლუციაო».

შევჩერდეთ ამ დასკვნებზე. პირველი მათგანი მეტად ფელეტონურადაა დასაბუთებული და მეტად არაზუსტად არის ჩამოყალიბებული ავტორის მიერ. მაგრამ არსებითად ავტორი ჭეშმარიტებასთან ახლოა. ჩვენი რევოლუციის ბედი მართლაც ყველაზე უფრო დამოკიდებულია გლეხობის მრავალმილიონიანი მასის ბრძოლის სიმტკიცეზე. მსხვილ ბურჟუაზიას ჩვენში რევოლუციისა უფრო ეშინია, ვიდრე რეაქციისა. პროლეტარიატს მარტო არ ძალუძს გამარჯვების მოპოვება. ქალაქის ღარიბნი არ წარმოადგენენ არც დამოუკიდებელ ინტერესებს, არც დამოუკიდებელი ძალის ფაქტორს პროლეტარიატსა და გლეხობასთან შედარებით. გადამწყვეტი როლი სოფელს ეკუთვნის, არა ბრძოლის ხელმძღვანელობის აზრით (ამაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება), არამედ გამარჯვების უზრუნველყოფის აზრით.

ამხ. ლარინს რომ მოეფიქრებინა თავისი დასკვნა და დაეკავშირებინა იგი ჩვენი ბურჟუაზიული რევოლუციის შესახებ სოციალ-დემოკრატიის იდეათა განვითარების მთელ მსვლელობასთან, მაშინ იგი მისთვის საძულველი ბოლშევიზმის ძველი დებულების პირისპირ აღმოჩნდებოდა: ბურჟუაზიული რევოლუციის ძლევამოსილად დამთავრება რუსეთში შესაძლებელია მხოლოდ როგორც პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურა. არსებითად ლარინი სწორედ ამ შეხედულებამდე მივიდა. ამის აშკარა აღიარებას მას ხელს უშლის მხოლოდ მენშევიკების ის თვისება, რომელსაც თვითონვე ამათრახებს, სახელდობრ: აზრის მერყეობა და

გაუბედაობა. საკმაოა ერთმანეთს შეადაროთ აღნიშნულ თემაზე ლარინისა და ცეკისტური «სოციალ-დემოკრატის» მსჯელობა, რათა დარწმუნდეთ, რომ ლარინი ამ საკითხში ბოლშევიკებს უახლოვდება. «ს.-დ.» ხომ იქამდე მივიდა, რომ თქვა: კადეტები ქალაქის უწოდებრივო, პროგრესული ბურჟუაზიაა, ხოლო ტრუდოვიკები სოფლის წოდებრივი, არა პროგრესულიო! «სოციალ-დემოკრატმა» ვერ შეამჩნია მემამულეები და კონტრრევოლუციური ბურჟუები კადეტთა შორის, ვერ შეამჩნია ქალაქის უწოდებრივო დემოკრატია (ქალაქის ღარიბთა ქვედაფენები) ტრუდოვიკებს შორის!

შემდეგ. სოფელი ვერ დაწყნარდებაო, ამბობს ლარინი. განა დაამტკიცა ეს მან? ვერა. მან სრულიად ვერ გაითვალისწინა როლი გლეხური ბურჟუაზიისა, რომლის სისტემატურ მოსყიდვას ეწევა მთავრობა. იგი ნაკლებ ჩაუკვირდა იმასაც, რომ გლეხების მიერ მიღებული «შეღავათები» (იჯარის დაკლება, მემამულეებისა და პოლიციის «შემცირება» და სხვ.) ა ძ ლ ი ე რ ე ბ ე ნ სოფლის დაშლას კონტრრევოლუციონერ მდიდრებად და ღარიბთა მასად. ასეთი დიდი განზოგადებანი ასეთი მცირე მასალის საფუძველზე როდი ვარგა: შაბლონის სუნი უდის.

მაგრამ შესაძლებელია განა საზოგადოდ დამტკიცდეს დებულება: «სოფელი ვერ დაწყნარდება»? ჰოც და არაც. ჰო — მოსალოდნელი შედეგების სერიოზულად დასაბუთებული ანალიზის თვალსაზრისით. არა — ახლანდელი ბურჟუაზიული რევოლუციისათვის ამ შედეგების სრული უეჭველობის თვალსაზრისით. აფთიაქის სასწორზე ვერ ასწონი მას, თუ როგორ წონასწორდებიან სოფლის მზარდი და გადახლართული ახალი კონტრრევოლუციური და ახალი რევოლუციური ძალები. ამას საბოლოოდ გამოააშკარავებს მ ხ ო ლ ო დ გ ა მ ო ც დ ი ლ ებ ა. რევოლუცია ვიწრო გაგებით, ეს არის მწვავე ბრძოლა, და მხოლოდ თვით ბრძოლაში, მის შედეგად მეღავნდება და სავსებით შეიცნობა ყველა ინტერესის, ყველა მისწრაფების, ყველა შესაძლებლობის ნამდვილი ძალა.

მოწინავე კლასის ამოცანაა რევოლუციაში: სწორად გამოიცნოს ბრძოლის მიმართულება და ამოსწუროს გამარჯვების ყველა შესაძლებლობა, ყველა შანსი. ასეთი კლასი პირველი უნდა დაადგეს უშუალო-რევოლუციურ გზას და უკანასკნელმა უნდა დასტოვოს იგი, სხვა, უფრო «ყოველდღიური», უფრო «შემოსავლელი» გზებისათვის. ეს ჭეშმარიტება სრულებით ვერ გაიგო ამხ. ლარინმა, რომელიც მეტად ბევრსა და (როგორც ქვემოდ დავინახავთ) მეტად უჭკუოდ მსჯელობს სტიქიურ სწრაფვასა და გეგმაზომიერ მოქმედებაზე.

გადავიდეთ მეორე დასკვნაზე — შეიარაღებული აჯანყების შესახებ. აქ ლარინის აზრი უფრო მეტად გაუბედავია. მისი აზრი მონურად მისდევს ძველ ნიმუშებს: ჩ.-ამერიკისა და პოლონეთის აჯანყებას. მათ გარეშე მას არა სურს იწამოს აჯანყება «ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით». იგი იმასაც კი ამბობს, რომ ჩვენი რევოლუცია არ მიდის «ფორმალური» (!) და «ნამდვილი ფორმის» (!!) შეიარაღებული აჯანყების გზით.

კურიოზი: მენშევიკმა, რომელმაც ფორმალიზმთან ომით დეზები დაიმსახურა, ფორმალურ შეიარაღებულ აჯანყებაზე დაიწყო მსჯელობა! თქვენსავე თავს დააბრალეთ, ამხ. ლარინ, თუ თქვენი აზრი ეგრე შებოჭილია ფორმალურითა და ფორმით. ბოლშევიკები სხვანაირად უყურებდნენ და უყურებენ საქმეს. აჯანყებამდე დიდი ხნით ადრე, III ყრილობაზე, ე. ი. 1905 წ. გაზაფხულზე, მათ განსაკუთრებულ რეზოლუციაში ხაზგასმით აღნიშნეს მასობრივი გაფიცვის კავშირი აჯანყებასთან[11]. მენშევიკებს უყვართ ამაზე დუმილი. ამაოდ. III ყრილობის რეზოლუცია ფაქტიური დამამტკიცებელი საბუთია იმისა, რომ ჩვენ მაქსიმალურად შესაძლო მიახლოებით განვჭვრიტეთ 1905 წლის დამლევის სახალხო ბრძოლის თავისებურებანი. და ჩვენ აჯანყება წარმოდგენილი გვქონდა სრულიადაც არა ჩრდ.-ამერიკისა ან პოლონეთის «ტიპის» მიხედვით, სადაც ლაპარაკიც არ შეიძლებოდა მასობრივ გაფიცვაზე.

ხოლო დეკემბრის შემდეგ ჩვენ აღვნიშნავდით (პროექტი რეზოლუციისა გამაერთიანებელი ყრილობისათვის [97]) აჯანყებისადმი გაფიცვის დამოკიდებულების შეცვლას, გლეხობისა და ჯარის როლს, სამხედრო აფეთქებათა არასაკმარისობას, ჯარის რევოლუციურ-დემოკრატიულ ელემენტებთან შეთანხმების საჭიროებას.

და მოვლენებმა, სათათბიროს პერიოდის განმავლობაში, ერთხელ კიდევ დაადასტურეს აჯანყების გარდუვალობა რუსეთის განმათავისუფლებელ ბრძოლაში.

ლარინის მსჯელობა ფორმალური აჯანყების შესახებ სოციალ-დემოკრატისათვის ყველაზე შეუფერებელი უვიცობაა მიმდინარე რევოლუციის ისტორიაში ან უგულებელყოფა ამ ისტორიისა, რომელიც აჯანყების განსაკუთრებულ ფორმებს გვაძლევს. ლარინის თეზისი: «რუსეთის რევოლუცია არ მიდის აჯანყების გზითაო», ფაქტების დაცინვაა, რადგან თავისუფლებათა ო რ ი ვ ე პერიოდმა რუსეთში (ოქტომბრისამაც და სათათბიროსამაც) სწორედ ა ჯ ა ნ ყ ე ბ ა თ ა «გზა» გვიჩვენა, რა თქმა უნდა, არა ამერიკელებისა და არა პოლონელების, არამედ რუსებისა, XX საუკუნის ეპოქისა. ლარინი მსჯელობს «საზოგადოდ» იმ ქვეყნების აჯანყებათა ისტორიულ მაგალითებზე, სადაც სოფლის ან ქალაქის ელემენტები სჭარბობენ, — მსჯელობს ამერიკასა და პოლონეთზე, ხელს იღებს ყოველგვარ ცდაზე — ოდნავ მაინც შეისწავლოს ან თუნდაც დასახოს რუსეთის აჯანყების თავისებურებანი და ამრიგად იმეორებს მენშევიზმის «მერყევი და გაუბედავი» აზრის ძირითად შეცდომას.

ჩაუფიქრდით «პასიური» რევოლუციის ლარინის კონსტრუქციას. უეჭველია, რომ მოძრაობის ახალი აღმავლობის, ახალი იერიშების ან ახალი ფორმების შემზადების ხანგრძლივი პერიოდები სავსებით შესაძლებელია. მაგრამ ნუ იქნებით დოქტრინიორები, ბატონებო: დააკვირდით, თუ რას ნიშნავს სოფლის ეს «მუდმივი მღელვარება» «მცირე ბრძოლასა», «დამსჯელ ექსპედიციებსა» და პოლიციისა და ჯარის პირადი

შემადგენლობის შ ე ც ვ ლ ა ს თ ა ნ ე რ თ ა დ? თქვენ ხომ არ გესმით, რასაც თვითონვე ამბობთ. თქვენი აწერილი საქმეთა ვითარება სხვა არაფერია, თუ არა ხანგრძლივი პ ა რ ტ ი ზ ა ნ უ ლ ი ო მ ი, რომელსაც ხანგამოშვებით სცვლიან ჯ ა რ ი ს კ ა ც თ ა ა ჯ ა ნ უ ე ბ ე ბ ი ს მთელი რიგი უფრო და უფრო ფართო და ორგანიზებული ა ფ ე თ ქ ე ბ ა ნ ი. თქვენ იმეორებთ ბრაზმორეულ და სალანძღავ სიტყვებს «პარტიზანების», «ანარქისტების», «ანარქო-ბლანკისტ-ბოლშევიკების» მიმართ და სხვ. და ამავე დროს თვითონვე ბოლშევიკურად ხატავთ რევოლუციის სურათს! ჯარის პირადი შემადგენლობის შეცვლა, მისი შეცვლა «უკმაყოფილო სოფლის ელემენტებით». რას ნიშნავს ეს? შეუძლია განა თავი არ იჩინოს იმ სოფლელთა «უკმაყოფილებამ», რომლებისთვისაც მატროსთა ქურთუკები და ჯარისკაცთა მუნდირები ჩაუცვამთ? შეუძლია თუ არა თავი არ იჩინოს მან, როცა ჯარისკაცის მშობლიური სოფლის «მუდმივი მღელვარება» ხდება? როცა ჩვენს ქვეყანაში, ერთი მხრივ, «მცირე ბრძოლა» წარმოებს, ხოლო, მეორე მხრივ, «დამსჯელი ექსპედიციები» თარეშობენ? და შესაძლებელია განა წარმოვიდგინოთ, შავრაზმულ დარბევათა, მთავრობის ძალადობათა, პოლიციის მხრივ აბუჩად აგდების ეპოქაში, ჯარისკაცების ამ უკმაყოფილების ს ხ ვ ა ნ ა ი რ ი გამოხატულება, გარდა სამხედრო აჯანყებისა?

იმეორებთ რა კადეტურ ფრაზებს («ჩვენი რევოლუცია არ მიდის აჯანყების გზით», ეს ფრაზა ხმარებაში შემოიტანეს სწორედ კ ა დ ე ტ ე ბ მ ა 1905 წლის დასასრულს; იხ. მილიუკოვის «ნაროდნაია სვობოდა» [96]), — თქვენ ამავე დროს თვითონვე ხატავთ ახალი აჯანყების გარდუვალობას: «ხელისუფლება დაემხობა პირველი სერიოზული განსაცდელისგანაო». ნუთუ ფიქრობთ, რომ ხელისუფლების სერიოზული განსაცდელი შესაძლებელია ფართო, მრავალფეროვან, რთულ სახალხო მოძრაობაში ისე, რომ წინ არ უძღოდეს მთელი რიგი არასერიოზული და ნაწილობრივი განსაცდელნი? რომ საერთო გაფიცვა შესაძლებელია მთელ რიგ კერძო გაფიცვათა გა-

რეში? საყოველთაო აჯანყება მთელ რიგ დაქუცმაცებულ, წვრილმან, არასაერთო აჯანყებათა გარეშე?

თუ ჯარში იზრდება უკმაყოფილო სოფლის ელემენტი და თუ საზოგადოდ რევოლუცია წინ მიდის, — მაშასადამე, აუცილებელია აჯანყება შავრაზმული ჯარის წინააღმდეგ უ ა ღ რ ე ს ა დ გ ა ა ფ თ რ ე ბ უ ლ ი ბრძოლის ფორმით (რადგან შავრაზმელებიც კავშირდებიან და იწვრთნებიან, ნუ დაივიწყებთ ამას! ნუ დაივიწყებთ, რომ არის სოციალური ელემენტები, რომელნიც შეგნებულ შავრაზმელობას ასაზრდოებენ!), როგორც ხალხის, ისე ჯარის ნაწილის ბრძოლისა. მაშასადამე, უნდა ვემზადოთ, ვამზადოთ მასები, ვემზადოთ თვითონვე უფრო გეგმაზომიერი, შეთანხმებული და შეტევითი აჯანყებისათვის, აი რა გამომდინარეობს ლარინის დებულებებიდან, მისი კადეტური ზღაპრიდან პ ა ს ი უ რ ი (??) რევოლუციის შესახებ. მენშევიკებმა «რუსეთის რევოლუციის მსვლელობას საკუთარი ნაღვლიანობა და სასოწარკვეთილება მიაწერეს» (58), — აღიარებს ლარინი. სწორედ ასეა! პასიურობა წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის თვისებაა და არა რევოლუციისა. პასიურნი არიან ისინი, ვინც აღიარებს არმიის ავსებას უკმაყოფილო სოფლის ელემენტებით, მუდმივი მღელვარებისა და მცირე ბრძოლის აუცილებლობას, — და ამავე დროს ივანე თევდორეს-ძე შპონკის უდარდელობით ანუგეშებს მუშათა პარტიას: «რუსეთის რევოლუცია აჯანყების გზით არ მიდისო».

«მცირე ბრძოლა»? თქვენ გგონიათ, პატივცემულო ლარინ, რომ იგი «ყველაზე ხელსაყრელი გზაა სოფლისათვის შედეგების თვალსაზრისით»? თქვენ მხარს უჭერთ ამ აზრს, მიუხედავად დამსჯელი ექსპედიციებისა, და ასეთ ექსპედიციებსაც კი ყველაზე უფრო ხელსაყრელ გზას აკუთვნებთ? მაგრამ ოდნავ მაინც დაფიქრებულხართ კი იმაზე, თუ რითი განირჩევა მცირე ბრძოლა პარტიზანული ომისაგან? არაფრით, პატივცემულო ამხ. ლარინ.

ამერიკისა და პოლონეთის უხეირო მაგალითების გამო თქვენ გამოგეპარათ ბრძოლის ის განსაკუთრებული ფორმები, რომლებიც წარმოშვა რუსეთის აჯანყებამ, უფრო ხანგრძლივმა, უფრო შეუპოვარმა, დიდ ბრძოლებსა და ბრძოლებს შუა დროის უფრო მეტი მანძილით, ვიდრე ძველი ტიპის აჯანყებები იყო.

ამხ. ლარინი სრულიად დაიბნა, თავი და ბოლო ერთმანეთს ვერ მოაბა. თუ სოფლად მოიპოვება რევოლუციის ნიადაგი, თუ რევოლუცია ფართოვდება და ახალ ძალებს იკრებს, თუ არმიას ავსებს უკმაყოფილო გლეხი, ხოლო სოფლად ხდება და გრძელდება მუდმივი მღელვარება და მცირე ბრძოლა, ეს იმას ნიშნავს, რომ მართალი არიან ბოლშევიკები, რომლებიც იბრძვიან აჯანყების საკითხის მოხსნის წინააღმდეგ. ჩვენ სრულიადაც არ ვქადაგებთ აჯანყებას ყოველგვარ მომენტში, ყოველნაირ პირობებში. მაგრამ ჩვენ მოვითხოვთ, რომ სოციალ-დემოკრატის აზრი მერყევი და გაუბედავი არ იყოს. თუ თქვენ აღიარებთ აჯანყების პ ი რ ო ბ ე ბ ს, — აღიარეთ თვით აჯანყებაც, — აღიარეთ პარტიის განსაკუთრებული ამოცანები აჯანყებასთან დაკავშირებით.

მცირე ბრძოლას უწოდო «ყ ვ ე ლ ა ზ ე უ ფ რ ო ხ ე ლ ს ა ყ რ ე ლ ი გ ზ ა», ე. ი. ხალხის ბრძოლის ყველაზე უფრო ხელსაყრელი ფორმა ჩვენი რევოლუციის განსაკუთრებულ ეპოქაში, — და ამავე დროს არ აღიარო მოწინავე კლასის პარტიის ა ქ ტ ი უ რ ი ამოცანები ამ «ყველაზე უფრო ხელსაყრელი გზის» ნიადაგზე, — ეს იმას ნიშნავს, რომ ვერ აზროვნებდე ან უპატიოსნოდ აზროვნებდე.

II

«პასიურობის თეორია» — ასე შეიძლებოდა გვეწოდებინა ლარინის მსჯელობისათვის «პასიური» რევოლუციის შესახებ, რომელიც ამზადებს «ძველი ხელისუფლების დამხობას პირველი სერიოზული განსაცდელისაგან». და ეს «პასიურობის თეორია», აზრის გაუბედაობის ბუნებრივი ნაყოფი, თავის დაღს ასვამს ჩვენი მომნანიებელი მენშევიკის მთელ ბროშუ-

რას. ლარინი აყენებს საკითხს: რატომაა, რომ ჩვენი პარტია, თუმცა მას უდიდესი იდეური გავლენა აქვს, ასე სუსტია ორგანიზაციულად? არა იმიტომ, მიუგებს ლარინი, რომ ჩვენი პარტია ინტელიგენტურია. მენშევიკების ეს ძველი «კაზიონური» (ლარინის თქმაა) ახსნა არაფრად ვარგა. იმიტომ, რომ ახლანდელი ეპოქისათვის ობიექტურად საჭირო არ იყო სხვანაირი პარტია და არც იყო ობიექტური პირობები სხვანაირი პარტიისათვის. იმიტომ, რომ «სტიქიურ აღტყინებათა პოლიტიკისათვის», როგორიც იყო პროლეტარიატის პოლიტიკა რევოლუციის დასაწყისში, საჭიროც არ იყო პარტია. საჭირო იყო მხოლოდ «ტექნიკური აპარატი სტიქიის» და «სტიქიურ განწყობილებათა მომსახურებისათვის», საპროპაგანდო-საagიტაციო მუშაობისათვის ორ აღტყინებათა შუა პერიოდში. ეს იყო არა პარტია ამ სიტყვის ევროპული მნიშვნელობით, არამედ «ვიწრო — 120 ათასი 9 მილიონზე — გაერთიანება ახალგაზრდა მუშა კონსპირატორებისა»; ცოლშვილიან მუშათა რიცხვი მცირეა; საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის მზადმყოფ მუშათა უმრავლესობა პარტიის გარეთაა.

ახლა სტიქიურ აღტყინებათა დრო მიდის. ანგარიშიანობა იჭერს უბრალო განწყობილების ადგილს. «სტიქიურ აღტყინებათა პოლიტიკის» მაგიერ ჩნდება «გეგმაზომიერი მოქმედების პოლიტიკა». საჭიროა «ევროპული ტიპის პარტია», «ობიექტურ-გეგმაზომიერი პოლიტიკური მოქმედების პარტია». «პარტია-აპარატის» მაგიერ საჭიროა «პარტია-ავანგარდი», «სადაც შეკრებილი უნდა იყოს ყველაფერი, აქტიური პოლიტიკური ცხოვრებისათვის გამოსადეგი, რის გამოყოფაც კი შეუძლია მუშათა კლასს თავისი წრიდან». ესაა გადასვლა «ევროპულ პარტიაზე, რომელიც ანგარიშიანობის საფუძველზე მოქმედებს». ნაცვლად «ოფიციალური მენშევიზმისა, მისი ორჭოფული და გაუბედავი პრაქტიკით, მისი გულგატეხილობითა და თავისი მდგომარეობის გაუგებლობით», «მოდის ევროპული სოციალ-დემოკრატიის ჯანსაღი რეალიზმი». «მისი ხმა მარტო დღევანდელი დღიდან როდი გაისმის საკმაო გარკვეულობით პლეხანოვისა და ◆ქსელროდის ბაგეთაგან, რომლე-

ბიც, სწორედ რომ ვთქვათ, ერთადერთი ევროპელები არიან ჩვენს «ბარბაროსულ» «წრეში»... და, რასაკვირველია, ბარ-ბაროსობის შეცვლა ევროპეიზმით იმედს იძლევა, რომ წარუ-მატებლობა წარმატებით შეიცვლება. «სადაც სტიქიურობა ბატონობს, იქ აუცილებელია შეცდომები შეფასებაში, წარუ-მატებლობა პრაქტიკაში». «სადაც სტიქიაა, — იქ უტოპიზმია, სადაც უტოპიზმია, — იქ წარუმატებლობაა».

ლარინის ამ მსჯელობაში კვლავ გვეცემა თვალში აშკარა შეუსაბამობა ოდნავ სწორი, თუმცა არა ახალი, აზრის პაწაწა მარცვალსა და უკვე პირდაპირ რეაქციული აზრნაკლებობის ვეებერთელა ჩენჩოს შორის. ერთი კოვზი თაფლი არეულია ერთ კასრ კუპრში.

სრულიად უეჭველი და უდავოა, რომ, რამდენადაც კაპიტა-ლიზმი ვითარდება, რამდენადაც გროვდება გამოცდილება ბურ-ჟუაზიული რევოლუციისა თუ ბურჟუაზიული რევოლუციე-ბისა, აგრეთვე მარცხით დამთავრებული სოციალისტური რე-ვოლუციებისაც, — იმდენად იზრდება, ვითარდება, სწავლობს, იწვრთნება, ირაზმება ყველა ქვეყნის მუშათა კლასი. სხვანაი-რად რომ ვთქვათ: იგი მიდის სტიქიურობიდან გეგმაზომიერე-ბისაკენ, — მარტო განწყობილებით ხელმძღვანელობიდან — ყველა კლასის ობიექტური მდგომარეობით ხელმძღვანელობი-საკენ, აღტყინებიდან — მტკიცე ბრძოლისაკენ. ყველაფერი ეს ასეა. ყველაფერი ეს ისევე ძველია, როგორც ქვეყნიერება, და ისევე მიუდგება XX საუკუნის რუსეთს, როგორც XVII საუ-კუნის ინგლისს, XIX საუკუნის 30-იანი წლების საფრანგეთს და XIX საუკუნის დასასრულის გერმანიას.

მაგრამ ლარინის უბედურებაც სწორედ ისაა, რომ მას სრულებით არ ძალუძს იმ მასალის გადამუშავება, რასაც სოციალ-დემოკრატს აძლევს ჩვენი რევოლუცია. რუსული ბარ-ბაროსობის აღტყინებისა და ევროპული გეგმაზომიერების და-პირისპირება მთლიანად იტაცებს მას, როგორც ბავშვს ახალი სურათი. ლარინი გამოთქვამს გაცვეთილ აზრს, რაც ყველა ეპოქაზე ითქმის საზოგადოდ და ის კი ვერ გაუგია, რომ ამ გაცვეთილი აზრის გულუბრყვილო მიყენება უშუალოდ-რევო-

ლუციური ბრძოლის ეპოქისადმი მის ხელში იქცევა რევოლუციისადმი რ ე ნ ე გ ა ტ უ ლ დამოკიდებულებად. ეს ტრაგიკომიკური იქნებოდა, ლარინის გულწრფელობა რომ ყოველივე ეჭვს არ აქარწყლებდეს იმის შესახებ, რომ იგი შ ე უ გ ნ ე ბ ლ ა დ აყოლებს ხმას რევოლუციის რენეგატებს.

სტიქიური აღტყინება ბარბაროსებისა, გეგმაზომიერი მოქმედება ევროპელებისა... ეს წმინდა კადეტური ფორმულა და კადეტური იდეაა, იდეა რუსეთის რევოლუციის გამცემლებისა, რომელნიც აღტაცებაში მოდიან «კონსტიტუციურობით» მურომცევის მსგავსად, იმ მურომცევისა, რომელმაც გამოაცხადა: «სათათბირო მთავრობის ნაწილიაო», ან ლაქია როდიჩევის მსგავსად, რომელიც გაიძახოდა: «კადნიერებაა მონარქი ჩასთვალო დარბევის პასუხისმგებლადო». კადეტებმა შეჰქმნეს რენეგატების მთელი ლიტერატურა (იზგოევები, სტრუვეები, პროკოპოვიჩები, პორტუგალოვები **et tutti quanti** *), რომელნიც ჰკილავდნენ ს ტ ი ქ ი ი ს ს ი გ ი ჟ ე ს, ესეიგი რევოლუციას. ლიბერალ ბურჟუას, როგორც არაკის ცნობილ ცხოველს, არ შეუძლია აიხედოს ზევით და გაიგოს, რომ მხოლოდ ხალხის «აღტყინების» წყალობით სულდგმულობს ჩვენში თავისუფლების თუნდაც ნასახი.

და ლარინი, რომელიც გულუბრყვილოდ მოკლებულია კრიტიკის უნარს, უკან მისჩანჩალებს ლიბერალს. ლარინს არ ესმის, რომ მის მიერ აღძრულ საკითხს ორი მხარე აქვს: 1) დაპირისპირება სტიქიური ბრძოლისა ასეთივე გაქანების, ასეთივე ფორმების გეგმაზომიერი ბრძოლისადმი და 2) დაპირისპირება რევოლუციური (ვიწრო აზრით) ეპოქისა კონტრრევოლუციური ან «მხოლოდ-კონსტიტუციური» ეპოქისადმი. ლარინის ლოგიკა მეტისმეტად მოიკოჭლებს. სტიქიურ პოლიტიკურ გაფიცვას იგი გეგმაზომიერ პოლიტიკურ გაფიცვას კი არ უპირისპირებს, არამედ გეგმაზომიერ მონაწილეობას, ვთქვათ, ბულიგინის სათათბიროში. სტიქიურ აჯანყებას უპირისპირებს არა გეგმაზომიერ აჯანყებას, არამედ გეგმაზომიერ

* — და ყველა დანარჩენნი. რ ე დ.

პროფესიულ ბრძოლას. და ამიტომაც მისი მარქსისტული ანალიზი კონტრრევოლუციის მეშჩანურ-ტლანქ აპოთეოზს ემსგავსება.

ევროპის სოციალ-დემოკრატია არის «ობიექტურ-გეგმაზომიერი პოლიტიკური მოქმედების პარტია», აღტაცებული ტიტინებს ლარინი. ბალღი! იგი ვერ ამჩნევს, რომ აღტაცებულია განსაკუთრებით ვიწრო «მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ», რომლითაც ევროპელები იძულებული ხდებოდნენ დაკმაყოფილებულიყვნენ ისეთ ეპოქებში, როდესაც არ იყო უშუალოდ რევოლუციური ბრძოლა. იგი ვერ ამჩნევს, რომ აღტაცებულია კ ა ნ ო ნ ი ე რ ე ბ ი ს ფარგლებში მოქცეული ბრძოლის გეგმაზომიერებით და ჰკილავს სტიქიურ ბრძოლას' ძ ა ლ ა უ ფ ლ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს, რომელიც «კანონიერების» ფარგლებს საზღვრავს. რუსების სტიქიურ აჯანყებას 1905 წ. დეკემბერში იგი ადარებს' არა გერმანელების 1849 წლის, ფრანგების 1871 წლის «გეგმაზომიერ» აჯანყებებს, არამედ გერმანიის პროფესიული კავშირების ზრდის გეგმაზომიერებას. რუსების სტიქიურ და მარცხით დამთავრებულ საერთო გაფიცვას' 1905 წ. დეკემბერში იგი ბელგიელების 1902 წლის «გეგმაზომიერ» დ ა დ ა მ ა რ ცხ ე ბ უ ლ საყოველთაო გაფიცვას კი არ ადარებს [99], არამედ ბებელისა ან ვანდერველდეს მიერ რეიხსტაგში წარმოთქმულ გეგმაზომიერ სიტყვას.

ამიტომ, ლარინს არ ესმის ის მსოფლიო-ისტორიული პროგრესი პროლეტარიატის მასობრივ ბრძოლაში, რასაც 1905 წ. ოქტომბრის გაფიცვა და 1905 წ. დეკემბრის აჯანყება მოასწავებს. ხოლო რუსეთის რევოლუციის ის რ ე გ რ ე ს ი (რაც, მისივე ს ა კ უ თ ა რ ი შეხედულებით, დ რ ო ე ბ ი თ ი ა), რომელიც გამოიხატება კ ა ნ ო ნ ი ე რ ე ბ ი ს ფარგლებში წარმოებული მოსამზადებელი მოქმედების აუცილებლობით (პროფესიული კავშირები, არჩევნები და სხვ.), მას მიაჩნია პ რ ო გ რ ე ს ა დ სტიქიურიდან გეგმაზომიერისაკენ, განწყობილებიდან ანგარიშიანობისაკენ და სხვ.

ამიტომ რევოლუციური მარქსისტის მორალის მაგიერ (სტიქიური პოლიტიკური გაფიცვის მაგიერ საჭიროა გეგმაზომიერი პოლიტიკური გაფიცვა; სტიქიური აჯანყების მაგიერ საჭიროა გეგმაზომიერი აჯანყება) მას გამოუდის რენეგატ-კადეტის მორალი («სტიქიის სიგიჟის»: გაფიცვის, აჯანყების მაგიერ საჭიროა სტოლიპინის კანონებისადმი გეგმაზომიერი დამორჩილება და შავრაზმულ მონარქიასთან გეგმაზომიერი შეთანხმებაო).

არა, ამხანაგო ლარინ, თქვენ რომ მარქსიზმის დედააზრი შეგეთვისებინათ, და არა მარტო სიტყვები, გეცოდინებოდათ რევოლუციური დიალექტიკური მატერიალიზმის განსხვავება «ობიექტურ» ისტორიკოსთა ოპორტუნიზმისაგან. გაიხსენეთ თუნდ მარქსის ნათქვამი პრუდონზე. მარქსისტი უარს როდი ამბობს კანონიერების ფარგლებში ბრძოლაზე, მშვიდობიან პარლამენტარიზმზე, ისტორიული მუშაობის იმ ფარგლებისადმი «გეგმაზომიერ» დამორჩილებაზე, ბისმარკებსა და ბენიგსენებს, სტოლიპინებსა და მილიუკოვებს რომ განუსაზღვრავთ. მაგრამ მარქსისტი, იყენებს რა ყ ო ვ ე ლ ნ ა ი რ, რეაქციულ ნ ი ა დ ა გ ს ა ც კი რევოლუციისათვის საბრძოლველად, რეაქციის აპოთეოზამდე როდი ჩამოქვეითდება, არ ივიწყებს მ ო ღ ვ ა წ ე ო ბ ი ს ს ა უ კ ე თ ე ს ო შ ე ს ა ძ ლ ო ნ ი ა დ ა გ ი ს ა თ ვ ი ს ბრძოლას. ამიტომ მარქსისტი პ ი რ ვ ე ლ ი განჭვრეტს ხოლმე რევოლუციური ეპოქის დადგომას და იწყებს ხალხის გაღვიძებას, ზარების რეკვას ჯერ კიდევ მაშინ, როცა ფილისტერებს ერთგული ქვეშევრდომების მონური ძილით სძინავთ. ამიტომ მარქსისტი პ ი რ ვ ე ლ ი დაადგება ხოლმე აშკარა რევოლუციური ბრძოლის გზას, ებმება უშუალო შეტაკებაში, ამჟღავნებს ყოველგვარ სოციალურად და პოლიტიკურად ჭკუამოკლეთა შემარიგებლურ ილუზიებს. ამიტომ მარქსისტი უ კ ა ნ ა ს კ ნ ე ლ ი სტოვებს უშუალოდ-რევოლუციური ბრძოლის გზას, სტოვებს მხოლოდ მაშინ, როცა ყოველი შესაძლებლობა ამოწურულია, როცა იმედის ნ ა ს ა ხ ი ც კი აღარაა უფრო მოკლე გზისა, როცა მოწოდება მასობრივი გაფიცვებისა, აჯანყებისა და სხვა ამგ-

ვარის მზადებისაკენ აშკარად ჰკარგავს ნიადაგს. ამიტომ მარქსისტი ზიზღით უპასუხებს რევოლუციის იმ უთვალავ რენეგატებს, რომლებიც მას უყვირიან: ჩვენ შენზე უფრო «პროგრესულნი» ვართ, ჩვენ უფრო ადრე ვთქვით უარი რევოლუციაზე! ჩვენ უფრო ადრე «დავემორჩილეთ» მონარქიულ კონსტიტუციასაო!

ორში ერთი, ამხანაგო ლარინ. ფიქრობთ თუ არა თქვენ, რომ საზოგადოდ უკვე აღარ არის ნიადაგი აჯანყებისა და რევოლუციისათვის ამ სიტყვის ვიწრო აზრით? მაშინ თქვით ეს პირდაპირ და დაგვიმტკიცეთ მარქსისტულად, ეკონომიური ანალიზით, სხვადასხვა კლასის პოლიტიკურ მისწრაფებათა აღნუსხვით, იდეურ მიმდინარეობათა მნიშვნელობის გარჩევით. დაამტკიცეთ? მაშინ ჩვენ ფრაზიორობად გამოვაცხადებთ სიტყვებს აჯანყების შესახებ. მაშინ ვიტყვით: ჩვენ დიდი რევოლუცია კი არ გვქონია, არამედ ჯიბეში დამალული დიდი მუშტი. მუშებო! ბურჟუაზიამ და მეშჩანებმა (მათ შორის გლეხებმა) გიღალატეს და მიგატოვეს. მაგრამ ჩვენი მეცადინეობის მიუხედავად მათ მიერ შექმნილ ნიადაგზე ვიმუშაოთ შეუპოვრად, მოთმინებით და მტკიცედ სოციალისტური რევოლუციისათვის, რომელიც არ იქნება ისე სანახევრო და უბადრუკი, ფრაზებით ისე მდიდარი და შემოქმედებით ღარიბი, როგორც ბურჟუაზიული რევოლუცია!

ან იქნება თქვენ მართლაც გწამთ ის, რასაც ამბობთ, ამხანაგო ლარინ? თქვენ გჯერათ, რომ რევოლუცია იზრდება, რომ მცირე ბრძოლა და ყრუ მღელვარება რაღაც 2 — 3 წლის განმავლობაში მოამზადებენ ახალ უკმაყოფილო არმიას და ახალ «სერიოზულ განსაცდელს»? რომ «სოფელი ვერ დაწყნარდება»? მაშინ უნდა აღიაროთ, რომ «აღტყინებანი» საყოველთაო-სახალხო აღშფოთების ძალას გამოხატავენ და არა ჩამორჩენილი ბარბაროსობის ძალას, — რომ ჩვენი მოვალეობაა სტიქიური აჯანყება გეგმაზომიერ აჯანყებად გადავაქციოთ, ვიმუშაოთ მტკიცედ და შეუპოვრად, მრავალი თვის, თუნდ წლების განმავლობაშიც, ასეთი გარდაქმნისათვის, და

არა უარვყოთ აჯანყება, როგორც ამას ყოველგვარი იუდა სჩადის.

ახლანდელი თქვენი პოზიცია კი, ამბ. ლარინ, სწორედ «ნაღვლიანობა და სასოწარკვეთილებაა», აზრის «მერყეობა და გაუბედაობა», საკუთარი პასიურობის თავს მოხვევა ჩვენი რევოლუციისათვის.

სწორედ ამას, და მხოლოდ ამას ნიშნავს თქვენ მიერ ზეიმით გამოცხადება ბოიკოტისა შეცდომად. ეს ბეცი და უხამსი ზეიმია. თუ ბოიკოტის უარყოფა «პროგრესულია», მაშინ ყველაზე პროგრესული ყოფილან «რუსსკიე ვედომოსტის» მემარჯვენე კადეტები, რომელნიც ებრძოდნენ ბულიგინის სათათბიროს ბოიკოტს, მოუწოდებდნენ სტუდენტებს — «თქვენი საქმეა სწავლა და არა ამბოხებაო». ჩვენ არა გვშურს რენეგატების ეს პროგრესულობა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ვიტეს სათათბიროს ბოიკოტის «შეცდომად» გამოცხადება (იმ სათათბიროსი, რომლის მოწვევაც რაღაც 3 — 4 თვით ადრე არავის სჯეროდა) და დ უ მ ი ლ ი იმათი შეცდომების შესახებ, ვინც მოგვიწოდებდა ბულიგინის სათათბიროში მონაწილეობა მიგვეღო, — ნიშნავს რევოლუციური მებრძოლის მატერიალიზმი შესცვალო იმ პროფესორის «ობიექტივიზმით», რომელიც რეაქციის წინაშე მლიქვნელობს. ჩვენ ვფიქრობთ, იმათი მდგომარეობა უკეთესია, ვინც მართლაც ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი სცადა პირდაპირი ბრძოლის გზაზე და უ კ ა ნ ა ს კ ნ ე ლ ი წავიდა სათათბიროში, წავიდა შემოსავლელი გზით, ვიდრე იმათი მდგომარეობა, ვინც პირველი მოგვიწოდებდა მონაწილეობა მიგვეღო ბულიგინის სათათბიროში ხალხის იმ აჯანყების წინადღით, რომელმაც ეს სათათბირო აღგავა.

ხოლო ლარინისათვის მით უფრო მიუტევებელია ეს კადეტური ფრაზა ბოიკოტის მცდარობის შესახებ, რომ იგი გ უ ლ მ ა რ თ ლ ა დ ლაპარაკობს იმაზე, თუ მენშევიკები როგორ «ი გ ო ნ ე ბ დ ნ ე ნ ს ა თ ა თ ბ ი რ ო ს ბ ო ი კ ო ტ ი ს მ ი ზ ნ ი თ ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ბ რ ძ ნ ულ და ე შ მ ა კ უ რ ხ რ ი კ ე ბ ს, დ ა წ ყ ე ბ უ ლ ი ს ა ა რ ჩ ე ვ ნ ო ს ა წ ყ ი ს ი თ დ ა ე რ ო ბ ი ს კ ა მ პ ა ნ ი ი თ და გ ა თ ა ვ ე ბ უ ლ ი პ ა რ-

ტიის შემოკრებით არჩევნებში მონაწილეობის გზით» (57). მენშევიკები მოუწოდებდნენ მუშებს სათათბიროს არჩევნებისათვის, თუმცა თვითონ არა სჯეროდათ, რომ შეიძლებოდა სათათბიროში წასვლა. განა უფრო სწორი არ იყო იმათი ტაქტიკა, ვინც, რაკი ეს არა სწამდა, ბოიკოტს უცხადებდა სათათბიროს? ვინც ხალხის მოტყუებად აცხადებდა სათათბიროსათვის «ხელისუფლების» დარქმევას (რა სახელიც მურომცევზე ადრე მენშევიკებმა უწოდეს მას გამაერთიანებელი ყრილობის რეზოლუციაში)? ვინც სათათბიროში წავიდა მხოლოდ მაშინ, როცა ბურჟუაზიამ საბოლოოდ უღალატა ბოიკოტის პირდაპირ გზას და გვაიძულა შემოვლით გვევლო, მაგრამ არა იმ მიზნით და არც ისე, როგორც კადეტები მიდიან?

III

პარტია-აპარატისა და პარტია-ავანგარდის დაპირისპირება, რასაც ლარინი სჩადის, ან პოლიციასთან მებრძოლთა პარტიის დაპირისპირება შეგნებულ პოლიტიკურ მებრძოლთა პარტიასთან, ღრმა და «წმინდა-პროლეტარული» სულისკვეთებით აღსავსე ჩანს. ნამდვილად კი ეს სწორედ ისეთივე ინტელიგენტური ოპორტუნიზმია, როგორიც იყო სათანადო დაპირისპირება, რასაც 1899 — 1901 წლებში რაბოჩაიამისლელები და აკიმოველები მიმართავდნენ.[100]

ერთი მხრივ, როცა არსებობს ობიექტური პირობები მასების უშუალო-რევოლუციური შეტევისათვის, მაშინ «სტიქიის მომსახურება» პარტიის უმაღლესი პოლიტიკური ამოცანაა. ასეთი რევოლუციური მუშაობის დაპირისპირება «პოლიტიკასთან» იმას ნიშნავს, რომ პოლიტიკა პოლიტიკანობამდე დააქვეითო. ეს ნიშნავს იმას, რომ ქება შეასხა სათათბიროსეული ბრძოლის პოლიტიკას, უფრო მაღლა დააყენო იგი, ვიდრე მასების პოლიტიკა იყო ოქტომბერსა და დეკემბერში, — ე. ი. ნიშნავს სწორედ იმას, რომ პროლეტარულ-რევოლუციური თვალსაზრისიდან ინტელიგენტურ-ოპორტუნისტულ თვალსაზრისზე გადახვიდე.

ბრძოლის ყოველი ფორმა შესაფერ ტექნიკასა და შესაფერ აპარატს მოითხოვს. როცა ბრძოლის მთავარ ფორმად ობიექტური პირობების გამო პარლამენტური ბრძოლა ხდება, პარტიაში აუცილებლად ძლიერდება პარლამენტური ბრძოლისათვის განკუთვნილი აპარატის თვისებები. პირიქით, როცა ობიექტური პირობები წარმოშობენ მასების ბრძოლას მასობრივი პოლიტიკური გაფიცვებისა და აჯანყებების სახით, პროლეტარიატის პარტიას უ ნ დ ა ჰქონდეს ისეთი «აპარატები», რომლებიც «მომსახურებას» გაუწევენ ბრძოლის ს წ ო რ ე დ ა მ ფორმებს, და თავისთავად იგულისხმება, რომ ეს უნდა იყოს განსაკუთრებული «აპარატები», რომლებიც პარლამენტურს არა ჰგავს. პროლეტარიატის დარაზმული პარტია, რომელიც აღიარებს სახალხო აჯანყებათათვის საჭირო პირობების არსებობას და შესაფერი აპარატისათვის არ ზრუნავს, მოლაყბე ინტელიგენტების პარტია იქნება; მუშები ჩამოშორდებიან მას და მიემხრობიან ანარქიზმს, ბურჟუაზიულ რევოლუციონიზმს და სხვ.

მეორე მხრივ, თვითეული კლასის, მათ შორის პროლეტარიატის, პოლიტიკური ხელმძღვანელი ავანგარდის შემადგენლობა დამოკიდებულია ამ კლასის მდგომარეობაზედაც და მისი ბრძოლის მთავარ ფორმაზედაც. ლარინი უჩივის, მაგალითად, იმას, რომ ჩვენს პარტიაში სჭარბობს მუშა ახალგაზრდობა, რომ ცოლშვილიანი მუშები ცოტანი გვყვანან, რომ ისინი შორდებიან პარტიას. რუსი ოპორტუნისტის ამ ჩივილმა მომაგონა ენგელსის ნაწერის ერთი ადგილი (მგონი, «ბინის საკითხში», «Zur Wohnungsfrage»). უპასუხებდა რა ვიღაც უხამს ბურჟუაზიულ პროფესორს, გერმანელ კადეტს, ენგელსი წერდა: განა ბუნებრივი არ არის, რომ ჩვენს პარტიაში, რევოლუციის პარტიაში, ახალგაზრდობა სჭარბობს? ჩვენ მომავლის პარტია ვართ, მომავალი კი ახალგაზრდობას ეკუთვნის. ჩვენ ნოვატორების პარტია ვართ, ხოლო ნოვატორებს ყოველთვის მეტი ხალისით მისდევს ახალგაზრდობა. ჩვენ ვართ პარტია ძველი სიდამპლის წინააღმდეგ თავგანწირული ბრძოლისა, ხოლო თავგანწირულ ბრძოლაში ყოველთვის პირველი წავა ახალგაზრდობაო.

არა, სჯობია კადეტებს დავუთმოთ 30 წლის ასაკის' «დაღლილი» მოხუცების, «მოჭკვიანებული» რევოლუციონერებისა და სოციალ-დემოკრატიის რენეგატების შემოკრება. ჩვენ მუდამ ვიქნებით მოწინავე კლასის ახალგაზრდობის' პარტია!

თვითონ ლარინიც უნებურად და გულახდილად აღიარებს', თუ რატომ ასე ებრალება მას ბრძოლით დაღლილი ცოლშვილიანი ხალხი. ასეთი დაღლილების ბლომად მოგროვება პარტიაში მას «უფრო ზანტს გახდიდა და მოსპობდა პოლიტიკური ავანტიურის ნიადაგს» (18 გვ.).

აი ასე სჯობია, კეთილო ლარინ! რა საჭიროა ცბიერება და თავის მოტყუება? თქვენ გესაჭიროებათ არა პარტია-ავანგარდი, არამედ პ ა რ ტ ი ა-ა რ ი ე რ გ ა რ დ ი, მოქმედებისათვის რომ ზანტი იყოს. ასე პირდაპირ უნდა ილაპარაკოთ!

...«მოსპობდა პოლიტიკური ავანტიურის ნიადაგს»... დამარცხებულა რევოლუციები ევროპაშიც, ყოფილა 1848 წლის ივნისის დღეები, მაისისა 1871 წელს, მაგრამ სოციალ-დემოკრატები, კომუნისტები, რომელთაც თავისი ამოცანა იმაში დაენახოთ, რომ რევოლუციაში მასების გამოსვლა «ავანტიურად» გამოეცხადებინოთ, — ეს ჯერჯერობით არ ყოფილა. ამისათვის საჭირო იყო, რომ რევოლუციურ მარქსისტებად ჩაწერილიყვნენ (იმედი უნდა ვიქონიოთ, არა დიდი ხნით) უხასიათონი და მხდალნი, თავის იმედის არმქონენი და რეაქციისკენ მოვლენათა ყოველი შეტრიალებით გულგატეხილნი — რუსეთის ფილისტერები, უკაცრაული პასუხია, «ინტელიგენციად» წოდებულნი.

...«მოსპობდა ავანტიურის ნიადაგს»! მაგრამ თუ ასეა, მაშინ პირველი ა ვ ა ნ ტ ი უ რ ი ს ტ ი თვითონ ლარინია, რადგან იგი «მცირე ბრძოლას» რევოლუციის ყ ვ ე ლ ა ზ ე უ ფ რ ო ხ ე ლ ს ა ყ რ ე ლ გზას უწოდებს, რადგან მ ა ს ე ბ ს რ ე ვ ო ლ უ ც ი ი ს ზ რ დ ი ს რწმენას უ ნ ე რ გ ა ვ ს, უნერგავს რწმენას, რომ 2 — 3 წლის შემდეგ უკმაყოფილო სოფელი აავსებს ჯარს, «ძველი ხელისუფლება დაემხობა» «პირველივე სერიოზული განსაცდელისგან»!

მაგრამ ლარინი ავანტიურისტია კიდევ სხვა, გაცილებით უფრო ცუდი და უფრო წვრილმანი აზრითაც. იგი დამცველია მუშათა ყრილობისა და «უპარტიო პარტიისა» (მისი თქმაა!). სოციალ-დემოკრატიის ნაცვლად საჭიროა «სრულიად რუსეთის მუშათა პარტია», — «მუშათა» იმიტომ, რომ შიგ უნდა შევიყვანოთ წვრილბურჟუაზიული რევოლუციონერები, ს.-რ., ბ. ს. ბ., ბელორუსიის გრომადა [101] და სხვ.

ლარინი აქსელროდის თაყვანისმცემელია. მაგრამ სამსახური კი დათვური გაუწია მას. მან ისე შეაქო მისი «ახალგაზრდული ენერგია», მისი «ჭეშმარიტი პარტიული მამაცობა» მუშათა ყრილობისათვის ბრძოლაში, ისე მხურვალედ ჩაიკრა გულში, რომ... ხვევნაში დაახრჩო! აქსელროდის ბუნდოვანი «იდეა» მუშათა ყრილობისა ჩაჰკლა გულუბრყვილო და გულმართალმა პრაქტიკოსმა, რომელმაც აიღო და ერთბაშად წამოროშა ყველაფერი ის, რაც დაფარული უნდა ყოფილიყო მუშათა ყრილობის წარმატებითი პროპაგანდისათვის. მუშათა ყრილობა ნიშნავს «აბრის მოხსნას» (მე-20 გვ. ლარინისა, რომლისათვისაც სოციალ-დემოკრატიზმი მარტოოდენ აბრაა), ნიშნავს ე ს ე რ ე ბ თ ა ნ და პროფესიულ კავშირებთან შ ე ე რ თ ე ბ ა ს.

მართალია, ამხ. ლარინ! გულმართლობისათვის მაინც გმადლობთ! მუშათა ყრილობა მართლაც ნიშნავს ყოველივე ამას. სწორედ აქეთკენ წაგვიყვანდა იგი მის მომწვევთა ნების წინააღმდეგაც კი. და სწორედ ამიტომ მუშათა ყრილობა ახლა წვრილმანი ოპორტუნისტული ავანტიურაა! წვრილმანი, რადგან მას რაიმე ფართო იდეა კი არ უდევს სარჩულად, არამედ მხოლოდ ინტელიგენტის დაღლილობა მარქსიზმისა გულისათვის შეუპოვარი ბრძოლის გამო. ოპორტუნისტული — ამავე მიზეზით და იმიტომ, რომ მუშათა პარტიაში ათასობით უშვებენ ჯერ კიდევ საბოლოოდ სრულიად გამოურკვეველ წვრილ ბურჟუებს. ავანტიურა, რადგან ახლანდელ პირობებში ასეთი ცდა მშვიდობას კი არ მოგვიტანდა, არც დადებით მუშაობას, არც თანამშრომლობას ესერებისა და სოციალ-დემოკრატებისას, რომლებსაც ლარინი თავაზიანად უთმობს

«ფართო პარტიის შიგნით პროპაგანდისტულ საზოგადოებათა» როლს (გვ. 40), არამედ განუსაზღვრელად გააძლიერებდა ბრძოლას, უთანხმოებას, გათიშვას, იდეურ დაბნეულობას, პრაქტიკულ დეზორგანიზაციას.

ერთი საქმეა იწინასწარმეტყველო, რომ ესერების «ცენტრი», ენესებისა და მაქსიმალისტების ჩამოშორების შემდეგ, სოციალ-დემოკრატებთან უ ნ დ ა მივიდეს *. სხვა საქმეა ხეზე ძვრებოდე ვაშლის მოსაწყვეტად, რომელიც მწიფდება მხოლოდ, მაგრამ ჯერ კიდევ არ დამწიფებულა. ან კისერს მოიტეხთ, ფრიად პატივცემულო, ან კუჭს გაიფუჭებთ მკვახე ხილით.

ლარინი ასაბუთებს «ბელგიით» — სრულებით ისე, როგორც 1899 წელს რ. მ. («რაბოჩაია მისლის» რედაქტორი) და ბ-ნი პროკოპოვიჩი (როცა იგი სოციალ-დემოკრატის «სტიქიურ აღტყინებას» განიცდიდა და იმდენად კიდევ არ «დაჭკვიანებულიყო», «რომ გეგმაზომიერად მოქმედი» კადეტი გამხდარიყო). ლარინის ბროშურას წესიერად აქვს დართული წესიერი თარგმანი ბელგიის მუშათა პარტიის წესდებისა! კეთილ ლარინს დავიწყებია რუსეთში გადმოეტანა ბელგიის სამრეწველო პირობები და ისტორია. მთელი რიგი ბურჟუაზიული რევოლუციების შ ე მ დ ე გ, პრუდონის წვრილბურჟუაზიული კვაზი-სოციალიზმის წინაღმდეგ ათეული წლების ბრძოლის შ ე მ დ ე გ, სამრეწველო კაპიტალიზმის გიგანტური, მთელ ქვეყნიერებაზე კინაღამ უმაღლესი, განვითარების პ ი რ ო ბ ე ბ შ ი, — მუშათა ყრილობა და მუშათა პარტია ბელგიაში არაპროლეტარული სოციალიზმიდან პროლეტარულზე გადასვლა იყო. რუსეთში, გაჩაღებული ბურჟუაზიული რევოლუციის დროს, რომელიც ა უ ც ი ლ ე ბ ლ ა დ ამრავლებს წვრილბურჟუაზიულ იდეებსა და წვრილბურჟუაზიულ იდეოლოგებს, გლეხობისა და პროლეტარიატის მომიჯნავე ფენებში მზარდი «ტრუდოვიკული» მიმდინარეობის არსებობის დროს, თითქმის ათი წლის ისტორიის მქონე ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი მუშათა პარტიის არსებობის დროს, — მუშათა

* იხ. ეს ტომი, გვ. 223. რ ე დ.

ყრილობა ცუდი გამოგონებაა, შეერთება ესერებთან (ვინ იცის? შეიძლება, 30 ათასი, შეიძლება 60 ათასიც იყოსო — გულუბრყვილოდ ამბობს ლარინი) ინტელიგენტური ახირებაა.

დიახ, დიახ, ისტორიამ იცის ირონიის გამოყენება! მრავალი წლის განმავლობაში ყურებს გვიჭედდნენ მენშევიკები ესერობასთან ბოლშევიკების სიახლოვის შესახებ. და აი ბოლშევიკები უარყოფენ მუშათა ყრილობას, სხვათა შორის სწ ო რ ე დ ი მ ი ტ ო მ, რომ იგი დაჩრდილავდა პროლეტარიატისა და წვრილი მეპატრონის თვალსაზრისთა განსხვავებას (იხ. პკ რეზოლუცია[102] «პროლეტარში» № 3). მ ე ნ შ ე ვ ი კ ი კ ი მომხრეა ე ს ე რ ე ბ თ ა ნ შ ე ე რ თ ე ბ ი ს ა მუშათა ყრილობის დაცვასთან დაკავშირებით. ეს უბადლო რამ არის.

— მე არ მინდა პარტია კლასში გავთქვიფოო, — თავს იმართლებს ლარინი. — მე მინდა მხოლოდ ავანგარდი გავაერთიანო, 900 ათასი 9 მილიონიდანაო (17 და 49 გვ.).

ავიღოთ საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკის 1903 წლის ოფიციალური ციფრები. ფაბრიკა-ქარხნის მუშა სულ არის 1 640 406. აქედან ქარხნებში, სადაც 500-ზე მეტი მუშაა, — 797 997; ქარხნებში, სადაც 100-ზე მეტი მუშაა, — 1 261 363. მუშათა რიცხვი უდიდეს ქარხნებში (800 000) ცოტათი ნაკლებია იმ რიცხვზე, რასაც ლარინი იძლევა ესერებთან გაერთიანებული მუშათა პარტიისათვის!

ამრიგად, ლარინს იმედი არა აქვს, რომ ჩვენ რუსეთში, როცა უკვე ახლა გვყავს სოციალ-დემოკრატიული პარტიის 150 — 170 ათასამდე წევრი, როცა უდიდეს ქარხნებში 800 ათასი მუშაა, როცა არსებობს მსხვილი სამთო საწარმოები (რომელნიც ამ ჯამში არ შესულან), როცა ვაჭრობაში, სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტზე და სხვაგან თავმოყრილია დიდძალი წმინდა პროლეტარული ელემენტი, — რომ ჩვენ მოკლე დროში შეგვეძლოს მოვუპოვოთ სოციალ-დემოკრატიას 900 ათასი პ რ ო ლ ე ტ ა რ ი, როგორც პარტიის წევრი?? ეს გასაოცარია, მაგრამ ფაქტია.

მაგრამ ლარინის ურწმუნეობა ინტელიგენტის აზრის გაუბედაობაა და მეტი არაფერი.

ჩვენ სავსებით გვწამს, რომ ასეთი ამოცანის განხორციელება შესაძლებელია. წინააღმდეგ «მუშათა ყრილობის» და «უპარტიო პარტიის» ავანტიურისა, ჩვენ ვაყენებთ ლოზუნგს: გაფართოება ხუთმაგად და ათმაგად ჩვენი სოციალ-დემოკრატიული პარტიისა, ოღონდ უპირატესად და თითქმის მხოლოდ და მხოლოდ წმინდა-პროლეტარული ელემენტებით და მხოლოდ და მხოლოდ რევოლუციური მარქსიზმის იდეური დროშით *.

ახლა, დიდი რევოლუციის ერთი წლის შემდეგ, ყოველნაირი პარტიების სწრაფი განვითარების დროს, პროლეტარიატის გამოყოფა დამოუკიდებელ პარტიად უფრო სწრაფად ხდება, ვიდრე ოდესმე. სათათბიროს არჩევნები ხელს შეუწყობს ამას (რასაკვირველია, თუ კადეტებთან ოპორტუნისტულ ბლოკს არ მოვაწყობთ). ღალატი ბურჟუაზიისა საზოგადოდ და წვრილი ბურჟუაზიისა განსაკუთრებით (ენესები) განამტკიცებს რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიას.

ჩვენ მივაღწევთ ლარინის «იდეალს» (პარტიის 900 ათასი წევრი) — ჩვენ ამ იდეალს გადავაჭარბებთ კიდეც იმავე გზაზე შეუპოვარი მუშაობით და არა ავანტიურების საშუალებით. პარტიის გაფართოება პროლეტარული ელემენტით ახლა მართლაც საჭიროა. არანორმალურია, რომ პიტერში პარტიის მხოლოდ 6 ათასი წევრია (81 ათასი მუშა სპბ. გუბერნიის იმ ქარხნებში, სადაც 500 და მეტი მუშაა; სულ 150 ათასი

* პროფესიული კავშირების მოქცევა პარტიაში, რასაც ლარინი გვირჩევს, არ არის რაციონალური. ეს შეკვეცავს მუშათა მოძრაობას და მის ბაზას. მეპატრონეთა წინააღმდეგ საბრძოლველად ჩვენ ყოველთვის გავაერთიანებთ მუშათა გაცილებით მეტ რიცხვს, ვიდრე სოციალ-დემოკრატიული პოლიტიკისათვის. ამიტომ (წინააღმდეგ ლარინის მცდარი მტკიცებისა, რომ ბოლშევიკები უპარტიო პროფკავშირების წინააღმდეგ გამოდიოდნენ), — ამიტომ ჩვენ მომხრე ვართ უპარტიო პროფკავშირებისა, როგორც ამის მომხრე იყო ჯერ კიდევ 1902 წელს ავტორი «იაკობინური» (ოპორტუნისტების აზრით, იაკობინური) ბროშურისა: «რა ვაკეთოთ?». (იხ. თხზულებანი, გამოც. 4, ტომი 5, გვ. 572 — 573. რედ.)

მუშა), — რომ ცენტრალურ სამრეწველო რაიონში სულ პარტიის 20 ათასი წევრია (377 ათასი მუშა ისეთ ქარხნებში, სადაც 500 და მეტი მუშაა; სულ 562 ათასი მუშა). უნდა შეგვწევდეს უ ნ ა რ ი, რომ ასეთ ცენტრებში ხუთჯერ და ათჯერ მეტი მუშა ჩავაბათ პარტიაში *. ამაში ლარინი სავსებით და უთუოდ მართალია. მაგრამ ინტელიგენტურ სულმოკლეობასა და ინტელიგენტურ ნერვიულობას არ უნდა ავყვეთ. ამას მივაღწევთ ჩვენს ს ო ც.-დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ გზაზე, უავანტიურად.

IV

ერთადერთი «სასიხარულო მოვლენა» ამხ. ლარინის ბროშურაში არის მისი მხურვალე პროტესტი კადეტებთან ბლოკის წინააღმდეგ. ჩვენი გაზეთის ამ ნომრის სხვა სტატიაში მკითხველი იპოვნის ვრცელ ციტატებს ამის შესახებ, ამ მნიშვნელოვან საკითხში მენშევიზმის ყოველგვარი მერყეობის დახასიათებასთან დაკავშირებით.

აქ კი ჩვენ გვეინტერესება მენშევიზმის ზოგადი დახასიათება ისეთი «ავტორიტეტული» მოწმის მიერ, როგორიცაა მენშევიკი ლარინი. სწორედ კადეტებთან ბლოკის გამო იგი პროტესტს აცხადებს «გ ა მ ა რ ტ ი ვ ე ბ უ ლ-კ ა ზ ი ო ნ უ რ ი მ ე ნ შ ე ვ ი ზ მ ი ს» წინააღმდეგ. «კაზიონურ მენშევიზმსაო», წერს იგი, შეუძლია ისურვოს «თვითმკვლელობითი შეერთება სოციალ-დემოკრატიის მოწინააღმდეგეებთან ბურჟუაზიული ბანაკიდან». ჩვენ არ ვიცით, შესძლებს თუ არა ლარინი თავის შეხედულებათა დაცვაში პლეხანოვის წინააღმდეგ მეტი სიმტ-

* ვამბობთ: «უნდა შეგვწევდეს უნარი», რადგან სოციალ-დემოკრატი მუშების რიცხვი, უეჭველია, ბევრად აღემატება ასეთს ცენტრებში პარტიის წევრთა რიცხვს. ჩვენ გვაქვს რუტინა, ამას უნდა ვებრძოლოთ. უნდა მოვახერხოთ, სადაც საჭიროა, და გამოვიყენოთ **lose Organisationen** — უფრო თავისუფალი, ფართო, მისაწვდომი პ რ ო ლ ე ტ ა რ უ ლ ი ორგანიზაციები. ჩვენი ლოზუნგია: ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ მ უ შ ა თ ა პარტიის გ ა ფ ა რ თ ო ე ბ ა წინააღმდეგ უპარტიო მუშათა ყრილობისა და უპარტიო პარტიისა!

კიცის გამოჩენას, ვიდრე მარტოვი. მაგრამ ლარინი ამხედრებულია «ოფიციალური» და «კაზიონური» მენშევიზმის წინააღმდეგ არა მარტო კადეტებთან ბლოკის გამო. «ყოველივე დრომოჭმული, ამბობს, მაგ., ლარინი მენშევიზმის მისამართით, კაზიონურ იერს იღებს»!! (გვ. 65). მენშევიზმი კვდება და ადგილს უთმობს «ევროპულ რეალიზმს». «აქედან წარმოსდგება მენშევიზმის მუდმივი სევდა, ორჭოფობა, ურწმუნეობა» (გვ. 62). მუშათა ყრილობის გამო სჯა-ბაასის შესახებ იგი წერს: «თითქმის მთელი ეს სჯა-ბაასი აღბეჭდილია რაღაც გაურკვევლობით, გაუბედაობით აზრისა, რომელიც, შეიძლება, ვერ ბედავს იმის ხმამაღლა აღიარებას, რაც შიგნით უკვე მომწიფებულია» (გვ. 6) და სხვ.

ჩვენ უკვე ვიცით მენშევიზმის ამ კრიზისის, ამ კაზიონურობად გადაგვარების სარჩული*: — ურწმუნეობა წვრილბურჟუაზიული ინტელიგენტისა, რომ შესაძლებელია შემდგომი რევოლუციური ბრძოლა, შიში რევოლუციის აღიარებისა დამთავრებულად, შიში რეაქციის აღიარებისა საბოლოოდ გამარჯვებულად. «მენშევიზმი იყო მხოლოდ ინსტინქტური ნახევრადსტიქიური სევდა პარტიისათვის», — ამბობს ლარინი.

---

* კიდევ ისტორიის ირონია! მენშევიკები 1903 წლიდან გაჰყვიროდნენ ბოლშევიკების «ფორმალიზმსა» და «ბიუროკრატიზმზე». მას შემდეგ მათ მუდამ ხელში ჰქონდათ საერთო-პარტიული «ბიუროკრატიული» და «ფორმალური» პრეროგატივები. და ახლა მ ე ნ შ ე ვ ი კ ი აღნიშნავს მენშევიზმის კ ა ზ ი ო ნ უ რ ო ბ ა დ გადაგვარებას. უკეთეს რეაბილიტაციას ბოლშევიკები ვეღარც ისურვებდნენ თავისთვის. ლარინი იქ კი არ ეძებს მენშევიზმის კაზიონურობას, სადაც იგი ნამდვილად იმალება. კაზიონურობის წყარო ის ოპორტუნიზმია, რომელსაც ევროპეიზმის სახით უნერგავენ მენშევიკებს აქსელროდი და პლეხანოვი. შვეიცარიელი ფილისტერის ანარეკლ იდეოლოგიასა და ჩვეულებებში ევროპეიზმის ნასახიც არ არის. ფილისტერული შვეიცარია სალაქიო ოთახია ნამდვილი ევროპისა, რევოლუციური ტრადიციების და ფართო მასების გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის ევროპისა. ხოლო კაზიონურობა სავსებით გამოიხატა პლეხანოვის მიერ თუნდ მუშათა ყრილობის საკითხის ისეთი დასმით (მუშათა ყრილობა წინააღმდეგ პარტიული ყრილობისა), რომლის წინააღმდეგაც ასე მხურვალედ და გულწრფელად აცხადებს პროტესტს ლარინი.

მენშევიზმი — ეს ინტელიგენტის სტიქიური სევდაა კუდმოკვეცილი კონსტიტუციისა და მშვიდობიანი კანონიერებისათვის, — ვიტყვით ჩვენ. მენშევიზმი — ეს რეაქციის ვითომ ობიექტური აპოლოგიაა, რევოლუციური წრიდან გამომდინარე.

ბოლშევიკები იმთავითვე, ჯერ კიდევ ქენევის გაზეთ «ვპერიოდში» [108] (1905 წ. იანვარი — მარტი), ჯერ კიდევ ბროშურაში «ორი ტაქტიკა» * (1905 წ. ივლისი) სულ სხვანაირად აყენებდნენ საკითხს. ისინი სრულიადაც არ ტყუვდებოდნენ, რომ ბურჟუაზიულ რევოლუციაში სხვადასხვა კლასის ინტერესები და ამოცანები წინააღმდეგობრივი იყო, და მაშინვე პირდაპირ აცხადებდნენ: შესაძლებელია, რუსეთის რევოლუცია უდღეური კონსტიტუციით დასრულდესო. როგორც რევოლუციური პროლეტარიატის მომხრენი და იდეოლოგები, ჩვენ ბოლომდე შევასრულებთ ჩვენს მოვალეობას, — ლიბერალების ყოველგვარი ღალატისა და სისაძაგლის, წვრილი ბურჟუების ყოველგვარი მერყეობის, მთელი სილაჩრისა და გაუბედაობის პირობებში გამოვატარებთ ჩვენს რევოლუციურ ლოზუნგებს, — ჩვენ მართლაც ბოლომდე ამოვწურავთ ყ ვ ე ლ ა რევოლუციურ შესაძლებლობას, — ჩვენ ვიამაყებთ იმით, რომ პ ი რ ვ ე ლ ნ ი დავადექით აჯანყების გზას და უ კ ა ნ ა ს კ ნ ე ლ ე ბ ი დავტოვებთ მას, თუ ეს გზა მართლაც შეუძლებელი შეიქნება. ამჟამადაც ჩვენ სრულიად, სრულიად არ გვჯერა, რომ ამოწურული იყოს ყველა რევოლუციური შესაძლებლობა და პერსპექტივა. ჩვენ პირდაპირ და აშკარად ვქადაგებთ აჯანყებას და შეუპოვარ, მედგარ, ხანგრძლივ მზადებას მისთვის.

ხოლო როცა ჩვენ დასრულებულად მივიჩნევთ რევოლუციას, პირდაპირ და აშკარად ვიტყვით ამას. ჩვენი პლატფორმიდან მთელი ხალხის წინაშე მოვხსნით ყველა ჩვენს უშუალო-რევოლუციურ ლოზუნგს (მაგალითად, დამფუძნებელ კრებას). არც

* იხ. თხზულებანი, გამოც. 4, ტომი 9, გვ. 1 — 162. რ ე დ.

ჩვენ თავს და არც სხვებს მოვატყუებთ იეზუიტური სოფიზმებით (როგორიცაა პლეხანოვის «სრულძალაუფლებიანი სათათბირო» კ ა დ ე ტ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს) *. ჩვენ არ გავამართლებთ რეაქციას, რეაქციულ კონსტიტუციონალიზმს არ მივიჩნევთ ჯანსაღი რეალიზმის ნიადაგად. ჩვენ ვეტყვით და დავუმტკიცებთ პროლეტარიატს, რომ ბურჟუაზიის ღალატმა და წვრილ მეპატრონეთა მერყეობამ დაღუპეს ბურჟუაზიული რევოლუცია, და რომ პროლეტარიატი ახლა თვითონ მოამზადებს და მოახდენს ახალ, სოციალისტურ რევოლუციას. და ამიტომაც რევოლუციის დაცემის, ე. ი. ბურჟუაზიის სრული ღალატის ნიადაგზე, ჩვენ არავითარ შემთხვევაში არავითარ ბლოკს არ დავთანხმდებით არათუ ოპორტუნისტულ, არამედ არც რევოლუციურ ბურჟუაზიასთანაც კი — რადგან რევოლუციის დაცემა მომასწავებელი იქნებოდა ბურჟუაზიული რევოლუციონიზმის ცარიელ ფრაზად გადაქცევისა.

აი რატომ არის, რომ ჩვენ სრულებით არ გვაღელვებს ის ბრაზმორეული სიტყვები, რომელთაც ასე ბლომად ისვრის ჩვენი მისამართით ლარინი, გაჰკივის რა ბოლშევიზმის მოახლოებულ კრიზისზე, იმაზე, რომ იგი გამოიფიტა, რომ ჩვენ მუდამ მენშევიკებს მივჩანჩალებდით უკან და სხვა. ჩხვლეტისა და წკიპურტების მთელი ეს ცდა მხოლოდ სიბრალულის ღიმილს იწვევს.

ბოლშევიკებს შორდებოდნენ და ჩამოშორდებიან ცალკეული პირნი, მაგრამ ჩვენი მიმართულების კრიზისი შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა. საქმე ისაა, რომ ჩვენ იმთავითვე (იხ. «ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან» **) ვაცხადებდით: არავითარ განსაკუთრებულ «ბოლშევიკურ» მიმართულებას ჩვენ არა ვქმნით, ჩვენ მხოლოდ ვიცავთ ყველგან და ყოველთვის რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი ი ს თვალსაზრისს. ხოლო სოციალ-დემოკრატიაში, თვით სოციალურ რევოლუციამდე,

* იხ. ეს ტომი, გვ. 394. რ ე დ.

** იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 7, გვ. 239 — 530. რ ე დ.

აუცილებლად იქნება ოპორტუნისტული და რევოლუციური ფრთა.

საკმაოა ოდნავ გადავავლოთ თვალი «ბოლშევიზმის» ისტორიას, რომ დავრწმუნდეთ ამაში.

1903 — 1904 წელი. მენშევიკები ქადაგებენ დემოკრატიზმს ორგანიზაციაში. ბოლშევიკები ამას ინტელიგენტურ ფრაზას უწოდებენ, ვიდრე პარტიის აშკარა გამოსვლის ხანა არ დამდგარა. მენშევიკი-მ უ შ ა ენევის ბროშურაში (1905 წ.) ა ღ ი ა რ ე ბ ს, რომ მენშევიკებს ნამდვილად არავითარი დემოკრატიზმი არ ჰქონიათ. მენშევიკი ლარინი ა ღ ი ა რ ე ბ ს, რომ მათი «ლაპარაკი საარჩევნო საწყისის შესახებ» იყო «გამოგონება», იყო ცდა «ისტორიის მოტყუებისა», და რომ ნამდვილად მენშევიკურ «სპბ-ის ჯგუფში არჩევითი საწყისი ჯერ კიდევ 1905 წლის შემოდგომაზეც არ ყოფილა» (გვ. 62). ხოლო ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ბოლშევიკებმა პ ი რ ვ ე ლ ე ბ მ ა ერთბაშად გამოაცხადეს «ნოვაია ჟიზნ-ში»[194] დემოკრატიზმზე ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ გადასვლა პარტიაში *.

1904 წ., დასასრული. საერობო კამპანია. მენშევიკები ლიბერალებს მისჩანჩალებენ უკან. ბოლშევიკები არ უარყოფენ (მიუხედავად ხშირად გავრცელებული ზღაპრისა) «კარგ დემონსტრაციებს» ერობელთა წინაშე, მაგრამ უარყოფენ იმ «ინტელიგენტების ცუდ მსჯელობას» **, რომელნიც ამბობდნენ, ბრძოლის ასპარეზზე ო რ ი ძალაა (მეფე და ლიბერალები), ერობელთა წინაშე გამოსვლა უმაღლესი ტიპის დემონსტრაცია არისო. ახლა მენშევიკი ლარინი თვითონ აღიარებს, რომ საერობო კამპანია იყო «გამოგონება» (გვ. 62), «ბრძნული და ეშმაკური ხრიკი» (გვ. 57).

* იხ. თხზულებანი, გამოც. 4, ტომი 10, გვ. 15 — 27. რ ე დ.

** ენევის «ვპერიოდში» № 1 (1905 წ. იანვარი) ფელეტონს, რომელიც «საერობო კამპანიის გეგმას» აკრიტიკებდა, სათაურად ჰქონდა: «პროლეტართა კარგი დემონსტრაციებისა და ზოგიერთი ინტელიგენტის ცუდი მსჯელობის შესახებ». (იხ. თხზულებანი, გამოც. 4, ტომი 8, გვ. 16 — 23. რ ე დ.)

1905 წელი, დამდეგი. ბოლშევიკები აშკარად და პირდაპირ აყენებენ აჯანყების საკითხს, მისი მომზადების საკითხს. III ყრილობის რეზოლუციაში ისინი წინასწარმეტყველებენ გაფიცვის შეერთებას აჯანყებასთან. მენშევიკები გაძრომ-გამოძრომის გზას ადგებიან, უარს ამბობენ აჯანყების ამოცანებზე, მასლაათობენ მასების შეიარაღებაზე თვითშეიარაღების მწვავე საჭიროებით.

1905 წ., აგვისტო — სექტემბერი. მენშევიკები (პარვუსი ახალ «ისკრაში») მოუხმობენ ბულიგინის სათათბიროში მონაწილეობისაკენ. ბოლშევიკები მოუხმობენ სათათბიროს აქტიური ბოიკოტისაკენ, აჯანყების უშუალო ქადაგებისაკენ.

1905 წ., ოქტომბერი — დეკემბერი. სახალხო ბრძოლამ გაფიცვებისა და აჯანყებათა სახით აღგავა ბულიგინის სათათბირო. მენშევიკი ლარინი აღიარებს გამაერთიანებელ ყრილობაზე წერილობითს განცხადებაში, რომ მენშევიკები რევოლუციის უმაღლესი აღმავლობის ეპოქაში ბოლშევიკურად მოქმედებდნენ. დროებითი მთავრობის ჩანასახ ორგანოებში ჩვენ, სოციალ-დემოკრატები, მონაწილეობას ვიღებთ რევოლუციურ ბურჟუაზიასთან ერთად და მის გვერდით.

1906 წ., დამდეგი. მენშევიკები სევდას მოუცავს. სათათბირო არა სწამთ და არც რევოლუცია სწამთ. ისინი მოუხმობენ სათათბიროს არჩევნებისაკენ სათათბიროს ბოიკოტის მიზნით (ლარინი, გვ. 57). ბოლშევიკები ასრულებენ თავის რევოლუციურ მოვალეობას, ყოველგვარ საშუალებას მიმართავენ, რათა ბოიკოტი გამოეცხადოს მეორე სათათბიროს, რომელიც რევოლუციურ წრეებში არავის სწამდა.

1906 წ., მაისი — ივნისი. სათათბიროს კამპანია. ბოიკოტი ჩაიშალა ბურჟუაზიის ღალატის გამო. ბოლშევიკები ეწევიან რევოლუციურ მუშაობას ახალ, თუმცა უფრო ცუდ ნიადაგზე. სათათბიროს დროს ჩვენი, რევოლუციური სოციალ-დემოკრატების, ტაქტიკა კიდევ უფრო აშკარად ემიჯნება ოპორტუნიზმს მთელი ხალხის თვალში: კრიტიკა კადეტებისა სათათბიროში, ბრძოლა ტრუდოვიკების განსათავისუფლებლად კა-

დეტების გავლენისაგან, კრიტიკა სათათბიროსთან დაკავშირებული ილუზიებისა, ქადაგება სათათბიროს მემარცხენე ჯგუფების რევოლუციური დაახლოებისა.

1906 წ., ივლისი. სათათბიროს გარეკვა. მენშევიკები შფოთავენ; ისინი ემხრობიან დაუყოვნებლივს დემონსტრაციაგაფიცვას და ნაწილობრივს გამოსვლებს. ბოლშევიკები პროტესტს აცხადებენ. ლ ა რ ი ნ ი, რ ო ც ა ა მ ა ზ ე ლ ა პ ა რ ა კ ო ბ ს, კ რ ი ნ ტ ს ა რ ა ს ძ რ ა ვ ს ც. კ.-ი ს ს ა მ ი წ ე ვ რ ი ს პ რ ო ტ ე ს ტ ზ ე, რ ო მ ე ლ ი ც პ ა რ ტ ი ი ს წ ე ვ რ თ ა თ ვ ი ს დ ა ი ბ ე ჭ დ ა. ლარინი სიმართლეს არ ლაპარაკობს ამ ინციდენტის შესახებ. ბოლშევიკები აღნიშნავენ დემონსტრაციის უაზრობას, ისინი ემხრობიან უ ფ რ ო გ ვ ი ა ნ ს აჯანყებას *. მენშევიკები რევოლუციურ ბურჟუაზიასთან ერთად ხელს აწერენ აჯანყებისათვის მოწოდებას.

1906 წ., დამლევი. ბოლშევიკები აღიარებენ, ბურჟუაზიის ღალატი გვაიძულებს ვიმოქმედოთ შემოვლით, წავიდეთ სათათბიროშიო. ძირს ყოველგვარი ბლოკი! ძირს ბლოკი მეტადრე კადეტებთან! მენშევიკები ემხრობიან ბლოკს.

არა, ამხანაგო ლარინ, რუსეთის სოციალ-დემოკრატიის რევოლუციური და ოპორტუნისტული ფრთის ბრძოლის ამგვარი მსვლელობისა ჩვენ არ გვრცხვენია!

«პროლეტარი» № 9,
1906 წ. 7 დეკემბერი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 137—139 რ ე დ.

პროლეტარიატი და მისი მოკავშირე რუსეთის რევოლუციაში

ასე დაასათაურა კ. კაუტსკიმ უკანასკნელი თავი «**Neue Zeit**»-ის [106] ახლახან გამოსულ ნომრებში გამოქვეყნებული თავისი სტატიისა: «რუსეთის რევოლუციის მამოძრავებელი ძალები და პერსპექტივები». ისევე როგორც კაუტსკის სხვა ნაშრომები, ეს სტატიაც, უეჭველია, მალე გადმოითარგმნება და გამოვა რუსულად. მას აუცილებლად უნდა გაეცნოს ყველა სოციალ-დემოკრატი, — არა იმიტომ, რომ მარქსიზმის გერმანელი თეორეტიკოსისაგან უნდა მოველოდეთ პასუხს ჩვენი ტაქტიკის საჭირბოროტო კითხვებზე (ცუდნი იქნებოდნენ რუსი სოციალ-დემოკრატები, რომ ასეთ პასუხს შორიდან მოელოდნენ), — არამედ იმიტომ, რომ კაუტსკი შესანიშნავი ლოგიკურობით განიხილავს რუსეთის ბურჟუაზიულ რევოლუციაში მთელი ს.-დ. ტაქტიკის საფუძვლებს. ჩვენი პარტიის ყველა წევრს, ყველა შეგნებულ მუშას, ყოველდღიურ წვრილ მუშაობაში ჩაფლულთ, უპრინციპო ლიბერალურ-ბურჟუაზიულ მჯღაბნელთა გაცვეთილი უგვანობით გაყრუებულთ, განსაკუთრებით ესაჭიროებათ დაფიქრებული, მცოდნე და გამოცდილი სოციალ-დემოკრატების ისეთი ნაწარმოებნი, რომელნიც ყოველდღიურობაზე მაღლა გაყენებენ, საშუალებას გაძლევენ ჩასწვდე პროლეტარიატის ტაქტიკის ძირითად საკითხებს, უფრო ნათლად წარმოიდგინო სოციალ-დემოკრატიის სხვადასხვა მიმდინარეობათა აზროვნების პრინციპული ტენდენციები და თვით მეთოდები.

კაუტსკის ეს უახლესი სტატია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ მხრივ, ვინაიდან იგი საშუალებას გვაძლევს შევადაროთ ერთმანეთს პლეხანოვის მიერ კაუტსკისათვის (სხვა უცხოელ სოციალისტთა შორის) მიცემული კითხვების ხ ა ს ი ა თ ი და ზოგიერთ ამ კითხვაზე კაუტსკის პასუხის წ ე ს ი.

პლეხანოვი, რომელსაც კადეტმა მელგუნოვმა დღეს მოსწრებულად უწოდა «ტოვარიშჩში» (10 დეკემბერი) «რუსეთის სოციალ-დემოკრატიის წ ი ნ ა ნ დ ე ლ ი ლიდერი და თეორეტიკოსი», — ეკითხებოდა კაუტსკის (1) რუსეთის რევოლუციის «საერთო ხასიათის» შესახებ: ბურჟუაზიულია იგი თუ სოციალისტურიო? (2) ბურჟუაზიული დემოკრატიისადმი სოციალ-დემოკრატიის დამოკიდებულებისა და (3) სათათბიროს არჩევნებში სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკის შესახებ.

რუსი ოპორტუნისტების ბელადს სურდა კაუტსკისათვის გამოეტყუებინა კადეტებთან ბლოკის მოწონება. გერმანელი რევოლუციური სოციალ-დემოკრატების ბელადი მიხვდა, რომ კითხვების ავტორი აჩეჩებს მას იმის პასუხს, რაზედაც კითხვებში პირდაპირ არ არის ლაპარაკი, და ამჯობინა ეპასუხნა პლეხანოვისათვის დამშვიდებული, საფუძვლიანი, პროპაგანდისტულად დაწერილი გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ, თუ როგორ უნდა ა ყ ე ნ ებ დ ე ს მარქსისტი კითხვებს საზოგადოდ ბურჟუაზიული რევოლუციისა და ბურჟუაზიული დემოკრატიის შესახებ. ჩავუკვირდეთ ყურადღებით კაუტსკის ამ განმარტებას.

ზერელობა იქნებოდა რუსეთის რევოლუცია განგვეხილა, როგორც ისეთი მოძრაობა, რომელიც მიმართულია აბსოლუტიზმის დამხობისაკენ. იგი უნდა განვიხილოთ, როგორც ხალხის ფართო მასების გამოღვიძება დამოუკიდებელი პოლიტიკური მოღვაწეობისათვის. ასეთია კაუტსკის ძირითადი დებულება.

ეს აი რას ნიშნავს. ზერელე იქნებოდა სოციალ-დემოკრატიის ამოცანების ის ანალიზი, რომელიც სჯერდება პოლიტიკური თავისუფლების მიღწევაზე (აბსოლუტიზმის დამხობა),

და სხვადასხვა კლასისათვის ამ ამოცანის «ერთიანობაზე» მითითებას. უნდა შევხედოთ მ ა ს ე ბ ი ს მდგომარეობას, მათი ცხოვრების ობიექტურ პირობებს, მათ შიგნით არსებულ კლასთა განსხვავებას, იმ თავისუფლების რ ე ა ლ უ რ შ ი ნ ა ა რ ს ს, რომლისკენაც ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ ისწრაფიან ისინი. ინტერესთა ერთიანობა უნდა გამოვიყვანოთ არა ზოგადი ფრაზიდან, სხვადასხვა კლასის ერთობლივი ბრძოლა უნდა დავასკვნათ არა ს ა ზ ო გ ა დ ო დ «პოლიტიკური თავისუფლებიდან», — არამედ, პირიქით, სხვადასხვა კლასის მდგომარეობისა და ინტერესების ზუსტი ანალიზიდან უნდა გამოვიყვანოთ, სახელდობრ რამდენად და სახელდობრ რაშია ერთი და იგივე ან რამდენად ემთხვევა ერთმანეთს (და ემთხვევა კი?) მათი ბრძოლა თავისუფლებისათვის, მათი მისწრაფება თავისუფლებისადმი. უნდა ვიმსჯელოთ არა კადეტურად, არა ლიბერალურად, არა ისე, როგორც ბატონი პროკოპოვიჩები და კომპ. მსჯელობენ, არამედ მ ა რ ქ ს ი ს ტ უ ლ ა დ.

შემდეგ. თუ გამოსავალი წერტილი მასების ინტერესებია, მაშინ რუსეთის რევოლუციაში თავიდათავი ა გ რ ა რ უ ლ ი (მიწის) საკითხია. რევოლუციის დამარცხება-გამარჯვებაზე უნდა ვიმსჯელოთ არა მთავრობის ძალმომრეობისა და «რეაქციის» გამოვლინების მიხედვით (რეაქციისა, რომელიც სულ ერთიანად იპყრობს მრავალი კადეტისებური სოციალ-დემოკრატის ყურადღებას), არამედ მიწისათვის ბრძოლაში მასის მდგომარეობის გათვალისწინების საფუძველზე.

სოფლის მეურნეობა რუსეთის სახალხო მეურნეობის საფუძველია. მიწათმოქმედება ქვეითდება, გლეხობა გაჩანაგებულია. ეს ლიბერალებსაც კი აქვთ შეგნებული (კაუტსკი იმოწმებს კადეტებს პეტრუნკევიჩსა და მანუილოვს). მაგრამ, აღნიშნავს რა ლიბერალებისა და სოციალისტების ა მ შეხედულების ერთიანობას, კაუტსკი ამით არ კმაყოფილდება. იგი თავს ნებას არ აძლევს აქედან კადეტური დასკვნა გამოიყვანოს: «მაშასადამე, სოციალ-დემოკრატებმა კადეტებს უნდა დაუჭირონ მხარიო». ის ერთბაშად გადადის კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ი ინ-

ტ ე რ ე ს თ ა ანალიზზე და ცხადყოფს აგრარულ საკითხში ლიბერალების ორჭოფობის ა უ ც ი ლ ე ბ ლ ო ბ ა ს. ლიბერალები აღიარებენ საზოგადოდ მიწათმოქმედების დაცემას, მაგრამ მათ არ ესმით მიწათმოქმედების კაპიტალისტური ხასიათი და აქედან გამომდინარე საკითხი სწორედ კაპიტალისტური და არა რაიმე სხვაგვარი ევოლუციის შეფერხების განსაკუთრებული მიზეზების შესახებ.

და კაუტსკი დაწვრილებით არკვევს ერთერთ ამ განსაკუთრებულ მიზეზს, სახელდობრ კაპიტალის ნაკლებობას რუსეთში. უცხოეთის კაპიტალი ჩვენში განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებს. ეს აფერხებს მიწათმოქმედების კაპიტალისტურ განვითარებას. კაუტსკის დასკვნა: «სოფლის მეურნეობის დაქვეითება, სამრეწველო პროლეტარიატის ძალების ზრდასთან ერთად, წარმოადგენს რუსეთის ახლანდელი რევოლუციის მთავარ მიზეზს».

თქვენ ხედავთ: კაუტსკი ყურადღებით და ფრთხილად სწავლობს რუსეთის ბურჟუაზიული რევოლუციის განსაკუთრებულ ხასიათს, გვერდს არ უვლის ამ თავისებურებებს, კადეტებისა და კადეტისებური სოციალ-დემოკრატების მსგავსად, — ყოველგვარი ბურჟუაზიული რევოლუციის «საერთო ხასიათზე» დოქტრინიორული მითითებით.

შემდეგ კაუტსკი განიხილავს აგრარული საკითხის გადაწყვეტას. ის აქაც არ კმაყოფილდება გაცვეთილი ლიბერალური ფრაზით: აი კადეტური სათათბიროც მოითხოვს მიწას გლეხებისათვისო (იხილე პლეხანოვის ნაწერები). არა. ის ცხადყოფს, რომ გლეხისათვის მარტო მიწის გადიდება არაფერია დიდი ფულადი დახმარების აღმოუჩენლად. აბსოლუტიზმს არ ძალუძს ნამდვილად დაეხმაროს გლეხობას. ლიბერალები? ისინი გამოყიდვას მოითხოვენ. გამოყიდვამ კი არ შეიძლება გლეხები არ გააჩანაგოს. «მხოლოდ მსხვილი მიწათმფლობელობის კ ო ნ ფ ი ს კ ა ც ი ა ს» (ხაზგასმა კაუტსკისაა) შეუძლია საგრძნობლად გაადიდოს გლეხის მიწა მისთვის ახალი ტვირთის

აუკიდებლად. მაგრამ ლიბერალები მეტად გადაჭრით ეწინააღმდეგებიან კონფისკაციას.

კაუტსკის ამ მსჯელობაზე ღირს შევჩერდეთ. ვინც ცოტათი მაინც საფუძვლიანად იცნობს რუსეთის რევოლუციური წრეების სხვადასხვა პარტიულ ელფერს, იმან იცის, რომ სწორედ გამოყიდვის საკითხში ო რ ი ვ ე რევოლუციური პარტიის ოპორტუნისტები არამცთუ დაავადებულნი იყვნენ ლიბერალური შეხედულებით, არამედ ამასთანავე ამახინჯებდნენ კაუტსკისაც. ჩვენი მენშევიკები როგორც გამაერთიანებელ ყრილობაზე, ისე მთელ რიგ კრებებზე პეტერბურგში (მაგ., დანი თავის საზაფხულო ანგარიშებში ყრილობის შესახებ პიტერელი მუშების წინაშე) აღნიშნავდნენ აგრარული პროგრამის იმ მუხლის შემცდარობას, რაც გავიდა ბოლშევიკების დახმარებით, რომლებმაც მოითხოვეს პროგრამაში უსათუოდ შეტანილი ყოფილიყო კონფისკაცია «განსხვისების» ნაცვლად (იხილე მასლოვის პირვანდელი პროექტი). ჩვენი მენშევიკები ამბობდნენ, ეს სწორი არ არისო, კონფისკაციის დაჟინებით მოთხოვნა შეუძლია მხოლოდ ვულგარულ რევოლუციონიზმსაო, სოციალური გადატრიალებისათვის მნიშვნელობა არა აქვს, გამოყიდვა იქნება თუ არაო, ამასთან იმოწმებდნენ კაუტსკის ბროშურას «სოციალური რევოლუცია», სადაც კაუტსკი სოციალისტური რევოლუციის მიმართ განმარტავს, საზოგადოდ გამოყიდვა დასაშვებიაო. და ესერული მენშევიკები, ნახევრად-კადეტი ენესები, გამოყიდვის საკითხში სწორედ ამგვარადვე იცავდნენ ლიბერალიზმისაკენ თავის გადახრას («ნარ.-სოც. ობოზრენიეს» [106] ერთერთ ნაკვეთში) და ასევე იმოწმებდნენ კაუტსკის.

კაუტსკი, ალბათ, არ იცნობს არც მენშევიკების მოქმედებას ამ საკითხში და არც ენესებისა და მათი ჯგუფის პოლიტიკის მნიშვნელობას. მაგრამ რუსეთის რევოლუციაში გამოყიდვის საკითხის დ ა ყ ე ნ ე ბ ი თ მან ჩვენს ოპორტუნისტებს ისევ შესანიშნავი გაკვეთილი მისცა იმისა, თუ როგორ არ უნდა იმსჯელონ. არ შეიძლება სხვადასხვა რევოლუციის ან საერთოდ

სოციალისტური რევოლუციის დროს გამოყიდვისა და კონფისკაციის თანაფარდობის ზ ო გ ა დ ი დებულებებიდან გამოიყვანოთ დასკვნა გამოყიდვაზე 1905—1906 წ ლ ე ბ ი ს რ უ ს ე თ შ ი. საჭიროა პირიქით მოიქცეთ. უნდა გაარკვიოთ, რომელმა კლასებმა გამოიწვიეს ჩვენში, რუსეთში, გამოყიდვის საკითხის ჩვენი დაყენების თავისებურებანი, ამ კლასების ინტერესებიდან გამოიყვანოთ ამ საკითხის პოლიტიკური მნიშვნელობა ამა თუ იმ რევოლუციაში და უკვე შემდეგ შეაფასოთ სხვადასხვა პარტიების შეხედულებათა სისწორე თუ უსწორობა.

თავისთავად იგულისხმება, რომ კაუტსკი ამ გზით მივიდა არა ლიბერალებსა და რევოლუციონერებს შორის გამოყიდვის საკითხში არსებული განსხვავების მ ი ჩ ქ მ ა ლ ვ ა მ დ ე (ამას სჩადიან ყოველთვის პლეხანოველები და ენესები), არამედ ამ განსხვავების ს ი ღ რ მ ი ს გამორკვევამდე. პლეხანოვი, როცა კაუტსკის აძლევდა თავის კითხვებს, ჰფარავდა «ოპოზიციურ» და «რევოლუციურ» მოძრაობას შორის არსებულ განსხვავებას კონკრეტული საკითხების ჩამოშორებით. კაუტსკიმ პლეხანოვის მიერ მიჩქმალულ განსხვავებას ფარდა ახადა, მზის სინათლეზე გამოიტანა გამოყიდვის მნიშვნელოვანი საკითხი და დაანახვა პლეხანოვს, რომ გლეხთა რევოლუციურ მოძრაობას ებრძვიან «თავისებურად» არა მარტო შავრაზმელები, ა რ ა მ ე დ ლ ი ბ ე რ ა ლ ე ბ ი ც.

«თუ მუდმივი ჯარი არ გაუქმდება, — წერს კაუტსკი, — თუ სამხედრო ფლოტის შენება არ შეწყდება, თუ მეფის გვარეულობისა და მონასტრების მთელი ქონების კონფისკაცია არ მოხდება, თუ არ მოხდება სახელმწიფოს გაკოტრება, თუ არ მოხდება კონფისკაცია მსხვილი მონოპოლიებისა, — რამდენადაც ისინი ჯერ კიდევ კერძო პირთა ხელშია, — კონფისკაცია რკინიგზებისა, ნავთის წყაროებისა, სამთო სამადნოებისა, რკინის ქარხნებისა და სხვათა, არსაიდან გაჩნდება ის დიდი თანხები, რომლებიც საჭიროა რუსეთის სოფლის მეურნეობისათვის,

რათა ამ უკანასკნელმა თავი დააღწიოს თავის საშინელ მდგომარეობას».

გაიხსენეთ ჩვეულებრივი მენშევიკური სიტყვები ბოლშევიკების უტოპიზმისა და ფანტაზიორობის შესახებ, მაგალ., პლეხანოვის სიტყვები ყრილობაზე იმ მოთხოვნის გამო, რომ აგრარულ მოთხოვნათა რადიკალიზმს უნდა შეუერთდეს პოლიტიკური რადიკალიზმიო (მუდმივი ჯარის გაუქმება, ხალხის მიერ მოხელეების არჩევა და სხვა). პლეხანოვი ხითხითებდა მუდმივი ჯარის გაუქმებისა და ხალხის მიერ მოხელეების არჩევის გამო! პლეხანოვის «სოვრემენნაია ჟიზნი»[107] იწონებს «ნაშე დელოს» მიმართულებას; ის პოლიტიკურ ოპორტუნიზმს «პოლიტიკურ მატერიალიზმად» (??) სთვლის და მას უპირისპირებს «რევოლუციურ რომანტიკას».

თურმე, ფრთხილი კაუტსკი ფრიად უკიდურეს ბოლშევიკზე გაცილებით უფრო შორს მიდის, აყენებს გაცილებით უფრო «უტოპიურ» და «რომანტიკულ» (ოპორტუნისტის თვალსაზრისით) მოთხოვნებს აგრარულ საკითხთან დაკავშირებით!

კაუტსკი მოითხოვს არა მარტო მემამულეთა მიწების კონფისკაციას, არა მარტო მუდმივი არმიის გაუქმებას, არამედ მსხვილი კაპიტალისტური მონოპოლიების კონფისკაციასაც!

და კაუტსკი სავსებით თანამიმდევრად შენიშნავს იქვე, მოყვანილი ადგილის შემდეგ: «ცხადია, ლიბერალებს აფრთხობს ასეთი უზარმაზარი ამოცანები, ასეთი გადამწყვეტი ცვლილებანი არსებულ ქონებრივ ურთიერთობაში. არსებითად, მათ სურთ განაგრძონ ახლანდელი პოლიტიკა, დასტოვონ ხელუხლებლად უცხოეთის კაპიტალის მიერ რუსეთის ექსპლოატაციის საფუძვლები. ისინი მტკიცედ იცავენ მუდმივ ჯარს, რომელიც მათ თვალში ერთადერთი ძალაა, რომელსაც ძალუძს უზრუნველყოს წესრიგი და შეუნარჩუნოს მათ საკუთრება»...

პლეხანოვი პროტესტს აცხადებს: მას უსამართლოდ მოეპყრნენ; ის ეკითხებოდა კაუტსკის მხოლოდ სათათბიროს არჩევნებში ოპოზიციური პარტიების მხარის დაჭერის შესახებ, მას კი ამ თემაზე არ აძლევენ პასუხს! სათათბიროს არჩევნები და — მუდმივი ჯარის გაუქმება! რა ახირებულობაა ფანტასტის ანარქიული აზროვნებისა, რა რევოლუციური რომანტიკაა, ნაცვლად «პოლიტიკური მატერიალიზმისა», რომელსაც ოპორტუნისტი მოითხოვს!

კაუტსკი კი არხეინად განაგრძობს ლიბერალების «უტაქტოდ» გაკრიტიკებას სათათბიროს არჩევნების შესახებ მიცემული კითხვის პასუხად. ის ბრალს სდებს ლიბერალებს იმაში, რომ მათ წინანდებურად უნდათ გამოსწურონ რუს ხალხს თითო მილიარდი მანეთი სამხედრო საქმისათვის და სესხების გადასახდელად. «მათ (ლიბერალებს) ჰგონიათ, სათათბიროს შექმნა საკმარისია იმისათვის, რომ რაღაც სასწაულით ამოიღონ ქვესკნელიდან ეს მილიარდები». «ლიბერალიზმს ისევე ნაკლებად შესწევს ამის უნარი (რუსი გლეხების დაკმაყოფილებისა), როგორც ცარიზმს». კაუტსკი სპეციალურ თავს უძღვნის ლიბერალიზმისა და სოციალ-დემოკრატიის ურთიერთობის გამორკვევას. ის აღნიშნავს, რომ რუსეთში არ არსებობს ძველი შაბლონის ბურჟუაზიული დემოკრატია, რომელშიც გაბატონებული მდგომარეობა ეკავა ქალაქის წვრილ ბურჟუაზიას. დასავლეთისაგან განსხვავებით, რუსეთში ქალაქის წვრილი ბურჟუაზია «არასოდეს არ იქნება რევოლუციური პარტიების საიმედო დასაყრდენი».

«რუსეთში არ არის მტკიცე ჩონჩხი ბურჟუაზიული დემოკრატიისა». კაუტსკის ეს დასკვნა ემყარება როგორც ქალაქის წვრილი ბურჟუაზიის განსაკუთრებული მდგომარეობის ანალიზს, ისე იმის გათვალისწინებას, რომ კლასობრივი ანტაგონიზმი კაპიტალისტებსა და პროლეტარიატს შორის რუსეთში განუზომლად უფრო ძლიერად არის განვითარებული, ვიდრე «ძველი შაბლონის» ბურჟუაზიული რევოლუციების ეპოქებში. და ამ დასკვნის მნიშვნელობა ძალიან დიდია. სწორედ ამ

პუნქტშია მოქცეული მთელი იმ «შესწორების» სიმძიმის ცენტრი, რომელიც კაუტსკიმ შეიტანა პლეხანოვის მიერ საკითხის დაყენებაში, და რომელიც ძირეულ ცვლილებას უდრის.

თავის შეკითხვებში პლეხანოვი ბურჟუაზიული დემოკრატიის ძველ შაბლონს ეყრდნობა, — არც მეტი, არც ნაკლები. ის ხმარობს გაცვეთილ სიტყვას და სრულიად ივიწყებს განსაზღვროს რუსეთის მონაცემთა საფუძველზე, თუ რაოდენი დემოკრატიზმი, მისი რა სიმტკიცე და სხვ. გააჩნიათ იმ სხვადასხვა ფენებს, რომლებიც დღეს გამოდიან რუსეთში ბურჟუაზიული დემოკრატიის სახით. კაუტსკის დამსახურება ის არის, რომ მან შეამჩნია პლეხანოვის ეს მთავარი ცოდვა და აუხსნა მას პრაქტიკულად ის მეთოდი, რომლითაც უნდა მივიდეს კაცი რუსეთის ბურჟუაზიული დემოკრატიის ნამდვილ გაგებამდე. და კაუტსკის მოხერხებული ანალიზის მეოხებით გაცვეთილი ძველი შაბლონიდან ნათლად ისახებიან რუსეთის ცოცხალი საზოგადოებრივი ძალები: ქალაქის მეშჩანობა, — წვრილმანებში მოლიბერალო და საქმით შავრაზმული კონტრრევოლუციის დამხმარე მემამულეთა კლასი, — კაპიტალისტები, რომელთაც პროლეტარიატის შიშით გული უსკდებათ, — და, ბოლოს, გლეხობა.

«ბურჟუაზიულ დემოკრატიასთან» (გასული საუკუნის 40-იანი წლების ფრანგული ტიპისა?) დამოკიდებულების ბუნდოვანი საკითხი გაქრა. ბურუსი გაიფანტა. ხოლო სწორედ ამ ბურუსით უბნელებდნენ ხალხს თვალებს ჩვენი პროკოპოვიჩები, კუსკოვები, იზგოევები, სტრუვეები და სხვა ლიბერალები, რომლებსაც ხელს უწყობს პლეხანოვი. ძველი შაბლონების ბურუსის ნაცვლად ნამდვილმა მარქსისტულმა ანალიზმა დაგვანახვა რუსეთის ბურჟუაზიის სხვადასხვა ფენისა და ელემენტების დემოკრატიზმის სრულიად განსაკუთრებული თანაფარდობა.

ამ ანალიზის საშუალებით კაუტსკი განსაზღვრავს იმ განსაკუთრებულ ურთიერთობას რუსეთის ლიბერალიზმსა და

გლეხების რევოლუციურობას შორის, რომელსაც შეგნებულად მალავენ კადეტები და სიბრმავის გამო ვერ ხედავს მრავალი სოციალ-დემოკრატი! «რაც უფრო რევოლუციურდება გლეხი, მით უფრო რეაქციული ხდება მსხვილი მიწათმფლობელი, მით უფრო აღარ არის იგი, როგორც წინათ იყო, ლიბერალიზმის ბურჯი, მ ი თ უ ფ რ ო მ ე რ ყ ე ვ ი ხ დ ე ბ ი ა ნ ლ ი ბ ე რ ა ლ უ რ ი პ ა რ ტ ი ე ბ ი, მით უფრო იხრებიან მ ა რ ჯ ვ ნ ი ვ ლ ი ბ ე რ ა ლ ი პ რ ო ფ ე ს ო რ ე ბ ი დ ა ვ ე ქ ი ლ ე ბ ი ქალაქად, რათა საბოლოოდ არ დაჰკარგონ კავშირი თავიანთ უწინდელ დასაყრდენთან». ეს პროცესი «მხოლოდ აჩქარებს ლიბერალიზმის გაკოტრებას».

კაუტსკი ჯერ ააშკარავებს უკვე თანამედროვე რუსეთის რევოლუციაში ლ ი ბ ე რ ა ლ ი ზ მ ი ს ა მ გ ა კ ო ტ რ ე ბ ი ს ფესვებს და მხოლოდ ამის შემდეგ გადადის პლეხანოვის კითხვების პირდაპირ პასუხზე. ვიდრე ვუპასუხებდეთ იმაზე, დავუჭიროთ თუ არა მხარი «ოპოზიციას», უნდა შეგვეძლოს გავიგოთ (განმარტავს კაუტსკი), რა შეადგენს ამ «ოპოზიციის» (ანუ რუსეთის ლიბერალიზმის) კლასობრივ დასაყრდენს და კლასობრივ დედაარსს და რა დამოკიდებულებაშია რევოლუციის და რევოლუციური კლასების განვითარება ლიბერალიზმის მდგომარეობისა და ინტერესების მიმართ. უწინარეს ყოვლისა არკვევს რა ა მ ა ს, კაუტსკი ჯ ე რ მიდის ლიბერალიზმის გაკოტრების დასკვნამდე დ ა მ ხ ო ლ ო დ შ ე მ დ ე გ ურკვევს მკითხველს იმ კითხვას, რომელიც პლეხანოვს აინტერესებს: დავუჭიროთ თუ არა მხარი ოპოზიციას სათათბიროს არჩევნებში? გასაკვირველი არაა, თუ პლეხანოვის კითხვების ორ მესამედზე კაუტსკის სულაც არ დასჭირდა პასუხის გაცემა...

თუ კაუტსკის პასუხი პლეხანოვს არ აკმაყოფილებს, სამაგიეროდ იგი ხელს შეუწყობს რუსი სოციალ-დემოკრატების მასის სწორ აზროვნებას.

(1) ბურჟუაზიულია რუსეთის რევოლუცია თუ სოციალისტური?

არ შეიძლება კითხვის ასე დაყენება, — ამბობს კაუტსკი. ეს ძველი შაბლონია. რუსეთის რევოლუცია, რა თქმა უნდა, არ არის სოციალისტური. პროლეტარიატის სოციალისტურ დიქტატურაზე (მისი «ერთპიროვნული ბატონობა») ლაპარაკიც კი არ შეიძლება. მაგრამ ეს რევოლუცია არც ბურჟუაზიულია, ვინაიდან «ბ ურ ჟ უ ა ზ ი ა ა რ ე კ უ თ ვ ნ ი ს რ უ ს ე თ ი ს თ ა ნ ა მ ე დ რ ო ვ ე რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი მ ო ძ რ ა ო ბ ი ს მ ა მ ო ძ რ ა ვ ე ბ ე ლ ძ ა ლ ე ბ ს». «იქ, სადაც პროლეტარიატი დამოუკიდებლად გამოდის, ბურჟუაზია აღარ არის რევოლუციური კლასი».

და კაუტსკი ენერგიით, რომელიც აღემატება ჩვეულებრივს ბოლშევიკურ «უტაქტობას» ლიბერალების მიმართ, აცხადებს, რომ ჩვენს ბურჟუაზიას რევოლუციისა უფრო ეშინია, ვიდრე რეაქციისა, რომ მას სძულს აბსოლუტიზმი, რადგან მან რევოლუცია წარმოშვა, რომ მას პოლიტიკური თავისუფლება უნდა რ ე ვ ო ლ უ ც ი ი ს შ ე ს ა წ ყ ვ ე ტ ა დ! (პლეხანოვი კი თავის კითხვებში გულუბრყვილოდ აიგივებდა ოპოზიციის ბრძოლას ძველ წესწყობილებასთან და მთავრობის მიერ რევოლუციური მოძრაობის ჩახშობის ცდის წინააღმდეგ ბრძოლას!)

კაუტსკის ეს პირველი პასუხი უბრწყინვალესი დადასტურებაა ბოლშევიზმის ტაქტიკის მ თ ე ლ ი ძ ი რ ი თ ა დ ი ს ა ფ უ ძ ვ ლ ი ს ა. ყენევის გაზეთებით — «ვპერიოდით» და «პროლეტარით» დაწყებული და ბროშურით — «ორი ტაქტიკით» განგრძობილი, რუსი ბოლშევიკები მენშევიზმთან ბრძოლის საფუძველს ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს იმაში ხედავდნენ, რომ მემარჯვენე სოციალ-დემოკრატები ამახინჯებდნენ «ბურჟუაზიული რევოლუციის» ცნებას. ჩვენ ათასჯერ გვითქვამს და ცხადგვიყვია მენშევიკების მრავალი განცხადების მიხედვით, რომ «ბურჟუაზიული რევოლუციის» კატეგორიის გაგება იმ აზრით, რომ აღიარებულ იქნას ბურჟუაზიის მეთაურობა და ხელმძღვანელი როლი რუსეთის რევოლუციაში, წარმოადგენს მარქსიზმის შერყვნას. ბურჟუაზიული რევოლუცია ბურჟუაზიის მერყეობის მ ი უ ხ ე დ ა ვ ა დ, ბურჟუაზიის მერყეობის.

გ ა ქ ა რ წ ყ ლ ე ბ ი ს საშუალებით, — აი როგორ აყალიბებდნენ ბოლშევიკები სოციალ-დემოკრატიის ძირითად ამოცანას რევოლუციაში.

კაუტსკის ანალიზი სრულიად გვაკმაყოფილებს. ის, რის პრეტენზიასაც ჩვენ ვაცხადებდით, — რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის პოზიციის დაცვა ოპორტუნიზმის წინააღმდეგ და არა რაღაც «ორიგინალური» ბოლშევიკური მიმართულების შექმნა, — კაუტსკიმ სავსებით დაადასტურა, და ეს დადასტურება მით უფრო საგულისხმოა, რომ იგი მოცემულია ს ა ქ მ ი ს რ ა ო ბ ი ს განმარტებით და არა ამა თუ იმ ფრაქციის უბრალო გენერლური «მოწონებით».

(2) კაუტსკის არათუ «ფ რ ი ა დ შ ე ს ა ძ ლ ე ბ ლ ა დ» მიაჩნია, რომ «რ ე ვ ო ლ უ ც ი ი ს მ ს ვ ლ ე ლ ო ბ ა შ ი გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ა წ ი ლ ა დ ხ ვ დ ე ს ს.-დ. პ ა რ ტ ი ა ს», არამედ იგი ამასთან ერთად სოციალ-დემოკრატების მოვალეობად აცხადებს — «შ თ ა ა გ ო ნ ო ნ თ ა ვ ი ა ნ თ მ ო მ ხ რ ე ე ბ ს გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ი ს რ წ მ ე ნ ა, ვინაიდან არ შეიძლება წარმატებით ბრძოლა, თუ წინდაწინვე იღებ ხელს გამარჯვებაზე».

კაუტსკის ეს დასკვნა მეორე ბრწყინვალე დადასტურებაა ბოლშევიზმის ტაქტიკისა. ვინც ოდნავ მაინც იცნობს სოციალ-დემოკრატიის ორი მიმართულების ლიტერატურას, მან უნდა იცოდეს, რომ მენშევიკები მ თ ე ლ ი ძ ა ლ ღ ო ნ ი თ უარყოფდნენ თანამედროვე რუსეთის რევოლუციაში სოციალ-დემოკრატიის გამარჯვების შესაძლებლობასა და მიზანშეწონილობას. მენშევიკებმა ჯერ კიდევ თავიანთ 1905 წ. გაზაფხულის კონფერენციაზე (პლეხანოვის, აქსელროდის და სხვ. მონაწილეობით) მიიღეს რეზოლუცია, რომ ს.-დ. პარტია ა რ უნდა ესწრაფოდეს ძალაუფლების დაპყრობას. და მას აქეთ ეს აზრი: სოციალ-დემოკრატებს არ შეუძლიათ მიისწრაფოდნენ სოციალ-დემოკრატების გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ი ს ა კ ე ნ ბურჟუაზიულ რევოლუციაშიო, წ ი თ ე ლ (თუ შავ?) ზოლად

გავლებულია მენშევიზმის მ თ ე ლ ლიტერატურასა და მ თ ე ლ პ ო ლ ი ტ ი კ ა შ ი.

ეს პოლიტიკა არის ოპორტუნიზმი. ს.-დ. გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ა რუსეთის ახლანდელ რევოლუციაში ძ ა ლ ი ა ნ შ ე ს ა ძ ლ ე ბ ე ლ ი ა. ჩვენ ვალდებულნი ვართ ჩავუნერგოთ ა მ გამარჯვების რწმენა მუშათა პარტიის ყველა მომხრეს. არ შეიძლება წარმატებით იბრძოლო, თუ წინდაწინვე იღებ ხელს გამარჯვებაზე.

ეს მარტივი და ნათელი, პლეხანოვის სოფისტიკითა და სქოლასტიკით დაბნელებული ჭეშმარიტებანი უნდა ასწონ-დასწონოს და შეითვისოს მთელმა ჩვენმა პარტიამ.

(3) ფიქრი, რომ «ყველა იმ კლასმა და პარტიამ, რომლებიც პოლიტიკური თავისუფლებისაკენ მიისწრაფიან, მის მისაღწევად ერთად უნდა იმოქმედოსო», ნიშნავს «მ ხ ო ლ ო დ ა რ ს ე ბ უ ლ ი ვ ი თ ა რ ე ბ ი ს პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ზ ე დ ა პ ი რ ი ს დ ა ნ ა ხ ვ ა ს».

ეს ბოლშევიზმის მესამე დადასტურებაა. მარტო იმ მითითებიდან, რომ კ.-დ.-ები «თავისებურად იბრძვიან თავისუფლებისათვის», შეუძლებელია გამოიყვანოთ დასკვნა მათთან ერთად მოქმედების შესახებ. ეს მარქსიზმის ანბანია, რომელიც მხოლოდ დროებითაა დაბნელებული პლეხანოვისა, აქსელროდისა და მათი თაყვანისმცემლების მიერ.

(4) რომელია ის კლასი, რომელსაც შეუძლია დაეხმაროს ს.-დ. პროლეტარიატს გაიმარჯვოს ახლანდელ რევოლუციაში, რომელსაც შეუძლია მხარი დაუჭიროს მას და განსაზღვროს დაუყოვნებლივ განსახორციელებელ გარდაქმნათა ფარგლები? კაუტსკის აზრით, ეს კლასია გ ლ ე ხ ო ბ ა. მ ხ ო ლ ო დ მას აქვს «ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი ინ ტ ე რ ე ს თ ა მ ტ კ ი ც ე ე რ თ ი ა ნ ო ბ ა» «მ თ ე ლ ი რევოლუციის განმავლობაში». «სამრეწველო პროლეტარიატისა და გლეხობის ინტერესთა ერთიანობაში მდგომარეობს რუსეთის სოციალ-დემოკრატიის რევოლუციური ძალა და მისი გამარჯვების შესაძლებლობა, მაგრამ

იგივე ერთიანობა განსაზღვრავს ამ გამარჯვების შესაძლებელი გამოყენების ფარგლებს».

ეს ნიშნავს: არა პროლეტარიატის სოციალისტური დიქტატურა, არამედ პროლეტარიატისა და გლეხობის დემოკრატიული დიქტატურა. კაუტსკიმ, როგორც ოპორტუნისტებისაგან, ისე «გატაცებულთაგან» განსხვავებით, სხვა სიტყვებით ჩამოაყალიბა რევოლუციური სოციალ-დემოკრატების მთელი ტაქტიკის ძველი ძირითადი დებულება. რევოლუციის ყოველი ნამდვილი და სრული გამარჯვება შეიძლება იყოს მხოლოდ დიქტატურაო, — ამბობდა მარქსი [108], რომელიც, რასაკვირველია, გულისხმობდა მასის დიქტატურას (ე. ი. სრულიად შეუზღუდველ ძალაუფლებას) მცირე ჯგუფზე, და არა პირიქით. მაგრამ, ცხადია, ჩვენთვის მნიშვნელობა აქვს არა ბოლშევიკების მიერ თავიანთი ტაქტიკის ამა თუ იმ ფორმულირებას, არამედ ამ ტაქტიკის დ ე დ ა ა რ ს ს, რასაც მ თ ლ ი ა ნ ა დ ადასტურებს კაუტსკი.

ვისაც უნდა მარქსისტულად და არა კადეტურად იაზროვნოს ჩვენს რევოლუციაში პროლეტარიატის როლის, მისი შესაძლებელი და აუცილებელი «მოკავშირის» შესახებ, — იგი უნდა დაადგეს რევოლუციური და არა ოპორტუნისტული სოციალ-დემოკრატიის შეხედულებებს პროლეტარული ტაქტიკის საფუძვლებზე.

დაწერილია 1906 წ. 10 (23) დეკემბერს

დაიბეჭდა 1906 წ. 20 დეკემბერს
გაზეთ «პროლეტარში» № 10

იბეჭდება გაზეთის ტექსტის მიხედვით

ბუნდის ორგანოს ერთი სტატიის გამო

არალეგალურ პირობებში ჩაყენებული ჩვენი გაზეთი მოკლებულია საშუალებას ცოტად თუ ბევრად წესიერად ადევნოს თვალყური ს.-დ. ორგანოებს, რომლებიც რუსეთში გამოდის რუსულს გარდა სხვა ენებზე. ამავე დროს კი რუსეთის ყველა ეროვნების სოციალ-დემოკრატების მჭიდრო და მუდმივი ურთიერთობის განუხორციელებლად ჩვენს პარტიას არ შეუძლია ნამდვილად სრულიად რუსეთის პარტია გახდეს.

ამიტომ დაბეჯითებით ვთხოვთ ყველა ამხანაგს, რომელთაც იციან ლატვიური, ფინური, პოლონური, ებრაული, სომხური, ქართული და სხვა ენები და რომელნიც ღებულობენ ამ ენებზე გამოცემულ ს.-დ. გაზეთებს, დაგვეხმარონ, რათა რუს მკითხველებს გავაცნოთ არარუს სოციალ-დემოკრატთა ს.-დ. მოძრაობის მდგომარეობა და მათი ტაქტიკური შეხედულებანი. დახმარება შეიძლება გამოიხატოს არა მარტო იმით, რომ მოგვაწოდონ განსაზღვრულ საკითხზე ს.-დ. ლიტერატურის მიმოხილვა (მსგავსად «პროლეტარში» მოთავსებული სტატიებისა პოლონეთის სოციალ-დემოკრატიის პოლემიკის შესახებ პოლ. სოც. პარტიასთან და ლატვიელთა შეხედულების შესახებ პარტიზანულ ბრძოლაზე), არამედ იმითაც, რომ გამოგვიგზავნონ თარგმანი ცალკეული სტატიებისა ან ამა თუ იმ სტატიის უფრო მკაფიო ადგილებისაც კი.

ამას წინათ ერთმა ამხანაგმა გამოგვიგზავნა თარგმანი სტატიისა: «საარჩევნო კამპანიის პლატფორმა», რომელიც მოთავსებულია მ.-ის ხელმოწერით ბუნდის ორგანოს **«Volkszeitung»**-

ის * № 208-ში (16 ნოემბერი). ჩვენ არ მოგვეპოვება მასალები იმისათვის, რომ ვიმსჯელოთ, თუ რამდენად გამოხატავს ეს სტატია მთელი რედაქციის შეხედულებებს, მაგრამ იგი ყოველ შემთხვევაში ასახავს განსაზღვრულ მიმდინარეობებს ებრაელ სოციალ-დემოკრატთა შორის. რუსი სოციალ-დემოკრატები, რომელნიც მიჩვეული არიან საკითხების მხოლოდ ბოლშევიკურად ან მენშევიკურად დასმას, უნდა იცნობდნენ ასეთ მიმდინარეობებს. აი ამ სტატიის თარგმანი:

«ის ენერგია და გავლენა, რაც ჩვენს პარტიას შეუძლია განავითაროს არჩევნებში, უწინარეს ყოვლისა დამოკიდებულია ჩვენი პოზიციისა და ლოზუნგების სიცხადესა და გარკვეულობაზე. ჩვენს წინაშე მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი საკითხები დგას, და ჩვენი ამოცანაა იმდენად ნათლად და გარკვეულად დავსვათ ეს საკითხები, რომ მათზე მხოლოდ ერთი და სახელდობრ ჩვენი პასუხის გაცემა შეიძლებოდეს. თუ ჩვენი პოზიცია საკმაოდ გარკვეული არ იქნება, მაშინ ვერავითარი გაუმჯობესებული ორგანიზაციული აპარატი ვერ გეიშველის. საარჩევნო კამპანიის პლატფორმის მნიშვნელობა მთლიანად განისაზღვრება ჩვენი პოზიციის სიცხადით.

ბუნდის VII ყრილობამ ზოგადად განსაზღვრა ჩვენი ტაქტიკა. ეს ტაქტიკა შემდეგში მდგომარეობს: სათათბიროს გარეკვამ ნათლად დაანახვა მოსახლეობის ფართო ფენებს, რომ ყოვლად შეუძლებელია მშვიდობიანი გზით მიწისა და თავისუფლების მოპოვება და რომ ერთადერთი გამოსავალია შეიარაღებული აჯანყება. ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ ახალი სათათბიროს არჩევნები რევოლუციურ ტაქტიკას სცვლიდეს მშვიდობიან-კონსტიტუციური ტაქტიკით, რადგანაც ეს არჩევნები მიმდინარეობს რევოლუციური ტაქტიკის ა უ ც ი ლ ე ბ ლ ო ბ ი ს შ ე გ ნ ე ბ ი თ; ამომრჩეველი მოითხოვს თავისი დეპუტატისაგან — გადააქციოს სათათბირო ხალხის მასების რევოლუციურ ორგანოდ. ჩვენი ამოცანა არჩევნების დროს იმაში მდგომარეობს, რომ ამომრჩევლებს გავურკვიოთ ეს მდგომარეობა, რომელიც მოითხოვს, რომ თვით არჩევნები გადავაქციოთ ხალხის რევოლუციური მასების მობილიზაციისათვის ბრძოლის ასპარეზად.

სათათბიროს სესიების პერიოდში და მით უფრო სათათბიროს გარეკვის შემდეგ ჩვენმა ქვეყანამ დიდი ნაბიჯი გადადგა თავისი პოლიტიკური შეგნების განვითარებაში, რის გამოც რევოლუციურ პარტიებს არჩევნებში წარმატების იმედი აქვთ. პირველ არჩევნებში წვრილბურჟუაზიული ამომრჩეველი თავის ხმას აძლევდა კადეტს, რითაც თავის მხურვალე პროტესტს გამოხატავდა მთავრობის მხეცურ მოქმედებათა წინააღმდეგ.

* — «სახალხო გაზეთი». რ ე დ.

ეს ამომრჩეველი, რომელიც ჯერ კიდევ ვერ გამოსთხოვებოდა კონსტიტუციურ ილუზიებს, დარწმუნებული იყო, რომ კადეტები მოუპოვებდნენ მას მიწასა და თავისუფლებას. სათათბიროს ტაქტიკამ დაამსხვრია ეს ილუზიები და დაარწმუნა იგი, რომ მიწისა და თავისუფლების მოპოვება შეიძლება მხოლოდ ბრძოლით და სრულიადაც არა მშვიდობიანი გზით. ამომრჩეველის წინაშე წამოიჭრა კითხვა, თუ როგორ უნდა ვიბრძოლოთ და ვის შეუძლია ეს ბრძოლა: კადეტებს მათი დიპლომატიური პარლამენტარიზმით, უკეთეს შემთხვევაში კი «პასიური წინააღმდეგობის» იარაღით, თუ რევოლუციურ პარტიებს მათი ბრძოლის ტაქტიკით. ცხადია, როდესაც ამომრჩეველთა წინაშე დგას საკითხი, თუ როგორ შეიძლება ნამდვილი თავისუფლების მოპოვება, ისინი ამ ბრძოლის უნარის მქონედ სცნობენ რევოლუციურ პარტიებს და სრულიადაც არა კონსტიტუციურ პარტიებს.

კადეტები ამას მიხვდნენ, და წელებზე ფეხს იდგამენ, ცდილობენ დავიწყებას მისცენ ყველა ის გაკვეთილი, რომელიც აწვნია მათ ცხოვრებამ; ისინი ცდილობენ ქვეყნის პოლიტიკური შეგნების პროგრესი დააქვეითონ იმ დონემდე, რომელზედაც ეს შეგნება იყო პირველი არჩევნების წინ. «არც ერთი ნაბიჯი წინ!» ყვირიან ისინი, «დაივიწყეთ ის, რაც ისტორიამ თქვენ გასწავლათ», ახალი არჩევნების ამოცანა, — წერენ ისინი, — იმაში მდგომარეობს, რომ შეიქმნას ისეთი პოლიტიკური პირობები, რომლებშიც მუშაობდა პირველი სათათბირო. ხალხმა სათათბიროში უნდა გაგზავნოს უწინდელი სათათბიროს უმრავლესობა, ამით ის ქვეყნის პოლიტიკურ მდგომარეობას მიიყვანს იმ მომენტამდე, როცა ერთადერთი გამოსავალი სათათბიროს უმრავლესობის პასუხისმგებელი სამინისტრო იყოო («რეჩი» № 189). «თუ რუსეთს უნდა ნამდვილი კონსტიტუცია, — ამბობს «რეჩი» 196-ე ნომერში, — და ნამდვილი სახალხო წარმომადგენლობა, მაშინ ხალხი სათათბიროში გაგზავნის ისეთ წარმომადგენლებს, რომელნიც გაიმეორებენ იმას, რაც პირველმა სათათბირომ გამოთქვა სეფესიტყვის საპასუხო ადრესში, და რომელნიც ხელს მოჰკიდებენ იმას, რისი გაკეთების საშუალებას არ აძლევდნენ პირველ სათათბიროს». უნებურად იბადება კითხვა: რა იქნება, თუ მეორე სათათბიროსაც «არ მისცეს საშუალება» გააკეთოს ის, რის გაკეთებასაც ვარაუდობდა პირველი სათათბირო. ამ კითხვაზე კ.-დ.-ები უპასუხებენ, რომ «მთავრობა იძულებული იქნება დაუთმოს ამომრჩეველთა მტკიცე, მშვიდობიანად და კანონიერად გამოთქმულ ნებას» («რეჩი» № 195). კადეტებმა მშვენივრად იციან, რომ მათი ძალა ემყარება კონსტიტუციური ილუზიების ნიადაგს, და ამიტომ ისინი მთელი ძალღონით ცდილობენ ჩაუნერგონ ამომრჩევლებს ის აზრი, რომელიც ბატონობდა პირველი არჩევნების წინ, და შეჰქმნან რწმენა «ამომრჩეველთა მტკიცე, მშვიდობიანად და კანონიერად გამოთქმული ნების» ყოვლისშემძლე ძალისადმი. რევოლუციური პარტიების ძალა მდგომარეობს არა ამომრჩეველთა რწმენაში «ამომრჩეველთა მტკიცე, მშვიდობიანად და კანონიერად გამოთქმული ნების ყოვლისშემძლე ძალისადმი»,

არამედ სწორედ პირიქით — მათი ამ ძალისადმი უნდობლობაში, მათ მიერ რევოლუციური ბრძოლის აუცილებლობის ნათლად შეგნებაში.

მაშასადამე, ჩვენი ამოცანა ამომრჩევლის მიმართ იმაში მდგომარეობს, რომ მას უაღრესად კატეგორიული ფორმით დავუყენოთ კითხვა: სურს თუ არა მას, რომ მომავალი სათათბიროს უმრავლესობა უწინდელი დარჩეს მისი მოქნილი ტაქტიკით, რომელსაც არ შეუძლია რაიმე მოიპოვოს. სურს თუ არა მას, რომ მომავალმა სათათბირომ მხოლოდ «გაიმეოროს» ის, რასაც პირველი ამბობდა, თუ იგი არ უნდა დასჯერდეს ფუჭ ლაპარაკს და ბრძოლის უფრო ნამდვილ საშუალებებს მოჰკიდოს ხელი. ახალმა სათათბირომ უნდა «მიგვიყვანოს» ივნისისა და ივლისის მომენტის «იმ პოლიტიკურ მდგომარეობამდე», რომელსაც არავითარი შედეგები არ მოჰყოლია, თუ მან ნაბიჯი უნდა გადადგას წინ ხალხის ნამდვილი გამარჯვების გზაზე.

ეს საკითხი უნდა შეადგენდეს ჩვენი საარჩევნო ბრძოლის პლატფორმას. საჭიროა შევქმნათ კადეტური პარტიის გარშემო ატმოსფერო უდიდესი უნდობლობისა, იმისა, რომ კადეტებს არ შეუძლიათ მიწისა და თავისუფლების მოპოვება; საჭიროა ენერგიული, დაუნდობელი კრიტიკა ბრძოლის იმ წესისა, პასიური წინააღმდეგობისა, რომელიც მათ გამოიგონეს ჰელსინგფორსში, საჭიროა გამოვააშკარაოთ ხალხის წინაშე მათი ბრძოლის მეთოდების მთელი უძლურება, მთელი მერყეობა.

მხოლოდ ამ აუცილებელი პირობით გადადგამს ნაბიჯს წინ მეორე სათათბიროს პერიოდი პირველი სათათბიროს პერიოდთან შედარებით».

თუ ჩავუკვირდებით ამ სტატიას, დავინახავთ, რომ მასში საკმაო სიზუსტით არის გამოხატული შეხედულებანი ბუნდის დელეგაციისა რსდმპ უკანასკნელ სრულიად რუსეთის კონფერენციაზე. როგორც ცნობილია, ამ დელეგაციამ ხმა მისცა, ერთი მხრივ, მენშევიკებთან ერთად, კ.-დ.-ებთან ბლოკის შესაძლებლობას, ხოლო, მეორე მხრივ, ბოლშევიკებთან ერთად, ც. კ.-ის «საარჩევნო პლატფორმის პროექტის» ძირეულ შესწორებას (დამატება რესპუბლიკის ლოზუნგისა, აჯანყებაზე მითითებისა, პარტიების ზუსტი დახასიათებისა, შესწორება სოციალ-დემოკრატიული პარტიის კლასობრივი რაობის უფრო გარკვეულად გამოთქმის მხრივ და სხვ.: იხილე კონფერენციის რეზოლუცია პლატფორმის «შესწორებათა» შესახებ «პროლეტარის» მე-8 ნომერში [109]).

ამხანაგ მ.-ის ჩვენ მიერ მოყვანილი სტატია იმიტომ გ ვ ე ჩ ვ ე ნ ე ბ ა ასეთ ბოლშევიკურ სტატიად, რომ ჩვენ აქ

ვხედავთ ბუნდის მხოლოდ მარცხენა ხელს, მარჯვენა კი იმ სტატიებში იმალება, რომელნიც კადეტებთან ბლოკის საჭიროებას იცავენ.

ყოველ შემთხვევაში ბუნდელები კადეტებთან ბლოკს მენშევიკურად არ უყურებენ. მათი მაგალითით განსაკუთრებული სიცხადით მართლდება ცნობილი თქმულება: **Si duo faciunt idem, non est idem,** — «როცა ორნი ერთსა და იმასვე აკეთებენ, ეს უკვე იგივე აღარ არისო». ამ ორთა შუა ერთგვარი განსხვავებაა, და ეს განსხვავება არ შეიძლება არ გამოჩნდეს მათ მიერ ერთი და იმავეს კეთების წესში, მათ ხერხებში, მათ მიერ «ერთი და იმავეს კეთების» შედეგში და სხვ. მენშევიკების ბლოკი კადეტებთან და ბუნდელების ბლოკი კადეტებთან ერთი და იგივე არაა. მენშევიკების ბლოკი კადეტებთან სავსებით ეთანხმება მათს საერთო ტაქტიკას, — ბუნდელების ბლოკი არ ეთანხმება. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ ზევით მოყვანილის მსგავსი სტატიები განსაკუთრებით მკაფიოდ ააშკარავებენ ბუნდელების არათანამიმდევრობას და მერყეობას, იმ ბუნდელებისა, რომელნიც გუშინ ბოიკოტს ატარებდნენ, დღეს ვიტეს სათათბიროს ბოიკოტს ამართლებენ და ამავე დროს დასაშვებად სთვლიან კადეტებთან ბლოკს. მენშევიკების ბლოკი კადეტებთან ბუნებრივად და ძალდაუტანებლად გვევლინება, როგორც იდეური ბლოკი. ბუნდელების ბლოკი კი ნავარაუდევია მხოლოდ «ტექნიკური» ბლოკის როლის შესასრულებლად.

მაგრამ პოლიტიკას თავისი ობიექტური ლოგიკა აქვს, რომელიც ამა თუ იმ პირის თუ პარტიის განზრახვაზე არ არის დამოკიდებული. ბუნდელი ფიქრობს, რომ ბლოკი მხოლოდ ტექნიკური იქნება, ხოლო მთელი ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური ძალები ისე ეწყობიან, რომ ბლოკი იდეური გამოდის. კადეტების აღტაცების შემდეგ, რაც კონფერენციის მენშევიკურმა გადაწყვეტილებამ გამოიწვია, მას შემდეგ, რაც «ტოვარიშჩში» დაიბეჭდა პლეხანოვის ცნობილი, ჰეროსტრატისებური, წერილი «სრულძალაუფლებიანი სათათბიროს» შესახებ, არა გვგონია საჭირო იყოს ამის მტკიცება.

ჩაუფიქრდით კარგად სტატიის ავტორის მტკიცებას: «კადეტებმა მშვენივრად იციან, რომ მათი ძალა ემყარება კონსტიტუციური ილუზიების ნიადაგს, და ამიტომ ისინი მთელი ძალღონით ცდილობენ ჩაუნერგონ ამომრჩევლებს» ეს ილუზიებიო.

«კადეტების ძალა ემყარება კონსტიტუციური ილუზიების ნიადაგს»... მართალია თუ არა ეს და რას ნიშნავს ეს ნამდვილად? თუ ეს მართალი არ არის, თუ კადეტების ძალა ემყარება იმას, რომ ისინი ბურჟუაზიული დემოკრატიის გამოჩენილი წარმომადგენლები არიან რუსეთის ბურჟუაზიულ რევოლუციაში, მაშინ სწორია მენშევიზმის, ანუ მემარჯვენე ფრთის სოციალ-დემოკრატების საერთო ტაქტიკური ხაზი. თუ ეს მართალია, თუ კადეტების ძალა ხალხის ი ლ უ ზ ი ე ბ ი ს ძალაშია და არა ბურჟუაზიული დემოკრატიის ძალაში, მაშინ სწორია ბოლშევიზმის, ანუ მემარცხენე ფრთის სოციალ-დემოკრატების საერთო ტაქტიკური ხაზი.

ბურჟუაზიულ რევოლუციაში არ შეიძლება სოციალ-დემოკრატიამ მხარი არ დაუჭიროს ბურჟუაზიულ დემოკრატიას, — ასეთია პლეხანოვის და მის ამყოლდამყოლთა ძირითადი დებულება; და ამ დებულებიდან მათ პ ი რ დ ა პ ი რ დ ა უ შ უ ა ლ ო დ გამოჰყავთ დასკვნა კადეტებისათვის მხარის დაჭერის შესახებ. ჩვენ კი ვამბობთ: დებულება სწორია, ხოლო დასკვნა ყოვლად უვარგისი, ვინაიდან ჯერ კიდევ საჭიროა იმის გამორკვევა, თუ რა პარტიები ან მიმდინარეობანი გამოხატავენ ამა თუ იმ მომენტში ბურჟუაზიული დემოკრატიის ნამდვილად ბ რ ძ ო ლ ი ს უ ნ ა რ ი ს მ ქ ო ნ ე ძ ა ლ ა ს. კადეტებიც, ტრუდოვიკებიც, ესერებიც — ყველა ესენი «ბურჟუაზიული დემოკრატიაა», მარქსისტული თვალსაზრისით, ე. ი. ერთადერთი მეცნიერული ანალიზის თვალსაზრისით. კადეტების «ძალა» არ არის ხალხის ბურჟუაზიული მასის (გლეხობის, ქალაქის მდაბიოთა) მებრძოლი ძალა, არ არის მემამულეთა კლასის (შავრაზმელების) და კაპიტალისტთა კლასის (ოქტიაბრისტების) ეკონომიური და ფულადი ძალა: ეს არის «ძალა» ბურჟუაზიული ინტელიგენციისა,

რომელიც არ არის დამოუკიდებელი ეკონომიური კლასი და ამიტომ არავითარ დამოუკიდებელ პოლიტიკურ ძალას არ წარმოადგენს; მაშასადამე, ეს არის მითვისებული «ძალა», რომელიც დამოკიდებულია ბურჟუაზიული ინტელიგენციის გავლენისაგან სხვა კლასებზე, რამდენადაც მათ ჯერ კიდევ ვერ მოუსწრიათ ნათელი დამოუკიდებელი პოლიტიკური იდეოლოგიის შემუშავება, რამდენადაც ისინი ემორჩილებიან ბურჟუაზიული ინტელიგენციის იდეურ ხელმძღვანელობას; ეს უწინარეს ყოვლისა არის «ძალა» იმ შემცდარი აზრებისა დემოკრატიის რაობის და მისთვის ბრძოლის საშუალების შესახებ, რომელთაც ხალხის ბურჟუაზიულ მასაში ატარებს და ავითარებს ბურჟუაზიული ინტელიგენცია.

ამის უარყოფა ნიშნავს ბავშვური გულუბრყვილობით თავის მოტყუებას «სახალხო თავისუფლების პარტიის» შესახებ სიტყვების რახარუხით, ნიშნავს იმ საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებზე თვალის დახუჭვას, რომ კადეტებს ზურგს არ უმაგრებს არც მასა და არც მემამულური და კაპიტალისტური ელემენტების გადამწყვეტი ძალები.

ამის აღიარება ნიშნავს იმას, რომ მუშათა პარტიის სადღეისო ამოცანად ვცნოთ ხალხზე კადეტების გავლენასთან ბრძოლა, — ვცნოთ ეს ბრძოლა სრულიადაც არა იმიტომ, რომ ჩვენ ვოცნებობდეთ ბურჟუაზიულ რევოლუციაზე ბურჟუაზიული დემოკრატიის გარეშე (უაზრობა, რომელსაც გვაწერენ მემარჯვენე ფრთის სოციალ-დემოკრატები), — არამედ იმიტომ, რომ კადეტები ხელს უშლიან ბურჟუაზიული დემოკრატიის ნამდვილი ძალის გაშლასა და გამომჟღავნებას.

კადეტების პარტიაში შედის რუსეთის მემამულეთა უმცირესობა (მემამულეთა მასა შავრაზმულია), კაპიტალისტთა უმცირესობა (მათი მასა — ოქტიაბრისტებია). მასში შედის უმრავლესობა, მასა მხოლოდ ბურჟუაზიული ინტელიგენციისა. აქედან წარმოსდგება პოლიტიკური ბალღებისა და პოლიტიკურად დაუძლურებულ მოხუცთა მაცდუნებელი

ეფექტურობა კადეტების პოლიტიკისა, მათი ხმაური, აურზაური, იაფ წარმატებათა ტრიუმფი, მათი ბატონობა ლიბერალურ ჟურნალისტიკაში, ბურჟუაზიულ მეცნიერებაში და სხვ.. აქედანვე წარმოსდგება მ ო ჩ ვ ე ნ ებ ი თ ი ძ ლ ი ე რ ე ბ ა ამ პარტიისა, რომელიც ხალხს რყვნის მონარქიასთან შეთანხმების მუხანათური ქადაგებით, — მაგრამ რომელსაც არავითარი ძალა არ გააჩნია ნამდვილად რაიმე შეთანხმების მისაღწევად.

კადეტები ბურჟუაზიული დემოკრატია კი არა, ბურჟუაზიის მიერ დემოკრატიის გამცემლობის განსახიერებაა, — სწორედ ისე, როგორც, ვთქვათ, ფრანგი რადიკალ-სოციალისტები ან გერმანელი სოციალ-ლიბერალები ინტელიგენტური სოციალისტები კი არ არიან, არამედ ინტელიგენციის მიერ სოციალიზმის გამცემლობის განსახიერება. ამიტომ ბურჟუაზიული დემოკრატიის მხარის დაჭერა მოითხოვს კადეტების კვაზი-დემოკრატიზმის მთელი მოჩვენებითი ძლიერების მხილებას.

ამიტომ რევოლუციას და მუშათა კლასის საქმეს უდიდეს ზიანს აყენებენ პლეხანოველები, რომლებიც განუწყვეტლივ გაჰყვირიან: რეაქციას უნდა ვებრძოლოთ და არა კადეტებსაო!

საყვარელო ამხანაგებო! თქვენი აზრის ნაკლებობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ თქვენ არ გესმით კადეტებთან ჩვენი ბრძოლის მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა. რა არის ამ ბრძოლის მთავარი აზრი და არსი? ის, რომ კადეტები ბურჟუები არიან? რასაკვირველია, არა. ის, რომ კადეტები უბრალო მოლაყბენი არიან დემოკრატიის შესახებ, მებრძოლი დემოკრატიის გამცემლები არიან.

ახლა: ახდენენ თუ არა კადეტები გავლენას ხალხის მასაზე, ხალხის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ მასაზე? რასაკვირველია, ახდენენ, და ახდენენ გავლენას ძალიან ფართოდ, უამრავი გაზეთის საშუალებით და სხვ. და სხვ.. მოდით ახლა და ნახეთ: შეიძლება ხალხის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ მასას მოვუწოდოთ რეაქციასთან საბრძოლველად ისე, რომ ა რ ვ ა მ ხ ი ლ ო თ ამ მასის ახლანდელი იდეური ბელადები,

რომელნიც ვ ნ ე ბ ე ნ ბურჟუაზიული დემოკრატიის საქმეს? არ შეიძლება, საყვარელო ამხანაგებო.

რეაქციასთან ბრძოლა უწინარეს ყოვლისა იმას ნიშნავს, რომ მასები იდეურად მოვწყვიტოთ რეაქციას. მაგრამ მასებზე «რეაქციის» იდეური გავლენის ძალა და ცხოველუნარიანობა მდგომარეობს სრულიადაც არა შავრაზმულ გავლენაში, არამედ ს წ ო რ ე დ კ ა დ ე ტ უ რ გ ა ვ ლ ე ნ ა შ ი. ეს პარადოქსი არ არის. შავრაზმელი აშკარა და უხეში მტერია, რომელსაც შეუძლია დასწვას, მოკლას, დაარბიოს, მაგრამ ვერ დაარწმუნებს უბირ გლეხსაც კი. კადეტი კ ი ა რ წ მ უ ნ ებ ს გლეხსაც და მდაბიო მოქალაქესაც და არწმუნებს რაში? იმაში, რომ მონარქი პასუხისმგებელი არაა, რომ შეიძლება მშვიდობიანი გზით (ე. ი. მონარქიის ხელში ძალაუფლების დატოვებით) მოვიპოვოთ თავისუფლება, რომ მემამულეების მიერ მოჭახრაკებული გამოყიდვა მიწის ყველაზე ხელსაყრელი გადაცემაა გლეხებისათვის და სხვ. და სხვ.

ამიტომ ვერ დაარწმუნებთ სერიოზული ბრძოლის აუცილებლობაში ვერც გულუბრყვილო გლეხს და ვერც გულუბრყვილო მეშჩანს, თუ არ მოსპობთ მასზე კადეტური ფრაზების, კადეტური იდეოლოგიის გავლენას. და ვინც ლაპარაკობს: «რეაქციას უნდა ვებრძოლოთ დ ა ა რ ა კადეტებსაო», მას არ ესმის ბრძოლის ი დ ე უ რ ი ამოცანები, მას ბრძოლის არსად მიაჩნია არა მასების დარწმუნება, არამედ ფიზიკური ზედმოქმედება, მას ვულგარულად ესმის ბრძოლა: რეაქციას «ურტყით», ხოლო კადეტებს ნუ «დაარტყამთო».

რასაკვირველია, ჩვენ იარაღით ხელში ჯერ დავარტყამთ არა კადეტს, და არც ოქტიაბრისტსაც კი, არამედ მ ხ ო ლ ო დ მთავრობას და მის პირდაპირ მსახურთ, — და, როდესაც ჩვენ მათ მართლაც დავარტყამთ და დავამარცხებთ, მაშინ კადეტი ფულის გამო ისევე გამოიდებს თავს რესპუბლიკური დემოკრატიის გულისათვის, როგორც ახლაა თავგამოდებული (პროფესორული 20 რიცხვისათვის, ან ადვოკატის ჰონორარისათვის) — მონარქიული დემოკრატიის გულისათვის. მაგრამ, რეაქცია რომ ნამდვილად დავამარცხოთ, საჭიროა მასები

გავათავისუფლოთ კადეტების იდეური გავლენისაგან, რომელნიც ყალბად განუმარტავენ ამ მასებს რეაქციასთან ბრძოლის ამოცანებსა და არსს.

დავუბრუნდეთ ბუნდელებს. ნუთუ ისინი ვერ ხედავენ ახლა, რომ მ ა თ მ ი ე რ დაშვებული «ტექნიკური» ბლოკი კადეტებთან ნამდვილად უ კ ვ ე გ ა დ ა ი ქ ც ა ხალხის მასებში კადეტების ნდობის განმტკიცების (და არა უნდობლობის ატმოსფეროს შექმნის) ძლიერ იარაღად? მხოლოდ ბრმებს შეუძლიათ ეს არ დაინახონ. ყველა ს.-დ. მენშევიკის, მათ შორის ბუნდელებისაც, იდეური ბლოკი კადეტებთან ფაქტია, ხოლო ამხანაგ მ.-ის სტატიისთანა სტატიები — კარგი, მაგრამ უწყინარი პლატონური ოცნებანია.

«პროლეტარი» № 10,
1906 წ. 20 დეკემბერი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

მთავრობის მიერ სათათბიროს გაყალბება და სოციალ-დემოკრატიის ამოცანები

მეფის მთავრობა კვლავ მტკიცედ «ეწევა მუშაობას» სათათბიროს გასაყალბებლად. ვაფრთხილებდით რა რუსეთის გულუბრყვილო ობივატელებს კონსტიტუციურობით გატაცებისაგან, ჩვენ ჯერ კიდევ ამ გაყალბების დაწყებამდე ვწერდით («პროლეტარის» № 5, 1906 წ. 30 სექტემბერი), რომ მზადდება ახალი სახელმწიფო გადატრიალება, სახელდობრ: მზადდება 1905 წ. 11 დეკემბრის საარჩევნო კანონის შეცვლა მეორე სათათბიროს წინ. «უეჭველია, — ვწერდით ჩვენ მაშინ, — რომ მთავრობა ახლა დიდი ყურადღებით სწავლობს» საკითხს, «დასტოვოს თუ არა ძველი საარჩევნო კანონი» *.

დიახ, მეფის მთავრობა სწავლობდა, სწავლობს და მან, ალბათ, უკვე შეისწავლა კიდეც ეს საკითხი. საარჩევნო კანონის შეცვლა მან ამჯობინა სენატის განმარტებათა გზით. ახლა იგი ახალ ნაბიჯებს დგამს აგიტაციის თავისუფლების შესაზღუდავად (თუ შეიძლება კიდევ შეიზღუდოს რუსეთის თავისუფლება) და არჩევნების გასაყალბებლად. ამ დღეებში გამოვიდა ინსტრუქცია, რომლითაც იკრძალება საარჩევნო ბარათების ბლანკების გაცემა არალეგალიზებული პარტიებისათვის. გაზეთების დახურვა უფრო და უფრო სამხედრო-საველე ხასიათს იღებს. დაპატიმრება ძლიერდება. წარმოებს ჩხრეკა და შეპყრობა იმ აშკარა მიზნით, რომ მოძებნონ ამრჩევლები და გავლენიანი ამომრჩევლები, «მოიშორონ» ერთნიც და

* იხ. ეს ტომი, გვ. 236—237. რედ.

მეორენიც. ერთი სიტყვით, საარჩევნო კამპანია გაჩაღებულიაო, — ოხუნჯობს რუსი კაცი.

სადამდე მივა მთავრობა სათათბიროს სამხედრო-საველე გაყალბებაში, — ეს არავინ იცის. რატომაც არ უნდა დააპატიმრონ ამრჩევლები არჩევნების დღესაც და ა რ ჩ ე ვ ნ ე ბ ი ს შ ე მ დ ე გ ა ც? კანონში — კიდევ ხმარებაშია ეს სულელური სიტყვა რუსეთში! — ლაპარაკია სათათბიროს დეპუტატთა ხელუხლებლობაზე, მაგრამ ამრჩევლების ხელუხლებლობაზე კრინტიც არ არის დაძრული. ჩვენი პრესა ჯერ კიდევ პირველი სათათბიროს არჩევნების დროს მიუთითებდა ამ გარემოებაზე. მაშინ «ვიტეს გამოეპარა», — როგორც ფიქრობს მეფის შავრაზმული ბრბო, ნამდვილად კი მაშინ მთავრობა ჯერ კიდევ მეტად სუსტი იყო დეკემბრის აჯანყების შემდეგ, რომ რევოლუციის სიმაგრეთა შემდგომი ხაზის დაკავებაზე გადასულიყო. ახლა კონტრრევოლუციამ ძალღონე მოიკრიბა და სავსებით სწორად იქცევა თავისი თვალსაზრისით, როცა ამსხვრევს კონსტიტუციას (რომელიც მხოლოდ გულუბრყვილო კადეტებს შეეძლოთ ეწამათ). რეაქციის კაცები — ლიბერალური ბალალაიკინების ტოლი არ არიან. ისინი საქმის ხალხია. ისინი ხედავენ და გამოცდილებით იციან, რომ რუსეთში სულ მცირედი თავისუფლება აუცილებლად რევოლუციის აღმავლობას იწვევს. ამიტომ ისინი ი ძ უ ლ ე ბ უ ლ ი ა რ ი ა ნ სულ უკან-უკან დაიხიონ, უფრო და უფრო დაარღვიონ ოქტომბრის კონსტიტუცია, სულ უფრო და უფრო დაკვალთონ ყოველგვარი სახურით ოდნავ ახდილი პოლიტიკური სარქველი.

რუსი კადეტის ან უპარტიო-პროგრესული ინტელიგენტის მთელი უსაზღვრო სიყეყეჩეა საჭირო, რომ ამის გამო ასტეხო ყვირილი მთავრობის სიგიჟის შესახებ და არწმუნო იგი დაადგეს კონსტიტუციურ გზას. მ თ ა ვ რ ო ბ ა ს ა რ შ ე უ ძ ლ ი ა ს ხ ვ ა ნ ა ი რ ა დ მ ო ი ქ ც ე ს, ნამდენადაც ის მეფის ძალაუფლებას და მემამულეთა მიწებს იცავს დაფარული, შევიწროებული, მაგრამ გაუნადგურებელი შემოტევისაგან ქვევიდან. და ჩვენ ვეტყვით მთავრობას: მერე რა! დაკვალთეთ,

დახურეთ ოდნავ ახდილი სარქველი. სანამ სარქველი ცოტათი ახდილი იყო, გრილი ჰაერი აღვივებდა სიმხურვალეს ქვაბში. როდესაც სარქველს დახურავთ, — ამას ჩვენთვის შეიძლება მეტად სასურველი აფეთქება მოჰყვეს. ჩვენი საქმეა რაც შეიძლება ფართოდ გამოვიყენოთ ხალხის მასების წინაშე სტოლიპინის საუცხოო აგიტაცია, «კონსტიტუციის დედაარსის» საუცხოო სტოლიპინური განმარტებანი.

მაგრამ აი სწორედ აქ ჩნდება მთელი უფსკრული იმ განსხვავებისა, რომელიც არსებობს ლიბერალურ-მონარქისტული ბურჟუაზიის ტაქტიკასა და სოციალისტური პროლეტარიატის ტაქტიკას შორის. სოციალ-დემოკრატია ქადაგებს ბრძოლას, განუმარტავს ხალხს ისტორიის ყველა და ყოველგვარ გაკვეთილზე ბრძოლის აუცილებლობას, ემზადება მისთვის, რეაქციის გაძლიერებას უპასუხებს რევოლუციური აგიტაციის გაძლიერებით. ლიბერალებს არ შეუძლიათ ბრძოლა იქადაგონ, ვინაიდან მათ ეშინიათ ბრძოლისა. რეაქციის გაძლიერებას ისინი უპასუხებენ ხალხის შეგნების შემრყვნელი კონსტიტუციური წუწუნით და — თავისი ოპორტუნიზმის გაძლიერებით. ლიბერალები იქცევიან ისე, როგორც ეს მოსწრებულად და მხატვრულად დაასურათა ტრუდოვიკმა სედელნიკოვმა პანინას სახლში 9 მაისს გამართულ მიტინგზე. როცა ლიბერალს აგინებენ, ის ამბობს: მადლობა ღმერთს, არ მცემესო. როცა სცემენ, ის ღმერთს მადლობას სწირავს, რომ არ მოჰკლეს. როცა მოკლავენ, ის ღმერთს მადლობას შესწირავს, რომ მისი უკვდავი სული იხსნეს ხრწნადი მიწიერი გარსისაგან.

როდესაც სტოლიპინის შავრაზმულმა ბანდამ დაუცაცხანა კადეტებს და გაილაშქრა მათი რევოლუციურობის წინააღმდეგ, — კადეტებმა გოდება მორთეს: ტყუილია, ჩვენ რევოლუციონერები არა ვართ, ჩვენ კეთილგანმზრახველები ვართ! ძირს ვიბორგის მოწოდება, ძირს მემარცხენეებთან ბლოკი, ძირს მემარჯვენე სოციალ-დემოკრატებს შორის ყველაზე მემარჯვენე პლეხანოვის «სრულძალაუფლებიანი სათათბიროს» ლოზუნგი, ძირს მავნებელი რევოლუციური ილუზიები! ჩვენ

მივდივართ სათათბიროში საკანონმდებლოდაო. როდესაც შავრაზმელთა ხროვამ გამოაცხადა, რომ კადეტებს, როგორც არალეგალიზებულ პარტიას, არ მისცემენ საარჩევნო ბარათების ბლანკებსაო, — კადეტებმა დაიწყეს გოდება: ეს «შეთანხმების საკითხის დაყენებას სცვლისო» (13 დეკემბრის «რეჩის» მოწინავე)! ეს «აძლიერებს ოპოზიციის ერთადერთი რეგისტრირებული პარტიის — მშვიდობიანი განახლების პარტიის მნიშვნელობას». «შეთანხმებათა დროს ეს უნდა მივიღოთ მხედველობაშიო»! ხოლო როდესაც კადეტ ამრჩეველს, რომელიც ხოხვით გაძვრა მშვიდობიანი განახლების მომხრეთა სიაში, საპოლიციო უბანში წაათრევენ, — კადეტები მადლობას შესწირავენ ღმერთს, რომ სულ მთლად მაინც არ წაართვეს კონსტიტუცია. ერთადერთი სავსებით არასაშიში პარტია — ოქტიაბრისტების პარტია არისო, — იტყვიან მაშინ ჩვენებური რაინდები სამართლისა, — და განა ჩვენ მუდამ იმას არ ვამბობდით, რომ 17 ოქტომბრის მანიფესტის ნიადაგზე ვდგავართო?

რას ფიქრობენ ამაზე ამხანაგი მენშევიკები? ხომ არ უნდა დავაჩქაროთ ახალი პარტიული კონფერენციის მოწვევა და გამოვაცხადოთ, რომ დასაშვებია შეთანხმება მშვიდობიან განმაახლებლებთან და, შეიძლება, ოქტიაბრისტებთანაცაო? მათაც ხომ უნდათ «ნახევართავისუფლება», როგორც ასაბუთებს დღეს, 14 დეკემბერს, დარცხვენილი პლეხანოვი ყოფილი სოციალ-დემოკრატების გაზეთში!

მშვიდობიან განმაახლებელთა საკითხი შემთხვევით როდი ამოტივტივებულა კადეტებს შორის. ის ისმოდა ადრეც, სანამ გამოვიდოდა ინსტრუქცია საარჩევნო ბარათების ბლანკების შესახებ. «ტოვარიშჩელი» მემარცხენე კადეტებიც კი (რომელთაც ზოგიერთი ხუმარა «თითქმის-სოციალისტებს» უწოდებს) ჯერ კიდევ 5 დეკემბრის ნომერში პროგრესულ პარტიებს აკუთვნებდნენ მშვიდობიან განმაახლებლებსაც, საერთოდ კი 6 პროგრესულ პარტიას ითვლიდნენ (კ.-დ., ს.-დ., ს.-რ., სახ. სოც., დ. რ. პ. და მ. გ.). «ტოვარიშჩის» იმავე ნომერში ყოფი-

ლი სოციალ-დემოკრატები საშინელი რისხვით დაესხნენ თავს პლაკატს სამი მ თ ა ვ ა რ ი პარტიის შესახებ, რომელიც დართული აქვს «პროლეტარის» მერვე ნომერს *. ეს «პოლიტიკური არაკეთილსინდისიერება არისო», — გოდებდნენ პლეხანოვის მეგობრები, — გეიდენი რომ შავრაზმელებს მიაკუთვნოთო!

ჩვენ ძალიან მოხარული ვართ, რომ სოციალ-დემოკრატიის რენეგატები ვაიძულეთ დაიცვან გუშინდელი ოქტიაბრისტი, რომელმაც სათათბიროს გარეკვის შემდეგ პროტესტი განაცხადა ვიბორგის მოწოდების წინააღმდეგ და რომელსაც სტოლიპინთან ჰქონდა მოლაპარაკება სამინისტროს შესახებ.

ოღონდ უფრო მარჯვედ უნდა დაგეცვათ ის, ბატონო პლეხანოვის თანამშრომელნო! ყველამ იცის, რომ პირველ არჩევნებში ოქტიაბრისტებს (მათ შორის გეიდენსა და შიპოვს) ბლოკი ჰქონდათ შეკრული შავებთან. თქვენ მზადა ხართ ეს დაივიწყოთ პარტიის სახელწოდების გამოცვლის გამო? მაგრამ 5 დეკემბრის «ტოვარიშჩის» იმავე (მე-4) გვერდზე ვკითხულობთ, რომ 17 ოქტომბრის კავშირში არის მიმდინარეობა, რომელიც ემხრობა მშვიდობიანი განახლების პარტიასთან შეთანხმებას, და რომ ეს მიმდინარეობა კიდევაც სჭარბობს კავშირის პეტერბურგის განყოფილებაშიო. ცოტა ქვევით კი მოყვანილია ცნობა, რომ «გაერთიანებული რუსი ხალხის მთავარ გამგეობას» დასაშვებად მიაჩნია ბლოკი ოქტიაბრისტებთან, რის გამოც «ტოვარიშჩი» ოქტიაბრისტებს კონსტიტუციონალისტებად აღარ სთვლის.

რასა ჰგავს ეს? ოქტიაბრისტებს აღარ ვთვლით კონსტიტუციონალისტებად, ვინაიდან შავებს მათთან ბლოკი დასაშვებად მიაჩნიათო. ხოლო მშვიდობიან განმაახლებლებს ვთვლით პროგრესისტებად, მიუხედავად იმისა, რომ ოქტიაბრისტებს მათთან ბლოკი დასაშვებად მიაჩნიათო.

ოჰ, უბადაღებული პროგრესული «ინტელიგენციის» ბრძენთა-ბრძენნო ჭიჭყინებო!

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 386—392. რ ე დ.

ინტელიგენტი რადიკალების მიერ მშვიდობიან განმაახლებელთა დაცვა, კადეტური პარტიის ცენტრალური ორგანოს შებრუნება მშვიდობიანი განახლებისაკენ, როგორც კი გამოვიდა ინსტრუქცია ბლანკების შესახებ — ყოველივე ეს ლიბერალური ტაქტიკის ტიპიური ნიმუშებია. მთავრობა ერთ ნაბიჯს გადადგამს მარჯვნივ, — ჩვენ კი ორ ნაბიჯს მარჯვნივ! და დახე — ჩვენ ისევ ლეგალური და მშვიდობიანი, ტაქტიანი და ლოიალურნი ვართ, უბლანკოდაც შევეგუებით, ყოველთვის შევეგუებით სისაძაგლესაო!

ლიბერალურ ბურჟუაზიას ეს რეალური პოლიტიკა ჰგონია. ისინი ამაყობენ ამ მხოხავი რეალიზმით (როგორც მშვენივრად თქვა ერთმა სოციალ-დემოკრატმა), მას სთვლიან პოლიტიკური ტაქტიანობისა და დიპლომატიურად-ბრძნული ტაქტიკის მწვერვალად. ნამდვილად კი ეს არათუ უაღრესად სულელური და უაღრესად გამცემლური, არამედ უაღრესად უნაყოფო ტაქტიკაცაა, რომლის მეოხებით გერმანელმა კადეტებმა, დაწყებულმა ფრანკფურტელი მოლაყბეებით და გათავებულმა ბისმარკის წინაშე მხოხავი ნაციონალ-ლიბერალებით [110], ბურჟუაზიული რევოლუციიდან ნახევარ საუკუნეზე მეტი დროის გასვლის შემდეგ განამტკიცეს სახელმწიფო ძალაუფლება იუნკრების (შავრაზმელი მემამულეების, დორერების, ბულაცელების, პურიშკევიჩების, — რუსულად რომ ვთქვათ) ხელში და «პარლამენტური ფორმით გამოწყობილი სამხედრო აბსოლუტიზმის» ხელში [111].

დროა გაიგონ ჩვენმა მენშევიკებმაც, რომელთაც ხიბლავს კადეტების ეს პოლიტიკა და რომელნიც მას ითვისებენ, რომ ერთადერთი რეალურია, ამ სიტყვის კარგი და არა უგვანო აზრით, რევოლუციური მარქსიზმის პოლიტიკა. რეაქციის ხრიკებსა და შებრუნებას უნდა ვუპასუხოთ არა მარჯვნივ შეგუებით, არამედ პროლეტარულ მასებში რევოლუციური ქადაგების გაღრმავებით და გაფართოებით, რევოლუციური კლასობრივი ბრძოლის სულისკვეთებისა და რევოლუციური კლასობრივი ორგანიზაციების განვითარებით. ამით და მხო-

ლოდ ამით განამტკიცებთ თქვენ რეაქციის წინააღმდეგ ერთადერთ მებრძოლთა ძალას რეაქციის ყოველგვარი შებრუნებისა და ხრიკის მიუხედავად. ხოლო თუ მთავრობის შავრაზმულ ოინებს თქვენი ტაქტიკის მარჯვნივ შეგუებით უპასუხებთ, ამით თქვენ აქუცმაცებთ და ასუსტებთ ერთადერთს, ბრძოლის უნარისმქონე ძალას, რევოლუციური კლასების ძალას, აბნელებთ მათს რევოლუციურ თვითშეგნებას პოლიტიკანური «მანევრების» ზიზილ-პიპილებით.

მენშევიკები თავდაპირველად წინააღმდეგი იყვნენ კადეტებთან შეთანხმებისა. შეთანხმება დაჰგმო მარტოვმა. იგი აღშფოთებით უარყო ი. ლარინმა. მას ნიკ. ი-სკიც [112] კი არ იწონებდა. სენატურ განმარტებათა (ჩვენი რეაქციული სენატებისა ჟენევაში და პიტერში) გავლენით მარტოვი და კომპ. გადაიხარნენ მარჯვნივ. ისინი კადეტებთან ბლოკის მომხრენი არიან, მაგრამ კადეტებზე მარჯვნივ არა, — ღმერთმა ნუ ჰქნას! «ოპოზიციურ-დემოკრატიულ პარტიებთან» (სრულიად რუსეთის კონფერენციის რეზოლუცია, მიღებული ც. კ.-ის წინადადებით 18 ხმით 14-ის წინააღმდეგ), — არა ამაზე მარჯვნივ!

მაგრამ აი კადეტები პირს იბრუნებენ მშვიდობიან განმაახლებლებისაკენ. და თქვენც, ამხანაგო მენშევიკებო? სენატური განმარტების პასუხად — ბლოკი კადეტებთან, ბლანკების მიუღებლობის პასუხად — ბლოკი მშვიდობიან განმაახლებლებთან? რაღას იზამთ ამრჩევლების დაპატიმრების პასუხად??

მასებში ნამდვილ რევოლუციურ ქადაგებაზე თქვენი ხელისაღება უკვე ფაქტია. თქვენ უკვე აღარ ებრძვით მშვიდობიანი გზის ილუზიებს და ამ ილუზიების მატარებლებს, კადეტებს. თქვენ მხოლოდ შავრაზმული საფრთხე გაინტერესებთ. ხოლო თქვენი და კადეტების საერთო სიების «ოსტატური მანევრები» აგებულია ქვიშაზე. თქვენ ასუსტებთ მასებში რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული მუშაობის რეალურ შინაარსს, ხოლო პოლიტიკანობიდან მიღებული მოგება გხვდებათ არა თქვენ, — შეიძლება, არც კადეტებსაც კი, — შეიძლება არც მშვიდობიან განმაახლებლებსაც კი, — არამედ

ოქტიაბრისტებს! სათათბიროს გაყალბებას თქვენ უპასუხებთ რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული ტაქტიკის გაყალბებით, — ამით თქვენ ვერც სათათბიროს გააუმჯობესებთ, ვერც სოციალიზმს განამტკიცებთ და ვერც რევოლუციას წასწევთ წინ!

უპრინციპო პრაქტიციზმის პოლიტიკა ყველაზე არაპრაქტიკული პოლიტიკაა.

სათათბიროს გაყალბებას მუშათა კლასმა უნდა უპასუხოს არა თავისი რევოლუციური აგიტაციის მოდუნებით, არამედ გამახვილებით, უბადრუკი გამცემი კადეტებისაგან განცალკევებით თავის საარჩევნო კამპანიაში.

დაწერილია 1906 წ. 14 (27) დეკემბერს

დაიბეჭდა 1906 წ. 20 დეკემბერს
გაზეთ «პროლეტარში» № 10

იბეჭდება გაზეთის ტექსტის
მიხედვით

№ 1. ЕЖЕНЕДѢЛЬНИКЪ № 1.

ТЕРНІИ ТРУДА

24 декабря 1906 года.

КОНТОРА и РЕДАКЦІЯ: Николаевская ул., кв. 34.
Пріемъ по дѣламъ редакціи по средамъ и субботамъ отъ 3 до 5 час. дня.

Политическое положеніе и задачи рабочаго класса.

Послѣ разгона Думы правительство сдерживало возмущеніе страны только посредствомъ военнаго террора. Усиленныя и чрезвычайныя охраны, аресты безъ конца, военно-полевые суды, карательныя экспедиціи, все это, вмѣстѣ взятое, нельзя назвать иначе, какъ военнымъ терроромъ.

Правительство испытывало свою силу на этомъ военномъ подавленіи освободительнаго движенія. Хватитъ силы,—вновь не созовемъ Думы, сразу удовлетворимъ желанія союза русскаго народа и тому подобныхъ «истинно-русскихъ» партій черносотенцевъ. Не хватитъ силы,—созовемъ еще разъ, попытаемся передѣлать избирательный законъ, попытаемся обезпечить черносотенную Думу или укротить кадетскую Думу. Такъ разсуждало правительство.

Военной силы безпощаднаго подавленія кратко до сихъ поръ по крайней мѣрѣ, только на то, чтобы посредствомъ сенатскихъ разъясненій отнять, вопреки закону, избирательное право у тысячъ и десятковъ тысячъ рабочихъ, неимущихъ крестьянъ, желѣзнодорожниковъ. Финансовыя затрудненія правительства чрезвычайно усилились. Займа пока не удается добыть. Грозить неминуемое банкротство. Внутри страны правительство не можетъ опереться ни на одну партію, колеблясь между пойками хулигановъ (истинно-русскіе люди) и октябристами. Вполнѣ совѣсться оно не могло даже и съ октябристами.

При такихъ условіяхъ начинается избирательная кампанія во вторую Думу. Обываталь запуганъ. На кого удручающе повліяли военно-полевые суды. Онъ находится подъ впечатлѣніемъ правительственнаго хвастовства, что Дума будетъ послушной. Онъ поддается настроенію и готовъ простить всѣ ошибки кадетамъ, готовъ выбросить за бортъ все то, чему научила его первая Дума и голосовать за кадета, лишь бы не прошелъ черносотенецъ.

Со стороны обывателя такое поведеніе понятно. Обыватель никогда не руководится твердымъ міросозерцаніемъ, принципами цѣльной партійной тактики. Онъ всегда плыветъ по теченію, слѣпо отдаваясь настроенію. Онъ не можетъ разсуждать иначе, какъ противопоставляя черной силѣ самую скромную изъ оппозиціонныхъ партій. Онъ не въ состояніи самостоятельно обдумать опытъ первой Думы.

Но то, что естественно для обывателя, непростительно для партійнаго человѣка и совсѣмъ уже непримѣнимо для соціалдемократа. Прислушайтесь, въ самомъ дѣлѣ, къ доводамъ тѣхъ соціалдемократовъ, которые зовутъ соціалистовъ рабочихъ *голосовать за кадетовъ* (все равно, за однихъ ли только кадетовъ тамъ, гдѣ соціалдемократы отказались вовсе выставлять своего кандидата, или за кадета вмѣстѣ съ соціалдемократомъ, гдѣ есть общій списокъ). Вмѣсто доводовъ вы услышите одинъ только припѣвъ, одинъ крикъ страха и отчаянія: какъ бы не прошли черносотенцы! Голосуйте всѣ за кадетовъ! составляйте общіе списки съ кадетами!

Соціалдемократъ, членъ рабочей партіи, не можетъ опускаться до такой обывательщины. Онъ долженъ дать себѣ ясный отчетъ въ томъ, какія дѣйствительныя общественныя силы ведутъ борьбу, какое дѣйствительное значеніе имѣетъ Дума вообще и господствовавшая въ первой Думѣ партія кадетовъ въ особенности. Кто разсуждаетъ о современной политикѣ пролетаріата, не обдумавъ всѣхъ этихъ вопросовъ, тотъ никогда не можетъ прійти къ сколько-нибудь вѣрнымъ выводамъ.

За что идетъ теперь борьба въ Россіи? За свободу т. е. за власть народныхъ представителей въ государствѣ, а не стараго правительства: За землю для крестьянъ. Правительство всѣми силами борется противъ этихъ стремленій, отстаиваетъ свою власть, свою землю (ибо самые богатые помѣщики принадлежатъ къ числу самыхъ знатныхъ и наиболѣе высокопоставленныхъ лицъ въ государствѣ). Правительство имѣетъ противъ себя рабочихъ и массу крестьянской бѣдноты, а также, разумѣется, и городской бѣдноты, о которой не къ чему говорить отдѣльно, ибо у нея нѣтъ особыхъ интересовъ въ отличіе отъ основныхъ интересовъ пролетаріата и крестьянства.

Какъ относятся къ борьбѣ высшіе классы, помѣщики и буржуазія? Сначала, до 17-го октября, большая часть ихъ были либеральны, т. е. сочувствовали свободѣ, даже помогали тамъ или иначе борьбѣ рабочихъ. Буржуазія была недовольна самодержавнымъ порядкомъ управленія и требовала себѣ тоже

პირველი გვერდი ყოველკვირეული ჟურნალისა «ტერნიი ტრუდა», № 1, 1906 წ. 24 დეკემბერი, ვ. ი. ლენინის მოწინავე სტატიით «პოლიტიკური მდგომარეობა და მუშათა კლასის ამოცანები» დაბეჭდილია

პოლიტიკური მდგომარეობა და მუშათა კლასის ამოცანები[113]

სათათბიროს გარეკვის შემდეგ მთავრობა მხოლოდ სამხედრო ტერორის საშუალებით ახერხებდა ქვეყნის აღშფოთების დაოკებას. გაძლიერებული და საგანგებო დაცვის წესებს, დაუსრულებელ დაპატიმრებას, სამხედრო-საველე სასამართლოებს, დამსჯელ ექსპედიციებს, — ყოველივე ამას, ერთად აღებულს, არ შეიძლება სხვა რაიმე ეწოდოს, თუ არა სამხედრო ტერორი.

მთავრობამ თავისი ძალღონე გამოსცადა განმათავისუფლებელი მოძრაობის ამ სამხედრო ჩახშობით. თუ ძალა გვეყო, — სულაც არ მოვიწვევთ სათათბიროს, ერთბაშად დავაკმაყოფილებთ რუსი ხალხის კავშირისა და მის მსგავს შავრაზმელთა «ჭეშმარიტი რუსული» პარტიების სურვილებს. თუ არ გვეყო ძალა, — ერთხელ კიდევ მოვიწვევთ სათათბიროს, ვეცდებით შევცვალოთ საარჩევნო კანონი, ვეცდებით უზრუნველვყოთ შავრაზმული სათათბირო ან მოვათვინიეროთ კადეტური სათათბიროო. ასე მსჯელობდა მთავრობა.

ულმობელი ჩახშობის სამხედრო ძალა აქამდე საკმარისი აღმოჩნდა, ყოველ შემთხვევაში, მხოლოდ იმაზე, რომ სენატის განმარტებათა მეოხებით, წინააღმდეგ კანონისა, საარჩევნო უფლება ჩამორთმეოდა ათასობით და ათეულათასობით მუშას, შეუძლო გლეხს, რკინიგზელს. მთავრობის ფინანსური გაჭირ-

ვება უაღრესად გაძლიერდა. სესხის შოვნა ჯერჯერობით არ ხერხდება. კარს მომდგარია გარდუვალი გაკოტრება. ქვეყნის შიგნით მთავრობა ვერ დაეყრდნობა ვერც ერთ პარტიას, იგი მერყეობს ხულიგანთა ბრბოებსა (ჭეშმარიტი რუსები) და ოქტიაბრისტებს შორის. სავსებით ის ოქტიაბრისტებსაც კი ვერ შეეწყო.

ასეთ პირობებში იწყება მეორე სათათბიროს საარჩევნო კამპანია. ობივატელი დაშინებულია. მასზე საშინლად იმოქმედეს სამხედრო-საველე სასამართლოებმა. ის იმყოფება მთავრობის იმ კვეხნის შთაბეჭდილების ქვეშ, რომ სათათბირო მორჩილი იქნებაო. ის სულიერ განწყობილებას ემორჩილება და მზადაა აპატიოს კადეტებს ყველა შეცდომა, მზადაა შორს გადასტყორცნოს ყოველივე ის, რაც ასწავლა მას პირველმა სათათბირომ, და ხმა მისცეს კადეტს, ოღონდ შავრაზმელი არ გავიდეს.

ობივატელის მხრივ ასეთი ქცევა გასაგებია. ობივატელი არასოდეს არ ხელმძღვანელობს მტკიცე მსოფლმხედველობით, მთლიანი პარტიული ტაქტიკის პრინციპებით. ის ყოველთვის მდინარებას მიჰყვება და ბრმად ემორჩილება სულიერ განწყობილებას. ის ვერ იმსჯელებს სხვანაირად, თუ არა ისე, რომ შავ რაზმს ყველაზე უწყინარი ოპოზიციური პარტია არ დაუპირისპიროს. მას არ ძალუძს დამოუკიდებლად მოისაზროს პირველი სათათბიროს გამოცდილება.

მაგრამ, რაც ობივატელისათვის ბუნებრივია, ის არ ეპატიება პარტიულ კაცს და მით უფრო ყოვლად შეუფერებელია სოციალ-დემოკრატისათვის. მართლაც, დაუგდეთ ყური იმ სოციალ-დემოკრატების საბუთებს, რომლებიც მოუწოდებენ სოციალისტ მუშებს ხმა მისცენ კადეტებს (სულ ერთია, მარტო კადეტებს იქ, სადაც სოციალ-დემოკრატებმა სულაც უარი თქვეს თავისი კანდიდატის წამოყენებაზე, თუ კადეტს სოციალ-დემოკრატთან ერთად, სადაც საერთო სიაა). საბუთების ნაცვლად თქვენ გაიგონებთ მხოლოდ ერთ ჰანგს, მარტო შიშისა და სასოწარკვეთილების ძახილს: ვაითუ შავ-

რაზმელები გავიდნენ! ყველამ კადეტებს მიეცით ხმა! შეადგინეთ საერთო სიები კადეტებთან ერთადაო!

სოციალ-დემოკრატი, მუშათა პარტიის წევრი, ვერ ჩამოქვეითდება ასეთ ობივატელობამდე. მან ნათლად უნდა შეიგნოს, თუ ნამდვილად რა საზოგადოებრივი ძალები აწარმოებენ ბრძოლას, თუ ნამდვილად რა მნიშვნელობა აქვს სათათბიროს საზოგადოდ და რა მნიშვნელობა ჰქონდა პირველ სათათბიროში გაბატონებულ კადეტების პარტიას განსაკუთრებით. ვინც პროლეტარიატის თანამედროვე პოლიტიკაზე მსჯელობს და ყველა ამ საკითხს არ უფიქრდება, ის ვერასოდეს ვერ მივა ცოტად თუ ბევრად სწორ დასკვნამდე.

რისთვის წარმოებს დღეს ბრძოლა რუსეთში? თავისუფლებისათვის, ე. ი. სახალხო წარმომადგენლებისა და არა ძველი მთავრობის ძალაუფლებისათვის სახელმწიფოში. მიწისათვის, რომელიც გლეხებს უნდა გადაეცეს. მთავრობა მთელი ძალღონით ებრძვის ამ მისწრაფებებს, იცავს თავის ძალაუფლებას, თავის მიწას (ვინაიდან ყველაზე მდიდარი მემამულენი ყველაზე დიდგვაროვან და ყველაზე უფრო მაღალთანამდებობის პირთა რიცხვს ეკუთვნიან სახელმწიფოში). მთავრობას უპირისპირდებიან მუშები და ღარიბი გლეხობის მასა, აგრეთვე, რა თქმა უნდა, ქალაქის ღარიბნიც, რომელთა შესახებ ცალკე ლაპარაკი არა ღირს, ვინაიდან მათ არა აქვთ განსაკუთრებული ინტერესები, პროლეტარიატისა და გლეხობის ძირითადი ინტერესებისაგან განსხვავებული ინტერესები.

როგორ უყურებენ ბრძოლას უმაღლესი კლასები, მემამულენი და ბურჟუაზია? თავდაპირველად, 17 ოქტომბრამდე, მათი დიდი ნაწილი ლიბერალური იყო, ე. ი. თანაუგრძნობდა თავისუფლებას, ასე თუ ისე ხელსაც კი უწყობდა მუშათა ბრძოლას. ბურჟუაზია უკმაყოფილო იყო მართვა-გამგეობის თვითმპყრობელური წესით და მოითხოვდა მასაც მიეღო მონაწილეობა სახელმწიფო საქმეებში. ბურჟუაზია თავის თავს უწოდებდა დემოკრატიულს, ე. ი. ხალხის თავისუფლების მომხრეს, რათა მის მისწრაფებათათვის ხალხს მხარი დაეჭირა.

მაგრამ 17 ოქტომბრის შემდეგ ბურჟუაზია დასჯერდა იმას, რაც უბოძეს, ე. ი. სახელმწიფო საქმეებში მემამულეთა და კაპიტალისტთა მონაწილეობას და გადარჩენილი ძველი ხელისუფლების მხრივ თავისუფლების დაპირებას. ბურჟუაზიას შეეშინდა პროლეტარიატის და გლეხობის დამოუკიდებელი ბრძოლისა და გამოაცხადა: კმარა რევოლუციაო!

17 ოქტომბრამდე არსებობდა ერთი ფართო ლიბერალურ-ბურჟუაზიული პარტია ერობელებისა, რომელნიც იკრიბებოდნენ თავიანთ ცნობილ ნახევრად ლეგალურ ყრილობებზე და საზღვარგარეთ სცემდნენ ჟურნალ «ოსვობოჟდენიეს». 17 ოქტომბრის შემდეგ საერობო ყრილობათა მონაწილენი გაითიშნენ: საქმოსანი-კაპიტალისტები და უფრო მსხვილი ანუ მეურნეობის ბატონყმური წესით გამძღოლი მემამულენი შევიდნენ ოქტიაბრისტების პარტიაში, ე. ი. პირდაპირ გადავიდნენ მთავრობის მხარეზე. მეორე ნაწილმა, განსაკუთრებით ვექილებმა, პროფესორებმა და დანარჩენმა ბურჟუაზიულმა ინტელიგენციამ, შექმნა კ.-დ.-ების (კონსტიტუციონალისტ-დემოკრატების) პარტია. ამ პარტიამაც შეაქცია ზურგი რევოლუციას, მასაც შეეშინდა მუშათა ბრძოლისა და მანაც გამოაცხადა: კმარაო! მაგრამ მას სურდა და სურს შეწყვიტოს ბრძოლა უფრო მოხერხებული საშუალებებით, ხალხისადმი პატარ-პატარა დათმობით, გლეხების მიერ მიწის გამოყიდვით და სხვ. კადეტთა პარტია ხალხს დაჰპირდა თავისუფლებას და გლეხებს — მიწას. თუ ხალხი კადეტებს აირჩევდა სათათბიროში. სოციალ-დემოკრატებს ესმოდათ, რომ ეს ხალხის მოტყუებაა და ამიტომ მათ სათათბიროს ბოიკოტი გამოუცხადეს. მაგრამ უბირმა გლეხებმა და შეშინებულმა ობივატელებმა მაინც გაიყვანეს კადეტები სათათბიროში. კადეტები, თავისუფლებისათვის ბრძოლის ნაცვლად, სათათბიროდან ხალხს დამშვიდებისაკენ მოუწოდებდნენ, ხოლო თვითონ ცდილობდნენ მეფის მინისტრებად გამხდარიყვნენ. და სათათბირო გარეკეს არასასიამოვნო სიტყვებისათვის, იმისათვის, რომ სოციალ-დემოკრატები და უფრო

გაბედული დეპუტატები სათათბიროს ტრიბუნიდან პირდაპირ ხალხს მიმართავდნენ და ბრძოლისათვის მოუხმობდნენ მას.

ახლა მთლად დაბრმავებული და უვიცი ადამიანებიც კი უნდა მიხვდნენ, თუ რა პარტიაა კადეტების პარტია. ეს არის არა სახალხო მებრძოლების პარტია, არამედ ბურჟუაზიული შუამავლების, დალალების პარტია. მუშები და შეგნებული გლეხები მხოლოდ მაშინ მიაღწევენ თავის მიზნებს, როცა მასა აღარ დაუჯერებს კ.-დ.-ების პარტიას, როცა მასა მიხვდება დამოუკიდებელი ბრძოლის აუცილებელ საჭიროებას. ამიტომ კადეტებისათვის ხმისმიცემა და ასეთი ხმისმიცემის ქადაგება იმას ნიშნავს, რომ შეასუსტო მასების შეგნება, მათი დარაზმულობა და ბრძოლისათვის მზადყოფნა.

შეგნებული მუშების წინაშე ახლა სულ სხვა ამოცანა დგება. ობივატელური დაბნეულობისა და უიდეობის წინააღმდეგ ისინი საარჩევნო კამპანიაში უნდა გამოვიდნენ თანამიმდევარი, მტკიცე, ერთსულოვანი, სოციალისტური ქადაგებით.

შეგნებული მუშების უახლოესი ამოცანაა განუმარტონ პროლეტარიატის მთელ მასას და გლეხობის ყველა მოწინავე წარმომადგენელს, თუ რანაირია ნამდვილი ბრძოლა, როგორია ამ ბრძოლაში სხვადასხვა კლასის ნამდვილი მდგომარეობა.

ჩვენი რევოლუციის დროს მუშები ყველა კლასზე უფრო წინ წავიდნენ. ახლა ისინი მასობრივად ეტანებიან სოციალდემოკრატიას. აქ, რასაკვირველია, საჭიროა უფრო გაძლიერებული, უფრო ფართო მუშაობა, მაგრამ იგი უკვე გაკვლეული გზით მიიმართება. ყველაზე მნიშვნელოვანი და ყველაზე ძნელია მუშაობა გლეხობაში. გლეხები წვრილ მეპატრონეთა კლასია. ეს კლასი ჩაყენებულია თავისუფლებისათვის ბრძოლისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის გაცილებით ნაკლებ ხელსაყრელ პირობებში, ვიდრე მუშები. გლეხები არ არიან გაერთიანებულნი მსხვილი საწარმოებით, არამედ დაქუცმაცებულნი არიან წვრილ, განცალკევებულ მეურნეობებად. გლეხები თვალწინ ვერ ხედავენ ისეთ აშკარა, ცხადს, ერთიან მტერს, როგორც მუშები — კაპიტალისტს. გლეხები რაოდე-

ნადმე თვითონვე არიან მეპატრონენი და მესაკუთრენი; ამიტომ ისინი ყოველთვის ეტანებიან ბურჟუაზიას, სურთ მიბაძონ მას, ოცნებობენ თავისი წვრილი საკუთრების განვითარებასა და განმტკიცებაზე და არა მუშათა კლასის საერთო ბრძოლაზე კაპიტალისტთა კლასის წინააღმდეგ.

აი რატომ არის, რომ ღარიბი გლეხობის მთელი მასა ყოველთვის და ყველა ქვეყანაში თავისუფლებისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში ნაკლებად მტკიცეა, ვიდრე მუშები. აი რატომ არის, რომ ჩვენშიც, რუსეთში, გლეხთა დეპუტატები სათათბიროში, შრომის ჯგუფელები, მიუხედავად კადეტური გამცემლობის ყველა გაკვეთილისა, ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულან ლიბერალური ბურჟუაზიის გავლენისაგან, მისი შეხედულებებისაგან, მის ცრურწმენათაგან, მისი ხერხებისაგან პოლიტიკაში, — ხერხებისაგან, რომლებიც ვითომდა ეშმაკური, ოსტატური, ლამაზი «მანევრებისაგან» შესდგება, ნამდვილად კი სულელური, ამაო და სამარცხვინოა ყოველი ჭეშმარიტი მებრძოლისათვის.

შეგნებულო მუშებო! ისარგებლეთ საარჩევნო კამპანიით, რათა მთლად აუხილოთ თვალი ხალხს! ნუ აჰყვებით იმ კეთილმოაზრე, მაგრამ სუსტი და მერყევი ადამიანების სიტყვებს, რომლებიც მოგიწოდებენ თქვენ კადეტებთან ერთად საერთო სიების შედგენისაკენ, კადეტებთან ერთად საერთო ლოზუნგების საშუალებით მასების შეგნების დაბნელებისაკენ. კრიტიკულად შეხედეთ გავრცელებულ ყვირილს, გოდებასა და შიშს შავრაზმული საფრთხის შესახებ. ნამდვილი და ძირითადი საფრთხე რუსეთის რევოლუციისათვის — ეს არის გლეხობის მასის განუვითარებლობა, მისი მერყეობა ბრძოლაში, მის მიერ ბურჟუაზიული ლიბერალიზმის მთელი უშინაარსობისა და მთელი გამცემლობის შეუგნებლობა. ებრძოლეთ ამ საფრთხეს, აშკარად და ბოლომდე უთხარით მთელი სიმართლე მთელ ხალხის მასას, ამით თქვენ ჩამოაშორებთ მას მოლაყბე კადეტებს და გადმოიყვანთ სოციალ-დემოკრატიის მხარეზე. ამით და მხოლოდ ამით დასძლევთ თქვენ ნამდვილ შავრაზმულ

საფრთხეს. და სენატის ვერავითარი განმარტება, ვერავითარი დასჯა სიკვდილით, ვერავითარი დაპატიმრება ვერ მოუშლის ხალხს ასეთ მუშაობას, მუშაობას მასების მოქალაქეობრივი და კლასობრივი შეგნების ასამაღლებლად, მუშაობას მათ დასარაზმავად ბრძოლის დამოუკიდებელი და არა ლიბერალურ-ბურჟუაზიული ამოცანების გულისათვის.

დაიბეჭდა 1906 წ. 24 დეკემბერს
ყოველკვირეულ ჟურნალში
«ტერნიი ტრუდა» № 1

იბეჭდება
ყოველკვირეული ჟურნალის
ტექსტის მიხედვით

მუშათა პარტიის ამოცანები და გლეხობა[114]

ვოლგისპირეთი გლეხთა მოძრაობის ერთერთი დიდი ცენტრია. ვოლგისპირეთში მუშათა პარტიის წინაშე განსაკუთრებით დაჟინებით დგება ამოცანა: გაატაროს პროლეტარიატის დამოუკიდებელი კლასობრივი პოლიტიკა, ამავე დროს მუდამ განუმარტოს გლეხთა მასას, რომ მას მიწისა და თავისუფლების მოპოვება მხოლოდ მაშინ შეუძლია, თუ კავშირს გასწყვეტს თავის ჩვეულებრივ ბელადებთან — ლიბერალურ მემამულე-კადეტებთან და მიემხრობა რევოლუციურ პროლეტარიატს.

სწორედ ამ ამოცანას უნდა დაემორჩილოს მთლიანად მუშათა პარტიის საარჩევნო კამპანიაც. სწორედ ამის გამო განსაკუთრებით მავნებელია ვოლგისპირეთში ბლოკი კადეტებთან, რაც საერთოდ დაუშვებელია სოციალ-დემოკრატიის მთელი პრინციპული პოზიციის გამო, რადგან სოციალ-დემოკრატია არის პარტია პროლეტარიატისა, რომელიც კლასობრივ ბრძოლას ეწევა. ეს რომ უფრო თვალნათლივ დავინახოთ, ავიღოთ მაგალითისათვის გლეხთა ერთი დეპუტატი ვოლგისპირეთიდან პირველ სათათბიროში. ეს დეპუტატია ბ-ნი ი. ჟილკინი, შრომის ჯგუფელი, არჩეული სარატოვის გუბერნიიდან.

ახლა ტრუდოვიკი ჟილკინი წერს პიტერის კადეტურ გაზეთ «ტოვარიშჩში» და იცავს კადეტებთან ბლოკს. ერთი შეხედეთ, რ ო გ ო რ იცავს იგი ამ ბლოკს. 17 დეკემბრის «ტოვარიშჩში» ის ლაპარაკობს პირველი სათათბიროს არჩევნებზე სარატოვის გუბერნიაში. გლეხები ირჩევდნენ თავიანთ კაცებს ისე, რომ ინსტინქტით — მშრომელთა და ექსპლოატირებულთა

პირველი გვერდი
ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა
«მუშათა პარტიის ამოცანები
და გლეხობა». — 1906 წ.

დაპატარავებულია

Предварительно федерация идей шедшая слева и крайняя левая. Прим. принадлежит издателям [illegible] см. комментарии.

Партия рабочей партии и крестьянство

Новгород — один из крупных центров крестьянского движения. В Новгороде перед рабочей партией совсем наглядно выдвинулся вопрос: в самодеятельную классовую борьбу пролетариат, подымая крестьянскую массу, что она требует добывания земли и свободы только подобно с своим естественным союзником из трудящихся, наемников — кадетов, можно приняться за революционную пролетарию.

Именно этой задачей должен быть занят и руководящим направлением рабочей партии. Именно выдвигание этой [illegible] особенно ярко в Новгороде дало с идеями, недопустимо выше всему всей прежнемиской идеи с.-д., как партии ведущей классовую борьбу пролет.

უტყუარი ინსტინქტით — არ ენდობოდნენ ლიბერალურ მემამულესა და ბურჟუაზიულ ადვოკატს. გუბერნიაში, როცა სათათბიროს დეპუტატების ასარჩევად თავი მოიყარა ყველა ამრჩეველმა, გლეხები შეადგენდნენ ამრჩეველთა მთელი რიცხვის დაახლოებით ორ მეხუთედს.

(მოგაგონებთ, რომ ამრჩეველთა მთელი რიცხვი სარატოვის გუბერნიაში იყო 150. აქედან 64 — გლეხებისგან, 51 — მიწათმფლობელებისგან და 35 — ქალაქელებისგან. ბ-ნი ჟილკინი ასახელებს 152 ამრჩეველს; შეიძლება, მუშათა კურიას უმატებს.)

გლეხი ამრჩეველნი გუბერნიაში შეეჯახნენ «ცნობილ» კადეტებს, როგორიც იყო, მაგ., «კადეტთა პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან ახლო მდგომი» ბ-ნი ნ. ნ. ლვოვი. სამაზრო ქალაქების ამრჩეველთა შორის აღმოჩნდნენ კადეტებზე უფრო მემარცხენე ადამიანები. და ძალიან მალე, თითქმის თავისთავად შეიქმნა მემარცხენე ბლოკი, «მშრომელთა კავშირი», სათათბიროს მომავალი შრომის ჯგუფის ჩანასახი.

დაიწყო ვაჭრობა კადეტებთან სათათბიროს ადგილებისათვის. კადეტები მოითხოვდნენ ადგილების ¾-ს კ.-დ.-ებისათვის, «მშრომელნი» კი თავისთვის. ვერ მორიგდნენ. კადეტებს არ სწამდათ მშრომელთა კავშირის ძალა და დარაზმულობა. მაგრამ უკანასკნელ წინასაარჩევნო კრებაზე აღმოჩნდა, რომ 152 ხმაში კავშირის კანდიდატებმა მიიღეს 7 2-დ ა ნ 8 9-მ დ ე ხ მ ა. «კადეტების მთავარმა კანდიდატებმა მიიღეს 50-დან 67-მდე».

მაშინ კადეტებმა დასთმეს. ისინი დათანხმდნენ, რომ მათი პარტიისაგან სათათბიროში უმცირესობა ყოფილიყო. «მშრომელთა კავშირის კომიტეტი დათანხმდა გაეყვანა კადეტური ბაირაღის ორი კანდიდატი: ნ. ნ. ლვოვი და ს. ა. კოტლიარევსკი. და დამახასიათებელია, — წერს ბ-ნი ჟილკინი, — რომ ამ კანდიდატებმა, რომლებმაც ის-იყო ბარათებით 59 და 67 ხმა მიიღეს, კენჭისყრისას 111 მიიღეს».

დიახ, ეს ფრიად და ფრიად დამახასიათებელია. მაგრამ შრომის ჯგუფელ ჟილკინს, სამწუხაროდ, არ ესმის მისი მოწოდებული ფაქტების მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა.

აბა დაფიქრდით: მშრომელთა მემარცხენე კავშირმა, რომელსაც მოეპოვებოდა 78 — 89 ხმა 152-დან, ე. ი. უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ა, სათათბიროში გაიყვანა ნ. ნ. ლვოვი. და ამიტომ ბ-ნი ჟილკინი, შრომის ჯგუფელი, იცავს კადეტებთან ბლოკს.

იცით თუ არა თქვენ, მუშებო და გლეხებო, ვინ არის ნ. ნ. ლვოვი? ეს არის მემამულე, «განთავისუფლების კავშირის» ერთერთი დამაარსებელი, ე. ი. კადეტთა პარტიის ერთერთი დამაარსებელი. იგი შვიდ წელს მსახურობდა თავადაზნაურობის წინამძღოლად. სათათბიროში ის ყველაზე მემარჯვენე კადეტებს ეკუთვნოდა. სხვანაირად რომ ითქვას, ის არათუ იბრძოდა ს.-დ. მუშათა დეპუტატების წინააღმდეგ და შრომის ჯგუფელების წინააღმდეგ, არამედ იმასაც კი ფიქრობდა, რომ მთელი კადეტური პარტია ერთობ შორს მიდის მარცხნივ! ის ფიქრობდა, რომ კადეტთა კატორღული კანონები კრებებისა და პრესის შესახებ ერთობ ლიბერალურია, რომ გამჩანაგებელი გამოყიდვა, რასაც კადეტი მემამულენი გლეხებს სთავაზობდნენ, ერთობ გულუხვი რეფორმაა გლეხებისათვის. კადეტებს უნდოდათ მიეყიდნათ მიწა გლეხებისათვის სამართლიანი შეფასების თანახმად, იმ ვარაუდით, რომ ეს სამართლიანი შეფასება მოეხდინათ გლეხთა და მემამულეთა წარმომადგენლებს თანაბარი რაოდენობით და მთავრობის წარმომადგენელთა მიმატებით. ერთი გლეხი, ერთი მემამულე, ერთი პოლიციელი მოხელე, — რა კარგი კადეტური სამართლიანობა იყო, არა? ბატონ მემამულე ლვოვს ეს ერთობ ლიბერალურად ეჩვენებოდა. ბატონ მემამულეს, ალბათ, სურდა, რათა პოლიციელნი რაც შეიძლება მეტი ყოფილიყვნენ ადგილობრივს საადგილმამულო კომიტეტებში.

ამიტომაც ბ-ნი ლვოვი სიტყვებით გამოდიოდა სათათბიროში გლეხთა მიერ მიწის მოთხოვნის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ. ბ-ნი ლვოვი სათათბიროს დროს უკანა კიბიდან მიძვრებოდა ძლიგ-

რებთან ამა ქვეყნისა, რათა ვაჭრობა გაემართა ლიბერალური მემამულეების მიერ სამინისტრო ადგილების დაჭერის გამო იმ პირობით, რომ «აელაგმათ» შრომის ჯგუფელები და სოციალ-დემოკრატები სათათბიროში. აი როგორია ლიბერალური მემამულე ლვოვი, რომელიც ტრუდოვიკებმა გაიყვანეს სათათბიროში. სათათბიროს გარეკვის შემდეგაც მემამულე ლვოვს საუბარი ჰქონდა სტოლიპინთან სამინისტროში შესვლის შესახებ!!

რათა სტოლიპინთან უფრო თავისუფლად ელაპარაკნა, ლვოვი ჩამოშორდა კადეტებს და შექმნა მშვიდობიანი გაძარცვის პარტია. ამ პარტიასთან ჰკრავენ ახლა კადეტები ბლოკს. ამ პარტიას გაზეთი «ტოვარიშჩი», სადაც ბ-ნი ჟილკინი წერს, პროგრესულს უწოდებს და არა შავრაზმულს!

მაგრამ ჩვენთვის საგულისხმოა ის, რომ ლვოვი კადეტი იყო, როცა სათათბიროში გადიოდა. საგულისხმოა ის, რომ კადეტმა მემამულემ ყოვლად უმსგავსად უღალატა გლეხებს, — იგი ებრძოდა მათს მოთხოვნებს სათათბიროში, სათათბიროს გარეკვის შემდეგაც კი ევაჭრებოდა მინისტრის ადგილის გამო იმ ადამიანებს, რომლებიც მასობრივად ხვრეტდნენ და ჟლეტდნენ გლეხებს.

აი რა კადეტი-მემამულენი გაიყვანეს შრომის ჯგუფელებმა სათათბიროში!

ვთქვათ, ბ-ნმა ჟილკინმა და სხვა ტრუდოვიკებმა მაშინ არ იცოდნენ, თუ რა შვილი ბრძანდებოდა ლვოვი. ვთქვათ, ბ-ნი ჟილკინი და კომპ. შეცდნენ. შეცდომისათვის არ შეიძლება კაცი დავსაჯოთ.

კარგი. მაგრამ ახლა განა შეიძლება ბ-ნმა ჟილკინმა არ იცოდეს, თუ როგორ გადადიან ლვოვის მსგავსი კადეტი მემამულენი «სახალხო თავისუფლებიდან» სტოლიპინის სამხედრო-საველე სამინისტროსაკენ? ბ-ნმა ჟილკინმა ეს იცის და მაინც ურჩევს ტრუდოვიკებსა და მუშა სოციალ-დემოკრა-

ტებს ბლოკს ლიბერალური მემამულეებისა და ბურჟუაზიული ადვოკატების პარტიასთან, კ.-დ. პარტიასთან.

ლვოვი გამცემი კადეტის ნიმუშია, ლიბერალების მემამულური პარტიის ნიმუშია.

ჟილკინი ნიმუშია შეუგნებელი და მერყეევი ტრუდოვიკისა, რომელიც კუდში მისჩანჩალებს «ლიბერალურ» მემამულეებს, რადგან მას არ შესწევს უნარი თვალი აუხილოს გლეხს, არ შესწევს უნარი გამარჯვებისა მაშინაც კი, როცა უმრავლესობა ჰყავს, არ შესწევს უნარი — მოუწოდოს გლეხს დამოუკიდებელი ბრძოლისაკენ.

დაე ვოლგისპირეთის ყველა შეგნებულმა მუშამ, ყველა სოციალ-დემოკრატმა ასწავლოს ხალხს ლვოვისა და ჟილკინის მაგალითის მიხედვით.

მუშებო! გინდათ თუ არა ხელი შეუწყოთ სათათბიროში კადეტების გაყვანას, როგორიცაა მემამულე ლვოვი, რომელიც დღეს ორატორობს ხალხის თავისუფლებაზე, ხოლო ხვალ სტოლიპინის მხარეზე გადარბის?

თუ ეს არ გინდათ, უკუაგდეთ ყოველგვარი ბლოკი კადეტებთან, «ლიბერალურ» მემამულეთა ამ პარტიასთან. მოუხმეთ გლეხებს მხარი დაუჭირონ მუშათა ს.-დ. პარტიას და არა კ.-დ. პარტიას.

გლეხებო! გინდათ თუ არა თქვენ კიდევ გაიყვანოთ სათათბიროში «ლიბერალური» მემამულეები, როგორიც არის კადეტი ლვოვი, რომელიც სათათბიროს არჩევნების წინ ოქროს მთებს გპირდებოდათ, ხოლო სათათბიროში მოითხოვდა მემამულეთა მიწის სამართლიან შეფასებას მემამულეთა მთავრობის მიერ დანიშნული მოხელეების საშუალებით? გინდათ თუ არა მიანდოთ გლეხთა მოთხოვნების დაცვა ლიბერალურ მემამულეებს ან ბურჟუაზიულ ადვოკატებს?

თუ ეს არ გინდათ, ხმა მიეცით სოციალ-დემოკრატებს, ე. ი. მუშათა პარტიას. ს.-დ. მუშათა პარტიას ქვეყნიერებაზე არსად არ უღალატნია გაჩანაგებული, გაჭირვებული, მშრომელი და ექსპლოატირებული გლეხობის ინტერესებისათვის. მთელ

ქვეყნიერებაზე ლიბერალური ბურჟუაზია ისევე ატყუებდა მიწისა და თავისუფლებისათვის მებრძოლ გლეხებს, როგორც ატყუებენ მათ ჩვენში კადეტი ლვოვები.

არ არის და არც შეიძლება იყოს სხვა საშუალება ტრუდოვიკთა მერყეობის წინააღმდეგ, გარდა მტკიცე, შეგნებული მუშათა პარტიისა, რომელიც კლასობრივ თვალსაზრისს არ გადაუხვევს. გლეხებს მხოლოდ მაშინ შეუძლიათ მოიპოვონ მიწა და თავისუფლება, თუ ისინი შეგნებულ მუშებთან ხელიხელჩაკიდებულნი ივლიან.

1906 წ. 28 დეკემბერი

პირველად დაიბეჭდა 1935 წ. 21 იანვარს გაზეთ «ვოლჟსკაია კომმუნაში» № 19
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

წინასიტყვაობა რუსულად ნათარგმნი ბროშურისა: «ვ. ლიბკნეხტი. არავითარი კომპრომისი, არავითარი საარჩევნო შეთანხმება!»

ლიბკნეხტის ბროშურას, რომლის თარგმანს ვაწოდებთ რუს მკითხველს, განსაკუთრებული ინტერესი აქვს ამჟამად, მეორე სათათბიროს არჩევნების წინ, როდესაც საარჩევნო შეთანხმებათა საკითხი ცხოვლად აინტერესებს მუშათა პარტიასაც და ლიბერალური ბურჟუაზიის საზოგადოებრივ აზრსაც.

ჩვენ აქ არ შევჩერდებით ლიბკნეხტის ბროშურის ზოგად მნიშვნელობაზე. მკითხველმა საჭიროა მიმართოს ფრ. მერინგის თხზულებას გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ისტორიაზე და ჩვენი გერმანელი ამხანაგების მთელ რიგ სხვა ნაწარმოებებს, რომ ნათლად წარმოიდგინოს ეს მნიშვნელობა და სწორად გაიგოს ბროშურის ცალკეული ადგილები, რომლებიც მითქმა-მოთქმას იწვევენ, თუ მათ ავიღებთ იმ ვითარების დამოუკიდებლად, როცა და როგორ იყო ეს ნათქვამი.

ჩვენთვის აქ საგულისხმოა აღვნიშნოთ ლიბკნეხტის მსჯელობის ხ ე რ ხ ე ბ ი. საგულისხმოა ცხადვყოთ, თუ როგორ უ დ გ ე ბ ო დ ა ის შეთანხმებათა საკითხს, რათა დავეხმაროთ რუს მკითხველს დამოუკიდებლად მიუდგეს ჩვენთვის საინტერესო საკითხის — კადეტებთან ბლოკის საკითხის გადაჭრას.

ლიბკნეხტი სრულიადაც არ უარყოფს იმას, რომ შეთანხმება ბურჟუაზიულ-ოპოზიციურ პარტიებთან «სასარგებლოა» — «საპარლამენტო მანდატების» თვალსაზრისითაც და საერთო მტრის, რეაქციის წინააღმდეგ «მოკავშირის» (ვითომ

მოკავშირის) მიმხრობის თვალსაზრისითაც. მაგრამ გერმანელ სოციალისტთა ვეტერანის მართლაც პოლიტიკური ჭკუა და ნაცადი სოციალ-დემოკრატიზმი სწორედ იმაში ჩანს, რომ ის ამ მოსაზრებებს ა რ ს ჯ ე რ დ ე ბ ა. ის არკვევს, «მოკავშირე» ფარული მტერი ხომ არ არის, რომლის შეშვება საკუთარ რიგებში განსაკუთრებით საშიშია? მართლა იბრძვის და როგორ იბრძვის ეს მოკავშირე საერთო მტრის წინააღმდეგ? შეთანხმების სარგებლობა, საპარლამენტო მანდატების რიცხვის გადიდების თვალსაზრისით, ხომ არა ვნებს პროლეტარული პარტიის უფრო ხანგრძლივსა და უფრო ღრმა ამოცანებს?

ავიღოთ თუნდაც ეს სამი, ჩემს მიერ ახლა დასახული კითხვა და ვნახოთ, ე ს მ ი ს თ უ ა რ ა მათი მნიშვნელობა, მაგ., რუსი სოციალ-დემოკრატების კადეტებთან შეთანხმების ისეთ დამცველს, როგორიც არის პლეხანოვი. ჩვენ დავინახავთ, რომ პლეხანოვი შეთანხმების საკითხს წარმოუდგენლად ვიწროდ აყენებს. კადეტებს უნდათ რეაქციას ებრძოლონ, მაშასადამე... კადეტებთან შეთანხმებაო! ამაზე შორს პლეხანოვი არ მიდის, საკითხის შემდგომი განხილვა მას დოქტრინიორობად ეჩვენება. გასაკვირველი არაა, თუ სოციალ-დემოკრატი, რომელსაც ესოდენ დაუვიწყნია სოციალ-დემოკრატიული პოლიტიკის მოთხოვნები, სოციალ-დემოკრატიის ისეთ რენეგატებთან მეზობლობს და თანამშრომლობს, როგორიც არიან ბატონი პროკოპოვიჩები და «ტოვარიშჩის» სხვა პუბლიცისტები. გასაკვირველი არაა, თუ ასეთი სოციალ-დემოკრატის პრინციპული თანამოაზრენიც კი, მენშევიკები, ან დარცხვენილნი სდუმან, ზმამაღლა ვერ ბედავენ იმის თქმას, რასაც ფიქრობენ პლეხანოვზე, და ემიჯნებიან მას მუშათა კრებებზე, ან პირდაპირ დასცინიან მას, როგორც ბუნდელები «**Volkszeitung**»-სა * და «ნაშა ტრიბუნაში» [116].

ლიბკნეხტი გვასწავლის, რომ სოციალ-დემოკრატს უნდა შეეძლოს ყოველ ბურჟუაზიულ მოკავშირეში აღმოაჩინოს

* — «საბალხო გაზეთი». რ ე დ.

მისი საშიშარი მხარეები და არ დამალოს ისინი. ჩვენში კი მენშევიკები გაჰყვირიან: კადეტებს კი არა, შავრაზმულ საფრთხეს უნდა ვებრძოლოთო! რა სასარგებლო იქნებოდა ასეთი ადამიანებისათვის, რომ ჩაფიქრებოდნენ ლიბკნეხტის სიტყვებს: «პოლიციურ პოლიტიკოსთა სულელურ და სასტიკ ძალმომრეობას, სოციალისტების წინააღმდეგ საკატორღო კანონის მიმართვას, კანონისა, რომელიც გადატრიალების მქადაგებელ პარტიათა წინააღმდეგ არის გამოცემული, შეუძლიათ აღგვიძრან ზიზღით აღსავსე სინანულის გრძნობა, — მაგრამ უნდა გვეშინოდეს მტრისა, რომელიც ჩვენ ხელს გვიწვდის საარჩევნო შეთანხმებისათვის და გვეტმასნება, როგორც ძმა და მეგობარი, — უ ნ დ ა გ ვ ე შ ი ნ ო დ ე ს ასეთი მტრისა და მ ხ ო ლ ო დ ა ს ე თ ი ს ა».

ხომ ხედავთ: ლიბკნეხტსაც მხედველობაში აქვს პოლიციელთა ძალმომრეობა, შავრაზმული კანონები. და მიუხედავად ამისა ის თამამად ეუბნება მუშებს: ამ მტრის კი არა, ცრუ-მეგობართან საარჩევნო შეთანხმებისა უნდა გეშინოდეთო. რატომ ფიქრობდა ასე ლიბკნეხტი? იმიტომ, რომ მას ყოველთვის მიაჩნდა მებრძოლთა ძალა ნამდვილ ძალად მხოლოდ მაშინ, როცა ეს შ ე გ ნ ე ბ უ ლ ი მუშათა მასების ძალაა. ხოლო მასების შეგნებულობას ძალმომრეობა და საკატორღო კანონები ვერ რყვნიან, — მას რყვნიან მუშების ც რ უ-მ ე გ ო ბ რ ე ბ ი, ლიბერალური ბურჟუები, რომლებიც ა შ ო რ ე ბ ე ნ მასებს ნამდვილ ბრძოლას ფუჭი ფრაზებით ბრძოლის შესახებ. ჩვენს მენშევიკებსა და პლეხანოვს არ ესმით, რომ ბრძოლა კადეტებთან არის ბრძოლა იმისათვის, რომ გავათავისუფლოთ მუშათა მასების შეგნება ყალბი კადეტური აზრებისა და ცრურწმენისაგან, თითქოს შესაძლებელი იყოს ხალხის თავისუფლების შეერთება ძველ ხელისუფლებასთან.

ლიბკნეხტი იმდენად მკვეთრად უსვამდა ხაზს აშკარა მტრებთან შედარებით ცრუ-მეგობრების ამ დიდ საფრთხეს, რომ ამბობდა: «სოციალისტების საწინააღმდეგო ახალი კანო-

ნის შემოღება ნაკლები ბოროტება იქნებოდა, ვიდრე საარჩევნო შეთანხმების წყალობით კლასობრივი დაპირისპირებისა და პარტიული საზღვრების მიჩქმალვაო».

გადათარგმნეთ ლიბკნეხტის ეს ფრაზა 1906 წლის დამლევის რუსული პოლიტიკის ენაზე: «შავრაზმული სათათბირო ნაკლები ბოროტება იქნებოდა, ვიდრე კადეტებთან საარჩევნო შეთანხმების წყალობით კლასობრივი დაპირისპირებისა და პარტიული საზღვრების მიჩქმალვა». რა ველურ ყვირილს ასტეხდნენ ასეთი ფრაზის გამო ლიბკნეხტის წინააღმდეგ სოციალიზმიდან ლიბერალებთან გაქცეული მწერლები «ტოვარიშჩისა» და მისი მსგავსი გაზეთებისა! რა ხშირად გვსმენია მუშათა კრებებზე და მენშევიკურ გამოცემათა ფურცლებზე მსგავსი აზრებისათვის ბოლშევიკების იმგვარივე «დაგმობა», როგორიც წილად ხვდა ლიბკნეხტს (იხ. ამ ბროშურის 54 გვ.). მაგრამ ბოლშევიკებს ისევე ვერ შეაშინებს ეს გოდება და ეს დაგმობა, როგორც ვერ შეაშინა ამან ლიბკნეხტი. მხოლოდ ცუდ სოციალ-დემოკრატებს შეუძლიათ ათვალწუნებით ილაპარაკონ იმ მავნებლობაზე, რაც მოაქვთ მუშათა მასებისათვის ხალხის თავისუფლების ლიბერალურ გამცემლებს, რომლებიც უმეზობლდებიან მათ საარჩევნო შეთანხმებათა საშუალებით.

ბარემ შევეხოთ ლიბერალიზმის ამ გამცემლობას. ჩვენი ოპორტუნისტები, მათ შორის პლეხანოვი, — გაჰყვირიან: უტაქტობაა ახლა ჩვენში ლიბერალიზმის გამცემლობაზე ლაპარაკიო. პლეხანოვმა მთელი ბროშურაც კი დაწერა, რომ კადეტებთან ზრდილობიანი მოპყრობა ესწავლებინა უტაქტო სოციალისტ-მუშებისათვის. თუ რამდენად არაორიგინალურია პლეხანოვის აზრები, რამდენად გაცვეთილია ჯერ კიდევ გერმანელი ლიბერალური ბურჟუების მიერ პლეხანოვის ფრაზები, ამას ყველაზე ნათლად ლიბკნეხტის ბროშურა გვიჩვენებს. თურმე, პლეხანოვი რევოლუციური სოციალ-დემოკრატების საწინააღმდეგოდ იყენებდა მგლისა და მწყემსის ი მ ა ვ ე საბავშვო ზღაპარს, რომლითაც გერმანელი ოპორტუნისტები ცდილობდნენ ლიბკნეხტიც დაეშინებინათ: აიო და იმდენად

მიაჩვევთ ყველას თქვენს ყვირილს: «მგელი! მგელი!», რომ, როდესაც მართლა მოვარდება მგელი, აღარავინ დაგიჯერებთო. ლიბკნეხტმა მოსწრებულად უპასუხა დღევანდელი პლეხანოვის მრავალრიცხოვან გერმანელ თანამოაზრეებს: «ყოველ შემთხვევაში პარტიის ინტერესებს წინდახედული ხალხი მქირდავებზე ნაკლებად არ იცავსო».

ავიღოთ ჩვენ მიერ დასახული მეორე კითხვა: იბრძვის თუ არა ნამდვილად შავრაზმული საფრთხის წინააღმდეგ ჩვენი ლიბერალური ბურჟუაზია, ე. ი. კადეტები, და როგორ იბრძვის? პლეხანოვს არც იმის უნარი შესწევს, რომ დასვას ეს კითხვა, არც იმისა, რომ გადაწყვიტოს იგი რევოლუციური რუსეთის კადეტთა პოლიტიკის ყურადღებით განხილვის საშუალებით. პლეხანოვი ღალატობს მარქსიზმის ანაბანას, როცა ბურჟუაზიული რევოლუციის «ზოგადი ცნებიდან» მას გამოჰყავს კადეტებისადმი რუსი სოციალ-დემოკრატების კონკრეტული დამოკიდებულება, იმის ნაცვლად, რომ რუსეთის ბურჟუაზიული რევოლუციის რეალურ თავისებურებათა შესწავლიდან გამოეყვანა თანამედროვე რუსეთის ბურჟუაზიის, პროლეტარიატისა და გლეხობის ურთიერთ-დამოკიდებულების ზოგადი ცნება.

ლიბკნეხტი გვასწავლის სხვანაირად ვიმსჯელოთ. როდესაც მას ელაპარაკებოდნენ რეაქციასთან ლიბერალური ბურჟუაზიის ბრძოლაზე, ის უპასუხებდა იმით, რომ არკვევდა, თუ რ ო გ ო რ იბრძოდა ეს ბურჟუაზია. და ის ცხადყოფდა, — ამ ბროშურაში და სხვა მრავალ სტატიაშიც, — რომ გერმანელი ლიბერალები (მთლად ისე, როგორც ჩვენი კადეტები) «ღალატობენ თავისუფლებას», რომ ისინი უახლოვდებიან «იუნკრებს (მემამულეებს) და სამღვდელოებას», რომ მათ ვერ შესძლეს რევოლუციურნი ყოფილიყვნენ რევოლუციურ ეპოქაში.

«იმ მომენტიდან, — ამბობს ლიბკნეხტი, — როცა პროლეტარიატი იწყებს გამოსვლას, როგორც კლასი, ბურჟუაზიისაგან გამოცალკევებული და თავისი ინტერესებით მტრულად

განწყობილი მისდამი, — ბ ურ ჟ უ ა ზ ი ა უ კ ვ ე ა ღ ა რ ა რ ი ს დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი ო».

ხოლო ჩვენი ოპორტუნისტები, თითქოს სიმართლეს დასცინიანო, კადეტებს დემოკრატებად ნათლავენ (პარტიულ ს.-დ. კონფერენციათა რეზოლუციაშიც კი), თუმცა კადეტები უარყოფენ დემოკრატიზმს თავიანთ პროგრამაში, აღიარებენ ზედა პალატას და სხვ., თუმცა ისინი სახელმწიფო სათათბიროს უდგენდნენ საკატორღო კანონებს კრებების წინააღმდეგ და იბრძოდნენ, რომ მთავრობის ნებადაურთველად არ შექმნილიყო საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით არჩეული ადგილობრივი საადგილმამულო კომიტეტები!

ლიბკნეხტი სავსებით სამართლიანად გმობდა სიტყვა რევოლუციის, როგორც ცარიელი ფრაზის ხმარებას. როცა ის ლაპარაკობდა რევოლუციის შესახებ, მას მართლაც სწამდა იგი, — ის მართლაც არკვევდა ტაქტიკის ყველა საკითხს და ყველა ნაბიჯს არა მარტო წუთიერი ინტერესების თვალსაზრისით, არამედ მთელი რევოლუციის ძირითადი ინტერესების თვალსაზრისით. ყოფილა შემთხვევები, როცა ლიბკნეხტს, ისევე როგორც რუს რევოლუციურ სოციალ-დემოკრატებს, განუცდია მძიმე გადასვლები უშუალო-რევოლუციური ბრძოლიდან უბადრუკ, უმსგავს, უხამს შავრაზმულ კონსტიტუციაზე. ლიბკნეხტს უნარი შესწევდა შეგუებოდა ამ მძიმე გადასვლებს, უნარი შესწევდა ემუშავნა პროლეტარიატისათვის ყოველნაირ, უცუდეს ნიადაგზედაც კი. მაგრამ ამასთან ის არ ხარობდა, როცა უმსგავსი კონსტიტუციის წინააღმდეგ ბრძოლიდან გადადიოდა ამ კონსტიტუციის ნიადაგზე სამუშაოდ, არ დასცინოდა იმათ, ვინც ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი მოიმოქმედა, რომ ამგვარი «კონსტიტუცია» არ გ ა ჩ ე ნ ი ლ ი ყ ო ქვეყნად. ლიბკნეხტი «სიფრთხილეს» ხედავდა არა იმაში, რომ რაც შეიძლება მალე ჩაეწიხლა დაცემული (თუნდ დროებით დაცემული) რევოლუცია, რომ რაც შეიძლება მალე შეჰგუებოდა შექვეცილ კონსტიტუციას. არა, რევოლუციის ძველი ვეტერანი

პროლეტარული ბელადის «სიფრთხილეს» ხედავდა იმაში, რომ ყველა სულმოკლე და ლაჩარ ბურჟუაზე უფრო გვიან გადასულიყო იმასთან «შეგუების» ნიადაგზე, რასაც რევოლუციის დროებითი დამარცხება წარმოშობს. «პრაქტიკული პოლიტიკა, — ამბობს ლიბკნეხტი, — იძულებულს გვხდიდა შევგუებოდით იმ საზოგადოების დაწესებულებებს, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ; მაგრამ ყოველი ახალი ნაბიჯი თანამედროვე საზოგადოებრივ წესწყობილებასთან შეგუების გზაზე გვიმძიმდებოდა და მ ხ ო ლ ო დ დ ი დ ი ს ი ფ რ თ ხ ი ლ ი თ იდგმებოდა. ეს სხვადასხვა მხრიდან ცოტა დაცინვას როდი იწვევდა. მ ა გ რ ა მ ი ს, ვ ი ს ა ც ე შ ი ნ ი ა ფ ე ხ ი შ ე დ გ ა ს ა მ დ ა ქ ა ნ ე ბ უ ლ ს ი ბ რ ტ ყ ე ზ ე, ყ ო ვ ე ლ შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა შ ი უ ფ რ ო ს ა ი მ ე დ ო ა მ ხ ა ნ ა გ ი ა, ვ ი დ რ ე ი ს, ვ ი ნ ც დ ა ს ც ი ნ ი ს ჩ ვ ე ნ ს ს ი ფ რ თ ხ ი ლ ე ს».

დაიხსომეთ ეს ოქრო სიტყვები, ამხანაგო მუშებო, რომელნიც ბოიკოტს უცხადებდით ვიტეს სათათბიროს. ხშირად მოიგონეთ ეს სიტყვები, როცა საცოდავი პედანტები თქვენს წინაშე დაუწყებენ დაცინვას სათათბიროს ბოიკოტს და ის კი ავიწყდებათ, რომ ბულიგინის სათათბიროს ბოიკოტის დროშით გაჩაღდა პირველი (და დღემდე ერთადერთი, — მაგრამ, დარწმუნებული ვართ, არა უკანასკნელი) სახალხო მოძრაობა ა მ გ ვ ა რ დაწესებულებათა წინააღმდეგ. დაე მოღალატე კადეტებმა იამაყონ იმით, რომ ისინი ყველაზე ადრე დათანხმდნენ მუცლით ხოხვას კონტრრევოლუციის კანონების წინაშე. შეგნებული პროლეტარიატი იამაყებს იმით, რომ ის ყველაზე დიდხანს იდგა მაღლა აღმართული დროშით და ებმოდა აშკარა ბრძოლაში, — იამაყებს იმით, რომ ის ბრძოლაში ეცემოდა მხოლოდ მძიმე დარტყმების გამო, რომ ის ყველაზე დიდხანს ცდილობდა და მოუხმობდა ხალხს კიდევ აღმდგარიყო, მთელი მასით მისწოლოდა მტერს და მოეშთო იგი.

* * *

დასასრულ, გადავიდეთ ჩვენ მიერ დასახულ მესამე და უკანასკნელ კითხვაზე. ხომ არ ვნებს არჩევნებში შეთანხმება იმას, რაც ჩვენთვის განსაკუთრებით ძვირფასია: სოციალ-დემოკრატიზმის «პრინციპების სიწმინდეს»? ვაი რომ ამ კითხვაზე რუსეთის პოლიტიკურმა სინამდვილემ უკვე გასცა პასუხი, — პასუხი ფაქტებით, რომლებიც სირცხვილის ალმურს იწვევენ შეგნებულ მუშებში.

მენშევიკები ირწმუნებოდნენ რეზოლუციებში, ფიცულობდნენ კრებებზე, რომ მათ უნდათ მხოლოდ ტექნიკური შეთანხმება, რომ ისინი განაგრძობენ იდეურ ბრძოლას კადეტებთან, რომ ისინი არასგზით, არაფრის გულისათვის ოდნავაც არ დასთმობენ თავიანთ სოციალ-დემოკრატიულ პოზიციას, თავიანთ წმინდა პროლეტარულ ლოზუნგებს.

და მერე? სწორედ პლეხანოვი იყო, რომ მიაშურა კადეტური გაზეთების დერეფანს, რათა ხალხისათვის შეეთავაზებინა «საშუალო», არც კადეტური, არც სოციალ-დემოკრატიული, ყველასათვის სასიამოვნო და უწყინარი ლოზუნგი: «სრულძალაუფლებიანი სათათბირო». რა ვუყოთ, რომ ეს ლოზუნგი პირდაპირ ატყუებს ხალხს, თვალს უხვევს მას, — ოღონდ შეთანხმება მოხდეს ლიბერალურ მემამულეებთან! მაგრამ კადეტებმა ზიზღით გააგდეს პლეხანოვი, სოციალ-დემოკრატებმა ზურგი შეაქციეს მას, — ზოგმა დარცხვენით, ზოგმა აღშფოთებით. ის ახლა მარტოდმარტო დარჩა და თავის ღვარძლს ანთხევს, — ბოლშევიკებს აგინებს «ბლანკიზმისთვის», «ტოვარიშჩის» პუბლიცისტებს — «გულზვიადობისათვის», მენშევიკებს — არადიპლომატიურობისათვის, აგინებს ყველას თავის თავის გარდა! საბრალო პლეხანოვი, რა სასტიკად გამართლდა მასზე ლიბკნეხტის პირდაპირი და ნათელი, ამაყი და მკვეთრი სიტყვები შეთანხმებათა პრინციპული მავნებლობის შესახებ!

«ამხანაგი» ვასილიევი კი (რომელსაც აგრეთვე შვეიცარიული სამზარეულოდან შეუხედავს რევოლუციისათვის) «ტოვარიშჩში» (17 დეკემბერი), პირდაპირ იმოწმებს რა პლეხანოვს,

წინადადებას იძლევა, — უბოდიშოდ დავშალოთ ს.-დ. პარტია და დროებით — მხოლოდ დროებით! — შევუერთდეთ ლიბერალებსაო. დიახ, ლიბკნეხტი ტყუილად კი არ ამბობდა, რომ მათთანაც პარტიაში თითქმის არავის სურდა «პარტიული პრინციპებიდან» გადახვევა. საქმე სურვილი როდია, — საქმე ისაა, თუ სად მიჰყავს პარტია გ ა რ ე მ ო ე ბ ა თ ა ძ ა ლ ა ს შემცდარი ნაბიჯის გამო. სურვილები პლეხანოვსაც ძალიან კარგი ჰქონდა: მშვიდობიანად და თანხმობით ყოფილიყო კადეტებთან ერთად შავრაზმული საფრთხის წინააღმდეგ, — ნამდვილად კი მხოლოდ შერცხვენა და სკანდალი გამოვიდა სოციალ-დემოკრატიისათვის.

ამხანაგო მუშებო, იკითხეთ რაც შეიძლება ყურადღებით ვილჰელმ ლიბკნეხტის ბროშურა და უფრო მკაცრად შეამოწმეთ ისინი, ვინც თქვენ გირჩევთ პროლეტარიატისათვის და თავისუფლების საქმისათვის დამღუპველ შეთანხმებას კადეტებთან!

1906 წ. დეკემბერი

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

დაიბეჭდა 1907 წ. ბროშურაში: ვ. ლიბკნეხტი. «არავითარი კომბრომისი, არავითარი საარჩევნო შეთანხმება», გამომც. «ნოვაია დუმა»

იბეჭდება ბროშურის ტექსტის მიხედვით

წინასიტყვაობა რუსულად ნათარგმნი ბროშურისა: «კ. კაუტსკი. რუსეთის რევოლუციის მამოძრავებელი ძალები და პერსპექტივები»

რუსი მოწინავე მუშები დიდი ხანია იცნობენ კ. კაუტსკის, როგორც თავის მწერალს, რომელსაც უნარი შესწევს არა მარტო დაასაბუთოს და განმარტოს რევოლუციური მარქსიზმის თეორიული მოძღვრება, არამედ საქმის ცოდნით, ფაქტების სერიოზული განხილვით კიდევაც მიუყენოს იგი რუსეთის რევოლუციის რთულ და დახლართულ საკითხებს. და ახლა, როცა სოციალ-დემოკრატების ყურადღებას ზოგჯერ თითქმის მთლიანად იპყრობს ლიბერალური პამპულებისა და მათი ნებსითი თუ უნებლიეთი დამქაშების უიდეო ყბედობა, როცა «საპარლამენტო» ტექნიკის წვრილმანები მრავალთათვის ჩრდილავენ პროლეტარული კლასობრივი ბრძოლის პრინციპულ საკითხებს, როცა ნაღვლიანი გუნება ძალიან ხშირად ეუფლება რიგიან ადამიანებსაც კი და აკნინებს მათს გონებრივსა და პოლიტიკურ უნარს, — ახლა ბევრად უფრო საჭიროა რუსეთის ყველა სოციალ-დემოკრატმა გულდასმით დაუგდოს ყური კაუტსკის აზრს რუსეთის რევოლუციის ძირითად საკითხებზე. და იმდენად ყური კი არ დაუგდოს კაუტსკის აზრს,

რამდენადაც ჩაუფიქრდეს მის მიერ საკითხის დაყენებას, — ვინაიდან კაუტსკი ისე მოუფიქრებელი არ არის, რომ რუსეთის ტაქტიკის მისთვის ნაკლებად ცნობილ კონკრეტულ საკითხებზე იყბედოს, ისე უმეცარი არ არის რუსეთის საქმეებში, რომ ზოგადი მოსაზრებებით ან ახალმოდის წამოძახილის უკრიტიკო განმეორებას დასჯერდეს.

კაუტსკი უპასუხებს იმ კითხვებზე, რომლებითაც პლეხანოვმა მიმართა მთელ რიგ უცხოელ სოციალისტებს. და, უპასუხებს რა ამ კითხვებზე, — უფრო სწორედ რომ ვთქვათ, ირჩევს რა ამ შეუსაბამოდ დასმულ კითხვებში იმას, რაზედაც შ ე ი ძ ლ ე ბ ა სასარგებლო საუბრის გამართვა ყველა ქვეყნის სოციალისტებს შორის, — კაუტსკი იწყებს თავდაბალი შენიშვნით. «რ უ ს ი ამხანაგების მიმართ, როცა რუსეთის საქმეებზეა ლაპარაკი, ჩემ თავს მ ო ს წ ა ვ ლ ი ს მდგომარეობაში ვგრძნობო». ეს თავდაბლობა სოციალ-დემოკრატიის იმ «გენერლის» ყალბი მოკრძალება როდია, რომელიც ლაპარაკს მეშჩანური პრანჭვა-გრეხით იწყებს, რათა ბურბონის რაიმე თავხედური გამოსვლით დაამთავროს. არა. კაუტსკი ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ დასჯერდა პასუხს მ ხ ო ლ ო დ ისეთ კითხვებზე, რომელთა განხილვით მას შეუძლია დ ა ე ხ მ ა რ ო ს რუსეთის მოაზროვნე სოციალ-დემოკრატებს კონკრეტული ამოცანებისა და დღიური ლოზუნგების ანალიზის დამოუკიდებელ მუშაობაში. კაუტსკიმ არ მოისურვა ყოფილიყო გენერალი, რომელიც ბრძანებას იძლევა: მარჯვნივ ან მარცხნივ! მან ამჯობინა დაეცვა მდგომარეობა შორს მდგომი, მაგრამ სამაგიეროდ დაკვირვებული ამხანაგისა, რომელიც გვიჩვენებს, თუ რა გზით უნდა ვეძიოთ ჩვენ თვითონვე პასუხი.

პლეხანოვი ეკითხებოდა კაუტსკის, ჯერ ერთი, რუსეთის რევოლუციის «ზოგად ხასიათზე»: ბურჟუაზიულია იგი თუ სოციალისტურიო? მეორე, — ბურჟუაზიული დემოკრატიისადმი სოციალ-დემოკრატიის დამოკიდებულებაზე. მესამე, — სათათბიროს არჩევნებში ს.-დ. პარტიის მიერ ოპოზიციური პარტიების მხარის დაჭერაზე.

ეს კითხვები, პირველი შეხედვით, ძალიან «ოსტატურად» არის შერჩეული. მაგრამ ანდაზა ტყუილად როდი ამბობს: «ძაფი იქ წყდება, სადაც წვრილია». საქმე ისაა, რომ ამ კითხვებში მეტ-ნაკლებად მცოდნე და დაკვირვებული კაცი მაშინვე შეამჩნევს ოსტატურ... ს ი ყ ა ლ ბ ე ს. ეს არის სიყალბე, ჯერ ერთი, იმ აზრით, რომ ჩვენს წინაშეა ნიმუში მეტაფიზიკისა, რომლის წინააღმდეგაც პლეხანოვს უყვარს დიდი რიხით ლაპარაკი, თუმცა მას ვერ განუდევნია იგი საკუთარი კონკრეტულ-ისტორიული მსჯელობიდან. მეორეც, ეს არის სიყალბე იმ აზრით, რომ იმ პირს, ვისაც ეკითხებიან, ხელოვნურად მოამწყვდევენ ხოლმე ერთს პატარა და უაღრესად ვიწრო ჩიხში. მხოლოდ სრული, შეიძლება ითქვას — ქალწულებრივი უმანკოება უნდა გახასიათებდეს პოლიტიკის საკითხებში, რომ ვერ შეამჩნიო, თუ განზრახ რა შორიდან იწყებს პლეხანოვი და ნელნელა უბიძგებს შეკითხულ პირს... კადეტებთან ბლოკის გამართლებისაკენ!

უბიძგო გულუბრყვილო თანამოსაუბრეს იქითკენ, რომ მან გაამართლოს ბლოკი განსაზღვრულ პარტიასთან და ამავე დროს არ დაასახელო ეს პარტია; — ილაპარაკო რევოლუციურ მოძრაობაზე და არ განასხვაო რევოლუციური და ოპოზიციური ბურჟუაზიული დემოკრატია; გადაკვრით შენიშნო, რომ ბურჟუაზია «იბრძვის» თ ა ვ ი ს ე ბ უ რ ა დ, ე. ი. სხვანაირად, ვიდრე პროლეტარიატი, და ამავე დროს არა თქვა პირდაპირ და ნათლად, თუ რაში მდგომარეობს ნამდვილად ეს განსხვავება; — ცდილობდე ბარტყივით გააბა მახეში თანამოსაუბრე და ამისათვის საკენკად გამოიყენო ამსტერდამის რეზოლუცია, რომელმაც უცხოელს უნდა დ ა უ ფ ა რ ო ს რუსეთის სოციალ-დემოკრატიის სადავო საკითხების ნამდვილი შინაარსი; — გამოიყვანო კონკრეტული დებულებანი განსაზღვრულ შემთხვევაში განსაზღვრული ტაქტიკის შესახებ, ბურჟუაზიული დემოკრატიის სხვადასხვა პარტიებისადმი დამოკიდებულების შესახებ ზოგადი ფ რ ა ზ ი დ ა ნ «რევოლუციის ზოგად ხასიათზე», იმის ნაცვლად, რომ ეს «რუსეთის რევოლუციის

ზოგადი ხასიათი» გამოიყვანო რუსეთის რევოლუციაში მოქმედ სხვადასხვა კლასთა ინტერესებისა და მდგომარეობის კონკრეტულ მონაცემთა ზუსტი განხილვიდან; — განა ყოველივე ეს სიყალბე არ არის? განა ეს აშკარა დაცინვა არ არის მარქსის დიალექტიკური მატერიალიზმისა?

ჰო — ჰოა, არა — არა, ხოლო სხვა ყოველივე ეშმაკისეულია! ან ბურჟუაზიული, ან სოციალისტური რევოლუცია, ხოლო დანარჩენი შეიძლება «გამოიყვანო» ძირითადი «გადაწყვეტილებიდან» უბრალო სილოგიზმების საშუალებით!

კაუტსკის უდიდესი დამსახურება ის არის, რომ იგი ამგვარ კითხვებზე პასუხის გაცემის დროს მაშინვე მიხვდა საქმის არსს და იმ შეცდომის არსს, რომელიც თვით კითხვების ფორმულირებაში იყო მოცემული. კაუტსკიმ, ა რ ს ე ბ ი თ ა დ, პლეხანოვის კითხვებზე უპასუხა ი მ ი თ, რომ უ კ უ ა გ დ ო კითხვის პლეხანოვისეული დაყენება! კაუტსკიმ პლეხანოვს უპასუხა იმით, რომ შ ე ა ს წ ო რ ა კითხვის პლეხანოვისეული დაყენება. ამასთან, კითხვის პლეხანოვისეული დაყენების კრიტიკა, მოცემული კაუტსკის მიერ, მით უფრო გამანადგურებელი გამოვიდა, რაც უფრო ლმობიერად და უფრო ფრთხილად უსწორებდა იგი ანკეტის ინიციატორს. «ჩვენ კარგად მოვიქცევით, — წერს კაუტსკი, — თუ იმ აზრს შევითვისებთ, რომ ჩვენ ვდგავართ სრულიად ახალი სიტუაციებისა და პრობლემების წინაშე, რომლებსაც არც ერთი ძველი შაბლონი არ მიუდგებაო».

ეს შიგ გულში მოხვდა პლეხანოვს მისი შეკითხვის გამო: ჩვენში რევოლუცია თავისი ზოგადი ხასიათით ბურჟუაზიულია თუ სოციალისტური? ეს ძველი შაბლონიაო, — ამბობს კაუტსკი. არ შეიძლება კითხვის ასე დაყენება, ეს მარქსისტული არ არის. რუსეთის რევოლუცია ბურჟუაზიული არ არის, ვინაიდან ბურჟუაზია არ ეკუთვნის რუსეთის ახლანდელი რევოლუციური მოძრაობის მამოძრავებელ ძალებს. რუსეთის რევოლუცია არც სოციალისტურია, ვინაიდან ის ვ ე რ ა ს გ ზ ი თ ვერ მიანიჭებს პროლეტარიატს მ ა რ ტ ო დ მ ა რ ტ ო ბა-

ტონობას ანუ დიქტატურას. სოციალ-დემოკრატიას შეუძლია გაიმარჯვოს რუსეთის რევოლუციაში და ის კიდეც უ ნ დ ა ისწრაფოდეს ამისკენ. მაგრამ ახლანდელი რევოლუციის გამარჯვება არ შეიძლება იყოს მხოლოდ პროლეტარიატის გამარჯვება სხვა კლასების დაუხმარებლად. რომელი კლასია პროლეტარიატის მოკავშირე, ახლანდელი რევოლუციის ობიექტური პირობების ძალით? გ ლ ე ხ ო ბ ა: «რევოლუციური ბრძოლის მთელი დროის განმავლობაში ინტერესთა მტკიცე ერთობა მხოლოდ პროლეტარიატსა და გლეხობას შორის არსებობს».

კაუტსკის ყველა ეს დებულება ფრიად ბრწყინვალედ ადასტურებს რუსეთის სოციალ-დემოკრატიის რევოლუციური ფრთის ტაქტიკას, ე. ი. ბოლშევიკების ტაქტიკას. და ეს დადასტურება მით უფრო საგულისხმოა, რომ კაუტსკიმ გვერდი აუარა კონკრეტულ და პრაქტიკულ საკითხებს და მთელი ყურადღება მიაპყრო ჩვენს რევოლუციაში სოციალისტური ტაქტიკის ზ ო გ ა დ ი ს ა ფ უ ძ ვ ლ ე ბ ი ს სისტემატურ გადმოცემას. მან ცხადყო, რომ პლეხანოვის მსჯელობის გაცვეთილ ხერხს: «რევოლუცია ბურჟუაზიულია — მხარი უნდა დავუჭიროთ ბურჟუაზიასაო», საერთო არაფერი აქვს მარქსიზმთან. ამრიგად მან აღიარა ჩვენი ს.-დ. ოპორტუნიზმის, ე. ი. მენშევიზმის, ძირითადი შეცდომა, რომლის წინააღმდეგ ჯერ კიდევ 1905 წლის დამდეგიდან იბრძოდნენ ბოლშევიკები.

შემდეგ, კაუტსკის ანალიზმა, რომელიც გამოდის არა ზოგადი ფრაზებიდან, არამედ განსაზღვრულ კლასთა მდგომარეობისა და ინტერესების განხილვიდან, დაადასტურა ის დასკვნა, რომელსაც «უტაქტოდ» სთვლიდნენ კადეტების ჩვენებური დამქაშები, სახელდობრ: რომ ბურჟუაზიას რუსეთში რევოლუციისა უფრო ეშინია, ვიდრე რეაქციისა, რომ მას აბსოლუტიზმი სძულს იმის გამო, რომ მან რევოლუცია წარმოშვა, რომ პოლიტიკური თავისუფლება მას ესაჭიროება რევოლუციის შესაწყვეტად. შეადარეთ ამას გულუბრყვილობა რწმენისა, რო-

მლითაც გამსჭვალულია კადეტებისადმი ჩვენი პლეხანოვი, რომელმაც თავის კითხვებში შეუმჩნევლად გააიგივევა ოპოზიციის ბრძოლა ძველ წესწყობილებასთან და ბრძოლა მთავრობის მიერ რევოლუციური მოძრაობის გასრესის ცდასთან! «ბურჟუაზიულ დემოკრატიაზე» მენშევიკების შაბლონური შეხედულებისაგან განსხვავებით კაუტსკიმ გვიჩვენა მისი რევოლუციური და არარევოლუციური ელემენტები, გვიჩვენა ლიბერალიზმის გაკოტრება, აუცილებლობა ლიბერალების მით უფრო სწრაფად გადახრისა მარჯვნივ, რაც უფრო დამოუკიდებელი და უფრო შეგნებული ხდება გლეხობა. ბურჟუაზიული რევოლუცია, რომელსაც ახდენენ პროლეტარიატი და გლეხობა ბურჟუაზიის მერყეობის მიუხედავად, — ამ ძირითად დებულებას ბოლშევიკური ტაქტიკისას სავსებით ადასტურებს კაუტსკი.

კაუტსკი გვიჩვენებს, რომ რევოლუციის მსვლელობაში გამარჯვება სავსებით შესაძლებელია ხვდეს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, და რომ ეს პარტია თავის მომხრეებს უ ნ დ ა უნერგავდეს გამარჯვების რწმენას. კაუტსკის დასკვნა აგრეთვე სავსებით აბათილებს ჩვენს რევოლუციაში ს.-დ. გამარჯვების მენშევიკურ შიშს. პლეხანოვის სასაცილო ჭაპანწყვეტა, რომ ჩვენი რევოლუციის ამოცანები «შეუფარდოს» «ამსტერდამის რეზოლუციას», განსაკუთრებით კომიკური ჩანს კაუტსკის მარტივ და ნათელ დებულებასთან შედარებით: «შეუძლებელია წარმატებით იბრძოლო, თუ წინდაწინვე იღებ ხელს გამარჯვებაზეო».

კიდევ უფრო მკაფიოდ აშკარავდება ძირეული განსხვავება კაუტსკის მეთოდსა და ახლანდელი ჩვენი ოპორტუნისტების ბელადის, პლეხანოვის მ ე თ ო დ ს შორის, როცა ვკითხულობთ კაუტსკის ნაწერში: იმის ფიქრი, რომ «ყველა იმ კლასებმა და პარტიებმა, რომელნიც პოლიტიკური თავისუფლებისაკენ მიისწრაფვიან, პირდაპირ ერთად უნდა იმოქმედონ, რათა მას მიაღწიონო», იმას ნიშნავს, რომ «მ ხ ე დ ვ ე ლ ო ბ ა შ ი გ ქ ო ნ დ ე თ მ ხ ო ლ ო დ მ ი მ დ ი ნ ა რ ე მ ო ვ ლ ე ნ ი ს

პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ზ ე დ ა პ ი რ ი». ეს ისე გაისმის, თითქოს კაუტსკი პირდაპირ გულისხმობდეს ლიბერალებთან გაქცეული სოციალ-დემოკრატების პატარა კომპანიას: ბატონ პორტუგალოვებს, პროკოპოვიჩებს, კუსკოვებს, ბოგუჩარსკებს, იზგოევებს, სტრუვეებს და სხვ., რომელნიც სწორედ კაუტსკის მიერ აღნიშნულ შეცდომას სჩადიან (და ამასთან თან ითრევენ პლეხანოვს). ის გარემოება, რომ კაუტსკი არ იცნობს ამ ვაჟბატონების ნაწერებს, მხოლოდ აძლიერებს მისი თ ე ო რ ი უ ლ ი დასკვნის მნიშვნელობას.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ კაუტსკი ს ა ვ ს ე ბ ი თ იზიარებს ყ ვ ე ლ ა რუსი სოციალ-დემოკრატის ძირითად დებულებებს გლეხთა მოძრაობის ა რ ა ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი ხასიათის, წვრილი გლეხური წარმოებიდან სოციალიზმის წარმოშობის შეუძლებლობისა და სხვ. შესახებ. სოციალისტ-რევოლუციონერებისათვის, რომლებიც ხშირად გვარწმუნებენ ხოლმე, რომ «ისინიც ეთანხმებიან მარქსს», — მეტად საგულისხმო იქნებოდა ჩაჰფიქრებოდნენ კაუტსკის ამ სიტყვებს.

დასასრულ, რამდენიმე სიტყვა «ავტორიტეტებზე». მარქსისტებს არ შეუძლიათ იდგნენ ინტელიგენტ-რადიკალის ჩვეულებრივ თვალსაზრისზე მისი ვითომდა რევოლუციური განყენებული დებულებით: «არავითარი ავტორიტეტიო».

არა. მუშათა კლასს, რომელიც მთელ მსოფლიოში აწარმოებს ძნელსა და შეუპოვარ ბრძოლას სრული განთავისუფლებისათვის, — ავტორიტეტები ესაჭიროება, — მაგრამ, რა თქმა უნდა, მხოლოდ იმ აზრით, რა აზრითაც ახალგაზრდა მუშებს ესაჭიროებათ ძველ მ ე ბ რ ძ ო ლ თ ა გამოცდილება ჩაგვრისა და ექსპლოატაციის წინააღმდეგ, — იმ მებრძოლთა, რომლებსაც მრავალი გაფიცვა ჩაუტარებიათ, მონაწილეობა მიუღიათ მთელ რიგ რევოლუციებში და რომელნიც გამობრძმედილან რევოლუციური ტრადიციებით და ფართო პოლიტიკური თვალთახედვით. პროლეტარიატის მსოფლიო ბრძოლის ავტორიტეტი ესაჭიროება ყველა ქვეყნის პროლეტარებს. მსოფლიო სოციალ-დემოკრატიის თეორეტიკოსთა ავტორიტე-

ტი ჩვენ გვჭირდება ჩვენი პარტიის პროგრამისა და ტაქტიკის გასარკვევად. მაგრამ ამ ავტორიტეტს, რასაკვირველია, საერთო არაფერი აქვს ბურჟუაზიული მეცნიერების და პოლიციური პოლიტიკის კაზიონურ ავტორიტეტებთან. ეს ავტორიტეტი არის ავტორიტეტი უფრო მრავალმხრივი ბრძოლისა მსოფლიო სოციალისტური არმიის იმავე რიგებში. რამდენადაც იგი დიდად მნიშვნელოვანია მებრძოლთა გონებრივი ჰორიზონტის გასაფართოებლად, იმდენად შეუწყნარებელი იქნებოდა მუშათა პარტიაში იმის პრეტენზია, რომ გარედან, შორიდან გადაწყვიტო უახლოესი პოლიტიკის პრაქტიკული და კონკრეტული საკითხები. თვითეული ქვეყნის მოწინავე შეგნებული, უშუალოდ მებრძოლი მუშების კოლექტიურობა ყველა ასეთს საკითხში ყოველთვის ყველაზე დიდი ავტორიტეტი იქნება.

ასეთია ჩვენი შეხედულება როგორც კაუტსკის, ისე პლეხანოვის აზრთა ავტორიტეტიანობის შესახებ. ამ უკანასკნელის თეორიული ნაშრომები — უმთავრესად ნაროდნიკებისა და ოპორტუნისტების კრიტიკა — მთელი რუსეთის სოციალ-დემოკრატიის მტკიცე შენაძენად რჩება, და ვერავითარი «ფრაქციულობა» ისე ვერ დააბრმავებს ადამიანს, რომელსაც რაიმე «ჭკუის ფიზიკური ძალა» გააჩნია, რომ ამ შენაძენის დიდი მნიშვნელობა დაივიწყოს ან უარყოს. მაგრამ როგორც რუსი სოციალ-დემოკრატების პოლიტიკური ბელადი რუსეთის ბურჟუაზიულ რევოლუციაში, როგორც ტაქტიკოსი, პლეხანოვი ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ამ დარგში მან ისეთი ოპორტუნიზმი გამოიჩინა, რომელმაც რუს ს.-დ. მუშებს ასჯერ უფრო მეტი ზიანი მიაყენა, ვიდრე ბერნშტეინის ოპორტუნიზმმა გერმანელ მუშებს. და ჩვენ უსასტიკესი ომი უნდა გამოვუცხადოთ პლეხანოვის ამ კადეტისებურ პოლიტიკას, იმ პლეხანოვისა, რომელიც დაუბრუნდა მის მიერ 1899 — 1900 წლებში ს.-დ. პარტიიდან განდევნილი ბატონ პროკოპოვიჩებისა და კომპ. წიაღს.

პლეხანოვის ეს ტაქტიკური ოპორტუნიზმი რომ მარქსისტული მეთოდის საფუძველთა სრული უარყოფაა, — ამას ყველაზე უკეთ ამტკიცებს კაუტსკის მ ს ჯ ე ლ ო ბ ი ს მ ს ვ ლ ე ლ ო ბ ი ს გაცნობა ამ სტატიაში, რომელსაც მკითხველს ვაწვდით.

დაწერილია 1906 წ. დეკემბერში
დაიბეჭდა 1907 წ. ბროშურაში:
კ. კაუტსკი. «რუსეთის რევოლუციის მამოძრავებელი ძალები და პერსპექტივები», გამომც. «ნოვაია ეპოხა»

იბეჭდება ბროშურის ტექსტის მიხედვით

როგორ უყურებენ სათათბიროს არჩევნებს ბურჟუაზიული პარტიები და მუშათა პარტია?

გაზეთები სავსეა ცნობებით არჩევნების მზადების შესახებ. თითქმის ყოველდღე ვგებულობთ ხან მთავრობის ახალ «განმარტებას», რომლის მიხედვით მთავრობა საარჩევნო სიიდან შლ ის არაკეთილსაიმედო მოქალაქეთა კიდევ და კიდევ ერთ ჯგუფს, — ხან ახალ დევნას, კრებების აკრძალვას, გაზეთების დახურვას, შესაძლებელი ამრჩევლებისა და კანდიდატების დაპატიმრებას და სხვ.. შავრაზმელებმა თავი წამოყვეს. ისინი ყიჟინას სცემენ და სისინებენ უფრო თავხედურად, ვიდრე ოდესმე.

მთავრობისათვის არასასურველი პარტიებიც ემზადებიან არჩევნებისათვის. ეს პარტიები დარწმუნებული არიან, და სამართლიანადაც არიან დარწმუნებული, რომ ამომრჩეველთა მ ა ს ა შესძლებს თქვას თავისი სიტყვა, არჩევნების საშუალებით გამოთქვას თავისი ნამდვილი რწმენა, მიუხედავად ყოველგვარი ხრიკისა, შარიანობისა, ამომრჩევლის წინააღმდეგ მიმართული წვრილმანი და დიდი შევიწროებისა. ეს რწმენა დამყარებულია იმაზე, რომ თვით უსასტიკესი დევნა, ყოვლად აუტანელი შარიანობა და შევიწროება მთელ რუსეთში არჩევნებს ჩამოაშორებს, სულ ბევრი, ასობით, ათასობით, ვთქვათ, ათეული ათასობით ამომრჩეველს. მაგრამ ამით მ ა ს ი ს სულისკვეთება და მთავრობასთან მისი დამოკიდებულება როდი შეიცვლება. შეიძლება ამოშალოთ სიიდან, ვთქვათ,

პეტერბურგში 10 — 20 ათასი ამომრჩეველი, მაგრამ სატახტო ქალაქის ამომრჩეველთა ასორმოცდაათათასიანი მასა ამით მხოლოდ იკუმშება, გულს იხურავს, იმალება, დროებით ჩუმდება, მაგრამ არ ჰქრება და არც იცვლის თავის მასობრივ სულისკვეთებას, ხოლო თუ იცვლის, რა თქმა უნდა, არა მთავრობის სასარგებლოდ. და ამიტომ, სანამ ძირიანად არ შეცვლილა საარჩევნო კანონი, სანამ საბოლოოდ არ გაუთელავთ საარჩევნო ლეგალობის ყოველგვარი ნაშთები (მათი გათელვა კიდევ შეიძლება ამრჩეველთა სისტემატური დაპატიმრების საშუალებით: სტოლიპინისაგან ყოველგვარ სიგლახეს უნდა მოველოდეთ!), — მანამდე უეჭველია, რომ მასის სულისკვეთება გადაწყვეტს არჩევნების შედეგებს, — და, რასაკვირველია, არა მთავრობისა და მისი შავრაზმელების სასარგებლოდ.

და ყველას, ვინც მთავრობის მხარეზე არ არის, ამომრჩეველთა მასის იმედი აქვს. მაგრამ თუ დაუკვირდებით იმას, ნამდვილად რაში მდგომარეობს მასაზე დამყარებული იმედი, რ ო გ ო რ უყურებს ესა თუ ის პარტია მასას, თქვენ დაინახავთ ბურჟუაზიულ პარტიებსა და პროლეტარიატის პარტიას შორის არსებული განსხვავების მთელ უფსკრულს.

კადეტები სათავეში უდგანან ლიბერალურ-ბურჟუაზიულ პარტიებს. პირველი სათათბიროს არჩევნებში მათ სამარცხვინოდ უღალატეს ბრძოლის საქმეს, უარყვეს ბოიკოტი, მორჩილად ჩაებნენ არჩევნებში და თან გაიყოლიეს განუვითარებელი მასა. ახლა მათ იმედი აქვთ ამ მასის ჩამორჩენილობისა, მემარცხენე პარტიების აგიტაციის და საარჩევნო კამპანიის შეზღუდვისა. კადეტების იმედი მასის მიმართ — ეს არის იმედი მასის განუვითარებლობისა და დაბეჩავებულობისა: ჩვენს პროგრამასა და ტაქტიკაში მასა ვერ გაერკვევაო, მშვიდობიან და ლეგალურ, უაღრესად მშვიდობიან და ფრიად გაუბედავ პროტესტზე შორს ვერ წავა — არა იმიტომ, რომ არ უნდა, არამედ იმიტომ, რომ არ გაუშვებენო. ხმას ჩვენ მოგვცემენო, ვინაიდან მემარცხენეებს არც გაზეთები აქვთ, არც კრებები, არც ფურცლები, არც გარანტიები, რომ თვით-

ნებურად არ داپატიმრებენ და დევნას არ داუწყებენო, — აი როგორ აზროვნებს კადეტი. და ის თვალს ამაყად აღაპყურობს ზეცად: გმადლობ შენ, უფალო, რომ არ ვგევარ არც ერთს ამ «უკიდურესთაგანს»! არ ვარ რევოლუციონერი, შევძლებ შევეგუო, უმორჩილესად და უმდაბლესად შევეგუო ყოველგვარ ლონისძიებებს, საარჩევნო ბლანკებსაც * კი ვიშოვი მშვიდობიან განმაახლებელთაგანაო.

ამიტომ კადეტების მთელი წინასაარჩევნო კამპანია მიმართულია იქით, რომ მასა داشინონ შავრაზმული საფრთხით, داشინონ მასა უკიდურეს მემარცხენე პარტიათა საფრთხით, შეეგუონ მდაბიო მოქალაქის ფილისტერობას, სიმხდალესა და სიძაბუნეს, داარწმუნონ იგი იმაში, რომ კადეტები ყველაზე ნაკლებ საშიში, ყველაზე თავდაბალი, ყველაზე ზომიერი და ყველაზე წესიერი ხალხია. შეგეშინდა, ობივატელო? — ეკითხებიან ყოველდღე მკითხველს კადეტური გაზეთები. — მოგვენდე ჩვენ! ჩვენ შენ არ შეგაშინებთ, ჩვენ ძალმომრეობის წინააღმდეგი ვართ, მთავრობის მორჩილი ვართ, მოგვენდე მხოლოდ ჩვენ, და ჩვენ ყველაფერს მოვაწყობთ შენთვის «შეძლებისამებრ»! და შეშინებული ობივატელების ზურგს უკან კადეტები ყოველგვარ ხრიკს ხმარობენ, რომ داარწმუნონ მთავრობა თავის ლოიალობაში, داარწმუნონ მემარცხენენი თავის თავისუფლებისმოყვარეობაში, داარწმუნონ მშვიდობიანი განმაახლებელნი თავის სიახლოვეში მათს პარტიასა და მათს ბლანკებთან.

არავითარი გაცნობიერება მასების შეგნებისა, არავითარი აგიტაცია, რომელიც აღაგზნებს მასებს, არავითარი ახსნა-განმარტება თანამიმდევარი დემოკრატიული ლოზუნგებისა, მანდატებით ვაჭრობა داშინებული ობივატელის ზურგს უკან, — აი წინასაარჩევნო კამპანია ლიბერალური ბურჟუაზიის ყველა პარტიისა, داწყებული უპარტიოებით («ტოვარიშჩისა») და გათავებული დემოკრატიული რეფორმების პარტიით.

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 462. რ ე დ.

მუშათა პარტიის დამოკიდებულება მასასთან პირდაპირ ამის საწინააღმდეგოა. ჩვენთვის იმას კი არა აქვს მნიშვნელობა, რომ გარიგებით მოვიპოვოთ ადგილი სათათბიროში. პირიქით, თვით ამ ადგილებს მნიშვნელობა აქვთ მხოლოდ იმიტომ და იმდენად, რამდენადაც ისინი ხელს შეუწყობენ მასების შ ე გ ნ ე ბ ი ს განვითარებას, მათი პოლიტიკური დონის ა მ ა ღ ლ ე ბ ა ს, მათს ო რ გ ა ნ ი ზ ე ბ ა ს არა ფილისტერული კეთილდღეობის გულისათვის, არა «სიწყნარის», «წესრიგის» და «მშვიდობიანი (ბურჟუაზიული) კეთილდღეობის» გულისათვის, არამედ ბ რ ძ ო ლ ი ს გულისათვის, ბრძოლისა ყოველგვარი ექსპლოატაციის და ჩაგვრისაგან შრომის სრული განთავისუფლებისათვის. მხოლოდ ამიტომ და ამდენადა აქვს ჩვენთვის მნიშვნელობა სათათბიროს ადგილებსაც და მ თ ე ლ საარჩევნო კამპანიასაც. მუშათა პარტია მთელ იმედებს მასაზე ამყარებს, მაგრამ არა დაშინებულ, არა პასიურად მორჩილ, არა მონობის უღლის ქედმოხრილად მზიდავ მასაზე, — არამედ შეგნებულ, მომთხოვნ, მებრძოლ მასაზე. მუშათა პარტია ზიზღით უნდა უყურებდეს ჩვეულებრივ ლიბერალურ ხერხს: ობივატელის დაშინებას შავრაზმული საფრთხის აჩრდილით. სოც.-დემოკრატიის მთელი ამოცანაა განუვითაროს მასას იმის შ ე გ ნ ე ბ ა, თუ რაში მდგომარეობს ნამდვილი საფრთხე, ნამდვილი ამოცანა იმ ძალთა ბრძოლისა, რომელთაც სათათბიროში არა აქვთ თავისი სათავე, რომელნიც სათათბიროს კამათში არ ჰპოვებენ თავის სრულ გამოხატულებას, სათათბიროში არ გადაწყვეტენ რუსეთის მომავლის საკითხს.

ამიტომ მუშათა პარტია აფრთხილებს მასებს არ დაუჯერონ კადეტური ბურჟუაზიის ფარულ საარჩევნო ოინებს, გონების დამაჩლუნგებელ მის ყიჟინს: ჩვენ, ვექილებს, პროფესორებსა და განათლებულ მემამულეებს, მოგვანდეთ შავრაზმულ საფრთხესთან ბრძოლის საქმეო!

ენდეთ მხოლოდ საკუთარ სოციალისტურ შეგნებულობას და საკუთარ სოციალისტურ ორგანიზაციას, — ეუბნება მასებს მუშათა პარტია. ბრძოლაში პირველობა და მისი ხელმძღვა-

ნელობის უფლება რომ ლიბერალურ ბურჟუებს დავუთმოთ, ეს იქნება თავისუფლების საქმის გაყიდვა ფრაზების ხმაურობის ფასად, ახალმოდისა და ბრჭყვიალა აბრების ზიზილ-პიპილების ფასად. ვერავითარი შავრაზმული საფრთხე სათათბიროში ვერ მოგვიტანს ისეთ ვნებას, როგორც იმ მასების შეგნების გარყვნა, რომლებიც ბრმად გაჰყვებიან ლიბერალურ ბურჟუაზიას, მის ლოზუნგებს, მის კანდიდატურათა სიებს, მის პოლიტიკას.

იმ მასებში, რომლებსაც მუშათა პარტია მიმართავს, რიცხობრივად გლეხობა და წვრილი ბურჟუაზიის სხვადასხვა ფენები სჭარბობენ. ისინი კადეტებზე გაბედულნი, მათზე პატიოსანნი არიან, ათასჯერ მეტი უნარიც შესწევთ ბრძოლისა, მაგრამ პოლიტიკაში ძალიან ხშირად კადეტურ მოლაყბეებს მიჰყვებიან უკან. ისინი ახლაც მერყეობენ მებრძოლ პროლეტარიატსა და შემთანხმებელ ბურჟუაზიას შორის.

კადეტებთან ბლოკის მქადაგებლები ვნებენ არა მარტო პროლეტარიატსა და თავისუფლების მთელ საქმეს. ისინი ვნებენ ღარიბი მდაბიო მოქალაქეებისა და გლეხობის შეგნების განვითარებას. ეს მქადაგებლები არ ასრულებენ თავიანთ პირდაპირ მოვალეობას: გაათავისუფლონ ისინი ლიბერალური ბურჟუაზიის გავლენისაგან. შეხედეთ ტრუდოვიკებს, «სახალხო სოციალისტებს» და ესერებს. ისინიც მერყეობენ და უმთავრესად კადეტებთან გარიგების პროექტებით არიან გართულნი. ტრუდოვიკების ბელადები, რომლებმაც ვერ მოახერხეს საკუთარი პარტიის შექმნა, აათკეცებენ სათათბიროში ჩადენილ შეცდომებს, როცა მოუწოდებენ მასებს ხმა მისცენ კადეტებს (ანიკინი გაზეთების რეპორტიორების საშუალებით, ჟილკინი «ტოვარიშჩში» და სხვ.). ეს პირდაპირი ღალატია გლეხთა ბრძოლის საქმისა, პირდაპირ ხელში მიცემაა გლეხისა ლიბერალური მემამულისათვის, რომელიც იმგვარადვე გაძარცვავს გლეხებს «სამართლიან» ფასად გამოყიდვით, როგორც გაძარცვეს გლეხი მისმა წინაპრებმა 1861 წელს. «სახალხო სოციალისტები»? მათ კადეტებიც კი (მილიუკოვი «რეჩში») «მეორე გაწვევის კადეტებს» ეძახიან ხუმრობით. მათი

ბელადებიც (ანენსკი და სხვ.) მოუწოდებენ კადეტებთან ბლოკისაკენ. მათი ერთი ბეწო პარტია (მათი კეთილმწყალობელი «ტოვარიშჩის» ცნობებით, მშვიდობიანი გაძარცვის პარტიაზეც უფრო სუსტი, — რაღაც 2 000 კაცი მთელ რუსეთში!) კადეტების უბრალო დანამატია. სოც.-რევოლუციონერებსაც ორჭოფად უჭირავთ თავი: როგორც ოქტომბრის პერიოდში, ისე პირველი სათათბიროს პერიოდში ისინი ფარავდნენ თავიანთ განხეთქილებას სახალხო სოციალისტებთან, მათთან ერთად მიდიოდნენ, ერთსა და იმავე გაზეთებს უძღვებოდნენ. ახლა ისინი არავითარ აშკარა და დამოუკიდებელ ბრძოლას არ ეწევიან, არ გამოდიან საკმაოდ ფართოდ, აშკარად და მკაცრად «მეორე გაწვევის» კადეტების» წინააღმდეგ, არ აძლევენ მასებს არავითარ ამომწურავ მასალას ამ პარტიის კრიტიკისათვის, არ იძლევიან მთელი საარჩევნო კამპანიისა და საერთოდ ყველა საარჩევნო შეთანხმების არავითარ პრინციპულ შეფასებას.

მუშათა პარტიის დიდი ისტორიული მოვალეობაა — ხელი შეუწყოს მუშათა კლასის დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ე ლ ი პოლიტიკური პარტიის შექმნას. ამ საქმეს ვნებენ კადეტებთან ბლოკის მქადაგებელნი.

მეორე დიდი მოვალეობაა — გაათავისუფლოს გაჩანაგების გზაზე შემდგარი, გაჭირვებული, დაღუპვის პირას მისული მდაბიო მოქალაქეებისა და გლეხობის მასები ლიბერალური ბურჟუაზიის იდეებისა და ცრურწმენათა გავლენისაგან. ამ საქმესაც ვნებენ კადეტებთან ბლოკის მქადაგებელნი. ისინი კი არ აშორებენ გლეხს ლიბერალისაგან, არამედ განამტკიცებენ ამ არაბუნებრივ კავშირს, რომელიც დამღუპველია თავისუფლების საქმისათვის და პროლეტარიატის საქმისათვის. ისინი კი არ აფრთხილებენ გლეხთა მასას, რომ ლიბერალები ფარულ პოლიტიკას აწარმოებენ (ანუ, უფრო სწორედ რომ ვთქვათ, პოლიტიკანობას სათათბიროში ადგილების გაყოფის შესახებ), არამედ ამართლებენ ამ პოლიტიკანობას თავიანთი მონაწილეობით მასში.

ძირს ყოველგვარი ბლოკი! მუშათა პარტია თავისუფალი და დამოუკიდებელი უნდა იყოს თავის საარჩევნო კამპანიაში საქმით და არა მარტო სიტყვიერად. მან უნდა მისცეს მთელ ხალხს და განსაკუთრებით მთელ პროლეტარულ მასას იდეური, მტკიცე, გაბედული კრიტიკის მაგალითი. ამით და მხოლოდ ამით მივიზიდავთ მასას თავისუფლებისათვის ბრძოლაში ნამდვილი მონაწილეობის მისაღებად და არა თავისუფლების კადეტ გამცემთა ხუხულა ლიბერალიზმის თავშესაქცევად.

დაიბეჭდა 1906 წ. 31 დეკემბერს
ყოველკვირეულ ჟურნალში
«ტერნიი ტრუდა» № 2

იბეჭდება
ყოველკვირეული ჟურნალის
ტექსტის მიხედვით

პლეხანოვი და ვასილიევი

მენშევიკური სოციალ-დემოკრატიული პრესის დამოკიდებულება პლეხანოვის' ცნობილი ჰეროსტრატისებური გამოსვლებისადმი «ტოვარიშჩში» მუშათა კლასის მთელი პარტიის ყურადღების ღირსია. მენშევიკური მიმდინარეობის უაღრესად თვალსაჩინო წარმომადგენელი, მენშევიკების ბელადი, როგორც მას აშკარად და მუდამ უწოდებს ყველა ლიბერალური გაზეთი, საჯაროდ გამოდის ს.-დ. და კ.-დ. ს ა ე რ თ ო პ ლ ა ტ ფ ო რ მ ი ს წინადადებით.

მენშევიკები კი სდუმან!

თითქოს მათ არ გააჩნდეთ არც გაზეთები, არც კრებულები, არც ფურცლები, არც დაწესებულებანი, არც კოლეგიები, არც ერთი პარტიული ორგანიზაცია. თითქოს მათ არც კი ეხებოდეთ, რასაც მთელი რუსეთის წინაშე ლაპარაკობს მ ა თ ი ბელადი მ ა თ ი პოლიტიკის შესახებ...

მაგრამ ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, რომ მენშევიკებს მოეპოვებათ ორგანიზაციებიც, — ისეთი გავლენიანიც კი, როგორიცაა ც. კ., — და სხვა ყოველგვარი ორგანოებიც. ამიტომ მათი დუმილი ერთხელ კიდევ ადასტურებს მათი პოზიციის მთელ სიყალბეს. მენშევიკურ მასაში მარტო ბუნდელები გამოირჩევიან. ისინი ამხედრდნენ «სრულძალაუფლებიანი საათათბიროს» ლოზუნგის წინააღმდეგ, სამწუხაროდ, რუსებისათვის თითქმის უცნობ თავიანთ გაზეთ «**Volkszeitung** *»-ში. მათ სასაცილოდ აიგდეს პლეხანოვი თავიანთ რუსულ გამოცემაშიც — «ნაშა ტრიბუნაში». ამით მათ ყოველ შემთხვევაში

* — «სახალხო გაზეთი». რ ე დ.

დაამტკიცეს, რომ გამბედაობა შესწევთ საკუთარი აზრი იქონიონ, იცნონ საქმით და არა მარტო სიტყვიერად თ ა ვ ი ა ნ თ ი პარტიული ორგანიზაცია, რომელიც ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ი ა აშკარად და პირდაპირ გამოთქვას თავისი აზრი ყველა პოლიტიკურ საკითხზე, ვალდებულია თავისი პოლიტიკური მოვალეობა პროლეტარიატის წინაშე პირად მეგობრობაზე, ნათლიმამობაზე და პერსონების პატივისცემაზე მაღლა დააყენოს *...

ეს რა საზიზღარი მოვლენაა მუშათა პარტიაში! პარტიაში გაბატონებული მიმდინარეობა, რომელსაც ხელთ უპყრია ცენტრალური კომიტეტი, ვერ ბედავს ხმა ამოიღოს თავისი ე რ თ ე რ თ ი წევრის შეცდომების შესახებ. ყველა კრებაზე, ყოველ კამათში მუშების წინაშე, ყოველ დისკუსიაში ბოლშევიკებთან მენშევიკები ფიცულობენ, რომ ისინი პლეხანოვს არ ეთანხმებიან. პრესაში კი სდუმან: არც ერთი ო ფ ი ც ი ა ლ უ რ ი განცხადება არ გამოქვეყნებულა ამა თუ იმ პარტიული უჯრედისა. რა არის ეს? ჩუმად უარყოფა და ოფიციალური დუმილით დადასტურება? გინება ზურგს უკან და დუმილი... ბატონის წინაშე. ასე იქცევიან მხოლოდ... თვითონვე მიხვდით, დიდად პატივცემულნო, თუ ვინ იქცევა ასე.

---

* ეს-ესაა მივიღეთ თბილისელი მ ე ნ შ ე ვ ი კ ე ბ ი ს ქართული ს.-დ. ორგანოს «წინ»-ის 8 დეკემბრის ნომრის ამონაწერი. თბილისელი მენშევიკები გადაჭრით ედავებიან პლეხანოვს და აცხადებენ, რომ მისი მოსაზრებანი «სრულძალაუფლებიანი სათათბიროს» ლოზუნგის სასარგებლოდ შემცდარია, რომ სოციალ-დემოკრატებს ა რ შ ე უ ძ ლ ი ა თ ეს ლოზუნგი დამფუძნებელ კრებად იგულისხმონო. «სრულძალაუფლებიანი სათათბიროს» ლოზუნგი, — წერენ ისინი, — «ჩვენი პროგრამის შეკვეცა იქნებოდაო». შემდეგ, ამტკიცებენ, რომ ეს ლოზუნგი კადეტებისათვისაც არ არის მისაღები და რომ საზოგადოდ ლაპარაკიც კი არ შეიძლება ს.-დ. და კ.-დ. საერთო პლატფორმაზე. საერთო პლატფორმა «შეკვეცაა ჩვენი პარტიული დამოუკიდებლობის ფრთებისა, მიჩქმალვაა სოციალ-დემოკრატიის და ბურჟუაზიული პარტიების შეხედულებათა განსხვავებისაო».

მართალია, ამხანაგო თბილისელო მენშევიკებო! სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ, წინააღმდეგ ც. კ.-ისა და რუსი მენშევიკების უმრავლესობისა, ბუნდელები და კავკასიელები არ გაექცნენ თავიანთ მოვალეობას — აშკარად ეცნოთ შეცდომად პლეხანოვის აზრი და მთელი მისი გამოსვლა.

ჩვენ კი მუშებსა და მთელ პარტიას ვეტყვით: არ შეიძლება ენდოთ იმ პოლიტიკურ ბელადებს, რომელნიც მთელი თავიანთი კოლეგიებით გაქრებიან ხოლმე, როგორც კი დაინახავენ რომელიმე მოჯირითის თარეშს, ვინც უნდა იყოს ეს მოჯირითე. არ შეიძლება ენდოთ. ეს «ბელადები» საქმის ყოველი საბოლოო გადაწყვეტის დროს მოიქცევიან ა რ ა ი ს ე, როგორც ლაპარაკობენ, არამედ ისე, როგორც მ ა თ მ ა გ ი ე რ ლ ა პ ა რ ა კ ო ბ ს ვინმე მესამე.

სხვათა შორის. პლეხანოვისა და მენშევიკების მოქმედება ამ ინციდენტში კარგი ილუსტრაციაა მოარული მითქმა-მოთქმისა ჩვენი პარტიის ინტელიგენტური ხასიათის შესახებ. დიახ, უზომოდ დიდია ჩვენში არაპროლეტარული ინტელიგენციის გავლენა პროლეტარიატზე, ეს მართალია. ეს რომ ასე არ იყოს, განა პროლეტარული პარტია მოითმენდა თუნდ ერთ კვირას პლეხანოვის გამოსვლებს და მათდამი მენშევიკების დამოკიდებულებას? რა თვალნათლივ მჟღავნდება აქ ჭეშმარიტი ხასიათი მითქმა-მოთქმისა უ პ ა რ ტ ი ო მუშათა ყრილობის შესახებ. აი, ჩვენს პარტიას რომ შესცვლიდეს ლეგალური მუშათა პარტია (უბრალოდ მუშათა, არა სოციალ-დემოკრატიული), — როგორც ეს სურთ ლარინს, «ნაშე დელოს» და «სოვრემენნაია ჟიზნის» პუბლიცისტებს, — აი მაშინ სრული გასაქანი მიეცემოდა ისეთ გამოსვლებს, როგორიც პლეხანოვის გამოსვლაა. წერე რომელ გაზეთშიც გსურდეს, შეჰკარი როგორიც გინდა და ვისთანაც გინდა ლიტერატურული თუ ზოგადპოლიტიკური ბლოკი, წამოაყენე შენი სახელით ს ა კ უ თ ა რ ი ლოზუნგები და ნუ გაუწევ ანგარიშს ნურავითარ პარტიულ ორგანიზაციას! სრული თავისუფლება ინტელიგენტურ ინდივიდუალისტურ ბუნებას და ამავე დროს უპარტიო მუშათა მასის სრული ჩამოუქნელობა. განა ეს იდეალი არ არის ძველი პროკოპოვიჩისეული «Credo»-სი * (რომლისთვისაც მე და პლეხანოვი 1899 — 1900 წელს თავს დავატყდით პროკოპოვიჩს და გავაძევეთ იგი ყველა მისი ამყოლ-დამყოლით ს.-დ. პარტიიდან)? «Credo» — ეს ს.-დ. ოპორ-

* — მრწამსი, პროგრამა, მსოფლმხედველობის გადმოცემა. რ ე დ.

ტუნიზმის კვინტ-ესენცია — ქადაგებდა არაპოლიტიკურ, უპარტიო მუშათა კავშირებს ეკონომიური ბრძოლისათვის და ლიბერალურ პოლიტიკურ ბრძოლას. კადეტებთან ბლოკი და უპარტიო მუშათა ყრილობა — ეს სხვა არა არის რა, თუ არა 1899 წლის «Credo», ხელახლა გამოცემული 1906 — 1907 წელს.

პლეხანოვის გამოსვლები «ტოვარიშჩში», — ეს სხვა არა არის რა, თუ არა ნამდვილად განხორციელება ლარინის წინადადებისა: უპარტიო მუშათა ორგანიზაციების ფონზე ყველა და ყოველნაირი «სოციალისტების» — უკაცრავად პასუხია, სოციალისტების — თავისუფალი პროპაგანდისტული საზოგადოებანი. ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ პლეხანოვი გამოდიოდა «ტოვარიშჩში» არა როგორც პარტიის წევრი, არა როგორც ერთერთი პარტიული ორგანიზაციის წევრი. ეს ფაქტია, რომელსაც ვერავითარი სოფიზმებით ვერ მოსპობთ, რომლის ვერავითარი «მიჩქმალვა» მენშევიკური ც. კ.-ის მიერ ვერ იხსნის ჩვენი პარტიის ცნობილ ფრაქციას. ნამდვილად პლეხანოვი გამოდიოდა სწორედ როგორც ლარინი, როგორც ა რ ა პ ა რ ტ ი უ ლ ი სოციალისტი არაპარტიულ «სოციალისტურ» ორგანოში არაპარტიული ა რ ა სოციალისტური და ა ნ ტ ი სოციალისტური წინადადებითაც კი.

ვასილიევი პლეხანოვის კვალს დაადგა. შვეიცარია, იმის გამო, რომ იგი თავისუფალია რუსეთის რევოლუციური პროლეტარიატის ტრადიციებისაგან, სულ უფრო და უფრო მეტ «მოწინავე» ოპორტუნისტებს გვაძლევს.

ვასილიევი თვალსაჩინო მენშევიკია. ის მუშაობდა მენშევიკებთან ერთად, ამასთან არა შემთხვევით მენშევიკებთან რომელიმე მივარდნილ კუთხეში, არამედ უაღრესად თვალსაჩინო და უაღრესად პასუხისმგებელ მენშევიკებთან ერთად. ამიტომ მენშევიკებს ა რ ა ა ქ ვ თ უ ფ ლ ე ბ ა ათვალწუნებით მოეპყრან ვასილიევს.

და ვასილიევი პირდაპირ იმოწმებს პლეხანოვს. კიდევ მეტი. ის პირდაპირ ე ყ რ დ ნ ო ბ ა მას. ის პლეხანოვის გამოსვლას კადეტურ პრესაში კადეტებთან საერთო პლატ-

ფორმის წინადადებით, რომელმაც სახელი გაუტეხა ს.-დ. პარტიას, — «მამაცურ შეძახებას» უწოდებს. ის «ნანობს», რომ «სხვა პარტიებს პლეხანოვები არა ჰყავთ».

ვასილიევს გულმოდგინება დიდი აქვს, ჭკუა კი პატარა. უნდოდა პლეხანოვი შეექო და მის შესაქებად წამოაყრანტალა: «სხვა პარტიებს, სამწუხაროდ, პლეხანოვები არა ჰყავთო». ეს დიდებულია! კეთილი ვასილიევი გახდა ინიციატორი სიტყვა «პლეხანოვების» ხმარებისა საზოგადო აზრით, თავისი პარტიის დამოუკიდებლად, ცალ-ცალკე მოქმედი პოლიტიკოსების აზრით. ამიერიდან, ალბათ, იტყვიან: «პლეხანოვები ამ სიტყვის ვასილიევისებური აზრით»...

მხარზე ხელს რომ უთათუნებენ «პლეხანოვებს», ვასილიევები დაუფარავად ამჟღავნებენ თავიანთ ზრახვებს. 1899 წელს «Credo»-ს ავტორები, ბატონი პროკოპოვიჩები და კომპ., ლაპარაკობდნენ წმინდა მუშურ მოძრაობაზე, რომელიც რევოლუციური ბაცილით არ იქნებოდა მოშხამული. ვასილიევები ლაპარაკობენ რევოლუციაზე, რომელმაც უნდა შობოს «კონსტიტუცია» და მეტი არაფერი, შობოს ყოველგვარი ბებიის დაუხმარებლად, ურევოლუციონერებოდ. არ უნდა იყვნენ არც ბებიები, არც რევოლუციონერები, არც რევოლუციური ხალხი, — აი ვასილიევის ლოზუნგი.

შჩედრინმა ოდესღაც კლასიკურად დასცინა საფრანგეთს, რომელმაც კომუნარები დახვრიტა, — რუსეთის ტირანების წინაშე მლიქვნელ ბანკირთა საფრანგეთს, — როგორც რესპუბლიკას ურესპუბლიკელებოდ [110]. დროა გამოჩნდეს ახალი შჩედრინი, რომ სასაცილოდ აიგდოს ვასილიევი და მენშევიკები, რომელნიც იცავენ რევოლუციას ლოზუნგით — «არც» რევოლუციონერები და «არც» რევოლუცია.

გვაქვს თუ არა უფლება ამნაირად დავახასიათოთ ვასილიევის «გამოსვლა»? გვაქვს თუ არა უფლება მას გვერდში ამოვუყენოთ მენშევიკები?

რასაკვირველია, გვაქვს! ვასილიევის მთელი სტატია, მთელი მისი აზრი, ყველა წინადადება სულ ერთიანად გაჟღენთილია იმ «გეგმით», რომ კონსტიტუციის დაბადებას დავეხმა-

როთ რევოლუციის მოშთობის საშუალებით. «დროებით გამოვეთხოვოთ» საზოგადოდ ყველა პროგრამას, ერთ ლიბერალურ პარტიად გავაერთიანოთ კადეტებთან ყველა ს.-დ. და ს.-რ. და სხვანი, შევაერთოთ ყველანი «პოლიტიკური კონსტიტუციისთვის» საბრძოლველად «იმავე დროს ეკონომიური პროგრამების გადაუჭრელად» (წერილშიც სწორედ ასეა ნათქვამი: პროგრამების გადაუჭრელად. რუსეთის პროლეტარიატის შვეიცარიელი მრჩეველნი ყოველთვის როდი ახერხებენ სწორ ლაპარაკს), — განა ეს იმას არ ნიშნავს, რომ რევოლუციის უარყოფის საშუალებით გადაარჩინონ კონსტიტუცია?

რევოლუცია ნამდვილი, სერიოზული მნიშვნელობით წ ა რ მ ო უ დ გ ე ნ ე ლ ი ა «ეკონომიური პროგრამების გადაუჭრელად». რევოლუციის მოხდენა შეუძლიათ მხოლოდ მასებს, რომელთაც ღრმა ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი საჭიროებანი ამოძრავებენ. რუსეთში აბსოლუტიზმის დამხობა ნ ა მ დ ვ ი ლ ი დამხობა, ა უ ც ი ლ ე ბ ლ ა დ ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი გადატრიალება იქნებოდა. მხოლოდ სოციალიზმის საკითხში სულ ქალწულებრივ-უმანკო ადამიანებს შეუძლიათ ეს ვერ გაიგონ. ეკონომიური პროგრამების უკუგდება იმას ნიშნავს, რომ უკუაგდო რევოლუციის ძირითადი ეკონომიური მიზეზები, უკუაგდო ეკონომიური ინტერესები, რომლებსაც დიადი, გაუგონარი თავდადებული ბრძოლის ასპარეზზე გამოჰყავთ დაჩაგრული, დაშინებული, ბნელი ხალხის მასები. ეს იმას ნიშნავს, რომ უკუაგდო მასები, დასტოვო ინტელიგენტურ ენამრუშთა ხროვა და შესცვალო სოციალისტური პოლიტიკა ლიბერალური ენამრუშობით.

«რა სარგებლობა ნახეს გლეხებმა, რომ მათი საქმე წამოაყენა სათათბირომ, რომელიც დათხოვნილ იქნა უმთავრესად სწორედ აგრარული საკითხის გამო?» განა ეს მსჯელობა არაა იმის ღირსი, რომ ვასილიევს სიცოცხლეშივე დაედგას ძეგლი მთელ მსოფლიოში სწორუპოვარი სოციალისტური ოპორტუნიზმისათვის?

და განა ეს (ჩვენ გადავდივართ ზემოთ დასმული ორი კითხვიდან უკანასკნელზე) — მენშევიკური მსჯელობა არ არის?

ვიაროთ ერთი ვაგონით ტვერამდე კადეტებთან ერთად და ერთმანეთს ხელი არ შევუშალოთო, — ამბობს პლეხანოვი. ვიაროთ კადეტებთან ერთად სათათბიროსაკენ და შევუერთდეთ არარევოლუციურ პარტიას (დროებით! «მოკლე ხნით»! დასძენს მენშევიკების ნათქვამს ვასილიევი) რევოლუციური მიზნებისათვის, — ამბობენ მენშევიკები. ვიაროთ ერთად კადეტურ სამინისტრომდეო, — ამბობდა ამას წინათ ჩვენი ც. კ.

თუ ვივლით, ვიაროთ, — კვერს უკრავს მათ ვასილიევი, — «მ ხ ო ლ ო დ ა რ შ ე ვ ე ჯ ა ხ ო თ ე რ თ მ ა ნ ე თ ს, ა რ შ ე ვ ა შ ი ნ ო თ ე რ თ მ ა ნ ე თ ი». «ახლა კი, ამ მომენტში, იგი (კლასებისა და ჯგუფების ბრძოლა) მომაკვდინებელი და დანაშაულებრივიაო».

კლასობრივი ბრძოლა დანაშაულია, კონსტიტუციისათვის ზიანის შიყენება რევოლუციური მოთხოვნების წამოყენებით (როგორც, მაგალითად: სრულძალაუფლებიანი სათათბირო, დამფუძნებელი კრება და სხვ.) დანაშაულია. რაც უნდა გაემიჯნონ მენშევიკები ვასილიევს (თუმცა, დღემდე ჯერ კიდევ არ გამიჯვნიან მას), ისინი ვერასოდეს ვერ წაშლიან იმას, რომ ს წ ო რ ე დ ე ს ი დ ე ა უდევს საფუძვლად კადეტებთან ბლოკსაც და სათათბიროს სამინისტროს მოთხოვნის მხარის დაჭერასაც, ყოველგვარ ერთად მგზავრობას ტვერამდე და სხვ. და სხვ.

ვასილიევი, რასაკვირველია, **unicum**-ია *. მაგრამ ბუნების ერთგვარად ერთადერთი მოვლენებიც მხოლოდ განსაზღვრულ გარემოცვაში არსებობენ, მხოლოდ განსაზღვრულ ვითარებაში ჩნდებიან. ვასილიევი, რასაკვირველია, ოპორტუნიზმის მონბლანია. მაგრამ მონბლანები ხომ არ ჩნდებიან ველებში. მონბლანები მხოლოდ ალპების მაღლობებში არსებობენ. ვასილიევები ევლინებიან ქვეყნიერებას მხოლოდ იქ, სადაც არიან «პლეხანოვები», ჩერევანინები და **tutti quanti** ** პროკოპოვიჩამდე.

---

* — თავისდაგვარად ერთადერთი. რ ე დ.

** — ყველა დანარჩენნი. რ ე დ.

«ვასილიევისებური აზრით გაგებული პლეხანოვების» მეოხებით კი ბ-ნ სტრუვეს საშუალება ეძლევა თქვას, როგორც ამბობდა ის სოლიანოი გოროდოკში 27 დეკემბრის ყრებაზე («ტოვარიშჩი», 28 დეკემბერი), რომ «კ.-დ.-ების ყველა დღევანდელი მოწინააღმდეგე ახლო მომავალში კადეტები გახდებიანო. «ტოვარიშჩს» უკვე კადეტურ გაზეთს უწოდებენ. სახალხო სოციალისტებს უწოდებენ სოციალ-კადეტებს, მენშევიკებს — ნახევრად კადეტებს. გ. ვ. პლეხანოვს ბევრი კადეტად სთვლის, და მართლაც, კადეტებს შეუძლიათ მიესალმონ ბევრ რასმე, რასაც დღეს პლეხანოვი ლაპარაკობს. სამწუხაროა მხოლოდ, რომ მან ეს არა თქვა მაშინ, როდესაც კადეტები განმარტოებულნი იყვნენ. გაუსწორებლები მხოლოდ ბოლშევიკები შეიძლება დარჩნენ, ამიტომაც მათი ხვედრი ისტორიულ მუზეუმში მოხვედრაა».

გმადლობთ კომპლიმენტისათვის, უგერგილო ბ-ნო სტრუვე! დიახ, ჩვენ მოვხვდებით იმ ისტორიულ მუზეუმში, რომლის სახელია: «რუსეთის რევოლუციის ისტორია». ჩვენი ბოლშევიკური ლოზუნგები, ბულიგინის სათათბიროს ბოლშევიკური ბოიკოტი, ბოლშევიკური მოწოდებანი მასობრივი გაფიცვისა და აჯანყებისაკენ (ჯერ კიდევ III ყრილობაზე) გ ა ნ უ ყ რ ე ლ ა დ და ს ა მ უ დ ა მ ო დ ა ა დაკავშირებული რუსეთის ოქტომბრის რევოლუციასთან. და ამ ადგილს მ უ ზ ე უ მ შ ი ჩვენ გამოვიყენებთ მრავალი (უარეს შემთხვევაში) წლის თუ ათეული წლების რეაქციის დროს, გამოვიყენებთ იმისათვის, რომ პროლეტარიატს ჩავუნერგოთ სიძულვილი გამცემი ოქტიაბრისტ-კადეტური ბურჟუაზიისადმი, ჩავუნერგოთ ზიზღი ინტელიგენტური ფრაზისადმი, წვრილბურჟუაზიული უნიათობისადმი. ამ ადგილს მ უ ზ ე უ მ შ ი ჩვენ გამოვიყენებთ იმისათვის, რომ ყოველგვარ, თუნდ ყველაზე ცუდ პოლიტიკურ პირობებშიც, ვუქადაგოთ მუშებს შეურიგებელი კლასობრივი ბრძოლა, ვასწავლოთ მათ ემზადონ ა ხ ა ლ ი რევოლუციისათვის, რომელიც უფრო დამოუკიდებელი იქნება ბურჟუაზიის ორჭოფობისა და სიძაბუნისაგან და უფრო

ახლოს იქნება პროლეტარიატის სოციალისტურ რევოლუციასთან.

ხოლო თქვენი ადგილი მუზეუმში, უპატივცემულესო ბ-ნო სტრუვე, — ეს არის მოზეიმეთა და ფუჭმოლაყბეთა ადგილი კონტრრევოლუციის გამარჯვების მომენტებში. ასეთ მომენტებში თქვენ მუდამ გექნებათ საბაბი იზეიმოთ, — იზეიმოთ იმის გამო, რომ რევოლუციონერები დაეცნენ, ბრძოლაში განგმირულნი, ხოლო ბურთი და მოედანი დარჩათ ლიბერალებს, რომლებიც ნებაყოფლობით დაეცნენ, პირქვე დაემხნენ მტრის წინაშე, რომ მუცლით იხოხონ «სისაძაგლესთან შეფარდებით».

თუ, წინააღმდეგ ჩვენი მოლოდინისა, რევოლუციას არ უწერია კიდევ წამოდგეს ფეხზე, არ უწერია ხელიდან გამოჰგლიჯოს ძალაუფლება მეფის ხროვას, — თქვენ დიდხანს იქნებით კონტრრევოლუციის გმირი, ჩვენ კი გვექნება ერთი «ადგილი მუზეუმში», სამაგიეროდ კარგი ადგილი: ოქტომბრის სახალხო ბრძოლის ადგილი, ხოლო თუ, როგორც ჩვენ გვწამს, რევოლუცია კიდევ წამოდგა ფეხზე, — უბადრუკი კადეტების ნასახიც აღარ დარჩება ერთ კვირაში, პროლეტარიატისა და გაჩანაგებული გლეხობის მასების ბრძოლა კვლავ ბოლშევიკური ლოზუნგებით იწარმოებს. კადეტების ჰეგემონიის დროს რევოლუცია შეიძლება იყოს მხოლოდ პირქვე დამხობილი. რევოლუციას შეუძლია გაიმარჯვოს მხოლოდ ბოლშევიკური სოციალ-დემოკრატიის ჰეგემონიის დროს.

«პროლეტარი» № 11,
1907 წ. 7 ნოემბერი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

მუშათა პარტიის საარჩევნო კამპანია პეტერბურგში [117]

შესდგა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მთელი პეტერბურგის ორგანიზაციის კონფერენცია [118] — მესამე კონფერენცია უკანასკნელი წლის განმავლობაში. პირველი კონფერენცია, რომელიც გაიმართა 1906 წ. თებერვალში, სწყვეტდა ვიტეს სათათბიროს არჩევნების საკითხს, მეორე, 1906 წ. ივნისში, — სათათბიროს სამინისტროს მოთხოვნისათვის მხარის დაჭერის საკითხს, მესამე, 1907 წ. იანვარში, — მეორე სათათბიროს საარჩევნო კამპანიის საკითხს.

ბურჟუაზიული პარტიები დიდ პოლიტიკურ საკითხებს სწყვეტენ შემთხვევიდან შემთხვევამდე, უბრალო დადგენილებით ამა თუ იმ პარტიული «ინსტანციისა», რომელიც ფარულად ამზადებს ხალხისათვის სხვადასხვა პოლიტიკანურ რეცეპტს. დემოკრატიზმს ორგანიზაციაში საქმით ახორციელებს მხოლოდ მუშათა ს.-დ. პარტია, მიუხედავად ყოველგვარი უდიდესი სიძნელეებისა, მიუხედავად მძიმე მსხვერპლისაც კი, რომელთანაც ეს დაკავშირებულია არალეგალური პარტიისათვის. მხოლოდ მუშათა ს.-დ. პარტია ასწონ-დასწონის ხოლმე ყოველი დიდი პოლიტიკური ნაბიჯის წინ ამ ნაბიჯის პ რ ი ნ ც ი პ უ ლ მნიშვნელობას, არ მისდევს მარტო წუთიერ წარმატებას, თავის პრაქტიკულ პოლიტიკას უმორჩილებს ყოველგვარი ექსპლოატაციისაგან შრომის სრული განთავისუფლების საბოლოო მიზანს. საბრძოლველად გასვლის წინ მხოლოდ მუშათა პარტია მოითხოვს ყველა თავისი წევრისაგან მოფიქრებულ, პირდაპირსა და ნათელ პასუხს კითხვაზე, გადაიდგას თუ არა ესა თუ ის ნაბიჯი და სახელდობრ როგორ გადაიდგას იგი.

პეტერბურგის ორგანიზაციის უკანასკნელი კონფერენციაც ემყარებოდა პარტიის ყველა წევრის დემოკრატიულ წარმოშადგენლობას. ამასთან დელეგატების არჩევნები უნდა მომხდარიყო ყველა ამომრჩევლის შეკითხვის საფუძველზე, თუ როგორ უყურებენ ისინი კადეტებთან შეთანხმებას. ტაქტიკის საჭირბოროტო კითხვაზე შეგნებული პასუხის გაუცემლად კონფერენციის არჩევნების დემოკრატიზმი ფუჭი და პროლეტარიატისათვის შეუფერებელი თამაში იქნებოდა.

აი კონფერენციის მიერ მიღებული რეზოლუცია:

იღებს რა მხედველობაში, რომ 1) სოციალ-დემოკრატიისთვის, როგორც პროლეტარიატის კლასობრივი პარტიისთვის, საარჩევნო კამპანიის დამოუკიდებლობა აუცილებლად სავალდებულოა ყველა შემთხვევაში, როცა საგანგებო და განსაკუთრებული პირობები არ არსებობს; 2) რომ დღევანდლამდე სპბ-გის სოციალ-დემოკრატია პ. კ.-ის მეთაურობით აწარმოებდა სავსებით დამოუკიდებელ საარჩევნო კამპანიას, ახდენდა გავლენას მშრომელი მოსახლეობის ყველა ფენაზე, როგორც მტკიცე პროლეტარულ თვალსაზრისზე მდგომ ფენაზე, ისე იმ ფენებზედაც, რომელთაც ჯერ კიდევ სავსებით ვერ შეუთვისებიათ იგი; 3) რომ ახლა, არჩევნებამდე ორი კვირით ადრე, უკვე ირკვევა, რომ სპბ — ში მემარჯვენე პარტიათა შანსები უმნიშვნელოა, ხოლო მნიშვნელოვნად ითვლება (უმთავრესად, ტრადიციის ძალით) კადეტების შანსები; ამიტომ რსდმპ წინაშე განსაკუთრებით დაკონებით დგება ამოცანა — ყოველი ძალღონე იხმაროს, რათა შეარყიოს კადეტების ჰეგემონია ცენტრში, რომელზედაც მიქცეულია მთელი რუსეთის ყურადღება; 4) რომ ქალაქის მშრომელ ღარიბთა ფართო ფენებში, რომლებიც ჯერ კიდევ არ დგანან პროლეტარულ თვალსაზრისზე და რომელთაც შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ქალაქის კურიის არჩევნების შედეგებზე, შემჩნეულია მერყეობა: ერთი მხრივ, უნდათ ხმა მისცენ კადეტებზე მემარცხენეებს, ე. ი. გათავისუფლდნენ გამცემი ლიბერალურ-მონარქისტული ბურჟუაზიის ხელმძღვანელობისაგან, ხოლო მეორე მხრივ — უნდათ გაიყვანონ სათათბიროში კ.-დ.-ებთან ბლოკის საშუალებით თუნდ მცირე რიცხვი დეპუტატ-ტრუდოვიკებისა; 5) რომ მერყეე შრომის პარტიებში შემჩნეულია მისწრაფება — გაამართლონ კ.-დ.-ებთან ბლოკი სატახტო ქალაქის ექვსი ადგილიდან ერთი ან, ყოველ შემთხვევაში, ორი ადგილის მიღების პირობით, გაამართლონ იმით, რომ სოციალ-დემოკრატებს არავითარ შემთხვევაში არ უნდათ შეუთანხმდნენ ქალაქის ღარიბთა არასოციალ-დემოკრატიულ ფენებს ლიბერალური ბურჟუაზიის წინააღმდეგ, — კონფერენცია ადგენს: 1) დაუყოვნებლივ ეცნობოს ს.-რ. პარტიის სპბ-ის კომიტეტს და შრომის ჯგუფის კომიტეტს, რომ რსდმპ

პეტერბურგის კომიტეტი მზადაა შეუთანხმდეს მათ იმ პირობით, რომ უკანასკნელებმა არავითარი შეთანხმება არ დასდონ კადეტებთან; 2) შეთანხმების პირობები: შეთანხმების დამდები პარტიების სრული დამოუკიდებლობა ლოზუნგების, პროგრამისა და ტაქტიკის მხრივ საერთოდ. საათათბიროში ექვსი ადგილის განაწილება შემდეგნაირად: ორი ადგილი მუშათა კურიის, ორი — სოციალ-დემოკრატებს, ერთი — სოციალ-რევოლუციონერებს და ერთი — ტრუდოვიკებს; 3) მოლაპარაკების წარმოებას კონფერენცია ანდობს თავის აღმასრულებელ ორგანოს; 4) გუბერნიაში, იმავე პრინციპულ მოსაზრებათა საფუძველზე, ადგილობრივ დასაშვებია შეთანხმება ს.-რ.-ებთან და ტრუდოვიკებთან.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ს.-ს. პარტიის (შრომის ანუ სახალხო-სოციალისტური პარტია) შესახებ კონფერენცია ადგენს: ითვალისწინებს რა იმ ფაქტს, რომ ამ პარტიის პოზიცია მერყეევია სათათბიროსგარე ბრძოლის ძირითად საკითხებში, კონფერენცია დასაშვებად სთვლის სოციალისტ-რევოლუციონერებთან და ტრუდოვიკებთან შეთანხმებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს შეთანხმება მათსა და სახალხო სოციალისტების პარტიას შორის.

ამ რეზოლუციის განხილვის დროს აღსანიშნავია სამი ძირითადი მუხლი. პირველი, კადეტებთან ყოველგვარი შეთანხმების უთუოდ უარყოფა. მეორე, სოციალ-დემოკრატიის ურყევი გადაწყვეტილება — დამოუკიდებელი სიებით გამოვიდეს ყოველგვარ პირობებში და, მესამე, სოციალისტ-რევოლუციონერებთან და ტრუდოვიკებთან შეთანხმების დაშვება.

კადეტებთან შეთანხმების უარყოფა მუშათა პარტიის პირდაპირი მოვალეობა იყო. როგორც კი დაიწყო წინასაარჩევნო კრებები პეტერბურგში, — მაშინვე ცხადი შეიქნა ყველასათვის, რომ მართალი იყვნენ რევოლუციური სოციალ-დემოკრატები, რომლებიც ამბობდნენ: ჩვენი ლიბერალები შავრაზმულ საფრთხეზე ყვირილით თვალს უხვევდნენ ფუქსავატ და უპრინციპო ადამიანებს, რომ თავიდან აეცილებინათ ის საფრთხე, რომელიც მათ მართლაც მოელოდათ მარცხნიდან. მთავრობის წვრილმანი პოლიციური ხრიკები, ღარიბ ამომრჩეველთა შევიწროება სენატის განმარტებათა საშუალებით, — ყოველივე ეს ვერ შესცვლიდა ამომრჩეველთა მასის სულისკვეთებას (100, 120 და 150 ათასი ამომრჩეველისა — სულ ერთია). მასის ეს სულისკვეთება კი აშკარად მეღავნდება კრებებზე — კადეტების სულისკვეთებაზე უფრო მარცხენა.

რასაკვირველია, შავრაზმული საფრთხე შეიძლება მდგომარეობდეს არა ამომრჩეველთა მასის მიერ შავრაზმელებისათვის ხმის მიცემაში, არამედ მემარცხენე ამომრჩეველთა და ამრჩევთა შავრაზმული პოლიციის მიერ დაპატიმრებაში. ხომ ამბობენ, და დაჟინებითაც, რომ წინასაარჩევნო კრებების ახლანდელი შედარებითი «თავისუფლება» (ამოსუნთქვის საშუალებას რუსეთში უკვე თავისუფლებას ეძახიან!) პროვოკაციაა მთავრობისა, რომელსაც განზრახვა აქვს დააპატიმროს თვალსაჩინო ორატორები და ამრჩევლებიო. მაგრამ ძნელი არ არის იმის მიხვედრა, რომ ასეთი შავრაზმული საფრთხის წინააღმდეგ კადეტებთან ბლოკი როდია საჭირო, — ამისათვის საჭიროა მასების მზადყოფნა ბრძოლისათვის, რაც ეგრეთწოდებული პარლამენტარიზმის ჩარჩოებში ვერ თავსდება.

მეორე: კონფერენციამ, როგორც მოსალოდნელიც იყო, გადაწყვიტა, რომ სოციალ-დემოკრატები ყოველ შემთხვევაში აწარმოებენ დამოუკიდებელ კამპანიას სატახტო ქალაქში. მათ შეუძლიათ ესა თუ ის შეთანხმება შესთავაზონ სხვა პარტიას, მაგრამ სრული დამოუკიდებლობისათვის ჩვენ ადრეც ვემზადებოდით და ახლაც მზადა ვართ. ამ პირობებში შეთანხმება, საერთოდ მთელი საარჩევნო კამპანიის თვალსაზრისით, ნამდვილად გამონაკლისს წარმოადგენს, ხოლო სოციალ-დემოკრატიის დამოუკიდებლობა კი — საერთო წესს.

მესამე. კონფერენციამ ს.-რ.-ებს და ტრუდოვიკებს შესთავაზა შეთანხმება იმ პირობით, რომ ისინი გამოეყოფოდნენ კადეტებს და მოკადეტო ენესებს (სახ.-სოც.), — აგრეთვე იმ პირობით, რომ ორი ადგილი მიეცემოდა მუშათა კურიას და დანარჩენი ოთხი ადგილი გაიყოფოდა შუაზე.

ასეთ წინადადებას საფუძვლად უდევს განსაზღვრული პარტიების პრინციპული გამოყოფა იმისდამიხედვით, თუ როგორ უყურებენ ისინი სათათბიროსგარე ბრძოლას, რომელიც შეიძლება ხვალვე დაისვას დღის წესრიგში. ამნაირად, სოციალ-დემოკრატია თავის შეთანხმებას სხვა პარტიებთან საფუძვლად უდებს პრინციპულ პირობებს და მასალას იძლევა

მასაში საპროპაგანდოდ და სააგიტაციოდ სხვადასხვა პარტიის ჭეშმარიტი ხასიათის შესახებ. სოციალ-დემოკრატია ანგარიშს უწევს პეტერბურგში შექმნილი მდგომარეობის იმ თავისებურებებს, როდესაც «ტრუდოვიკულად» განწყობილი ქალაქის წვრილი ბურჟუაზიის მასა კადეტებს ჩაუგდიათ ხელში. ასეთ პირობებში ჩვენ არ შეგვიძლია უგულებელვყოთ ამოცანა: ძირი გამოვუთხაროთ კადეტების ამ ჰეგემონიას, დავეხმაროთ მშრომელ ხალხს გადადგას ნ ა ბ ი ჯ ი, — პატარა, რასაკვირველია, მაგრამ უთუოდ პოლიტიკური მნიშვნელობის ნაბიჯი, — უფრო გადამწყვეტი ბრძოლისაკენ, უფრო ნათელი პოლიტიკური იდეებისაკენ, უფრო გარკვეული კლასობრივი თვითშეგნებისაკენ.

და ჩვენ ა მ შედეგს მივაღწევთ ჩვენი აგიტაციით, მთელი ჩვენი საარჩევნო კამპანიის დაყენებით, მივაღწევთ ყოველ შემთხვევაში, როგორიც უნდა იყოს ტრუდოვიკებისა და ს.-რ.-ების პასუხი ჩვენს წინადადებაზე. ჩვენ არ გვჭირდება ესა თუ ის ანგარიში იმისათვის, რომ განვსაზღვროთ დადებითი და უარყოფითი პასუხის ეგებისობა. ჩვენი ყურადღება აქეთკენ ვერ იქნება მიპყრობილი. ჩვენთვის მნიშვნელოვანია პროლეტარიატის ძირითადი, ამა თუ იმ კერძო შესაძლებელ შემთხვევებში უცვლელი პოლიტიკა: მშვიდობიანი ბრძოლისა და კონსტიტუციური სათამაშოების მაცდუნებელ ილუზიებს ჩვენ ვუპირისპირებთ სათათბიროსგარე ბრძოლის ამოცანების ნათელ ანალიზს, იმ ბრძოლისა, რომელიც გვიახლოვდება მოვლენათა მსვლელობის ძალით. ქალაქისა და სოფლის მშრომელი ხალხის წვრილბურჟუაზიულ ფენებს ჩვენ ვეუბნებით: არის მხოლოდ ერთი საშუალება წვრილი მეპატრონის მერყეობისა და ქანაობის ხელის შესაშლელად. ეს საშუალებაა რევოლუციური პროლეტარიატის დამოუკიდებელი კლასობრივი პარტია.

დაიბეჭდა 1907 წ. 14 იანვარს
გაზეთ «პროსტიე რეჩის» № 1-ში

იბეჭდება გაზეთის ტექსტის
მიხედვით

სოციალ-დემოკრატია
და სათათბიროს არჩევნები[119]

დაწერილია 1907 წ.
13 — 14 (26 — 27) იანვარს

დაიბეჭდა 1907 წ. იანვარში
ცალკე ბროშურად. გამოცემა
«ნოვაია დუმა»-სი

იბეჭდება ბროშურის ტექსტის
მიხედვით

სოციალ-დემოკრატია და არჩევნები პეტერბურგში

პეტერბურგის ს.-დ. ორგანიზაციის კონფერენციამ გადაწყვეტილება მიიღო — არ შეჰკრას ბლოკი კადეტებთან და შეთანხმების წინადადება მისცეს ტრუდოვიკებსა და სოციალისტ-რევოლუციონერებს. მენშევიკებმა მთელი რიგი პროტესტები შეიტანეს ფორმალური საფუძვლების მიხედვით და, რაკი უმცირესობაში აღმოჩნდნენ, დასტოვეს კონფერენცია.

ლიბერალურმა გაზეთებმა ამ ამბის გამო უკვე დიდი აურზაური ასტეხეს. ისინი ითვალისწინებენ ს.-დ. პარტიის გათიშვას და ჩქარობენ მთელი რიგი პოლიტიკური დასკვნები გამოიყვანონ. ყოველივე ამის გამო ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ყოველმა შეგნებულმა მუშამ ნათლად წარმოიდგინოს, თუ რა ხდება ნამდვილად პეტერბურგის ს.-დ. ორგანიზაციაში და როგორ უნდა შეეხედოთ იმას, რაც იქ ხდება.

ამიტომ ჩვენ განზრახვა გვაქვს განვიხილოთ ძირითადი საკითხები, რომლებიც ჩნდება ამ ამბავთან დაკავშირებით, სახელდობრ: 1) კონფერენციის შემადგენლობა; 2) მენშევიკების წასვლის უშუალო საბაბი — ც. კ.-ის ცდა კონფერენციის ორ ნაწილად გაყოფისა — საქალაქო და საგუბერნიო ნაწილებად; და 3) მ თ ე ლ ი ა მ ა მ ბ ი ს მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა, განსაკუთრებით პეტერბურგში მიმდინარე საარჩევნო კამპანიის გამო.

I

ს.-დ. კონფერენციის მოწვევის პირობები და მისი შემადგენლობა

პეტერბურგის ორგანიზაციის კონფერენციას უნდა გამოეტანა საბოლოო გადაწყვეტილება ახლანდელი დროის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური საკითხის გამო, სახელდობრ: შევუთანხმდეთ თუ არა კადეტებს სათათბიროს არჩევნების პირველ სტადიაზე?

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია მოწყობილია დემოკრატიულად. ეს იმას ნიშნავს, რომ პარტიის ყველა საქმეს, უშუალოდ თუ წარმომადგენლების საშუალებით, უძღვება პარტიის ყველა წევრი თანასწორი უფლებით და ყოველგვარი გამონაკლისის დაუშვებლად; ამასთან პარტიის ყველა თანამდებობის პირი, ყველა ხელმძღვანელი კოლეგია, ყველა დაწესებულება — არჩეული, ანგარიშვალდებულია და იცვლება. პეტერბურგის ორგანიზაციის საქმეებს განაგებს რსდმპ-ის პეტერბურგის კომიტეტი, არჩეული. პეტერბურგის ორგანიზაციის უმაღლეს დაწესებულებას კი, რამდენადაც პარტიის ყველა წევრის (დაახლოებით 6 000) ერთად თავმოყრა შეუძლებელია, ორგანიზაციის წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ე ლ თ ა კ ო ნ ფ ე რ ე ნ ც ი ა შეადგენს. ორგანიზაციის ყ ვ ე ლ ა წევრს აქვს უფლება გაგზავნოს ამ კონფერენციაზე წარმომადგენლები: თითო დელეგატი პარტიის წევრთა განსაზღვრულ რიცხვზე, — მაგალ., 1 დელეგატი პარტიის ყოველ 50 წევრზე, როგორც ეს მიღებული იყო უკანასკნელი კონფერენციისათვის. ეს წარმომადგენლები ა რ ჩ ე უ ლ უნდა იქნან პარტიის ყველა წევრის მიერ, — და წარმომადგენელთა გადაწყვეტილება არის საკითხის უმაღლესი და საბოლოო გადაწყვეტილება მთელი ადგილობრივი ორგანიზაციისათვის.

მაგრამ ეს არა კმარა. საკითხის გადაჭრა რომ მართლა დემოკრატიული იყოს, საკმარისი არ არის ორგანიზაციის

არჩეულ წარმომადგენელთა შეკრება. საჭიროა აგრეთვე, რომ ორგანიზაციის ყ ვ ე ლ ა წევრმა, წარმომადგენელთა არჩევისას, დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ლ ა დ დ ა თ ვ ი თ ე უ ლ მ ა თ ა ვ ი ს ი თ გამოთქვას აზრი იმ სადავო საკითხის შესახებ, რომელიც მთელ ორგანიზაციას აინტერესებს. დემოკრატიულად მოწყობილ პარტიებსა და კავშირებს პრინციპულად არ შეუძლიათ უარი თქვან გამოუკლებლივ ყველა წევრის აზრის გაგებაზე, — უმნიშვნელოვანეს შემთხვევებში მაინც და განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ეხება ისეთ პოლიტიკურ მოქმედებას, როცა მ ა ს ა დამოუკიდებლად გამოდის, მაგალ.: გაფიცვა, არჩევნები, ბოიკოტი რომელიმე დიდი ადგილობრივი დაწესებულებისა და სხვ.

რატომ არის, რომ ასეთ შემთხვევებში არასაკმარისად ითვლება წარმომადგენელთა გაგზავნა? რატომ არის საჭირო პარტიის ყ ვ ე ლ ა წევრის აზრის გაგება ანუ ეგრეთწოდებული «რეფერენდუმი»? სწორედ იმიტომ, რომ მასობრივი მოქმედების წარმატებისათვის საჭიროა ყოველი ცალკეული მუშის შეგნებული და ნებაყოფლობითი მონაწილეობა. გაფიცვა ვერ ჩატარდება მწყობრად, არჩევნები ვერ ჩაივლის შეგნებულად, თუ თ ვ ი თ ე უ ლ მ ა მ უ შ ა მ სავსებით შეგნებულად და ნებაყოფლობით არ გადაწყვიტა თავისთვის კითხვა: გავიფიცო თუ არა? ხმა მივცე კადეტებს თუ არაო? ყველა პოლიტიკური საკითხის გადაწყვეტა პარტიის ყველა წევრის დაკითხვით შეუძლებელია; ეს იქნებოდა მუდმივი, დამქანცველი და უნაყოფო კენჭობანა. მაგრამ უმნიშვნელოვანესი საკითხები, და ამასთან ისეთები, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია თ ვ ი თ მ ა ს ე ბ ი ს განსაზღვრულ მოქმედებასთან, აუცილებლად უნდა გადაიჭრას, დემოკრატიზმის ინტერესებისათვის, არა მარტო წარმომადგენელთა გაგზავნით, არამედ პარტიის ყველა წევრის აზრის გაგებითაც.

ამიტომაც პეტერბურგის კომიტეტმა დაადგინა, რომ კონფერენციის დელეგატების არჩევნები უსათუოდ მომხდარიყო მ ა ს შ ე მ დ ე გ, როცა პარტიის წევრები განიხილავდნენ საკითხს, დავდოთ თუ არა შეთანხმება კადეტებთან, და მას

შემდეგ, როცა პარტიის ყველა წევრი კენჭს უყრიდა ამ საკითხს. არჩევნები ისეთი საქმეა, რომელშიც მასა უშუალოდ მონაწილეობს. სოციალისტებს მთავარ ძალად მასის შეგნებულობა მიაჩნიათ. მაშასადამე, პარტიის ყოველმა წევრმა შეგნებულად უნდა გადაწყვიტოს საკითხი, არჩევნებში კადეტებს მისცეს ხმა თუ არა. მხოლოდ მას შემდეგ, როცა ამ საკითხს აშკარად განიხილავს პარტიის ყველა შეკრებილი წევრი, მხოლოდ ამის შემდეგ ხდება შესაძლებელი თვითეულისათვის — მიიღოს ესა თუ ის შეგნებული და მტკიცე გადაწყვეტილება. მხოლოდ ასეთი გადაწყვეტილების საფუძველზე აღარ იქნება კონფერენციის დელეგატთა არჩევა ნათლიმამობის, მეგობრობის თუ ჩვევის შედეგი («ჩვენაო ჩვენს ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძეს ან ივანე ივანეს-ძეს ავირჩევთო!»), არამედ ეს იქნება თვით «ქვედაფენების» (ე. ი. პარტიის ყველა წევრის) მიერ თავისი საკუთარი პოლიტიკური მოქმედების შეგნებული განსაზღვრის შედეგი *.

სათათბიროს არჩევნები, ე. ი. თავდაპირველი და ძირითადი კენჭისყრა რწმუნებულების ამ ამრჩევლების ასარჩევად მოხდება არა წარმომადგენელთა საშუალებით, არამედ ცალ-ცალკე თვითეული ამომრჩევლის მიერ. მაშასადამე, თუ ჩვენ გვინდა სოციალისტები ვიყოთ საქმით და არა მარტო სიტყვიერად, სოციალისტები ნამდვილ დემოკრატიულ, მუშათა პარტიად შეკავშირებულნი, უნდა ვეცადოთ, რათა თვითეულმა მუშამ გაარკვიოს საკითხი, კადეტებს

* ზოგიერთნი ამბობენ, რომ წარმომადგენლის არჩევა, ამომრჩეველთა მიერ საკითხის არსებითად კენჭისყრელადაც, შეიძლება დამყარებული იყოს წარმომადგენლის შეხედულებათა ცოდნაზე. მაგრამ ეს სწორია მხოლოდ მაშინ, როცა საქმე ეხება წარმომადგენლის შეხედულებათა მთელ ერთობლიობას და არა ერთ სპეციალურ საკითხს, რომელიც თვით მასის მოქმედებასთან არის დაკავშირებული. პლატფორმის კენჭისყრაზე უარისთქმა (კადეტებთან ბლოკის სასარგებლოდ თუ მის წინააღმდეგ) ასეთ პირობებში ამომრჩევლის შეხედულებათა გამოურკვევლობის, მისი გაუბედაობის, თავის წარმომადგენელთან მისი არასრული თანხმობის მომასწავებელი იქნებოდა.

მისცეს ხმა თუ არა. არაა საკმარისი წარმომადგენლობა მივანდოთ ნაცნობ ივანე ივანეს-ძეს ან კარგ ადამიანს სიდორ სიდორის-ძეს, — საჭიროა შეგნებულად, არსებითად გავარკვიოთ სადავო საკითხი «ქვედაფენებში». დემოკრატიული გადაწყვეტილება მხოლოდ მაშინ იქნება მასის შეგნებული დემოკრატიული გადაწყვეტილება და არა «ნაცნობობით» გაგზავნილ წარმომადგენელთა გადაწყვეტილება.

პეტერბურგის კომიტეტი არის არჩეული ხელმძღვანელი პეტერბურგისა და სპბ-ის გუბერნიის მთელი ს.-დ. ორგანიზაციისა. მასას რომ უხელმძღვანელოს ისეთ საქმეში, როგორიც სათათბიროს არჩევნებია, იგი ვალდებული იყო (თუ დემოკრატიზმს მარტო სიტყვიერად არ აღიარებს) ცდილიყო, რომ მთელ მასას მიეღო არჩევნებში შეგნებული მონაწილეობა. ხოლო არჩევნებში მთელი მასის მონაწილეობა რომ შეგნებული და ერთსულოვანი იყოს, ამისათვის საჭიროა, რათა არა მარტო პარტიის წარმომადგენლებმა, არამედ პარტიის ყოველმა წევრმაც გარკვეული პასუხი მისცეს თავის პეტერბურგის კომიტეტს: ემხრობა თუ არა ის კადეტებთან შეთანხმებას.

ასეთი მნიშვნელობა აქვს «დისკუსიას», ე. ი. თვით სადავო საკითხის განხილვას წარმომადგენელთა არჩევნების წინ. პარტიის წევრთა ყოველ კრებაზე, ვიდრე წარმომადგენლებს აირჩევდნენ კონფერენციაზე გასაგზავნად, ჯერ უნდა განეხილათ სადავო პოლიტიკური საკითხი, უნდა მოესმინათ პ. კ.-ის, ე. ი. ხელმძღვანელი ადგილობრივი ორგანიზაციის მომხსენებლისათვის, აგრეთვე მიეცათ სიტყვა სხვა შეხედულებათა მომხრეებისთვისაც. განხილვის შემდეგ პარტიის ყველა წევრი კენჭისყრით ცხადყოფს, ემხრობიან ისინი კადეტებთან შეთანხმებას თუ არა. კენჭისყრას ამოწმებენ საკონტროლო კომისიის წევრები, რომელშიც შედიან ორივე მიმდინარეობის წარმომადგენელნი (თუ ორგანიზაციაში ორი მიმდინარეობაა ამ საკითხზე). პ. კ.-ს მხოლოდ ამ პირობების დაცვით შეუძლია მართლა იცოდეს პარტიის წევრთა

მთელი მასის შეგნებული აზრი და, მაშასადამე, შეუძლია ხელმძღვანელობა გაუწიოს არა ბრმად, არამედ დაემყაროს მასის მიერ საკითხის სრულ გარკვევას.

ეს განმარტება ჩვენთვის საჭირო იყო იმიტომ, რომ კონფერენციაზე წარმოიშვა დავა «დისკუსიებისა» და პარტიის ყველა წევრის აზრის გაგების გამო.

ასეთი დავის უსაფუძვლობა მით უფრო აშკარაა პარტიის წევრებისათვის, რომ თვით ც. კ. თავის 10 ნოემბრის წერილში ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ საკითხის გადაწყვეტის შესახებ (დაიდოს თუ არა შეთანხმება) პირდაპირ ურჩევს მათ საკითხის «წინასწარ განხილვას» პარტიის ყველა წევრის მიერ.

ახლა ვნახოთ თვით კონფერენციის შემადგენლობა. თავდაპირველად მასზე დაშვებული იყო ყველა, ამა თუ იმ ორგანიზაციაში არჩეული, წარმომადგენელი, არჩევნების შეუმოწმებლად (ე. ი. «მანდატების» ანუ რწმუნებულების შეუმოწმებლად). ყველა წარმომადგენელი, ანუ დელეგატი, იყო 71, მათ შორის 40 ბოლშევიკი და 31 მენშევიკი. აი ამ რიცხვის განაწილება ცალკეული რაიონების მიხედვით:

ვასილის კუნძულის	7	ბოლშევიკი,	6	მენშევიკი.	სულ	13
ვიბორგის	2	»	5	»	»	7
ქალაქის	5	»	7	»	»	12
რკინიგზის	1	»	2	»	»	3
ლატვიელთა	2	»	—	»	»	2
მოსკოვის	4	»	5	»	»	9
ნარვის	—	»	—	»	»	—
ნევის	2	»	1	»	»	3
ოკრუგის	9	»	2	»	»	11
ხელოსანთა (ნოქართა)	4	»	1	»	»	5
პეტერბურგის	3	»	2	»	»	5
ესტონელთა	—	»	—	»	»	—
სამხედრო ორგანიზაცია	1	»	—	»	»	1
სულ . . .	40	»	31	»	»	71

ამასთან ორი დელეგატი ესტონელებისა (ორივე ბოლშევიკი) და ერთი ლატვიელებისა (მენშევიკი) არ დაესწრნენ. მათთან ერთად იქნებოდა 42 ბოლშევიკი და 32 მენშევიკი.

აქედან ჩანს, რომ თავდაპირველადაც, რწმუნებულებათა ყოველგვარ შემოწმებამდე, ბოლშევიკები შეადგენდნენ უმრავლესობას. მაშასადამე, თავისთავად ქარწყლდება ყოველგვარი მითქმა-მოთქმა იმის შესახებ, ვითომ ბოლშევიკების უმრავლესობა «ხელოვნურად» იყო შედგენილიო. ჩივილი იმის გამო, რომ ბოლშევიკებმა ყველა რწმუნებულება არ დაამტკიცესო, მენშევიკებმა ახლა ბურჟუაზიულ პრესაშიც კი გადაიტანეს. დაავიწყდათ მხოლოდ ეცნობებინათ ამ პრესისათვის, რომ მანდატების შემოწმებამდეც, რწმუნებულებათა ყოველგვარ გადასინჯვამდეც, უმრავლესობა მაინც ბოლშევიკებისა იყო!

რომ უფრო ნათლად და ამასთან საბოლოოდ გადავწყვიტოთ ეს საკითხი კონფერენციის უმრავლესობის შესახებ, ავიღოთ არა მანდატების (რწმუნებულებათა) რიცხვი, არამედ პარტიის წევრთა მიერ მიცემული ხმების მთელი რიცხვი.

მაშინ ასეთ სურათს მივიღებთ:

უდავო ხმა. . .	1 848	ბოლშევიკების სასარგებლოდ	და	787	მენშევიკების სასარგებლოდ
სადავო » . .	300 *	»		» 946	»
სულ .	2 148	»		» 1 733	»

მაშასადამე, ხმა მიუცია სულ 4 000-დე წევრს (3 881 კაცს). ბოლშევიკებს ზედმეტი ოთხას ხმაზე მეტი აქვთ მიღებული.

ამრიგად უეჭველია, ყველა სადავო ხმა უდავოდაც რომ ჩავთვალოთ, დიდი უმრავლესობა მაინც ბოლშევიკებისაა. მაშასადამე, კამათი ხმების ამა თუ იმ ნაწილის სისწორე-

* აქ ითვლება აგრეთვე 185 ხმა, რომელიც კონფერენციის გადაწყვეტილებით სავსებით სწორად შეკრებილადაა მიჩნეული. ამ ხმების ჩაუთვლელად უდავო ხმა იქნება 1 663.

უსწორობის შესახებ სულაც არ ეხებოდა საკითხს: შეადგენდნენ თუ არა ბოლშევიკები უმრავლესობას? კამათი იყო იმაზე, თუ როგორ უნდა გატარებულიყო მთელი სისრულით დემოკრატიული წარმომადგენლობის პრინციპი.

მაშ რატომ გააუქმეს მაინც ბოლშევიკებმა რწმუნებულებათა (მანდატების) ერთი ნაწილი? იმიტომ, რომ ს ა დ ა ვ ო დ გამოცხადებული მანდატების სწორად აღიარება შეუძლებელი იყო. ხოლო უსწორო მანდატებს ვერ გავუთანაბრებდით სწორ მანდატებს, რომლებიც არავის მიუჩნევია სადავოდ.

რა მანდატები იყო გამოცხადებული სადავოდ? ისეთი მანდატები, რომელთა მიღების დროს დაშვებული იყო უსწორობა, მაგალითად, არ იყო კონტროლი საკონტროლო კომისიის წევრების მხრივ, არ იყო დისკუსია (განხილვა) კენჭისყრამდე, არ იყო კენჭისყრა «პლატფორმების» მიხედვით (ე. ი. არ იყო შეკითხული ყ ვ ე ლ ა ხმისმიმცემი, კადეტებთან შეთანხმების მომხრენი არიან თუ წინააღმდეგი). უსწორო მანდატები შეუძლებელია ვიცნოთ დემოკრატიულად მიღებულ მანდატებად.

ახლა ვიკითხოთ, რა უნდა გვექნა სადავოდ მიჩნეული მანდატებისათვის? თვითეული შემთხვევის ცალკე განხილვა შეუძლებელი იყო. ამისათვის საჭირო იყო დავრჩენილიყავით ზედმეტი დღე, კონფერენციას კი დრო მ კ ა ც რ ა დ ჰქონდა განსაზღვრული: ძლივს-ძლივობით მოვასწარით იმ დროისათვის, როცა მუშები უ ნ დ ა წასულიყვნენ რწმუნებულთა ასარჩევად (7 იანვარს).

რჩებოდა ერთი გამოსავალი: გაგვედიდებინა «წარმომადგენლობის ნორმა» ყ ვ ე ლ ა ს ა დ ა ვ ო დ მ ი ჩ ნ ე უ ლ ი მანდატისათვის, ე. ი. მათთვის ჩაგვეთვალა ერთი მანდატი არა ყოველ 50 ხმაზე, არამედ ყოველ 75-ზე. ასეთი წესი მიღებულ იქნა სამი მოსაზრებით: 1) ის სპობდა თვითნებობას და ერთმანეთის გულისწყრომას ცალკეული სადავო მანდატების შეფასების დროს; 2) ერთნაირ პირობებში აყენებდა ამა თუ იმ მხარის მიერ სადავოდ მიჩნეულ მანდატებს; 3) ემყარებოდა პ. კ.-ის გადაწყვეტილებას, რომელიც მიღებული იყო კონ-

ფერენციამდე დიდი ხნით ადრე, — სახელდობრ: პ. კ.-მა გადაწყვიტა, რომ იმ შემთხვევებში, როცა კონფერენციის დელეგატთა დემოკრატიული არჩევნები სრულიად განუხორციელებელია (მაგალ., პოლიციური პირობების გამო არ შეიძლება კრების მოწვევა), დაშვებულ იქნან ისეთი წარმომადგენლები, რომლებიც სავსებით დემოკრატიულად არ არიან არჩეულნი, ოღონდ ამასთან წარმომადგენლობის ნორმა გადიდდეს, ე. ი. თითო დელეგატზე მოდიოდეს არა 50 ხმა, არამედ 75, 100 და სხვ.

აიღეთ ახლა სადავო და უდავო ხმების რიცხვი. უდავო ხმებიდან, 50-ზე ერთი დელეგატის ანგარიშით, გამოდის: 37 ბოლშევიკი და 16 მენშევიკი. სადავო ხმებიდან, 75-ზე ერთი დელეგატის ანგარიშით, გამოდის: 4 ბოლშევიკი და 12 მენშევიკი. სულ 41 ბოლშევიკი (პლუს 1 სამხედრო ორგანიზაციიდან, სადაც დემოკრატიული არჩევნები შეუძლებელია) და 28 მენშევიკი.

რაიონების მიხედვით ეს, საბოლოოდ დამტკიცებული, 70 მანდატი განაწილებულია ასე:

ვასილის კუნძულის	7	ბოლშევიკი,	6	მენშევიკი.	სულ	13
ვიბორგის	2	»	4	»	»	6
ქალაქის	5	»	7	»	»	12
რკინიგზის	1	»	2	»	»	3
ლატვიელთა	2	»	1	»	»	3
მოსკოვის	4	»	4	»	»	8
ნარვის	—	»	—	»	»	—
ნევის	2	»	1	»	»	3
ოკრუგის	9	»	1	»	»	10
ხელოსანთა (ნოქართა)	4	»	—	»	»	4
პეტერბურგის	3	»	2	»	»	5
ესტონელთა	2	»	—	»	»	2
სამხედრო ორგანიზაცია	1	»	—	»	»	1
ს უ ლ . . .	42	»	28	»	»	70

აქედან ჩანს, რომ ჩივილი კონფერენციის შემადგენლობის გამო სრულიად უსაფუძვლოა. რა თქმა უნდა, როცა საქმის

უცოდინარი ხალხის წინაშე ყვირი: ამა და ამის მანდატი გააუქმეს, ამა და ამის რწმუნებულება არ იცნესო, — ამან შეიძლება ერთი წუთით შთაბეჭდილება მოახდინოს, თუ ხალხი არ ჩაუფიქრდება საქმეს. მაგრამ ეს ხომ ერთმანეთის ფუჭი ლანძღვაა და არა კამათი.

საკმარისია გაეცნოთ ყველა საბუთს კონფერენციის შემადგენლობის შესახებ, რომ მაშინვე ცხადი გახდეს, რომ ყ ვ ე ლ ა სადავო ხმებისათვის წარმომადგენლობის ნორმის გადიდებაში თვითნებური ა რ ა ყ ო ფ ი ლ ა რ ა. შემთხვევით ხომ არ მომხდარა, რომ 2 635 ხმა სრულიად უდავო აღმოჩნდა და მხოლოდ 1 246 ხმა სადავო! და არ შეიძლება სერიოზულად იმის მტკიცება, რომ სადავო ხმების დ ი დ ი ნ ა წ ი ლ ი შემთხვევით, სრულიად უსაფუძვლოდ იქნა გამოცხადებულიო სადავოდ!

დაუფიქრდით, მაგალ., იმას, თუ რას ნიშნავს «უპლატფორმოდ» კენჭისყრა, რასაც ასე ხშირად ახდენდნენ მენშევიკები (სწორედ ამიტომ დაუგროვდათ მათ თითქმის ათასამდე სადავოდ გამოცხადებული ხმა). ეს ნიშნავს, რომ არ ხდება პარტიის ყ ვ ე ლ ა წევრის დაკითხვა იმის შესახებ, კადეტებთან შეთანხმების მომხრენი არიან ისინი თუ მოწინააღმდეგენი. დელეგატების არჩევა წარმოებს სრულიად დაუკითხავად ან უპლატფორმოდ. მაშასადამე, კონფერენციას არ შეუძლია ზ უ ს ტ ა დ იცოდეს თვით პარტიის წევრთა აზრი! მაშასადამე, სადავო საკითხზე (რომელიც მასის მოქმედებას ეხება) თ ვ ი თ მ ა ს ა ს არ ეკითხებიან. განა შეიძლება ამისთანა პირობებში თავიდან ავიცილოთ უსწორობანი?

განა შეუძლია დემოკრატიზმის გ უ ლ წ რ ფ ე ლ მომხრეს დაიცვას ორგანიზაციაში ასეთი კენჭისყრა? დემოკრატიზმი ის კი არ არის, რომ მასა ნაცნობობით ენდოს თავის ცალკეულ წარმომადგენლებს, არამედ ის, რომ მთელმა მასამ შეგნებულად მისცეს ხმა უმნიშვნელოვანესი საკითხების არსის გამო.

ბოლოს, ჩივილი კონფერენციის შემადგენლობაზე სრულიად უსაფუძვლოდ უნდა ჩაითვალოს კიდევ იმიტომაც, რომ პეტერბურგში ამ უკანასკნელ დროს გაიმართა მ თ ე ლ ი რ ი გ ი ამგვარივე კონფერენციები. ერთი წლის წინათ იყო კონფერენცია ბოიკოტის საკითხზე. უმრავლესობა ჰყავდათ ბოლშევიკებს. პირველი სათათბიროს დროს იყო კონფერენცია სათათბიროს (ე. ი. კადეტური) სამინისტროს მოთხოვნის მხარის დაჭერის საკითხზე. უმრავლესობა ბოლშევიკებისა იყო.

განა სასაცილო არ არის ახლა იმის გაგონება, თითქოს ბოლშევიკების სიჭარბე შეიძლებოდა შემთხვევითი ყოფილიყო კადეტებთან საარჩევნო შეთანხმების საკითხზე?

II

კონფერენციის გაყოფის საკითხი

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რომლის უმრავლესობას მენშევიკები შეადგენდნენ, მოთხოვნა წაუყენა პეტერბურგის კონფერენციას, რათა იგი გაყოფილიყო ქალაქისა და გუბერნიის კონფერენციებად. მენშევიკები თავისი წასვლის გასამართლებლად ცდილობენ ამ მოთხოვნის შეუსრულებლობა დაიმოწმონ.

ვნახოთ კანონიერი იყო თუ არა ეს მოთხოვნა პარტიის წესდებით, სავალდებულო იყო თუ არა ის კონფერენციისათვის, შეიძლებოდა თუ არა მისი განხორციელება.

ჩვენი პარტიის წესდება სრულიად გარკვეულად აღიარებს მის დემოკრატიულ ორგანიზაციას. მთელი ორგანიზაცია შენდება ქვემოდან, არჩევის საფუძველზე. ადგილობრივი ორგანიზაციები, პარტიის წესდებით, გამოცხადებულია თავის ადგილობრივ საქმიანობაში დამოუკიდებელ (ავტონომიურ) ორგანიზაციებად. ცენტრალური კომიტეტი, წესდების მიხედვით, აერთიანებს და წარმართავს პარტიის მთელ მუშაობას. აქედან ცხადია, რომ მას უფლება არა აქვს ჩაერიოს ადგილობრივ ორგანიზაციათა შ ე მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი ს განსაზღვრაში. რა-

კი ორგანიზაცია ქვემოდან შენდება, მის შემადგენლობაში ზემოდან ჩარევა მთელი დემოკრატიზმის, პარტიის მთელი წესდების სრული დარღვევა იქნებოდა. ვთქვათ, ორგანიზაცია ამა თუ იმ მიზეზის გამო აერთებს სხვადასხვაგვარ ნაწილებს, მაგალითად, აერთებს ქალაქსა და გუბერნიას. დემოკრატიული წყობის დროს ზევიდან ბრძანების გაცემით ამ შეერთების შენარჩუნება (ან მისი დადგენა) შეუძლებელია. მაშასადამე, გაყოფა შესაძლებელია მხოლოდ ქვემოდან წარმოშობილი სურვილით: ქალაქს შეუძლია გამოეყოს გუბერნიას, და ამას ვერავინ აუკრძალავს მას. გუბერნიას შეუძლია გამოეყოს ქალაქს, და ამას ვერავინ აუკრძალავს მას. თუ ქვემოდან ორგანიზაციის არც ერთ, ცოტად თუ ბევრად მსხვილ, ცოტად თუ ბევრად განცალკევებულ ნაწილს არ განუცხადებია გამოყოფის მოთხოვნა, — ეს ნიშნავს, რომ ც. კ.-მა ვერ დ ა ა რ წ მ უ ნ ა გამოყოფის აუცილებლობაში ორგანიზაციის ვ ე რ ც ე რ თ ი გავლენიანი ნაწილი! ასეთ პირობებში გაყოფის ზემოდან დაძალების ცდა წარმოადგენს დემოკრატიზმის აბუჩად აგდებას, პარტიის წესდების აბუჩად აგდებას. ეს ნიშნავს, არც მეტი, არც ნაკლები, იმას, რომ ცდილობდე ბოროტად გამოიყენო ც. კ.-ის ძალაუფლება, ე. ი. გამოიყენო არა პარტიული ერთიანობის ინტერესებისათვის, არამედ პარტიის ერთი ნაწილის (მენშევიკების) ინტერესებისათვის, გამოიყენო ძალაუფლება ადგილობრივ მუშაკთა ნებისა და გადაწყვეტილების დასამახინჯებლად.

ც. კ. იმდენად გრძნობდა თავისი მოთხოვნის უსაფუძვლობას, რომ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ს ზ ო გ ა დ დადგენილებაში ძალიან ფრთხილად გამოთქვა თავისი აზრი. ც. კ.-ის ზოგადი დადგენილება ყველა პარტიულ ორგანიზაციას უ რ ჩ ე ვ ს «შ ე ძ ლ ე ბ ი ს დ ა გ ვ ა რ ა დ» (სიტყვასიტყვითი გამოთქმა!) შეუფარდონ ორგანიზაციის ჩარჩოები საარჩევნო ოლქების ჩარჩოებს. ასეთი რჩევის სავალდებულო ხასიათის შესახებ ლაპარაკიც არ შეიძლებოდა, — დ ა ა რ ც ი ყ ო ლ ა პ ა რ ა კ ი. ც. კ. რომ რაღაც განსაკუთრებულ მიზნებს ისახავდა

სწორედ პეტერბურგის მიმართ, — ეს იქიდან ჩანს, რომ რუ-
სეთის არც ერთ სხვა ქალაქში ც. კ.-ს არ
მოუთხოვნია კონფერენციის გაყოფა. მაგალითად, ვილნოს
საქალაქო კონფერენციაში შედიან აგრეთვე იმ საწარმოთა
ს.-დ. წარმომადგენლები, რომელნიც ქალაქს გარეთ,
ე. ი. სხვა საარჩევნო ოლქში იმყოფებიან. ვილნოს კონ-
ფერენციის გაყოფის შესახებ საკითხის აღძვრა ც. კ.-ს ფიქ-
რადაც არ მოსვლია!

ოდესაში იყო ერთი საერთო კონფერენცია, თუმცა იქაც
საწარმოთა ერთი ნაწილი ქალაქის საპოლიციო საზღვრებს
გადაღმა იმყოფება. და განა შეიძლება თუნდაც ერთი დიდი
ქალაქი დაასახელოთ, სადაც ორგანიზაციის ჩარჩოები შეესა-
ბამებოდეს საპოლიციო დაყოფას ქალაქად და გუბერნიის ნა-
წილად? განა შეიძლება სერიოზულად ვილაპარაკოთ იმაზე,
რომ დიდ ქალაქებში, მუშათა ს.-დ. მოძრაობის ცენტრებში,
გამოვყოთ ქალაქის გარეუბნები, გამოვყოთ ხში-
რად ყველაზე დიდი ფაბრიკები, ყველაზე პრო ლე-
ტარული «გარეუბნები»? ეს ისეთი უხეში გამასხა-
რავებაა საღი აზრისა, რომ მხოლოდ გათიშვის საბაბის ძიებაში
სრულიად მოურიდებელ ადამიანებს შეეძლოთ ჩაევლოთ ხელი
ამგვარი საბაბისათვის.

გადახედეთ პეტერბურგის რაიონებს, რათა დარწმუნდეთ
კონფერენციის გაყოფის მოთხოვნის განუხორციელებლობაში.
რომ მოვახდინოთ საზოგადოდ ორგანიზაციის ან კერძოდ კონ-
ფერენციის გაყოფა ქალაქისა და გუბერნიის ნაწილებად, საჭი-
როა ან ვიცოდეთ პარტიის თვითეული წევრის მისამართი,
საცხოვრებელი ადგილი, ანდა გვქონდეს უკვე მზა უჯრედები,
განყოფილებები, რაიონები, ტერიტორიული ნიშნის
მიხედვით შექმნილნი, ე. ი. რაიონები, რომლებიც შედგენილია
პარტიის წევრთა საცხოვრებელი ადგილის ან ფაბრიკათა მდე-
ბარეობის მიხედვით ამა თუ იმ საპოლიციო -უბანში.

ჩვენ კი ვხედავთ, რომ ს.-პეტერბურგში (როგორც, ალბათ,
რუსეთის ქალაქების მეტ ნაწილში) რაიონები, ქვერაიონები

და ძირა უჯრედები შედგენილია არა მარტო ტერიტორიული (ადგილობრივი) ნიშნის მიხედვით, არამედ პ რ ო ფ ე ს ი უ ლ ი ნიშნის მიხედვითაც (მუშების და საერთოდ მოსახლეობის ესა თუ ის ხელობა, მოსაქმეობა) და ნ ა ც ი ო ნ ა ლ უ რ ი ნიშნის მიხედვითაც (სხვადასხვა ეროვნება, სხვა ენა).

მაგალითად, ს.-პეტერბურგში არის რ კ ი ნ ი გ ზ ე ლ თ ა რაიონი. ის შედგენილია პროფესიული ნიშნის მიხედვით. როგორ უნდა გაიყოს იგი ქალაქისა და გუბერნიის ნაწილებად? თვითეული ცალკე რკინიგზელის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით? პეტერბურგი, კოლპინო, სხვა სადგურები? თუ მატარებლების ადგილსამყოფელის მიხედვით, რომლებსაც, ჩვენი ც. კ.-ის საუბედუროდ, ზნედა სჭირთ ადგილის გადანაცვლება «ქალაქ» პეტერბურგიდან «გუბერნიისკენ» და სხვადასხვა გუბერნიისკენაც კი?

აბა სინჯეთ და გაყავით ლ ა ტ ვ ი ე ლ თ ა რაიონი! ამას კიდევ მოსდევს ესტონელთა რაიონი და სამხედრო ორგანიზაცია.

თვით ტერიტორიული რაიონების დაყოფაც კი შეუძლებელია. კონფერენციაზე თვითონ მუშებმა აღნიშნეს ეს გარემოება. დგება მოსკოვის რაიონის მუშა და ამბობს: მე ვიცი ჩვენს რაიონში ფაბრიკები, რომელნიც ქალაქის საზღვრის ახლოს მდებარეობენ. როდესაც მუშაობა თავდება, მაშინვე დაინახავთ, რომ მუშების ნაწილი «ქალაქში» მიდის, ნაწილი კი — «გუბერნიაში». როგორღა გინდათ გავყოთო? და მუშები პირდაპირ დასცინოდნენ ც. კ.-ის წინადადებას.

მხოლოდ მეტისმეტად გულუბრყვილო ადამიანებს შეუძლიათ ვერ შეამჩნიონ მთელი ამ ამბის ცხადი და ნამდვილი სარჩული. მხოლოდ მეტისმეტად გულუბრყვილო ადამიანებს შეუძლიათ თქვან: მაინც უნდა გვესინჯა და გავყოფილიყავით «დ ა ა ხ ლ ო ე ბ ი თ», «შ ე ძ ლ ე ბ ი ს დ ა გ ვ ა რ ა დ ა ო».

დაახლოებით რომ გავყოთ, ეს იქნება ერთგვარი თ ვ ი თ ნ ე ბ ო ბ ი ს დაშვება, ვინაიდან ლატვიელთა, რკინიგზელთა და სხვ. რაიონების ზუსტად გაყოფა შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა.

ხოლო ყოველი თვითნებობა გამოიწვევდა ახალ, დაუსრულებელ პროტესტებს, ჩივილს, ც. კ.-ის ახალ დადგენილებებს, შექმნიდა ათას ახალ საბაბს განხეთქილებისათვის. გადახედეთ რაიონების (ზემოთმოყვანილ) სიას და თქვენ დაინახავთ, რომ გამოჩნდებოდნენ ისეთი ადამიანები, რომელნიც წმინდა ქალაქურ, უდავოდ ქალაქურ რაიონებად მხოლოდ ოთხ რაიონს — ვასილის კუნძულის, ქალაქის, ვიბორგის, პეტერბურგის რაიონებს გამოაცხადებდნენ. რატომ მარტო ამ ოთხს? იმიტომ, რომ ამ რაიონებში მენშევიკებს ეყოლებოდათ უმრავლესობა. მერე რანაირად შეიძლებოდა ასეთი თვითნებობის გამართლება?

რანაირად გაამართლა ც. კ.-მა ის თვითნებობა, რომ ვილნოს გაყოფა არც კი მოსვლია აზრად, ხოლო ს.-პეტერბურგისაგან გაყოფა მოითხოვა? თუ თქვენ დავას ასტეხთ თვითნებობის წინააღმდეგ, ვინ გადაწყვეტს საბოლოოდ თქვენს დავას? ხომ იგივე ც. კ. ...

ახლა ყველაზე გულუბრყვილო ადამიანებიც კი მიხვდებიან, რომ ჩივილი კონფერენციის შემადგენლობისა და მის გაყოფაზე უარისთქმის გამო — უბრალო თვალის ახვევაა. საქმის დედაარსი კი ის არის, რომ მენშევიკებმა გადაწყვიტეს არ დაემორჩილონ პეტერბურგის ორგანიზაციის უმრავლესობას და გათიშვა მოახდინონ არჩევნების წინ, რათა სოციალისტ-მუშებისაგან კადეტებთან გადაბარგდნენ.

III

რას ნიშნავს მენშევიკების წასვლა კონფერენციიდან?

ზოგიერთ მკითხველს ჩვენი გამოყვანილი დასკვნა შეიძლება მეტად მკაცრი მოეჩვენოს. მაგრამ ვფიქრობთ, რომ სიმართლის დამალვა, მიჩქმალვა სერიოზულ პოლიტიკურ საქმეში სოციალისტს არ ეკადრება. საგნებს თავისი სახელი უნდა ვუწოდოთ. უნდა ვამხილოთ ყოველგვარი შარიანობა და თვალის ახვევა, რომ მუშათა მასას სრულიად ნათლად ესმოდეს

საქმის არსი. მხოლოდ ბურჟუაზიული პარტიები უყურებენ არჩევნებს, როგორც ფარულ თამაშს და ნადავლის გაყოფას. მუშათა პარტია კი უპირველეს ყოვლისა უნდა ცდილობდეს, რომ ხალხმა სწორად გაიგოს პარტიათა ურთიერთდამოკიდებულება, სწორად გაიგოს თავისი ინტერესები და ბრძოლის ამოცანები, სწორად გაიგოს დედაარსი იმისა, რაც ფარდის უკან ხდება.

ჩვენ დავინახეთ, რომ ჩივილი რსდმპ პეტერბურგის ორგანიზაციის კონფერენციის შემადგენლობის გამო, კონფერენციის გაყოფაზე უარისთქმის გამო — ტყუილი მომიზეზებაა. ჩვენ ვიცოდით, რომ საქმის არსი უბრალო იყო. მენშევიკებს სურდათ, რადაც უნდა დამჯდარიყო, კადეტებთან შეთანხმება. მენშევიკებმა იცოდნენ, რომ პეტერბურგის ორგანიზაციის წევრთა უმრავლესობა ამ აზრს არ იზიარებდა. მენშევიკებმა გადაწყვიტეს სრულიად რუსეთის კონფერენციაზე დამორჩილებოდნენ ყოველ ადგილას ადგილობრივი ორგანიზაციის გადაწყვეტილებას. ახლა მათ დაარღვიეს თავიანთი დაპირება და ცდილობენ თავიანთ მიზნებს გათიშვით მიაღწიონ.

კონფერენციიდან წასულმა 31 მენშევიკმა უკვე გამოაცხადა დღეს (13 იანვარს) პეტერბურგის გაზეთებში, რომ ისინი სთავაზობენ ბლოკს კადეტებსაც და ყველა შრომის პარტიასაც, არა მარტო სოციალისტ-რევოლუციონერებსა და ტრუდოვიკებს (რომელთაც შეთანხმება შესთავაზა კონფერენციამ), არამედ «სახალხო სოციალისტებსაც».

საქმე, მაშასადამე, სავსებით ნათელია. შეგნებულმა პროლეტარიატმა გადაწყვიტა აწარმოოს დამოუკიდებელი საარჩევნო კამპანია. წვრილი ბურჟუაზია (მათ შორის ტრუდოვიკები) მერყეობს, აქეთ-იქით აწყდება, მას შეუძლია პრინციპულ ბრძოლას ამჯობინოს კადეტებთან გარიგება. მენშევიკები მუშათა პარტიის წვრილბურჟუაზიული ნაწილია. უკანასკნელ წუთში ისინი იმიზეზებენ სულ უბრალო რამეებს, სტოვე-

ბენ რევოლუციურ პროლეტარიატს და კადეტების მხარეზე გადადიან.

ამ დასკვნის სისწორეს ყველაზე უკეთ კადეტური გაზეთები ადასტურებენ. ხოლო კადეტებს, რა თქმა უნდა, ვერავინ დასწამებს პეტერბურგის სოციალ-დემოკრატიის, ე. ი. ბოლშევიკური სოციალ-დემოკრატიის შეხედულებათა თანაგრძნობას!

დახედეთ კადეტური პარტიის ცენტრალურ ორგანოს, გაზეთ «რეჩს». ყველამ კარგად იცის, რომ იგი გაზეთ «ტოვარიშჩთან» ერთად მენშევიკებს მუდამ აქებზდა გასათიშავად, ყოველნაირად ცდილობდა ხოტბა შეესხა მათთვის და გულმოდგინედ გამოყოფდა მათ ბოლშევიკებისაგან. როგორც კი გავარდა ხმა, მენშევიკები ს.-დ. კონფერენციიდან წავიდნენო, «რეჩმა» მაშინვე (11 იანვარს) დაბეჭდა სარედაქციო სტატია «სოციალ-დემოკრატიული კონფერენცია და შეთანხმებანი». ამ სტატიით «რეჩმა» პირდაპირ მ ი უ ლ ო ც ა მენშევიკებს «გამბედაობა», მ ი უ ლ ო ც ა მათ მიერ დაწყებული გ ა თ ი შ ვ ა. ეს სტატია პირდაპირ აცხადებს, რომ «რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი პ ა რ ტ ი ე ბ ი ს, ა მ ს ი ტ ყ ვ ე ბ ი ს ვ ი წ რ ო ა ზ რ ი თ, ბლოკის გარეთ» (ე. ი. პეტერბურგელი სოციალ-დემოკრატებისა და იმათ გარეთ, ვისაც პეტერბურგელმა სოციალ-დემოკრატებმა შეთანხმება შესთავაზეს, ე. ი. ს.-რ.-ებისა და შრომის ჯგუფის კომიტეტის გარეთ) რჩებიან მ ე ნ შ ე ვ ი კ ე ბ ი დ ა ს ა ხ ა ლ ხ ო ს ო ც ი ა ლ ი ს ტ ე ბ ი (წვრილბურჟუაზიულ, შრომის პარტიებს შორის ყველაზე ზომიერი, ნახევრადკადეტური პარტია).

და კადეტები პირდაპირ აცხადებენ, მზადა ვართ «გ ა ნ ვ ა ა ხ ლ ო თ» მოლაპარაკება ამ «ორივე ზომიერ-სოციალისტურ პარტიასთანაო». ისინი პირდაპირ აცხადებენ: «სოციალისტურ პარტიებში მომხდარი დიფერენციაცია (დაყოფა) შესაძლებელს ხდის, რომ ზომიერი სოციალისტების შეხედულებანი სათათბიროს ტაქტიკის შესახებ რაოდენადმე მიუახლოვდეს ჩვენს საკუთარ (ე. ი. კადეტურ) შეხედულებებსაო».

მთავარი კადეტური გაზეთის ეს სიტყვები მეტისმეტად მნიშვნელოვანია. კადეტები არა მარტო აფასებენ მენშევიკების შეტრიალების პრაქტიკულ შედეგებს. კადეტები ნათლად ხედავენ, რომ გათიშვას, რასაც მენშევიკები აწყობენ, პრინციპული მნიშვნელობა აქვს, ე. ი. რომ ეს გათიშვა ნამდვილად სცვლის მენშევიკების დამოკიდებულებას იმ ძირითადი შეხედულებისადმი, რომელიც ეხება პოლიტიკურ ბრძოლას, მუშათა კლასის ამოცანებს. კადეტებმა მშვენივრად გაიგეს, რომ მენშევიკებმა პირი იბრუნეს არა მარტო იმ აზრით, რომ პრაქტიკულად დასაშვებად აღიარეს შეთანხმებანი, არამედ მათ პირი იბრუნეს აგრეთვე ბურჟუაზიის ძირითადი შეხედულებებისაკენ, დაშორდნენ პროლეტარულ პოლიტიკას, მიუახლოვდნენ ბურჟუაზიულ პოლიტიკას. «რეჩი» პირდაპირ ამბობს, რომ ზ ო მ ი ე რ ი ს ო ც ი ა ლ ი ს ტ ე ბ ი (ე. ი. მენშევიკები) უახლოვდებიან კადეტურ ტაქტიკას, საქმით აღიარებენ კადეტთა პირველობასა და ხელმძღვანელობას. კადეტებმა ჯერ კიდევ არ იციან, მიიღებენ თუ არა ს.-დ.-ები და ტრუდოვიკები ს.-დ. კონფერენციის წინადადებას და უ კ ვ ე ითვალისწინებენ პოლიტიკურ ძალთა სრულიად გარკვეულ თანაფარდობას: ლიბერალური ბურჟუაზია ხელმძღვანელობს ზომიერ წვრილ ბურჟუაზიას და პროლეტარიატის წვრილბურჟუაზიულ ნაწილს; რევოლუციური პროლეტარიატი მოქმედებს დამოუკიდებლად და თან მიჰყავს უკეთეს შემთხვევაში (უკეთეს შემთხვევაში ჩვენთვის, უარეს შემთხვევაში კადეტებისათვის) მხოლოდ ნაწილი წვრილი ბურჟუაზიისა.

სწორედ ასე გვიხატავენ საქმის ვითარებას კადეტები. და არ შეიძლება არ აღვიაროთ, რომ კადეტები აქ სავსებით მართალნი არიან. როგორც მზე წყლის მცირე ცვარში, — ისე ისახება პეტერბურგის პატარა ამბავში მუდმივი, ყველა კაპიტალისტური ქვეყნისათვის გარდუვალად დამახასიათებელი თანაფარდობა ლიბერალური ბურჟუაზიის, მუშათა კლასისა და წვრილი ბურჟუაზიის პოლიტიკისა. ლიბერალური ბურჟუაზია

ყველგან და ყოველთვის ცდილობს ადგილებით მოიყიდოს განუვითარებელი მასა, რათა ჩამოაშოროს იგი რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიას. კადეტები რუსეთში იწყებენ პროლეტარიატთან ბურჟუაზიის ბრძოლის «ინგლისური» წესის გამოყენებას, — ბრძოლისა, არა ძალმომრეობით, არამედ მოყიდვით, მლიქვნელობით, ერთმანეთისაგან განცალკევებით, «ზომიერთა» მომადლიერებით, მათი გაყვანით მინისტრებად, დეპუტატებად, ამრჩევლებად და სხვ..

აგრეთვე სავსებით ნათელია კადეტურ «რეჩში» ფრაზა მოლაპარაკების «განახლების» შესახებ. სანამ სოციალ-დემოკრატები ერთად იყვნენ, და მათ შორის რევოლუციონერი სოციალ-დემოკრატები სჭარბობდნენ, — მოლაპარაკება შეწყვეტილი იყო. ახლა, როცა «ორივე ზომიერი სოციალისტური პარტია» ჩამოშორდა რევოლუციას, — ახლა კადეტები აცხადებენ: «მოლაპარაკება შესაძლებელია განახლდესო».

თუ მკითხველისათვის სავსებით ნათელი არ არის ამ სიტყვების პრაქტიკული აზრი, ჩვენ ავუხსნით მას. კადეტები ორ ადგილს (ექვსიდან) აძლევდნენ მემარცხენეებს, სახელდობრ: ერთ ადგილს მუშათა კურიას, ერთს — საზოგადოდ სოციალისტებს. მოლაპარაკება შეწყდა. ახლა «ზომიერ სოციალისტებს» კადეტები ისევე ეპატიჟებიან: მობრუნდი, მყიდველო, შეიძლება შევთანხმდეთო! ახლა ან ერთ ადგილს მენშევიკს მოგცემთ, მეორე ადგილს — «სახალხო სოციალისტს», — ან შეიძლება გულუხვობაც გამოვიჩინოთ და სამი ადგილიც კი მოგცეთო.

აი რას ნიშნავს კადეტების სიტყვები მოლაპარაკების «განახლების» შესახებ: მ ე მ ა რ ც ხ ე ნ ე ე ბ ს ჩვენ არ ვუთმობდით, ზ ო მ ი ე რ მ ე მ ა რ ც ხ ე ნ ე ე ბ ს კი დავუთმობთო!

გულუბრყვილო ადამიანს ან პოლიტიკაში გამოუცდელ კაცს შეუძლია რამდენიც უნდა აქნიოს თავი, ეჭვები გამოთქვას, თანაგრძნობა გამოაცხადოს და სხვ., — მაგრამ საქმე ამით

არ შეიცვლება. იმას ხომ არა აქვს მნიშვნელობა, თუ სახელდობრ როგორ წარმოიშვა განსაზღვრული შედეგი, მნიშვნელობა აქვს თვით შედეგს (ე. ი. კადეტებისათვის ამას მნიშვნელობა არა აქვს, ხოლო მუშათა მასისათვის, რომელსაც სურს შეგნებულად მოეკიდოს პოლიტიკას, ეს დიდად მნიშვნელოვანია).

სახელდობრ როგორ წარმოებდა მენშევიკების მოლაპარაკება კადეტებთან, — წერილობით, სიტყვიერად თუ უბრალო გადაკრული ლაპარაკით, ეს ჩვენ არ ვიცით. იქნებ, თვალსაჩინო ზომიერი მენშევიკები გადაკვრით ეუბნებოდნენ კადეტთა ბელადებს, რომ სოციალ-დემოკრატებს შორის შესაძლოა გათიშვაო, გადაკვრით ანიშნებდნენ, რომ დასაშვებია სარაიონო შეთანხმებაო. და კადეტებიც, რასაკვირველია, მყისვე ხვდებოდნენ ამ გადაკვრით ნათქვამს: «ისინი» გათიშავენ პეტერბურგის სოციალ-დემოკრატებს, ჩვენ კი «მათ» რაიონულ სიაში შევიტანთო! «ისინი» — ჩვენაო, ჩვენ კი — «იმათაო». განა ეს ნაკლებ ნამდვილი, ნაკლებ საქმიანი, ნაკლებ მტკიცე გარიგებაა, ვიდრე «ისინი» რომ წასულიყვნენ პირდაპირ კუტლერთან, მილიუკოვთან ან ნაბოკოვთან და აშკარად ეთქვათ: ჩვენ გაგითიშავთ პეტერბურგის ს.-დემოკრატიულ კონფერენციას, ხოლო თქვენ რომელიმე რაიონული სიით გაგვიყვანეთო?

ეს ფაქტია, რომ სწორედ ასეთია ლიბერალური ბურჟუებისა და ს.- დ. ოპორტუნისტების პოლიტიკა ყველა კონსტიტუციურ ქვეყანაში. რუსეთის მუშებმა უნდა ისწავლონ ამ პოლიტიკის გაგება, თუ მათ არ უნდათ, რომ ადვილად მოტყუებულნი დარჩნენ. ჯერ კიდევ ჩერნიშევსკიმ თქვა: ვისაც ხელების გასვრისა ეშინია, პოლიტიკურ მოღვაწეობას ნუ მოეკიდებაო [120]. ვინც არჩევნებში მონაწილეობს და ხელების გასვრას უფრთხის ბურჟუაზიული პოლიტიკანობის ტალახის გადათხრის დროს, ის უნდა მოშორდეს საქმეს. გულუბრყვილო აზიზ-მაზიზებს პოლიტიკაში მხოლოდ ენება მოაქვთ იმით, რომ ეშინიათ პირდაპირ შეხედონ საქმის არსს.

ბურჟუაზიული პრესის მეორე გამოხმაურება, რომელიც სავსებით ადასტურებს გათიშვის ჩ ვ ე ნ ს შეფასებას, ეს არის ქ-ნი კუსკოვას მიერ «ტოვარიშჩში» (10 იანვარი) გამოთქმული აზრი. ისიც ასევე მიესალმება მენშევიკებს, აქეზებს მათ, რომ საბოლოოდ გაითიშონ, ურჩევს არ დაუშვან «კომპრომისები» ბოლშევიკებთან, ჰპირდება მათ დახმარებას «რაბოჩეედელოელების» სახელით.

ქ-ნ კუსკოვას ამ სტატიის გასაგებად საჭიროა ვიცოდეთ, თუ ვინ არის ის. ჩვენ ამას გიამბობთ, ვინაიდან მუშების უმრავლესობამ ეს არ იცის.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია დაარსდა 1898 წელს. 1899 წელს ქ-ნი კუსკოვა და ბ-ნი პროკოპოვიჩი პარტიის წევრები იყვნენ, სახელდობრ: მისი საზღვარგარეთული ორგანიზაციის წევრები; ამ ორგანიზაციას მაშინ სათავეში ედგა პლეხანოვი, რომელიც მ ა შ ი ნ რევოლუციური სოციალ-დემოკრატი იყო. ქ-ნი კუსკოვა კი მაშინაც, ისევე როგორც ახლა, ოპორტუნისტი იყო, იცავდა წვრილბურჟუაზიულ შეხედულებებს სოციალ-დემოკრატიაში, იცავდა ბერნშტეინელობას, ე. ი. საბოლოო ანგარიშით მუშათა კლასის დამორჩილებას ლიბერალური პოლიტიკისადმი. ყველაზე მკაფიოდ ქ-ნმა კუსკოვამ თავისი აზრები გამოთქვა ცნობილ «Credo»-ში (იკითხება: «კრედო», ნიშნავს — მრწამსი, პროგრამა, მსოფლმხედველობის გადმოცემა). ამ «Credo»-ში ნათქვამი იყო: მუშებმა ეკონომიური ბრძოლა უნდა აწარმოონ, ხოლო ლიბერალებმა — პოლიტიკურიო. «რაბოჩეედელოელებიც» (სოციალ-დემოკრატიის ოპორტუნისტების მაშინდელი სახელწოდება) არსებითად ამგვარივე შეხედულებისაკენ იხრებოდნენ. პლეხანოვმა ამ შეხედულებებს სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გამოუცხადა (რაშიც მას დაეხმარნენ რუსი რევოლუციური ს.-დ.-ები) და ამ ნიადაგზე გ ა თ ი შ ა რსდმპ საზღვარგარეთული ორგანიზაცია. მან ოპორტუნისტების და განსაკუთრებით ქ-ნი კუსკოვას წინააღმდეგ გამოუშვა ბროშურა

«**Vademecum**»-ი («გზის მაჩვენებელი» რაბოჩეედელოელებისათვის).

მაშინ ქ-ნი კუსკოვა განიდევნა ს.-დ. პარტიიდან. ის ბ-ნ პროკოპოვიჩთან ერთად გადავიდა ლიბერალებთან, კადეტებთან. შემდეგ ის კადეტებსაც ჩამოშორდა, გახდა «უპარტიო» მწერალი «უპარტიო»-კადეტურ «ტოვარიშჩში».

ქ-ნი კუსკოვა მარტო როდია. ის ტ ი პ ი უ რ ი ნიმუშია წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციისა, რომელსაც ოპორტუნიზმი შეაქვს მუშათა პარტიაში და რომელიც დაწიალობს სოციალ-დემოკრატებისაგან კადეტებთან, კადეტებისაგან მენშევიკებთან და ა. შ.

აი რა ხალხი სცემს დაფდაფს, გაიძახის ვაშას და მიესალმება გათიშვას, რომელსაც მენშევიკები პეტერბურგის სოციალ-დემოკრატებში ახდენენ.

აი რა ხალხს უგდებენ ხელში პროლეტარიატის საქმეს ის მუშები, რომლებიც მენშევიკებს მიჰყვებიან.

IV

პოლიტიკური პარტიები და მომავალი არჩევნები პეტერბურგში

რა მდგომარეობაშია ახლა არჩევნების საქმე პეტერბურგში?

ახლა უკვე ცხადია, რომ არჩევნებში იქნება კანდიდატთა სამი მთავარი სია: სია შავრაზმული, სია კადეტური და სია სოციალ-დემოკრატიული.

პირველს მიემხრობიან ოქტიაბრისტები, მეორეს, ალბათ, მენშევიკები და სახალხო სოციალისტები, მესამეს, შეიძლება, ტრუდოვიკები და ს.-რ.-ები, თუმცა ადვილი შესაძლებელია, რომ ეს მერყევი პარტიები, რომელთაც აქამდე არ მოუციათ საბოლოო პასუხი, აგრეთვე კადეტებს გაჰყვნენ (ნაწილობრივ სოციალ-დემოკრატებში მომხდარი გათიშვის გამო).

არის თუ არა პეტერბურგში შავრაზმული საფრთხე, ე. ი. არჩევნებში შავრაზმელების გამარჯვების საფრთხე? მენშევი-

კები, რომლებიც ახლა სოციალისტებისაგან კადეტებისაკენ გადადიან, ამბობენ: არისო.

ისინი აშკარად სტყუიან.

თვით კადეტურ «რეჩში» ფრთხილ, დიპლომატიურ, ყოველ წვრილმანში ლიბერალების ინტერესების დამცველ «რეჩშიც» კი ბ-ნი ვერგეესკი წერს, რომ საარჩევნო კრებებზე ოქტიაბრისტს სრულიად ანგარიშს არ უწევენ, რომ ამომრჩეველი კადეტებსა და სოციალისტებს შორის მერყეობსო.

ყოველგვარი ცნობები წინასაარჩევნო კრებების შესახებ, იმ შთაბეჭდილების შესახებ, რაც მოახდინა ლიდვალიადამ [121], გერცენშტეინის მკვლელთა გასამართლებამ [122], შავრაზმელების საგმირო საქმეთა გამოაშკარავებამ და სხვ., ცხადად მოწმობენ, რომ ამომრჩეველთა შორის მემარჯვენე პარტიებს არავითარი პატივისცემა არა აქვთ.

ვინც ახლა კიდევ ლაპარაკობს არჩევნებში შავრაზმულ საფრთხეზე, ის ატყუებს თავის თავსაც და ატყუებს მუშათა მასასაც. ახლა უკვე ნათლად ჩანს, რომ ყვირილი შავრაზმული საფრთხის შესახებ კადეტური ოინია ნაკლებ შეგნებული მასის მისატყუებლად.

შავრაზმული საფრთხე მდგომარეობს არა შავრაზმელთათვის ხმისმიცემის საშიშროებაში, არამედ მთავრობის შესაძლებელ ძალადობაში, ამრჩევლების შესაძლებელ დაპატიმრებაში და სხვ. ამ საფრთხის წინააღმდეგ საშუალება უნდა ვეძიოთ არა კადეტებთან შეთანხმებაში, არამედ მასების რევოლუციური შეგნებისა და რევოლუციური გამბედაობის განვითარებაში. კადეტები კი ყველაზე მეტად აფერხებენ ამ შეგნებისა და ამ გამბედაობის განვითარებას.

ნამდვილად სერიოზული ბრძოლა პეტერბურგში კადეტებსა და სოციალ-დემოკრატებს შორის არის. შრომის პარტიებმა დაამტკიცეს თავიანთი სისუსტე იმით, რომ ისინი უკან მისდევენ ყველაზე ზომიერ და ნახევრადკადეტურ «სახალხო-სოცია-

ლისტურ» პარტიას, — და იმით, რომ საზოგადოდ არავითარ დამოუკიდებლობასა და სიმტკიცეს არ იჩენენ.

მენშევიკებს რომ არ ეღალატნათ სოციალისტებისათვის არჩევნების წინ, — უეჭველია, ტრუდოვიკები და ესერები ჩვენს პირობებს მიიღებდნენ. უეჭველია, რომ ამომრჩეველთა მასა, რომელიც პეტერბურგში, ისევე როგორც ყველგან, ღარიბებისაგან შესდგება, სოციალისტებსა და ტრუდოვიკებს გაჰყვებოდა და არა კადეტებს. მაშინ პეტერბურგის არჩევნებს ექნებოდა ისეთი სერიოზული ბრძოლის მნიშვნელობა, რომელიც მთელი რუსეთის თვალწინ აშკარა და მკაფიო ფორმით წამოაყენებდა რუსეთის რევოლუციის მომავლის ძირითად საკითხებს *.

მენშევიკების ღალატი გვიძნელებს არჩევნების საქმეს, მაგრამ ამით კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება სოციალ-დემოკრატიის დამოუკიდებელი კამპანიის პრინციპული მნიშვნელობა. პროლეტარიატს არა აქვს და არც შეუძლია ჰქონდეს სხვაგვარი საშუალება წვრილი ბურჟუაზიის მერყეობის წინააღმდეგ, გარდა მასების კლასობრივი შეგნების და დარაზმულობის განვითარებისა, გარდა მათი სწავლებისა პოლიტიკური განვითარების გამოცდილების საფუძველზე.

სანამ ტრუდოვიკები მერყეობენ, სანამ მენშევიკები ჩარჩობენ, ჩვენ მთელი ძალღონით უნდა გავწიოთ დამოუკიდებე-

* ამ მხრივ საინტერესოა კოლომნელ ამომრჩეველთა კრება, რაც ამ დღეებში შესდგა. «ტრუდოვიკი» ვოდოვოზოვი (რომელიც ტრუდოვიკი, ალბათ, მხოლოდ იმიტომ გახდა, რომ ტრუდოვიკები კადეტებს აადევნოს კუდში) ხმას აძლევს და ატარებს გადაწყვეტილებას: მიეცეს კადეტებს ექვსიდან ორი ადგილი საერთო მემარცხენე ბლოკში. ო, გულუბრყვილობავ! ნაკლები ადგილები რომ მისცე, საჭიროა ჯერ გაიმარჯვო, ბ-ნო ვოდოვოზოვო, და არა იჩანჩალო კადეტების უკან! და, წარმოიდგინეთ, ასეთმა კრებამაც, რომელსაც ამგვარი მოთავე ჰყავდა, თავისი კენჭისყრით დაამტკიცა, რომ მასა კადეტებზე უფრო მემარცხენე განწყობილებისაა. ასეთი მასა ჩვენ უნდა დავაყენოთ არჩევანის წინაშე: ლიბერალურ ბურჟუაზიას ემხრობა თუ რევოლუციურ პროლეტარიატს.

ლი აგიტაცია. დაე ყველამ იცოდეს, რომ სოციალ-დემოკრატები ყოველ შემთხვევაში და აუცილებლად საკუთარი სიით გამოდიან. და დაე ამომრჩეველთა ყველა ღარიბმა ფენამ იცოდეს, რომ მათ დასჭირდებათ არჩევანის მოხდენა კადეტებსა და სოციალისტებს შორის.

ამ არჩევანს უნდა ჩაუფიქრდნენ ამომრჩევლები. ეს დაფიქრება ყოველ შემთხვევაში ბევრს შესძენს მასების შ ე გ ნ ე ბ ი ს განვითარების საქმეს, — უფრო მნიშვნელოვან საქმეს, ვიდრე კადეტების საშუალებით იქსისა თუ იგრეკისათვის ადგილის მოპოვებაა. თუ ქალაქის ღარიბთა მასები კიდევ დაიჯერებენ კადეტების დაპირებას, კიდევ მოიხიბლებიან ბატონ გურკოებისა და ბატონ კუტლერ-მილიუკოვების «მშვიდობიანი» პროგრესის, «მშვიდობიანი» კანონმდებლობის ლიბერალურ დაპირებათა და ლიბერალური ფრაზების ხმაურით, — მოვლენები მალე ამხელენ უკანასკნელ ილუზიებს.

რევოლუციურმა სოციალ-დემოკრატიამ მასებს მთელი სიმართლე უნდა უთხრას და განუხრელად იაროს თავისი გზით. ვინც აფასებს რუსეთის რევოლუციის ნამდვილ მონაპოვართ, რომლებიც მიღწეულია პროლეტარული ბრძოლით, ვისაც მშრომელი და ექსპლოატირებული ადამიანის ინსტინქტი აქვს, ის პროლეტარიატის პარტიას გაჰყვება. და ამ პარტიის შეხედულებათა სისწორე სულ უფრო და უფრო ნათელი გახდება მასებისათვის რუსეთის რევოლუციის განვითარების ყოველ ეტაპთან ერთად.

ბოლოსიტყვაობა

14 იანვრის «რეჩის» მოწინავე ახალ საბუთს წარმოადგენს იმის დასამტკიცებლად, რაც ზემოთ ვთქვით სოციალისტებისაგან ბურჟუაზიისაკენ მენშევიკების გადასვლის მნიშვნელობის შესახებ. «რეჩი» აღტაცებულია იმის გამო, რომ მისი წინასწარხედვა გამართლდა, რომ მენშევიკები ცალკევდებიან პეტერბურგში და თავიანთ საკუთარ ორგანიზაციას აწყობენ. «ასეც მოხდა, — ამბობს გაზეთი, იმოწმებს რა თავის წინა ნომრებს, — ჩვენს წინადადებას თანაგრძნობით შეხვდა სოციალ-დემოკრატიის ერთი ნაწილი, რომელიც თუმცა ყველაზე გავლენიანი არ არის, მაგრამ სამაგიეროდ მას ყველაზე მეტი მიდრეკილება აქვს საპარლამენტო მოღვაწეობისაკენ».

დიახ, ეს მართალია. მენშევიკები თ ა ნ ა გ რ ძ ნ ო ბ ი თ შ ე ხ ვ დ ნ ე ნ ლიბერალური ბურჟუების მისწრაფებას — ჩამოაშორონ მუშათა პარტიას ოპორტუნისტული ნაწილი და დაუმორჩილონ იგი კადეტების ხელმძღვანელობას. ჩვენ ზემოთ დავინახეთ, რომ «რეჩმა» უკვე გამოჰყო მენშევიკები და სახალხო სოციალისტები რევოლუციური პარტიებისაგან და მათ უწოდა «ზომიერი სოციალისტები». ახლა «რეჩი» შემდგომ ნაბიჯს დგამს. ის ამბობს, რომ სოციალ-ნაროდნიკებიც (სახ.-სოც.) ამჯობინებენ, ალბათ, კადეტებთან ბლოკსაო. ის ამბობს: «მენშევიკები გადაჭრით მიემხრნენ ს ა ე რ თ ო ო პ ო ზ ი ც ი უ რ ი ბ ლ ო კ ი ს შ ე ქ მ ნ ა ს ა ო». «კადეტების, მენშევიკებისა და სოციალ-ნაროდნიკების ოპოზიციური ბლო-

კის შესაძლებლობა საგრძნობლად გადიდდა ბოლშევიკების უარის შემდეგო».

ამრიგად, ახლა თვითონ კადეტებმა აღიარეს არჩევნებში სამი ბლოკი ან, ყოველ შემთხვევაში, სამი ძირითადი პოლიტიკური ძალა: მთავრობის ბლოკი, ოპოზიციური ბლოკი, რევოლუციური ბლოკი. ეს დაყოფა სავსებით სწორია. ჩვენ აღვნიშნავთ, რომ თვით გარემოებათა ძალა აიძულებს კადეტებს აღიარონ ჩვენი დიდიხნის და დაჟინებითი მითითების სისწორე. აღვნიშნავთ აგრეთვე, რომ რევოლუციურ «ბლოკში» სავსებით მტკიცედ ჯ ე რ ჯ ე რ ო ბ ი თ მხოლოდ რევოლუციური სოციალ-დემოკრატია დგას. სხვა ელემენტები და კერძოდ რევოლუციური წვრილი ბურჟუაზია («სოციალისტ-რევოლუციონერები») ჯერ ისევ მერყეობენ.

კადეტების მხარეზე მენშევიკების გადასვლის პრინციპული მნიშვნელობა სულ უფრო და უფრო ირკვევა. მენშევიკური საარჩევნო პლატფორმებისა და პრინციპული რეზოლუციების კარგი სიტყვები (მაგალ., სრულიად რუსეთის ს.-დ. კონფერენციაზე), სიტყვები იმის შესახებ, რომ ისინი ამხელენ მშვიდობიანი გზის ილუზიებს, რომ ისინი ამომრჩევლებს ურჩევენ სათათბიროში აირჩიონ მებრძოლნი და არა შუამდგომლები და სხვ. და სხვ., — ყ ო ვ ე ლ ი ვ ე ეს მ ხ ო ლ ო დ ს ი ტ ყ ვ ე ბ ი გამოდგა. საქმით მენშევიკები ისე იქცეოდნენ, რომ ისინი კადეტებმა გაიყოლიეს და თ ა ვ ი ს პოლიტიკას დაუმორჩილეს. საქმით მენშევიკები «ოპოზიციურ ბლოკში» ა ღ - მ ო ჩ ნ დ ნ ე ნ, ე. ი. კადეტების უბრალო დანამატად გადაიქცნენ.

ეს კიდევ ცოტაა. 14 იანვრის «რეჩის» მოწინავე აგრეთვე იმასაც ააშკარავებს, თუ რა ფასი უნდათ მისცენ კადეტებმა მენშევიკებს კადეტებისათვის მხარის დაჭერისა და ოპოზიციურ ბლოკში შესვლისათვის. ეს ფასია სათათბიროში ერთი ადგილი, რ ო მ ე ლ ი ც მ უ შ ა თ ა კ უ რ ი ა ს ე რ თ - მ ე ვ ა. ყური დაუგდეთ:

«რადგანაც ამასთან ერთად (ე. ი. კადეტებისა, მენშევიკებისა და სახალხო-სოციალისტებისაგან ოპოზიციური ბლოკის შექმნასთან ერთად) შემცირდა სათათბიროს ადგილების პრეტენდენტთა რაოდენობა, — ამიტომ ახალი კომბინაციის დროს იქნებ შესაძლებელი გახდეს სახალხო თავისუფლების პარტიის წინადადების მიღება და ექვსიდან ორ ადგილზე დათანხმება. რასაკვირველია, ახლა ამ წინადადებაში, ალბათ, საჭირო იქნება ერთგვარი ცვლილების შეტანა. ის ადგილი, რომელიც განკუთვნილი იყო მუშათა კურიის მიერ არჩეული პირისათვის, ცხადია, კონფერენციის გადაწყვეტილების შემდეგ აღარ შეიძლება დაეთმოს მუშა-ბოლშევიკს. ბლოკის ახალი შემადგენლობისას მენშევიკებს შეუძლიათ ამ ადგილს უყურონ, როგორც თავის კანონიერ კუთვნილებას. სახალხო თავისუფლების პარტიის მიერ დათმობილი ორი ადგილიდან მეორე ადგილი ამ შემთხვევაში დარჩება სახალხო-სოციალისტურ ბლოკს».

საუცხოო გარიგებაა! შეგვიძლია მივულოცოთ კადეტებს, რომ იაფად უყიდნიათ! სულ იმავე ორი «დათმობილი» ადგილით იძენენ ყველა წვრილბურჟუაზიულ პარტიასაც და მუშათა პარტიის წვრილბურჟუაზიულ ნაწილსაც — და ისიც მუშების ხარჯზე!

მუშებმა უნდა დაჰკარგონ მუშათა კურიიდან თავისი წარმომადგენლის ყოლის უფლება იმის გამო, რომ მენშევიკებმა უარი თქვეს სოციალ-დემოკრატებზე, გადაიქცნენ ზომიერ-სოციალისტურ პარტიად («რეჩის» შეფასებით) და შევიდნენ ოპოზიციურ ბლოკში. პეტერბურგის მუშები ჰკარგავენ მათთვის კადეტების მიერ მიცემულ უფლებას თავიანთი ადგილის გამოყენებაზე იმიტომ, რომ მენშევიკები გაჰყვნენ არა რევოლუციურ სოციალ-დემოკრატებს, არამედ კადეტებს. კადეტებთან «მცირე გარიგებისთვის» მენშევიკები ღებულობენ «მცირე დათმობას» არა კადეტების, არამედ მუშების

ხარჯზე... რა საუცხოო ნიმუშია ბურჟუაზიული დათმობისა «ხალხისადმი»! ბურჟუაზია მზადაა «ხალხის» ქომაგებს დაუთმოს ადგილი, თუ ეს ქომაგები ბურჟუაზიის მხარეზე გადადიან...

მუშათა კურიის რწმუნებულნი და ამრჩეველნი, ალბათ, ახლა დაინახავენ, თუ რა ს ა რ გ ე ბ ლ ო ბ ა, — არა მარტო პრინციპული, არამედ პრაქტიკულიც, — მოაქვს მათთვის კადეტებთან შეთანხმებას. განა აშკარა არ არის, რომ კადეტები აძლევდნენ (კი არ აძლევენ, არამედ აძლევდნენ) ერთ ადგილს მუშათა კურიას იმის გამო, რომ გულწრფელად თანაუგრძნობდნენ ნამდვილი ხალხის ნამდვილი თავისუფლების ინტერესებს და არა იმის გამო, რომ ბურჟუაზიის მხარეზე გადმოეყვანათ შეუგნებელი, გაჭირვებული მასა?

«მოსმენ მსჯავრსა რეგვენისასა»...

(ს.-დ. პუბლიცისტის შენიშვნებიდან)

პეტერბურგი, 1907 წ. 15 იანვარი.

ბურჟუაზიული პრესა ერთ ამბავშია პეტერბურგის ს.-დ. კონფერენციის გადაწყვეტილების გამო. ლიბერალების საერთო ხმაური, — გაბღენძილ-ოფიციალური «რეჩით» დაწყებული და ქუჩური ფურცლით — «სეგოდნიათი» გათავებული, — ზეიმი გათიშვის გამო, რასაც მენშევიკები ახდენენ, დღესასწაული «ოპოზიციური ბლოკის» წიაღში «საზოგადოების» ამ უძღებ შვილთა დაბრუნების გამო, «რევოლუციური ილუზიების» გავლენისაგან მათი განთავისუფლების გამო.

სოციალ-დემოკრატებმა, რომლებიც მართლა რევოლუციური პროლეტარიატის მხარეზე დგანან, ზედმეტი არ იქნება დასვან კითხვა:

მსაჯულნი ვინღა არიან?

ავიღოთ თითქმის საუკეთესო მსაჯულთაგანი — გაზეთი «როდნაია ზემლია» 15 იანვრისა. ამ გაზეთის მიმართულება, უეჭველია, კადეტურისაზე უფრო მემარცხენეა. ყველა მონაცემის მიხედვით, ამ მიმართულებას შეიძლება ტრუდოვიკული ეწოდოს. როგორც ასეთი პოლიტიკური დახასიათების დოკუმენტური დადასტურება, შეგვიძლია აღვნიშნოთ ამ გაზეთში ბ-ნ ტანის [123] თანამშრომლობა. ბ-ნი ტანი მოთავსებულია «შრომის (სახალხო-სოციალისტური) პარტიის» საორგანიზაციო კომიტეტის წევრთა გამოქვეყნებულ სიაში.

ამრიგად, მსაჯულნი ტრუდოვიკები არიან.

ისინი გმობენ ბოლშევიკებსა და, კადეტების მსგავსად, იწონებენ მენშევიკების გეგმას. კადეტებისაგან განსხვავებით, მათ მხოლოდ ის უნდათ, რომ ყველა მემარცხენე პარტიის საერთო ბლოკში კადეტებს დაეთმოს არა უმეტეს 2 — 3 ადგილისა.

ასეთია განაჩენი. ვნახოთ მოტივები.

«უეჭველია, კამათის ცენტრში დგას საკითხი, არსებობს თუ არა პეტერბურგში შავრაზმული საფრთხე».

ეს მართალი არ არის. თუ თქვენ ბოლშევიკურ სოციალ-დემოკრატიაზე მსჯელობთ პოლიტიკური გაზეთის მოწინავე სტატიაში, ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ი ხართ იცოდეთ ის, რაზედაც მსჯელობთ. თქვენ თვითონვე ლაპარაკობთ იმავე მოწინავეში: «კამათი, რომელიც გაჩაღდა ახლა (სოციალ-დემოკრატიული) კონფერენციის რეზოლუციების გარშემო, უეჭველად საზოგადოებრივ ინტერესს წარმოადგენსო». ვისაც სურს საჯაროდ მიიღოს მონაწილეობა ყველასათვის საინტერესო კამათში და ამავე დროს ერთბაშად ააშკარავებს კამათის «ცენტრის» უცოდინარობას, ის უნდა ელოდეს არასაქებური სახელწოდების მიღებას...

რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიას ყველა თავის პოლიტიკურ განცხადებაში უკვე მრავალჯერ განუმარტავს და ხაზგასმით აღუნიშნავს, რომ არჩევნების დროს ტაქტიკის შესახებ კამათის «ცენტრად» ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა ჩავთვალოთ ეგრეთწოდებული შავრაზმული საფრთხის საკითხი.

რატომ არ შეიძლება? იმიტომ, რომ მუშათა პარტიის ტაქტიკა არჩევნების დროს უნდა იყოს პროლეტარიატის სოციალისტური ტაქტიკის ზ ო გ ა დ ი ს ა ფ უ ძ ვ ლ ე ბ ი ს მხოლოდ გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ა ერთი კერძო შემთხვევისათვის. არჩევნები — ეს მხოლოდ ერთი და ამასთან არა ყველაზე მნიშვნელოვანი, არა ყველაზე არსებითი (განსაკუთრებით რევოლუციურ ეპოქაში) ასპარეზია სოციალისტური პროლეტარიატის ბრძოლისა თავისუფლებისათვის და ყოველგვარი ექსპლოატაციის მოსპობისათვის. საარჩევნო ბიულეტენების საშუალებით ბრძოლის გარდა არსებობს კიდევ, — და რევოლუ-

ციურ ეპოქებში აუცილებლად ჩაღდება, — სხვაგვარი ბრძოლა. აი ამ სხვაგვარი ბრძოლის დავიწყება სჩვევიათ იმ ინტელიგენტებს, რომლებიც თავის თავს განათლებულად სთვლიან და რომელთაც თავისუფლების თანაგრძნობა მარტოოდენ ენის წვერზე აკერიათ. მისი დავიწყება სჩვევიათ წვრილ მეპატრონეებს, რომლებიც განზე დგანან უაღრესად მძაფრი და ყოველდღიური ბრძოლისაგან კაპიტალისა და მისი დამქაშების წინააღმდეგ. მაგრამ ამ ბრძოლას არ ივიწყებს პროლეტარი.

და ამიტომ შეგნებული პროლეტარისათვის არჩევნების დროის ტაქტიკა შეიძლება იყოს მხოლოდ მისი ზოგადი ტაქტიკის შეგუება განსაკუთრებულ, სახელდობრ საარჩევნო ბრძოლასთან და არავითარ შემთხვევაში არ იქნება მისი ტაქტიკის საფუძვლების შეცვლა, არც ამ ტაქტიკის «ცენტრის» გადანაცვლება.

რევოლუციის დროს სოციალისტური ტაქტიკის საფუძვლები იმაში მდგომარეობს, რომ მოწინავე კლასი, პროლეტარიატი, სათავეში ედგას სახალხო რევოლუციას (რუსეთის ახლანდელი რევოლუცია ბურჟუაზიული რევოლუციაა იმ აზრით, რომ ხალხისათვის მთელი თავისუფლებისა და მთელი მიწის მოპოვება სულაც არ გვიხსნის ბურჟუაზიის ბატონობისაგან; ცხადია, რევოლუციის ასეთი საზოგადოებრივ-ეკონომიური ხასიათი ხელს არ უშლის მას იყოს სახალხო რევოლუცია). ამიტომ მოწინავე კლასმა განუხრელად უნდა ამხილოს მთელი მასების წინაშე საზოგადოდ ძველ ხელისუფლებასთან მოლაპარაკებისა და შეთანხმების ყოველგვარი იმედის სიყალბე, კერძოდ მიწის საკითხში მემამულეებისა და გლეხების შეთანხმების იმედის სიყალბე. მოწინავე კლასმა დამოუკიდებლად უნდა გაატაროს მტკიცე ბრძოლის ხაზი, მხარი დაუჭიროს მხოლოდ იმათ, ვინც ნამდვილად იბრძვის, მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ისინი იბრძვიან.

ასეთია სოციალისტური ტაქტიკის საფუძვლები, რომლებიც მუშათა პარტიას უკარნახებენ კლასობრივ დამოუკიდებ-

ლობას, როგორც წესს, თანამშრომლობასა და შეთანხმებას მხოლოდ რევოლუციურ ბურჟუაზიასთან და მხოლოდ როგორც გამონაკლისს.

ლიბერალებს არ ესმით ს.-დ. ტაქტიკის ეს საფუძვლები. მათთვის უცხოა კლასობრივი ბრძოლის იდეა, მათ აფრთხობს გარიგება-მოლაპარაკების დაპირისპირება სახალხო რევოლუციასთან. მაგრამ სოციალ-დემოკრატები პრინციპულად ყ ვ ე ლ ა ნ ი, — ბოლშევიკებიც და მენშევიკებიც კი, აღიარებენ ამ ტაქტიკის საფუძვლებს. ბატონ ტრუდოვიკებს, რომელთაც მოუნდომებიათ პოლიტიკური ორგანოს გაძღოლა და ამავე დროს ანაბანაც არ იციან სოციალიზმის თანამედროვე ტაქტიკურ საკითხებში, შეუძლ»ათ ამის შესახებ წაიკითხონ თუნდ ს.-დ. პარტიის საარჩევნო პლატფორმაში, — ც. კ.-ში გაბატონებული მენშევიკების პლატფორმაში.

«მოქალაქენო, — ამბობს ეს პლატფორმა, — სათათბიროში უნდა ავირჩიოთ იმისთანა კაცები, რომელთაც არა მარტო სურთ რუსეთისთვის თავისუფლება, არამედ სწადიათ დაეხმარონ სახალხო რევოლუციას ამ თავისუფლების მოპოვებაში... პირველი სათათბიროს უმრავლესობა, რომელსაც «სახალხო **თავისუფლების»** პარტია ხელმძღვანელობდა, იმედოვნებდა, რომ თავისუფლებასა და მიწას მთავრობასთან მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით მოიპოვებდა... მაშ აირჩიეთ, მოქალაქენო, რევოლუციის მებრძოლნი, რომელნიც თქვენთან ერთად განაგრძობენ გასული (1905) წლის იანვარში, ოქტომბერსა და დეკემბერში დაწყებულ დიად საქმეს».

«ცენტრი კამათისა», რომელსაც ვერაფერი გაუგეს ჩვენმა ტრუდოვიკებმა, იმაში მდგომარეობს, პ რ ი ნ ც ი პ უ ლ ა დ დასაშვებია თუ არა კადეტებთან შეთანხმება ა მ თ ვ ა ლ ს ა ზ რ ი ს ი თ. ამ კითხვაზე პეტერბურგის ს.-დ. კონფერენციამ, სრულიად რუსეთის კონფერენციის (რსდმპ) 14 დელეგატის მსგავსად, უარყოფით უპასუხა. შეთანხმება დაუშვებელია იმ პარტიასთან, რომელიც ძველ ხელისუფლებასთან მოლაპარაკებას მართავს და მას ურიგდება. «სახალხო რევოლუციაში»

კადეტები არ შეიძლება მოკავშირეები იყვნენ. მათი შეერთება «რევოლუციის მებრძოლებთან» კი არ აძლიერებს, არამედ ასუსტებს მებრძოლთ, რომელთა საქმეს აფერხებენ კადეტები, ახლა რომ აშკარად გამოდიან ბრძოლის წინააღმდეგ, ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი რევოლუციური ლოზუნგის წინააღმდეგ.

ჩვენმა მსაჯულებმა რომ კადეტებისადმი ბოლშევიკური სოციალ-დემოკრატიის ეს პ რ ი ნ ც ი პ უ ლ ი დამოკიდებულება ვერ შეამჩნიეს, ამით «სპილო» ვერ შეამჩნიეს.

ეს ტრუდოვიკები სავსებით იმყოფებიან ლიბერალური ბურჟუაზიის იდეური გავლენის ქვეშ. მათთვის არჩევნებმა დაჩრდილეს ყველაფერი, არჩევნების შედეგებმა დაჩრდილეს საარჩევნო კამპანიის მსვლელობაში მ ა ს ე ბ ი ს გათვითცნობიერების საქმე. მათ წარმოდგენა არა აქვთ იმაზე, რომ საარჩევნო აგიტაციის სრულ სიცხადეს, გარკვეულობას, მკაფიობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს თავისი პრინციპების ერთგული სოციალ-დემოკრატისათვის, რომელიც ერთგული დარჩება თავისი რევოლუციური პოზიციისა, თუნდაც მას სათათბიროში ადგილის მიღების პერსპექტივით ხიბლავდნენ, თუნდაც მას სატახტო ქალაქში სათათბიროს უმანდატოდ დარჩენის პერსპექტივით აშინებდნენ. ტრუდოვიკებმა კი დაივიწყეს ყველა პრინციპი, დაივიწყეს რევოლუციის ყველა ძირითადი ამოცანა; ისინი გაჰყვნენ ლიბერალურ ორომტრიალს: ველარაფერს ხედავენ, არაფერი ესმით, არაფერზე არ ზრუნავენ და ლუღლუღებენ მხოლოდ — «ერთი ადგილი, ორი ადგილი, სამი ადგილი!»

...«საკითხის ცენტრია... არსებობს თუ არა პეტერბურგში შავრაზმული საფრთხეო»...

ამრიგად, შავრაზმულ საფრთხეს თქვენ სახავთ მთავრობის მიერ გაყალბებულ არჩევნებში შავრაზმელთა გამარჯვების საფრთხედ! გაიგეთ, ბატონებო, რომ საკითხის ა ს ე დაყენებით თქვენ მთავრობას უკვე საბოლოოდ გამარჯვებულად სთვლით, ხოლო თავისუფლების საქმეს, რომელზედაც თქვენ ლაყბობთ, უკვე საბოლოოდ წაგებულად! თქვენ თვითონ ვერ

ხედავთ და ხალხის მასებსაც ხელს უშლით დაინახონ ის რ ე ა ლ უ რ ი შავრაზმული საფრთხე, რომელიც მჟღავნდება არა კენჭისყრაში, არამედ კენჭისყრის პირობების განსაზღვრაში (სენატის განმარტებანი და 11 დეკემბრის საარჩევნო კანონის განზრახული გაუქმება), კენჭისყრის შედეგების მოსპობაში (სათათბიროს გარეკვა). თქვენ მთლად დგებით უგვანო ლიბერალურ თვალსაზრისზე, როცა ზღუდავთ თქვენს განზრახვებს, — და თქვენს მიერ გზააბნეული ხალხის მასების განზრახვებს კანონის ნიადაგზე ბრძოლით, — კანონისა, რომელიც გაყალბებულია და რომელსაც ახლაც აყალბებენ. შავრაზმულ საფრთხეს ყველა ამრჩევლის შესაძლებელი დაპატიმრების სახით თქვენ ვერ ხედავთ. იმას, რაც თქვენზე და მთლად თქვენზეა დამოკიდებული, — იმას, რაც იძლევა ყოველ შემთხვევაში რევოლუციის მტკიცე და არსებითს მონაპოვარს, სახელდობრ: მასების რევოლუციური შეგნების განვითარებას ბოლომდე მტკიცე აგიტაციით, — იმას თქვენ ჰკარგავთ. ხოლო ის, რასაც თქვენ გინდათ გამოეკიდოთ, დამოკიდებულია სტოლიპინის ოინებზე, სენატის ახალ განმარტებაზე, არჩევნების კანონის ახალ პოლიციურ დარღვევაზე. მაშასადამე, თქვენ სწორედ ისევე ებრძვით «შავრაზმულ საფრთხეს», როგორც ფრანგი ბურჟუაზიული რესპუბლიკელები ებრძვიან მონარქიულ საფრთხეს: სახელდობრ — რესპუბლიკაში მონარქიულ დაწესებულებათა და მონარქიული კონსტიტუციის განმტკიცების საშუალებით. ვინაიდან, როცა ხალხს უნერგავთ აზრს, რომ შავრაზმული საფრთხე მდგომარეობს შავრაზმული კენჭისყრის საფრთხეშიო, ამით თქვენ უფრო განამტკიცებთ სრულიად განუვითარებელი მასების უმეცრებას შავრაზმული საფრთხის ნამდვილი სათავისა და ნამდვილი ხასიათის შესახებ.

მაგრამ განვაგრძოთ. ვთქვათ, აღარ იქნება სენატის შემდგომი განმარტებანი არჩევნებისა და ამრჩევლების შესახებ. გადავიდეთ ახლანდელი საარჩევნო სისტემის მიხედვით პეტერბურგში კენჭისყრის დროს ამა თუ იმ პარტიის გამარჯვების საკითხზე.

ტრუდოვიკები ვერ უარყოფენ, რომ მემარჯვენე პარტიებს ძალიან გატეხილი აქვთ სახელი, რომ 17 ოქტომბრის კავშირი ერთიმეორეზე უფრო სამარცხვინო დამარცხებას განიცდის, რომ «უკანასკნელ დროს ოქტიაბრისტები, დარეტიანებულნი მძიმე დარტყმით, რაც მათ მარცხნიდან აგემეს, სულ მიყუჩდნენ», რომ «საზოგადოება გამემარცხენდა».

მაგრამ... შჩედრინი დიდი ხანია უკვე სთარგმნის ყველას გასაგებ ენაზე ამ ლიბერალურ რუსეთულ «მაგრამს», — არ იზრდება ყურები შუბლს ზემოთ, არ იზრდება! — მ ა გ რ ა მ «ტექნიკური დაბრკოლებანი», «ლიტერატურას არ გვიგზავნიან», «ბიულეტენებს არ იძლევიან», «პოლიციური შევიწროებანი»...

აი როგორია რუსეთელი ინტელიგენტის ფსიქოლოგია: სიტყვით ის მამაცი რადიკალია, საქმით კი ფლიდი მოხელეა.

პოლიციურ შევიწროებათაგან უნდა გვიხსნას ბლოკმა კადეტებთან! რატომ ოქტიაბრისტებთან არა, რომელთაც კონსტიტუცია «უ ნ დ ა თ» და რომელნიც «შევიწროებათაგან» გარანტირებულნი არიან? ჭეშმარიტად, რუსეთული პოლიტიკური ლოგიკაა: საარჩევნო შეთანხმება, როგორც საშუალება ლიტერატურის ფოსტით გაუგზავნელობის წინააღმდეგ, ბიულეტენების გაუცემლობის წინააღმდეგ ბრძოლისა... რის წინააღმდეგ იბრძვით, ბატონებო?

— იმ «კანონების» წინააღმდეგ, რომელთა საფუძველზედაც ხდება პოლიციური უმსგავსოებანი და «არაკანონიერად» ცხადდება ცნობილი პარტიები და ბიულეტენებს ვერ ღებულობენ. — მერე როგორ იბრძვით?

— რასაკვირველია, იმ პარტიასთან შეთანხმების საშუალებით, რომელიც ან მიიღებს ბიულეტენს მშვიდობიანი განმაახლებლებისაგან, ან კიდევ მოურიგდება სტოლიპინს სათათბირომდე, ანდა თვითონაც უბიულეტენებოდ დარჩება!

რუსი მოხელე (20 წლისა რადიკალი, 30-ისა ლიბერალი, 40-ისა ჩვეულებრივი მოხელე) მიჩვეულია ილიბერალოს ოთხ კედელს შუა და მუშტი ჯიბეში გვაჩვენოს. საარჩევნო კამპა-

ნიასაც ის ამ ჯიბეში დამალული მუშტის თვალსაზრისით უყურებს. საჭიროა თუ არა გავლენა მოვახდინოთ მასებზე? აბა, რას ამბობთ, ფოსტა ხომ არ გზავნის ჩვენს ლიტერატურასაო.

ხომ არ არის საჭირო გამოვცეთ და გავავრცელოთ ლიტერატურა «ფოსტისა» და მის მსგავს დაწესებულებათა დამოუკიდებლად?

— აბა, რას ამბობთ! ეს ძველი რევოლუციური ილუზიებია, რომლებიც არ შეეფერება «ფართო» კონსტიტუციურ მუშაობას. ფართო კონსტიტუციური მუშაობა ისაა, რომ უფროსები მოვატყუო: «ისინი» ძებნას დამიწყებენ სოციალ-დემოკრატებსა თუ ს.-რ.-ებში, მე კი კადეტურ სიაში ისე დავიმალები, რომ ვერ მომძებნიან! მთავრობა დამიწყებს ძებნას, როგორც რევოლუციონერს, მე კი მოვატყუებ მთავრობასაც და რევოლუციონერებსაც, გადავბარგდები «ოპოზიციურ ბლოკში». აი რა მოხერხებული ვარ!

— მაგრამ აქედან ხომ შეიძლება ის გამოვიდეს, — ჰოი, პატივცემულო პოლიტიკურო მოღვაწევ, — რომ თქვენ მოატყუებთ მასებსაც, რომლებიც თქვენ ვეღარ გაგარჩევენ მუხლმოდრეკილი ლიბერალების «ოპოზიციისაგან»?

— აბა, რას ამბობთ! რა მასებზე ლაპარაკობთ... დავუთმობთ ადგილს მუშათა კურიას, და ის იქნება... და მერე, განსაზღვრული თვალსაზრისით ჩვენ ყველანი თავისუფლებას ვემხრობით... რევოლუცია საერთო-ნაციონალური გახდა... კადეტებიც მზად არიან თავისებურად იბრძოლონო...

ერთი ვიკითხოთ: პ ო ლ ი ც ი უ რ მოსაზრებათა გარდა აქვთ თუ არა ჩვენს ტრუდოვიკებს პოლიტიკური მოსაზრებანი? აქვთ. ეს მოსაზრებანი იმაში მდგომარეობს, რომ უნდა შევეგუოთ არა ენერგიულსა და მოძრავს, არამედ შინმოკეცილ, დაბეჩავებულ ან მძინარა ამომრჩეველს. აბა ყური დაუგდეთ, როგორ მსჯელობს «მემარცხენე» გაზეთი:

«მიტინგების სულისკვეთების მიხედვით ჯერ კიდევ არ შეიძლება ვიმსჯელოთ ამომრჩეველთა მთელი მასის სულისკვეთებაზე... მიტინგებს

ესწრება ყველა ამომრჩევლის არა უმეტეს $^1/_{10}$ ნაწილისა, რომელიც, რა-საკვირველია, ყველაზე ენერგიული, ცოცხალი და მოძრავი ხალხია».

ჭეშმარიტად, საკმარისი საფუძველია იმისა, რომ კუდში მისდიონ ყველაზე უენერგიო, ყველაზე მკვდარ, უმოძრაო კადეტურ ამომრჩევლებს! რუსეთელი რადიკალის ტრაგედიაა: ის მთელი ათეული წლები ოხრავდა მიტინგებზე, თავისუფლებაზე, ინთებოდა (სიტყვით) თავისუფლებისადმი გააფთრებული მგზნებარებით, — მოხვდა თუ არა მიტინგზე, დაინახა, რომ სულისკვეთება უფრო მემარცხენეა, ვიდრე მისი საკუთარი სულისკვეთება, და მოიწყინა: «ძნელია თქმა», «არა უმეტეს $^1/_{10}$-ისა», «ძეტი სიფრთხილე, ბატონებო!» სწორედ ისე, როგორც ტურგენევის ფიცხი გმირი, რომელიც ასიას გაექცა და რომლის შესახებაც ჩერნიშევსკი წერდა: «რუსი კაცი **rendez-vous»-ზე** *.

ხართ, რაღა, თქვენცა... მშრომელი მასის მომხრეებად რომ მოგაქვთ თავი! რა თქვენი საქმეა რევოლუციასთან **rendez-vous**-ზე წასვლა, — შინ ისხედით; მერწმუნეთ, უფრო წყნარად იქნებით; საქმეც არ გექნებათ ამ საშიშარ «ყველაზე ენერგიულ და მოძრავ, ცოცხალ ადამიანებთან». თქვენი შესაფერი არიან უმოძრაო ობივატელები!

იქნებ, ახლა მაინც მიხვდეთ უბრალო მაგალითით, თუ რაშია «კამათის ცენტრი» კადეტებთან შეთანხმების გამო?

სახელდობრ იმაში, დიდად პატივცემულო, რომ ჩვენ გვინდა ობივატელი შევანჯღრიოთ და მოქალაქედ გადავაქციოთ. ამისათვის კი საჭიროა ვ ა ი ძ უ ლ ო თ იგი ა რ ჩ ე ვ ა ნ ი მ ო ა ხ დ ი ნ ო ს (ფუ! ფუ!) «კონსტიტუციის» წინაშე მონურად ქედმოხრილი კადეტის ობივატელურ პოლიტიკასა და სოციალისტური პროლეტარიატის რევოლუციურ პოლიტიკას შორის.

«ყველა მემარცხენე პარტიის ბლოკი» არის «ერთი მეათედი ყველაზე ენერგიული და ცოცხალი, მოძრავი ხალხის» ჩ ა ძ ი რ ვ ა გულგრილთა, წყნართა, მძინარეთა მასაში, არის ბრძოლის

* — პაემანი. რ ე დ.

მსურველთა (და გადამწყვეტ წუთში მ ა ს ე ბ ი ს გაყოლიების უნარის მქონეთა) დ ა მ ო რ ჩ ი ლ ე ბ ა იმათთვის, ვისაც სურს ისევე უხამსად ლოიალობა, როგორც პირველ სათათბიროში კადეტები ლოიალობდნენ — ვისაც სურს კადეტ ლვოვსავით ევაჭროს სტოლიპინს და უმსგავსად გადავიდეს მის მხარეზე.

რეაქციამ შემოგიტიათ, მან უკვე წაგართვათ ოქტომბრის მონაპოვართა მთელი მესამედი, ის დანარჩენი ორი მესამედის წართმევასაც გემუქრებათ. თქვენ კი წესრიგის ადამიანებად მოგაქვთ თავი, თავს იცავთ იმით, რომ ობივატელურ ფსიქიკას მიმართავთ: არავითარი შეტევა, არავითარი რევოლუცია, სათათბიროში მივდივართ საკანონმდებლოდ, თ ა ვ დ ა ც ვ ა ს ვჯერდებით, კანონის ნიადაგზე ვდგავართო!

როდის მიხვდებით თქვენ, რომ თუ თავდაცვას დასჯერდებით, ეს უკვე თავის თავის მორალურად დამარცხების აღიარებას ნიშნავს? და თქვენ მართლაც მორალურად დამარცხებული ადამიანები ხართ. თქვენ მხოლოდ იმისათვის ვარგიხართ, რომ კადეტს მისცეთ თქვენი ხმები.

«ვ ა ი ძ უ ლ ო თ ობივატელი არჩევანი მოახდინოს», — ვთქვით ჩვენ. სწორედ, ვ ა ი ძ უ ლ ო თ. ქვეყნად არც ერთს სოციალისტურ პარტიას არ მოუხერხებია გამოეგლიჯა მასები ობივატელურ ფსიქიკაზე დამყარებული ლიბერალური თუ რადიკალური ბურჟუაზიული პარტიების გავლენისაგან ერთგვარი მუჯლუგუნის წაუკრავად, ერთგვარი წინააღმდეგობის გაუწევლად, პ ი რ ვ ე ლ ი ცდის რისკის გაუწევლად: ვინ იცავს ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ თავისუფლებას, კადეტები თუ ჩვენ?

თუ კადეტთან შეთანხმებაა, ობივატელმა ამაზე ა რ უ ნ დ ა იფიქროს. მის მაგივრად საქმე უკვე მოიფიქრეს რადიკალურ მოლაყბეთა და ს.-დ. ოპორტუნისტთა პოლიტიკანებმა, მოიფიქრეს კადეტებთან **rendez-vous**-ზე. ობივატელი გამემარცხენდა (არა ჩვენი მიზეზით, არა ჩვენი პ ა რ ტ ი უ ლ ი ქადაგებით, არამედ სტოლიპინის გულმოდგინების მეოხებით), ობივატელი გამემარცხენდა, — და ეს ჩვენთვის საკმარისია.

გამემარცხენდა, მაშასადამე, მიემხრობა «ყველა მემარცხენეთა ბლოკს»! ეს იქნება მ თ ე ლ ი ობივატელური მასა და არა რაღაც ერთი მეათედი მოუსვენარი... უკაცრავად, მოძრავი... ადამიანებისა. საჭიროა როგორც კრებები, ისე მთელი პოლიტიკა შევუფარდოთ დამფრთხალ ობივატელს, — ა ი რ ა ს ნ ი შ ნ ა ვ ს ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ კ ა დ ე ტ ე ბ თ ა ნ ბ ლ ო კ ი.

ჩვენ კი ვამბობთ: საჭიროა არა მარტო ფურცლები და პლატფორმები, არა მარტო რეზოლუციები და სიტყვები, არამედ მთელი პოლიტიკა და საარჩევნო კამპანია ვაწარმოოთ ისე, რომ დამფრთხალ ობივატელს გაბედული მებრძოლი დ ა ვ უ პ ი რ ი ს პ ი რ ო თ. და ეს დაპირისპირება შეიძლება მოხდეს მ ხ ო ლ ო დ ო რ ი ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა — კადეტური და სოციალ-დემოკრატიული — სიის დაპირისპირებით. სატახტო ქალაქში, რომლის პრესა მთელ რუსეთს ეფინება, სატახტო ქალაქში, სადაც თავმოყრილია ყველა პარტიის ცენტრები, — სატახტო ქალაქში, რომელიც იდეურ-პოლიტიკურად ხელმძღვანელობს მთელ ჩვენს ქვეყანას, — ათასჯერ უფრო მნიშვნელოვანია მივცეთ მაგალითი არა ობივატელური უდარდელობის პოლიტიკისა, არამედ ოქტომბრის იმ მებრძოლის ღირსი პოლიტიკისა, რომელმაც თავისუფლების ნაწილი მოიპოვა, — მივცეთ მაგალითი პროლეტარიატის ღირსი პოლიტიკისა.

ჩვენი ფრაზები «მშვიდობისმოყვარე» კადეტური სათათბიროს შეცდომათა აღიარების აუცილებლობის, შემდგომი ნაბიჯის გადადგმის აუცილებლობის შესახებ, — ცარიელ ფრაზებად დარჩება, თუ ჩვენ თ ვ ი თ ო ნ არ გადავდგამთ წ ი ნ ნ ა ბ ი ჯ ს ობივატელური, ობლომოვური იდეის წინააღმდეგ: «ყველა მემარცხენე პარტიის ბლოკის» წინააღმდეგ. ჩვენი მოწოდება, რომ წინ წავიდეთ, ყალბი იქნება და ვერ აანთებს სახალხო მებრძოლთა გულს, თუ ჩვენ თვითონ, «ხელმძღვანელები», «ბელადები», რუსეთის ყველა ეროვნების თვალწინ სატახტო ქალაქში დავიწყებთ ე რ თ ი ა დ გ ი ლ ი ს ტ კ ე პ ნ ა ს: ტკეპნას ხელიხელჩაკიდებულნი იმავე კადეტებთან, ადგილების «შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ უ ლ ი» განაწილების საფუძ-

ველზე, სიამტკბილობით, ყველანი ერთად, ყველანი ერთი საქ-მისათვის, ყველანი თავისუფლებისათვის... რაღა დარჩა კიდევ სადავიდარაბო? მერე რა ვუყოთ, თუ ოდესღაც მენშევიკმა ივანე ივანეს-ძემ კადეტს ივანე ნიკიფორეს-ძეს ღერღეტი უწოდა?

«...მიტინგებს ესწრება ხოლმე ყველა ამომრჩევლის არა უმეტეს ერთი მეათედისა»... კეთილი და პატიოსანი, ბატონო რადიკალო. ზეპირად დაგიჯერებთ, გამონაკლისის სახით, — ამას გითმობთ იმისათვის... იმისათვის, რომ ასე უხეიროდ ასა-ბუთებთ თქვენს მოსაზრებებს.

ამომრჩეველთა ერთი მეათედი, ეს 13 000 შეადგენს 130 000-დან მთელს პეტერბურგში. ეს ცამეტი ათასი ყველა-ზე ენერგიული და ცოცხალი, მოძრავი ამომრჩეველი უფრო მემარცხენედ არის განწყობილი, ვიდრე კადეტები. ახლა ვი-კითხოთ: შეიძლება კაცმა ამტკიცოს, თუ საღ ჭკუაზეა და მტკიცე მეხსიერება აქვს, რომ მიტინგების ენერგიული დამსწ-რენი არ გაიყოლიებენ ნაკლებ ენერგიულ შინმო-კეცილ ამომრჩეველთა განსაზღვრულ რაოდენობას? ყველას ესმის, რომ ამის დაშვება შეუძლებელია, რომ მი-ლიონნახევრიან ქალაქში, გაზეთებსა და კრებებს გარდაც, ათასნაირი სხვადასხვა გზა და არხია, რომელთა საშუალებით მოწინავეთა სულისკვეთება მთელ მასას ედება. ყველას ეს-მის, — და ამას ადასტურებს ყველა ქვეყნის ყველა არჩევნე-ბი, — რომ თვითეულ ენერგიულ, მიტინგის დამსწრე ამომრ-ჩეველზე არა ერთი, არამედ რამდენიმე შინმოკეცილი ამომრ-ჩეველი მოდის.

წარსულ არჩევნებში 150 000 პეტერბურგელი ამომრჩევ-ლიდან ხმა მისცა 60 000-მა. აქედან დაახლოებით 40 000-მა კადეტებს, 20 000-მა — მემარჯვენეებს მთელ პეტერბურგში. ჩვენ გავიგონეთ, ჩვენებური ბ-ნი რადიკალისაგანვე, რომელ-საც არ სურს «ოპტიმისტი» იყოს... (ღმერთმა დაიფაროს! ჩვე-ნებურ რადიკალებს სურთ «დარბაისელი ადამიანები» იყვ-ნენ,... გასული საუკუნის 40-იანი წლების გერმანელი რადიკა-

ლების მსგავსად)... მისგან გავიგონეთ, რომ ოქტიაბრისტები სულ მიყუჩდნენ, და ჩვენ ფ ა ქ ტ ე ბ ი თ ვიცით მათი სრული დამარცხება. ახლა ჩვენ გვესმის კადეტებზე უფრო მემარცხენედ განწყობილი 13 000 ენერგიული ამომრჩევლის ამბავი. დაფიქრდით იმაზე, რომ ამ ციფრების თანაფარდობა ძალიან იცვლება ცალკეული უბნების მიხედვით. დაფიქრდით იმაზე, თუ რამდენი ხმა უმაგრებს ზურგს ჩვეულებრივ იმ ამომრჩეველს, რომელიც მიტინგებს ესწრება.

თქვენთვის აშკარა გახდება, რომ პეტერბურგში შავრაზმული კენჭისყრის საფრთხე, სათათბიროში მემარჯვენეთა გასვლის საფრთხის აზრით, კადეტებისა და სოციალისტების ხმების დაქსაქსვის გამო, უ ა ზ რ ო ლ ა თ ა ი ე ბ ი ა. სათათბიროში პეტერბურგიდან მემარჯვენეები რომ გავიდნენ, ამისათვის აუცილებელია, რათა უბნების უ მ ე ტ ე ს ნ ა წ ი ლ შ ი ხმები დაიქსაქსოს არათუ საზოგადოდ, არამედ დაიქსაქსოს სწორედ ისე, რომ, რ ო გ ო რ ც კადეტებს, ი ს ე სოციალისტებს ცალ-ცალკე ნაკლები ხმა ჰქონდეთ, ვიდრე შავების სიას აქვს. ეს აშკარა უაზრობაა.

და ამიტომ ჩვენ პირდაპირ ვამბობთ: თუ შავრაზმული საფრთხე «კონსტიტუციის» გ ა რ ე მ ხ რ ი დ ა ნ არ მოგვევლინა (ხოლო სწორედ ა მ მხარის შეფასებაა კადეტებისა და სოციალისტების სხვადასხვა ტაქტიკის სიმძიმის ცენტრი), მაშინ კადეტებისა და სოციალისტების ხმების დაქსაქსვას ა რ შ ე უ ძ ლ ი ა მიანიჭოს გამარჯვება მემარჯვენეებს პეტერბურგში.

პეტერბურგის არჩევნების შავრაზმული შ ე დ ე გ ი ს საშიშროება ხ ა ლ ხ ი ს მ ო ტ ყ უ ე ბ ა ა, რასაც ავრცელებენ კადეტები, «რადიკალები» და ყოველგვარი ოპორტუნისტები და რაც ემსახურება ო ბ ი ვ ა ტ ე ლ ო ბ ი ს ინტერესებს პოლიტიკაში. ა მ შავრაზმული საფრთხის ზღაპარი ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ კადეტების ინტერესებს ემსახურება, — ეს ხელს უწყობს კადეტებს დაიცვან თავი მ ე მ ა რ ცხ ე ნ ე სა ფ რ თ ხ ი ს ა გ ა ნ, — ა ჩ ლ უ ნ გ ე ბ ს მასებს, რომლებსაც

არ აიძულებენ თვით კენჭისყრის აქტში გაარჩიონ «კანონმდებელი» კადეტი-ბურჟუა სოციალისტისაგან, რომელიც ხალხს მიუძღვის საბრძოლველად.

და ამიტომ, როდესაც ლიბერალების, ტრუდოვიკებისა და ს.-დ. ოპორტუნისტების საერთო ხორო აცხადებს ჩვენს შესახებ: თქვენ განმარტოებულნი ხართო! — ჩვენ დამშვიდებით ვუპასუხებთ: ჩვენ დიდად მოხარულნი ვართ, რომ განვმარტოვდით მოტყუებისაგან. ჩვენ დიდად მოხარულნი ვართ, რომ განვმარტოვდით ბინძური საქმისაგან. ვინაიდან პეტერბურგიდან, 1905 წ. 9 იანვრის შემდეგ, 1905 წ. ოქტომბრის შემდეგ, ამომრჩეველთა 130-ათასიანი მასის თვალწინ სათათბიროში კუტლერების, ნაბოკოვების, სტრუვეებისა და კომპ. გაყვანა უეჭველად ბინძური საქმეა.

ჩვენ ვუწინასწარმეტყველებთ ტრუდოვიკებსა და ს.-დ. ოპორტუნისტებს, რომელნიც წინდაწინვე ზეიმობენ, რომ კადეტები სათათბიროში მათ გაათრევენ და არა ბოლშევიკებს, — ჩვენ ვუწინასწარმეტყველებთ მათ, რომ თუ მეორე სათათბირო კადეტური იქნება, მათ, ტრუდოვიკებსა და ს.-დ. ოპორტუნისტებს შ ე რ ც ხ ვ ე ბ ა თ სათათბიროში კადეტების გაყვანის გამო. ახლა ისინი პ ი რ დ ა პ ი რ პასუხისმგებელნი იქნებიან ამისათვის. ხოლო კადეტები მეორე სათათბიროში იმდენად წავლენ მარჯვნივ (ამას გვიჩვენებს მთელი მათი უკანასკნელი წლის მოქმედება და მთელი მათი პოლიტიკური ლიტერატურა), რომ მათი მხილება დასჭირდებათ თვით უკიდურეს ოპორტუნისტებსაც კი. პირველ სათათბიროში კადეტმა ლვოვმა პირი იბრუნა მშვიდობიანი განმაახლებლებისაკენ და სათათბიროს შავრაზმული გარეკვის გამართლებისაკენ. მეორე სათათბიროში (თუ ისტორიამ მძაფრი შებრუნება არ მოახდინა, რითაც გაცამტვერდება ყოველგვარი წვრილმანი გარიგება კადეტებთან და ყველა კადეტი), კადეტი ლვოვები II სათათბიროში დაგვანახვებენ, რანიც არიან ბოლოს კი არა, არამედ თავიდანვე.

მაშ მიიღეთ, ბატონებო, სათათბიროს ადგილები კადეტებისაგან! ჩვენ თქვენი არა გვშურს. ჩვენ ვიკისრებთ იმას, რომ გავაფრთხილოთ მუშები და სატახტო ქალაქის წვრილბურჟუაზიული მასა. ჩვენ ვიკისრებთ და განვავითარებთ ამ მასაში — არა მარტო წარმოთქმული სიტყვებით, არამედ თვით არჩევნების საშუალებითაც, — იმ უ ფ ს კ რ უ ლ ი ს შეგნებას, რომელიც ძევს კადეტებსა და სოციალისტებს შორის.

ყველას თავისი მიეზღვის, — ხოლო «ამ ორი ხელობის ერთმანეთში არევის მსურველი მრავლისაგან მრავალია, ჩვენ მათ რიცხვს არ ვეკუთვნით »[124].

«და ისინი, — ნათქვამია «როდნაია ზემლიას» მოწინავე სტატიაში ბოლშევიკების შესახებ, — ახლა წინანდელზე უფრო განმარტებულნიც კი იქნებიან, რადგან წინანდელი ბოიკოტისტები, ესერები, დღეს არათუ ღებულობენ არჩევნებში მონაწილეობას, არამედ კადეტებთან ბლოკსაც კი ემხრობიან».

ახალი და საინტერესო ამბავია. ჩვენ ერთხელ როგორღაც უკვე აღვნიშნეთ, რომ მთელ საარჩევნო შეთანხმების საკითხში ესერები იქცევიან არა როგორც პოლიტიკური პარტია, არამედ როგორც ინტელიგენტური გროვა, ვინაიდან ამ საკითხზე მათი ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ე ბ ი ს აშკარა პოლიტიკური გამოსვლები ჩვენ არ გვინახავს. და ახლა, თუ გაზეთი, რომელშიც ბ-ნი ტანი წერს, აშკარა სიცრუეს არ ამბობს და შეუმოწმებელ ხმებს არ იმეორებს, — ჩვენ გავაკეთებთ შემდგომ დასკვნას, — სახელდობრ იმ დასკვნას, რომ ესერები საარჩევნო შეთანხმების საკითხში პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ა დ უ პ ა ტ ი ო ს ნ ო დ იქცევიან ან, ყოველ შემთხვევაში, ისე მერყეობენ, რომ პოლიტიკური საშიშროებისაგან ვერ განასხვავებ.

ყველამ და თვითეულმა იცის, რომ პეტერბურგის ს.-დ. ორგანიზაციის კონფერენციამ უარყო ბლოკი კადეტებთან და მ ა თ წ ი ნ ა ღ მ დ ე გ საარჩევნო შეთანხმება შესთავაზა ტრუდოვიკებსა და ესერებს. ჩვენი რეზოლუცია ყველა გაზეთში დაიბეჭდა.

რსდმპ პ. კ.-სა და ს.-რევ.-ებისა და შრომის ჯგუფის კომიტეტის სათანადო დაწესებულებებს შორის მოლაპარა-

კება უ კ ვ ე ი ყ ო. უთანხმოება ეხებოდა ჩვენს მიერ ენესების (ს.-ს. — «სახალხო სოციალისტები») გამორიცხვას და ადგილების რაოდენობას. და თუ, მ ი უ ხ ე დ ა ვ ა დ ა მ ი ს ა, ესერებმა, რომლებმაც მოლაპარაკება დ ა ი წ ყ ე ს ჩვენთან მას შ ე მ დ ე გ, რაც ჩვენ განვაცხადეთ, რომ კადეტებს აუცილებლად უნდა შეებრძოლოთ პეტერბურგშიო, — მაინც გ ა მ ა რ თ ე ს ან გ ა ნ ა გ რ ძ ე ს მოლაპარაკება კადეტებთან ბლოკის შესახებ, ცხადია, ესერები პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ა დ უ პ ა ტ ი ო ს ნ ო დ მოიქცნენ.

ჩვენ აშკარად ვამბობთ: მივდივართ კადეტებთან საბრძოლველად. ვინ არის ჩვენთან?

ესერები კი მოლაპარაკებას ეწევიან ჩ ვ ე ნ თ ა ნ ა ც და კ ა დ ე ტ ე ბ თ ა ნ ა ც!

ვიმეორებთ: ჩვენ არ ვიცით, მართალს ამბობს თუ არა «როდნაია ზემლიას» მოწინავე სტატია. სრულიად უყურადღებოდ დატოვება იმ ორგანოს პირდაპირი მტკიცებისა, რომელშიც წერს სახალხო სოციალისტების პარტიის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი — ბ-ნი ტანი, ჩვენ არ შეგვიძლია. ესერებისა და ენესების ბლოკის შესახებ ჩვენ ვიცით გაზეთებიდანაც და ესერების გადმოცემითაც ჩვენთან მოლაპარაკების დროს (თუმცა ამ ბლოკის პირობები და მისი ნამდვილი ხასიათი ჩვენ არ ვიცით: აქაც რაღაც ფარული თამაშია).

მაშასადამე, ჩვენი მოვალეობაა საჯაროდ და აშკარად დავაყენოთ საკითხი, რათა ყ ვ ე ლ ა მ იცოდეს ამა და ამ პოლიტიკური პარტიის მოქმედება. აქამდე ჩვენში პარტიების თანაფარდობა მხოლოდ პროგრამებისა და ლიტერატურის მიხედვით განისაზღვრებოდა, — ეს ხომ მხოლოდ სიტყვებია საბოლოო ანგარიშით. პირველმა სათათბირომ ზ ო გ ი ე რ თ ი პარტია გ ა მ ო ა ჩ ი ნ ა მათი ს ა ქ მ ი ა ნ ო ბ ი ს მიხედვით. ახლა ჩვენ ა რ ჩ ე ვ ნ ე ბ ი ც უნდა გამოვიყენოთ უსათუოდ და გამოვიყენებთ კიდეც მასების სრული გათვითცნობიერებისათვის პარტიების ნ ა მ დ ვ ი ლ ი ხასიათის შესახებ.

ესერები რომ რაღაცას მ ა ლ ა ვ ე ნ ენესებისადმი დამოკიდებულებაში, ეს ახლა პოლიტიკური ფაქტია. ესერები რომ

საქმით კუდში მისჩანჩალებენ მათგან გამოთიშულ ოპორტუნისტულ პარტიას, ესეც ფაქტია. მაშასადამე, სინამდვილეში ესერები რევოლუციური დამოუკიდებლობისა და გამბედაობის მხრივ გაცილებით უარესნი არიან, ვიდრე ჩანან. და თუ ისინი ბლოკს შეკრავენ კადეტებთან, — ისიც არა თავისი, არამედ ენესების ადგილის გულისათვის, — ჩვენ საუცხოო სააგიტაციო მასალა გვექნება, რომ პეტერბურგელ მუშებს განვუმარტოთ მარქსისტული დებულება წვრილბურჟუაზიული (თუნდაც რევოლუციური) პარტიების სრული უმტკიცობისა და მოჩვენებითი გარეგნულობის შესახებ.

ა ს ე თ ი პარტიებისაგან «განმარტოებას» ჩვენ ვთვლით არა მარტო სოციალ-დემოკრატის პატიოსნების საქმედ, არამედ ერთადერთ ანგარიშიან პოლიტიკადაც. მაგრამ ჩვენ ანგარიშს ვაწარმოებთ არა სათათბიროს ადგილების თვალსაზრისით, არამედ საერთოდ მ თ ე ლ ი მუშათა მოძრაობის თვალსაზრისით, სოციალიზმის ძირითადი ინტერესების თვალსაზრისით.

მაგრამ დავუბრუნდეთ «როდნაია ზემლიას». თუ რა ფუქსავატობას იჩენს ეს გაზეთი, ამას ცხადყოფს შემდეგი ფრაზა:

«საზოგადოდ ბოლშევიკების კონფერენციის დადგენილებანი, ეტყობა, ნაუცბადევად და წინდაუხედავადაა მიღებული. მართლაც, რით სჯობიან ტრუდოვიკები ენესებს?».

ეს «მართლაც», ჭეშმარიტად, უბადლოა. ავტორი ისეთი სრული უმეცარია პოლიტიკაში, რომ ვერც კი ამჩნევს, რომ ტიტვლიკანა დაიარება, — მთლად ავსტრალიელი ველურივით. და აი ესენი წვრილი ბურჟუაზიის განათლებული პოლიტიკოსები არიან!

მაგრამ რას ვიზამთ, უნდა შევუდგეთ პუბლიცისტის «წყეულ მოვალეობას»: დავუღეჭოთ და ანაბანა ვასწავლოთ.

ტრუდოვიკები, ე. ი. შრომის ჯგუფის კ ო მ ი ტ ე ტ ი, რომელსაც მიმართა სპბ-ის ს.-დ. კონფერენციამ, და ენესები წარმოიშვნენ პირველი სათათბიროს შრომის ჯგუფიდან. ამ შრომის ჯგუფში ორი ფრთა იყო: ოპორტუნისტული და რევოლუციური. მათ შორის არსებული განსხვავება ყველაზე თვალ-

ნათლივ შრომის ჯგუფის ო რ ი აგრარული პროექტის, — 104-თა პროექტისა და 33-თა პროექტის განსხვავებით გამოაშკარავდა.

ამ პროექტებში საერთოა 1) ის, რომ ორივე იცავს მემამულეთა მიწების გადასვლას გლეხთა ხელში; 2) ის, რომ ორივე მთლად გაჟღენთილია წვრილბურჟუაზიული უტოპიის სულისკვეთებით, სასაქონლო წარმოების საზოგადოებაში წვრილ მეურნეთა (თუნდაც რაოდენადმე) «გათანაბრების» უტოპიის სულისკვეთებით.

ეს პროექტები იმით განსხვავდებიან, რომ პირველს ახასიათებს წვრილი მესაკუთრის შ ი შ ი, ვაი თუ მოხდეს მეტისმეტად მძაფრი გადატრიალება, ვაი თუ ჩაებან მოძრაობაში ხალხის მეტისმეტად ფართო და მეტისმეტად ღარიბი მასები. 140-თა პროექტის ეს «სულისკვეთება» საუცხოოდ გამოხატა ერთერთმა მისმა ავტორმა და ენესების ლიდერმა, ბ-ნმა პეშეხონოვმა, რომელმაც დაიმოწმა «მეურნე გლეხების» განცხადება სათათბიროში: «ჩვენ გამოგვგზავნეს მიწის მისაღებად და არა მის გასაცემადაო». ეს იმას ნიშნავს, რომ ტრუდოვიკების ე ს ფრთა, წვრილბურჟუაზიული გათანაბრების უტოპიასთან ერთად, მკაფიოდ გამოხატავს გლეხობის უ ფ რ ო შ ე ძ ლ ე ბ უ ლ ი ნაწილის ა ნ გ ა რ ე ბ ი ა ნ ინტერესებს, — იმ ნაწილისა, რომელიც შიშობს, ვაი თუ (საყოველთაო «გათანაბრების» დროს, როგორც წარმოუდგენია სოციალიზმი წვრილ ბურჟუას) მე თვითონ მომიხდეს ვისთვისმე მიწის «მიცემაო». მემამულეს ჩამოვართვათ, მაგრამ პროლეტარს არ მივცეთ, — აი მეურნე გლეხების პარტიის ლოზუნგი.

33-თა პროექტი კი მოითხოვს მიწის კერძო საკუთრების დაუყოვნებლივ და სრულ გაუქმებას. «გათანაბრების» უტოპია აქაც არის და ისეთივე მასშტაბით, მხოლოდ «გაცემის» შიში არა ჩანს. ეს არის უტოპია არა ოპორტუნისტული, არამედ რევოლუციური წვრილი ბურჟუასი, არა მეურნე გლეხისა, არამედ გაჩანაგებული გლეხისა, არა ოცნება მემამულისაგან გამდიდრებისა, პროლეტარის ანგარიშზე, არამედ ოცნება ყველას გაბედნიერებისა, — მათ შორის პროლეტარებისაც, —

გათანაბრების საშუალებით. ეს როდია შიში მოძრაობაში ყველაზე ფართო და ყველაზე ღარიბი მასების ჩაბმისა, არამედ სურვილია ჩააბან ისინი ბრძოლაში (სურვილი, რომელსაც თან არ ახლავს მოხერხება და საქმის ცოდნა) *.

სათათბიროს შემდეგ ტრუდოვიკების ორი მიმდინარეობის განსხვავებამ წარმოშვა ორი სხვადასხვა პოლიტიკური ორგანიზაცია: შრომის ჯგუფის კომიტეტი და ენესების პარტია. პირველმა ორგანიზაციამ რუსეთის რევოლუციის ისტორიაში საპატიო ადგილი მოიპოვა თავისი ივლისის მოწოდებებით. დღევანდლამდე, რამდენადაც საზოგადოებამ იცის, მას ეს თავისი კარგი სახელი არ შეუბღალავს, არსად მოწოდებებზე უარი არ უთქვამს, მოწუწუნეთა, მობუზღუნეთა და რენეგატთა ხოროში მონაწილეობა არ მიუღია.

მეორე ორგანიზაციამ კი სწორედ სათათბიროს გარეკვის პერიოდი გამოიყენა იმისათვის, რომ სტოლიპინის რეჟიმის დროს ლეგალიზებულიყო, — რათა ლეგალურ პრესაში, ე. ი. მემარცხენეთა კრიტიკისაგან უზრუნველყოფილს, «გაეცამტვერებინა» ზემოხსენებული მოწოდებები, ხალხისათვის ერჩია «ჯერჯერობით» არ შეხებოდა ძველი ხელისუფლების განსაზღვრულ დაწესებულებებს, და ასე შემდეგ. ამიტომ სპბ-ის ს.-დ. ორგანიზაციის კონფერენცია კიდევ ძალიან ლმობიერად მოეპყრა ამ პარტიას, როცა აღიარა «მისი ორჭოფი დამოკიდებულება სათათბიროს გარეთ ბრძოლის ძირითადი საკითხებისადმი».

ამრიგად, პოლიტიკური ფ ა ქ ტ ე ბ ი აქამდე ისეთი იყო, რომ წვრილბურჟუაზიული ანუ შრომის პარტიები აშკარად გაიყვნენ რევოლუციური წვრილი ბურჟუას პარტიებად (ესერები და შრომის ჯგუფის კომიტეტი) და ოპორტუნისტული წვრილი ბურჟუას პარტიად (ენესები). რადგანაც საარჩევნო კამპანია სოციალ-დემოკრატიისათვის მასების პოლიტიკური განათლების ერთერთი საშუალებაა, ამიტომ ჩვენ, გამოვყავით რა ორი

* ამ, — და სხვა — წვრილბურჟუაზიული რევოლუციონერების შესახებ ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, როგორც ერთმა ანარქისტმა პოეტმა თქვა ჩვენს შესახებ: «ნგრევაში ერთად ვიქნებით, შენებაში კი — არა».

ტრუდოვიკული პარტია მესამისაგან, აქაც ვ ა ი ძ უ ლ ე თ ობივატელი ჩ ა უ ფ ი ქ რ დ ე ს ამ გაყოფის მიზეზებს. ხოლო როცა ჩაუფიქრდება და გაიგებს რაშია საქმე, ობივატელი შ ე გ ნ ე ბ უ ლ ა დ მოახდენს თავის არჩევანს.

დასასრულ, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ «როდნაია ზემლიას» მოწინავე სტატიის გულუბრყვილო და უმეცარი ავტორი ამავე დროს სასაცილო სოფიზმებში შესტოპავს ხოლმე, რათა თავისი პოზიცია გაამართლოს. უსარგებლო არ იქნება გავარჩიოთ ერთი სოფიზმი, რომელსაც ისეთი სახე აქვს, რომ სწორედ ფილისტერები უნდა დააკმაყოფილოს:

«ბოლშევიკები მართალნი არ არიან იმ შემთხვევაშიც, თუ შავრაზმული საფრთხე არ არსებობს. იმიტომ, რომ ასეთ შემთხვევაში საჭირო აღარაა ბლოკი ესერებთან და ტრუდოვიკებთან, და ს.-დ. პარტიას თავისი კლასობრივი შინაარსის სიწმინდის დიდად სასარგებლოდ შეუძლია სრულიად დამოუკიდებლად გამოვიდეს არჩევნებში».

აი შემოგვხედეთ, რა ბიჭები ვართო, — ფიქრობს ეს რადიკალი, — კლასობრივი შინაარსის სიწმინდის შესახებაც კი შეგვიძლია მსჯელობაო!

დიახ, თანამედროვე საგაზეთო მწერალს «შეუძლია» იმსჯელოს ყველაფერზე, მაგრამ საქმისა კი მას არა გაეგება რა და ცოდნაც არა აქვს. არ არის მართალი, თითქოს კლასობრივი პოზიციის სიწმინდის დაცვის აუცილებლობა ყოველგვარ შეთანხმებას გამორიცხავდეს. ასე ფიქრი იმას ნიშნავს, რომ მარქსიზმის შეხედულებანი აბსურდამდე დაიყვანო, კარიკატურად აქცეო. და სწორედ ასევე არც ისაა მართალი, თითქოს, თუ შავრაზმული საფრთხე არ არის, საჭირო არ იყოს ესერებთან ბლოკის შეკვრა.

ს.-დ. მუშათა პარტიის საარჩევნო კამპანიის სრული დამოუკიდებლობა საერთო წესია. მაგრამ ყოველი ცოცხალი და მასობრივი პარტია იძულებულია ხოლმე დაუშვას გამონაკლისები, ოღონდ გონივრულ და მკაცრად შემოფარგლულ საზღვრებში. ბურჟუაზიული რევოლუციის ეპოქაში ყ ვ ე ლ ა სოციალ-დემოკრატს დასაშვებად მიაჩნდა პოლიტიკური შე-

თანხმება რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ბურჟუაზიასთან მაშინაც, როცა ერთად მუშაობდნენ მუშათა, გლეხთა, ჯარისკაცთა, რკინიგზელთა დეპუტატებისა და სხვ. საბჭოებში, და მაშინაც, როცა ხელს აწერდნენ მუშათა დეპუტატების საბჭოს ცნობილ მანიფესტს (1905 წ. დეკემბერი) ან ივლისის მოწოდებებს (1906 წ. ივლისი). «როდნაია ზემლიას» მოწინავე სტატიის ავტორი, ცხადია, არ იცნობს საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებს, რომლებიც რუსეთის რევოლუციაში სხვადასხვა პარტიის როლს შეეხება. რევოლუციური სოციალ-დემოკრატია უარყოფს უპრინციპო შეთანხმებებს, უარყოფს მავნებელ და უსარგებლო შეთანხმებებს, მაგრამ იგი სულაც არ ფიქრობს საზოგადოდ და ყველა შემთხვევაში ხელფეხშეკრული იყოს ამ მხრივ. ეს ბავშვობა იქნებოდა. სრულიად რუსეთის ს.-დ. კონფერენციის 14 დელეგატის პლატფორმამ დოკუმენტურად დაამტკიცა ეს.

შემდეგ. პეტერბურგში ესერებთან და ტრუდოვიკებთან შეთანხმების «საჭიროება» კ ა დ ე ტ უ რ ი საფრთხიდან გამომდინარეობს. «როდნაია ზემლიას» მოწინავე სტატიის ავტორმა რომ იცოდეს ის საგანი, რაზედაც მან მოისურვა ლაპარაკი, მას ეცოდინებოდა, რომ კადეტებთან შეთანხმების მომხრე სოციალ-დემოკრატებშიც კი არის ფრიად გავლენიანი ორგანიზაციები (მაგ., ბუნდი), რომლებიც რევოლუციურ ბურჟუაზიასთან ბლოკის საჭიროებას აღიარებენ კადეტური საფრთხის დროს, როცა შავრაზმული საფრთხე არ არის. პეტერბურგში არათუ შესაძლებელი იყო ჩაგვეტარებინა საარჩევნო კამპანია მასების რევოლუციური და სოციალისტური აღზრდის აზრით (ამას კი ჩვენ, სოციალ-დემოკრატები, ყოველ შემთხვევაში მივაღწევთ), არამედ კადეტებიც დ ა გ ვ ე მ ა ' ც ხ ე ბ ი ნ ა, მენშევიკ სოციალ-დემოკრატებს რომ არ ეღალატნათ, ყ ვ ე ლ ა სოციალისტს რომ ყ ვ ე ლ ა რევოლუციური ტრუდოვიკი გაჰყოლოდა. ხოლო რაკი ჩვენ საარჩევნო კამპანიას ვატარებთ, უფლება არა გვაქვს ხელიდან გავუშვათ გამარჯვების არც ერთი შესაძლებლობა, ოღონდ

იმ პირობით, რომ პრინციპულად არ დაირღვეს სოციალისტური ტაქტიკა.

პიტერში სერიოზული ბრძოლა რომ მ ხ ო ლ ო დ კადეტებსა და სოციალ-დემოკრატებს შორის წარმოებს, ეს დ ა ა მ ტ კ ი ც ა წინასაარჩევნო კრებებმა (ესევე ითქმის მოსკოვზედაც, ამასთანავე შეიძლება დავუმატოთ, რომ ყ ვ ე ლ ა ნაწილობრივი ანკეტის, მაგალ., გაზეთ «ვეკის» ან ნოქრების პროფესიული კავშირის გაზეთის «ედინენიე ი სილას» ანკეტების, შედეგებიც ადასტურებს ამ დებულებას) [125].

კადეტებთან შეთანხმება რომ წარმოადგენს კადეტების იდეურ-პოლიტიკურ ჰეგემონიას მათს მოკავშირეებზე, ამას ამტკიცებს როგორც მთელი პოლიტიკური პრესა, ისე მოლაპარაკების მთელი ხასიათი. პირობებს კადეტები უკარნახებენ. კადეტები საჯაროდ განსაზღვრავენ შეთანხმებათა მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა ს (მოიგონეთ მათი აზრი მენშევიკებსა და ენესებზე, — «ზომიერი სოციალისტური პარტიებია», «ოპოზიციური ბლოკია»). კადეტებს სთხოვენ ადგილების რიცხვის თანასწორობას, როგორც მაქსიმალურ დათმობას.

ასევე უეჭველია, რომ სოციალ-დემოკრატების შეთანხმება რევოლუციურ-დემოკრატიულ პარტიებთან ნიშნავს სოციალ-დემოკრატიის ჰეგემონიას წვრილ ბურჟუაზიაზე. ს.-დ. პრესამ აშკარად, ნათლად და ყოველმხრივ განავითარა ყ ვ ე ლ ა თავისი შეხედულება, მაშინ როდესაც ესერებსა და შრომის ჯგუფის კომიტეტს სულაც არ გამოუთქვამთ თავიანთი საკუთარი აზრი შეთანხმებათა საკითხზე. ძირითადი ტონი სოციალ-დემოკრატებმა აიღეს. მათი სოციალისტური შეხედულებებისა და მათი კლასობრივი თვალსაზრისის შეკვეცაზე არ არის და არც შეიძლება იყოს ლაპარაკი. არავის მოუვა აგრეთვე ფიქრად, რომ ადგილების განაწილებაში მათ ნაკლები წილი შეაძლიონ. მათი კამპანია მუშათა კურიაში უთუოდ დამოუკიდებლად მიმდინარეობს და მათ უპირატესობას მოწმობს.

ასეთ პირობებში პირდაპირ საჭაცილო იქნებოდა შეგვშინებოდა, რომ კადეტებთან საბრძოლველად თან გაგვეყოლიე-

ბინა რევოლუციური წვრილბურჟუაზიული მოკავშირენი. ასეთ პირობებში ჩვენ შეგვეძლო ენესებიც კი თან გაგვეყოლიებინა, თუ საქმისათვის ეს საჭირო იქნებოდა. ჩვენი პარტიის პრინციპულობა ამით სრულიადაც არ შეილახებოდა: ხაზი იგივე დარჩებოდა, ბრძოლას ლიბერალურ ბურჟუა-შემთანხმებელთა მოთავე პარტიის წინააღმდეგ ჩვენ არანაკლებ ენერგიულად ვაწარმოებდით. ვერც ერთი საღად მოაზროვნე ადამიანი ვერ იტყოდა, რომ ჩვენ ენესებს გავყევით (როცა მათ, ესერებსა და შრომის ჯგუფის კომიტეტთან ერთად, ექვსიდან ორ ადგილს შევაძლევდით). პირიქით, ეს იქნებოდა სოციალ-დემოკრატების ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ დამოუკიდებელი კამპანია და კადეტებისაგან ჩვენ მიერ ერთერთი კადეტური დანამატის ჩ ა მ ო შ ო რ ე ბ ა. ნუთუ ცხადი არ არის, რომ კადეტებთან ბრძოლის ამოცანებს არათუ არ ეწინააღმდეგება, არამედ, პირიქით, პირდაპირ ემსახურება მათ წინააღმდეგ ნახევრად-კადეტების მობილიზაცია, თუ უკანასკნელნი ჩვენს სიაში შემოდიან?

პეტერბურგის ს.-დ. ორგანიზაციის კონფერენცია სწორად მოიქცა, როცა ა შ კ ა რ ა დ და საჯაროდ გამოხატა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება ენესებისადმი. ჩვენ ვალდებული ვიყავით გაგვეფრთხილებინა რევოლუციური ტრუდოვიკები — არ აჰყოლოდნენ ა ს ე თ ვითომ ტრუდოვიკულ პარტიას. თუ რევოლუციური ტრუდოვიკები დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ი არიან ენესების ფორმალურად სრულიად დამოუკიდებელი პარტიისაგან, — დაე ეს საჯაროდ ითქვას. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია გამოვამზეურით ეს ფაქტი, აღვიარებინოთ იგი, გამოვიტანოთ იქიდან ყ ვ ე ლ ა დასკვნა ფართო აგიტაციაში მუშების წინაშე, მთელი ხალხის წინაშე.

ხოლო რაც შეეხება საკითხს, უკეთესი თუ უარესი ღირსების ტრუდოვიკებს ვღებულობთ მოკავშირეებად პეტერბურგში კადეტებთან საბრძოლველად, — ამ საკითხს ჩვენ მხოლოდ საქმიანი თვალსაზრისით გადავწყვეტთ. პრინციპული ხაზი ჩვენ განვსაზღვრეთ. ბრძოლაში ჩვენ ყ ო ვ ე ლ შ ე მ თ ხ ვ ე-

ვ ა შ ი დამოუკიდებლად ვებმებით. პასუხისმგებლობა ნაკლებ საიმედო ტრუდოვიკებისათვის ჩვენ აშკარად მოვიხსენით თავიდან და სხვებს დავაკისრეთ.

* * *

«ტოვარიშჩის» მემარცხენე კადეტებმა სცადეს დაეცინათ ბოლშევიკებისათვის, როცა მათ ჯერ კიდევ ნოემბერში განაცხადეს: პეტერბურგში სამი მთავარი პარტია იბრძვისო — შავრაზმელები, კადეტები და სოციალ-დემოკრატები.

Rira bien qui rira le dernier (კარგად იცინის ის, ვინც ბოლოს იცინის).

ჩვენი წინასწარხედვა გამართლდა.

პეტერბურგში იქნება სათათბიროს დეპუტატობის კანდიდატების ს ა მ ი სია: შავრაზმული, კადეტური და სოციალ-დემოკრატიული.

მოქალაქენო, არჩევანი მოახდინეთ!

დაბეჭდილია 1907 წ. იანვარში ცალკე ბროშურად. «ნოვაია დუმას» გამოცემა

იბეჭდება ბროშურის ტექსტის მიხედვით

შენიშვნები

1 ლენინის სტატია «წინახანს» გაზეთ «რაბოტნიკის» რედაქციას ტელეგრაფით გადაეცა.

«რ ა ბ ო ტ ნ ი კ» — ლეგალური ბოლშევიკური გაზეთი, გამოდიოდა კიევში; გამოვიდა ორი ნომერი: 1906 წლის 8 (21) და 9 (12) ივნისს. გაზეთის პირველ ნომერს კონფისკაცია გაუკეთეს. მეორე ნომრის გამოსვლის შემდეგ გაზეთი დახურეს. — 1.

2 «ს ა ზ ე ი მ ო ა ღ თ ქ მ ა» სახელმწიფო სათათბიროს წევრებისათვის შემოღებულ იქნა სათათბიროს დებულების მე-13 მუხლით. ამ «აღთქმის» ხელმოწერისას სოციალ-დემოკრატებმა — პირველი სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატებმა — პრესაში 1906 წლის ივნისს გამოაქვეყნეს ლენინის მიერ ციტირებული განცხადება. — 8.

3 «კ უ რ ი ე რ» — ყოველდღიური ლეგალური მენშევიკური გაზეთი, გამოდიოდა პეტერბურგში 1906 წლის მაის-ივნისში. — 9.

4 «ვ ა რ ს კ ვ ლ ა ვ თ პ ა ლ ა ტ ა» ეწოდებოდა ინგლისში განსაკუთრებულ ტრიბუნალს — პოლიტიკურ და რელიგიურ საქმეთა საგანგებო სასამართლოს, რომელიც მოსპო ინგლისის XVII საუკუნის რევოლუციამ.

1905 — 1907 წლების პერიოდის რუსეთში «ვარსკვლავთ პალატის» სახელწოდება მიიღო სასახლის ხროვამ — რეაქციულ დიდკაცთა მცირერიცხოვანმა ჯგუფმა, რომელიც წარმოადგენდა მეგატონე-მემამულეთა და ბიუროკრატიის უმაღლეს წრეებს. — 11.

5 შ რ ო მ ი ს ჯ გ უ ფ ე ლ ე ბ ი, «შრომის ჯგუფი» — წვრილბურჟუაზიული დემოკრატების ჯგუფი; შეიქმნა 1906 წლის აპრილში I სახელმწიფო სათათბიროს გლეხთა დეპუტატებისაგან.

შრომის ჯგუფელები მოითხოვდნენ ყველა წოდებრივი და ნაციონალური შეზღუდვის გაუქმებას, საერობო და საქალაქო თვითმმართველობის დემოკრატიზაციას, საყოველთაო საარჩევნო უფლების

განხორციელებას სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებისათვის. შრომის ჯგუფელების აგრარულ პროგრამას საფუძვლად ედო მიწათსარგებლობის გათანაბრების ნაროდნიკული პრინციპები: საერთოსახალხო ფონდის შექმნა სახაზინო, საუფლისწულო, საკაბინეტო, სამონასტრო მიწებიდან, აგრეთვე კერძომფლობელური მიწებიდან, თუ ადგილ-მამული დაწესებულ შრომითს ნორმას აღემატებოდა; განსხვისებული კერძომფლობელური მიწებისათვის გათვალისწინებული იყო ანაზღაურება. მიწის რეფორმის გატარება ადგილობრივ გლეხთა კომიტეტებს ეკისრებოდათ. — **12**.

6 «ვ ე პ ე რ ი ო დ» — ლეგალური ყოველდღიური ბოლშევიკური გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1906 წლის 26 მაისიდან (8 ივნისიდან) მთავრობის მიერ დახურული გაზეთის «ვოლნას» ნაცვლად. გაზეთში ხელმძღვანელი როლი ეკუთვნოდა ლენინს. გაზეთში მონაწილეობას იღებდნენ მ. ს. ოლმინსკი, ვ. ვ. ვოროვსკი, ა. ვ. ლუნაჩარსკი. გაზეთი პოლიციურ რეპრესიებს განიცდიდა; დახურეს 1906 წლის 14 (27) ივნისის თარიღით გამოსულ მე-17 ნომერზე. «ვპერიოდის» ნაცვლად გამოსვლა იწყო ბოლშევიკურმა გაზეთმა «ეხომ». — **12**.

7 ბ ულ ი გ ი ნ ის ს ა თ ა თ ბ ი რ ო — სათათბირო ხასიათის «წარმომადგენლობითი დაწესებულება», რომლის მოწვევაც 1905 წელს განზრახული ჰქონდა მეფის მთავრობას. საკანონმდებლო უფლებებს მოკლებული სახელმწიფო სათათბიროს კანონის პროექტი და სათათბიროს არჩევნების დებულება შეიმუშავა კომისიამ შინაგან საქმეთა მინისტრის ბულიგინის თავმჯდომარეობით და გამოქვეყნდა მეფის მანიფესტთან ერთად 1905 წლის 6 (19) აგვისტოს. ბოლშევიკებმა აქტიური ბოიკოტი გამოუცხადეს ბულიგინის სათათბიროს. მთავრობამ ვერ მოახერხა სათათბიროს მოწვევა, ეს სათათბირო რევოლუციის ძალამ აღგავა. — **19**.

8 ვ ი ტ ე ს ს ა თ ა თ ბ ი რ ო — პირველი სახელმწიფო სათათბირო, მოწვეული 1906 წლის 27 აპრილს (10 მაისს) მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ს. ი. ვიტეს მიერ შემუშავებული დებულების მიხედვით. 1906 წლის 8 (21) ივლისს სათათბირო გარეკა მეფის მთავრობამ. — **20**.

9 სტატია დაწერილია სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის დეკლარაციასთან დაკავშირებით, რომელიც გამოაქვეყნა ს. ჯაფარიძემ 1906 წლის 16 (29) ივნისს სათათბიროში კრებების თავისუფლების კანონპროექტის განხილვის დროს. დეკლარაციის შემუშა-

ვებისას სათათბიროს ს.-დ. ფრაქციამ უარყო დეკლარაციის ბოლშევიკური პროექტი, დაწერილი ლენინის მიერ (ეს პროექტი ზოგიერთი შემოკლებით მოჰყავს ლენინს ამ სტატიაში), და მიიღო დეკლარაციის პროექტი, მოწონებული მენშევიკური ც. კ.-ის მიერ. — **23.**

10 რეზოლუცია ბელოსტოკის დარბევის შესახებ ს.-დ. ფრაქციის სახელით შეიტანა ს. ჯაფარიძემ სათათბიროს 35-ე სხდომაზე 1906 წლის 29 ივნისს (12 ივლისს) (იხ. «სახელმწიფო სათათბირო. სტენოგრაფიული ანგარიშები. 1906 წელი», ტ. II, გვ. 1825). — **23.**

11 1906 წლის 12 (25) ივნისს სათათბიროს სხდომაზე შინაგან საქმეთა მინისტრი სტოლიპინი იძლეოდა ახსნა-განმარტებას სათათბიროს შეკითხვაზე იმ ღონისძიებათა გამო, რომლებიც მიიღო მთავრობამ შიმშილთან საბრძოლველად. კამათში გამოსული შრომის ჯგუფელი ალადინი მოითხოვდა, რათა «არც ერთი კაპიკი არ მიეცათ» მთავრობისათვის. მაგრამ კადეტმა ნაბოკოვმა შესძლო თავისი სახელით და ალადინის სახელით გაეტარებინა მორიგ საქმეებზე გადასვლის კადეტური ფორმულა. სოციალ-დემოკრატ დეპუტატებს პროტესტი არ განუცხადებიათ და თავისი რეზოლუცია არ შეუტანიათ. ლენინი დაწერილებით ჩერდება ამ საკითხზე სტატიებში «დახმარება დამშეულებს და სათათბიროს ტაქტიკა», «კადეტური სათათბირო ფულს აძლევს დამრბევთა მთავრობას» (იხ. ეს ტომი, გვ. 36 — 41, 55 — 59). — **23.**

12 «ნ ა შ ა ე ი ზ ნ» — ყოველდღიური გაზეთი, რომელიც ახლოს იდგა კადეტების პარტიის მემარცხენე ფრთასთან; გამოდიოდა ხანგამოშვებით 1904 წლის 6 (19) ნოემბრიდან 1906 წლის 11 (24) ივლისამდე პეტერბურგში.

«მ ი ს ლ» — ესერების პარტიის ლეგალური ყოველდღიური გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1906 წლის ივნის-ივლისში. — **30.**

13 უ ფ ლ ე ბ რ ი ვ ი წ ე ს რ ი გ ი ს პ ა რ ტ ი ა — მსხვილი სავაჭრო-სამრეწველო ბურჟუაზიის, მემამულეებისა და ბიუროკრატიის მაღალი ფენების კონტრრევოლუციური პარტია; შეიქმნა 1905 წლის შემოდგომაზე. 1907 წელს პარტია დაიშალა. — **30.**

14 სახალხო მიტინგი მოაწყო პეტერბურგში სოციალურ-პოლიტიკურმა კლუბმა გრაფი-ქალის პანინას სახლში 1906 წლის 9 (22) მაისს სათათბიროს მუშაობასთან და მეფის სეფესიტყვაზე მის საპასუხო მიმართვასთან დაკავშირებით.

მიტინგს დაესწრო სამი ათასამდე კაცი, აქედან ნახევარს მუშები შეადგენდნენ. ლენინი, კარპოვის გვარით, გამოვიდა «სახალხო სოციალისტის» მიაკოტინისა და მენშევიკ თ. დანის წინააღმდეგ, რომლებიც კადეტებთან ბლოკს იცავდნენ. ლენინის მიერ წარმოდგენილი რეზოლუცია (იხ. თხზულებანი, გამოც. 4, ტომი 10, გვ. 496 — 497) კრებამ თითქმის ერთხმად მიიღო. ლენინის გამოსვლის ანგარიში დაიბეჭდა ბოლშევიკურ გაზეთ «ვოლნაში» და მენშევიკურ «ნევსკაია გაზეტაში» (იხ. თხზულებანი, გამოც. 4, ტომი 10, გვ. 494 — 495). — **31.**

15 სრულიად რუსეთის გლეხთა კავშირი — რევოლუციურ-დემოკრატიული ორგანიზაცია, წარმოიშვა 1905 წელს. გლეხთა კავშირი მოითხოვდა პოლიტიკურ თავისუფლებასა და დამფუძნებელი კრების დაუყოვნებლივ მოწვევას; იდგა I სახელმწიფო სათათბიროს ბოიკოტის ტაქტიკაზე. კავშირის აგრარული პროგრამა შეიცავდა მოთხოვნებს — მიწის კერძო საკუთრების გაუქმებას, გლეხებისათვის გამოუყიდავად სამონასტრო, საეკლესიო, საუფლისწულო, საკაბინეტო და სახელმწიფო მიწების გადაცემას. თავის პოლიტიკაში კავშირი იჩენდა ორჭოფობას და მერყეობას. კავშირი მოითხოვდა მიწის მემამულური საკუთრების ლიკვიდაციას და ამავე დროს სთანხმდებოდა მემამულეთა ნაწილობრივ ანაზღაურებას. თავისი მოღვაწეობის პირველ ნაბიჯებიდანვე გლეხთა კავშირი პოლიციურ რეპრესიებს განიცდიდა. 1906 წლის დამლევს სრულიად რუსეთის გლეხთა კავშირი დაიშალა. — **34.**

16 «რეჩ» — ყოველდღიური გაზეთი, კადეტების პარტიის ცენტრალური ორგანო; გამოდიოდა პეტერბურგში 1906 წლის თებერვლიდან. დახურა სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა 1917 წლის 26 ოქტომბერს (8 ნოემბერს). — **36.**

17 «გოლოს ტრუდა» — ყოველდღიური მენშევიკური გაზეთი, გამოდიოდა პეტერბურგში 1906 წლის ივნის-ივლისში. — **44.**

18 «სვეტოჩ» — ლეგალური ყოველდღიური ბოლშევიკური გაზეთი, გამოდიოდა მოსკოვში 1906 წლის 11 (24) მაისიდან 31 მაისამდე (13 ივნისამდე). გამოვიდა 17 ნომერი. გაზეთში მონაწილეობას იღებდნენ ი. ი. სკვორცოვ-სტეპანოვი, მ. ნ. პოკროვსკი და სხვები. გაზეთი დაიხურა მოსკოვის სასამართლო პალატის დადგენილებით. — **45.**

19 დრპ — დემოკრატიული რეფორმების პარტია — ლიბერალურ-მონარქისტული ბურჟუაზიის ერთერთი პოლიტიკური

დაჯგუფება. შეიქმნა 1906 წელს I სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების დროს, ეკავა კადეტების პარტიაზე უფრო მემარჯვენე პოზიცია, ფაქტიურად მის უმნიშვნელო განშტოებას წარმოადგენდა. — 48.

20 პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიის მეხუთე ყრილობა შესდგა 1906 წლის 18 — 25 ივნისს (ახ. სტ.) ზაკოპანაში (გალიცია). ყრილობას დაესწრო 52 დელეგატი გადამწყვეტი ხმისა და 8 დელეგატი სათათბირო ხმის უფლებით. დელეგატებს შორის ყრილობას დაესწრო ვ. ვ. ვოროვსკი — გაზეთ «ვპერიოდის» რედაქციის წარმომადგენელი. საანგარიშო მოხსენება პარტიის მთავარი გამგეობის სახელით გააკეთა ფ. ე. ძერჟინსკიმ (ყრილობაზე — ფრანკოვსკი). ყრილობის ძირითადი რეზოლუციები დაიბეჭდა გაზეთ «ეხოში» № 4, 1906 წლის 25 ივნისი (8 ივლისი). — 60.

21 რსდმპ პეტერბურგის ორგანიზაციის რაიონთაშორისო კონფერენცია მიმდინარეობდა ფინეთში, ტერიოკში, 1906 წლის 11 — 12 (24 — 25) ივნისს. იგი მოიწვია პეტერბურგის კომიტეტმა სახელმწიფო სათათბიროს მიმართ პეტერბურგის პროლეტარიატის ტაქტიკის შესამუშავებლად. კონფერენციის დელეგატების არჩევნებს წინ უძღოდა დისკუსია ორი ტაქტიკური პლატფორმის ირგვლივ: ერთი იყო ცენტრალური კომიტეტის მენშევიკური რეზოლუცია სათათბიროს კადეტური სამინისტროს ლოზუნგის მხარის დაჭერის შესახებ, ხოლო მეორე — პეტერბურგის კომიტეტის ბოლშევიკური რეზოლუცია (იხ. თხზულებანი, გამოც. 4, ტომი 10, გვ. 588 — 589).

კონფერენციას ესწრებოდა 80-მდე დელეგატი, რომელნიც პარტიის 4 ათასამდე წევრს წარმოადგენდნენ. მოხსენებით პეტერბურგის კომიტეტის სახელით გამოვიდა ლენინი. მისი ოპონენტი, რომელიც ც. კ.-ის თვალსაზრისს იცავდა, იყო დანი. ხმების უმრავლესობით მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომელმაც მოიწონა პეტერბურგის კომიტეტის ხაზი.

რეზოლუციაში, რომელიც მიღებულ იქნა ლენინის მოხსენების გამო პარტიის ერთიანობის შესახებ, კონფერენციამ აღნიშნა, რომ ც. კ. გამოხატავს პარტიის მხოლოდ უმცირესობის აზრსაო, და წამოაყენა მოთხოვნა — მოწვეული ყოფილიყო ახალი პარტიული ყრილობა პარტიაში შექმნილი მდგომარეობის გამოსარკვევად. კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება პეტერბურგის პარტიულ ორგანიზაციასა და სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას შორის მუდმივი კავშირის დამყარების შესახებ. — 60.

22 რსდმპ მოსკოვის საოლქო კონფერენცია (ჩრდილოეთის კომიტეტების კონფერენცია) შესდგა 1906 წლის ივნისის პირველ ნახევარში. კონფერენციას დაესწრნენ — მოსკოვის, მოსკოვის საოკრუგო, ვოლოგდის, იაროსლავლის, კინეშმის, კოსტრომის, ვლადიმირის საოკრუგო, ივანოვო-ვოზნესენსკის, ბორისოგლებსკის, ნიჟნინოვგოროდის, ორიოლის, კოზლოვის კომიტეტების და ქ. შუიას ს.-დ. ჯგუფის წარმომადგენლები, რომლებიც წარმოადგენდნენ 14 000 ორგანიზებულ მუშას.

კონფერენციამ დაჰგმო მენშევიკური ცენტრალური კომიტეტის ტაქტიკა სახელმწიფო სათათბიროს მიმართ და მიიღო შემდეგი რეზოლუცია: «ჩრდილოეთის კავშირი აცხადებს, რომ იგი არ ეთანხმება ცენტრალური კომიტეტის პლატფორმას, რადგან, მისი აზრით, იგი არ შეესაბამება პარტიული ყრილობის დირექტივებს, და წინადადებას იძლევა მხარი დაუჭიროთ სათათბიროს უკიდურეს მემარცხენე ჯგუფს». — 60.

23 «სლოვო» — ყოველდღიური გაზეთი, გამოდიოდა პეტერბურგში 1904 — 1909 წლებში. 1905 წლის ნოემბრიდან 1906 წლის ივლისამდე წარმოადგენდა ოქტიაბრისტების პარტიის ორგანოს, შემდეგ კი — ორგანოს «მშვიდობიან განმაახლებელთა» კონსტიტუციურ-მონარქისტული პარტიისას, რომელსაც ლენინი «მშვიდობიანი გაძარცვის პარტიას» უწოდებდა. — 72.

24 «ეხო» — ლეგალური ბოლშევიკური ყოველდღიური გაზეთი, გამოდიოდა პეტერბურგში 1906 წლის 22 ივნისიდან (5 ივლისიდან) 7 (20) ივლისამდე, მთავრობის მიერ დახურული გაზეთის «ვპერიოდის» ნაცვლად. გამოვიდა 14 ნომერი. გაზეთის რედაქტორი ფაქტიურად ლენინი იყო. ყოველ ნომერში იბეჭდებოდა ლენინის სტატიები. ლენინი უშუალო მონაწილეობას იღებდა იმ განყოფილების მუშაობაში, რომელსაც ეწოდებოდა «ჟურნალ-გაზეთებს შორის».

გაზეთ «ეხოს» თითქმის ყველა ნომერი რეპრესიებს განიცდიდა. I სახელმწიფო სათათბიროს გარეკვის წინ გაზეთი დახურეს. — 73.

25 კ. პ. — ვი — კ. ა. პოპოვი. — 74.

26 იგულისხმება მეფის 1906 წლის 8 (21) მარტის ბრძანებულება (გამოიცა 11 (24) მარტს). ამ ბრძანებულებით არჩევნების ბოიკოტის სასარგებლო აგიტაციის დამნაშავენი ისჯებოდნენ საპყრობილეში მოთავსებით ოთხიდან რვა თვემდე. — 77.

27 33-თა აგრარული პროექტი — «მიწის ძირითადი კანონის პროექტი», შეტანილი 33 დეპუტატის, მეტწილად შრომის ჯგუფელების, ხელმოწერით I სახელმწიფო სათათბიროს 1906 წლის 6 (19) ივნისის სხდომაზე. 33-თა პროექტი ძირითად მოთხოვნად, «104-თა» პროექტისაგან განსხვავებით, აყენებდა მიწის კერძო საკუთრების დაუყოვნებლივ და სრულ გაუქმებას. 8 (21) ივნისს პროექტი უარყო კადეტურმა სათათბირომ.

ტრუდოვიკების აგრარულ პროექტთა განსხვავებაზე იხ. ეს ტომი, გვ. 568 — 570. — **86.**

28 ა. ლ. — ი — ა. ვ. ლუნაჩარსკი. მან გაზეთ «ეხოს» № 8-ში დაწერა იზგოევის სტატიის პასუხი; ეს სტატია მიმართული იყო ლენინის ნაშრომის «კადეტების ამყოლ-დამყოლთა» წინააღმდეგ. — **89.**

29 1906 წლის ივნისში ესერების პარტიის პეტერბურგის ორგანიზაციამ დაიწყო აგიტაცია მუშათა დეპუტატების საბჭოს აღდგენისათვის. ესერების აგიტაციას მხარს უჭერდა მეწშევიკი ხრუსტალევი, პეტერბურგის მუშათა დეპუტატების საბჭოს ერთერთი ყოფილი თავმჯდომარე 1905 წლის ოქტომბერ-ნოემბერში. რსდმპ პეტერბურგის კომიტეტმა აღნიშნა საბჭოს შექმნის უდროობა და ამხილა ესერების აგიტაციის პროვოკაციული ხასიათი. პეტერბურგის კომიტეტის გადაწყვეტილება გამოქვეყნდა გაზეთ «ეხოში» № 5, 1906 წლის 27 ივნისს (10 ივლისს). — **90.**

30 ბროშურა «სათათბიროს დათხოვნა და პროლეტარიატის ამოცანები», დაწერილი ლენინის მიერ სვეაბორგის აჯანყების დაწყებამდე, გამოვიდა უკვე აჯანყების შემდეგ. 1906 წლის 12 (25) აგვისტოს მოსკოვში ბროშურა აკრძალეს, ხოლო ავტორის წინააღმდეგ სასამართლო დევნა აღძრეს. მიუხედავად ამისა, ბროშურა გავრცელდა არა მარტო მოსკოვსა და პეტერბურგში, არამედ პროვინციაშიც. — **113.**

31 ლენინს მხედველობაში აქვს I სახელმწიფო სათათბიროს წევრთა მიმართვა, რომელიც ცნობილია «ვიბორგის მოწოდების» სახელით. მიმართვა მიღებულ იქნა 1906 წლის 9 — 10 (22 — 23) ივლისს ვიბორგში შემდგარ თათბირზე, სადაც, I სათათბიროს გარეკვის შემდეგ, თავი მოიყარა 200-მდე დეპუტატმა, უმთავრესად კადეტებმა. მოწოდება მოუხმობდა ხალხს გაეწია მთავრობისათვის «პასიური წინააღმდეგობა» — არ გადაეხადა გადასახადები და არ მიეცა ახალწვეულნი მანამდე, სანამ მეფე სათათბიროს ახალ არჩევნებს არ და-

ნიშნავდა. 1906 წლის სექტემბერში კადეტთა პარტიის ყრილობამ აშკარად აღიარა, რომ «პასიური წინააღმდეგობის» გამოყენება «ფაქტიურად განუხორციელებელიაო». — **116.**

82 სუვორინი, ა. ს. — რეაქციული გაზეთის «ნოვოე ვრემიას» რედაქტორი 1876-დან 1912 წლამდე. — **116.**

83 «მოსკოვსკიე ვედომოსტი» — გაზეთი, გამოდიოდა 1756 წლიდან; XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან გამოხატავდა მემამულეთა და სამღვდელოების ყველაზე რეაქციული ფენების შეხედულებებს; 1905 წლიდან — შავრაზმელთა ერთერთი მთავარი ორგანო. 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მალე დაიხურა. — **117.**

84 «გრაჟდანინ» — რეაქციული გაზეთი, რომელიც გამოდიოდა პეტერბურგში 1872-დან 1914 წლამდე. XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან უკიდურეს მონარქისტთა ორგანოს წარმოადგენდა. გაზეთი უმთავრესად არსებობდა მეფის მთავრობის სუბსიდიებით. — **117.**

85 ლედრიუ-როლენი (1807 — 1874) — ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე, წვრილბურჟუაზიული დემოკრატების წარმომადგენელი. — **126.**

86 აჯანყებამ სვეაბორგის ციხე-სიმაგრეში (ჰელსინგფორსის ახლოს) იფეთქა სტიქიურად 17 (30) ივლისს, შემდეგ მას სათავეში ჩაუდგნენ რსდმპ სამხედრო ორგანიზაციის წევრები — პოდპორუჩიკები ა. ემელიანოვი და კ. კოხანსკი. პარტიის პეტერბურგის კომიტეტმა, როცა მიიღო ცნობები სვეაბორგში შექმნილი მდგომარეობისა და შეიარაღებული აჯანყების შესაძლებლობის შესახებ, გამოიტანა დადგენილება, რომ სვეაბორგში სასწრაფოდ გაეგზავნათ დელეგაცია. დადგენილების ტექსტი დაწერა ლენინმა (იხ. ეს ტომი, გვ. 141 — 142).

აჯანყებამ სამ დღეს გასტანა. 20 ივლისს (2 აგვისტოს), მას შემდეგ, რაც სამხედრო ხომალდებმა ციხე-სიმაგრეს სროლა აუტეხეს, აჯანყება ჩახშობილ იქნა. იმავე დღეს ჩაახშეს აჯანყება კრონშტადტში. — **140.**

87 ლენინის ხელნაწერში ქალაქის (სვეაბორგის) სახელწოდება, კონსპირაციულ მოსაზრებათა გამო, შეცვლილია ხაზით. — **141.**

38 ლენინს მხედველობაში აქვს 1906 წლის ივლისში, I სათათბიროს გარეკეის შემდეგ დაბეჭდილი მოწოდებანი: «არმიისა და ფლოტისადმი», «მანიფესტი რუსეთის მთელი გლეხობისადმი», «მთელი ხალხისადმი». მოწოდებებში ხაზგასმით იყო აღნიშნული შეიარაღებული აჯანყების საჭიროება. — **140.**

39 ლენინს მოჰყავს სიტყვები მ. გორკის «გრიგალას სიმღერიდან» — **151.**

40 «პ რ ო ლ ე ტ ა რ ი» — არალეგალური ბოლშევიკური ყოველკვირეული გაზეთი, რსდმპ ცენტრალური ორგანო, შექმნილი პარტიის III ყრილობის დადგენილებით. პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის 1905 წლის 27 აპრილის (10 მაისის) გადაწყვეტილებით ცენტრალური ორგანოს რედაქტორად დაინიშნა ვ. ი. ლენინი.

«პროლეტარი» გამოდიოდა ჟენევაში 1905 წლის 14 (27) მაისიდან 12 (25) ნოემბრამდე. გამოვიდა 26 ნომერი. რედაქციის მუშაობაში მუდმივ მონაწილეობას იღებდნენ ვ. ვ. ვოროვსკი, ა. ვ. ლუნაჩარსკი და მ. ს. ოლმინსკი. «პროლეტარმა» განაგრძო ძველი, ლენინური «ისკრის» ხაზი და შეინარჩუნა სრული თანამომდევნობა ბოლშევიკურ გაზეთ «ვპერიოდთან». ლენინმა გაზეთში 50-ზე მეტი სტატია და შენიშვნა მოათავსა. ლენინის სტატიები გაზეთ «პროლეტარიდან» იბეჭდებოდა ბოლშევიკური პრესის ადგილობრივ ორგანოებში, გამოდიოდა ცალკე ფურცლებად. განსაკუთრებით ახლო თანამშრომლობა მოგვარდა «პროლეტარსა» და არალეგალურ ბოლშევიკურ გაზეთ «პროლეტარიატის ბრძოლას» — რსდმპ კავკასიის კავშირის ორგანოს შორის, რომელიც გამოდიოდა ი. ბ. სტალინის, ა. გ. წულუკიძისა და ს. გ. შაუმიანის ხელმძღვანელობით.

მას შემდეგ, რაც ლენინი რუსეთს გამოემგზავრა, 1905 წლის ნოემბერში, გაზეთ «პროლეტარის» გამოცემა მალე შეწყდა. გაზეთის ორი უკანასკნელი ნომერი (25-ე და 26-ე) გამოვიდა ვ. ვ. ვოროვსკის რედაქციით. — **152.**

41 «პ ა რ ტ ი ი ნ ი ე ი ზ ვ ე ს ტ ი ა» — გაზეთი, რსდმპ გაერთიანებული ცენტრალური კომიტეტის ორგანო, გამოდიოდა არალეგალურად პეტერბურგში პარტიის IV («გამაერთიანებელი») ყრილობის წინა ხანებში. გამოვიდა ორი ნომერი: 1906 წლის 7 (20) თებერვალს და 20 მარტს (2 აპრილს). «პარტიინიე იზვესტიას» რედაქცია შექმნილი იყო თანასწორ საფუძველზე ბოლშევიკურ («პროლეტარი») და მენშევიკურ (ახალი «ისკრა») ორგანოთა რედაქტორებისაგან. რედაქციის

შემადგენლობაში ბოლშევიკებისაგან შედიოდნენ ლენინი, ლუნაჩარსკი და სხვები.

«პარტიინიე იზვესტიაში» დაბეჭდილია ვ. ი. ლენინის სტატიები: «რუსეთის თანამედროვე მდგომარეობა და მუშათა პარტიის ამოცანები», «რუსეთის რევოლუცია და პროლეტარიატის ამოცანები», «ბოლშევიკის» ხელმოწერით (იხ. თხზულებანი, გამოც. 4, ტომი 10, გვ. 119 — 128, 148 — 161). ყრილობის შემდეგ «პარტიინიე იზვესტიას» გამოცემა შეწყდა. — **153.**

42 1905 წლის 11 (24) დეკემბრის კანონი — სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების საარჩევნო კანონი. ამ კანონის მიხედვით ამომრჩეველნი იყოფოდნენ 4 კურიად: მიწათმფლობელთა (მემამულენი), საქალაქო (ბურჟუაზია), გლეხთა და მუშათა კურიებად. მემამულის ერთი ხმა უთანაბრდებოდა ქალაქის ბურჟუაზიის წარმომადგენელთა 3 ხმას, გლეხთა 15 ხმას და მუშების 45 ხმას. კანონი უზრუნველყოფდა ერთ მუჭა მემამულეთა და კაპიტალისტთა უდიდეს უმრავლესობას სათათბიროში. — **154.**

43 «ტოვარიშჩ» — ბურჟუაზიული ყოველდღიური გაზეთი, გამოდიოდა პეტერბურგში 1906 წლის მარტიდან 1908 წლის იანვრამდე; ფორმალურად არ წარმოადგენდა რომელიმე პარტიის ორგანოს, ფაქტიურად კი იყო მემარცხენე კადეტების ორგანო. გაზეთში მონაწილეობას იღებდნენ მენშევიკებიც. — **156.**

44 ლენინი ლაპარაკობს ცენტრალური კომიტეტის ბოლშევიკური ნაწილის 1906 წლის 20 ივლისის (2 აგვისტოს) განცხადებაზე, რომელიც დაიბეჭდა ცალკე ფურცლად სათაურით «ც. კ.-ის 3 წევრის განცხადება რსდმპ ც. კ.-სადმი» და ბროშურაში «ჰყავდა თუ არა პარტიას ცენტრალური კომიტეტი 1906 — 7 წელს?». — **166.**

45 ლენინს მხედველობაში აქვს მეორე პარაგრაფი რეზოლუციის ბოლშევიკური პროექტისა რსდმპ გამაერთიანებელი ყრილობისათვის «დროებითი რევოლუციური მთავრობისა და რევოლუციური ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების» შესახებ (იხ. «საკ. კ. პ. (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ც. კ.-ის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1940, გვ. 67). — **170.**

46 «ოსვობოჟდენიე» — ბურჟუაზიული ლიბერალების ორკვირეული ჟურნალი, გამოდიოდა საზღვარგარეთ 1902 — 1905 წლებში პ. ბ. სტრუვეს რედაქციით. 1904 წლის იანვრიდან — ლიბერალურ-მონარქისტული «განთავისუფლების კავშირის» ორგანო. უფრო გვიან

«ოსვობოჟდენიელებმა» შეადგინეს კადეტთა პარტიის — რუსეთის მთავარი ბურჟუაზიული პარტიის ბირთვი. — 170.

47 «პ ო ლ ი ა რ ნ ა ი ა ზ ვ ე ზ დ ა» — ყოველკვირეული ჟურნალი, კადეტთა პარტიის მემარჯვენე ფრთის ორგანო; გამოდიოდა პეტერბურგში 1905 — 1906 წლებში პ. ბ. სტრუვეს რედაქციით. — 170.

48 ლაპარაკია რეზოლუციებზე, რომლებიც მიიღეს რსდმპ კურსკისა და კალუგის კომიტეტებმა, მოსკოვის საოკრუგო კომიტეტმა, ცენტრალური რაიონის საოლქო ბიურომ და კოსტრომის პარტიულმა კონფერენციამ, რომელიც შესდგა 1906 წლის 25 ივლისს (7 აგვისტოს). — 170.

49 იგულისხმება რკინიგზელთა კონფერენცია, მოწვეული 1906 წლის აგვისტოში საყოველთაო გაფიცვის საკითხზე, პირველი სახელმწიფო სათათბიროს დათხოვნასთან დაკავშირებით.

კონფერენციას დაესწრნენ 23 რკინიგზელ მუშა-მოსამსახურეთა დელეგატები, რკინიგზელთა სრულიად რუსეთის კავშირის ცენტრალური ბიუროს, შრომის ჯგუფის, რსდმპ ც. კ.-ის, ბუნდის, ესერების ც. კ.-ის და სხვათა წარმომადგენლები. კონფერენციის მიერ მიღებულ რეზოლუციაში აღნიშნული იყო: «მომავალი საყოველთაო გაფიცვა იქნება ხალხის მასების ის იერიში, რომელმაც ძალაუფლება უნდა გამოგლიჯოს ხელიდან თვითმპყრობელ მთავრობას». — 170.

50 «ს ი ს ხ ლ ი ა ნ ი დ ღ ე» — 1906 წლის 2 (15) აგვისტო, როდესაც ვარშავაში, ლოძში, რადომში, პლოცკში და პოლონეთის სხვა ქალაქებში თავს დაესხნენ პოლიციას. გამოსვლა მოაწყო პოლონეთის სოციალისტურმა პარტიამ (პსპ) (იხ. ლენინის შენიშვნა «პოლონეთის სოციალისტური პარტიის პარტიზანული გამოსვლის შესახებ» — ეს ტომი, გვ. 217). — 184.

51 სტოლიპინზე თავდასხმა მოახდინეს ესერმა მაქსიმალისტებმა 1906 წლის 12 (25) აგვისტოს.

გენერალი მინი, რომელიც ხელმძღვანელობდა მოსკოვის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების ჩახშობას, მოკლა ესერების პარტიის წევრმა 1906 წლის 13 (26) აგვისტოს. — 184.

52 მებრძოლი რაზმების კოალიციური საბჭო შესდგებოდა რსდმპ მოსკოვის კომიტეტის, სოციალ-დემოკრატების მოსკოვის ჯგუფის, ესერების პარტიის მოსკოვის კომიტეტის პარტიული რაზმებისა და იმ რაზმების

წარმომადგენლებისაგან, რომლებსაც ეწოდებოდათ «თავისუფალი რაიონული», «უნივერსიტეტის», «სტამბის» და «კავკასიისა». — **190.**

53 იხ. კ. მარქსი. «კლასობრივი ბრძოლა საფრანგეთში», 1940, გვ. 27. — **190.**

54 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. «რევოლუცია და კონტრრევოლუცია გერმანიაში», 1940, გვ. 90 — 100. — **195.**

55 ეს დებულება არაერთხელ განუვითარებია ფ. ენგელსს მთელ რიგ ნაწარმოებებში, კერძოდ ნაშრომში «ანტი-დიურინგი». — **195.**

56 ლენინს მხედველობაში აქვს ფ. ენგელსის «შესავალი» კ. მარქსის ნაშრომისათვის «კლასობრივი ბრძოლა საფრანგეთში». გერმანელმა სოციალ-დემოკრატებმა 1895 წელს «შესავლის» გამოქვეყნების დროს იგი დაამახინჯეს, ხოლო შემდეგ განმარტეს როგორც შეიარაღებულ აჯანყებასა და საბარიკადო ბრძოლაზე უარისთქმა. «შესავლის» სრული ტექსტი ენგელსის ხელნაწერის მიხედვით პირველად გამოქვეყნდა მხოლოდ სსრ კავშირში (იხ. კ. მარქსი. «კლასობრივი ბრძოლა საფრანგეთში», 1940, გვ. 5 — 26). — **196.**

57 ლენინს მხედველობაში აქვს მეფის მთავრობის ორი ბრძანებულება: 1906 წლის 12 (25) აგვისტოსი — საუფლისწულო (მეფის გვარეულობის კუთვნილი) მიწების ნაწილის გაყიდვის შესახებ და 1906 წლის 27 აგვისტოსი (9 სექტემბრისა) — საგლეხო ბანკის მეშვეობით სახაზინო (სახელმწიფო) მიწების გაყიდვის შესახებ. — **209.**

58 იგულისხმება გაზეთი «ი ზ ვ ე ს ტ ი ა მ ო ს კ ო ვ ს კ ო გ ო ს ო ვ ე ტ ა რ ა ბ ო ჩ ი ხ დ ე პ უ ტ ა ტ ო ვ», რომელიც გამოდიოდა ყოველდღიურად 1905 წლის 7 (20)-დან 12 (25) დეკემბრამდე, მოსკოვის საყოველთაო გაფიცვისა და შეიარაღებული აჯანყების დროს. «იზვესტია მოსკოვსკოგო სოვეტა რაბოჩიხ დეპუტატოვ», ისევე როგორც პეტერბურგის საბჭოს «იზვესტია», იბეჭდებოდა მთავრობის დაუკითხავად — რაზმელთა მფარველობით, სხვადასხვა სტამბაში (სიტინის, მამონტოვის, კუშნერევის, ჩიჩერინის სტამბებში). «იზვესტია» გამოდიოდა 5 ათასიდან 10 ათასამდე ეგზემპლარი. 12 (25) დეკემბერს გამოვიდა «იზვესტიას» უკანასკნელი, მეექვსე, ნომერი. — **212.**

59 შენიშვნა «პ ს პ პ ა რ ტ ი ზ ა ნ უ ლ ი გ ა მ ო ს ვ ლ ი ს შ ე ს ა ხ ებ» წარმოადგენს ლენინის შენიშვნას სტატიისათვის «პოლონეთიდან», რო-

მელიც მოთავსებულია «პროლეტარის» № 3-ში 1906 წლის 8 (21) სექტემბერს. — **217.**

60 «ტ ვ ე რ» — საჩაიეს სახელწოდება, მოთავსებული იყო ნევის სადარაჯოს იქით, პეტერბურგში. საჩაიე შავრაზმელთა შესაკრებ ადგილს წარმოადგენდა. — **217.**

61 ტ ა გ — ი ნ — ესერ-მაქსიმალისტის ა. გ. ტროიცკის ფსევდონიმი. — **221.**

62 «გ ო ლ ო ს» — ესერების პარტიის ყოველდღიური გაზეთი, გამოდიოდა პეტერბურგს 1906 წლის აპრილ-ივნისში.

«დ ე ლ ო ნ ა რ ო დ ა» — ესერების პარტიის ყოველდღიური გაზეთი, გამოდიოდა პეტერბურგს 1906 წლის მაისში. — **221.**

63 ვ. ვ. (ვ. ვორონცოვის ფსევდონიმი) და ნ ი კ ო ლ ა ი — ო ნ (ნ. ფ. დანიელსონის ფსევდონიმი) — XIX საუკუნის 80 — 90-იანი წლების ლიბერალური ნაროდნიკობის იდეოლოგები. — **222.**

64 «რ უ ს ს კ ო ე ბ ო გ ა ტ ს ტ ვ ო» — ყოველთვიური ჟურნალი, გამოდიოდა პეტერბურგში 1876-დან 1918 წლის შუახანებამდე. 90-იანი წლების დასაწყისიდან ჟურნალი იყო ლიბერალური ნაროდნიკების ორგანო. 1906 წლიდან «რუსსკოე ბოგატსტვო» ფაქტიურად ხდება ენესების («სახალხო სოციალისტების») ნახევრადკადეტური პარტიის ორგანო. — **223.**

65 უ შ ა კ ო ვ ი — ზუბატოვის აგენტი; 1905 წლის შემოდგომაზე შექმნა «დამოუკიდებელი სოციალური მუშათა პარტია» და მთავრობის ფულით სცემდა «რაბოჩაია გაზეტას». «დამოუკიდებელთა» პარტია ცდილობდა ეწარმოებინა ბრძოლა სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ, მაგრამ მუშებს შორის წარმატება არა ჰქონდა. — **230.**

66 «ო ტ კ ლ ი კ ი ს ო ვ რ ე მ ე ნ ნ ო ს ტ ი» — მენშევიკური ჟურნალი, გამოდიოდა ლეგალურად პეტერბურგში 1906 წლის მარტიდან ივნისამდე. გამოვიდა 5 ნომერი. — **232.**

67 1906 წლის 20 თებერვალს (5 მარტს) გამოიცა კანონი და ორი ბრძანებულება სენატისადმი სახელმწიფო სათათბიროს და სახელმწიფო

საბჭოს შესახებ. ამ კანონით მეფის მთავრობამ ფაქტიურად გააუქმა თავისი 17 ოქტომბრის მანიფესტი.

ახალი კანონით სახელმწიფო საბჭო, რომლის შემადგენლობის ნახევარს ნიშნავდა უმაღლესი ხელისუფლება და ნახევარს ირჩევდნენ თავადაზნაურთა, მსხვილ კაპიტალისტთა და სამღვდელოების შავრაზმული ფენებისაგან, გადაიქცა სათათბირო ორგანოდან საკანონმდებლო ორგანოდ. სახელმწიფო საბჭოს შეეძლო უარეყო სათათბიროს ყოველი გადაწყვეტილება. — **238.**

68 ბ ე ზ ზ ა გ ლ ა ვ ი ე ლ ე ბ ი — ნახევრადკადეტური ჯგუფი (ს. პროკოპოვიჩი, ე. კუსკოვა, ვ. ბოგუჩარსკი და სხვები), რომელიც 1906 წელს სცემდა პეტერბურგში ჟურნალს «ბეზ ზაგლავია». «ბეზზაგლავიელები» — თავიანთ თავს უწოდებდნენ დასავლეთ-ევროპის სოციალ-დემოკრატიის რევიზიონისტული ფრთის (ბერნშტეინი და სხვ.) მომხრეებს და გამოდიოდნენ პროლეტარიატის დამოუკიდებელი კლასობრივი პოლიტიკის წინააღმდეგ. ლენინი «ბეზზაგლავიელებს» «მომენშევიკო კადეტებს» ანუ «მოკადეტო მენშევიკებს» უწოდებდა. — **248.**

69 ეს შენიშვნა დაიბეჭდა როგორც «რედაქციის» შენიშვნა რსდმპ მოსკოვის კომიტეტის რეზოლუციისათვის პარტიზანული ომის შესახებ. რეზოლუცია მიიღო მოსკოვის კომიტეტმა 1906 წლის სექტემბერში. რეზოლუციის სამოტივაციო ნაწილის მე-3 მუხლში აღნიშნულია, რომ «რევოლუცია, თუმცა მას არ ძალუძს ერთდროული სახალხო გამოსვლით დაამხოს ხელისუფლება, მაგრამ იმდენად ძლიერია, რომ არ შეუძლია პასიური დარჩეს და სტიქიურად იწყებს პარტიზანულ თავდასხმებს მტერზე, რასაც განსაკუთრებით უნდა მოველოდეთ სოფლად ჯარში ახალი გაწვევის დაწყებასთან დაკავშირებით». — **255.**

70 «ა მ ს ტ ე რ დ ა მ ი ს რ ე ზ ო ლ უ ც ი ა» — «სოციალისტური ტაქტიკის საერთაშორისო წესები» — მიღებულ იქნა II ინტერნაციონალის კონგრესის მიერ, რომელიც შესდგა ამსტერდამში 1904 წლის 14 — 20 აგვისტოს (ახ. სტ.). რეზოლუცია სოციალისტებს უკრძალავდა ბურჟუაზიულ მთავრობებში მონაწილეობას და უარყოფდა სოციალისტური პარტიების თანამშრომლობას ბურჟუაზიულ პარტიებთან. — **256.**

71 «დ ი ს კ» — «კონსტიტუციონალისტთა დემოკრატიული კავშირი», კონტრრევოლუციური ორგანიზაცია; წარმოიშვა 1905 წლის შემოდგომაზე; აერთიანებდა მსხვილი თავადაზნაურობის, სამრეწველო ბურ-

ჟუაზიისა და უმაღლესი არისტოკრატიის კონსერვატიულ ფენებს. 1905 წლის დამლევს «დისკი» შევიდა ოქტიაბრისტების პარტიაში. — **267.**

72 «ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ» — გაზეთი, რსდმპ ცენტრალური კომიტეტის არალეგალური ორგანო, გამოდიოდა პეტერბურგში 1906 წლის 17 (30) სექტემბრიდან 18 ნოემბრამდე (1 დეკემბრამდე); ფაქტიურად წარმოადგენდა მენშევიკურ ორგანოს, რადგან ც. კ. ამ დროს მენშევიკების ხელში იყო. — **265.**

73 ტ კ ა ჩ ე ვ ი ზ მ ი — რუსული ბლანკიზმი, ასე ეწოდა ოგიუსტ ბლანკის მიმდევრის, XIX საუკუნის 60 — 70-იანი წლების რევოლუციონერის პ. ნ. ტკაჩევის სახელის მიხედვით. — **265.**

74 სტატია «რ უ ს ი რ ა დ ი კ ა ლ ი წ ი ნ დ ა უ ხ ე დ ა ვ ი ა ს» დაიბეჭდა «ვესტნიკ ჟიზნის» № 12-ში.

«ვ ე ს ტ ნ ი კ ჟ ი ზ ნ ი» — ყოველკვირეული მეცნიერული, ლიტერატურული და პოლიტიკური ჟურნალი, ლეგალური ბოლშევიკური ორგანო; გამოდიოდა არალეგალურად პეტერბურგში 1906 წლის 30 მარტიდან (12 აპრილიდან) 1907 წლის სექტემბრამდე; 1906 წლის 19 ნოემბრამდე (2 დეკემბრამდე) გამოვიდა 13 ნომერი. 1907 წლის იანვრიდან «ვესტნიკ ჟიზნი» გადაიქცა ყოველთვიურ ორგანოდ; გამოვიდა 7 ნომერი. ჟურნალში მონაწილეობას იღებდნენ ვ. ი. ლენინი, მ. ს. ოლმინსკი, ვ. ვ. ვოროვსკი, ა. ვ. ლუნაჩარსკი, ა. მ. გორკი და სხვები. გარდა ხსენებული სტატიისა ჟურნალში (№ 6) დაიბეჭდა ლენინის სტატია «კაუტსკი სახელმწიფო სათათბიროს შესახებ» (იხ. თხზულებანი, გამოც. 4, ტომი 10, გვ. 549 — 552). — **270.**

75 ვ. ვ. ხ. — ოვი — ვ. ვ. ხიჟნიაკოვი. — **270.**

76 «ს ტ ო ლ ი ჩ ნ ა ი ა პ ო ჩ ტ ა» — მემარცხენე კადეტების ყოველდღიური გაზეთი, გამოდიოდა პეტერბურგში 1906 წლის ოქტომბრიდან 1908 წლის თებერვლამდე. — **270.**

77 «პ რ ო ლ ე ტ ა რ ი» — არალეგალური გაზეთი, დაარსებული ბოლშევიკების მიერ პარტიის IV («გამაერთიანებელი») ყრილობის შემდეგ; გამოდიოდა 1906 წლის 21 აგვისტოდან (3 სექტემბრიდან) 1909 წლის 28 ნოემბრამდე (11 დეკემბრამდე) ლენინის რედაქციით. «პროლეტარი» ატარებდა მოსკოვისა და პეტერბურგის კომიტეტების, ერთხანს კი — მოსკოვის

საოკრუგო, პერმის, კურსკისა და ყაზანის კომიტეტების ორგანოს სახელწოდებას. ფაქტიურად «პროლეტარი» ბოლშევიკების ცენტრალურ ორგანოს წარმოადგენდა. გამოვიდა «პროლეტარის» 50 ნომერი; პირველი 20 ნომერი გამოიცა ფინეთში. 1908 წლის 13 (26) თებერვლიდან 1 (14) დეკემბრამდე «პროლეტარი» გამოდიოდა ჟენევაში; 1909 წლის 8 (21) იანვრიდან — პარიზში.

გაზეთში გამოქვეყნდა ლენინის 100-ზე მეტი სტატია და შენიშვნა. სტოლიპინის რეაქციის წლებში «პროლეტარმა» დიდი როლი შეასრულა ბოლშევიკური ორგანიზაციების შენარჩუნებასა და განმტკიცებაში. რსდმპ ცენტრალური კომიტეტის 1910 წლის იანვრის პლენუმზე «შემარიგებლებმა», ტროცკის ფარულმა აგენტებმა და დამქაშებმა, შესძლეს გაეტარებინათ გადაწყვეტილება გაზეთ «პროლეტარის» დახურვის შესახებ. — **284.**

78 ბროშურა «მარტოვისა და ჩერევანინის გამოსვლა ბურჟუაზიულ პრესაში» გამოიცა 1906 წლის ოქტომბერს პეტერბურგში. 1912 წელს ბეჭდვითი სიტყვის საქმეთა კომიტეტმა დააკავა ბროშურა, ხოლო პეტერბურგის სასამართლო პალატამ დაადგინა მისი მოსპობა; ბროშურა იმ დროისათვის უკვე გავრცელდა. — **297.**

79 «ნოვი პუტ» — მემარცხენე კადეტური მიმართულების ყოველდღიური გაზეთი, გამოდიოდა მოსკოვში 1906 წლის აგვისტო-ნოემბერს. — **297.**

80 1906 წლის აგვისტოში, მას შემდეგ, რაც ჩაიშალა ც. კ.-ის მიერ სვეაბორგის აჯანყების დროს დანიშნული გაფიცვა, რსდმპ პეტერბურგის კომიტეტმა მიიღო რეზოლუცია საგანგებო პარტიული ყრილობის დაუყოვნებლივ მოწვევის შესახებ. ც. კ.-მა დაადგინა ეცნობებინა ეს გადაწყვეტილება ადგილობრივი ორგანიზაციებისათვის და წინადადება მისცა მათ გამოეთქვათ თავიანთი აზრი ამ საკითხზე.

ყრილობის მოწვევას მხარი დაუჭირეს მთელმა რიგმა უდიდესმა ორგანიზაციებმა, მათ შორის მოსკოვისა და პეტერბურგის კომიტეტებმა, პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიის მთავარმა გამგეობამ, ცენტრალური რუსეთის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების საოლქო ბიუროებმა, ლატვიის მხარის სოციალ-დემოკრატიის ცენტრალურმა კომიტეტმა. ყრილობის მოწვევას მხარი დაუჭირეს აგრეთვე ურალის, ნიჟნი-ნოვგოროდის, ბრიანსკის, მინსკის, კურგანისა და სხვ. კომიტეტებმა. რსდმპ ნოემბრის სრულიად რუსეთის კონფერენციამ დაადგინა ყრილობის მოწვევა 1907 წლის 15 (28) მარტს. — **307.**

81 ბროშურა «სოციალ-დემოკრატია და საარჩევნო შეთანხმებანი» დაბეჭდა 1906 წლის ნოემბერში წიგნის გამომცემლობამ «ვპერიოდმა» პეტერბურგში. 5 წლის შემდეგ, 1912 წელს, ბეჭდვითი სიტყვის საქმეთა კომიტეტმა ყადაღა დაადო ბროშურას, სასამართლო პალატამ დაამტკიცა ეს ყადაღა. ბროშურის დარჩენილი ეგზემპლარები 1912 წლის 30 იანვარს (12 თებერვალს) მოსპობილ იქნა პეტერბურგის ქალაქის უფროსის სამმართველოს სტამბაში. — **321.**

82 ოთხწევრა — შემოკლებული სახელწოდება დემოკრატიული საარჩევნო სისტემისა, რომელიც შეიცავს ოთხ მოთხოვნას: საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული საარჩევნო უფლება. — **329.**

83 «ვესტნიკ პარტიი ნაროდნოი სვობოდი» — ყოველკვირეული ჟურნალი, კადეტების პარტიის ორგანო, გამოდიოდა პეტერბურგში 1906 წლის 22 თებერვლიდან (7 მარტიდან), დროგამოშვებით. 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ჟურნალი დაიხურა. — **334.**

84 «სოზნატელნაია როსსია, — ესერული კრებული, გამოდიოდა პეტერბურგში 1906 წლის შემოდგომაზე. მესამე ნაკვეთიდან გამოდიოდა ქვესათაურით «კრებული თანამედროვე თემებზე». — **343.**

85 რსდმპ მეორე კონფერენცია («სრულიად რუსეთის პირველი») შესდგა ტამერფორსში 1906 წლის 3 — 7 (16 — 20) ნოემბერს. დაესწრო 32 დელეგატი.

მეორე სახელმწიფო სათათბიროს საარჩევნო კამპანიის საკითხის გამო კონფერენციამ მოისმინა ოთხი მოხსენება. ბოლშევიკური პლატფორმის დასაცავად, კადეტებთან ბლოკის წინააღმდეგ, გამოდიოდა ლენინი. მენშევიკები და ბუნდელები იცავდნენ კადეტებთან ბლოკს. 18 ხმის უმრავლესობით, 14-ის წინააღმდეგ, მიღებულ იქნა მენშევიკური რეზოლუცია. ამ რეზოლუციის საპირდაპიროდ ლენინმა შეიტანა «განსაკუთრებული აზრი» — ბოლშევიკური პლატფორმა 14 დელეგატის ხელმოწერით (6 ბოლშევიკისა, 5 პოლონელი და 3 ლატვიელი სოციალ-დემოკრატისა).

6 ნოემბერს ლენინმა გააკრიტიკა კონფერენციაზე საარჩევნო პლატფორმის მენშევიკური პროექტი, წარმოდგენილი ც. კ.-ის მიერ კონფერენციის დასამტკიცებლად (პროექტი გამოქვეყნდა 3 (16) ნოემბერს გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» № 6-ში). კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია, რომ საარჩევნო პლატფორმის პროექტში შეტანილი ყო-

ფილიყო შესწორებანი. იმავე დღეს ლენინმა კონფერენციაზე კამათის დროს მხარი დაუჭირა საგანგებო ყრილობის მოწვევას და მოითხოვა განეხილათ «მუშათა ყრილობისათვის» აგიტაციის გაწევის საკითხი, როგორც პარტიული დისციპლინის დარღვევის საკითხი.

კონფერენციამ, როცა იგი ამტკიცებდა რეზოლუციას «ადგილებზე საარჩევნო კამპანიის ერთიანობის შესახებ», მიიღო ლენინის შესწორება. რეზოლუციის ტექსტი და მისი შესწორება ლენინს მოჰყავს სტატიაში «ბრძოლა მოკადეტო სოციალ-დემოკრატებთან და პარტიული დისციპლინა» (იხ. ეს ტომი, გვ. 380 — 381). კონფერენციამ დაავალა ცენტრალურ კომიტეტს გამოექვეყნებინა კონფერენციის ანგარიშში რეზოლუციების ყველა პროექტი და განსაკუთრებული აზრები. მაგრამ მენშევიკურმა ცენტრალურმა კომიტეტმა გამოაქვეყნა მხოლოდ კონფერენციის რეზოლუციები და გამოსტოვა ბოლშევიკების განსაკუთრებული აზრი (იხ. «სოციალ-დემოკრატი» № 7).

კონფერენციის მუშაობა გააკრიტიკა ლენინმა სტატიაში (გარდა ზემოაღნიშნული სტატიისა) «კადეტებთან ბლოკის შესახებ» (იხ. ეს ტომი, გვ. 361 — 376). — **351.**

86 ს ი ო ნ ი ს ტ ი-ს ო ც ი ა ლ ი ს ტ ე ბ ი («სიონისტური-სოციალისტური მუშათა პარტია») — წვრილბურჟუაზიული ებრაული ნაციონალისტური ორგანიზაცია, შეიქმნა 1904 წელს ოდესაში. — **353.**

87 სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის დეკლარაციის ბოლშევიკური პროექტი დაწერილი იყო ლენინის მიერ; მოჰყავს მას სტატიაში «სათათბიროს ჩვენი ფრაქციის დეკლარაციის გამო» (იხ. ეს ტომი, გვ. 24 — 29). — **368.**

88 ლაპარაკია პლეხანოვის წერილზე (იხ. ეს ტომი, გვ. 316 — 319). — **378.**

89 «ვ ო ლ ნ ა» — ლეგალური ყოველდღიური ბოლშევიკური გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1906 წლის 26 აპრილიდან (9 მაისიდან) 24 მაისამდე (6 ივნისამდე); გამოვიდა 25 ნომერი. დაწყებული № 9-დან, 1906 წლის 5 (18) მაისიდან (მას შემდეგ, რაც IV ყრილობის მუშაობა დამთავრდა და ლენინი სტოკჰოლმიდან ჩამოვიდა), გაზეთს ფაქტიურად რედაქტორობდა ლენინი. გაზეთში დაიბეჭდა ლენინის 20-ზე მეტი სტატია. რედაქციის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ ვ. ვ. ვოროვსკი და მ. ს. ოლმინსკი. «ვოლნას» მრავალჯერ განუცდია პოლიციური რეპრესიები; დახურა მეფის მთავრობამ. «ვოლნას» ნაცვლად გამოვიდა ლეგალური ბოლშევიკური გაზეთი «ვპერიოდ». — **388.**

90 «რ უ ს ს კ ი ე ვ ე დ ო მ ო ს ტ ი» — ყოველდღიური გაზეთი, სცემდნენ მოსკოვში 1863 წლიდან მოსკოვის უნივერსიტეტის ლიბერალური პროფესორები და ერობის მოღვაწეები; გამოხატავდა ლიბერალური მემამულეებისა და ბურჟუაზიის ინტერესებს; 1905 წლიდან — მემარჯვენე კადეტების ორგანო; დაიხურა 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ. — **384.**

91 ფურცელი «ვ ი ნ ა ვ ი რ ჩ ი ო თ ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს ა თ ა თ ბ ი რ ო შ ი?» დაწერილია მეორე სათათბიროს არჩევნების წინ. სტატიაში «მთავრობის მიერ სათათბიროს გაყალბება და სოციალ-დემოკრატიის ამოცანები» (იხ. ეს ტომი, გვ. 463) ლენინი ამ ფურცელს უწოდებდა «პლაკატს სამი მ თ ა ვ ა რ ი პარტიის შესახებ», რომლებიც მონაწილეობენ სათათბიროს არჩევნებში. ფურცელი გამოვიდა პეტერბურგში სამ გამოცემად: ორი შემოკლებული და ერთი სრული. შემოკლებული სახით იგი გამოსცეს აგრეთვე რსდმპ ხარკოვის, კოსტრომის, ივანოვო-ვოზნესენსკის კომიტეტებმა და ობის ჯგუფმა. — **386.**

92 ლენინი ირონიულად უპირისპირებს ერთმანეთს პლეხანოვის ოპორტუნისტულ წერილს «საჯარო პასუხი «ტოვარიშჩის» ერთერთ მკითხველს» და ფ. ლასალის ბროშურას «საჯარო პასუხი გერმანიის მუშათა ლეიფციგის საყოველთაო კონგრესის ცენტრალურ კომიტეტს» (1863 წ.). — **394.**

93 იხ. კ. მარქსი. «სამოქალაქო ომი საფრანგეთში», 1940, გვ. 55. — **398.**

94 «პ ა რ ი ზ ი ს გ ა ნ თ ქ მ უ ლ ი შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა» — შეთანხმება «ძირითად პრინციპებსა და მოთხოვნებზე» თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში, მიღებული 1904 წლის ნოემბერში პარიზის კონფერენციის მიერ, რომელშიც მონაწილეობდნენ ესერების პარტიის, პოლონეთის სოციალისტური პარტიის (პსპ), საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიის («საქართველო») და სხვ. დელეგატები. რსდმპ და ნაციონალური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების დელეგატთა თათბირმა, რომელიც მოწვეული იყო რსდმპ საბჭოს მიერ, უარი თქვა პარიზის კონფერენციაში მონაწილეობაზე. — **402.**

95 პროექტი ბოლშევიკების რეზოლუციისა გამაერთიანებელი ყრილობისათვის «დემოკრატიული რევოლუციის თანამედროვე მომენტი» იხ. კრებულში «საკ. კ. პ. (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ც. კ.-ის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1940, გვ. 64 — 65. — **406.**

96 იხ. «საკ. კ. პ. (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ც. კ.-ის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1940, გვ. 44. — **409.**

97 იგულისხმება პროექტი რეზოლუციისა გამაერთიანებელი ყრილობისათვის შეიარაღებული აჯანყების შესახებ (იხ. «საკ. კ. პ. (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ც. კ.-ის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1940, გვ. 65 — 66). — **410.**

98 «ნ ა რ ო დ ნ ა ი ა ს ვ ო ბ ო დ ა» — გაზეთი, კადეტების პარტიის ორგანო, გამოდიოდა პეტერბურგს 1905 წლის დეკემბერში. — **411.**

99 ლენინს მხედველობაში აქვს 1849 წლის მთელი რიგი აჯანყებანი სამხრეთ და დასავლეთ გერმანიაში. აჯანყებანი, წვრილბურჟუაზიულ ხელმძღვანელთა გაუბედაობისა და სიმხდალის გამო, ჩაახშვეს პრუსიის ჯარებმა.

ბელგიის 1902 წლის საყოველთაო გაფიცვა მოამზადა ბელგიის მუშათა პარტიამ ლიბერალებთან შეკავშირებით და მიმდინარეობდა საყოველთაო საარჩევნო უფლებისათვის ბრძოლის ლოზუნგით. ოპორტუნისტებს, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ მუშათა პარტიას, — ვანდერველდეს და სხვ. — შეეშინდათ საგაფიცვო მოძრაობის გაქანებისა და სავსებით დაუთმეს მთავრობას. — **417.**

100 «რ ა ბ ო ჩ ა ი ა მ ი ს ლ ე ლ ე ბ ი» — «ეკონომისტების» გაზეთის «რაბოჩაია მისლის» (გამოდიოდა 1897—1902 წლებში) მომხრენი. «რაბოჩაია მისლის» შეხედულებათა, როგორც საერთაშორისო ოპორტუნიზმის რუსული ნაირსახეობის კრიტიკა ლენინმა მოგვცა მთელ რიგ ნაწარმოებებში, განსაკუთრებით სტატიებში, რომლებიც გამოქვეყნდა «ისკრაში», და წიგნში «რა ვაკეთოთ?».

ა კ ი მ ო ვ ე ლ ე ბ ი — «ეკონომიზმის» ერთერთი წარმომადგენლის, ვ. პ. აკიმოვის (მახნოვეცის) თანამოაზრენი. — **421.**

101 ბ ე ლ ო რ უ ს ი ი ს ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი გ რ ო მ ა დ ა — ნაროდნიკული ტიპის წვრილბურჟუაზიული ნაციონალისტური ორგანიზაცია, ჩამოყალიბდა 1903 წლის ყრილობაზე. — **424.**

102 ლენინს მხედველობაში აქვს რეზოლუცია მუშათა ყრილობის შესახებ, მიღებული პეტერბურგის სხვადასხვა რაიონის მუშათა კრების მიერ 1906 წლის სექტემბრის დამდეგს. კრება მოიწვია რსდმპ პეტერბურგის კომიტეტმა. — **426.**

103 «ვ ა პ ე რ ი ო დ» — არალეგალური ბოლშევიკური გაზეთი, გამოდიოდა ჟენევაში 1904 წლის 22 დეკემბრიდან (1905 წლის 4 იანვრიდან) 1905 წლის 5 (18) მაისამდე; გამოვიდა 18 ნომერი. გაზეთის ორგანიზატორი, იდეური შთამგონებელი და ხელმძღვანელი ვ. ი. ლენინი იყო. რედაქციის შემადგენლობაში შედიოდნენ აგრეთვე ვ. ვ. ვოროვსკი, მ. ს. ოლმინსკი და ა. ვ. ლუნაჩარსკი.

რსდმპ III ყრილობამ სპეციალურ რეზოლუციაში აღნიშნა გაზეთ «ვპერიოდის» დიდი როლი მენშევიზმთან ბრძოლაში, პარტიულობის აღდგენისათვის ბრძოლაში, რევოლუციური მოძრაობით წამოყენებული ტაქტიკის საკითხების დასმასა და გაშუქებაში და მადლობა გამოუცხადა გაზეთის რედაქციას. — 480.

104 «ნ ო ვ ა ი ა ჟ ი ზ ნ» — პირველი ლეგალური ბოლშევიკური გაზეთი, გამოდიოდა ყოველდღიურად 1905 წლის 27 ოქტომბრიდან (9 ნოემბრიდან) 3 (16) დეკემბრამდე პეტერბურგში. როცა ლენინი ნოემბრის დამდეგს ემიგრაციიდან პეტერბურგს ჩამოვიდა, გაზეთი გამოდიოდა მისი უშუალო ხელმძღვანელობით. «ნოვაია ჟიზნი» ფაქტიურად რსდმპ ცენტრალურ ორგანოს წარმოადგენდა. გაზეთის უახლოესი თანამშრომლები იყვნენ ვ. ვ. ვოროვსკი, მ. ს. ოლმინსკი, ა. ვ. ლუნაჩარსკი და სხვები. «ნოვაია ჟიზნში» აქტიურ მონაწილეობას იღებდა ა. მ. გორკი, რომელიც აგრეთვე დიდ მატერიალურ დახმარებას უწევდა გაზეთს.

«ნოვაია ჟიზნის» № 9-ში, 1905 წლის 10 (23) ნოემბერს, გამოქვეყნდა ლენინის პირველი სტატია «პარტიის რეორგანიზაციის შესახებ». შემდეგ კიდევ დაიბეჭდა მისი ათზე მეტი სტატია. გაზეთის ყოველდღიური ტირაჟი 80 ათასამდე ეგზემპლარს აღწევდა. «ნოვაია ჟიზნს» ბევრჯერ განუცდია რეპრესია. გაზეთის 27 ნომრიდან კონფისკაციაქმნილ და მოსპობილ იქნა 15. მას შემდეგ, რაც 2 (15) დეკემბერს გამოვიდა 27-ე ნომერი, «ნოვაია ჟიზნი» დახურა მთავრობამ. უკანასკნელი, 28-ე, ნომერი არალეგალურად გამოვიდა. — 482.

105 «Die Neue Zeit» («ახალი დროება») — გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ჟურნალი, გამოდიოდა შტუტგარტში 1883-დან 1923 წლამდე. 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან, ფ. ენგელსის გარდაცვალების შემდეგ, ჟურნალი სისტემატურად ბეჭდავდა რევიზიონისტების სტატიებს. მსოფლიო იმპერიალისტური ომის წლებში (1914—1918) კაუტსკის ცენტრისტულ პოზიციაზე იდგა, მხარს უჭერდა სოციალ-შოვინისტებს. — 485.

106 «ნ ა რ ო დ ნ ო-ს ო ც ი ა ლ ი ს ტ ი ჩ ე ს კ ო ე ო ბ ო ზ რ ე ნ ი ე» — ნახევრადკადეტური «სახალხო-სოციალისტური» პარტიის ორგანო; გამოდიოდა პეტერბურგს 1906—1907 წლებში. — 480.

107 «ს ო ვ რ ე მ ე ნ ნ ა ი ა ჟ ი ზ ნ» — მენშევიკური ჟურნალი, გამოდიოდა მოსკოვში 1906 წლის აპრილიდან 1907 წლის მარტამდე. — **441.**

108 ლენინს მხედველობაში აქვს მარქსის სტატია «კრიზისი და კონტრრევოლუცია», დაბეჭდილი 1848 წლის 14 სექტემბრის «რეინის ახალ გაზეთში» (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. VI, 1930, გვ. 444). — **448.**

109 იგულისხმება რსდმპ მეორე («სრულიად რუსეთის პირველი») კონფერენციის რეზოლუცია — «შესწორება ცენტრალური კომიტეტის მიერ წარმოდგენილი საარჩევნო პლატფორმის პროექტისა» (იხ. «საკ. კ. პ. (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ც. კ.-ის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1940, გვ. 88). — **452.**

110 ლაპარაკია ფრანკფურტის პარლამენტის — გერმანიის ეროვნული კრების დეპუტატებზე; ეროვნული კრება მოიწვიეს 1848 წლის მაისში, მარტის რევოლუციის შემდეგ.

ნ ა ც ი ო ნ ა ლ-ლ ი ბ ე რ ა ლ ე ბ ი — გერმანიის პოლიტიკური პარტია, რომელიც 1866 წელს გამოეყო პრუსიელი პროგრესისტების პარტიას, წარმოადგენდა კონტრრევოლუციური მსხვილი სამრეწველო ბურჟუაზიის ინტერესებს. — **464.**

111 ლენინს მოჰყავს დებულება კ. მარქსის ნაშრომიდან «გოთას პროგრამის კრიტიკა» (იხ. კ. მარქსი, «გოთას პროგრამის კრიტიკა», 1940, გვ. 35). — **464.**

112 ნ ი კ. ი — ს კ ი — ნ. ი. იორდანსკი, მაშინ ემხრობოდა მენშევიკებს. — **465.**

113 სტატია «პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა და მ უ შ ა თ ა კ ლ ა ს ი ს ა მ ო ც ა ნ ე ბ ი» დაიბეჭდა ბოლშევიკური ორგანოს «ტერნი ტრუდას» პირველ ნომერში.

«ტერნიი ტრუდა» — ბოლშევიკური ლეგალური ყოველკვირეული ორგანო, გამოდიოდა პეტერბურგში 1906 წლის 24 დეკემბრიდან (1907 წლის 6 იანვრიდან) 1907 წლის 6 (19) იანვრამდე. გამოვიდა 3 ნომერი. გარდა აღნიშნული სტატიისა, ყოველკვირეულ ორგანოში (№ 2) დაიბეჭდა ლენინის სტატია «როგორ უყურებენ სათათბიროს არჩევნებს ბურჟუაზიული პარტიები და მუშათა პარტია?» (იხ. ეს ტომი, გვ. 500 — 506). ყოველკვირეული ორგანო დახურა მთავრობამ. — **469.**

114 სტატია «მ უ შ ა თ ა პ ა რ ტ ი ი ს ა მ ო ც ა ნ ე ბ ი და გ ლ ე ხ ო ბ ა» დაწერილი იყო სამარის ბოლშევიკური ლეგალური გაზეთისათვის «სა-

მარსკაია ლუკა». სტატიის ხელნაწერი ლენინმა გაგზავნა პეტერბურგიდან სამარაში, გაზეთის რედაქციის მისამართით, მაგრამ ხელთ იგდეს ჟანდარმებმა. ხელნაწერი აღმოჩენილ იქნა მხოლოდ 1929 წელს სამარის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს საარქივო მასალებში.—**476.**

115 «ნაშა ტრიბუნა» — ბუნდის ყოველკვირეული ჟურნალი, გამოდიოდა ვილნოში 1906 წლის დეკემბრიდან 1907 წლის მარტამდე. გამოვიდა 12 ნომერი. — **488.**

116 ლენინს მხედველობაში აქვს ნ. შჩედრინის ნარკვევები «საზღვარგარეთ», დაბეჭდილი «ოტეჩესტვენნიე ზაპისკის» 1881 წლის იანვრის წიგნში (იხ. ნ. შჩედრინი (მ. ე. სალტიკოვი). თხზულებათა სრული კრებული, ტ. XIV, 1936, გვ. 161—208). — **511.**

117 სტატია «მუშათა პარტიის საარჩევნო კამპანია პეტერბურგში» დაბეჭდილია როგორც მოწინავე ბოლშევიკური ორგანოს «პროსტიე რეჩის» № 1-ში.

«პროსტიე რეჩი» — ბოლშევიკური ლეგალური ყოველდღიური გაზეთი, გამოდიოდა პეტერბურგში 1907 წელს. გამოვიდა 3 ნომერი: 14 (27) იანვარს, 21 იანვარს (3 თებერვალს), 30 იანვარს (12 თებერვალს). ხსენებული სტატიის გარდა გაზეთში დაიბეჭდა ლენინის სტატიები: «სოციალ-დემოკრატიის საარჩევნო კამპანია პეტერბურგში», «არჩევნები პეტერბურგის მუშათა კურიაში» და «ს.-დ. და ს.-რ. ბრძოლა პეტერბურგის მუშათა კურიაში არჩევნების დროს». გაზეთის გამოცემა შეწყვიტა მთავრობამ. — **516.**

118 რსდმპ პეტერბურგის ორგანიზაციის კონფერენცია, რომელმაც განიხილა II სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში საარჩევნო ტაქტიკის საკითხი, შესდგა 1907 წლის 6 (19) იანვარს. მოხსენებით საარჩევნო შეთანხმებებზე არჩევნებში გამოვიდა ლენინი. ლენინის მოხსენების საგაზეთო ანგარიში დაიბეჭდა 1907 წლის 25 იანვარს (7 თებერვალს) ბოლშევიკურ გაზეთ «პროლეტარში» № 12.

მოხსენების განხილვის შემდეგ კონფერენციამ დაადასტურა რსდმპ სრულიად რუსეთის ნოემბრის კონფერენციის 14 დელეგატის რეზოლუცია («განსაკუთრებული აზრი»). პეტერბურგის კონფერენციის მუშაობისა და მისი მოწვევის პირობები დაწვრილებით გაშუქებულია ლენინის მიერ ბროშურებში «სოციალ-დემოკრატია და სათათბიროს არჩევნები», ««მოისმენ მსჯავრსა რეგვენისასა»... (ს.-დ. პუბლიცისტის შენიშვნებიდან)» (იხ. ეს ტომი, გვ. 521 — 551, 552 — 575). — **516.**

110 ბროშურა «სოციალ-დემოკრატია და სათათბიროს არჩევნები» დაბეჭდა 1907 წლის იანვარში წიგნის გამომცემლობამ «ნოვაია დუმამ» პეტერბურგში, ამხ-ბა «დელოს» სტამბაში. იქვე იმავე დროს დაიბეჭდა ლენინის ბროშურა ««მოისმენ მსჯავრსა რეგვენისასა»... (ს.-დ. პუბლიცისტის შენიშვნებიდან)». 1912 წელს ორივე ბროშურა აკრძალა მთავრობამ. — **521.**

120 ლენინს მხედველობაში აქვს ნ. გ. ჩერნიშევსკის ნაშრომი «პოლიტიკურ-ეკონომიური წერილები ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის გ. კ. კერეს მიმართ» (იხ. ნ. გ. ჩერნიშევსკი. რჩეული თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. II, ნახევარტომი II, 1935, გვ. 458). — **542.**

121 ლიდვალიადა — მსხვილი სპეკულანტის, 1906 წელს დამშეული გუბერნიებისათვის სურსათის მიმწოდებლის, ლიდვალისა და შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგის გურკოს საქმე. ხაზინის ქურდობისა და შიმშილზე სპეკულაციის მხილებამ აიძულა მეფის მთავრობა საქმე სასამართლომდე მიეყვანა. გურკოსათვის, გარდა თანამდებობიდან გადაყენებისა, ამ საქმეს არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. — **545.**

122 ლაპარაკია 1 სახელმწიფო სათათბიროს წევრის, კადეტ მ. ი. გერცენშტეინის მოკვლაზე 1906 წლის 18 (31) ივლისს ფინეთში; მკვლელობა მოაწყეს შავრაზმელებმა. — **545.**

123 ტან (ვ. გ. ბოგორაზის ფსევდონიმი) — ნახევრადკადეტური «სახალხო-სოციალისტური პარტიის» ერთერთი ორგანიზატორი. — **552.**

124 ლენინს მოჰყავს ა. ს. გრიბოედოვის კომედიის «ვაი ჭკუისაგან» მთავარი მოქმედი პირის ჩაცის სიტყვები. — **556.**

125 ლენინს მხედველობაში აქვს მემარცხენე კადეტური გაზეთის «ვეკის» ცდა — შეეგროვებინა მასალები ამომრჩეველთა სულიერი განწყობილების შესახებ. გაზეთის № 5-ში, 1907 წლის 9 (22) იანვარს, მოთავსებული იყო მკითხველთა ხმისმიცემის წინასწარი შედეგები: აღმოჩნდა, რომ კადეტებს ხმა მისცა 765 კაცმა, სოციალ-დემოკრატებს — 407. დანარჩენმა პარტიებმა მიიღეს ხმების უმნიშვნელო რაოდენობა. — **575.**

ვ. ი. ლენინი

ცხოვრებისა და მოღვაწეობის თარიღები

(*1906* წლის ივნისი—*1907* წლის იანვარი)

1906

ივნისი, 6 (19). ლენინი კარპოვის გვარით გამოდის მოხსენებით და საბოლოო სიტყვით აგრარულ საკითხზე პეტერბურგში — სახალხო მასწავლებელთა სრულიად რუსეთის ყრილობის დელეგატების წინაშე.

ივნისი, 8 (21). ლენინის სტატია «წინახანს», პეტერბურგიდან კიევს ტელეგრაფით გადაცემული, გამოქვეყნდა კიევის ბოლშეეიკური გაზეთის «რაბოტნიკის» № 1-ში.

ლენინი წერს სტატიას «მერყეობა ზემოდან, გამბედაობა ქვემოდან». სტატია დაიბეჭდა გაზეთ «ვპერიოდის» № 13-ში 9 (22) ივნისს (მოწინავე).

ივნისი, 9 (22). ლენინი წერს სტატიას «ერთიანობისაკენ!». სტატია გამოქვეყნდა მოწინავედ გაზეთ «ვპერიოდის» № 14-ში 10 (23) ივნისს.

ივნისი, 10 (23). ლენინი წერს სტატიას «სათათბირო და ხალხი». სტატია გამოქვეყნდა მოწინავედ გაზეთ «ვპერიოდის» № 15-ში 11 (24) ივნისს.

ივნისის პირველი ნახევარი. ლენინი ბალტიის ქარხნის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის კრებაზე აკრიტიკებს მენშევიკებს, რომლებიც მხარს უჭერდნენ «სათათბიროს პასუხისმგებელი სამინისტროს» კადეტურ ლოზუნგს.

ივნისი, 11—12 (24—25). ლენინი ჩადის ტერიოკში (ფინეთი) რსდმპ პეტერბურგის ორგანიზაციის რაიონთაშორისო კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად.

ლენინი თავმჯდომარეობს კონფერენციას. შეაქვს წინადადება დაწყებულ იქნას კონფერენციის მუშაობა ტაქტიკის საკითხის განხილვით. ლენინის წინადადებას იღებენ. ლენინი გამოდის მოხსენებებით «სახელმწიფო

სათათბიროს მიმართ პარტიის ტაქტიკის შესახებ» და «პარტიის ერთიანობის შესახებ».

ივნისი, 14 (27)-მდე. ლენინი იმუშავებს სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის დეკლარაციის პროექტს. პროექტი გამოქვეყნდა 22 ივნისს (5 ივლისს) გაზეთ «ეხოს» № 1-ში.

ივნისი, 14 (27). ლენინის სტატია «ბრძოლა ძალაუფლებისათვის და «ბრძოლა» ნასუფრალისათვის» გამოქვეყნდა მოწინავედ გაზეთ «ვპერიოდის» № 17-ში.

ივნისი, 22 (ივლისი, 5). ლენინის სტატიები: «სათათბიროს ჩვენი ფრაქციის დეკლარაციის გამო», «რომელი გეგულების საქმედ, ჰყავ ადრე!» და «სასარგებლო პოლემიკა» დაიბეჭდა გაზეთ «ეხოს» № 1-ში.

ლენინი წერს სტატიებს «დახმარება დამშეულებს და სათათბიროს ტაქტიკა» და «მოლაპარაკება სამინისტროს შესახებ». სტატიები დაიბეჭდა გაზეთ «ეხოს» № 2-ში 23 ივნისს (6 ივლისს).

ივნისი, 23 (ივლისი, 6). ლენინი წერს სტატიას «ვინ უჭერს მხარს კადეტებთან კავშირს?». სტატია დაიბეჭდა მოწინავედ გაზეთ «ეხოს» № 3-ში 24 ივნისს (7 ივლისს).

ივნისი, 24 (ივლისი, 7). ლენინი წერს სტატიას «კადეტურმა სათათბირომ ფული მისცა დამრბევთა მთავრობას». სტატია დაიბეჭდა მოწინავედ გაზეთ «ეხოს» № 4-ში 25 ივნისს (8 ივლისს).

ივნისი, 25 (ივლისი, 8). ლენინი გამოდის მოხსენებით და საბოლოო სიტყვით აგრარული საკითხის შესახებ მუშების კრებაზე, რომელიც მოაწყო რსდმპ პეტერბურგის რაიონულმა კომიტეტმა.

ივნისი, 26 (ივლისი, 9). ლენინი წერს სტატიას «კადეტების ამყოლ-დამყოლნი». სტატია გამოქვეყნდა მოწინავედ გაზეთ «ეხოს» № 5-ში 27 ივნისს (10 ივლისს).

ივნისი, 28 (ივლისი, 11). ლენინის სტატია «კიდევ სათათბიროს სამინისტროს შესახებ» გამოქვეყნდა გაზეთ «ეხოს» № 6-ში (მოწინავე).

ლენინი თავმჯდომარეობს პეტერბურგის ნარვის რაიონის მუშა სოციალ-დემოკრატების კრებას. მოხსე-

ნებას აკეთებს აგრარულ საკითხზე. კრება იღებს ლენინის მიერ წარმოდგენილ რეზოლუციას, რომელიც იწონებს რსდმპ პეტერბურგის რაიონთაშორისო კონფერენციის გადაწყვეტილებებს.

ივნისის დამლევი (ივლისის დამდეგი). ლენინი მონაწილეობს ხელმძღვანელი პარტიული ბოლშევიკი მუშაკების კრებაში, პეტერბურგში, სადაც იხილავენ პარტიის ტაქტიკის საკითხს.

ივლისი, 1 (14). ლენინის სტატიები ««უპარტიო» ბოიკოტისტების მცდარი მსჯელობანი» და «ბურჟუაზიის საყვედური და პროლეტარიატის მოწოდება» გამოქვეყნდა გაზეთ «ეხოს» № 9-ში.

ივლისი, 2 (15). ლენინის სტატია «არმია და ხალხი» დაიბეჭდა მოწინავედ გაზეთ «ეხოს» № 10-ში.

ივლისის დამდეგი. ლენინი გამოდის შაპშალის თამბაქოს ფაბრიკის მუშაქალთა კრებაზე პეტერბურგში; მხარს უჭერს მუშების ინიციატივას — დაიწყონ გაფიცვა ადმინისტრაციის მიერ მათი ეკონომიური მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე უარისთქმის პასუხად.

ივლისი, 4 (17). ლენინის სტატიები «მასების ორგანიზაციისა და ბრძოლის მომენტის შერჩევის შესახებ» და «ჟურნალ-გაზეთებს შორის» გამოქვეყნებულია გაზეთ «ეხოს» № 11-ში.

ივლისი, 5 (18). ლენინის სტატია «გაბედული იერიში და ლაჩრული თავდაცვა» გამოქვეყნებულია მოწინავედ გაზეთ «ეხოს» № 12-ში.

ლენინი წერს სტატიას «სათათბიროს პარტიები და ხალხი». სტატია გამოქვეყნებულია მოწინავედ გაზეთ «ეხოს» № 13-ში 6 (19) ივლისს.

ივლისი, 6 (19). ლენინი წერს სტატიას «რეაქციის შეთქმულება და დამრბევთა მუქარა». სტატია გამოქვეყნდა გაზეთ «ეხოს» № 14-ში 7 (20) ივლისს (მოწინავე).

ივლისი, 7 (20). ლენინი კარპოვის გვარით გამოდის რსდმპ პეტერბურგის ორგანიზაციის პარტიულ მუშაკთა კრებაზე მოხსენებითა და რეზოლუციის პროექტით სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ტაქტიკის შესახებ.

ივლისი, 9 თუ 10 (22 თუ 23).	ლენინი კუოკალაში (ფინეთი) ატარებს თათბირს პარტიულ მუშაკებთან სათათბიროს გარეკვასთან დაკავშირებით პარტიის ამოცანების საკითხზე.
13 და 17 (26 და 30) ივლისს შუა.	ლენინი წერს ბროშურას «სათათბიროს დათხოვნა და პროლეტარიატის ამოცანები».
ივლისი, 16 (29).	ლენინი წერს პროექტს რსდმპ პეტერბურგის კომიტეტის აღმასრულებელი კომისიის დადგენილებისა აჯანყების სახელმძღვანელოდ სვეაბორგში დელეგაციის გაგზავნის შესახებ.
ივლისი, 20 (აგვისტო, 2).	ლენინი მითითებას აძლევს ბოლშევიკებს, პეტერბურგის კომიტეტის წევრებს, ჩაატარონ გაფიცვა კრონშტადტის აჯანყების მხარის დაჭერის მიზნით.
აგვისტოს პირველი ნახევარი.	ლენინი ორ კვირას ვიბორგში იმყოფება და ხელმძღვანელობს გაზეთ «პროლეტარის» № 1-ის მომზადებისა და გამოშვების მუშაობას.
აგვისტო, 12 (25).	ლენინი წერს სტატიას «ბოიკოტის შესახებ».
აგვისტო, 21 (სექტემბერი, 3).	ლენინის სტატიები: «ქარიშხლის წინ» (მოწინავე), «ბოიკოტის შესახებ», «პოლიტიკური კრიზისი და ოპორტუნისტული ტაქტიკის ჩაშლა» და «სადღეისო ამბებისათვის» გამოქვეყნებულია გაზეთ «პროლეტარის» № 1-ში.
აგვისტო, 27 (სექტემბერი, 9).	ლენინი თავმჯდომარეობს პარტიულ კრებას ტერიოკში, სიტყვით გამოდის «მუშათა ყრილობის» მენშევიკური ლოზუნგის წინააღმდეგ და დაჟინებით მოითხოვს რსდმპ V ყრილობის მოწვევას. კრება ერთხმად იღებს ლენინის მიერ წარმოდგენილ რეზოლუციას.
აგვისტო, 29 (სექტემბერი, 11).	ლენინის სტატიები «მოსკოვის აჯანყების გაკვეთილები» (მოწინავე) და «ტაქტიკური მერყეობა» გამოქვეყნებულია გაზეთ «პროლეტარის» № 2-ში.
ზაფხული.	ლენინი წერს სტატიას «რიგითი მარქსისტის შენიშვნები ფილოსოფიის შესახებ» ა. ბოგდანოვის წიგნის «ემპირიომონიზმის» (ნაკვთ. III) გამო.

ზაფხულის დამლევი	ლენინი გადადის ფინეთში, კუოკალაში, აგარაკ «ვაზა»-ზე.
სექტემბერი, 8 (21).	ლენინის სტატიები «მთავრობის პოლიტიკა და მომავალი ბრძოლა» (მოწინავე) და «ხელები შორს!» გამოქვეყნებულია გაზეთ «პროლეტარის» № 3-ში».
სექტემბრის პირველი ნახევარი.	ლენინი წერს შენიშვნას «ბუნდის შეერთება რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიასთან».
სექტემბერი, 19 (ოქტომბერი, 2).	ლენინის სტატია «ესერული მენშევიკები» გამოქვეყნებულია გაზეთ «პროლეტარის» № 4-ში.
სექტემბერი, 30 (ოქტომბერი, 13).	ლენინის სტატიები: «მზადდება ახალი სახელმწიფო გადატრიალება!» (მოწინავე), «პარტიზანული ომი» და «რუსეთის პოლიტიკური პარტიების კლასიფიკაციის ცდა» გამოქვეყნებულია გაზეთ «პროლეტარის» № 5-ში.
ოქტომბრის დამდეგი.	ლენინი წერს «შენიშვნებს «სოციალ-დემოკრატის» № 1-ლის გამო».
ოქტომბერი, 18 (26) შემდეგ.	ლენინი წერს ბროშურას «მარტოვისა და ჩერევანინის გამოსვლა ბურჟუაზიულ პრესაში»; ბროშურა გამოსცა წიგნის გამომცემლობამ «პროლეტარსკოე დელომ» 1906 წლის ოქტომბერში.
ოქტომბერი, 18 (31).	ლენინის სტატია «რუსი რადიკალი წინდაუხედავია!» დაიბეჭდა ჟურნალში «ვესტნიკ ჟიზნი» № 12.
ოქტომბერი, 29 (ნოემბერი, 11).	ლენინის სტატიები «კადეტთა ყრილობის შედეგებისათვის» (მოწინავე) და «ობივატელობა რევოლუციურ წრეში» გამოქვეყნებულია გაზეთ «პროლეტარის» № 6-ში.
ოქტომბერი, 31 (ნოემბერი, 13).	ლენინი ამთავრებს ბროშურას «სოციალ-დემოკრატია და საარჩევნო შეთანხმებანი».
ნოემბერი, 8 (16).	რსდმპ მეორე («სრულიად რუსეთის პირველი») კონფერენციაზე ტამერფორსში ლენინს ირჩევენ პრეზიდიუმში.

ლენინი გამოდის კონფერენციის დღის წესრიგის საკითხზე.

ლენინი წინადადებას იძლევა განხილულ იქნას საკითხი, თუ როგორ მიმდინარეობს ადგილობრივს პარტიულ ორგანიზაციებში ბუნდთან გაერთიანება.

ნოემბერი, 4 (17). ლენინი გამოდის კონფერენციაზე მოხსენებით და საბოლოო სიტყვით სათათბიროს არჩევნებისას საარჩევნო შეთანხმებათა საკითხზე; შეაქვს «განსაკუთრებული აზრი» რსდმპ ტაქტიკაზე სათათბიროს კამპანიაში. («განსაკუთრებული აზრი» ხელმოწერილი იყო კონფერენციის 14 დელეგატის მიერ.)

ნოემბერი, 6 (19). ლენინი გამოდის კონფერენციაზე და აკრიტიკებს საარჩევნო პლატფორმის მენშევიკურ პროექტს, რომელიც წარადგინა რსდმპ ც. კ.-მა.

ლენინი გამოდის კამათში და მხარს უჭერს საგანგებო პარტიული ყრილობის მოწვევას.

ნოემბერი, 7 (20). ლენინი დაჟინებით მოითხოვს, რომ კონფერენციამ «მუშათა ყრილობისათვის» აგიტაციის გაწევის საკითხი განიხილოს, როგორც პარტიული დისციპლინის დარღვევის საკითხი. კონფერენცია იღებს ლენინის შესწორებას რეზოლუციისას «ადგილებზე საარჩევნო კამპანიის ერთიანობის შესახებ».

ნოემბერი, 10 (23). ლენინის სტატიები: «საგანგებო პარტიული ყრილობის მოწვევის შესახებ», «როგორ იწერება ისტორია...», «პოსტსკრიპტუმი სტატიისა: «სოციალ-დემოკრატია და საარჩევნო კამპანია» გამოქვეყნებულია გაზეთ «პროლეტარის» № 7-ში.

ნოემბერი, 16 (29)-მდე. ლენინი აძლევს მითითებებს (სიტყვიერად და განსაკუთრებული წერილით) ტამერფორსში რსდმპ სამხედრო და მებრძოლი ორგანიზაციების პირველი ბოლშევიკური კონფერენციის მოწვევის ორგანიზატორებს.

ნოემბერი, 22 (დეკემბერი, 5). ლენინი ესაუბრება რსდმპ სამხედრო და მებრძოლი ორგანიზაციების პირველი კონფერენციის მონაწილეებს კონფერენციის შედეგების შესახებ.

ნოემბერი, 23 (დეკემბერი, 6).	ლენინის სტატიები: «ამომრჩევლებისადმი მიმართვის პროექტი» (მოწინავე), «კადეტებთან ბლოკის შესახებ», «მოკადეტო სოციალ-დემოკრატებთან ბრძოლა და პარტიული დისციპლინა», «როგორ ატარებენ არმავირელი სოციალ-დემოკრატები საარჩევნო კამპანიას?» დაიბეჭდა გაზეთ «პროლეტარის» № 8-ში.
	ლენინის მიერ დაწერილი ფურცელი «ვინ ავირჩიოთ სახელმწიფო სათათბიროში?» დაიბეჭდა გაზეთ «პროლეტარის» № 8-ის დამატებაში.
1906 წლის 15 ნოემბერსა და 1907 წლის 15 იანვარს შუა.	ლენინი ლექციას უკითხავს პეტერბურგის ნევის რაიონის სემიანიკოვის ქვერაიონის მუშებს თემაზე: «საარჩევნო შეთანხმება დასავლეთში და ჩვენში».
დეკემბერი, 7 (20).	ლენინის სტატიები: «ახალი სენატური განმარტება» (მოწინავე) და «მენშევიზმის კრიზისი» გამოქვეყნებულია გაზეთ «პროლეტარის» № 9-ში.
დეკემბერი, 10 (23).	ლენინი წერს სტატიას «პროლეტარიატი და მისი მოკავშირე რუსეთის რევოლუციაში». სტატია გამოქვეყნებულია გაზეთ «პროლეტარის» № 10-ში 1906 წლის 20 დეკემბერს (1907 წლის 2 იანვარს).
დეკემბერი, 14 (27).	ლენინი წერს სტატიას «მთავრობის მიერ სათათბიროს გაყალბება და სოციალ-დემოკრატიის ამოცანები» სტატია გამოქვეყნებულია გაზეთ «პროლეტარის» № 10-ში 1906 წლის 20 დეკემბერს (1907 წლის 2 იანვარს).
დეკემბერი, 20 (1907 წლის 2 იანვარი).	ლენინის სტატია «ბუნდის ორგანოს ერთი სტატიის გამო» გამოქვეყნებულია გაზეთ «პროლეტარის» № 10-ში.
დეკემბერი, 24 (1907 წლის 6 იანვარი).	ლენინის სტატია «პოლიტიკური მდგომარეობა და მუშათა კლასის ამოცანები» გამოქვეყნებულია მოწინავედ ბოლშევიკური ყოველკვირეულის «ტერნიი ტრუდას» № 1-ში.
დეკემბერი, 27-ის (1907 წლის 9 იანვრის) შემდეგ.	ლენინი წერს წინასიტყვაობას რუსულად ნათარგმნი ბროშურისა: «ვ. ლიბკნეხტი. არავითარი კომპრომისი, არავითარი საარჩევნო შეთანხმება!»

დეკემბერი, 28 (1907 წლის 10 იანვარი).	ლენინი წერს სტატიას «მუშათა პარტიის ამოცანები და გლეხობა» და უგზავნის მას პეტერბურგიდან სამარაში ბოლშევიკური გაზეთის «სამარსკაია ლუკას» რედაქციას.
დეკემბერი, 31 (1907 წლის 13 იანვარი).	ლენინის სტატია «როგორ უყურებენ სათათბიროს არჩევნებს ბურჟუაზიული პარტიები და მუშათა პარტია?» გამოქვეყნებულია მოწინავედ ყოველკვირეულის «ტერნიი ტრუდას» № 2-ში.
დეკემბერი.	ლენინი რედაქტორობს რუსულ თარგმანს კ. კაუტსკის ბროშურისას: «რუსეთის რევოლუციის მამოძრავებელი ძალები და პერსპექტივები» და წერს ბროშურის წინასიტყვაობას.

1907

იანვარი, 6 (19).	ლენინი მონაწილეობს პეტერბურგის ორგანიზაციის კონფერენციაში მოსკოვის რაიონის ობვოდნისა და საპოჟნის ქვერაიონების დელეგატად.
	ლენინს ირჩევენ კონფერენციის პრეზიდიუმში.
	ლენინი გამოდის მოხსენებით სათათბიროს მომავალ არჩევნებში საარჩევნო შეთანხმებათა შესახებ.
იანვარი, 7 (20).	ლენინის სტატია «პლეხანოვი და ვასილიევი» გამოქვეყნებულია გაზეთ «პროლეტარის» № 11-ში.
იანვარი, 14 (27).	ლენინის სტატია «მუშათა პარტიის საარჩევნო კამპანია პეტერბურგში» გამოქვეყნებულია მოწინავედ ბოლშევიკური ყოველკვირეულის «პროსტიე რეჩის» № 1-ში.
იანვარი, 13—14 (26—27).	ლენინი წერს ბროშურას «სოციალ-დემოკრატია და სათათბიროს არჩევნები».
იანვარი, 15 (28).	ლენინი წერს ბროშურას ««მოისმენ მსჯავრსა რეგვენისასა»... (ს.-დ. პუბლიცისტის შენიშვნებიდან)».

შინაარსი

წინასიტყვაობა IX

1906

წინახანს . . . . . 1 — 3

ყოყმანი ზემოთ, გაგიდულება ქვემოთ . . . . 4 — 7

ერთიანოგბისაკენ! . . . . . 8 — 12

სათათბირო და ხალხი . . . . . 13 — 16

ბრძოლა ძალაუფლებისათვის და «ბრძოლა» ნასუფრალისათვის . . . . . 17 — 22

სათათბიროს ჩვენი ფრაქციის დეკლარაციის გამო. 23 — 29

«რომელი გეგულების საქმედ, ჰყავ ადრე!» . . . 30 — 32

სასარგებლო პოლემიკა . . . . . 33 — 35

დამშეულთა დახმარება და სათათბიროს ტაქტიკა 36 — 41

მოლაპარაკება სამინისტროს შესახებ . . . . . 42 — 43

ჟურნალ-გაზეთებს შორის . . . . . 44 — 46

ვინ ემხრობა კადეტებთან კავშირს? . . . . . 47 — 54

კადეტურმა სათათბირომ ფული მისცა დამრბევთა მთავრობას . . . . . 55 — 59

კადეტების ამყოლ-დამყოლნი . . . . . 60 — 65

ისევ სათათბიროს სამინისტროს შესახებ . . . . 66 — 71

ჟურნალ-გაზეთებს შორის . . . . . 72 — 74

«უპარტიო» ბოიკოტისტების უმართებულო მსჯელობა . . . . . 75 — 81

ბურჟუაზიის საყვედური და პროლეტარიატის მოწოდება . . . . . 82 — 83

არმია და ხალხი . . . . . 84 — 87

ჟურნალ-გაზეთებს შორის . . . . . 88 — 89

მასების ორგანიზაციაზე და ბრძოლის მომენტის შერჩევაზე . . . . . 90 — 94

ჟურნალ-გაზეთებს შორის . . . . . 95 — 96

გაბედული იერიში და გაუბედავი დაცვა . . . . 97 — 102

სათათბიროს პარტიები და ხალხი . . . . . 103 — 107

რეაქციის შეთქმულება და დამრბევთა მუქარა . . 108 — 111

სათათბიროს დათხოვნა და პროლეტარიატის ამოცანები . . . . . 113 — 140

I 115
II 121
III 124
IV 131
V 138
VI 139

სვეაბორგში დელეგაციის გაგზავნის შესახებ. რსდმპ პეტერბურგის კომიტეტის აღმასრულებელი კომისიის დადგენილება . . . . . 141 — 142

ძარიშხლის წინ . . . . . 145 — 151

ბოიკოტის შესახებ . . . . . 152 — 162

პოლიტიკური კრიზისი და ოპორტუნისტული ტაქ-
ტიკის ჩაშლა . . . . . 163 — 183

I 163
II 164
III 168
IV 175
V 179

დღევანდელი ამბების გამო . . . . . 184 — 187

«მუშათა ყრილობის» შესახებ. შენიშვნა 188

მოსკოვის აჯანყების გაკვეთილები . . . . . 189 — 198

ტაქტიკური მერყეობა . . . . . 199 — 204

მთავრობის პოლიტიკა და მომავალი ბრძოლა . 205 — 210

ხელები შორს! . . . . . 211 — 216

პოლონეთის სოც. პარტიის პარტიზანული გამო-
სვლის შესახებ 217

გუნდის შეერთება რუსეთის სოციალ-დემოკრა-
ტიულ მუშათა პარტიასთან . . . . . 218 — 219

ესერული მენშევიკები . . . . . 220 — 232

მზადდება ახალი სახელმწიფო გადატრიალება! . . 233 — 240

პარტიზანული ომი . . . . . 241 — 254

I 241
II 243
III 245
IV 252

პარტიზანული ომის საკითხისათვის 255

რუსეთის პოლიტიკურ პარტიათა კლასიფიკაციის ცდა . . . . . 256 — 264

შენიშვნები «სოციალ-დემოკრატის» № 1-ის გამო . 265 — 269

რუსი რადიკალი წინდაუხედავია! . . . . . 270 — 275

კადეტთა ყრილობის შედეგებისათვის . . . . . 276 — 282

ოგივატელოგა რევოლუციურ წრეში . . . . . 283 — 296

მარტოვისა და ჩერევანინის გამოსვლა ბურჟუაზიულ პრესაში . . . . . 297 — 306

სიყალბე, რომელსაც ლ. მარტოვი ავრცელებს ბურჟუაზიული პრესის მეშვეობით 297

მარტოვი და ჩერევანინი 301

სოციალ-დემოკრატები ბურჟუაზიულ გაზეთებში. . 303

საგანგებო პარტიული ყრილობის მოწვევის შესახებ . . . . . 307 — 310

როგორ იწერება ისტორია... . . . . 311 — 315

პოსტსკრიპტუმი სტატიისა: «სოციალ-დემოკრატია და საარჩევნო კამპანია» . . . . . 316 — 319

სოციალ-დემოკრატია და საარჩევნო შეთანხმებანი 321 — 350

I 323

II 325

III 328

IV 332

V 335

VI 340
VII 347

განსაკუთრებული აზრი, შეტანილი რსდმპ სრულიად რუსეთის კონფერენციაზე პოლონეთის, ლატვიის მხარის, ს.-პეტერბურგის, მოსკოვის, ცენტრალურ-სამრეწველო ოლქისა და ვოლგისპირეთის ს.-დ. დელეგატების სახელით . . . . . 351 — 353

ამომარჩევლებისადმი მიმართვის პროექტი . . . . 354 — 360

კადეტებთან ბლოკის შესახებ . . . . . 361 — 376

ბრძოლა მოკადეტო სოციალ-დემოკრატებთან და პარტიული დისციპლინა . . . . . 377 — 382

როგორ ეწევიან არმავირელი სოციალ-დემოკრატები საარჩევნო კამპანიას? . . . . . 383 — 385

ვინ ავირჩიოთ სახელმწიფო სათათბიროში? . . 386 — 392

რომელია სამი მთავარი პარტია? 386
ვის ინტერესებს იცავს სამი მთავარი პარტია? . . . 386
რას ესწრაფის სამი მთავარი პარტია? 387
რანაირი თავისუფლების მიცემა სურს ხალხისათვის სამ მთავარ პარტიას? 387
როგორ უყურებს სამი მთავარი პარტია გლეხების მიერ მიწის მოთხოვნას? 388
რის მიღწევა შეუძლია სამ მთავარ პარტიას, მთელი მათი ბრძოლა რომ წარმატებით დამთავრდეს? . . . 388

სოციალ-დემოკრატია და შრომის პარტიები . . 389

რომელი პარტიები კისრულობენ მუშათა კლასისა და ყველა მშრომელთა ინტერესების დაცვას? 389
ვის ინტერესებს იცავენ ნამდვილად ეს პარტიები? . 390
რამდენად მტკიცენი არიან ეს პარტიები შრომისა და კაპიტალის დიად მსოფლიო ბრძოლაში? 390

რის მიღწევა შეუძლიათ ამ პარტიებს, თუ თავიანთ საბოლოო მიზნებს სავსებით განახორციელებენ? . 391

რანაირ თავისუფლებას ესწრაფიან ხალხისათვის ეს პარტიები ახლანდელ რევოლუციაში? 391

როგორ უყურებენ ეს პარტიები გლეხების მიერ მიწის მოთხოვნას? 392

ახალი სენატური განმარტება . . . . . 393 — 404

მენშევიზმის კრიზისი . . . . . 405 — 434

I. 405

II. 413

III. 421

IV. 428

პროლეტარიატი და მისი მოკავშირე რუსეთის რევოლუციაში. . . . . 435 — 448

გუნდის ორგანოს ერთი სტატიის გამო . . . . . 449 — 458

მთავრობის მიერ სათათბიროს გაყალბება და სოციალ-დემოკრატების ამოცანები . . . . . 459 — 466

პოლიტიკური მდგომარეობა და მუშათა კლასის ამოცანები . . . . . 469 — 475

მუშათა პარტიის ამოცანები და გლეხობა . . . . 476 — 481

წინასიტყვაობა რუსულად ნათარგმნი ბროშურისა: «ვ. ლიბკნეხტი. არავითარი კომპრომისი, არავითარი საარჩევნო შეთანხმება!» . . . . . 482 — 490

წინასიტყვაობა რუსულად ნათარგმნი ბროშურისა: «კ. კაუტსკი. რუსეთის რევოლუციის მამოძრავებელი ძალები და პერსპექტივები» . . . . . 491 — 499

როგორ უყურებენ სათათბიროს არჩევნებს ბურჟუაზიული პარტიები და მუშათა პარტია? . . . 500 — 506

1907

ბლეხანოვი და ვასილიევი . . . . . 507 — 515

მუშათა პარტიის საარჩევნო კამპანია პეტერბურგში . . . . . 516 — 520

სოციალ-დემოკრატია და სათათბიროს არჩევნები 521 — 551
სოციალ-დემოკრატია და არჩევნები პეტერბურგში . . 523
I ს.-დ. კონფერენციის მოწვევის პირობები და მისი შემადგენლობა 524
II კონფერენციის გაყოფის საკითხი. 533
III რას ნიშნავს მენშევიკების წასვლა კონფერენციიდან? 537
IV პოლიტიკური პარტიები და მომავალი არჩევნები პეტერბურგში 544
ბოლოსიტყვაობა 548

«ეროისმენ მსჯავრსა რეგვენისასა»... (ს.-დ. პუბლიცისტის შენიშვნებიდან) . . . . . 552 — 575

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი . . . . . 577 — 602

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს ა და მ ო ღ ვ ა წ ე ო ბ ი ს თ ა რ ი ღ ე ბ ი . . . . . 603 — 620

ილუსტრაციები

პირველი გვერდი გაზ. «ეხოს» № 3, 1906 წ. 24 ივნისისა, ვ. ი. ლენინის მოწინავე სტატიით «ვინ ემხრობა კადეტებთან კავშირს?» 49

პირველი გვერდი გაზეთ «პროლეტარის» პირველი ნომრისა, 1906 წ. 21 აგვისტოს თარიღით, სადაც დაიბეჭდა ვ. ი. ლენინის სტატიები «ქარიშხლის წინ», «ბოიკოტის შესახებ» და სხვანი . 143

პირველი გვერდი ყოველკვირეული ჟურნალისა «ტერნიი ტრუდა», № 1, 1906 წ. 24 დეკემბრისა ვ. ი. ლენინის მოწინავე სტატიით «პოლიტიკური მდგომარეობა და მუშათა კლასის ამოცანები» 467

პირველი გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა «მუშათა პარტიის ამოცანები და გლეხობა». — 1906 წ. . . . . 476 — 477

ტირაჟი 20.000.
ელმოწერილია დასაბეჭდად 3/VII — 1950
ეე 04718. ნაბეჭდ ფორმათა რაოდ. 39³/₄
ფასი 8 მან.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან
არსებული პოლიგრაფმრეწველობის,
გამომცემლობისა და წიგნის ვაჭრობის
საქმეთა სამმართველოს 1-ლი სტამბა.
თბილისი. ორჯონიკიძის ქ. № 50.
შეკვეთის № 697.